ავსტრიული მოთხრობები

გერმანულიდან თარგმნა თემურ ხანთაძემ

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

ავსტრიული მოთხრობები

გერმანულიდან თარგმნა: თემურ ხანთაძემ
ყდის დიზაინი: თამარ თათელაძე
დამკაბადონებელი: გიორგი კევლიშვილი

პირველი გამოცემა, თბილისი, 2010

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"
დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ელ-ფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-15-535-2

AUSTRIAN SHORT STORIES

Works of Robert Musil copyright © 1957 & 1978 by Rowohlt Verlag GmbH, Reinbek bei Hamburg

Bakur Sulakauri Publishing, Tbilisi, Georgia
David Agmashenebeli Ave. 150, Tbilisi 0112
E-mail: info@sulakauri.ge

www.sulakauri.ge

This Book was published with the financial support of
BMUKK - Bundesministerium fuer Unterricht, Kunst und Kultur
Sektion V - Kunstangelegenheiten
Concodriaplatz 2, 1014 Wien
www.bmukk.gv.at

სარჩევი

არტურ შნიცლერი

უცხო 5

ბრძენის მეუღლე. . . .14

სამგზის გაფრთხილება .28

ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი

672-ე ღამის ზღაპარი. . . .33

მხედრის ისტორია. 49

მარშალ ბასომპიერის თავგადასავალი. 60

ლუსიდორი 70

რაინერ მარია რილკე

ურჩხულის მძლეველი 83

სევდიანი ამბავი ჯორნეტ ქრისტოფ
რილოჯეს ტრფობისა და აღსასრულისა. 88

ამბავი ქვას მიყურადებული ჯაცისა. . . .97

ამაყი ქალბატონი და მათხოვარი 101

სიბნელისთვის ნაამბობი ამბავი. .106

ფრანც კაფკა

დაკვირვება. 115

სოფლის ექიმი . . .143

შიმშილობის ოსტატი. .179

რობერტ მუზილი

სიყვარულის გასრულება . . .224

თვინიერი ვერონიკას ცდუნება. . .270

ცოცხალი მწერლის დანატოვარი 306

არტურ შნიცლერი

უცხო

ალბერტს ადრიანად გაეღვიძა და ლოგინში ცოლს ვეღარ მოჰკრა თვალი, მიმოიხედა – ის არსად ჩანდა. იქვე, ტუმბოზე, იდო ბარათი. აიღო ფურცელი, წაიკითხა: „ძვირფასო მეგობარო, შენზე ადრე გამეღვიძა. მივდივარ. მშვიდობით. დავბრუნდები თუ არა, არ ვიცი. გისურვებ ყოველივე კარგს. კატარინა“.

ალბერტმა ფურცელი თეთრ ზეწარზე დაუშვა და თავი გაიქნია. დაბრუნდებოდა დღეს თუ არა სულერთი იყო. არ უკვირდა არც წერილის შინაარსი და არც ტონი. უბრალოდ, ის უფრო ადრე მიიღო, ვიდრე ვარაუდობდა. სულ ორი კვირა, თოთხმეტი დღე, გრძელდებოდა მთელი ბედნიერება. რა მერე? ამას ელოდა.

ნელა წამოდგა, მოისხა ხალათი, მივიდა ფანჯარასთან, გააღო, გაიხედა – მის წინ მშვიდობიანი დილის წყნარ, უშფოთველ სინათლეში ჩაძირული ინსბრუკის ხედი გადაიშალა; შორს აღმართულიყვნენ მთები – ცის სილურჯეს მიბჯენილი მოციმციმე თეთრი მწვერვალები. ალბერტმა ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა, მზერა სივრცეს გააყოლა და ჰორიზონტს მიაწვდინა. გულში სიცარიელის უჩვეულო სიმძიმეს გრძნობდა. ფიქრობდა იმაზე, რომ მომავალი უბედურების, მოსახდენის ცოდნა და საამისოდ მზადყოფნა ტკივილს არ უმსუბუქებდა, მასთან გამკლავებას თუ უადვილებდა. ერთხანს ყოყმანობდა. რა აზრი ჰქონდა ცდას? განა არ ჯობდა ახლავე მოეღო ყველაფრისთვის ბოლო? და განა ცნობისმოყვარეობის ჭია, ასე რომ აწვალებდა, საკუთარ გადაწყვეტილებათა ღალატად არ უნდა აღექვა? ბედისწერის ნება უნდა აღსრულებულიყო. გადამწყვეტი, მაინც, ის ორი წლის წინანდელი ამბავი იყო, როდესაც ცეკვისას პირველად იგრძნო ლოყაზე უჩვეულო სიგრილის იდუმალ ბაგეთა შეხება.

გაახსენდა, როგორ ბრუნდებოდა სახლში მეგობარ ვინცენცთან ერთად, ისიც, რასაც მეგობარი უყვებოდა; გაფრთხილების ტონიც – რბილი, ტაქტიანი – კვლავ ულერდა მის ყურებში. ვინცენცმა იცოდა კატარინას ოჯახური ამბები. მამამისმა, საარტილერიო პოლკის პოლკოვნიკმა ბოსნიის საბრძოლო კამპანიისას ბარონის წოდება დაიმსახურა და, ბოლოს, მეამბოხის ტყვიას შეეწირა. ამის შემდეგ, კატარინას ძმამ, კავალერიის ლეიტენანტმა, მემკვიდრეობის თავისი წილი სულ ცოტა ხანში გაფლანგა და გაანიავა; დედას მოუწია მთელი თავისი ქონების გაღება, რათა ყველაზე ცუდი თავიდან აეცილებინა; ამან საქმეს მაინც ვერ უშველა და მალე ახალგაზრდა ოფიცერმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. სწორედ ამ დროს მოუხშირა მათ ოჯახში ვიზიტებს კატარინას საქმროდ მიღებულმა ბარონმა მაასბურგმა. ეს არა მარტო ოჯახის უკვე საყოველთაოდ ცნობილ გასაჭირს დაუკავშირეს, არამედ დაკრძალვის დღის უცნაურ სცენასაც, როდესაც მტირალი, თანაგრძნობის მაძიებელი კატარინა შვებას ძმის უცნობი მეგობრის მკლავებში ეძებდა, თითქოს თავისი მეგობარი ან შეყვარებული ყოფილიყოს; ერთი წლის შემდეგ კვლავ მგზნებარე ოცნებების ტყვეობაში აღმოჩნდა, რომელთა ერთადერთი გმირი, ყველასი უკლებლივ, ცნობილი ორღანისტი ბანეტი გახლდათ. ამ უკანასკნელმა ვენა ისე დატოვა, რომ ქალმა ვერ მოასწრო გულისნადების თუნდაც ერთი სიტყვით განდობა. ერთ მშვენიერ დღეს კი, დილით, დედას უამბო სიზმარი, თუ როგორ აღმოჩნდა ბანეტი მის ოთახში და როგორ უკრავდა როიალზე ბახის ფუგას, შემდეგ კი უეცრად ზურგით იატაკზე დაეცა და სული განუტევა; სწორედ ამ დროს გადაიხსნა ჭერი, შეინძრა როიალი, აიწია, გასცდა სახლს და ჰაერში დაიწყო ლივლივი. იმავე დღეს მოვიდა ამბავი, რომ ერთ პატარა იტალიურ სოფელში ბანეტი ეკლესიის კოშკიდან გადმოვარდნილიყო და ჯვრის მახლობლად დაცემულს დაელია სული. ხოლო კატარინა, სულიერი აშლილობის ნიშნებით, ღრმად დეპრესიული, მალე ყველას და ყველაფერს გაემიჯნა, თავის თავში ჩაიკეტა და ექიმებს მის სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებაზე ხელი მხოლოდ დედის მედგარმა წინააღმდეგობამ და შვილის სწრაფი გამოჯანმრთელების რწმენამ ააღებინა. მთელი ერთი წელი გაატარა კატარინამ დუმილსა და მარტოობაში; მაგრამ, დროდადრო, ღამით, დგებოდა ლოგინიდან და მღეროდა – სადა, უბრალო სიმღერებს, როგორც უწინ, და, ექიმების გასაკვირად, თანდათან, დეპრესიას თავი დააღწია, პირი იბრუნა სიცოცხლისკენ, თვით სიხარულისკენ. მალე დაიწყო ვიზიტებიც, თავიდან ახლო ნაცნობების წრეში, რომელიც სულ მალე გაფართოვდა და როდესაც ალბერტმა ის მეჯლისზე გაიცნო,

სულიერი სიმშვიდით აღსავსე მოეჩვენა და, ბუნებრივია, მეგობრის მონათხრობსაც ეჭვით უსმენდა.

მაღალ საზოგადოებაში ნაკლებად შემჩნეულ ალბერტ ვებელინგს საკუთარი ოჯახის მაღალი რეპუტაციისა და პირადი ღირსებების გამო, როგორც სამინისტროს ვიცე-მდივანს, კატარინას წრეში მოხვედრა არ გასჭირვებია. მასთან ყოველი შეხვედრა კი ლტოლვას მხოლოდ აძლიერებდა. ახალგაზრდა ქალს, ყოველთვის უბრალოს, ამაღლებული იერი და თანამოსაუბრის მოსმენისას თავის დახრის სრულიად განსაკუთრებული, თითქმის დედოფლური მანერა იშვიათ კეთილშობილებასა და დახვეწილობას სძენდა. ის ცოტას ლაპარაკობდა და საზოგადოებაში ყოფნისას მზერას, ხშირად, თითქოს სადღაც სხვაგან, სხვებისთვის მიუწვდომელ შორეთს მიაპყრობდა. ახალგაზრდა მამაკაცების მიმართ გულგრილს ურთიერთობა უფრო რჩეულ, რანგითა და სახელით გამორჩეულ ზრდასრულ მამაკაცებთან სიამოვნებდა. და კვლავ, ალბერტთან ნაცნობობის შემდგომი მთელი ერთი წლის განმავლობაში საზოგადოება მას ტიბეტსა თუ თურქესტანში სამეცნიერო ექსპედიციიდან ახლად დაბრუნებულ გრაფ რუმინგსჰაუზის საცოლედ მიიჩნევდა. იცოდა მაშინ ალბერტმა, რომ დღე, როდესაც კატარინა ცოლობაზე თანხმობის ნიშნად ხელს სხვას გაუწვდიდა, მისთვის უკანასკნელი იქნებოდა, და მან, ვისი ცხოვრებაც ოცდაათი წლის მანძილზე წინ მტკიცედ და შეუფერხებლად მიიწევდა, უეცრად ყველა ის ხიფათი და სიგიჟე შეიცნო, მამაკაცთა შორის ყველაზე ფრთხილი და კეთილგონიერი არსება დაუოკებელმა ენებამ რომ აზიარა. მას, სოლიდური შემოსავლის პატრონს, უცოლოს და მარტოხელას, შეეძლო უზრუნველად ეცხოვრა, თუმცა სიმდიდრის მოლოდინი არსაიდან უნდა ჰქონოდა. მის წინ საშუალო ფენის წარმატებული ადამიანის ცხოვრების პერსპექტივა იშლებოდა – უზრუნველყოფილი, უკიდურესობებს მოკლებული და არაფრით ღირსშესანიშნავი. ყურადღებას აქცევდა ჩაცმას, თუმცა არ ცდილობდა დაეპყრო მომხიბვლელობისა და ელეგანტურობის სიმაღლეები; საუბარი ჰქონდა საკმაოდ გონებამახვილი, თუმცა სათქმელი – არაფრით გამორჩეული, რჩებოდა ყოველთვის სასიამოვნო, არასოდეს თვალში საცემი. და გრძნობდა, რომ კატარინას მსგავსი არსება – იდუმალი, შეუცნობი, თითქოს სხვა სამყაროდან – თუკი მისი თანაგრძნობის მოპოვებას ეცდებოდა, საპასუხო კეთილგანწყობის შემთხვევაში, მასთან საურთიერთოდ მოწყალედ დაბლა უნდა დაშვებულიყო. ყოველ შემთხვევაში, ახალგაზრდა ქალის მხრიდან ამ დაუმსახურებელი ბედნიერებისთვის მაღალი საფასურის გადახდის მოთხოვნას მამაკაცი სრულიად სამართლიანად მიიჩნევდა და, ნებისმიერი ხარკის გაღებისთვის მზა, მისი არჩევანის ღირსად გახდო-

მის იმედს არ კარგავდა. ერთ დილას, როდესაც გრაფის გალიციაში გამგზავრების ამბავი გაიგო, რაც მხოლოდ ვიწრო წრისთვის იყო ცნობილი, მისთვის სრულიად უჩვეულო სიმტკიცით გადაწყვიტა ამ ხელსაყრელი გარემოებით ესარგებლა და კატარინასკენ გაემართა.

რა შორი ჩანდა ახლა ის დრო!

აი, ის უკვე შოტენჰოფშია, კატარინას დაბალ, თაღოვან, კარგად შენახული ძველი ავეჯით განყობილ ფართო ოთახში, ფანჯარასთან მოჩანს შორიშორ მდგარი მუქი წითელი სავარძლები, სახურავახდილი ფორტეპიანო, გადაშლილი ნოტები, მრგვალი მაჰაგონის მაგიდა, მასზე სადაფისყდიანი ალბომი და, სავიზიტო ბარათებისთვის, ძველი საქსონური ფაიფურის თასი. გაახსენდა, როგორ გადაიხედა დიდ ეზოში, თვალი მოჰკრა მრავალრიცხოვან მრეევლს, ბზობის წირვის შემდეგ მოპირდაპირე მხარეს მდებარე შოტლანდიურ ეკლესიას რომ ტოვებდა. ზარების რეკვისას მომიჯნავე ოთახიდან კატარინა დედასთან ერთად გამოვიდა და, უცნაურია, ჩვენი გმირის ვიზიტით არც ისე გაკვირვებული დარჩა, როგორც ეს უკანასკნელი მოელოდა. ქალი მეგობრულად უსმენდა და მისი წინადადება მიიღო მშვიდად, შეცხადების გარეშე, როგორც მეჯლისზე მიპატიჟება. დედა კუთხის დივანზე დაჯდა – სმენანაკლული, მოღიმარი, ოდნავ დაუცველი და ხაზგასმულად გულისხმიერი – და, დროდადრო, ცნობისმოყვარეობის მოძალებაში, შავი აბრეშუმის მარაო მიჰქონდა ყურთან. გრილ ოთახში, სადაც კვირადღის სიმშვიდე სუფევდა, ალბერტს ჰქონდა შეგრძნება, თითქოს იმყოფებოდა გარემოში, სადაც დიდი ხნის მანძილზე მძვინვარებდა ქარიშხალი და ახლა, სიმშვიდეს მოწყურებული, სწორედ მის მოლოდინში გარინდებულიყო. უკვე შემდეგ, რუხ კიბეზე ჩამავალს, თან ახლდა არა ასრულებული ნატვრის სიხარული, არამედ იმის შეგრძნება, რომ შეაბიჯა თავისი ცხოვრების ახალ, საოცარ ეპოქაში, თუმცა ბნელსა და გაურკვეველში. და ასე – კვირა დღის ლაღ სივრცეში, ქუჩიდან ქუჩაში, ბაღიდან ხეივანში, წლის პირველი თვეების ცის ქვეშ, მხიარული და უდარდელი ადამიანების შემხვედრად თუ შორის მიმავალი, გრძნობდა, რომ ამიერიდან მათ რიცხვს აღარ ეკუთვნოდა და მის ბედს რაღაც სხვა, განსაკუთრებული ძალა განკარგავდა.

ახლა, ყოველ საღამოს, მას მაღლა, თაღოვან ოთახში ნახავდით. კატარინა მღეროდა, ხანდახან სასიამოვნო ხმით, მაგრამ თითქმის ყოველგვარი გამომსახველობის გარეშე, უფრო იტალიურ ხალხურ სიმღერებს, კლავირზე აკომპანირებას კი ალბერტი უწევდა. ხშირად იდგა ახალგაზრდა ქალთან ერთად ფანჯარასთან და ეზოში იყურებოდა, იქ, სადაც კვირტებდაბერილი ხეები გაღიმებისა და მწვანე სამოსის მორგებისთვის ემზადებოდნენ. ერთად ატარებდნენ

მშვენიერ საღამოებს ბელვედერის ბაღში; ქალი იქ დიდხანს რჩებოდა და ბავშვურ თამაშებს თვალს ადევნებდა. ვაჟის გამოჩენისას, დგებოდა, ეგებებოდა და მასთან ერთად მზის სინათლეზე მბზინავ მოხრეშილ ბილიკებზე სეირნობდა. თავდაპირველად ვაჟი უყვებოდა თავის ადრინდელ ცხოვრებაზე, ბავშვობაზე გრაცში, მშობლიურ სახლში გატარებულ წლებზე, სტუდენტობის ხანაზე ვენაში, ზაფხულისდროინდელ მოგზაურობებზე, თან ის აჩრდილისეული სახეები ეხამუშებოდა, რომელთა შემწეობითაც ცნობიერის სიღრმეში დალექილი წარსულის გაცოცხლების პროცესში ჩართული ფანტაზიით საკუთარი ბავშვობის, ყრმობის გამოხმობას ცდილობდა. შესაძლოა სწორედ ამიტომ, კატარინა ყოველივე ამის მიმართ გულგრილი რჩებოდა. ბევრი უცნაური რამ ხდებოდა, შესაძლოა, არცთუ მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც აუხსნელი, დაუკმაყოფილებლობის გრძნობას რომ უტოვებდა. ერთხელ, შუადღით, საცოლეს წმინდა სტეფანეს მოედანზე გადაეყარა, მგლოვიარე, ელეგანტური უცხო მამაკაცის საზოგადოებაში. ალბერტი გაჩერდა, კატარინა ცივად მიესალმა და გზა გააგრძელა. ის მათ უკან გაჰყვა. მალე მამაკაცი ქუჩის კუთხეში მომლოდინე კარეტაში ჩაჯდა და გაემგზავრა. კატარინა სახლში დაბრუნდა. როდესაც საღამოს ჰკითხა, თუ ვინ იყო ის უცნობი, ქალმა, გაკვირვებას ამოფარებული გაუცხოებით, პასუხად მისთვის არაფრის მთქმელი პოლონური გვარი ახსენა, განცალკევდა და საღამოს დანარჩენი ნაწილი თავის ოთახში გაატარა. ერთხელაც, მთელი საღამო ამაოდ ალოდინა. ბოლოს, გამოჩნდა ათი საათისთვის მინდვრის ყვავილების თაიგულით ხელში და მოუყვა, რომ იყო ქალაქგარეთ, მინდორში, სადაც ჩასძინებოდა. ყვავილები ქალმა ფანჯრიდან გადაყარა. ერთხელაც ალბერტთან ერთად საგამოფენო დარბაზს ესტუმრა და დიდხანს იდგა სურათთან – მწვანეში ჩაფლულ, მთიან ლანდშაფტთან, რომლის თავზეც ღრუბლებს მოეყარათ თავი. ორიოდე დღის შემდეგ კი ალაპარაკდა ამ ადგილზე, თითქოს იქ ყოფილიყო, ევლო ამ ბორცვებზე – იხსენებდა გარდაცვლილ ძმასთან ერთად გატარებულ ბავშვობას. თავიდან ალბერტი ფიქრობდა, რომ ის ხუმრობდა, მაგრამ, თანდათან, შეამჩნია, რომ ქალის მოგონებებში სურათი მართლაც ცოცხლობდა. მაშინ იგრძნო, თუ როგორ გადაიზარდა მისი გაკვირვება ტკივილნარევ შემზარავ გრძნობაში. მაგრამ, რაც უფრო უსხლტებოდა ხელიდან ვაჟის გონებას ქალის შეუცნობი ბუნება, მით უფრო ძლიერდებოდა მის მიმართ სევდამოძალებული ლტოლვა. ქალი, ხანდახან, თავის ბავშვობაზე საუბარსაც ახერხებდა. მაგრამ ყველაფერი, რასაც ყვებოდა, ამბები ნამდვილი, თუ შორეულ ოცნებათა აღსარებანი, მის წინ თანაბარ, მკრთალ ციმციმში ლივლივებდა და ერთმანეთს

ისე უცნაურად ენაცვლებოდა, რომ ალბერტს ვერ გაერკვია, ქალის ხსოვნას უფრო ცხადად რა შემორჩენოდა: ეკლესიის კოშკიდან გადმოვარდნილი ორღანისტი, მოდენელი ჭაბუკი ჰერცოგი, პრატერში ჩავლილი მხედარი, თუ ლიხტენშტაინის სამხატვრო გალერეის სურათზე გამოსახული ვან დეიკისეული ჭაბუკი. და ასე, უცნობი თუ შეუცნობი მიზნებისკენ ლტოლვაში გამოკრთებოდა ხოლმე სიბნელეში ქალის არსი, და ალბერტი გრძნობდა – თვითონ მისთვის იყო არაფერი, არსება სრულიად უცხო, მხოლოდ იმით გამორჩეული, რომ დარბაზში სასეირნოდ მკლავს მას სხვებზე ადვილად შესთავაზებდა. და რადგან სწორედ იმ ძალებმა უმტყუნა, რომელთა მეშვეობითაც ქალის ქაოსური, ბინდიანი არსებობიდან გამოყვანა უნდა ეცადა, ბოლოს – უძლურმა, დამარცხებულმა – იგრძნო, თუ როგორ აბრუებდა მისი მაცბუნებელი არსი, უმღვრევდა გონებას, და მისი პიროვნების არსებითი მხარე – ფიქრები, საქმე – ყოველდღიური ცხოვრებით ნაკარნახებ აუცილებლობებს თანდათან მთლიანად ემიჯნებოდა. დაიწყო იმით, რომ მომავალი ოჯახური ცხოვრებისთვის იძენდა ნივთებს, რომელთა ღირებულება მის შესაძლებლობებს საგრძნობლად აღემატებოდა. შემდეგ: საცოლისთვის ყიდულობდა საკმაოდ ძვირფას სამკაულებს, ქორწილის წინა დღეს კი ქალაქის გარეუბანში პატარა სახლი და სააგარაკო ნაკვეთი შეიძინა, რომელიც კატარინას განსაკუთრებით მოსწონდა, და იმავე საღამოს ჩუქების საბუთები მიართვა, რომელთა თანახმადაც ის ქალის ერთპიროვნულ საკუთრებაში გადადიოდა. და ქალმა ეს ჩვეული მეგობრული კეთილგანწყობითა და სიმშვიდით მიიღო, როგორც ადრე ვაჟის მიერ ხელისა და გულის შეთავაზება. ცხადია, ვაჟი უფრო მდიდარი ეგონა, ვიდრე სინამდვილეში აღმოჩნდა. თავიდან ის, რა თქმა უნდა, ცდილობდა საკუთარ ფინანსურ შესაძლებლობებზე საუბრის წამოწყებას. მაგრამ სიტყვებს ვერ პოულობდა და იძულებული ხდებოდა საქმე მეორე დღისთვის გადაედო; შემდეგ, თანდათან, ეს ყველაფერი ზედმეტიც კი ეჩვენებოდა, რადგან, როდესაც მომავალზე ესაუბრებოდა, გრძნობდა, რომ მის წინაშე იყო ადამიანი, რომლისთვისაც გზა მომავლისკენ არა გარემოებათა გათვალისწინებასა და აუცილებლობებზე, არამედ საპირისპირო ღირებულებებზე გადიოდა – მისთვის ყველა შესაძლებლობა იყო ნებადართული და ხელმისაწვდომი, რადგან მის ქცევაში შინაგანი თუ გარე ვალდებულებებიდან გამომდინარე თვითშეზღუდვაზე არაფერი მეტყველებდა. ერთ მშვენიერ დღეს ალბერტმა გააცნობიერა – თუკი მას ბედნიერება ელოდა, მხოლოდ ხანმოკლე და წარმავალი, რომ ყველაფერი, რაც კატარინას მისი ცხოვრებიდან გაქრობას მოჰყვებოდა, მისთვის სრულიად უმნიშვნელო გახდებოდა, რადგან მის გარეშე არსებობა იყო წარმოუდგენელი და

კატარინას დაკარგვასთან ერთად მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ამ სამყაროსთან სამუდამო განშორება. ასე პოულობდა საყრდენს, ერთადერთს, მაგრამ ღირსეულს, ამ არეულსა და სევდიან დროში.

დილით, როდესაც კატარინა ჯვრისწერაზე ეკლესიაში მიჰყავდა, მისთვის ის ისეთივე უცხო რჩებოდა, როგორც გაცნობისას. და შემდგომ, როდესაც მისი გახდა, მოხდა ეს ვნებისა თუ შინაგანი მღელვარების გარეშე. სიმყუდროვის ძიებაში ისინი ქალაქიდან გაეგზავნენ. გზა გადიოდა მთებში, ზაფხულის მდელოებს შორის და სივრცე მათ წინ ხან გულუხვად იშლებოდა, ხან კი საკუთარ თავში იკეტებოდა და ვიწრო ჰორიზონტის მოკრძალებული ხედებით კმაყოფილდებოდა; სეირნობდნენ მხიარულად აქოჩრილი ტბების ხავერდოვან ნაპირებზე, ხეტიალობდნენ მიტოვებულ ბილიკებზე, რომლებიც სადღაც, შორს, მოშრიალე ტყის სიღრმეებში იკარგებოდნენ. ხან კი იდგნენ ფანჯრებთან, იყურებოდნენ ქვევით, მოჯადოებული ქალაქების წყნარ ქუჩებში, აყოლებდნენ მზერას იდუმალი მდინარის დინებას, არა დაღმა, არამედ ზევით, მდუმარე მთებისკენ, რომელთა მწვერვალები ფერმკრთალ, ნისლად ქცეულ ღრუბლებში ქრებოდა. ლაპარაკობდნენ ცხოვრებისეულ ამბებზე, სხვა ახალგაზრდა წყვილების მსგავსად ხელიხელგაყრილი სეირნობდნენ, ჩერდებოდნენ სახლებსა და ვიტრინებთან, ილიმებოდნენ, თათბირობდნენ ან მსუბუქად ეხებოდა მათი ღვინით სავსე ჭიქები ერთმანეთს და ბოლოს, ლოყა ლოყაზე მიდებული, შეყვარებულთა ნეტარ ძილში იძირებოდნენ. ან ტოვებდა ქალი მას მარტო: სასტუმროს ოთახის ნათელ ბინდში, სადაც უცხოობის სევდას ახლა განსაკუთრებით მძაფრად შეიგრძნობდა, ხან პარკის ქვის სკამზე, ადამიანთა შორის, რომლებიც ხარობდნენ, გამოღვიძებული ბუნების ყვავილობაში შესული მცენარეების სურნელით ტკბებოდნენ, ხან მაღალ დარბაზში ლანდსკენხტის ან მადონას მწირი განათებით ჩამუქებული პორტრეტის წინ, და არ იცოდა ამ დროს, დაბრუნდებოდა ქალი თუ არა. რადგან იყო მუდმივი და უტყუარი, როგორც გულისცემა, გრძნობა, რომ იმ პირველი დღის შემდეგ არაფერი შეცვლილიყო – იყო ის, ქალი, თავისუფალი, თვითონ კი მისი ერთგული, მას მიკუთვნებული.

და მოხდა ისე, რომ არც მის ასეთ ადრეულ გაქრობას, ქორწინებიდან ორი კვირის თავზე, არც მის უცნაურ წერილს ის მაინცდამაინც არ გაუკვირვებია, მხოლოდ შეაძრწუნა. ის ვერც თავის თავს მიაყენებდა შეურაცხყოფას და ვერც მას – ვერ დაიწყებდა ამ ამბებში ქექვას. რა იყო მისი დაკარგვის მიზეზი – კაპრიზი, სიზმარი თუ ცოცხალი ადამიანი – იყო სულერთი; მან არაფერი იცოდა და არც სურდა სცოდნოდა რამე, გარდა ერთისა, და ეს იყო უტყუარი – ის მას აღარ ეკუთვნოდა. შესაძლოა უკეთესიც იყო, რომ ეს ასე ადრე

მოხდა. ქონებიდან, სახლის ყიდვის შემდეგ, თითქმის აღარაფერი შემორჩენოდა, მისი მცირე შემოსავალი კი ორივეს ვერ გასწვდებოდა. ხარჯების შეზღუდვებსა და ყოველდღიურ საჭიროებებზე საუბარს ვერ ახერხებდა. ერთხანს მასთან საერთოდ დამშვიდობებასაც კი ფიქრობდა. ახლა მზერა ზეწარზე შეაჩერა, იქ იდო ფურცელი, გაიფიქრა მის თავისუფალ მხარეზე მოკლე ახსნა-განმარტების მიწერა, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან იცოდა, რომ ამგვარი მიმართვა მისთვის არაფერს ნიშნავდა. გახსნა ჩანთა, ამოიღო თავისი პატარა რევოლვერი და გადაწყვიტა სადმე, ქალაქგარეთ წასულიყო, ეს უკანასკნელი ნაბიჯი სრულ სიმარტოვეში, ღირსეულად და უხმაუროდ რომ გადაედგა.

ქალაქზე ზაფხულის მუქი სილურჯის დილა და ნაადრევი მცხუნვარება გაწოლილიყო. ალბერტი მიდიოდა პირდაპირ, სასტუმროს შორდებოდა. ასი ნაბიჯიც არ ჰქონდა გავლილი, რომ თვალი მოჰკრა კატარინას – რუხი აბრეშუმის ქოლგით ხელში ის გზას მიუყვებოდა. ალბერტის თავდაპირველი განზრახვა იყო მეზობელ ქუჩაზე გადასვლა; მაგრამ რაღაც ძალამ, მის განზრახვებსა და მოსაზრებებზე აღმატებულმა, უკან გაყოლა აიძულა, რათა მოვლენებში სიცხადე – სულ ცოტა ხნის წინ თითქოს ასე გულგრილად უგულებელყოფილი – შეეტანა. ახლა მხოლოდ ერთი რამ აშინებდა – არ მობრუნებულიყო და მისი იქ ყოფნა არ აღმოეჩინა. ქალი სასტუმროს ბაღისკენ მიდიოდა, ალბერტმა ის წინ გაუშვა და უკან გაჰყვა. კატარინა მივიდა ეკლესიასთან და ღია კარში შევიდა. ცოტა ხანში მას ალბერტიც მიჰყვა, შესასვლელამდე, და თავი მის ღრმა ჩრდილს შეაფარა; ხედავდა, გმირებისა და დედოფლების ქანდაკებებს შორის როგორ მიუყვებოდა ეკლესიის დიდსა და ფართო შუა ნავს. ქალი უეცრად შეჩერდა. ალბერტმა ადგილი მიატოვა და იმპერატორ მაქსიმილიანეს საფლავის ქვის ქანდაკების უკან მდებარე, ეკლესიის შუაში შთამბეჭდავად აღმართულ ფართო, თაღოვან სივრცეს მიაშურა. კატარინა იდგა თეოდორიხის ქანდაკების წინ, გაუნძრევლად, სივრცეს მიჩერებული, ისევე მშვიდად, როგორც იმზირებოდა მარცხენა ხელით მახვილზე დაყრდნობილი ბრინჯაოს გმირის მარადიულობას ნაზიარები თვალები, რომლის იერში ამაღლებული ადამიანის დაღლილობა გამოსჭვიოდა, სრულად რომ აცნობიერებს საქმეთა მისთა სიდიადესა და ამაოებას. ამ სევდა-ნაღველს კი თითქოს მთლიანად გაელღვო მისი ქედმაღლობა. კატარინა იდგა ქანდაკების წინ, გოთების მეფეს მზერას არ აცილებდა. ალბერტი ერთხანს მოფარებულში იყო, ბოლოს გაბედა მისი დატოვება. ქალმა, ალბათ, ყური მოჰკრა ნაბიჯებს, მაგრამ თავი არ მოუბრუნებია; ის, როგორც მონუსხული, ადგილზე რჩებოდა. ხალხი შემოდიოდა ეკლესიაში, ირგვლივ, ყველგან: წითელი

გზამკვლევების, უცხო ადამიანების სიმრავლე; მათი გაუთავებელი ლაპარაკის ზუზუნი, მაგრამ არაფერი ესმოდა. ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა, კატარინა იდგა უწინდებურად, უძრავი, ვით ქანდაკება. განვლო თხუთმეტმა წუთმა და კიდევ ერთმა ამდენმა. ის არ გატოკებულა.

ალბერტი სწრაფად გავიდა გარეთ. გასასვლელში კიდევ ერთხელ მოიხედა; თვალი მოჰკრა ქანდაკებასთან ახლოს მისულ კატარინას, ის ტუჩებით ბრინჯაოს ფეხს ეხებოდა. ალბერტი სასწრაფოდ გაშორდა იქაურობას. იღიმებოდა. გაუელვა აზრმა, რომელმაც გული აუჩუყა – ახლა, სანამ ამ ქვეყანას დატოვებდა, შეეძლო საყვარელი არსებისთვის რაღაც კარგის გაკეთება, მისთვის საბოლოო სიკეთის ქმნა. ის დაადგა ვაგზლის ქუჩას – მხატვრული ნაწარმის მაღაზიისკენ მიმავალ გზას; იქ იკითხა, შეიძლებოდა თუ არა თეოდორიხის ნატურალური სიდიდის ქანდაკების შეძენა. ბედმა ინება, რომ ასეთი სწორედ ერთი თვის წინ დაემზადებინათ; მისი შემკვეთი ლორდი გარდაცვლილიყო და მემკვიდრეები ქანდაკების წაღებას აღარ აპირებდნენ. ალბერტმა იკითხა ფასი. მის შესაძლებლობებს ის დაახლოებით შეესატყვისებოდა. მან დატოვა თავისი ვენის მისამართი და მითითებაც, თუ როგორ უნდა ეზრუნა ფირმის წარმომადგენელს პატარა სახლის ბაღში მის დადგმაზე. შემდეგ დაემშვიდობა, ქალაქი აჩქარებით გადაკვეთა, გარეუბან ვილტენის გავლით იგლისკენ გასწია და იქ, პატარა ტყეში, მოიკლა თავი, ზუსტად მაშინ, როდესაც მზე ზენიტში იყო.

კატარინა ვენაში ამ შემთხვევიდან მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ დაბრუნდა. ამ დროს ალბერტის ცხედარი უკვე გრაცის საგვარეულო აკლდამაში ესვენა. ჩამოსვლის საღამოს კატარინა ერთხანს ბაღში ქანდაკების წინ შეჩერდა, რომელსაც მშვენიერი მაღალი ხეების ქვეშ, სიმყუდროვეში დაედო ბინა. სახლში შევიდა, დაწერა წერილი და ვერონაში გააგზავნა, მოკითხვამდე, ანდრეა ჯერალდინის სახელზე. ასე უწოდებდა თავს ეკლესიიდან მომავალი ქალის თანმხლები მამაკაცი, რომლისგანაც ის თავის სხეულში, გულთან ასე ახლოს, ბავშვს ატარებდა. იყო თუ არა ეს მისი ნამდვილი სახელი, ქალისთვის უცნობი დარჩა, რადგან პასუხი წერილზე არ მიუღია.

არტურ შნიცლერი

ბრძენის მეუღლე

აქ დიდხანს დავრჩები, ზღვასა და ტყეს შორის, სადაც სუფევს სევდიანი მოწყენილობა, ჩემთვის საშური, კეთილისმყოფელი, და მოუცავს მიდამო უძრაობას, მდუმარებას, თითქოს რაღაცის მოლოდინში გაქვავებულა ყველაფერი. მხოლოდ თეთრი ღრუბლები მიცურავენ მაღლა მდორედ, ზღვისა და ხის კენწეროებს მიღმა, სადაც ნავარდობს ქარი, ჩუმი – ვერ ახმაურებს ტალღებს, ვერ აშრიალებს ფოთლებს. მარტოობა აქ ღრმაა და ყველგან შეიგრძნობ: ხალხში ყოფნისას, ოტელში თუ სეირნობისას. ნაღვლიანია მუსიკაც, ძირითადად შვედური და დანიური სიმღერები, თუმცა უფრო მხიარული მელოდიებიც ყრუდ, უსიცოცხლოდ იღვრება. კონცერტის შემდეგ მუსიკოსები მდუმარედ ტოვებენ ესტრადას საკრავებიანად, კიბეების ჩამთავრებისას ხეივანში ქრებიან.

ამას ვწერ ნავში, ის დინჯად მიუყვება ნაპირს.

– მისი გლუვი კონტურები, უბრალო, სოფლური სახლები, მათ ირგვლივ ბაღები; იქვე, ზღვასთან ახლოს – სკამები; სახლების უკან ვიწრო, თეთრი გზა, გზის გადაღმა – ხმელეთს მთლიანად მოდებული ტყე. ის მსუბუქად მიუყვება ბექობს, მიიწევს მაღლა და იქ, სადაც მთავრდება, ერწყმის მზეს, ვიწროდ გაწოლილ ყვითელ კუნძულს დაისის შუქის ბრწყინვალებით რომ აფერადებს. მენავის თქმით, იქამდე ორი საათის სავალია. სიამოვნებით ვესტუმრებოდი. მაგრამ უცნაურად მაკავებს რაღაც; არასოდეს ვცილდები ამ პატარა, განმარტოებულ ადგილს. განსაკუთრებით სანაპიროს, ჩემს ტერასას.

ვწევარ წიფლების ქვეშ. შუადღის მკვრივი ჰაერი მძიმედ აწვება ხეებს, დაბლა ხრის მათ ტოტებს; დროდადრო ტყის ბილიკზე მესმის

ადამიანების ნაბიჯების ხმა, ჩემთვის უხილავი არსებების, რადგან ვწევარ გაუნძრევლად, ვუყურებ ცას – ზევით მიმართული მზერა თვალუწვდენ სიღრმეებში იკვალავს გზას და მის უძირო სივრცეში იკარგება. გაისმის ბავშვების წკრიალა ხმების ჟრიამული, მაგრამ ჩამოწოლილი მკვრივი სიჩუმე უმალ ისრუტავს მათ და უცბად ქრება ყოველი კვალი, თითქოს დიდი ხანი გასულიყოს. ვხუჭავ თვალს, კვლავ ვახელ და მაგონებს ეს ღრმა ძილისგან გამოღვიძებას. ამ დროს, დიდი სევდის კალთებში, ვემიჯნები საკუთარ თავს, უკვე არა მე, ვინმე, არამედ რაღაც სხვა, ბუნების ნაწილად ქცეული, მთლიანად მას შერწყმული.

დამთავრდა ეს მომხიბვლელი სიმშვიდე. სამუდამოდ. ველარსად ვიპოვი მას – ვერც წიფლების სიმყუდროვეში, ვერც ნავში. შეიცვალა უეცრად ყველაფერი. გზნებიანია ახლა ორკესტრის მელოდიები, მხიარული; ხმამაღლა საუბრობენ გამვლელებიც; ბავშვები ყვირიან, იცინიან. ზღვაც, თითქოს ასეთი წყნარი, ალერსიანი, ღამღამობით აიშვებს ხოლმე, ხმაურით აწყდება ნაპირს. ცხოვრებამ ჩემთვის კვლავ დაიბრუნა მეტყველება, ხმა. არასოდეს გავმგზავრებულვარ სადმე სიმსუბუქის ასეთი შეგრძნებით – არაფერი დაუმთავრებელი: დისერტაცია – ჩემი სიჭაბუკის თანმხლები ესთეტიკური ილუზია – დაცული და მიწას საბოლოოდ მიბარებული, ხოლო ფროილაინ ჯენი – ან მესაათის მეუღლე – დაბინავებული.

ასე რომ, მქონდა იშვიათი ბედნიერება: შევდგომოდი მოგზაურობას ზედმეტი ტვირთის – სახლში დარჩენილი შეყვარებულის და ილუზიების გარეშე. თუნდაც ცხოვრების ამ მონაკვეთში შევიგრძნობდი თავს მყარად და უშფოთველად. მაგრამ დამთავრდა ყველაფერი, რადგან ფრაუ ფრიდერიკე არის აქ.

გვიანი ღამე ჩემს ტერასაზე; მაგიდაზე დავდგი სანთელი, შევუდექი წერას. დროა გავერკვე ყველაფერში. ვიწერ საუბარს, პირველს ჩვენ შორის, შვიდი წლის – იმ დროის შემდეგ ...

ეს მოხდა სანაპიროზე, ნაშუადღევს. ვიჯექი სკამზე. ნავმისადგომზე პატარა ბავშვთან ერთად იდგა ქალი, მეტისმეტად შორს, რომ გამერჩია სახის ნაკვთები. თუმცა მათზე ყურადღება არც შემიჩერებია; ვიცოდი მხოლოდ – დიდხანს იდგა ასე, ვიდრე ნავმისადგომს მიატოვებდა და ჩემკენ წამოვიდოდა. მოდიოდნენ ხელიხელჩაკიდებულები – ის და ბავშვი. ახლა შევამჩნიე, რომ იყო ახალგაზრდა, ელეგანტური. სახე – თითქოს ნაცნობი. აი, მხოლოდ ათიოდე ნაბიჯი გვაშორებს; უეცრად წამოვდექი და მისკენ გავეშურე. მან გაიღიმა. ვიცანი.

„კი, ეს მე ვარ“, თქვა და ხელი გამომიწოდა.

„მაშინვე გიცანით“, ვუთხარი.

„იმედია ძნელი არ იყო“, მიპასუხა. „თითქმის არ შეცვლილხართ“.

„შვიდი წელი“... წარმოვთქვი.

მან თავი დამიქნია. „შვიდი წელი ...“

ორივე გავჩუმდით. ის იყო ლამაზი. ძალიან. ახლა სახეზე ღიმილმა გადაურბინა, მიუბრუნდა ბავშვს და უთხრა: „ჩამოართვი ბატონს ხელი“. ბავშვმა ხელი გამომიწოდა, მაგრამ ჩემკენ არ გამოუხედავს.

„ჩემი ბიჭია“, თქვა მან.

სასიამოვნო ყმაწვილი – მუქი კანი, ღია ფერის თვალები.

„რა კარგია, რომ ადამიანები კვლავ ხვდებიან ერთმანეთს“, დაიწყო მან, „ვერაფრით ვიფიქრებდი ... “

„და უცნაურიც“, ვთქვი მე.

„რატომ?“ იკითხა მან და მოღიმარმა პირველად გამისწორა თვალი.

„ზაფხულია, ყველა მოგზაურობს, არ მეთანხმებით?“

პირზე მადგა კითხვა ქმრის შესახებ; მაგრამ არაფერი მითქვამს.

„რამდენ ხანს რჩებით?“ ვკითხე.

„ორი კვირა. შემდეგ ქმარს უნდა შევხვდე კოპენჰაგენში.“

უეცრად გავხედე; მან მშვიდი მზერა შემომაგება: „გიკვირს, ალბათ?“

დაბნეული ვიყავი, თითქოს საყრდენგამოცლილი.

„ბევრი რამ უნდა მომიყვეთ“, გააგრძელა, „ძალიან, ძალიან ბევრი. დიდი ხანია დოქტორი ხართ?“

„არც ისე, ერთი თვეა.“

„მაგრამ სახე გაქვთ უწინდებური, ბავშვური“, თქვა მან. „და ულვაშიც – თითქოს მიწებებული.“

სასტუმროდან მოღწეული ზარის ხმამაღალი რეკვა სადილად მიხმობდა.

„ნახვამდის“, თქვა მან ისე, თითქოს სწორედ ამას ელოდა.

„შეგვიძლია ერთად გავისეირნოთ?“ ვკითხე.

„მე ბავშვთან ერთად ჩემს ოთახში ვსადილობ, არ მიყვარს ამ დროს ხალხში ყოფნა.“

„როდის შევხვდებით?“

მან თვალებით პატარა სასეირნო ბილიკზე მიმანიშნა. „ადამიანები აქ ყოველთვის ხვდებიან ერთმანეთს“, თქვა და, როცა ჩემს სახეზე იმედგაცრუების კვალი შეამჩნია, დაამატა: „მით უმეტეს, როცა ხალისი აქვთ ამის. ნახვამდის.“

გამომიწოდა ხელი და ისე დამცილდა, რომ აღარ მობრუნებულა. პატარამ კი ერთხელ გამომხედა.

მთელი ნაშუადღევი და საღამო ბილიკზე ვსეირნობდი, ის არ

მოსულა. ნუთუ კვლავ დატოვა აქაურობა. როგორც ერთხელ? არ გამიკვირდებოდა.

დღემ ისე გაიარა, რომ მისთვის თვალი აღარ მომიკრავს. მთელი დილა წვიმდა და ჩემ გარდა სასეირნოდ არავინ გამოსულა. ერთიორჯერ ჩავუარე სახლს, „მის სახლს", მაგრამ მისი ფანჯრები არ ვიცოდი. ნაშუადღევს გამოიდარა; დიდხანს ვსეირნობდი ზღვის სანაპიროს გაყოლებაზე. მეზობელ დასახლებულ ადგილამდეც კი მივედი. დღე იყო ულიმღამო, ჰაერი – მძიმე, დახუთული.

გზად არაფერზე ვფიქრობდი, მხოლოდ იმ დროზე. ყველაფერი წარმომიდგა ცხადად: კეთილგანწყობილი სახლი, პატარა ბაღი და იქ მიმოფანტული ახალშეღებილი სკამებისა და მაგიდების მწვანე გამონათება. პატარა ქალაქი, მისი წყნარი, თეთრი ქუჩები და შორი ბორცვები, თანდათან ნისლში რომ ეხვევა და იკარგება. ყველაფერს კი მკრთალი სილურჯის ცა გადმოჰყურებს, მათ შერწყმული, მათვე მიკუთვნებული – თითქოს მხოლოდ მათი. გავიხსენე ყველა ჩემი ნაცნობი: თანასკოლელები, მასწავლებლები, ფრიდერიკეს ქმარიც – ჩემს მეხსიერებას სხვაგვარად შემორჩენილი, ვიდრე უკანასკნელი შეხვედრისას – გამომეტყველება – რბილი, ოდნავ დაღლილი, ისეთი, სკოლის შემდეგ, ჩვენ, ბავშვებს, გვერდზე ჩავლისას მეგობრულად რომ გვესალმებოდა, და ისიც, თუ როგორ იჯდა მაგიდასთან, ჩემსა და ფრიდერიკეს შორის; როგორიც დამინახავს ადრე ფანჯრიდან: ბაღში, მწვანედ მბზინავ მაგიდასთან, ჩვენი საშინაო დავალებების გასწორებისას. და გამახსენდა ფრიდერიკეს გამოჩენა, სწორედ იქ, ფინჯანი ყავით ხელში, ჩემკენ გამოხედვა ღიმილიანი, მზერა, რომლის შინაარსსაც მაშინ ვერ მივხვდი ... , იმ უკანასკნელ წუთამდე. ეს ყველაფერი ხშირად მახსენდებოდა, მაგრამ არა როგორც რაღაც ცოცხალი, უფრო სურათი, წყნარი, უშფოთველი, თავისთვის კედელზე რომ კიდია.

დღეს ვისხედით სანაპიროზე, ვლაპარაკობდით – როგორც უცხონი. პატარა სილაში თამაშობდა. უხერხულობა გამქრალიყო: ვსაუბრობდით მსუბუქად, როგორც საკურორტო ცხოვრების კაპრიზით მცირე ხნით ერთად შეყრილი ადამიანები – ამინდზე, ადგილზე, ადამიანებზე, მუსიკასა და ორიოდე ახალ წიგნზეც. მასთან ახლოს ყოფნა არ მეხამუშებოდა, პირიქით, თითქოს სიამოვნებასაც მგვრიდა: როდესაც ადგა და წავიდა, ეს მძიმე, აუტანელი მომეჩვენა. მსურდა მეყვირა: ნუ მიმატოვებ, დამიტოვე რაღაც, თუნდაც სულ მცირე; მაგრამ ის ამას ვერ გაიგებდა. ოღონდ – როდესაც დავფიქრდი – რისი მოლოდინი უნდა მქონოდა? ჩვენი პირველი შეხვედრისას მისი ქცევა, მეგო-

ბრული, ურთიერთობის მოსურნე, ცხადია, მხოლოდ მოულოდნელი შეხვედრის დაბნეულობით იყო გამოწვეული; ან იმ სიხარულით, უცხო ადგილზე ძველი ნაცნობის აღმოჩენას რომ ახლავს. ახლა მას, რა თქმა უნდა, საკმარისი დრო ჰქონდა ყველაფრის გასახსენებლად – ისევე როგორც მე – ჩვენ შორის ძლევამოსილად აღმართულიყო თითქოს რა ხანია დავიწყებას მიცემული წარსული. განა შემეძლო მცოდნოდა, თუ რა შეიძლებოდა გადაეტანა ჩემ გამო ან, თუნდაც, რა იყო მისი ახლანდელი მდგომარეობის საფასური? ცხადია, ახლაც ერთად იყვნენ, ოთხი წლის ბავშვი იყო მათი შერიგების დასტური, მაგრამ არსებობს შერიგება პატიების და პატიება დავიწყების გარეშე. აქედან უნდა წავსულიყავი, ორივესთვის ეს საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა.

უჩვეულო, სევდიან მშვენიერებაში წარმომიდგება მთელი ის წელი და ცოცხლდება ხელახლა ჩემში ყველაფერი, მომხდარი თუ განცდილი. ვიხსენებ შემოდგომის დილას, როდესაც მამასთან ერთად ჩავედი პატარა ქალაქში, სადაც უნდა გამეტარებინა საგიმნაზიო სწავლების ბოლო წელი. ცხადად ვხედავ მაღალი ხეებით გარშემორტყმულ სკოლის შენობას პარკის შუაგულში. ვიხსენებ მეცადინეობის მშვიდ, წყნარ საათებს, დიდ, მშვენიერ ოთახში, მაგიდასთან გამართულ მეგობრულ საუბრებს ჩემი მომავლის შესახებ, რომლის განჭვრეტას პროფესორთან ერთად ასე გულმოდგინედ ვცდილობდი. იქვეა მოღიმარი ფრიდერიკე, დაინტერესებული მსმენელი. მახსენდება თანაკლასელებთან ერთად სეირნობა შარაგზაზე, უახლოეს სოფლამდე; და მეუფლება ყოვლის მომცველი ამაოება, სიღრმისეული, მთელ ჩემს ყრმობას რომ გადაჰფენია. ეს ყველაფერი ალბათ დავიწყების ჩრდილის ბნელ სიღრმეებში დარჩებოდა, რომ არა იმ უკანასკნელი წუთების იდუმალი ბრწყინვალება. და ყველაზე უცნაური: მას შემდეგ, რაც ფრიდერიკე ასე ახლოსაა, თითქოს ახლოა ის დღეებიც – წლევანდელ ივნისში მესაათესთან ფროილაინ ჯენის ქორწინებით დასრულებული მაისის გატაცებაზე მეტად.

როდესაც ადრე დილით ფანჯრიდან დიდი ტერასისკენ გავიხედე, მას ბავშვთან ერთად მოვკარი თვალი. ისინი მაგიდასთან ისხდნენ – პირველი მოსაუზმეები. მაგიდა უშუალოდ ჩემს ფანჯარას უყურებდა და დილა მშვიდობისა ვუსურვე. მათ ამომხედეს. „ასე ადრე გაიღვიძეთ?“ თქვა მან. „ხომ არ შემოგვიერთდებოდით?“

მალე მათ გვერდით ვიჯექი. იყო საოცარი დილა, გრილი, მზიანი, ხალისიანი. ვმასლაათობდით უმნიშვნელო თემებზე – წინა შეხვედრისგან განსხვავებით – თუმცა, სინამდვილეში, ყველაფერი იყო სხვაგვარად, სიტყვის მიღმა იმ დროის მოგონებათა მხურვალება იგრძნობოდა. წავედით ტყეში. ის საუბრობდა თავის თავზე, მშობლიურ სახლზე:

„ჩვენთან ყველაფერი უწინდებურადაა, მხოლოდ ბაღი დამშვენდა უფრო; ბავშვის შეძენის შემდეგ ჩემი მეუღლე მას დიდ ყურადღებას უთმობს. მომავალ წელს გვექნება სათბურიც.“

მან გააგრძელა: უკვე ორი წელია ქალაქში გაჩნდა თეატრი, მთელი ზამთარი, ბზობამდე, იდგმება სპექტაკლები. კვირაში ორჯერ-სამჯერ დავდივარ, უფრო დედასთან ერთად, და ეს დიდ სიამოვნებას მანიჭებს.“

„მეც თეატრი!“ გაუხარდა ბავშვს, რომელიც ფრიდერიკეს ხელჩაკიდებული მოჰყავდა.

„რა თქმა უნდა, შენც. კვირაობით, ნაშუადღევს“, და ის განმარტებისთვის შემოტრიალდა, „ხნადახან დგამენ საბავშვო პიესებსაც; მივდივარ იქ ბავშვთან ერთად და ორივე ვერთობით.“

მეც უნდა მომეყოლა რაღაც. არაფერს მეკითხებოდა ჩემი პროფესიიის თაობაზე და არც სხვა სერიოზულ საქმეებზე; აინტერესებდა, თუ როგორ ვატარებდი დროს, სიამოვნებით ისმენდა ამბებს დიდი ქალაქის საზოგადოებრივ გართობათა შესახებ.

ამ ჩვეულ კალაპოტში იკვალავდა ხალისიანად გზას საუბარი; არაფერი თქმულა საერთო მოგონებებზე – და მაინც, რჩებოდა ის მისთვის ისეთივე უწყვეტი, ცოცხალი და წარსულისგან გაუმიჯნავი, როგორც ჩემთვის. საათობით ვსეირნობდით და ვიყავი თითქმის ბედნიერი. ხანდახან ჩვენ შორის აღმოჩნდებოდა პატარა და ჩვენი ხელები ერთმანეთს მის კულულებზე ხვდებოდნენ. მაგრამ არ ვიმჩნევდით, ვსაუბრობდით განყენებულ თემებზე. აი, კვლავ მარტო ვარ და მიმატოვა ხალისიანმა განწყობამ, რადგან უცბად გავაცნობიერე, რომ არაფერი ვიცოდი ფრიდერიკეზე. მიკვირდა, მასთან ურთიერთობისას რატომ არ მაწუხებდა ეს გაუგებრობა; უჩვეულოდ მეჩვენებოდა ისიც, რომ არც ფრიდერიკეს მოუნდომებია ამაზე საუბარი, რადგან, რომც დამეშვა, რომ წლების მანძილზე ცოლ-ქმარს შორის არაფერი თქმულა იმ, ჩვენი განშორების წუთებზე – მას მაინც ხომ უნდა ხსომებოდა. ცხადია, ჩემს უსიტყვოდ გამგზავრებას რაღაც სერიოზული უნდა მოჰყოლოდა – და როგორ ახერხებდა ამაზე დუმილს? შესაძლოა საუბრის დაწყებას ჩემგან ელოდა. რამ შემაჩერა? იმავე მორიდებამ, რამაც მას შეკითხვა გადააფიქრებინა? ძველ იარებზე შეხების შიშმა? – შესაძლოა. მაგრამ ეს უნდა მოხდეს; რადგან ჩვენ შორის კვლავაც რჩება რაღაც, რაც გვაშორებს. და ის, რომ რაღაც გვაშორებს, ყველაზე მეტად მტანჯავს.

ნაშუადღევს ტყეში ვიხეტიალე, ჩვეულ ბილიკებზე. ისევ მომეძალა მონატრება სატრფოსი, უსასრულოდ ძვირფასისა და შორის. გვიან საღამოს მათ სახლს ჩავუარე, მას შემდეგ, რაც ამაოდ ვეძებე

ყველგან. ის ფანჯარასთან იდგა. შევძახე, როგორც მან შემომძახა დილით: „არ ჩამოხვალთ?"

პასუხი, როგორც მომეჩვენა, იყო ცივი: „ძალიან დავიღალე, ძილი ნებისა" და ფანჯარა დახურა.

ჩემს ხსოვნაში ფრიდერიკე ორი, განსხვავებული სახით არსებობს. უმეტესად, როგორც ფერმკრთალი, რბილი, ხავერდოვანი არსება, დილის თეთრ ტანსაცმელში, ბაღში მჯდომარე, ნაზად მისვამს ხელს ლოყაზე, მზრუნველ დედასავით ალერსიანი. და ზუსტად ასეთს რომ შევხვედროდი, ჩემს სიმშვიდეს ვერაფერი დაარღვევდა და ვიწვებოდი ნაშუადღევს წიფლების ჩრდილში, როგორც აქ ყოფნის პირველ დღეებში.

თუმცა სხვანაირიც წარმომიდგება, ისეთი, როგორიც მახსოვს ჩვენი განშორების ჟამს, სანამ პატარა ქალაქს დავტოვებდი.

იყო სიმწიფის ატესტატის აღების დღე. როგორც ყველა სხვა დღე, ესეც ჩემს პროფესორთან და მის მეუღლესთან ერთად შუადღის სუფრასთან გავატარე და, რადგან არ მინდოდა, რომ მათ სადგურზე გავეცილებინე, ადგომისთანვე დავემშვიდობე. მშვიდად ვიყავი. მხოლოდ ჩემს დაცარიელებულ ოთახს შევავლე თვალი, შეკრულ ჩემოდანს, გავიხედე გარეთ, ფართოდ გაღებულ ფანჯარაში და მზერა პატარა ბაღის ფოთლების ნატიფი სიმწვანის მიღმა ბორცვების თავზე შეჯგუფებულ თეთრ ღრუბლებზე შევაჩერე. მესტუმრა – მალულად და პირმოთნედ – დამშვიდობების სევდა, მოიცვა მთელი ჩემი არსება. უეცრად კარი გაიღო და შემოვიდა ფრიდერიკე. სწრაფად წამოვდექი. მომიახლოვდა, შეჩერდა, მაგიდისკენ ზურგით მდგომი ხელისგულებით მის კიდეს მიეყრდნო და ჩაფიქრებულმა შემომხედა. ჩუმად წარმოთქვა: მაშ დღეს? მხოლოდ თავი დავუქნიე და პირველად გავაცნობიერე, თუ რა სევდისმომგვრელი იყო ქალაქის დატოვება. ის იდგა თავდახრილი, მდუმარე. შემდეგ ასწია თავი, მომიახლოვდა. ხელები თავზე დამაწყო – მსუბუქად, მხოლოდ თმას ეხებოდა – როგორც ადრეც არაერთხელ, თუმცა ვხვდებოდი, რომ ეს რაღაც სხვას ნიშნავდა. შემდეგ დაუყვა ნელა, შეჩერდა ლოყებზე და მომაპყრო თითქოს უსასრულო სინაზის სამყაროდან მომავალი მზერა. სევდამორეულმა გააქნია თავი, რაღაცის, მისთვის გაუგებრის ახსნის ამაო ცდაში. მაშ, დღეს? გაიმეორა ჩუმად. „კი", ვუპასუხე. „სამუდამოდ?" აღმოხდა. „არა", ვუთხარი. „ო, კი", თქვა მან, ტუჩები უთრთოდა, „ეს განშორებაა, და სამუდამო. ალბათ, ჩამოხვალ ოდესმე ... ორი ან სამი წლის შემდეგ – დღეს კი გვტოვებ სამუდამოდ", წარმოთქვა მძაფრი სინაზით, აღარაფერი რომ ჰქონდა საერთო დედობრივთან, და უეცრად მაკოცა. თავდაპირველად გამიელვა: ეს არასოდეს გაუკეთებია. მაგრამ მას შემდეგ, მისი ტუჩები ჩემსას აღარ

მოსცილებია, მივხვდი, რომ ეს რაღაც სხვა იყო, განსხვავებული იმისგან, რაც ყველაზე თამამ ოცნებებში შეიძლება წარმომედგინა. დაბნეულსა და ბედნიერს ცრემლები მომადგა. მან კისერზე ხელი შემომხვია, მე ჩავიკეცე, თითქოს მის ნებას დავყევი და დივანის კუთხეში ჩამოვჯექი; ფრედერიკემ ჩემ წინ, ფეხებთან დაიჩოქა, იატაკს დაეყრდნო და ჩემი ტუჩები დაბლა, თავისი ბაგეებისკენ მიიზიდა. შემდეგ სახე ჩემს ხელებში დამალა, თითქოს თავი მათ შეაფარა. ვჩურჩულებდი მის სახელს, ბგერებისა და მათი თანამიმდევრობის ჟღერადობის სილამაზით მონუსხული. ხარბად დავეწაფე მისი თმის სურნელს ... სწორედ ამ დროს გაიღო ჩუმად მსუბუქად მიხურული კარი – ჩვენ წინ იდგა ფრიდერიკეს ქმარი. შიშისგან, სირცხვილისგან შეძრწუნებული გავხევდი, მინდოდა ყვირილი, მაგრამ ხმა არ მემორჩილებოდა. თვალს ვერ ვაცილებდი – მაინც ვერ მოვასწარი შემჩნევა, შეეცვალა თუ არა სახე, რადგან წამში იქ აღარ იყო, გაქრა. კარი მიიხურა. მინდოდა ადგომა, ხელების გათავისუფლება, ქალის სახისგან მათი მოცილება, მინდოდა რაღაცის თქმა – ძლივს ამოვთქვი მისი სახელი. ამ დროს უეცრად წამოხტა გაფითრებული და თითქმის მბრძანებლური ჩურჩულით მომმართა: „ჩუმად!“ წამით იდგა გაუნძრევლად, სახით კარისკენ, თითქოს რაღაცის მიყურადებას ცდილობდა. სუნთქვა წამერთვა. შემდეგ გააღო კარი, მომკიდა ხელი და ჩამჩურჩულა: „წადი, სწრაფად“, და ხელი მკრა. „წადი!“ ფრთხილად, მაგრამ სწრაფად გავიარე დერეფანი, კიბემდე მივაღწიე და შემოვბრუნდი – ფრიდერიკე კართან იდგა, და თვალებში მის არსებაში ღრმად ჩაბუდებული შიში ამოვიკითხე. ის, მთრთოლვარე, მიყვიროდა: შორს! შორს! და მეც გავიქეცი.

ახლა კი მომხდარს აბსურდულ სიზმრად ვიხსენებ. თავზარდაცემული რკინიგზის სადგურისკენ მივიჩქაროდი. მთელი ღამე ვიმგზავრე, კუპეში თვალი არ მომიხუჭავს, ლოგინში მოუსვენრად ვტრიალებდი. სახლში მისვლისას ველოდი, რომ მშობლები, რომლებსაც უკვე ყველაფერი ეცოდინებოდათ, გამკიცხავდნენ, და გულთბილი მიღებით გაკვირვებული დავრჩი. მთელი დღეები უკიდურესად აღგზნებული ვიყავი, რაღაც საზარელის მოლოდინში; ვკრთებოდი კარზე ზარის ყოველ დარეკვაზე, ყოველ მოსულ წერილზე. ბოლოს ისიც მოვიდა და დამამშვიდა: ეს იყო სკოლის ამხანაგის ბარათი, იმ პატარა ქალაქის ბინადარის, ის უწყინარ ამბებს მატყობინებდა და მხიარულ მოკითხვას მითვლიდა – საშინელი არაფერი მომხდარა, ყოველ შემთხვევაში გახმაურებულ სკანდალამდე საქმე არ მისულა.

მიუხედავად ამისა, ეს შემთხვევა სევდიან მოგონებად, პირქუშ თავგადასავლად რჩებოდა, და თავი იმ არსებად მეჩვენებოდა, რომელმაც ნაცნობ ოჯახს სრულიად დაუმსახურებლად მოუსპო

მყუდროება. ეს გრძნობა, ჩემში ღრმად გამჯდარი, თანდათან გაქრა და უკვე შემდეგ, როდესაც ახალი გამოცდილებით გამდიდრებულმა შევძელი ამ საბედისწერო წუთების უკეთ, ღრმად გააზრება, მეწვეოდა ხოლმე საოცნებო დანაპირების შეუსრულებლობით გამოწვეული ფრიდერიკეს მონატრების უჩვეულო სევდა, მისი ასრულების სიახლოვით გამძაფრებული. მაგრამ ამ სევდამაც გამიარა – იპოვა თავისი გზა და ახალგაზრდა ქალი თითქმის დამავიწყდა. და, აი, კვლავ გაცოცხლდა ყველაფერი, ის, რამაც მომხდარი საბედისწერო შემთხვევად აქცია; ოღონდ უფრო მტკივნეულია, მძაფრია ახლა ყველაფერი, რადგან ვიცი, რომ მიყვარს ფრიდერიკე.

დღეს ცხადი გახდა ის, რაც უკანასკნელ დღეებში იდუმალი, აუხსნელი რჩებოდა. გვიან საღამოს ვისხედით სანაპიროზე ჩვენ ორნი; პატარა უკვე ლოგინში იწვა. ვთხოვე დილით მოსვლა; მე – სრულიად უცოდველი და წარსული ვნებებისგან თავისუფალი – ვლაპარაკობდი ღამის მშვენიერებაზე და იმაზე, თუ რა კარგი იქნებოდა ვყოფილიყავით ნაპირზე, სრულ სიჩუმეში, დიად წყვდიადში, რათა შორეთისთვის მიგვეპყრო მშვიდად მზერა. არაფერი მიპასუხა, მაგრამ ვიცოდი, მოვიდოდა. და აი, ვსხედვართ ახლა ზღვის ნაპირზე, ხელიხელჩაკიდებული, თითქმის არ ვლაპარაკობთ და მჯერა, ჩემი გახდება, როცა კი მოვისურვებ. ვფიქრობდი, რა საჭიროა წარსულზე საუბარი, და იმასაც, რომ ჩვენი პირველი შეხვედრიდან დღემდე ასევე ფიქრობდა ისიც. განა იგივენი ვართ, რაც ადრე ვიყავით? ახლა, როდესაც ასე მსუბუქად, თავისუფლად ვგრძნობთ თავს, მოგონებები დაგვფარფატებენ, ვით შორეული ფრინველები ზაფხულის ცაში. შესაძლოა მანაც განიცადა, ჩემსავით, ამ შვიდი წლის განმავლობაში რაღაც ახალი; მაგრამ რა? დღეს, ახალ რეალობას შეზრდილებს, დღევანდელობის შვილებს, თავისუფალ, თამამ არსებებს, ახლა ურთიერთლტოლვა გვაერთიანებს. გუშინ, შესაძლოა, ის უბედური ან ქარაფშუტა იყო; დღეს კი ზის ჩემ გვერდით, ზღვის პირას, მდუმარე, ჩაუჭიდებია ხელი და ჩემს მკლავებში ცდილობს ბედნიერების და სიმშვიდის პოვნას.

ნელა მივაცილებდი სახლისკენ მიმავალ მოკლე გზაზე. ქუჩის გაყოლებაზე ხეებს გრძელი, შავი ჩრდილების ორეულები ამოსდგომოდნენ.

„მოდი, ადრე დილით აფრიანი ნავით გავისეირნოთ“, ვუთხარი.

„კარგი“, მიპასუხა.

„ხიდთან დაგელოდები, შვიდ საათზე.“

„საით?“ იკითხა მან.

„კუნძულისკენ, იქით ... , სადაც შუქურა დგას, ხედავთ?“

„ო, კი, წითელ სინათლეს. შორსაა?“

„ერთი საათის გზაა; ძალიან მალე დავბრუნდებით."

„ძილი ნებისა", დამემშვიდობა და სახლში შევიდა.

მე ჩემი გზით წავედი. ორიოდე დღეში ალბათ კვლავ დამივიწყებ, მაგრამ ხვალ მშვენიერი დღე მელის.

ხიდთან, სადაც პატარა ნავი იცდიდა, მასზე ადრე მივედი. მოხუც იანსენს აფრები გაეშალა და საჭესთან მოკალათებული ჩიბუხს აბოლებდა. მე ჩავხტი ნავში და ტალღების თამაშს მივენდე. მოლოდინის წუთებს ვყლაპავდი ხარბად, როგორც მონატრებულ დილის სასმელს. ქუჩას მივაპყრე მზერა – ცარიელი ჩანდა. თხუთმეტი წუთის შემდეგ ისიც გამოჩნდა. შორიდანვე დავინახე, მომეჩვენა, რომ ჩქარობდა; როდესაც ხიდზე შემოდგა ფეხი, წამოვდექი; მხოლოდ ახლა დამინახა და ღიმილით მომესალმა, ხიდი გამოიარა და მოახლოებულს ხელი გავუწოდე, რათა ნავში ჩამოსვლაში დავხმარებოდი. იანსენმა ახსნა ბაგირი და ზღვაში გავედით. ერთმანეთთან ახლოს ვისხედით; ის ხელზე მეყრდნობოდა. ეცვა თეთრი ტანსაცმელი და იყო ხალასი, ქორფა, როგორც თვრამეტი წლის გოგონა.

„რა არის საინტერესო ამ კუნძულზე?" იკითხა მან.

გამეღიმა.

ის წამოწითლდა და თქვა: „შუქურა მაინც, ალბათ?"

„შესაძლოა ეკლესიაც", დავამატე.

„ამ კაცს მაინც ჰკითხეთ" ... და იანსენზე მიმითითა.

მეც ვკითხე: „როდინდელია იქაური ეკლესია?"

მაგრამ მას გერმანული არ ესმოდა; და ამ ცდის შემდეგ უფრო მარტო ვიგრძენი თავი.

„იქაც კუნძულია?" იკითხა მან და თვალებით შორს მიმითითა.

„არა", ვუპასუხე, „ეს შვედეთია, ხმელეთი".

„სადაც, ალბათ, უფრო ლამაზი იქნებოდა ", თქვა მან.

„კი"... და მაშინ დავრჩებოდით იქ ... დიდი ხნით ... სამუდამოდ."

რომ ეთქვა: მოდი, წავიდეთ სხვა ქვეყანაში, ნულარ დავბრუნდებითო, მზად ვიყავი. და ჩვენი ნავით სეირნობა, ზღვის გრილი ჰაერის ქროლვა, ნათელი ცა თავზე და ირგვლივ მოლივლივე წყლის უთვალავი ბრჭყვიალა ანარეკლი – ეს ყველაფერი ყოველდღიურ ყოფას სრულიად გამიჯნული სამეფო წყვილის საზეიმო მსვლელობად მეჩვენებოდა.

მალე გავარჩიეთ კუნძულზე პატარა სახლები, ბორცვზე თეთრი ეკლესია – თანდათან რომ მაღლდებოდა და კუნძულის მთელ სივრცეს ეუფლებოდა – ახლა მკაფიო, მკვეთრი კონტურებით წარმოდგა ჩვენ წინაშე. დროდადრო ჩნდებოდნენ მეთევზეთა ნავები; ზოგიერთი, ნიჩბებაკეცილი, თავისუფლად მოქანავე და ბედს მინდობილი, მორჩილად მიჰყვებოდა დინებას. ფრიდერიკეს მზერა უფრო

კუნძულისკენ ჰქონდა მიპყრობილი, მაგრამ მას არ უყურებდა. ერთი საათიც არ იყო გასული, და ხის ხიდებით გარშემორტყმულ ნავსაყუდელს, უფრო კი პატარა ტბორს მივადექით.

ხიდზე ორიოდე ბიჭს მოვკარით თვალი. ნავიდან გადმოვედით და გზას ნაპირის გასწვრივ გავუდექით; ბავშვები ერთხანს მოგვყვებოდნენ, მაგრამ მალე ჩამოგვრჩნენ და თვალს მიეფარნენ. ჩვენ წინ სოფლის – სივრცეში გაფანტული სულ ოციოდე სახლის ხედი გადაიშალა. სიარული გვიჭირდა, რადგან ვეფლობოდით ზღვის მიერ ასე უხვად მოგროვებულ სილაში. მზიან ადგილზე, თითქმის ზღვამდე რომ აღწევდა, ბადეებს აშრობდნენ, ნაწილს კი აკერებდნენ სახლის ზღურბლზე მოკალათებული ქალები. ასი ნაბიჯის შემდეგ დავრჩით სრულიად მარტო, სოფლისგან შორს, კუნძულის ნაპირის კიდისკენ მიმავალ ვიწრო გზაზე, სადაც შუქურა აღმართულიყო. ჩვენგან მარცხნივ, ხნულის მიღმა, რომელიც სულ უფრო ვიწროვდებოდა, კვლავ ზღვა იწყებოდა; მარჯვნივ – ბორცვი, რომლის თხემზეც ზურგს უკან მოქცეული ეკლესიისკენ მიმავალი გზის ხვეულები მოჩანდა. ყველაფერზე კი ძლევამოსილად აღმართულიყო მზე და მდუმარება. – არაფერზე ვსაუბრობდით და არც სურვილი გვქონდა ამის; ისედაც ბედნიერი ვიყავი მასთან ერთად სეირნობით ამ დიდი სიჩუმის სამყაროში.

მაგრამ მან წამოიწყო.

„რვა დღით ადრე", თქვა მან ...

„და?"

„არ ვიცოდი ... წარმოდგენა არ მქონდა, სად გავემგზავრებოდი".

მე ვდუმდი.

„ო, რა კარგია აქ". და ექსტაზში მყოფმა ხელი მომკიდა.

ძალას იკრებდა ლტოლვა; შემოვხვევედი ხელებს და ვაკოცებდი.

„მართლა", ვკითხე ჩუმად.

ის დუმდა; თითქოს უფრო სერიოზული გახდა.

თითქმის მივედით შუქურას მიკრულ პატარა სახლამდე; აქ მთავრდებოდა გზა, უნდა მოვბრუნებულიყავით. სოფლის შარაგზა ბორცვზე მკვეთრად ეშვებოდა. ვყოყმანობდი.

„წავიდეთ", თქვა მან.

ახლა, როდესაც გზას დავადექით, ეკლესია გამუდმებით ჩვენს თვალსაწიერზე რჩებოდა. მას თანდათან ვუახლოვდებოდით. ცხელოდა. ციცაბოზე რომ არ დაცურებულიყო, ის ახლოს უნდა ყოფილიყო, ფრიდერიკეს კისერზე მკლავი მოვხვიე. ამ სიახლოვეში მძაფრად შევიგრძნობდი მისი ლოყის მხურვალებას.

„რატომ არაფერი ვიცოდით თქვენ შესახებ მთელი ამ ხნის განმავლობაში?" იკითხა უეცრად, „მე, ყოველ შემთხვევაში", დაამატა და შემომხედა.

„რატომ“, გავიმეორე, თითქოს მეუცხოვა.

„ჰო, რატომ?“

„მაგრამ როგორ?“

„ო, ალბათ, ამის გამო,“ თქვა მან. „შეურაცხყოფილი იყავით?“

გაოგნებული, აზრებს თავს ვეღარ ვუყრიდი.

„იმით, რაც მე ... – “

„დიახ, თქვით... თუ ვეღარ იხსენებთ?“

„არა, ყველაფერი მახსოვს. რატომ ლაპარაკობთ ახლა ამაზე?“

„დიდი ხანია მინდოდა მეკითხა“, თქვა მან.

„თქვით“, ვუთხარი, ძლივსღა ვუმკლავდებოდი მღელვარებას.

„თქვენ ეს, ალბათ, კაპრიზად მოგეჩვენათ... რა თქმა უნდა!“ დაამატა სწრაფად, როდესაც შეამჩნია, რომ რაღაცის თქმას ვაპირებდი, „მაგრამ, დამიჯერეთ, ეს არ იყო კაპრიზი. იმ წელს მე უფრო მეტად დავიტანჯე, ვიდრე ვინმე შეძლებს ამის წარმოდგენას.“

„რომელ წელს?“

„ნუ ..., როდესაც ჩვენთან ... რატომ მეკითხებით? – თავიდან ... თუმცა, რატომ გიყვებით ამას?“

აღელვებულმა ხელი ღონივრად ჩავკიდე. „მომიყევით გემუდარებით ..., მე ხომ მიყვარდით.“

„მეც, მეც“, აღმოხდა მას, აიღო ჩემი ხელები და დაუწყო კოცნა: „ყოველთვის, ყოველთვის.“

„გთხოვ, მომიყევი“, ვუთხარი, „ყველაფერი, ყველაფერი... “

ის ლაპარაკობდა, ნელა მივუყვებოდით მზიან შარაგზას.

„თავიდან ვფიქრობდი: ის ბავშვია ..., ჩემი სიმპათია მშობლისაა, დედის. მაგრამ, რაც უფრო ახლოვდებოდა შენი გამგზავრების წუთები... “

ერთხანს დადუმდა და განაგრძო:

„ბოლო“, დადგა განშორების ჟამი. არ მინდოდა შენთან ამოსვლა – არ ვიცი, რამ მაიძულა. მაღლა ყოფნისას არც შენი კოცნა მინდოდა, მაგრამ... “

„გააგრძელე, გააგრძელე“, ვუთხარი.

„და უცებ გითხარი, რომ უნდა წასულიყავი – ალბათ იფიქრე, რომ ეს ყველაფერი უფრო კომედიას ჰგავდა, არა?“

„არ მესმის შენი.“

„მთელი ეს ხანი ამაზე ვფიქრობდი. წერილის მოწერაც კი მინდოდა ... მაგრამ რატომ? ... მაშ ... მიზეზი იმისა, რატომაც მოგიშორე, იყო ... უეცრად რაღაცის შემეშინდა.“

„ვიცი.“

„თუ ასეა, რატომ არაფერი მითხარი?“ იყვირა აღელვებულმა.

„რის შეგეშინდა?“ ვკითხე, თანდათან ყველაფერს ვხვდებოდი.

„რადგან მომეჩვენა, რომ ახლოს იყო ვიღაც.“

„ასე ფიქრობ?“

„დერეფანში თითქოს ნაბიჯების ხმა მომესმა. აი, ამიტომ. ნაბიჯები! ვფიქრობდი, რომ ის იყო ... და შიშმა ამიტანა – რადგან, საშინელება იქნებოდა, თუ ის... ოჰ, ამაზე ფიქრიც არ მინდა. – მაგრამ ირგვლივ არავინ იყო, არავინ. მხოლოდ გვიან საღამოს დაბრუნდა სახლში, შენ უკვე დიდი ხნის წასული იყავი.“

როცა ამას ყვებოდა, ვიგრძენი, ჩემში რაღაც გაქვავდა, გახევდა. დაამთავრა თუ არა, მინდოდა მეკითხა: ვინ ხარ? მივბრუნდი ნავსაყუდლისკენ და თვალში მომხვდა ბრწყინვალე, თეთრი ლაქა – ჩვენი ნავის იალქანი, და ვფიქრობდი: რა ხანი, რა უსასრულოდ დიდი ხანი გასულა მას შემდეგ, რაც ამ კუნძულზე აღმოვჩნდით. რადგან აქ ფეხი იმ ქალთან ერთად დავადგი, რომელიც მიყვარდა, და ახლა გვერდზე უცხო არსება მომყვებოდა. მიჭირდა ლაპარაკი, საუბარს ველარ ვაგრძელებდი. მან ეს ვერც კი შეამჩნია; და ჩემს ხელებზე დაყრდნობილმა, ალბათ ტაქტიან დუმილად ჩათვალა. მე კი ქმარზე ვფიქრობდი. არაფერი უთქვამს! დღესაც არ იცის, რომ მან ის ჩემს ფეხებთან დაჩოქილი იხილა. ის კარიდან მოტრიალდა, ჩუმად გაგვეცალა და მხოლოდ გვიან ..., რამდენიმე საათის შემდეგ დაბრუნდა და არაფერი უთხრა! ცხოვრობდა მასთან წლების მანძილზე ისე, რომ ამ საიდუმლოზე სიტყვაც არ დასცდენია! შეუნდო, და მან არც კი იცის ეს!

ეკლესიას მივუახლოვდით; ათიოდე ნაბიჯი თუ გვაშორებდა. აქ უხვევდა გზა, რომელიც რამდენიმე წუთში სოფელში მიგვიყვანდა. მე სოფლისკენ გავწიე. ის მომყვა.

„მომეცი ხელი“, მთხოვა, „მეშინია არ დავცურდე.“ ხელი ისე გავუწოდე მისკენ არც კი გამიხედავს. „რა დაგემართა?“ მკითხა მან. ლაპარაკი არ მინდოდა და მხოლოდ ენერგიულად ჩავჭიდე ხელი, რამაც თითქოს დაამშვიდა. შემდეგ, დუმილი რომ მეტისმეტად თვალშისაცემი არ ყოფილიყო, ვთქვი: „სამწუხაროა, ეკლესიის დათვალიერებაც შეგვეძლო.“

– გაეცინა: „ჩვენ მას უკვე გავცდით და ვერც შევამჩნიეთ!“

„დავბრუნდეთ?“ ვკითხე.

„ო, არა, მიხარია, რომ მალე ნავში ვიქნებით. ერთხელაც სიამოვნებით გავისეირნებდი აფრიანი ნავით შენთან ერთად, ამ კაცის გარეშე.“

„აფროსნობის არაფერი მესმის.“

„ოჰ“, თქვა მან და გაჩერდა, თითქოს რაღაც ისეთი გაახსენდა, რის თქმაც არ სურდა. მეც აღარ მიკითხავს. ცოტა ხანში ხიდზე ვიყავით. ნავი მზად იყო. ბავშვებიც იქ დაგვხვდნენ, მოგვესალმნენ, გვაკვირდებოდნენ დიდი, ცისფერი თვალები. უკან გავცურეთ. ზღვა

იყო უფრო მშვიდი, თვალდახუჭული თითქმის ვეღარ ამჩნევდი ნავის მოძრაობას.

„დაწექი ჩემს ფეხებთან“, მითხრა ფრიდერიკემ და მე ნავის ფსკერზე გავიშოტე, თავი მის თეძოებს მივაყრდენი. კმაყოფილი ვიყავი, რომ მისთვის სახეში არ უნდა მეცქირა. ის ლაპარაკობდა და მეჩვენებოდა, რომ ხმა სადღაც შორიდან მოდიოდა. მართალია, ის გამუდმებით ჩამესმოდა, მაინც შემეძლო ჩემს ფიქრებს ჩავლრმავებოდი.

მასთან ყოფნა მზარავდა.

„დღეს საღამოს ერთად გავალთ ზღვაში“, თქვა მან.

მის ირგვლივ რაღაც აჩრდილისეული ამოძრავდა.

„დღეს საღამოს ზღვაზე“, გაიმეორა მან ჩუმად, „ნიჩბებიანი ნავით. ნიჩბის მოსმა ხომ შეგიძლია?“

„კი“, ვუპასუხე. შემაძრწუნებელი იყო იმ შენდობის შეგრძნება, მდუმარედ, უხილავად რომ შემოხვეოდა, ისე რომ ამ ყველაფრის შესახებ არაფერი იცოდა.

ის არ ჩერდებოდა – „ჩვენ მივენდობით ტალღებს, ისინი გაგვიყვანენ შორს, სიმარტოვეში. – რატომ არაფერს ამბობ?“ მკითხა მან.

„ბედნიერი ვარ“, ვუპასუხე.

ვთრთოდი მისი მდუმარე ბედისწერის, გაუცნობიერებელი ხვედრის წინაშე.

ნავი ნაპირს უახლოვდებოდა.

წამით გამიელვა: უთხარი, იხსენი ამ საზარელი ტვირთისგან! და იქცევა ჩვეულებრივ ქალად, როგორც სხვები, და შეგეძლება კვლავ ეთაყვანო. მაგრამ ეს ჩემს ძალებს აღემატებოდა. ნაპირს მივადექით.

ნავიდან გადმოვხტი, გადმოსვლაში მივეხმარე.

„ბავშვს მოვენატრებოდი. უნდა ვიჩქარო. ახლა მარტო დამტოვე.“

სანაპიროზე ხალხი ირეოდა; შევამჩნიე, რომ ზოგიერთის ყურადღება მივიქციეთ.

„მაშ დღეს საღამოს“, მითხრა მან. „ცხრა საათისთვის ვიქნები სანაპიროზე, ვიქნები შენთან. ნახვამდის!“

და ჩქარა დამშორდა.

„ნახვამდის!“ ვთქვი და გავჩერდი. ის აღარ მინახავს.

ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, უკვე შორს ვარ – კოპენჰაგენიდან ერთი საათის წინ გასული მატარებელი ყოველ წამს მაშორებს მას; კუპეში ვარ. სწორედ ცხრა საათია. ალბათ დგას ის ახლა სანაპიროზე და მელის. თვალს ვხუჭავ, წარმოვიდგენ მის სახეს, მაგრამ არა ქალისას, ჩაფიქრებული, შეღამების ბინდში სანაპიროს რომ მიუყვება, არამედ უწონადს, აჩრდილისას, ვერაფერი რომ აჩერებს ვერც ჰაერში და ვერც მიწაზე – ფარფატებს, აიწევს მაღლა, კვლავ ეშვება და ისევ მაღლა მიემართება.

არტურ შნიცლერი

სამგზის გაფრთხილება

დილის გამჭვირვალე, მსუბუქ ნისლსა და ცის ლურჯი სარკიდან გადმოღვრილ სინათლეში მიდიოდა ჭაბუკი მთებისკენ, ახალგამოღვიძებული, ხალისიანი ციმციმით რომ ესალმებოდნენ – კეთილმოსურნეობის ნიშნად თითქოს შორიდან უკრავდნენ თვალს. გრძნობათა მოზღვავებაში სამყაროს დიდ მაჯისცემას შერწყმული მისი გული მასთან სრული თანხმობით ძგერდა. საათების განმავლობაში მიუყვებოდა ტრიალ მინდორში გაკვალულ გზას – ხალისიანად, მხნედ და უსაფრთხოდ, სანამ უეცრად, ტყის პირზე, არ შემოესმა ხმა, მომავალი არა ერთი, არამედ ყველა მხრიდან, ერთდროულად ახლო და შორი, შეუცნობი და იდუმალი: „ჭაბუკო, ერიდე ამ ტყეს, რათა არ შეიქნე მკვლელობის მიზეზი." დაბნეული იდგა ყმაწვილი, იყურებოდა ირგვლივ, და, რადგან ცოცხალ არსებას ვერსად მოჰკრა თვალი, მიხვდა, რომ იყო ეს სული. მაგრამ ამან მისი განზრახვა მხოლოდ განამტკიცა, რადგან არ აპირებდა ასეთი გაურკვეველი წარმომავლობის მოწოდებას დამორჩილებოდა. ნაბიჯი ოდნავ შეანელა და, კვლავინდებურად, მტკიცედ გააგრძელა სვლა, მხოლოდ შეგრძნებები გაამახვილა, უცნობი მტერი დროულად რომ დაენახა – საფრთხის იდუმალი წყარო. მალე დააღწია თავი შეჯგუფებული ხეების მკვრივ ჩრდილებს, გავიდა გაშლილ სივრცეში, მშვიდად, ისე, რომ გზად არავის შეხვედრია და არც ხმაურისთვის, თუნდაც ეჭვის აღმძვრელი შრიალისთვის, მოუკრავს ყური. როდესაც ბოლო ხის ფართოდ გაშლილი ტოტების ქვეშ შეისვენა, იქვე გადაშლილ მდელოს მოავლო თვალი, მზერა მაღლა აზიდულ მთებსა და მწვერვალზე შეაჩერა – მისი მოგზაურობის საბოლოო მიზანზე, ცის ფონზე აღმართული მისი მკაფიო კონტურები სხვებს ამაყად რომ გადმოჰყურებდა. ჭაბუკი

წამოდგა და კიდევ ერთხელ, უკვე მეორედ, გაისმა ხმა იდუმალი, უწინდებურად ახლოც და შორიც და ცოცხალ, მეტყველ რკალად შემოერტყა, ოღონდ შეგონება იყო უფრო მტკიცე და შთამბეჭდავი: „ჭაბუკო, არ შედგა ფეხი მდელოზე, რომ არ გახდე შენი სამშობლოს უბედურების მიზეზი." ეს გაფრთხილებაც უარყო ჭაბუკის სიამაყემ, მეტიც, ამ მაღალფარდოვან, მაგრამ უაზრო სიტყვებზე მას გაეღიმა, და წინ გაეშურა, შინაგანად გაორებული, გაურკვევლობით შეწუხებული, რადგან ვერ მიმხვდარიყო, რა აჩქარებდა მის ნაბიჯებს – მიზნის სწრაფი მიღწევის სურვილით გამოწვეული მოუთმენლობა, თუ დაბრკოლებების მოსალოდნელი სირთულით წარმოშობილი მღელვარება. და როდესაც კლდოვან ფერდს მიადგა, რომელზე ასვლაც ჰქონდა გადაწყვეტილი, დაბლობზე გაწოლილი ნესტიანი შეღამების ნისლი უკვე მსუბუქად მიიწევდა მაღლა. მაგრამ, დაადგა თუ არა ფეხი შიშველ კლდეს, კვლავ გაისმა და შემოერტყა ხმა – მკაფიო და იდუმალი, ახლო და შორი. ეს იყო მკაცრი გაფრთხილება: „შეჩერდი, გეშინოდეს სიკვდილის." ხმამაღალი სიცილი მოეფინა პასუხად მიდამოს და ჭაბუკმა გააგრძელა გზა მტკიცედ და აუჩქარებლად. რაც უფრო თავბრუდამხვევი ხდებოდა აღმავალი ბილიკის სიმაღლე, მით უფრო ლაღად, თავისუფლად სუნთქავდა მისი მკერდი, სანამ ბოლოს, ცას შეზრდილ მწვერვალზე შემდგარ ჭაბუკს სახეზე ჩამავალი მზის სინათლე არ შემოენთო და არ გააფერადა. „აქ ვარ!" აღმოხდა მას სიტყვები – კეთილი დასასრულის, ხსნისა და გამარჯვების მაუწყებელი. „თუ იყო ეს გამოცდა, სულო, კეთილო თუ ბოროტო, მე ის ჩავაბარე. ჩემს სულს არ ამძიმებს მკვლელობის ბოროტება, შორს, სიღრმეში თვლემს ჩემი საყვარელი სამშობლო, მთელი და უვნებელი; ცოცხალი ვარ მეც. და, ვინც უნდა იყო, ვარ შენზე ძლიერი, რადგან, როდესაც არ დაგიჯერე, მართალი ვიყავი."

და მოესმა ხმა, თითქოს მოაწყდა მიდამოს შორეული ფერდობებიდან თვით გრიგალი: „ცდები, ჭაბუკო!" – და დაანარცხა ამ სიტყვების გრგვინვამ მოგზაური მიწაზე.

განერთხა ის კლდის ვიწრო კიდეს, თითქოს იქ მოსვენება ჰქონოდა განზრახული. და გაიელვა მისი პირის კუთხეებში დამცინავმა ღიმილმა. მან ჩაილაპარაკა: „ნუთუ მკვლელი ვარ, თუნდაც უნებლიე, რომ ვერაფერი შევამჩნიე?"

აუწყა კვლავ გრგვინვით უცნობმა და საკუთარი მრისხანების ალყაში მოაქცია: „შენმა უყურადღებო ნაბიჯმა იმსხვერპლა ქალი."

გულგრილი იყო ყმაწვილის პასუხი: „მაშ, არა სული, კეთილი თუ ბოროტი, არამედ არსება, ოდენ ღიმილის მომგვრელი, ყოფილა ჩემი თანამოსაუბრე. არ ვიცოდი, თუ ჩვეულებრივ მოკვდავთა ირგვლივ ტრიალებენ ცაში ასეთნი."

და შეარყია გრუხუნმა შეღამების ბინდი, აწ სიმაღლეების სრული ბატონ-პატრონი. „ნუთუ, აღარ ხარ ის, ვინც დღეს დილით საკუთარ გულისცემას სამყაროს მაჯისცემასთან სრულ თანხმობაში აღიქვამდი, ისე, რომ ცალკეული არსებების სიცოცხლე არად გიღირდა და მათი სიხარულისა თუ წუხილის შესახებ შენს დაყრუებულ სულში ცნობა ვეღარ აღწევდა ვერავითარი?"

„აჰ, ამას გულისხმობდი?" უპასუხა შუბლშეჭმუხნილმა ყმაწვილმა: „მაშ შემიცოდავს ასგზის, ათასგზის, სხვა მოკვდავთ მსგავსად, რომელთა ნაბიჯს გამუდმებით ეწირება არსება პატარა, უთვალავი, უნებლიე მსხვერპლი უყურადღებობის."

„მაგრამ ამ ერთის გამო შენ გაგაფრთხილეს. და იცი რისთვის იყო მოწოდებული სწორედ ეს ჭია ჟამთასვლის, მოვლენათა თანამიმდევრობის, უსასრულო ქმნის ამ უწყვეტ ჯაჭვში?"

და თავდახრილმა უპასუხა ჭაბუკმა: „რადგან არ ვიცოდი და არც შემიძლია ვიცოდე, უნდა ვაღიარო სინანულით, რომ ტყეში მოგზაურობისას, ბევრ სხვა ცოდვასთან ერთად, შესაძლოა, ჩავიდინე ისიც, რისგანაც შენ ჩემს დაცვას ცდილობდი. მაგრამ მინდა ვიცოდე – როგორ შემეძლო უბედურების მოტანა სამშობლოსთვის მდელოზე გავლით."

„,ხედავ ამ ჭრელ პეპელას, შენგან მარჯვნივ მოფარფატეს?"

„მინახავს ბევრი და ისიც, ალბათ, შენ რომ გულისხმობ."

„გინახავს ბევრი! შენს ბაგეებს მოწყვეტილმა სუნთქვამ მათ გზა გაუმრუდა; ის კი, რომელსაც ვგულისხმობ, აღმოსავლეთისას გაუყენა, და იფარფატა მან ასე ერთხანს რამდენიმე მილის მანძილზე, სანამ არ მიადგა ოქროს გისოსებს, მეფის სასახლეს რომ შემორტყმია. და იშვება მომავალში ამ პეპლისგან ჭუპრი, რომელიც ერთი წლის შემდეგ, უკვე მუხლუხოდ ქცეული, ცხელი ზაფხულის ნაშუადღევს, ნორჩი დედოფლის თეთრ, ქათქათა კისერზე აცოცდება და თვლემიდან ისე უეცრად გამოაღვიძებს, რომ გაეყინება სხეულში გული, ეს შიში კი ხელყოფს მისი ნაყოფის ჯანმრთელობას საშოში და სნეული კანონიერი მემკვიდრის ნაცვლად სამეფოს არა უფლისწული, არამედ მისი ძმა დაეპატრონება; ვერაგი, გარყვნილი და სასტიკი, თავისი ბუნების მარად ერთგული, საკუთარ ხალხს უკანასკნელ იმედს ჩაუკლავს, ააჯანყებს, და ბოლოს, საკუთარი ტყავის გადასარჩენად სასტიკ ომში ჩააბამს და შენს საყვარელ სამშობლოს ხანგრძლივი უბედურებისთვის გაწირავს. და ბრალი ამაში იქნება მხოლოდ შენი, რადგან სწორედ შენი სუნთქვის მძლავრმა ნაკადმა მიმართა ჭრელი პეპლის გზა აღმოსავლეთით, სამეფო ბაღის ოქროსგისოსებიანი ღობისკენ."

ჭაბუკმა მხრები აიჩეჩა: „უხილავო სულო! როგორ შემიძლია

უარვყო ის, რაც შენ ინინასწარმეტყველე, რადგან ამ ქვეყანაზე – ასე იყო და ასე იქნება მუდამ – ერთი წარმოშობს მეორეს, ხშირად პატარა – უზარმაზარს და პირიქით, მაგრამ რამ უნდა მაიძულოს ვირწმუნო წინასწარმეტყველება, სწორედ ეს, რადგან არ ახდა ის, სიკვდილს რომ მიქადდა?"

„აქ ამოსული", გაისმა გრგვინვა ხმისა, უხილავ მარწუხებად რომ შეიგრძნობდა და ასე შეზარა, „ქვევით უნდა დაბრუნდეს, თუ სურს, კვლავ ცოცხალთა შორის რჩებოდეს. გიფიქრია ამაზე?"

წამოხტა უეცრად ყმაწვილი, რომ იმწამსვე დასდგომოდა გზას – ხსნის, გადარჩენის ერთადერთ იმედს. მაგრამ, როდესაც სრულად გააცნობიერა ღამის უკუნის ძლევამოსილება, მიხვდა, მისი უძლეველობით დათრგუნული, რომ ასეთი სიმამაცე, დღის სინათლის თანადგომის გარეშე, თავზეხელაღებულ წამოწყებად იქცეოდა; და დილისთვის საკუთარ უნართა ღირსეული წარმართვა რომ შესძლებოდა, კვლავ მოეწყო დასაძინებლად ციცაბო კლდის ვიწრო კიდეზე. მასში ძილის – იმედის, განახლების საწინდრის – მხურვალე სურვილი გიზგიზებდა. იწვა ასე გაუნძრევლად მის მოლოდინში, მაგრამ გონება, შეგრძნებები ჰქონდა ფხიზელი, თვალები – დაქანცული და სევდიანი – ღია, და საზარი წინათგრძნობის სასოწარმკვეთი ტალღები აწყდებოდა მის გულსა და სისხლძარღვებს. თავბრუდამხვევი უფსკრულის სურათი – მისი გადარჩენის ერთადერთი გზა – არ შორდებოდა მის შინაგან მზერას; მას, ვისაც აქამდე არასოდეს აეჭვებდა საკუთარი ნაბიჯების მართებულობა და სანდოობა, სულის სიღრმეში აქამდე უცნობი ეჭვი და ურწმუნოება ჩასახლებოდა და სულ უფრო მტანჯველად უღრღნიდა გულს, სანამ არ გახდა მისი ყოფნა აუტანელი და არ გადაწყვიტა, ტანჯვასა და გაურკვევლობაში გათენების ლოდინს, ისევ გარდაუვალის ულმობელობას შეჭიდებოდა. და კვლავ წამოდგა, თამამი განზრახვით, ნათელის მფარველობის, მისი კურთხევის გარეშე, ფრთხილი ნაბიჯებით, ფეხის ცეცებით ეცადა სახიფათო გზის გავლა. და, როგორც კი გადადგა ნაბიჯი, მიხვდა, რომ ეს იყო სვლა გარდაუვალი ბედისწერის შესახვედრად, მიხვდა იმასაც, რომ სულ მალე ნაწინასწარმეტყველები აღსასრული დადგებოდა. და დაიყვირა პირქუშ მრისხანებაში: „უხილავო სულო – სამგზის დამმოძღვრავო და სამგზისვე უგულებელყოფილო – შენს, ჩემზე აღმატებული ძალის, წინაშე, ვიხრი ქედს და ვიდრე საბოლოოდ გამანადგურებდე, მიპასუხე ვინ ხარ."

და გაიჟღერა ხმამ – გაკვეთა, გააპო ღამის მკვრივი სიბნელე: „ჩემი შეცნობა ვერც ერთმა მოკვდავმა ვერ შეძლო აქამდე, სახელი კი მაქვს მრავალი. ბედს მიწოდებენ ურწმუნონი, შემთხვევას – უგუნურნი და ღმერთს – მორწმუნენი. ხოლო მათთვის, ვინც ბრძნად მიიჩნევს

თავს, ვარ ძალა, დღეთა ყოველთა უწინ არსებული, მარადიულობას შეზრდილი, მისი განუყრელი თანამგზავრი, მარად მოქმედი, ურომ-ლისოდაც არ ხდება არაფერი."

„მაშ, მოგმართავ ჩემი არსებობის უკანასკნელ წამს – წყეულიმც იყავ", დაიყვირა მოახლოებული სიკვდილით სასოწარკვეთილმა ჭაბუკმა. „რადგან, ხარ ძალა, დღეთა ყოველთა უწინ არსებული, მარადიულობის თანამგზავრი დაუღალავი, ურომლისოდაც არ ხდება არაფერი, ყველაფერი უნდა ყოფილიყო ისე, როგორც მოხდა: უნდა გამევლო ტყე და ვქცეულიყავი მკვლელად, გამევლო მდელო, რათა გავმხდარიყავი სამშობლოს დამაქცევარი, ავსულიყავი კლდეზე და იქ მეპოვა აღსასრული – და ეს ყველაფერი ჩავიდინე შენი გაფრთხ-ილების მიუხედავად. მაგრამ რატომ მარგუნა ბედმა ეს ხვედრი – მესმინა სამგზის შეგონება, ჩემთვის უსარგებლო და ფუჭი? იყო ეს აუცილებელი? და ჩემი არსებობის ამ უკანასკნელ, ჩემი დაცინვის ზეობის წამს, რატომ უნდა მოვთქვამდე შენ წინაშე – უმწეო და დაუცველი, მოგმართავდე საბედისწერო კითხვით: რატომ?"

და ჰქონდა შეგრძნება ყმაწვილს, მიიძურწებოდა უხილავი ცის კიდეებზე, საზარელი პასუხით დამძიმებული – სიცილი, შეუცნობი და იდუმალი. და, ამ დროს, შორეთის მიყურადების ცდაში, დაქა-ნდა მის ფეხქვეშ მიწა და საყრდენგამოცლილი გადაეშვა სიღრმეში, მილიონი უფსკრულის მომცველ უფსკრულში, წყვდიადში, სადაც, ყველა ღამის სიბნელეს ერთად მოეყარა თავი – უკვე დამდგარს, და გარინდებულიყო მოლოდინში მომავალი – მარადიულ უკუნს, სამყაროს დაბადებიდან, ვიდრე მის დასასრულამდე.

ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი

672-ე ღამის ზღაპარი

მდიდარი სოვდაგრის ახალგაზრდა მემკვიდრეს, ობოლსა და მშვენიერს, ოცდახუთი წლის შესრულებისას გული აუცრუვდა ადამიანებთან ურთიერთობაზე, წვეულებასა და დროსტარებაზე, სტუმრობასა და სტუმრიანობაზე, მანამდე მისთვის ასე მნიშვნელოვანზე. გამოკეტა ოთახების უდიდესი ნაწილი, დაითხოვა ყველა მოსამსახურე, გარდა ოთხისა, რომელთა იერი და ბუნება მის განსაკუთრებულ ნდობასა და მოწონებას იმსახურებდა, და, რადგან მეგობრებთან ურთიერთობას უწინდელი მიმზიდველობა დაეკარგა, ხოლო არც ერთი ქალის სილამაზე ისე არ ხიბლავდა, მისთვის სასურველი რომ გამხდარიყო, ან, თუნდაც მასთან თანაცხოვრება მოეთმინა, ცხოვრობდა იგი განცალკევებით, უზრუნველად, ტკბებოდა ყოველდღიურობის სიკეთით – მისთვის ყველაზე შესაფერი გართობითა და თავშექცევით. მაგრამ არ იყო უჟმური, თუ საზოგადოებას არ ესწრაფოდა, არც გაურბოდა, პირიქით, ხშირად გადიოდა გარეთ, სეირნობდა ქუჩაში ან პარკებში, აკვირდებოდა ადამიანებს, ცდილობდა მათი ხასიათის, ბუნების გამოცნობას. არც საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, არც საკუთარი სხეულის თუ ნატიფი ხელების მოვლა დავიწყებია და არც სახლის მორთვა-მოკაზმვა. ნოხების სილამაზემ, ნაქსოვმა და აბრეშუმმა, ხის ჩუქურთმიანმა და თიხის ფილებით მოპირკეთებულმა კედლებმა, ძვირფასი ლითონის შანდლებმა და თასებმა, მინისა და თიხის ჭურჭელმა შეიძინა აქამდე მისთვის წარმოუდგენელი მნიშვნელობა. მალე შეიქნა მოწმე იმისა, თუ როგორ ცოცხლდებოდა მის ნივთებში სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის ხელოვნების შედევრები: მათ დახვეწილ ფორმებსა თუ მდიდრულ ფერებში, მათი ორნამენტების ნატიფ ხლართებსა თუ ხვეულებში იგი ხედავდა მეტს, ვიდრე მხოლოდ

სილამაზეს, რადგან ისინი წარსულის მომაჯადოებელ საოცრებათა ფერადოვან სურათებს აცოცხლებდნენ. იყო ცხოველთა და ყვავილთა უსასრულო მრავალფეროვნება, გადასვლა ერთისა მეორეში და პირიქით; დელფინები, ლომები და ტულიპები, მარგალიტები და აკანტუსი; სვეტის სიმძიმისა და ნიადაგის სიმტკიცის ქიშპი და მტრობა; წყლის მოუსვენრობა, მისი ტალღების უსასრულო მოძრაობა, მათი აზვირთება და კვლავ უკუქცევა; მოძრაობის ნეტარება და მოსვენების ამაღლებულობა, ცეკვა და მიცვალებულად მყოფობა; ყვავილების, ფოთლებისა თუ ველურ ცხოველთა ბეწვის ფერადოვნება, სხვადასხვა რასისა და ქვეყნის მკვიდრთა სახეები, ასე განსხვავებული, ძვირფასი ქვები, აბობოქრებული ზღვისა და იმავე ზღვის ჩამავალი მზით განათებული წყნარი ლივლივის მშვენიერება; მთვარე და ვარსკვლავები, მისტიკური ბურთი, ასევე მისტიკური ბეჭდები და მათზე ამოზრდილი ფრთიანი სერაფიმები. ხანგრძლივი იყო ამ მასშტაბური, ღრმააზროვანი სილამაზით თრობა, ახლა მისი რომ გამხდარიყო. დღეები მისდევდა ერთმანეთს უფრო ლამაზად და შინაარსიანად ამ ნივთებს შორის, არა მკვდარსა და მდაბალ, არამედ განუზომლად დიდ, კაცობრიობის ღვთაებრივი განძის უკვდავ ქმნილებათა სამყაროში.

თუმცა, მშვენიერებით ტკბობასთან ერთად ყველა ეს ნივთი დროის წარმავალობასა და ცხოვრების ამაოებასაც შთააგონებდა; ხშირად სტუმრობდა ფიქრები სიკვდილზე, ფიქრობდა მასზე მუდამ, მოცინარი თუ მგლოვიარე ადამიანების ცქერისას, ღამით თუ სადილობისას.

ახალგაზრდა, ჯანმრთელ არსებას ეს ფიქრები არ თრგუნავდა, პირიქით, იყო ისინი საზეიმო, ბრწყინვალე და ელვარე, განსაკუთრებით ამაღლებულის ჭვრეტაში ან ყრმობის მშვენიერი წუთების მოგონებებში დანთქმული განმარტოებული ცხოვრების მომხიბვლელობით ტკბობისას. მისი გამორჩეული სიამაყის წყარო იყო სარკე, ხშირად პოულობდა ამის მიზეზებს პოეზიაშიც, საკუთარ სიბრძნესა და სიმდიდრეში, და მისი სულის სიმშვიდეზე ვერ ახდენდნენ ზემოქმედებას შავბნელის ზეიმის გარდაუვალობის დამადასტურებელი ანდაზები. ის იტყოდა: „სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი“, და იყო სანახავად ლამაზი, ვით მეფე, ნადირობისას გზააბნეულს, უცნობ ტყეში, უცხო ხეების ჩრდილქვეშ, გაჭენებული ცხენი გამოუცნობი ბედისწერისკენ რომ მიაქანებს. ის იტყოდა: „აი, დამთავრდება სახლის შენება და მესტუმრება სიკვდილიც“, და შეხედავდა სახლს, მედიდურად აღმართულს, ამაღლებულს სასახლის ხიდზე, რომლის სიმძიმის ტარება ფრთოსან ლომებს საკუთარი ზურგით ეტვირთათ, სახლს, უკვე დამთავრებულს, სიცოცხლისეული ნადავლის საოცრებებით სავსეს.

მართალია, იქ თავს მარტოდ გრძნობდა, მაგრამ გარს ერტყა მოდარაჯე ერთგული ძაღლებივით თავდადებული ოთხი მსახური. თუმცა მათთან იშვიათად საუბრობდა, მაინც გრძნობდა მათ ერთსულოვნებას, რომ მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდათ – მისი სულიერი სიმშვიდე. ისიც, ხანდახან, ფიქრობდა მათზე.

დიასახლისის, მოხუცი ქალის, შვილებიდან არც ერთი იყო ცოცხალი, ერთ-ერთი, ქალიშვილი, გახლდათ სოვდაგრის ვაჟის ძიძა; ამ, მუდამ მდუმარე ქალის სახე – უჩვეულო, იდუმალი სითეთრით დაღდასმული და ხელები, იმავე ფერის, სიბერის ზამთრისეულ სიცივეს გამოსცემდა. თუმცა მისი გვერდით ყოფნა სიამოვნებდა, რადგან იმ დროიდან ახსოვდა, რაც საკუთარი თავი – მისი ხილვა უღვიძებდა წარსულის მოგონებებს, საკუთარ ბავშვობას – კვლავ ჩაესმოდა დედის ხმა, სანატრელი, სევდის მომგვრელი.

დიასახლისმა მისი ნებართვით სახლში მოიყვანა შორეული ნათესავი გოგონა. ასე თხუთმეტი წლისა, განმარტოების მოყვარული, თავის თავში ჩაკეტილი, პირქუში არსება, რომლის გულისნადები არ იყო ადვილი გამოსაცნობი. ერთხელაც, ავი ბუნების უეცარი ბოროტი აღტყინებისას იგი ფანჯრიდან გადავარდა. საბედნიეროდ, მისი ბავშვური სხეული ბაღის გაფხვიერებულ მიწაზე ისე დაეცა, რომ მხოლოდ ლავიწის ძვალი გაუტყდა, ისიც იმიტომ, რომ იქვე შემთხვევით აღმოჩენილ ქვაზე სწორედ ამ ადგილით დაენარცხა. მას შემდეგ, რაც ლოგინში დააწვინეს, სოვდაგრის ვაჟმა ექიმი გაუგზავნა; საღამოს კი თვითონაც მოინახულა. ის იწვა თვალდახუჭული – ახლა შეეძლო დაკვირვებით შეეხედა მისთვის და მისი სახის ნაადრევად მოწიფული, გონიერი იერით გაკვირვებული დარჩა. მხოლოდ ტუჩები ჰქონდა თხელი, უშნო და საზარელი. უეცრად გაახილა თვალი, ცივად, ბოროტად გამოხედა, შემდეგ ძლიერი ტკივილისაგან შეწუხებულმა პირი მოკუმა და მრისხანე გამომეტყველებით კედლისკენ გადაბრუნდა. მტკივან გვერდზე აღმოჩენილის სახეზე მიცვალებულის მიტკლის ფერი წამიერად მომწვანო თეთრმა ჩაანაცვლა, გული ნაუვიდა, სხეულმა კი პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება არჩია, უკან გადმოემხო და დარჩა ასე, უსულო სხეულივით უძრავი.

სოვდაგრის ვაჟი გამოჯანმრთელებულთან ურთიერთობისგან დიდ ხანს იკავებდა თავს. ერთი-ორჯერ ჰკითხა ქალს იქნებ გოგონას სახლში რამე არ სიამოვნებდა. პასუხი ყოველთვის იყო უარყოფითი. ერთადერთი მსახური, რომელსაც ვერ შეელია, სადილზე გაიცნო იმ ელჩთან სტუმრობისას, რომელსაც ჯამაგირს სპარსეთის მეფე უხდიდა. იგი სწორედ მის სუფრას ემსახურებოდა და ისე მოიხიბლა მისი ზრდილი, თავაზიანი ზნით, სუფრასთან მყოფთა სურვილების ამოცნობასა და მათ დროულ ასრულებაში წინდახედული გულისხ-

მიერებით, ისევე, როგორც გამორჩეულად მოკრძალებული ქცევით, რომ მისი ცქერა მეტ სიამოვნებას ჰგვრიდა, ვიდრე სხვა სტუმრების საუბრისთვის ყურისგდება. მით უფრო დიდი იყო სიხარული, როდესაც ერთხელ, მრავალი თვის შემდეგ, იგი ქუჩაში შემოხვდა, იმავე სიდინჯითა და ღრმა პატივისცემით მიესალმა და – ძველი ნაცნობობის გამოყენების სურვილის იოტისოდენა მინიშნების გარეშე – თავისი სამსახური შესთავაზა. სოვდაგრის ვაჟმა მაშინვე იცნო იგი სახის მუქი, თუთის ხის ფერი იერით, და შეთავაზებაზე იმწამსვე დათანხმდა – დაითხოვა ორი ახალგაზრდა მსახური და ამიერიდან სამსახური ამ მოკრძალებულ, სიტყვაძუნწ ადამიანს დაავალა, არა მარტო სადილობისას, არამედ ყველა სხვა შემთხვევაშიც. საღამოობით ის არასოდეს სარგებლობდა სახლიდან გასვლის მინიჭებული უფლებით და ყოველთვის შინ რჩებოდა. პატრონისადმი იშვიათი ერთგულებით გამორჩეული მისი სურვილების ასრულებას მანამ ახერხებდა, სანამ პატრონი მათ გამოთქმას მოასწრებდა, რადგან მისი სახის ნაკვთებშიც კი შეეძლო ამოეკითხა ეს სურვილები და თანდათან ისიც, თავის მხრივ, მისდამი სულ უფრო მეტი პატივისცემით იმსჭვალებოდა.

სადილობისას – ამაზე ზრუნვა სწორედ ამ მსახურს ევალებოდა – ხილისა და ნამცხვრების მორთმევაში, ჩვეულებრივ, ჩვენთვის უკვე ნაცნობს, დაშავებულს, ორი წლით უფროსი მოახლე გოგონა ეხმარებოდა. ქალიშვილი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, შორიდან დანახვისას ან ჩირაღდნის შუქზე მოცეკვავე, არც თუ ლამაზი რომ მოჩანს, რადგან სწორედ ამ დროს იკარგება მათი ნაკვთების სინატიფე, მის ყოველდღე და ყოველთვის დღისით კი, მისი თვალის ქუთუთოებისა და ბაგეების უბადლო სილამაზით მოხიბლულ მხილველს, მისი მშვენიერი ტანის ზანტი მიხრა-მოხრა გაუმჭვირვალე, მიუწვდომელ საოცრებათა სამყაროს იდუმალი ენის მეტყველებად ეჩვენებოდა.

ზაფხულში, როცა ქალაქში აუტანელი სიცხისას სახლების გასწვრივ გავარვარებული ჰაერი ჩამოწვებოდა, ხოლო დახუთულ ღამეში, სავსე მთვარისას, ცარიელი ქუჩების თავზე ქარი თეთრ, მსუბუქ ღრუბლებს მიერეკებოდა, სოვდაგრის ვაჟი თავის ოთხ მსახურთან ერთად მაღლა, ზეგანზე, გრილი მთებით შემოფარგლულ, ვიწრო ველზე მდგარ სააგარაკო სახლში – მდიდართა ასეთივე სახლებით შემორტყმულ პატარა წალკოტში – მიემგზავრებოდა, რომელსაც ორივე მხარეს ჩამომდინარე ჩანჩქერი აცოცხლებდა. მთვარე მიდამოს თითქმის მუდმივად გადმოჰყურებდა, ხოლო შავად მოელვარე ცაზე, კლდეების თავზე, ხშირად ჩნდებოდა დიდი, თეთრი ღრუბლების საზეიმო თავყრილობა, გამუდმებით იცვლიდა სახეს, მოძრაობდა ცის გასწვრივ და ქრებოდა, იკარგებოდა. აქ, ბაღისა და

ჩანჩქერების გრილი სურნელით გაჟღენთილი ხის სახლში, ცხოვრობდა სოვდაგრის ვაჟი, თავისი ჩვეული ცხოვრებით. ნაშუადღევს, სანამ მზე მაღალი, კლდოვანი მთების უკან ჩაესვენებოდა, ჩვევად ჰქონდა თავის ბაღში განმარტოება, სადაც წარსულის დიდი მეფის საომარ ისტორიებს ეცნობოდა. ხშირად, იმ ადგილებში, როდესაც მოწინააღმდეგე მეფის ათასობით ცხენოსანი სასოწარკვეთილი ყვირილით ცხენებს უკან ატრიალებდა ან საბრძოლო ეტლებს მდინარის ციცაბო ნაპირისკენ მიმართავდა, უეცრად წყვეტდა კითხვას, გვერდზე გახედვის გარეშეც გრძნობდა – მსახურები მას თვალს არ აშორებდნენ. თავაუწევლადაც ხვდებოდა, რომ თვალს ადევნებდნენ, უსიტყვოდ, სხვადასხვა ოთახიდან, ეს მან კარგად იცოდა. ხვდებოდა, რომ ისინი უფრო სისხლსავსე, ყოველდღიური მიზნების მიღწევისკენ მიმართული, ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობდნენ, ვიდრე თვითონ. გრძნობამორეულს ან გაოცებულს, მათ გამო, ხშირად, კმაყოფილება შეცბუნებული ადამიანის უხერხულობით შეცვლია. ის ღამის კოშმარის სიმძაფრით აცნობიერებდა, რომ ორივე მოხუცის სიცოცხლე თავისი აღსასრულისკენ მიექანებოდა. მათი სახის ნაკვთების, მათი მიხრა-მოხრის – ასე კარგად ნაცნობის – შეუმჩნეველი, მაგრამ შეუჩერებელი ცვლილება-გარდასახვა ყოველდღიურად საბედისწერო ჟამის მოახლოებას ახსენებდა. ორი უჟმური არსებობის ტრფიალი გოგონას ცხოვრება, ამაღლებული ინტერესების მაცოცხლებელი ჰაერისგან დაშრეტილი, იყო უდაბნოსავით უსიცოცხლო და უკაცრიელი. როგორც შემაძრწუნებელი სიზმრის სასოწარმკვეთი სიმწარე, გაღვიძებისას ბუნდოვან ამბად ქცეული, მათი ცხოვრების სიმძიმე, მათთვის გაუცნობიერებელი, ტვირთად აწვა გულზე.

შიშის უეცარი შემოტევები, მისი უმწეო მძევალი რომ არ გამხდარიყო, სეირნობით უნდა განემუხტა და მაშინ, როდესაც მის ირგვლივ მიმოფანტულ კენჭებს დაჰყურებდა და გულისყური გარეული მიხაკების სუნთქვის მთელი არსებით შეგრძნებისკენ ჰქონდა მიმართული, სწორედ მაშინ, მიწისა და ბალახის გრილი, ტენიანი არომატით გაჯერებული სიოს ღონიერ ნაკადს დამგზავრებული ეს ნატიფი სურნელი – თან თანამდევი ჰელიოტროპების დაშაქრულ-მაგრილებელი არომატიც არ დაგვავიწყდეს – მათ თვალებს ახსენებდა და მხოლოდ მათზე ფიქრობდა. თავის აუწევადაც ხვდებოდა – მოხუცი ქალი იჯდა თავისი ოთახის ფანჯარასთან, სისხლისგან დაწრეტილი, გამოფიტული ხელები მზისგან გავარვარებულ ლავგარდანზე დაეწყო, სახე – იგივე, რაც ხელები – გამოფიტული, ჩამქრალი – იყო, ვით ნიღაბი, უსიცოცხლო, მბჟუტავი თვალების თავშესაფარი, თავის ჭკნობა-გამოფიტვაში საზარი, გაქვავებული, ყველაფრის, თითქოს თვით სიკვდილის უნარწართმეული; გრძნობდა იმასაც, რომ ფან-

ჯარას ცოტა ხნით მოცილებული მსახური კარადასთან რაღაცას საქმიანობდა; ის კი, მისკენ გაუხედავად, მის დაბრუნებას ფარული შიშით ელოდა. ყველაზე დაბურულ კუთხემდე მიღწევის ცდაში, ორივე ხელით ბუჩქებისა და ხეების ხშირი ტოტების რკალში გზის გაკაფვისას, ფიქრებში გარიყული, ცის სიმშვენიერით ტკბობისას, იმ ცისა, რომლის სინათლეც თითქოს ერთმანეთზე გადაჯაჭვული ფოთლებისა და მცოცავი მცენარეების დაბინდული ბადითა თუ საცერით გაცრილი, ქვევით, მიწაზე უთვალავ შუქჩრდილად იღვრებოდა და სივრცეს გრილ, დანესტილ პატარა ფირუზის თვლებად ეფინებოდა, საკუთარ აზრებთან და გზნებიან სისხლთან ბრძოლაში ორი გოგონას მისკენ მიმართული მზერის გაცნობიერებას თუღა ახერხებდა, ტანჯვის მომგვრელი მომთხოვნელობის უფროსის – ზანტის, სევდიანის და გაურკვეველის, უმცროსის – მოუთმენლის, თავისი ყურადღებით სულ უფრო მტანჯველისა და დამცინავის. ბაღში თავდახრილი სიარულისას ან მიხაკთან ჩამუხლულის მისი სუსტი, მსხვრევადი ტანის სარზე ნორჩი ლაფნით დამაგრებისას, ან დაბლა ჩამოწეული ტოტების ქვეშ დახრილი გავლისას, არასოდეს უფიქრია, რომ უბრალოდ უყურებდნენ; არა, ეჩვენებოდა, რომ ისინი, ჩასაფრებული, მთელ მის არსებას უთვალთვალებდნენ, მის არსს – ჩვეულებრივი მზერისთვის დაფარული ადამიანური სრულყოფილების ეფემერულობის მისეულ გამოვლინებას.

ხშირად ეუფლებოდა შემზარავი გრძნობა, საბედისწერო შიში სიცოცხლის ულმობელობის წინაშე. გოგონების მიერ მის განუწყვეტელ თვალის დევნებაზე უფრო შემზარავი კი საკუთარ თავზე ფიქრი ეჩვენებოდა – რასაც ეს უცხო არსებები გამუდმებით აიძულებდნენ – ფუჭი, ქანცგაწყვეტამდე დამღლელი, გამომფიტავი, ბაღი კი იყო ძალზე პატარა, მათგან რომ დაეცვა თავი. მათ სიახლოვეს კი შიში უქრებოდა და წარსული თითქმის მთლიანად ავიწყდებოდა. ის მაინც შეძლო, რომ გოგონებისთვის ყურადღება აღარ მიექცია, ან მათი გრაციოზული მოძრაობისთვის, მისთვის ნაცნობი და ახლობლისთვის, მშვიდად ედევნებინა თვალი, იმდენად, რომ მათი მეოხებით მშვენიერ ასულთა სიცოცხლის დინების უწყვეტ აღქმასა და მის სისხლსავსე თანაგანცდას ახერხებდა.

ხანდახან პატარას თუ გადაეყრებოდა კიბეზე ან წინკარში. დანარჩენი სამი კი ხშირად ოთახში მასთან ერთად რჩებოდა. ერთხელ, დახრილ სარკეში, მომიჯნავე, ოდნავ მაღლა მდებარე ოთახის გავლით მიმავალ უფროს გოგონას მოჰკრა თვალი, სარკეში სიღრმიდან ნელა, მდორედ, წელში გამართული რომ მოემართებოდა: ორივე ხელში სათითაოდ ეკავა თხელი, მაინც მძიმე, მუქი ბრინჯაოს ორი ინდური ღვთაება, ეკავა სამკაულებით შემკული ფეხებით, და აღმარ-

თულიყო თეძოებიდან საფეთქლებამდე მუქი ღვთაებები, მათი უსიცოცხლო სხეულის სიმძიმით მის ნაზ, სიცოცხლით სავსე არსების გულის ფეთქვითა და მისივე სუნთქვით მსუბუქად მთრთოლვარე მხრებზე დაყრდნობილი; გველის მრისხანედ გაღებული პირით შემკული მათი მუქი თავები, ველური გზნებით ანთებული სამი თვალი შუბლზე, სიცივის მომგვრელ, ხისტ თმაში დამაგრებული ავისმაუწყებელი სამკაულები კი სიარულისას ლოყებზე ნელი სვლის ტაქტით ირწეოდა და დროდადრო საფეთქლების ნაზ კანზე მსუბუქად სრიალებდა. თუმცა, მთავარი, რაც მის სვლას მედიდურ, საზეიმო იერს ანიჭებდა, არა ეს შთამბეჭდავი, საზეიმოდ აღმართული ღვთაებები, არამედ მისი თავის უჩვეულო სილამაზე გახლდათ და მძიმე თავსამკაული – ბაჯაღლო ოქროსგან ჩამოსხმული დიდი, ამობურცული, თაღოვანი ლოკოკინები – ნათელ შუბლს ორივე მხრიდან ამორძალების დედოფალივით რომ უმშვენებდა. ქალიშვილის უჩვეულო სილამაზე აღელვებდა, თუმცა კარგად იცოდა – საკუთარ მკლავებში მისი დატყვევება არც საოცნებო იყო და არც სასურველი, რადგან მოახლის მშვენიერება მას მხოლოდ სევდით და არა სურვილით აღავსებდა. მალე მოაცილა თვალი, გავიდა ოთახიდან, სახლიდან, აღმოჩნდა ქუჩაში და დადიოდა იქ, ბაღებსა და სახლებს შორის გაწოლილ ვიწრო ჩრდილში, უჩვეულოდ აღელვებული. ბოლოს მივიდა მდინარის ნაპირზე, სადაც ცხოვრობდა ყვავილებით მოვაჭრე მებაღე და დიდხანს ეძებდა ყვავილს – თუმცა კარგად უწყოდა ძებნის ამაოება – რომლის იერი, მძაფრი სუნი ან ნატიფი სურნელი, ირგვლივ დაფრქვეული და წამით მის საკუთრებად ქცეული, მშვენიერების იმ ნეტარი ხიბლით მშვიდად, მღელვარების გარეშე დაატკბობდა, მოახლის ხილვისას ასე რომ აფორიაქებდა. და მაშინ, როცა სევდამორეული მზერით ნესტიან, დახუთულ სათბურებში ან ღია სივრცეში, გრძელ კვლებში დაბლა დახრილი მას ამაოდ ეძებდა, შეღამებისას, გატანჯული, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, გონებაში უნებლიეთ პოეტის სტროფს იმეორებდა: „მსუბუქი სიოთი დარწეულ მიხაკის სუსტ ტანში, მწიფე ხორბლის მარცვლის სურნელში აღვიძებდი ჩემში სევდას; თუმცა, ვერ ვპოვე შენში ის, რასაც ვეძებდი, ოდენ დაი შენი სულისა."

II

ამ დღეებში მიიღო წერილი, რომელმაც ძალზე შეაშფოთა. გზავნილი იყო ხელმოწერის გარეშე. წერილის მომწერი ბუნდოვან გამოთქმებში ბრალს სდებდა მსახურს, ჯერ კიდევ ძველ სამსახურში, სპარსეთის ელჩის სახლში ყოფნისას, რაღაც საზარელ ბოროტებაში.

მსახურის მიმართ უჩვეულო სიძულვილით განმსჭვალული უცნობი შურისძიებით იმუქრებოდა; თვით სოვდაგრის ვაჟის მისამართითაც ტონი იყო თავშეუკავებელი, ლამის მუქარის შემცველი. ვერ ხვდებოდა, რა დანაშაულზე იყო ლაპარაკი და ვერც იმას, თუ რას ისახავდა მიზნად წერილის ავტორი, თავის ვინაობას რომ არ ასახელებდა და არც არაფერს ითხოვდა. წერილი მრავალგზის გადაიკითხა და შეშინდა, რომ ერთგული მსახური ასეთი ბუნდოვანი და უსიამოვნო მიზეზით არ დაეკარგა. რაც უფრო ხშირად ფიქრობდა ამაზე, მით უფრო უმძიმდა ისეთ ადამიანთან განშორება, რომელსაც, მყარ ჩვევებში გადაზრდილი ხანგრძლივი ურთიერთობისა და სხვა იდუმალი ძალების შემწეობით, უკვე სრულად გაშინაურებოდა.

აფორიაქებული, წონასწორობადაკარგული ვერ მშვიდდებოდა და აქეთ-იქით დადიოდა. მღელვარებამ და მრისხანებამ იმდენად აღაგზნო, რომ სერთუკი გაიხადა, ქამარი მოისროლა და ფეხებითაც კი შედგა. გრძნობდა, რომ მისთვის ყველაზე ახლობელსა და ღირებულს შეურაცხყოფდნენ, ერთ-ერთი მთავარი საყრდენის გამოცლით მისი სულიერი სიმშვიდის დარღვევას და იმაზე უარის თქმას აიძულებდნენ, რასაც მთელი მისი არსება ეფუძნებოდა. გაუჩნდა თანაგრძნობა საკუთარი თავისადმი და, როგორც ასეთ შემთხვევაში ხშირად ემართებოდა, თავს პატარა ბავშვად აღიქვამდა. წარმოუდგა სახლი ერთგული მსახურების გარეშე და მოეჩვენა, რომ მის სიცოცხლეს – უსიტყვოდ და მდუმარედ – აზრი ეცლებოდა; ყველა სევდანარევი ტკბილი მოგონება, მასში მთვლემარე ყველა მოლოდინი თუ ღრმად ჩამარხული უთქმელი ვიღაცას შორს მოესროლა, როგორც მშობლიურ გარემოს მოწყვეტილი უფასური ზღვის მცენარეები. პირველად იგრძნო თავის თავში ის, რაც ბავშვობაში მის ფარულ რისხვას იწვევდა – მოპოვებული მონაგარისადმი მამის შიშნარევი სიყვარული: თაღოვან-გუმბათოვანი ქარვასლებისა და იქ გამოფენილი ძვირფასი საქონლისადმი – მისი მუდმივი ძიებისა და ზრუნვის უგრძნობი შვილებისადმი, მისი სიცოცხლის გაუცნობიერებელი, სიღრმისეული მისწრაფებების ამ ნაშიერებისადმი. ახლა გააცნობიერა წარსულის დიდ მეფეთა ტრაგედია – თუ რა მძიმე იქნებოდა, ალბათ სიკვდილის ტოლფასი, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, ზღვიდან ზღვამდე გადაჭიმული, ბრძოლებით მოპოვებული ქვეყნის დაკარგვა, რომლის დაპყრობაზე ბევრჯერ უოცნებია და დიდი, უსასრულოდ დიდი რომ იყო, იმდენად, რომ მასზე არც მისი რეალური ძალაუფლება ვრცელდებოდა და ვერც ხარკს კრებდა, გარდა ერთისა – იმის შეგრძნებისა თუ შეგნებისა, რომ ამ ქვეყნების მაცხოვრებლები სწორედ მისი ქვეშევრდომები იყვნენ, რომ მხოლოდ ის იყო მათი მეფე და მბრძანებელი.

გადაწყვიტა ყველაფერი ეღონა, საქმე მოეგვარებინა და საკუთარი შფოთვა როგორმე დაეცხრო. ისე, რომ წერილის შესახებ მოსამსახურისთვის სიტყვაც არ უთქვამს, ქალაქში მარტო გაემგზავრა. პირველ რიგში, სპარსეთის ელჩის სახლი უნდა მოენახულებინა, რადგან კვალზე გასვლას იქიდან იმედოვნებდა.

როდესაც ნაშუადღევს სახლამდე მიაღწია, იქ ვერავინ აღმოაჩინა, ვერც ელჩი, ვერც მხლებელთაგან ვინმე. მხოლოდ მზარეული და მოხუცი მდივანი ისხდნენ ჭიშკართან, ჩრდილის სიგრილეში, შესახედავად საზარელი და ისეთ მოკლე და პირქუშ პასუხებს იძლეოდნენ, რომ იმწამსვე მოტრიალდა და საქმის უკეთესი დროისთვის გადადება გადაწყვიტა.

რადგან მისი საკუთარი სახლი დაკეტილი იყო – მსახურთაგან არავინ დახვდა – იძულებული გახდა ღამის გასათევი სხვაგან ეძებნა, როგორც უცხოს. სწორედ ამ უცხოს ცნობისმოყვარეობით მიუყვებოდა ნაცნობ ქუჩებს და ბოლოს პატარა მდინარის ნაპირს მიადგა, წელიწადის ამ დროისთვის თითქმის დამშრალს. აქედან, ჩაფიქრებული, გაუყვა მეძავთა სიმრავლით ცნობილ ღარიბულ ქუჩას. ალალბედზე მარჯვნივ გაუხვია და სასაფლაოს მდუმარების სამეფოში აღმოჩნდა – უკაცრიელ ჩიხში, ბოლოში კოშკივით მაღალ, ციცაბო კიბეს რომ ებჯინებოდა. კიბესთან შეჩერდა და ქუჩას გახედა. თვალში მოხვდა პატარა სახლებით გარშემორტყმული ეზოები; აქა-იქ ფანჯრებზე შენიშნა წითელი ფარდები და უშნო, მტვრიანი ყვავილები; მდინარის ფართო, დამშრალი კალაპოტი იყო სასოწარმკვეთი და სევდის მომგვრელი. აუყვა კიბეს, მან ის საცხოვრებელ კვარტალში მიიყვანა, რომელსაც ვერაფრით იხსენებდა, თუმცა, გზაჯვარედინის ქუჩების უღიმღამო იერი ეცნობოდა, როგორც ერთ დროს სიზმარში ნანახი. გააგრძელა გზა და იუველირის მაღაზიას მიადგა. მაღაზია იყო ღარიბული, ქალაქის ამ კუთხის შესაფერი, ვიტრინები – სავსე უფასური სამკაულებით, ისეთით, ნაქურდლად ან მეგირავნისგან რომ ყიდულობენ ბითუმად. ძვირფასი თვლების ასე კარგად მცნობმა სოვდაგრის ვაჟმა მათში ოდნავ ღირებული ვერაფერი აღმოაჩინა.

უეცრად მისი მზერა ოქროს თხელ ნაკეთობაზე, ბივრილით გაწყობილ სამკაულზე შეჩერდა, რატომღაც მოხუც ქალს რომ აგონებდა. მსგავსი ნივთი ქალის ახალგაზრდობისას თუ ენახა, როდესაც ის თავს ამ სამკაულით იწონებდა. ეს მელანქოლიური ქვა მოხუცის ასაკსა და იერს უცნაურად ეხამებოდა; ქვების მოჭედილობაც, ძველებური, იყო მასავით სევდის მომგვრელი და ნაღვლიანი. აი, ამ სამკაულის საყიდლად შევიდა მაღაზიაში. ასეთი ჩაცმულობის მყიდველის ხილვით კმაყოფილ იუველირს მისთვის ვიტრინაში გამოფენილი სხვა, უფრო

ღირებული ნივთების ჩვენებაც მოუნდა. ზრდილობიანმა მყიდველმა იუველირს გული არ ატკინა და შემოთავაზებული ყურადღებით დაათვალიერა, მაგრამ მათი არც ყიდვის სურვილი ჰქონდა და ვერც იმას ხვდებოდა, თუ რაში გამოიყენებდა თავის განდეგილ ცხოვრებაში. ბოლოს შეიქნა მოუთმენელი, თან დაბნეულიც, რადგან არ იცოდა, მოხუცის წყენინებისთვის თავი როგორ აერიდებინა. გადაწყვიტა კიდევ ერთი პატარა ნივთი ეყიდა და იქაურობის იმწამსვე გასცლოდა. უაზროდ იყურებოდა იუველირის მხარს მიღმა, ნახევრად თვალისჩინდაკარგული, ელვარებაჩამქრალი სარკისკენ. და მეორეში, სიღრმეში დაკიდებულში, შორიდან მომავალი გოგონას სახე შეამჩნია, ორივ მხრივ ქალღმერთის მუქი თავებით დამშვენებული. მისი ყურადღება მიიპყრო ამ იშვიათმა სილამაზემ, უჩვეულოდ მომხიბვლელმა მხრებმა და ყელმა, ახალგაზრდა დედოფლის მშვენიერ თავს ბავშვური მოკრძალების გრაციით რომ ატარებდა. თვალში მოხვდა თხელი ოქროს ძეწკვის სილამაზეც, ყელზე მრავალკეცად შემოვლებული, ბავშვური და მაინც ჯაჭვის პერანგის მსგავსი. მოუნდა ამგვარის ნახვა. მოხუცმა კარი გააღო და სტუმარი მეორე, უფრო დაბალ ოთახში მიიპატიჟა, სადაც სამკაულების დათვალიერება ახლა შემინულ კარადაში და ღია დგარზე შეეძლო. სასურველი ძეწკვი მალევე იპოვა და იკითხა ორივე სამკაულის ფასი. მოხუცმა ყურადღება ნახევრად ძვირფასი ქვებით მოჭედილ უნაგირზე გაამახვილა, მან კი უპასუხა, რომ, როგორც სოვდაგრის შვილს, ცხენები კარგა ხანია აღარ აინტერესებდა, საერთოდ არ მჯდარა ცხენზე და არც ახალი უნაგირი სჭირდებოდა, შენაძენში ერთი ოქრო და ერთი ვერცხლი გადაიხადა, თან მაღაზიის დატოვებას ჩქარობდა. როცა მოხუცი ორივე სამკაულს, ძეწკვსა და ბივრილით მოჭედილს, რბილ, თხელ ქაღალდში ცალ-ცალკე ახვევდა, სოვდაგრის შვილი შემთხვევით ერთადერთ, გისოსებიან ფანჯარასთან აღმოჩნდა და მეზობელ ეზოში ორი სათბურითა და მაღალი კედლით გარშემორტყმულ, კოხტად მოვლილ ბაღს მოჰკრა თვალი. მაშინვე მოუნდა მათი ნახვა და იქით მიმავალი გზა იკითხა. იუველირმა ორივე შეკვრა მიაწოდა და წინ გაუძღვა, მეზობელ ეზოში გამავალ გისოსებიან კართან მიიყვანა და სარეკელათი მას რამდენჯერმე შემოჰკრა. პასუხად იყო სიჩუმე, გამოცოცხლების ნიშანი არც სახლში შეიმჩნეოდა. იუველირმა სტუმარს ორანჟერეის მშვიდად დათვალიერება შესთავაზა, რადგან სათბურების მეპატრონესთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, გაუღო კარი და ბაღში შეუშვა. სოვდაგრის ვაჟმა რჩევით ისარგებლა, შევიდა, კედელს ჩაყოლებული ბილიკი გაიარა და სათბურს მიადგა, სადაც იშვიათი, მისთვის აქამდე უცნობი სახეობის ეგზოტიკური ნარცისებისა და ანემონების უთვალავი ბუჩქი აღმოაჩინა, რომლებ-

საც თვალი დიდხანს ვეღარ მოაცილა. თავი რომ აიღო, მზე უკვე სახლებს მოფარებოდა. აღარ სურდა უცხო, დაუცველ ბაღში დიდხანს დარჩენა, უბრალოდ მეორე სათბურისთვის თვალის შევლება და იქაურობის გაცლა გადაწყვიტა. ის ნელი ნაბიჯით მეორე სათბურს გარედან მიუყვებოდა და ყვავილებს ათვალიერებდა, უეცრად თავზარდაცემული შეჩერდა – შიგნიდან ვიღაც უყურებდა, რომლის სახე მინას მჭიდროდ ეკვროდა. რამდენიმე წამში დამშვიდდა, რადგან მიხვდა, რომ ეს იყო ბავშვი, არა უმეტეს ოთხი წლისა, თეთრკაბიანი, სახეზეც იმავე ფერის იდუმალება რომ გადაჰფენოდა. მაგრამ დაკვირვებამ გააოგნა – უკან, კისერში დაბუდებული შემზარავი გრძნობა წინ, ყელსა და მკერდს კრუნჩხვებად გადაეცემოდა და სუნთქვას უკრავდა – ბავშვი, გაქვავებული, ბოროტად მზირალი, გამოუცნობ ძალას მის სახლში მცხოვრები თხუთმეტი წლის გოგონასათვის დაემსგავსებინა: იგივე ღია ფერის წარბები, იგივე ნესტოები, სუნთქვისას ნაზად რომ ირხეოდა, იგივე თხელი ტუჩები; მხარიც, გოგონასავით, ოდნავ ზევით ჰქონდა აწეული. მსგავსება იყო სრული, პატარის იერში კი ეს ყველაფერი მისი ბუნების სარკედ, ჩვენი გმირისთვის შიშისმომგვრელ და ზარდამცემ მთლიანობად ერთიანდებოდა. თუმცა, ამ უსაზღვრო შეშფოთების მიზეზს ვერ ხვდებოდა. მხოლოდ გრძნობდა – მობრუნებისა და მინის მიღმა მყოფი სახისთვის თვალის გასწორების გამბედაობა არ ჰყოფნიდა.

უჩვეულო შიშით შეპყრობილი სათბურის კარისკენ გაეშურა და იქ შესვლა დააპირა, მაგრამ კარი გარედან გადაერაზათ; სწრაფად დაიხარა ურდულისკენ და ისეთი თავგამეტებით მოსწია, რომ ნეკის ერთი სახსარი მოიყოლა, მწარედ იტკინა და ბავშვისკენ თითქმის სირბილით გაეშურა. ისიც მისკენ გამოემართა, თავისი უმწეო ხელები მდუმარედ შეაგება, მუხლებზე მიაბჯინა, და ჯიუტად, მის არა მარტო შეკავებას, არამედ სათბურიდან გაძევებას ეცადა. ყმაწვილი დაიხარა და გოგონას დააკვირდა – სახე ჰქონდა ფერმკრთალი, მრისხანე, ბრაზისა და სიძულვილისგან თვალები უცახცახებდა, ქვედა ყბის პატარა კბილები კი ზედა ტუჩზე მტკიცედ მიებჯინა და პირი ასე მოეკუმა. მრისხანებამ წამით გადაუარა, ხოლო როდესაც გოგონას ხელი მოკლე, თხელ თმაზე გადაუსვა, ამან იმწამსვე მეორე არსების, მის სახლში მყოფის თმა გაახსენა, ლოგინში თვალდახუჭული მწოლიარის – მიტკალივით თეთრის, ლამის მიცვალებულის – ხილვისას მძაფრად განცდილი. ზურგზე კვლავ შიშის ჟრუანტელმა დაუარა და ხელი მოაცილა. გოგონა მის განდევნას აღარ ცდილობდა, ორიოდე ნაბიჯით უკან დაეხია და სივრცეს მისჩერებოდა. ამ სუსტი, თეთრ კაბაში გახვეული თოჯინის ცქერა მის ძალებს აღემატებოდა და ზიზღით აღსავსე, ავისმაუწყებელი სახის შემზარავ სითეთრეს

თვალს ვერ უსწორებდა. საფეთქელში, ყელში ეს მწვავე ტკივილად აირეკლებოდა, ჯიბეში ხელი კი თითქოს რაღაც ყინულივით ცივს ხვდებოდა. გაახსენდა ორიოდე ვერცხლის მონეტა. ამოიღო, დაიხარა და ბავშვს გაუწოდა – მბრწყინავი და მოელვარე – და მას ხელისგულზე დაუწყო. ბავშვმა გამოართვა და ფეხებთან დაუყარა, ისინი მიწაზე დაგებულ დამპალ ფიცრებს შორის ღრიჭოში ჩაცვივდა და დაიკარგა. შემდეგ ზურგი შეაქცია და ნელი ნაბიჯით გაშორდა. ერთხანს იდგა უძრავად, შიშით შეპყრობილ გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, მისი კვლავ მობრუნების და ახლა გარედან ყურების მოლოდინი ტანჯავდა. სურდა აქედან წასვლა, ახლავე, მაგრამ დაელოდა, სანამ გოგონა ბაღიდან გავიდოდა. სათბურში ბინდი ჩამონოლილიყო და ამ ახლებურ განათებაში მცენარეებს სხვაგვარად აღიქვამდა – ბინდბუნდში, შავი სივრციდან, ისინი შეშლილის უაზრო მუქარით უქნევდნენ ხელებს, მათ უკან კი თეთრ ციმციმში თითქოს ბავშვის კონტურები იკვეთებოდა. ფიცარზე ცვილისყვავილიანი თიხის ქოთნები ჩამწკრივებულიყო. ერთხანს, შიშის ჩასაცხრობად, ამ, ამოლესილი თვალის ბუდეებიანი უსახური ნიღბების ცბიერებით აღბეჭდილი გახევებული ყვავილების გადათვლას შეუდგა. როდესაც კართან მივიდა და მისი გაღება მოინდომა, ველარ მოახერხა, გოგონას ის გარედან გადაერაზა. სურდა დაეყვირა, მაგრამ საკუთარი ხმისა ეშინოდა. მინას ხელები გამწარებით დაუშინა. ბაღში და სახლში ჩქამიც არ ისმოდა, ხოლო ბუჩქებს ავისმაუწყებელმა შრიალმა გადაუარა. ფიქრობდა, რომ ისინი, უბრალოდ, დახუთული ჰაერის ამოძრავებამ შეარხია და ფოთლებიც ამან ჩამოყარა. მაინც შეჩერდა, გული აჩქარებით უცემდა. დაძაბული მზერა ბინდში ერთმანეთში უჩვეულოდ გადახლართულ ხეებსა და მცოცავ მცენარეებს მიაპყრო. უკანა კედელზე შეღამების მწირ სინათლეში მართკუთხედის ბუნდოვანი სილუეტი დალანდა. მძიმე ნაბიჯით მიუახლოვდა, აღარ აღელვებდა, რომ ამ დროს ქოთნებს თელავდა და ყვავილების მაღალი, წვრილი ღეროები – მოშრიალე ვარჯები – მის გარშემო აქეთ-იქით მოჩვენებებივით ენარცხებოდა. ეს მართკუთხედი კარი აღმოჩნდა და მიწოლისას ადვილად გაიღო. სახეზე მაცოცხლებელი სიო შემოეფეთა; უკნიდან კვლავაც უცნაური შრიალი ესმოდა – თითქოს ავდრით გადატეხილი ვარჯები და მიმოფანტული ფოთლები წელში სწორდებოდნენ.

ის იდგა ვიწრო გასასვლელის ჩაკეტილ სივრცეში, რომელსაც გვერდებზე თხუთმეტი ნაბიჯით დაშორებული არცთუ მაღალი კედლები ზღუდავდა. თავს კვლავ დატყვევებულად გრძნობდა. მიდიოდა გაუბედავად, არ იცოდა რა ექნა, ამ დროს მარჯვნივ კედელში საკმაოდ ფართო ღრიჭო შეამჩნია, რომელშიც ადამიანი გავლას მოახერხებდა. ამ ღრიჭოსა და მოპირდაპირე მხარეს ჰაერში გადებული

ფიცარი აკავშირებდა. ფიცარი დაბალი რკინის გისოსებით ჩაკეტილ ბაქანს ებჯინებოდა, რომლის გვერდებზე მაღალი საცხოვრებელი სახლები ჩამწკრივებულიყო, ზურგშექცევით მდგარი და სხვადასხვა მხარეს მზირალი. ფიცრის ბოლოში, იქ, სადაც ფიცარი ბაქანს საა-ბორდაჟო ხიდივით ადგებოდა, პატარა კარი მოჩანდა.

იმდენად დიდი იყო სოვდაგრის ვაჟის მოუთმენლობა – როგორმე გაერღვია ამ შიშით, დაუცველობით შემოსაზღვრული სამყაროს ჩაკეტილი სივრცე – რომ იმწამსვე შედგა ფიცარზე, მეორე ნაპირს მტკიცედ მიაპყრო მზერა, დაიწყო მისკენ სვლა და მალე, თხრილის თავზე რამდენიმე სართულის სიმაღლეზე სივრცეში გამოკიდებ-ულმა, ქუსლებსა და მუხლებში იგრძნო შიში და კანკალი, თავბრუხ-ვევის უმწეობამ მოიცვა მთელი სხეული და სიკვდილის სიახლო-ვის გრძნობა დაეუფლა. დაიხარა, თვალი დახუჭა; მალე ცეცებით წინ გაწვდილმა ხელებმა იცნო კარის გისოსების რკინა, ჩაეჭიდა, იგრძნო მისი შემხვედრი მოძრაობა, რომლის მსუბუქმა ჭრიალმა სიკვდილის სუნთქვად დაუარა, და უმწეოდ ჩაბღაუჭებულმა კარი გამოაღო – მისკენ და უფსკრულისკენ. საკუთარ უსუსურობასა და სასოწარკვეთაში გრძნობდა, თუ როგორ უსხლტებოდა რკინის სრი-ალა ზედაპირი ხელიდან, იმ თითებიდან, ღონით ახლა ბავშვის სუსტ თითებს არაფრით რომ აღემატებოდა – აი, საცაა ხელს გაუშვებს და მასთან ერთად უკანასკნელ იმედს გამოეთხოვება, კედლის გას-წვრივ უფსკრულის ძირში რომ დაენარცხოს. მაგრამ კარის მოძრაობა შეჩერდა, უკანასკნელი ძალების მოკრებით აცახცახებული ტანი მოიქნია, ღრიჭოში გაძვრა და მიწაზე აღმოჩნდა.

სიხარული არ უგრძვნია; ამ უაზრო ტანჯვისადმი ზიზღით განმსჭვალული, ყრუ ტკივილის შეგრძნებით შევიდა ერთ-ერთ სახლში, ჩაიარა ბინძური კიბე და კვლავ საზარელ, უბადრუკ ქუჩაში გავიდა. უკვე დაღლილი და სევდიანი საიმედოს ვერაფერს იხსენებდა. ყველაფრისაგან უეცრად განძარცული, გამოფიტული, უსიცოცხლო, მიდიოდა ქუჩაში, გადადიოდა სხვაზე, და ასე შემდეგ, როგორმე მდი-დრებით დასახლებულ უბნამდე მიღწევის იმედით, სადაც შეძლებდა ღამის თავშესაფრის პოვნას, რადგან ძილი და მოსვენება სწყურო-და. მძაფრი, წმინდა ბავშვური მონატრებით ახსენდებოდა საკუ-თარი საწოლი, დიდი და მშვენიერი, ახსენდებოდა მეფეთა და მათი ცხოვრების თანამგზავრების, ქვეშევრდომი მეფეების ქალიშვილები-სთვის გაკეთებული წარსულის საწოლებიც, თავისთვის ოქროსი, სხვებისთვის – ვერცხლის; მხრებზე ლომ-არწივებითა და ფრთიანი ხარებით. ამ დროს მიადგა უბადრუკ სახლებს, ალბათ ყაზარმებს. მაგრამ ამას ახლა ყურადღებას აღარ აქცევდა. გისოსებიან ფან-ჯარასთან იდგა ორი ჯარისკაცი, სახეყვითელი, თვალებსევდიანი.

რაღაც დაუყვირეს. მან თავი ასწია. იმავდროულად ოთახიდან მომავალი მძიმე, უსიამოვნო სუნი ეცა. ვერ მიხვდა, რა უნდოდათ. ამან დათრგუნული, უაზროდ მავალი გამოაფხიზლა და, კარს რომ გაუსწორდა, ეზოში შეიხედა, დიდსა და სევდის მომგვრელში, შეღამებისას უფრო დიდი და უფრო სევდიანი რომ მოეჩვენა. ადამიანები თითქმის არ ჩანდნენ, ხოლო უბადრუკი, ბინძური სიყვითლე სახლებს კიდევ უფრო დიდსა და უკაცრიელს ხდიდა. თვალი მოჰკრა ერთ მწკრივში სოლებზე დაბმულ ოციოდე ცხენს. ყოველი მათგანის წინ ტიკის სამუშაო ხალათში ჯარისკაცი წამოწოლილიყო და ცხენს ფლოქვებს ბანდა. შორს ჩანდნენ ჭიშკრიდან მომავალი ჯარისკაცები, იმავე ტიკის ტანსაცმელში. მოდიოდნენ ნელა, ფლატუნით, მხარზე გაედოთ ტომრები. როცა ეს მდუმარე მსვლელობა მიუახლოვდა, თავმოუკრავ ტომრებში, რომელთა სიმძიმეს ძლივს უმკლავდებოდნენ, თვალი მოჰკრა პურს, მზერა მიადევნა, სანამ ჭიშკარში არ გაუჩინარდნენ, მძიმედ, ზანტად, თითქოს მიჰქონდათ ბოროტი და საზარელი ტვირთი – პური, ისეთივე ნაჭრისგან შეკერილი ტომრებით, რომლითაც მათი სიცოცხლის სევდა შემოსილიყო.

შემდეგ მივიდა ცხენების წინ წამოწოლილებთან და ფლოქვების ბანით დაკავებულებთან. შესახედავად იყვნენ ერთნაირი, ფანჯარასთან მდგომთა და პურის მზიდავთა მსგავსნი. მეზობელი სოფლებიდან თუ იყვნენ. ერთმანეთში თითქმის არ საუბრობდნენ. რადგან ცხენის წინა ფეხის დაჭერა უჭირდათ, თავებს ვერ იმაგრებდნენ და დაქანცული, მოყვითალო სახეები, თითქოს ძლიერი ქარის შემოტევას ვერ უმკლავდებოდნენ, აღმა-დაღმა უმოძრავებდათ. ცხენების უმეტესობას საზარელი თავი, უკან გადაწეული ყურები გამოარჩევდა, აწეული ზედა ტუჩი კი ეშვებს აშიშვლებდა და სახეს განსაკუთრებით ბოროტ იერს სძენდა, ისევე როგორც მოუსვენარი, ბოროტების მფრქვეველი თვალები, დამრეცად გამობერილი ნესტოები კი ჰაერს მოუთმენლად და უკადრისად ეხეთქებოდა. ყველაზე ღონიერი და ყველაზე ამაზრზენი იყო რიგში ბოლო – მის წინ ჩაცუცქებული და უზარმაზარი კბილებით მისი ფლოქვის შემშრალებით დაკავებული მამაკაცის გამუდმებით მხარზე კბენის ცდით გართული. კაცის ღრმად ჩავარდნილმა ლოყებმა, დაღლილ თვალებში დაბუდებულმა სასოწარკვეთამ სოვდაგრის ვაჟს ღრმა, მძაფრი თანაგრძნობა გაუღვივა. მოუნდა მისი ყოფის თუნდაც წამიერად გახალისება და ხელი ჯიბეში ჩაიყო, მაგრამ ვერაფერი იპოვა. გაახსენდა, რომ უკანასკნელი მონეტები გოგონას სათბურში მისცა, ასეთი გაბოროტებით რომ მიუყარა უკან. სამგზავროდ მომარაგებული ოქროს მონეტების პოვნაც კი სცადა.

ამ დროს ცხენმა თავი მოაბრუნა და შეხედა. ბოროტად უკან გადაწეული ყურები და თვალები, განუწყვეტლივ და მრისხანედ

რომ ატრიალებდა, მას კიდევ უფრო საზარელ, დაუნდობელ იერს ანიჭებდა, რადგან ისედაც შემზარავ სახეს, თვალებს ზემოთ, მთელ სიგანეზე იარა კვეთდა. ამ სახის დანახვაზე სხვა, დიდი ხნის წინ დავიწყებული გაახსენდა. ძალიანაც რომ ცდილიყო, ვერასოდეს შეძლებდა ამ სახის ნაკვთების მეხსიერებაში გაცოცხლებას, მაგრამ ახლა ის მის წინ იყო, ცოცხალი. თუმცა სხვას ვერაფერს იხსენებდა. უბრალოდ, ეს იყო ბავშვობის მოგონებები, მაშინ თორმეტი წლისა თუ იქნებოდა, რატომღაც გარჩეულ ტკბილ, თბილი ნუშის სუნთან შეზრდილი.

ამან გაახსენა – სახე, მისი უცნაურად მოქცეული ნაკვთები, მამის მაღაზიაში შემოსულ ერთ მახინჯ, ღარიბ კაცს რომ ეკუთვნოდა. რადგან ვერაფრით ათქმევინეს, თუ საიდან ჰქონდა დიდი ოქროს მონეტა და განუწყვეტლივ ემუქრებოდნენ, მუდმივი შიშისგან სახე ჰქონდა დაზაფრული.

მაშინ, როცა ეს ხილვა თანდათან, როგორც ავი ზმანება, ფერმკრთალდებოდა და ქრებოდა, თითები ტანსაცმელში კიდევ რაღაცას ეძებდა. უეცრად, გაუცნობიერებელმა აზრმა დააბრკოლა, ყოყმანით, დაეჭვებით შებოჭილმა ჯიბიდან ხელი ამოიღო და ამოყოლილი, ქაღალდში გახვეული ბივრილის სამკაული ცხენის ფეხებთან დაეცა. დახრილს თეძოში ცხენის მთელი ძალით მოქნეული წიხლი მოხვდა და უკან გადააგდო. ზურგზე დაცემულს, ხმამაღალი კვნესა აღმოხდა, მუხლები ჰაერში დარჩა და, გამწარებული, სასოწარკვეთილი მიწას ქუსლებს ურტყამდა. ორმა ჯარისკაცმა ხელი მხრებსა და მუხლებქვეშ მოჰკიდა და წამოაყენა. ცხვირში ეცა მათი ფარაჯის მძაღე სუნი, იგივე ნესტიანი, სასოწარმკვეთი ოხშივარი, უფრო ადრე ფანჯრიდან მომავალი და ქუჩაში შესუნთქული. იხსენებდა, თუ რას აგონებდა ეს სუნი შორეული ბავშვობიდან და ამ დროს გული შეუღონდა. ის სახლისკენ წაიყვანეს, პატარა კიბით დერეფანში, შემდეგ ოთახში აღმოჩნდნენ, სადაც რკინის დაბალ საწოლზე დააწვინეს, გაუჩხრიკეს ტანსაცმელი, ძეწკვი და შვიდი ოქროს მონეტა ამოაცალეს და მისი გაუთავებელი კვნესით შეწუხებულები, ოთახიდან დასტაქრის მოსაყვანად გავიდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ თვალები გაახილა და თავი კვლავ მტანჯველი ტკივილის ტყვეობაში შეიგრძნო. თუმცა ამ უიმედო, სასოწარმკვეთ ოთახში უფრო მეტად სიმარტოვე აშფოთებდა. გაჭირვებით მიაპყრო მზერა უკანასკნელი იმედის ჩამკვლელ ოთახის კედელს და სამი პური შეამჩნია, ტომრებში თვალმოკრულის მსგავსი.

ოთახში – არაფერი, მხოლოდ გამხმარი ლერწმით სავსე საწოლები და იგივე მძაღე, ნესტიანი სუნი.

ერთხანს მძაფრ ტკივილსა და მოახლოებულ სიკვდილზე ფიქრობდა, რომლის შიში ზარავდა და რომელთან შედარებითაც ეს ტკივილი

შვებად ეჩვენებოდა. შემდეგ ამ შიშმაც უკან დაიხია და ახლა თავს გარდამხდარს იხსენებდა.

ახლა სხვა სატკივარი აწუხებდა. რაღაც სხვა შფოთვა დაეუფლა, ის მთელ სხეულში ჭვალივით ჩხვლეტდა, თუმცა ნაკლებად დამთრგუნველი იყო და მსგავსი სხვა დროსაც უგრძვნია და თითქოს გადალახულიც კი ეჩვენებოდა. თავის მსახურებს მუშტები მოუღერა და დასწყევლა – ისინი, ვინც სიკვდილის პირამდე მიიყვანა, ის, სრულიად ახალგაზრდა: ოქროულობით მოვაჭრე მოხუცი, გოგონა უკანა ოთახიდან და ბავშვი თავისი ზარდამცემი მსგავსებით, რის შემდეგაც თავი ციცაბო კიბესა და ფიცრის ხიდზე წარმოიდგინა, შემდეგ ცხენის ფლოქვების ქვეშ, ბოლოს კვლავ ტკივილების სამყაროში დაბრუნდა და პატარა ბავშვივით ატირდა, არა ტკივილის, არამედ ტანჯვის შეგრძნებისგან, და აცახცახებულ ყბებს ვეღარ იმორჩილებდა.

წარსულში სიმწრით იყურებოდა და ყველაფერს, აქამდე მისთვის ძვირფასს, უარყოფდა. ნაადრევი სიკვდილით გამოწვეული ზიზღი იყო იმდენად დიდი, რომ მთელ მის სიცოცხლეზე ვრცელდებოდა, რამაც იგი აქამდე მიიყვანა. ამ ბოლო აღტყინებამ საბოლოოდ გამოფიტა. თავბრუ ეხვეოდა, ერთხანს ჩათვლიმა და ეძინა ფხიზელი, ზერელე ძილით. როდესაც გაიღვიძა, უნდოდა დაეყვირა, რადგან კვლავ მარტო იყო, მაგრამ ხმა წართმეოდა. შემდეგ პირიდან ნაღველი, სისხლი გადმოუვიდა, ნაკვთები დაეკრუნჩხა და სული დალია. – ტუჩები მთლიანად მოეკვნიტა, უფრო მოეჭამა, და გაშიშვლებულ პირში საზარლად მოუჩანდა დაკრეჭილი კბილები და გაშიშვლებული ღრძილები, რაც მას უცხო, ბოროტ გამომეტყველებას აძლევდა.

ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი

მხედრის ისტორია

1848 წლის 22 ივლისს, ადრიან დილით, ვალმოდენის კირასირების მეორე ესკადრონმა – ასშვიდი მხედრისგან შემდგარმა მზვერავთა ჯგუფმა – როტმისტრ ბარონ როფრანოს მეთაურობით დატოვა სააგარაკო სახლი სან ალესანდრო და ჭენებით მილანისკენ გაეშურა. მზის სხივებით დატბორილ, ვრცლად გადაშლილ ლანდშაფტზე უჩვეულო სიჩუმე გამეფებულიყო; შორი მთების მწვერვალებზე გაწოლილი დილის ღრუბლები მსუბუქ ბოლად მიიწევდნენ მაღლა, ნათელი ცისკენ; ყანებში სიმინდზე ფოთოლიც არ იძროდა, გზად, დროდადრო, შეჯგუფებულ ხეებს, ამ დაბანილ-დავარცხნილ, კოხტა არსებებს შორის ეკლესია ან სააგარაკო სახლი გამოკრთებოდა. ჯგუფი საკუთარი არმიის წინა ხაზს ერთი მილის მანძილზე თუ იქნებოდა დაშორებული, როდესაც ყანებში თოფის ლულებმა გაიელვა და მეწინავეებმა დანარჩენებს მტრის ფეხოსნების სიახლოვე ამცნეს. ესკადრონმა გზიდან გადაუხვია, იქვე, შორიახლოს შეჩერდა, საომრად გადაეწყო და შეტევისთვის მოემზადა. ტყვიები მეომრების თავებს ჩვეული ზუზუნის ნაცვლად უცნაური კნავილით ევლებოდა, მაგრამ ამან ისინი არ დააფრთხო, მათ მოწინააღმდეგეს მოკლეზე, მინდვრით შეუტიეს და მეჩხრად შეიარაღებული მტერი წინ მწყრებივით გაირეკეს. ეს უცნაურქუდიანი არსებები მანარასის ლეგიონის მეომრები აღმოჩნდენ. ისინი კაპრალსა და რვა რიგითს ჩააბარეს და ზურგში გააგზავნეს. ერთი მშვენიერი ვილის წინ, რომელთან მისასვლელ გზას ორივე მხარეს კვიპაროსები მიუყვებოდა, მეწინავეებმა საეჭვო პირები შენიშნეს. ვახმისტრი ანტონ ლერჰი ჩამოქვეითდა, თორმეტი კარაბინით შეიარაღებული მეომრის დახმარებით სახლის ფანჯრები ალყაში მოაქცია და პიზელთა ლეგიონის თვრამეტი

სტუდენტი დაატყვევა – ერთნაირი ვარცხნილობით, საშუალოდ შეკრეჭილი თმითა და ასევე ერთმანეთის მსგავსი ნატიფი თეთრი ხელებით გამორჩეული ზრდილი, ლამაზი გარეგნობის თვრამეტი ყმანვილი. ნახევარი საათის შემდეგ კი ესკადრონმა ბერგამოელის ტანსაცმელში გამონყობილი კაცი შეიპყრო – მეომრებს ეჭვი მისმა უწყინარმა სახემ, მეტისმეტად ყოველდღიურმა იერმა აღუძრა, და, მართლაც, მას პიჯაკის სარჩულში ჩაკერებული ჯუდიკარიაში პარტიზანული დაჯგუფების შექმნისა და მისი პიემონტის არმიასთან თანამშრომლობის დეტალური გეგმა აღმოაჩნდა. 10 საათისთვის კი მზვერავთა ჯგუფს ხელში საქონლის ნახირი ჩაუვარდა. მხოლოდ ამის შემდეგ წაანყდნენ მეომრები გაცილებით უკეთ ორგანიზებულ მოწინააღმდეგეს. დამხვდურებმა მომხდურებს სასაფლაოს კედლიდან ცეცხლი გაუხსნეს. მეომრები არც ახლა დაიბნენ – ლეიტენანტ გრაფ ტრაუტზონის მეწინავეთა ჯგუფი ღობის დაბალ კედელს გადაახტა და საფლავებს შორის გაფანტული, უკვე სრულიად დაბნეული მტრის რიგებში შეიჭრა, რომელთაგან უმეტესობამ თავი ეკლესიას და იქიდან, საეკლესიო სამოსის საცავის გავლით, ხშირ ტყეს შეაფარა. ოცდაშვიდმა ტყვემ მათ თავი პაპის ოფიცრებს დაქვემდებარებულ ნეაპოლელ პარტიზანად წარუდგინა. ესკადრონს ერთი მოკლული ჰყავდა. ტყის შემოვლისას ეფრეიტორმა ვოტრუბეკმა და დრაგუნებმა ჰოლმა და ჰაინდლმა ხელში მსუბუქი ჰაუბიცა ჩაიგდეს, ორი მუშა ცხენითურთ, და თან წამოიყვანეს. ეფრეიტორი ვოტრუბეკი, როგორც მსუბუქად დაჭრილი, მომხდარი შეტაკებებისა და სხვა წარმატებული ეპიზოდების შესახებ პატაკით უკან გააგზავნეს, მათთან ერთად ტყვეებიც, ჰაუბიცა კი ესკადრონმა, ესკორტისთვის გამოყოფილი მეომრების გამოკლებით ახლა სამოცდათვრამეტ მეომარს რომ ითვლიდა, თავისთან დაიტოვა.

მას შემდეგ, რაც ტყვეთა მონაყოლიდან – მით უფრო დამაჯერებლიდან, რომ ყველა ერთსა და იმავეს ამტკიცებდა – გაირკვა, რომ მილანი მტრის როგორც რეგულარულ, ასევე პარტიზანულ შენაერთებს მთლიანად დაეტოვებინა, და ისიც, რომ ქალაქი ყოველგვარი საომარი აღჭურვილობის გარეშე დარჩენილიყო, როტმისტრისთვის ძნელი იყო ეთქვა უარი – არა მარტო საკუთარი თავისთვის, არამედ ესკადრონისთვისაც – მათ წინ გადაშლილ ამ დიდ, ლამაზ და დაუცველ ქალაქში შესვლის სიამოვნებაზე. შუადღის ზარების ფონზე ოთხი საყვირი საზეიმო მარშს აგუგუნებდა, რომლის ფოლადისფრად მოელვარე მძლავრი ტალღები ჯერ ცას აწყდებოდა, შემდეგ კი ათასობით ფანჯრის მინას ეხეთქებოდა და არეკვლისას უკან გამოტყორცნილი ახლა სამოცდათვრამეტ კირასირზე, სამოცდათვრამეტ ზეაღმართულ, გაშიშვლებულ მახვილზე გარდატეხილ ექოთა

სიმრავლედ ნაწევრდებოდა და იფანტებოდა; აფორიაქებული მოქალაქეები გზის ორივე მხარეს გროვდებოდნენ მათ, მყუდროებადარღვეული ჭიანჭველების ბუდის ბინადართ, სახეებზე გაკვირვება და დაბნეულობა აღბეჭდოდათ; ლანძღვა-გინებით გულის მოოხების ამარა დარჩენილი გაფითრებული სახეები სახლების კარების მიღმა ქრებოდნენ და სადღაც სიღრმეში იკარგებოდნენ, მშვენიერ მანდილოსანთა მაცდუნებლად მომხიბვლელი შიშველი ხელები უკვე ჩაძინებულ ფანჯრებს აღებდნენ; მეომრების მზერის წინაშე, ერთმანეთის მიყოლებით, სწრაფად ჩნდებოდნენ და სწრაფადვე უჩინარდებოდნენ სანტა ბაბილა, სან ფედელე, სან კარლოს სახელგანთქმული მარმარილოს კათედრალური ტაძარი, სან სატირო, სან ჯორჯო, სან ლორენცო, სან ეუსტორჯო; იღებოდა მათი უძველესი ბრინჯაოს ჭიშკრები და იქიდან, სანთლის მკრთალ შუქზე, საკმეველის აღმავალი მკვრივი, სურნელოვანი ნისლის ფონზე, ვერცხლის წმინდანები კეთილგანწყობილად იმზირებოდნენ, ხოლო ფარჩაში გამოწყობილი ქალები, რომელთა სახეებს თვალებში ჩამდგარი მცხუნვარე მზის ელვარება განსაკუთრებულ, წმინდა სამხრეთულ ვნებიან ეშხს სძენდა, მეომრებს თავს კეთილგანწყობის ნიშნად უქნევდნენ; ათასობით მანსარდიდან, ჭიშკრის ბნელი თაღებიდან, დაბალჭერიანი ტრაქტირებიდან სავარაუდო სროლისთვის დაძაბული მზადყოფნა გამოსჭვიოდა, ყველგან უმწიფარი გოგო-ბიჭები ირეოდნენ – თვალს ხვდებოდა შავი თმის ბზინვარებით ხაზგასმული მათი კბილების სითეთრე. სისხლით ნაპკურები მტვრის მკვრივი ბადის მიღმა მიდამოს განჭვრეტას ჩორთით მავალი ცხენების მხედართა ანთებული თვალები ცდილობდნენ; და ასე ამაყად, ყელმოღერებულად – მთელი გზის მანძილზე, ვენეციის ალაყაფის კარიდან, საიდანაც შევიდნენ, ვიდრე ტიჩინოს ჭიშკრამდე, საიდანაც დატოვეს იგი – განვლო ესკადრონმა ქალაქი მილანი.

უკანასკნელად ნახსენები ჭიშკრიდან არცთუ შორს, იქ, სადაც ფერდობზე შეფენილი კოხტა, ლამაზი ჭადრები მოჩანდა, ვახმისტრი ანტონ ლერჰი ახალი, ღია ყვითლად შეღებილი სახლის პირველი სართულის ფანჯარაში ქალის ნაცნობი სახის გამოჩენას ელოდა. თუმცა ცხენის შეცვლილმა ნაბიჯმა იმავე ცნობისმოყვარეობის სხვა მხარეს მიმართვა და უნაგირზე უკან მოტრიალება აიძულა, ვინაიდან ამან ეჭვი წინა ფეხის ნალსა და ფლოქვს შორის გაჭედილ ქვაზე აღუძრა. ის ესკადრონის ბოლოში მოძრაობდა – ამდენად სულ ადვილად, სხვებისთვის ხელშეუშლელად შეეძლო მწყობრის დატოვება – რამაც, ადრინდელ მიზეზთან ერთად, მასში გაღვიძებული ჩამოხდომის სურვილის განხორციელების შესაძლებლობა მისცა, ისიც ჩამოქვეითდა და ცხენს ხსენებული სახლის მდელოსკენ გაუძღვა. აუწია თუ არა

თავის წაბლას თეთრ დამცავნახვევიანი ფეხი, გაიღო პირდაპირ მდელოზე გამომავალი სახლის კარი და მასში ქალური ფორმების სიმდიდრე-სისავსით გამორჩეული მომხიბვლელი ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა, მის უკან – ნათელი ოთახი, რომლის ფანჯრის რაფებზე ბასილიკისა და გერანიუმის ყვავილებიანი ქოთნები, უფრო შორს კი – მაჰაგონის კარადა და ფაიფურის მითოლოგიური ფიგურების ჯგუფი. მის გამახვილებულ მზერას არც წინ, ტრიუმოში არეკლილი მოპირდაპირე კედელი გამორჩენია და არც თეთრი საწოლითა და შპალერით შენიღბული კარი, რომელშიც მსუქანი, სუფთად გაპარსული, ხანდაზმული მამაკაცი გაუჩინარდა.

ვახმისტრს გაახსენდა ქალის სახელი და კიდევ ბევრი სხვა რამ: რომ ის იყო კონტროლის პალატის ხორვატი უმცროსი მოხელის ქვრივი თუ მას გაცილებული და, ისიც, რომ ცხრა თუ ათი წლის წინ ქალის და მისი მაშინდელი საყვარლის საზოგადოებაში მთელი საღამო და ღამის ნახევარი გაატარა, და ახლა მისი ახლანდელი ხორცსავსე სხეულის მიღმა უწინდელი გამხდარი, და მაინც ვნების აღმძვრელი ტანის წარმოდგენას ცდილობდა. მის გვერდით მყოფმა კი – დღევანდელმა, არაწარმოსახვითმა – გაუცინა. მისმა პირმოთნეალერსიანმა სლავურმა ღიმილმა მხედრის სისხლის მძლავრი ნაკადი წამიერად ღონიერი კისრისა და თვალებისკენ მიმართა, მაშინ, როდესაც ქალის საუბრის კეკლუცი მანერა, დილის ტანისამოსი, ნივთები და ოთახში მათი მყუდრო განლაგება, მას, მეომრული ყოფის სიდუხჭირეს გაშინაურებულს, აბნევდა და აცბუნებდა. წამის შემდეგ კაცმა მძიმე მზერა უკვე ქალის თმაში დამაგრებულ სავარცხელზე მოძრავ დიდ მწერზე შეაჩერდა, და, თითქოს მხოლოდ ამით დაკავებული, იმაზეც ფიქრობდა, თუ მწერის განდევნის ცდაში როგორ აღმოჩნდებოდა მისი ხელი ქალის ქათქათა კისერზე, ერთდროულად თბილსა და გრილზე, და ამ დროს, მოულოდნელად, მასში დღევანდელი წარმატებული ბრძოლების და სხვა იღბლიანი შემთხვევების მოგონებები წამოიმართა, მთლიანად დატბორა მისი არსება და ვერც კი შეამჩნია, თუ როგორ დააწვა ხელით ქალის თავს, გადმოხარა წინ და წარმოთქვა: „ვუიჩ“ – ქალის გვარი, რომელიც მას, რა თქმა უნდა, ამ ათი წლის განმავლობაში არც უხსენებია, არც გახსენებია და მისი ნათლობის სახელიც დავიწყებული ჰქონდა –, „რვა დღის შემდეგ დავბრუნდებით და აქ დავიდებ ბინას“, და ოთახის შეღებულ კარზე მიუთითა. ამ დროს სახლიდან კარების თანამიმდევრული დაკეტვის ხმა მოისმა, რამდენიმესი თანამიმდევრულად. ცხენმა კი – ჯერ უხმოდ, თავის მოუთმენელი მოძრაობით, მხედრამდე აღვირის მეშვეობით რომ მიაღწია, შემდეგ უფრო მკაფიოდაც, როდესაც თანამოძმეებს ჭიხვინით გამოეპასუხა და მათკენ გაიწია – თითქოს მოვა-

ლეობები შეახსენა. გამოფხიზლებული ვახმისტრი ცხენს მოაჯდა და ესკადრონს ჩორთით მიჰყვა ისე, რომ ვუიჩისგან არ მიუღია პასუხი სხვა, შეცბუნებული ღიმილის გარდა, ვაჟმა, უკან გადაწეული თავით თვალმოკრული, თან რომ გაიყოლია. წარმოთქმული სიტყვა საცნაურს მთქმელის ძალას ხდიდა. როტმისტრი მეომართა კოლონას გვერდით ნელი ნაბიჯით მიჰყვებოდა, მძიმე, გავარვარებული ლითონივით მცხუნვარე ცის ქვეშ, ესკადრონის მსვლელობას დადევნებულ მტვრის ღრუბელზე მზერამიპყრობილი და ჩაფიქრებული, თითქოს ნანახი ოთახის მყუდრო გარემოს გაშინაურებას საკუთარი შთაბეჭდილებების თავმოყრითა და მოვლენების წინჭვრეტით, საკუთარი თავის მაჰაგონის კარადის, ბასილიკის ქოთნის და მათთან ერთად ასე ნანატრი მშვიდობიანი, სამოქალაქო ცხოვრების ატმოსფეროში წარმოდგენით ცდილობდა, რომლის მიღმაც, რაღაც საომარი განწყობა მაინც გამოსჭვიოდა, მსუბუქი, სასიამოვნო ძალადობისა და სიმყუდროვის, ოღონდ სამსახურეობრივი სუბორდინაციის გარეშე, ეს იყო შინაურული გარემო, მსუბუქი ფლოსტებისა და საშინაო ხალათის მარცხენა ჯიბეში უდარდელად გაყრილი რაპირის ვადის. ყველაფერ ამაში კი მნიშვნელოვან როლს შპალერით შენიღბულ კარში გამქრალი გაპარსული, მსუქანი მამაკაცი – რაღაც საშუალო სასულიერო პირსა და პენსიაზე გასულ მსახურს შორის – თამაშობდა, ლამის იმაზე მეტს, ვიდრე ლამაზი, ფართო საწოლი და ვუიჩის ნატიფი, თეთრი კანი. მალე გაპარსულმა დაიკავა ნდობით აღჭურვილი, ერთგვარი მორჩილი მეგობრის ადგილი, რომელიც კარის ჭორებს უყვებოდა, თამბაქოთი ამარაგებდა, მოჰყავდა დაკოდილი მამალი, ხან კი, ყველანაირ ინტრიგაში ჩართული, კედელს მიყრდნობილი, დუმილისთვის გადახდილ თანხას ითვლიდა: პიემონტელების ნდობით აღჭურვილი პირი, რომის პაპის მზარეული, მაჭანკალი, საეჭვო სახლებისა და ბაღის ფანჩატურების მფლობელი, პოლიტიკური შეხვედრების მომწყობი და მათი ხელშემწყობი, იქცა შეშუპებულ გოლიათურ არსებად, რომლის სხეულიც, ოც ადგილზე გახვრეტისას, ნაცვლად სისხლისა ოქროდ დაიწრიტებოდა.

ნაშუადღევის შემდგომ ესკადრონს ახალი არაფერი შემთხვევია, ამდენად, არც ვახმისტრის ოცნებებს აფერხებდა რამე. და აღმოცენდა მასში სურვილი და იმედი მოულოდნელი შენაძენით გამდიდრებისა – ფულადი ჯილდოსი, ჯიბეში დუკატების ჩაჩხრიალებისა, რადგან ფიქრი მაჰაგონის ავეჯით გაწყობილ ოთახში მომავალ დამკვიდრებაზე იყო ვით ხიჭვი სხეულში, რომლის ირგვლივაც იყრიდა თავს მისი დაუოკებელი სწრაფვა-ვნებანი.

როდესაც საღამოსკენ მეომრების ჯგუფი, საძოვარზე ნამყოფ და ნებაზე მიშვებულ, სულმოთქმულ ცხენებზე ამხედრებული, თაღოვან

გასასვლელში ლოდისა და ადის ხიდისკენ გზას ეძებდა, სადაც სულ ადვილად შეიძლებოდა მტერს გადაჰყროდა, ვახმისტრმა მოშორებით, ტაფობის ჩრდილის სიმუქეში გაფანტული სახლები შეამჩნია. ეს იყო სოფელი, დანგრეული ზარების კოშკით, მაცდუნებლად საეჭვო, იმდენად, რომ რიგითებს ჰოლსა და სკარმოლინს თვალით ანიშნა და მათთან ერთად ესკადრონის მარშს ჩამოსცილდა. ის სოფელში თითქმის დაუცველი გენერლის თავზე უეცარი დადგომით მის დატყვევებას, ან რაღაც სხვა გზით, განსაკუთრებული ფულადი ჯილდოს მოპოვებას იმედოვნებდა – იმდენად აღგზნებულიყო მისი წარმოსახვა. როდესაც ამ ცარიელ, მიყრუებულ ადგილს მიაღწიეს, სკარმოლინსა და ჰოლს სოფლისთვის ორივე მხრიდან შემოვლა უბრძანა, თვითონ კი, პისტოლეტით ხელში, ცხენიდან ჩამოუსვლელად, გზების დათვალიერებას შეუდგა. მაგრამ მალევე, ფეხქვეშ ცხიმგადასხმული ქვის ფილების შეგრძნებისას, ცხენი გაჩერდა. სოფელში მძიმე, მკვდარი სიჩუმე ჩამოწოლილიყო; არავინ ჩანდა, არც ბავშვი, არც ფრინველი – სიოც კი არ უბერავდა. არაფერი ცოცხალი ან მოძრავი; მარჯვნივ და მარცხნივ – მხოლოდ ბინძური ქოხმახები. მათი, ერთ დროს შელესილი კედლებიდან ხსნარი ჩამოცვენილიყო, შიშველი აგურები კი რაღაც საზარელი ნახატებით აეჭრელებინათ; ღია კარის ამყოლებს გაცდენილი მზერა შიგნით, აქა-იქ, ნახევრად შიშველ, საეჭვო ბინადრებს აწყდებოდა, რომლებიც საწოლზე უსაქმურად გორავდნენ ან გაჭირვებით გადაადგილდებოდნენ – ამოვარდნილი ან ნაღრძობთეძოებიანი არსებები. ცხენს მოძრაობა უჭირდა და უკანა ფეხებს, თითქოს ტყვიისას, მძიმედ მიათრევდა. როცა უკანა ფეხებზე ნალის სანახავად დაიხარა, მისკენ მომავალი ადამიანის ფეხების ფლატუნის ხმა მოესმა – ეს იყო ქალი, თუმცა სახე ვერ გაარჩია. ამ სახელდახელოდ ჩაცმული საფრთხობელის ბინძურ ქოშებში გაყრილ ფეხებს ადევნებული, დაფლეთილი, ყვავილებიანი აბრეშუმის ჭუჭყიანი ქვედატანი, გზის გვერდზე წყლის ბინძურ კალაპოტში მიეთრეოდა; ქალი ცხენთან ისე ახლოს აღმოჩნდა, რომ ნესტოებიდან წამოსულმა ჰაერმა მისი ძველი ჭილის ქუდს უკან, კისერზე გადაფენილი, ცხიმით გაპოხილი მბზინავი კულულები მსუბუქად შეათამაშა. ის პირდაპირ, აუჩქარებლად მიდიოდა და გვერდი არც მხედრისთვის აუვლია. მარცხნიდან, კარის ზღურბლიდან, შუა ქუჩაში ორი, ერთმანეთს კბილებით ჩაფრენილი გასისხლიანებული ვირთხა გადმოგორდა. მალე ქვემოთ მოქცეულმა ისე სასოწარმკვეთად დაიწრიპინა, რომ ვახმისტრის ცხენი გაჩერდა, თავი დახარა და სუნთქვაგახშირებული მიწას მიაშტერდა. გზის გაგრძელება მხოლოდ ფერდზე ხელის კვრამ აიძულა, ქალი კი სახლის დერეფანში გაუჩინარდა და თან საკუთარი სახის საიდუმლოება გაიყოლია. უახლოესი სახლიდან ძვირფასი ნადავ-

ლის, ძვლის დამალვის სურვილით შეპყრობილი ძაღლი თავაწეული მოიჩქაროდა და მის ჩაფლვას შუა ქუჩაში, ქვაფენილის ღრიჭოებში ცდილობდა. ეს თეთრი, ჭუჭყიანი ძუკნა, დაბლა დაკიდებულ ძუძუებს ლამის მიწაზე მიათრევდა და მიზნის მიღწევას სატანური გაშმაგებით ცდილობდა, ხოლო წარუმატებელი ცდის შემდეგ ძვალი სხვა ადგილზე გადაჰქონდა. ასე გართულს თავს კიდევ სამი თანამოძმე დაადგა: თვალში გხვდებოდათ ორის, ტანითაც და ასაკითაც პატარის, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ძვლები და მომჩვარული, ჩამოკიდებული ტყავი; მიჰყვებოდნენ ერთმანეთს, დრუნჩზე უღონოდ ეკიდათ ბლაგვი კბილები, ვერშემძლე კბენისა თუ ღრენის. მათი თანმხლები, ღია ყვითელი ლევრეტი, უსაშველოდ გასივებული, ოთხ წვრილ ფეხზე გადაადგილებას ძლივს ახერხებდა. მსუქან ტანზე ტყავი დოლზე გადაჭიმულივით, თავი კი მეტისმეტად პატარა მოუჩანდა; ასევე პატარა, მოუსვენარ თვალებში ტკივილი და შიში დაბუდებულიყო. მათ იმწამსვე კიდევ ორი ამხანაგი შემოუერთდათ: ერთი გამხდარი, თეთრი, რომლის თვალებშიც, საიდანაც ორი შავი ღარი ეშვებოდა, საზარელი სიხარბე დაბუდებულიყო და ერთიც მაღალ, წვრილ ფეხებზე შემდგარი უბადრუკი ტაქსა. ამ უკანასკნელმა თავი ასწია და ვახმისტრს მიაპყრო მზერა. ის, ალბათ, ძალზე ბებერი იყო. თვალები ჰქონდა სევდიანი, უსასრულოდ დაღლილი. ძუკნა მხედრის წინ აქეთ-იქით უაზროდ დარბოდა; ორივე პატარა უხმაუროდ ცდილობდა პირი ცხენის დუშაყისთვის ჩაევლო, ლევრეტი კი თავის საზარ ტანს ფლოქვების წინ მიათრევდა. წაბლა ფეხის გადადგმას ვეღარ ახერხებდა. ვახმისტრმა ერთ-ერთს პისტოლეტი დაუმიზნა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც იარაღმა უმტყუნა, ცხენს ორივე დეზი ჰკრა და გააჭენა, ისე მკვეთრად, რომ ნალის ქვაფენილზე მოჭიდების მჭახე ხმა ყურს კაწრავდა. თუმცა ახლა გზაზე ძროხა გადაეღობა და ცხენი ისევ გაჩერდა. ძროხამ, რომელიც ბიჭს დასაკლავად მიჰყავდა, სისხლის ყნოსვისას და კარიბჭეზე დაკიდებული ახალგატყავებული შავი ხბოს ტყავის დანახვისას, დამფრთხალმა უკან დაიხია, გაჯიქდა, ფეხებით მიწას ეჭიდებოდა, საღამოს მზის შუქით შეფერილ ჰაერს გაფართოებული ნესტოებით ხარბად ისრუტავდა და, ვიდრე ბიჭი გზის გაგრძელებას მათრახითა და თოკით აიძულებდა, საცოდავმა ლუკმის იმ თივიდან მოხელთება მოასწრო, ვახმისტრს უნაგირზე რომ დაემაგრებინა. ამასობაში უკან დარჩა სოფლის უკანასკნელი სახლი და ახლა, ორ დაბალ, დაცხავებულ კედელს შუა ჭენებისას, უკვე შეეძლო ძველი, ერთთაღიანი ხიდის იქით, მიტოვებული საფლავის უკან, გზის საკმაოდ გრძელი მონაკვეთისთვის თვალის შევლება, მაგრამ ცხენის ნაბიჯში ისეთ უჩვეულო სიმძიმეს – წინსვლის სურვილის თუ უნარის არქონას – გრძნობდა, რომ კედლებზე მიპყრობილი მზერი-

სას, მარჯვნივ თუ მარცხნივ, ცხენის ნაბიჯის შესაბამის დროის მონაკვეთში, იქაური მრავალფეხები და ცხრაფეხები, სრულიად მშვიდად, არცთუ მცირე მანძილის გავლას ახერხებდნენ. ეჩვენებოდა, რომ ამ საზარელ სოფელს ვეღარ გააღწევდა. დაძაბულად მქშინავი ცხენი უცნაურ ხმებს გამოსცემდა; და რადგან უჩვეულო ხმების ბუნება და წარმომავლობა ვერ გაერკვია და მიზეზს სადღაც სხვაგან – მაღლა, გვერდით, წინ – ეძებდა, ბოლოს შორსაც გაიხედა და ქვის ხიდის გადაღმა, ხიდიდან იმავე მანძილით დაშორებულ, მის შესახვედრად მოძრავ მხედარს, თავისივე პოლკიდან, სწორედ ვახმისტრს და ისეთსავე, ფეხზე თეთრნახვევიან წაბლა ცხენზე, მოჰკრა თვალი. კარგად იცოდა, რომ მთელ პოლკში ასეთი ცხენი მხოლოდ მას ჰყავდა, ხოლო მხედრის სახეს ვერა და ვერ არჩევდა, მოუთმენელმა, ცხენს დეზებით ნაბიჯიც კი ააჩქარებინა, რასაც შემხვედრმა ფეხების იმავე მოძრაობითა და ცხენის სვლის იმავე აჩქარებით უპასუხა ისე, რომ ახლა მათ ქვის სროლის მანძილიღა აშორებდათ. ორივე ცხენი ხიდს თავ-თავისი მხრიდან მიუახლოვდა და ხიდზე ორივემ იგივე თეთრნახვევიანი ფეხი ერთდროულად შედგა. მზერაგაქვავებულმა ვახმისტრმა ამ ხილვაში საკუთარი თავი ამოიცნო. გაოგნებულმა ცხენის აღვირი მკვეთრად მოსწია და მარჯვენა ხელი გაშლილი თითებით ამ არსებისკენ გაიშვირა, რასაც მოპირდაპირე მხრიდან იმავე მარჯვენა ხელის აღმართვა და მოძრაობის შესაბამისი გაგრძელება მოჰყვა. ხილვა გაქრა ისევე უეცრად, როგორც გამოჩნდა. ხოლო მიტოვებული საფლავებიდან, მისგან მარჯვნივ და მარცხნივ, რიგითები სკარმოლინი და ჰოლი ამოიზარდნენ, ჩვეულებრივები და უშფოთველები. იქვე ახლოს, საძოვრიდან პოლკის მესაყვირეების სიგნალი გაისმა – „შეტევა". მან ნაბიჯს აუჩქარა, დაოთხილი ცხენით ბორცვზე აიჭრა და ასევე ტყისკენ ოთხით მიმავალი ესკადრონის სიახლოვეს აღმოჩნდა, საიდანაც სასწრაფოდ შუბებით შეიარაღებული მტრის მხედრობა გამოეფინა; და მაშინ, როდესაც ოთხ თავისუფალ აღვირს თავი მარცხენა ხელში მოუყარა, ხოლო ხელის ღვედი მარჯვენაზე შემოიხვია, შეამჩნია, რომ ესკადრონს გამოყოფილმა მეოთხე ოცეულმა სვლა შეანელა. ამ დროს მიწაზე მდგომი ვახმისტრი ცხენების გაუთავებელ თქარათქურს უკვე ერთიან, დაუნანევრებელ გუგუნად აღიქვამდა, შემდეგ წამს მტრით, უამრავი ხიფათით გარშემორტყმულს, ირგვლივ აღმართული მტვრის ღრუბლების მკვეთრი სუნი ეცა და, უეცრად, მის წინ მოწინააღმდეგის ცისფერუნიფორმიანი, შუბიანი ხელი აღიმართა, რომელსაც სწრაფად დაჰკრა ხმალი. იქვე, გვერდზე, როტმისტრის ფართოდ გახელილმა თვალებმა და მრისხანედ დაკრეჭილმა კბილებმა გაიელვა, შემდეგ – სრულიად უცხო სახეებისა და ფერების ალყაში – მან გაშიშვლებული მახვილების ქვეშ დაყვინთა, უახლოეს

მტერს ყელში ეძგერა, ცხენიდან გადმოაგდო და, ბოლოს, უკვე რიგითი სკარმოლინის – მოცინარმა აღვირჩაჭიდებული ხელის თითი მტრის ცხენს ყელში რომ ატაკა – გვერდით მდგომმა, იგრძნო: ხელჩართულ ბრძოლაში მონანილეთა რიცხვი თანდათან მეჩხრდებოდა, მაგრამ მოულოდნელად ნაკადულის პირას, მეორე ნაპირზე მოხვედრის მსურველი, ჭრელ ცხენზე ამხედრებული მტრის ოფიცრის უკან აღმოჩნდა, სრულიად მარტო. ცხენი უარზე იყო. ოფიცერმა ის შემოატრიალა და ვახმისტრს შეეჩეხა, ამ უკანასკნელმა არ აცალა, ელვისებურად მახვილი გაღებულ პირში ატაკა, რომელიც მან საოცარი სიმსუბუქით გაკვეთა და მეორე მხარეს დაუბრკოლებლად გააღწია, რადგან მის პატარა წვერში გაჭენებული ცხენისა და მხედრის მთელ ინერციას მოეყარა თავი. ვახმისტრმა ხმალი ამოაძრო, აღვირი ზუსტად იქ აიტაცა, სადაც წამის წინ ხელი მოკლულს ეკიდა, და ცხენი შეაკავა, ის ოდნავ შეყოვნდა და მომაკვდავ პატრონს მსუბუქად და კეკლუცად გადააბიჯა.

ნადავლითურთ უკან დაბრუნებისას მძიმედ ჩამოწოლილ ჰაერში ჩამავალი მზის სხივები საძოვარს უჩვეულო, მძაფრი სიწითლით აფერადებდა – იქაც კი, სადაც ფლოქვების ნაკვალევი არსად ჩანდა, თითქოს სისხლის გუბეები იდგა. ყველაფერი წითლად ბზინავდა: თეთრ უნიფორმებსა და მოღიმარ სახეებს მეწამული ანარეკლი დასთამაშებდა, ალისფრად ელავდა აბჯრები და ცხენის ყაჯრები, განსაკუთრებით – სამი პატარა ლეღვის ხე, რომლის ფოთლებზეც მეომრები თავის სისხლიან ხმლებს წმენდდნენ საერთო სიცილ-ხარხარში. როტმისტრი წითლად შეფერილ ხეებთან გაჩერდა, შეჩერდა ესკადრონის მესაყვირეც, რომელმაც თითქოს სისხლში ამოვლებული, ასევე წითლად მოელვარე საყვირი ტუჩებზე მიიდო და შეკრების სიგნალი ჩაჰბერა. ვახმისტრმა ოცეულები დაიარა და დარწმუნდა, რომ ესკადრონს არათუ დანაკლისი არ ჰქონდა, პირიქით, ხელში ცხრა სანაშენო ცხენიც კი ჩაეგდო. ბოლოს, ცხენიდან ჩამოუსვლელად მივიდა როტმისტრთან და უპატაკა, თან თავისი ნადავლი იახლა – დიდი შავ-თეთრი ხალებით დამშვენებული ცხენი, ამაყად თავაწეული რომ ირწეოდა და ჰაერს ხარბად ისუნთქავდა – ნორჩი, ლამაზი, თავმომწონე არსება. როტმისტრი პატაკს უყურადღებოდ უსმენდა. მან ლეიტენანტ გრაფ ტრაუტზონს მოუხმო, ის იმწამსვე ჩამოქვეითდა, მასავით ჩამოქვეითებულ ექვს კირასირთან ერთად ჰაუბიცაში შებმული ცხენები – დღევანდელი ნადავლი – გამოუშვა, ექვსი მეომრის დახმარებით ზარბაზანი გვერდზე გააგორა და იქვე, პატარა ჭაობში ჩაძირა, კვლავ ცხენს მოაჯდა და, მას შემდეგ, რაც ორ, ახლა უსარგებლო მუშა ცხენს ხმალი გავაზე ბრტყლად გადაუჭირა და შორს გარეკა, პირველი ოცეულის წინ თავისი ადგილი დაი-

კავა. მთელი ამ დროის მანძილზე ორ დანაყოფად ჩამწკრივებულ ესკადრონში დაძაბულობა თუ არა, მღელვარება მაინც შეიმჩნეოდა, ერთი დღის მანძილზე ოთხი წარმატებული შეტაკებით ადვილად ასახსნელი, თავს ცუდად შეკავებული სიცილის უეცარ აფეთქებასა და ხმადაბალ გადალაპარაკებაში რომ იჩენდა. არც ცხენები იყვნენ მშვიდად, განსაკუთრებით ისინი, რომელთა რიგებშიც შემომატებული თანამოძმეები მოჩანდნენ. ამგვარი იღბლით გათამამებულ მეომრებს გული ახალი თავგადასავლებისკენ მიუწევდათ, რისთვისაც ამჟამინდელი სამწყობრო განლაგება სრულიად შეუფერებლად ეჩვენებოდათ. მათ, წარმატებულ მხედრებს, ერთი სული ჰქონდათ მწყობრის უსიტყვო მორჩილების ნაცვლად თავი შეტევისთვის აღტყინებული მეომრების ტალღაში შეეგრძნოთ, მოქმედებისა და ხმლის მოქნევის ასე ნანატრ თავისუფლებაში, რომლის უძლეველობა მტრის შემუსვრის და მათი ცხენების დაპატრონების საწინდარი იქნებოდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა როტმისტრი ბარონი როფრანო თავისი ესკადრონის წინ და მკაფიოდ, მაგრამ ხმის აუწევლად ბრძანა: „გამოუშვით სანაშენო ცხენები!“ თან თავისი ძილმორეული ცისფერი თვალების დამძიმებულ ქუთუთოები ზანტად მაღლა ასწია. ესკადრონში დამთრგუნველი სიჩუმე ჩამოწვა. მხოლოდ ვახმისტრის ცხენი ამოძრავებდა თამამად კისერს და თავისი ნესტოებით ლამის როტმისტრის ცხენის შუბლს ეხებოდა. მან ხმალი ქარქაშში ჩააგო, ბუდიდან თავისი ერთ-ერთი პისტოლეტი ამოიღო და მარჯვენა ხელით იარაღის მბზინვარე ლულის წმენდისას, ბრძანება შედარებით ხმამაღლა გაიმეორა, და თვლაც მიაყოლა – „ერთი“, „ორი“. „ორის“ შემდეგ მზერა უნაგირზე გაუნძრევლად მჯდარ ვახმისტრზე შეაჩერა და თვალს აღარ აშორებდა. იმ დროს, როცა ანტონ ლერჰის გაქვავებულ სახეზე დროდადრო დათრგუნულობა, ნდობისა და ერთგულების გამომხატველი ძაღლური რიდი გამოკრთებოდა – ალბათ ძვალსა და რბილში გამჯდარი სუბორდინაციის ნაყოფი – და რომლის გონებაც ამ წამის უკიდურესი დაძაბულობის გამო მისი ბოლო წლების ცხოვრებისთვის ასე უცხო სიმყუდროვის ხატოვან სურათებს მთლიანად დაეტბორა, იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც მისთვის ცხენის წართმევა სურდა, საკუთარი არსების მისთვისაც სრულიად უცნობი სიღრმიდან სატანური მრისხანება ამოტივტივდა – ამ კაცის სახის, ხმის, იერის – მთელი მისი არსების მიმართ, ისეთი, მხოლოდ წლების მანძილზე თანაცხოვრებისას, ქვეცნობიერში, მრავალჯერადად დათრგუნული გულის წადილის წაქეზებით, გონების სიცხადისთვის მიუწვდომელ იდუმალებაში რომ აღმოცენდება. ძნელი სათქმელია, იგივე ხდებოდა როტმისტრის გონებაში, თუ ის, უბრალოდ, ირგვლივ თავმოყრილ საფრთხეებს შეიგრძნობდა არაცნობიერად:

მან ზანტად, თითქმის კეკლუცად ასწია ხელი, რომელსაც დამცინავად, ზედა ტუჩიც მიჰყვა, წარმოთქვა „სამი“ და გაისმა სროლის ხმა – წონასწორობადაკარგული, შუბლგახვრეტილი ვახმისტრი ჯერ თავისი ცხენის კისერზე დაემხო, შემდეგ წაბლასა და ამლაკ ცხენს შორის ჩამოცურდა. უსულო სხეულმა მიწაზე დაცემაც ვერ მოასწრო, რომ დაბალი ჩინის ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა თავის ნადავლ ცხენებს ხელი უშვეს, ზოგიც სასწრაფოდ ჩამოქვეითდა, როტმისტრმა კი იარაღი თავის ბუდეში მშვიდად, აუღელვებლად დააბინავა. ჯერ კიდევ ამ ელვისებური გრუხუნით გაოგნებული, მთრთოლვარე ესკადრონი, მალე შეიძლება მტრის პირისპირ აღმოჩენილიყო, ახლომახლო, ბინდს შეფარებული ძალების თავმოყრას რომ ცდილობდა. მაგრამ მტერმა შეტევა აღარ წამოიწყო და ცოტა ხნის შემდეგ მობილურმა ჯგუფმა თავისი არმიის სამხრეთ შენაერთამდე დაუბრკოლებლად მიაღწია.

ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი

მარშალ ბასომპიერის თავგადასავალი

ერთხანს, თითქმის ყოველდღე და თითქმის ერთსა და იმავე დროს, სამსახურეობრივი მოვალეობების გამო ერთ პატარა ხიდზე მიწევდა გავლა (რადგან იმ დროისთვის დღევანდელი Pont neuf ჯერ კიდევ არ არსებობდა). გზად ვხვდებოდი ხელოსნებსა და სხვა უბრალო ხალხს, რომლებიც მცნობდნენ და მესალმებოდნენ, ყველაზე ხშირი და დასამახსოვრებელი კი იყო შეხვედრები წვრილმანებით მოვაჭრე კოხტა ახალგაზრდა ქალთან, რომლის სავაჭროს ორი ანგელოზის გამოსახულებიანი ფირნიში ამშვენებდა. ჩემი ყოველი გამოჩენისას ის მოწიწებით ხრიდა თავს და თვალს მანამ მაყოლებდა, სანამ ჩემს დანახვას ახერხებდა. მისი ქცევა არ გამომპარვია, იმავეთი ვპასუხობდი და მადლიერების გამოხატვას ყველანაირად ვცდილობდი. ერთხელ, გვიან ზამთარს, ფონტენბლოდან პარიზში ვბრუნდებოდი. პატარა ხიდის სიახლოვეს, მისი სავაჭროს წინ აღმოჩენილს ის გარეთ შემომეგება და მომმართა: „ჩემო ბატონო, თქვენი მონა-მორჩილი!“ ამ მისალმებას მაშინვე ვუპასუხე, ხოლო მას შემდეგ, რაც იმ ადგილს გავცდი, რამდენჯერმე მოვიხედე და დავინახე, თუ როგორ ცდილობდა, რაც შეიძლება დიდხანს არ დავეკარგე თვალთახედვიდან და საამისოდ წინაც კი გადმოხრილიყო. უკან მომყვებოდნენ მსახური და მეეტლე, რომლებისთვისაც ამ საღამოს ერთ ნაცნობ მანდილოსანთან წერილი უნდა გამეტანებინა. ჩემი ბრძანებით მსახური ჩამოქვეითდა, რათა ჩემი სახელით ახალგაზრდა ქალისთვის გადაეცა, რომ მისი კეთილგანწყობა შევამჩნიე და მზად ვიყავი, თუკი მოისურვებდა, მისთვის მოსახერხებელ დროსა და ადგილზე შევხვედროდი. პასუხად მოისმინა, რომ ის უკეთეს ამბავს ვერც ინატრებდა და, რომ სადაც შევთავაზებდი, იქ მოვიდოდა.

გზად მსახურს ვკითხე, იცოდა თუ არა შეხვედრისთვის შესაფერისი ადგილი. მან ასეთი საქმეების მოკვარახჭინებით ცნობილი ერთი მაჭანკალი გაიხსენა; და – ამ ძალზე ყურადღებიანმა და კეთილსინდისიერმა ადამიანმა, ვილჰელმ კურტრელმა – მაშინვე დაამატა, რომ, რადგან ხშირი იყო შავი ჭირის შემთხვევები და გარდაცვლილთა შორის არა მარტო მდაბიონი, არამედ ექიმი და კანონიკიც მოიხსენიებოდნენ, თან ლეიბები, საბნები და ზეწრები წამეღო. ეს შემოთავაზება მივიღე და ისიც კარგი ლოგინის გაწყობას დამპირდა. ცხენიდან ჩამოსვლისას დავუმატე, რომ, ასევე, კარგი ხელსაბანი, პატარა ჭურჭლით სურნელოვანი სითხე, ცოტაოდენი ნამცხვარი და ვაშლიც მიეტანა და ოთახის გათბობაზეც ეზრუნა, რადგან ისე ციოდა, რომ ფეხები უზანგში მთლად გამეყინა და, როგორც ჩანდა, კარგს არც მომავალი გვიქადდა – ცაზე თავმოყრილი ღრუბლები თოვის მოახლოებას იუწყებოდა.

საღამოს დათქმულ ადგილას გავეშურე, სადაც დამხვდა ლოგინზე ჩამომჯდარი ოციოდე წლის ლამაზი ქალი, იქვე იდგა საუბრის საღერღელაშლილი, შავ მოსასხამში გახვეული არსება, ალბათ მაჭანკალი. ოდნავ შეღებული კარიდან ბუხარში ახალდანთებული ცეცხლი მოჩანდა, რომლის გიზგიზს შეშის მხიარული ტკაცუნი ახალისებდა. ოთახში მყოფნი ვერ მხედავდნენ და მეც შორიახლო შევყოვნდი. ახალგაზრდა ქალს ფართოდ გახელილი თვალები ბუხრისკენ მშვიდად მიეპყრო და, კოცონს გაშინაურებულს, თავის ერთი მოძრაობით სადღაც სხვაგან, საზარელი მოხუცისგან რამდენიმე მილით შორს აღმოჩენილს, ცეცხლის ენების თამაშს შეამხანაგებულს და მას გაშინაურებულს, თავისი ფიქრები თითქოს მათთვის გაენდო; პატარა ღამის ჩაჩიდან წინ მიმართული შავი თმის ნაწილი მკერდსა და მხრებს შორის ბუნებრივი კულულების ხვეულ წყვილად ეშვებოდა და პერანგს ეფინებოდა. გარდა პერანგისა, მას ემოსა მწვანე შალის ქვედატანი, ფეხები კი საშინაო ფლოსტებში ჰქონდა გაყრილი. სწორედ ამ დროს – ეტყობა, ჩემი იქ ყოფნა უნებლიე ხმაურმა გაამჟღავნა – მან თავი მოაბრუნა და მომაპყრო მზერა, რომელსაც უჩვეულო დაძაბულობაში გაქვავებული ნაკვთები ალბათ სიველურის ხატად აქცევდა, რომ არა მის ფართოდ გახელილ თვალებში ჩაბუდებული მორჩილი მოლოდინი და ვნება, მდუმარე ბაგეებიდან თითქოს უხილავ და მაინც ან, შესაძლოა, სწორედ ამიტომ, უჩვეულოდ მეტყველ სხივებად არეკლილი. ის მართლაც მომხიბვლელი იყო და მალე, იმაზე ადრე, ვიდრე შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს, მოხუცი ქალი ოთახიდან გაუჩინარდა, მე კი უცნობ მეგობართან მარტო აღმოვჩნდი და ხარბად დავეწაფე ჩემს ხელში ასე მოულოდნელად აღმოჩენილ განძს, ხოლო, როდესაც ტკბობით, თრობით დაღლილმა ცოტა ხნით

შესვენება გადავწყვიტე, ის დამშორდა ჯერ კიდევ ჩაუმცხრალი, მოგიზგიზე ჟინით თვალებში – იმ დაუკმაყოფილებელი სურვილით, მის ყრუ, დაბალ ხმაშიც რომ გამოსჭვიოდა. წამის შემდეგ კვლავ ვიგრძენი, რომ ის ახალი ძალით შემომეხვია, სულ უფრო მიმნდობი, სულ უფრო მოსურნე, თუმცა ამას ბაგეებსა და მკლავებზე მეტად დაუშრეტელი სურვილით ანთებული თვალებით ამჟღავნებდა; და კვლავ განმეორდა – თითქოს სურდა ლაპარაკი, მაგრამ კოცნით ათრთოლებული ბაგეები ვეღარ უმკლავდებოდნენ ვნებას, ვერ ახერხებდნენ მყარი ბგერების წარმოთქმას და სუნთქვა ჩემამდე, მკაფიო ხმების ნაცვლად, მღელვარებისგან კრუნჩხვად ქცეული, უსიტყვო გმინვად თუ აღწევდა.

და, რადგან ამ ყინვიან ამინდში მთელი დღის დიდი ნაწილი გარეთ, ცხენზე გავატარე, ხოლო მეფის მისაღებში ცხარე – დროდადრო ზღვარგადასული – კამათის შემდეგ, ჩემი აღგზნების, უკიდურესი გაღიზიანების ჩასაცხრობად სასმელს მივეძალე, ბოლოს ესეც არ ვიკმარე, მძიმე მახვილითაც ვიფარიკავე და ახლა, უეცრად, ამ მათრობელი და იდუმალებით აღსავსე თავგადასავლისას, უკვე ლოგინში – სატრფოს ფაფუკ მკლავზე მოსვენებულმა, ჩემს მკერდზე გადაშლილი მისი თმის სურნელით გაბრუებულმა – საშინელი გამოფიტვა ვიგრძენი, ხსოვნა წამერთვა, თითქოს სადღაც ჩაიძირა, ვეღარ ვხვდებოდი, როგორ აღმოვჩნდი ამ ოთახში და ის ადამიანიც, რომლის გული ასე ახლოს და ჩემი გულის ფეთქვასთან თითქოს სრული თანხმობით ძგერდა, ახლა ვიღაც სხვად, ჩემი ადრინდელი ცხოვრების ნაწილად წარმომედგინა და მალე ღრმა ძილიც დამეუფლა.

როდესაც გავიღვიძე, ჯერ კიდევ ბნელოდა, თუმცა მაშინვე ვიგრძენი, რომ ჩემი მეგობარი გვერდით აღარ იყო. წამოვიწიე და კოცონის მცხრალ ელვარებაში ის ფანჯარასთან მდგომი გავარჩიე – დარაბა ოდნავ გაეღო და ამ პატარა ღრიჭოში გარეთ იმზირებოდა. შემდეგ მოტრიალდა, შემამჩნია და წარმოთქვა (ახლაც ნათლად ვხედავ, თუ როგორ გადაიტანა მარცხენა ხელისგულით წინ გადმოშლილი თმა და უკან დააბრუნა, კვლავ მხრებზე გადაფინა): „ადრეა, გათენებამდე ჯერ კიდევ შორია!“ ახლა უფრო ცხადად დავინახე, თუ რამდენად დიდი და მშვენიერი იყო იგი და მოუთმენლად ველოდი მის მოახლოებას, მისი პატარა, ბუხრიდან მომავალი ალის ნათებით მეწამულად აფერადებული კოხტა ფეხების მოძრაობის სიმსუბუქით ტკბობის წამს. მან ჯერ ბუხარს მიაშურა, დაიხარა, შიშველი, ქათქათა ხელით დარჩენილი შეშის დიდი ნაჭერი აიღო და ცეცხლს შეუკეთა. შემდეგ მოტრიალდა – სახეზე ერთდროულად სიხარულის და კოცონის ელვარება დასთამაშებდა –, და უკან გამოემართა. მაგიდას რომ გაუს-

წორდა, აიღო ვაშლი და, სულ მალე, ჩემთან აღმოჩნდა, და თან ცეცხლის მცხუნვარე სუნთქვა მოიყოლა. მართალია, ის მალევე ჩაცხრა, მაგრამ ახლა უფრო მძლავრი, შინაგანი ცეცხლის მგზნებარებით მთრთოლვარე მარჯვენა ხელი შემომხვია და იმავდროულად მარცხენით ჩაკბეჩილ ვაშლს – ასევე ლოყებს, ტუჩებს, თვალებს, უკვე მაცდუნებელ სიახლოვეს, საკოცნელად – მთავაზობდა. შეშის უკანასკნელ ნაჭერს, მთლად აალებულს, მხურვალებაში ახლა სხვები დაეჩრდილა და ხალისიანი ტკაცუნით ისრუტავდა ალს, მოღონიერებული უფრო მაღლა რომ აეტყორცნა, რის შემდეგაც ცეცხლის ნათება მძლავრ ტალღად გვაწყდებოდა, გადაგვეევლებოდა და კედელს ორი ურთიერთგადაჭდობილი არსების ჩრდილად ეკვროდა, საიდანაც იწრიტებოდა და დაბლა იღვენთებოდა. ჯერ კიდევ მკვრივი შეშის ნაჭერი ხალისიანად ტკაცუნობდა, საკუთარი სხეულის უხილავი არსიდან, მისი დაფარული შუაგულიდან აღმოცენებულ ახალ-ახალ ალის ენებს აფრიალებდა და მძიმედ ჩამონოლილ სიბნელეს მდნარი ლითონიდან კოცონის წითელ ძნებად ამოზრდილი ნათებით ებრძოდა. აი, ჩაცხრა უეცრად ცეცხლი, ცივი ნიავის უხილავმა ხელმა შეაღო ფანჯრის დარაბა და უსახური, საზარი განთიადი გააშიშვლა.

წამოვჯექით, მივხვდით, რომ უკვე გათენდა. გარეთ გავიხედე. მაგრამ ის, რასაც ვხედავდი, არ ჰგავდა დღეს, არც ქუჩას, და არც სამყაროს გამოღვიძებას – მზერა ვერაფერს გამოარჩევდა, და უმწეო, საყრდენგამოცლილი, სასოწარმკვეთად ერთფეროვან უდაბნოში უაზროდ გადაადგილდებოდა, სადაც ცოცხალი არსებების მოძრაობა, დროს გამიჯნული ნიღბების სვლა, იყო უფრო ილუზორული, ვიდრე რეალური. საიდანღაც, შორიდან, გაისმა ხმა, თითქოს მოგონებიდან ამოზდრილი – ეს კოშკის საათმა ჩამოჰკრა. დროის მიღმისეულმა ყინულოვანმა ჰაერმა გააპო ჩვენი ოთახის თბილი მყუდროება და იწყო შემოდინება, ფრთების გაშლა, სივრცეში გაბედული, თამამი დამკვიდრება და ჩვენც, აკანკალებულები, სითბოს ახლა ჩვენი სხეულების ურთიერთშერწყმის სიახლოვეში ვეძებდით. ის უკან გადაიხარა და შემომხედა, უფრო კი მტკიცედ, ურყევად მომაბჯინა მზერა; ყელი უთრთოდა, თითქოს სიღრმიდან რაღაც მოიწევდა, ტუჩების კიდეზე ფეხის მოკიდებას ცდილობდა: მაგრამ ვერ იქცა ვერც სიტყვად, ვერც კვნესად და ვერც ამბორად, ეს იყო რაღაც, ჯერ კიდევ შეუმდგარი, თავის თავში სამივეს ერთდროულად, დაუნაწევრებელ ჩანასახად მატარებელი. წამითი წამით იკრებდა ძალას სინათლე და სულ უფრო მკაფიოდ წარმოაჩენდა ქალის სახეს, რომლის თრთოლვა მის არსებაში აღმოცენებულ მრავალფეროვან გრძნობათა მეტყველ სარკედ ქცეულიყო; უეცრად გ̇არედან მოსიარულეთა ნაბიჯების მსუბუქმ̇ა ფლატუნმა და მოსაუბრეთა ხმებმა შემოაღწია. ფანჯარას-

თან მათ ისე ახლოს ჩაიარეს, რომ ჩემი მეგობარი კიდეც დაიხარა და კედლისკენ შებრუნდა, ეს იყო ორი მამაკაცი: ერთ-ერთი მათგანის ხელში პატარა ფარნის სინათლემ გაიელვა; მეორე კი კვნესა-ჭრიალით ხელის საზიდარის ბორბალს მიაგორებდა. როდესაც გაგვცდნენ, ავდექი, დარაბა მივხურე და სანთელი ავანთე. თვალი მოვკარი დარჩენილი ვაშლის ნახევარს, რომელიც ჩვენ ერთად შევჭამეთ, და ვკითხე, შემეძლო თუ არა კვლავ მისი ნახვა, რადგან მხოლოდ კვირას მივემგზავრებოდი. ახლა კი პარასკევის დილა გათენდა.

მან მიპასუხა, რომ ეს იყო მისი უპირველესი სურვილი და რომ იმ დღეს ჩემზე მეტად ნატრობდა; მაგრამ, თუ მთელი კვირა დღე არ დავრჩებოდი, ეს შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ჩემს ნახვას მხოლოდ კვირა ღამეს მოახერხებდა.

მე, პირველ რიგში, რამდენიმე გადაუდებელი საქმე გამახსენდა, რომლებსაც ჩვენი შეხვედრისთვის შეიძლება ხელი შეეშალა, და ამ ამბავს ის უხმოდ, მაგრამ ტკივილნარევი მოლოდინით და, იმავდროულად, თითქმის ავბედითად პირქუში სახით უსმენდა. რა თქმა უნდა, დარჩენა მაშინვე აღვუთქვი და ვუთხარი, რომ მსურდა კვირა ღამით ისევ აქ, ამ ადგილას შეხვედრა. ამის გაგონებაზე მან მტკიცედ შემომხედა და შეცვლილი, გაბზარული ხმით მიპასუხა: „მე კარგად მესმის, რაც გავაკეთე, მაგრამ ეს შენ გამო გავაკეთე და არ ვითაკილე ამ სამარცხვინო, საზიზღარ სახლში მოსვლა; ეს ჩემი ნებით მოხდა, რადგან შენთან ყოფნა მსურდა, და ამიტომაც ვიყავი მზად შენს ყველა პირობას დავთანხმებოდი. მაგრამ, ახლა აქ მეორედ რომ მოვსულიყავი, ჩემს თავს უკანასკნელ ქუჩის ქალად ჩავთვლიდი, რადგან ეს მხოლოდ იმიტომ ჩავიდინე, რომ შენ ჩემთვის ხარ ის, რაც ხარ – მარშალი ბასომპიერი, კაცი, მიღებული და დაფასებული, ის, ვინც თავისი აქ ყოფნით ამ სახლს ჩემს თვალში ღირსება შესძინა! მან თქვა: „სახლი“; და წამით მომეჩვენა, თითქოს შეურაცხმყოფელი სიტყვა ახსენა; წარმოთქმისას მზერა მიაპყრო კედლებს, ძირს ჩამოცურებულ საბანს, ახლა იატაკზე რომ ეგდო, და მისი თვალებიდან გადმოფრქვეული სინათლის სხივების კონის წინაშე ამ საზარმა და უგვანმა საგნებმა – თითქოს შეკრთნენო – უკან დაიხიეს, იფიქრებდი, რომ ეს საცოდავი, უბადრუკი სივრცე თავის ჩვეულ ფარგლებს წამიერად გასცდენოდა და მის მიღმა განვრცობილიყო.

შემდეგ, უჩვეულოდ რბილი და საზეიმო ხმით დაამატა: „დე, ყველაზე უღირსი სიკვდილი იყოს ჩემი ხვედრი, თუკი ჩემი ქმრისა და შენ გარდა კიდევ სხვისი შევიქნები, ან ამას ვინატრებ!“, და, სანახევროდ გაპობილი, მსუბუქად წინ წამოწეული ბაგეებით, თითქოს ჩემგან პასუხს, უფრო ნათქვამზე ჩემი თანხმობის გამჟღავნებას, ერთგულების ამ ფიცში თანადგომას ელოდა. რადგან ჩემს სახეზე

სასურველი პასუხი ვერ ამოიკითხა – რასაც ასე ესწრაფოდა – დაძაბული, თანაგრძნობის მაძიებელი მზერა დაებინდა, შუბლი შეეჭმუხნა, წამწამები სასოწარკვეთის ნიშნად უმწეოდ აუხამხამდა, უეცრად კედელთან აღმოჩნდა, ზურგით ჩემკენ, შუბლი მთელი ძალით დარაბას მიაბჯინა, თუმცა ვხედავდი, თუ როგორ არყევდა სხეულს მთელ მის არსებას მოდებული და ქვითინად გადმოღვრილი ტკივილის უხმაურო, მძაფრი შემოტევის კრუნჩხვები ისე, რომ ტუჩებზე მომდგარი სიტყვა ჩამაკვდა და ვეღარც შეხებას ვბედავდი. ბოლოს, მაინც მოვკიდე მკლავზე ხელი, უღონოდ, უსიცოცხლოდ ჩამოშვებული ორიდან ერთ-ერთზე და ვედრების მხურვალე სიტყვებით – პირველით, იმ წამს პირზე მომდგარით – დიდი ხნის ხვეწნა-მუდარის შემდეგ, შევძელი მისი დამშვიდება, მანაც თავისი, ცრემლით დანამული სახე ჩემკენ მოაბრუნა, თვალებიდან გადმოფრქვეულმა სხივებმა და მოღიმარი ტუჩების ირგვლივ უეცარმა გამონათებამ გაფანტა ტირილის ღრუბლები, მთლიანად შთანთქა მისი კვალი და ახლა მთელი სახე სინათლით დაეტბორა. და იქცა მომხიბვლელ თამაშად გაგრძელება – ის, თუ როგორ განაახლა მან საუბარი, კეკლუცობა: „აა, გსურს კვლავ შეხვედრა? მაშინ დეიდასთან მომიწევს შენი მიღება!" ამ ფრაზის პირველი ნახევარი წარმოთქვა თითქმის ათჯერ, ხან უკვე სრულად გაშინაურებულის მომხიბვლელი კეკლუცობით, ხან ბავშვურ უცოდველობას ამოფარებული უნდობლობით, მერე, მხრებაწეულმა, ფრაზის მეორე ნაწილი ჩამჩურჩულა, ლტოლვის უნებლიე ხატად ჩემკენ მომართული ტუჩებით, და, ბოლოს, იგივე ფრაზა, როგორც საყოველთაოდ ცნობილი საჯარო შეთანხმება, შემობრუნებულმა, მხარს ზემოდან მომაძახა, კისერზე გადამაჭდო ხელები, შემომცინა და – საპასუხო ალერსის გამოხმობის იმედით – კიდევ ერთხელ გაიმეორა. შემდეგ სახლი დაწვრილებით ამიწერა, როგორც ბავშვს უხსნიან გზას ქუჩის გადაღმა ხაბაზთან პირველი ვიზიტისას. და, უკვე დამცხრალი, დადინჯებული, ადგა, შემომხედა, ისეთი ძალით მომაპყრო თავისი ნათელი, სხივოსანი მზერა, თითქოს თავისკენ მკვდარი არსებაც კი შეეძლო მიეზიდა, და გააგრძელა: „დაგელოდები ღამის ათიდან თორმეტ საათამდე, შემდეგაც და საერთოდ, დაბლა კარი ღია იქნება. იპოვი პატარა დერეფანს, მიყევი მას და დეიდის ოთახის კართან მიგიყვანს, იქ შემოგხვდება კიბე, რომლითაც მოხვდები მეორე სართულზე, სადაც მე დაგხვდები!" და, როდესაც თვალდახუჭულმა, თითქოს თავბრუ ესხმისო, თავი უკან გადააგდო, ხელები გაშალა, შემომეხვია, თუმცა ჩემი საპასუხო მოძრაობისგან იმწამსვე განთავისუფლდა და, ტანსაცმელში გახვეულმა, უკვე ვნებადამცხრალმა, გაუცხოებულმა, ოთახი დატოვა – განთიადი რა ხანია გადასულიყო და უკვე დღე დამდგარიყო.

დღის განმავლობაში საქმეები მოვაწესრიგე, ჩემი ნივთები მსახურების ერთ ნაწილს გავატანე და შემდეგ, საღამოს, ისეთ საშინელი მოუთმენლობა დამეუფლა, რომ შეღამების ზარების მერე მსახურ ვილჰელმთან ერთად, რომელსაც სინათლის წამოღება ავუკრძალე, პატარა ხიდს მივაშურე, იქნებ როგორმე ჩემი მეგობრისთვის სავაჭროში ან მიმდებარე ბინაში მომეკრა თვალი, ან ჩემი ახლოს ყოფნის ნიშანი მაინც მიმეცა, თუმცა მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმის იმედი შეიძლებოდა მქონოდა.

გამოჩენა არ მინდოდა და ამბის გასაგებად მსახური გავგზავნე, მე კი ხიდთან დავრჩი. ის დიდხანს შეყოვნდა და ჩაფიქრებული, ნირწამხდარი დაბრუნდა, რაც, როგორც შემჩნეული მქონდა, ამ ერთგული ადამიანის მიერ ჩემი დავალების შეუსრულებლობით იყო ხოლმე გამოწვეული. „სავაჭრო დაკეტილია", თქვა მან, „არც შიგ ჩანს ვინმე და, საერთოდაც, სიცოცხლის ნიშანწყალი ქუჩაში გამომავალ არც ერთ ოთახში არ იგრძნობა. ეზოში მოხვედრა, მაღალი ღობის გამო, ადვილი არაა, მით უმეტეს, რომ იქიდან ძაღლის ბოხი ხმა ისმის, რაც იმის ნიშანია, რომ ის დიდია და მასთან გამკლავება გაჭირდება. განათებულია მხოლოდ ერთი, წინა ოთახი და დარაბის ღრიჭოში ჩანს, რომ ის ცარიელია".

უკვე მობრუნებისას, იმედდაკარგულმა სახლს რომ ჩავუარე, დაუზარელმა მსახურმა ღრიჭოში კიდევ ერთხელ შეიხედა, საიდანაც სინათლის ნაკადი აღწევდა, რათა დაენახა, ოთახში რა ხდებოდა, და ჩამჩურჩულა – იქ ვიღაც გამოჩნდა, ოღონდ არა ქალი, არამედ კაციო. ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი ახლოს მივედი ფანჯარასთან, წვრილამანებით მოვაჭრე რომ დამენახა, რომელსაც, მაღაზიაში სულ ერთხელ თვალმოკრულს, ვერ ვიხსენებდი, და, არც კი ვიცი რატომ, უფორმო, მსუქან ან დაჩაჩანაკებულ არსებად წარმომედგინა, და ძალიან გამიკვირდა, როდესაც კარგად გაწყობილ, მოჭიქული ფილებით მოპირკეთებულ ოთახში წარმოსადეგ, ტანად მამაკაცს მოვკარი თვალი, ოთახში ბოლთას რომ სცემდა: ის ჩემზე ერთი თავით მაღალი იყო, და მოტრიალებისას დარბაისელი, ლამაზი, უკვე ჭაღარაგარეული წაბლისფერი წვერით დამშვენებული სახე გამოუჩნდა. ფართო შუბლი უჩვეულოდ ამაღლებულ იერს სძენდა, საფეთქლები ჰქონდა დიდი, ყველა ოდესმე ნანახზე აღმატებული. მართალია, ოთახში მარტო იყო, მაინც, თითქოს ვიღაცასთან დიალოგში ჩართულს, გამომეტყველება სწრაფად ეცვლებოდა, ტუჩებსაც ამოძრავებდა და, როდესაც ბოლთისცემისას ჩერდებოდა, ჩანდა, რომ იმ ვიღაცას ელაპარაკებოდა: ერთხელ ხელიც კი აიქნია – თითქოს მოკამათესთან პაექრობისას მის მოსაზრებას აბათილებდა, და ამას საკუთარი ღირსების სრული შეგნებით აკეთებდა. ყოველი მისი ჟეს-

ტი თავის თავში დარწმუნებული ადამიანის იშვიათ სულიერ წონასწორობასა და სიამაყეს – ლამის სხვათა დამამცირებელსა თუ შეურაცხმყოფელს – ამჟღავნებდა და მისი ყურებისას, უნებლიეთ, ერთი ღირსეული, კეთილშობილი პიროვნება გამახსენდა, ტყვე, რომელსაც ბლუას ციხესიმაგრეში ვდარაჯობდი მეფის სამსახურში ყოფნისას. ეს მსგავსება კიდევ უფრო სრული გახდა, როდესაც მან მარჯვენა ხელი აღმართა და ზევით აწეულ მოკაკულ თითს შეხედა, უფრო კი მას პირქუშად, დაჟინებით მიაჩერდა.

სწორედ ამგვარად აკვირდებოდა ჩემი რაინდი პატიმარი მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითის განუყრელ თანამგზავრს – ბეჭედს. შემდეგ მივიდა მაგიდასთან, სანთელთან წყლიანი ბურთულა მოათავსა და ორივე ხელის მთლიანად გაშლილ თითები მასთან ახლოს მიიტანა, ის სანთლის სხივებით განათებულ წრეში თითქოს საკუთარ ფრჩხილებს აკვირდებოდა. შემდეგ სინათლე ჩააქრო, ოთახიდან გავიდა და ყრუ, მრისხანე ეჭვიანობას შემატოვა, რადგან მისი მეუღლისადმი ლტოლვა ჩემს აფორიაქებულ სულში სულ უფრო ღვივდებოდა და ყველაფერს, რაც გზად ხვდებოდა, ხარბი, გაუმაძღარი ცეცხლივით შთანთქავდა და ამ უეცარი ხილვით უცნაურად და სრულიად მოულოდნელი მხრიდან ძლიერდებოდა, რადგან მისი მოგიზგიზე ცეცხლის გამუდმებით გასაახლებლად ნებისმიერი საბაბი კმაროდა, ისეთივე პატარა და უმნიშვნელო, როგორც სუსხიანი ქარის მიერ ირგვლივ აფრიალებული თოვლის ფანტელები, რომელთაგან ნაწილი ახლა წარბებსა და ლოყებზე მეკვროდა, ლღვებოდა და იღვენთებოდა.

შემდეგ დღეს გული ვერაფერს დავუდე: ვიყიდე ცხენი, არც კი ვიცი რა ღირსებების გამო; ვიყავი სტუმრად ნემურის ჰერცოგის წვეულებაზე, სადაც დროის მოკვლას ბანქოს თამაშსა და ქალაქში სულ უფრო სასტიკად მძვინვარე შავი ჭირის ირგვლივ გამართულ უშინაარსო და უსიამოვნო საუბრებში ვცდილობდი. ეს კეთილშობილი საზოგადოება მხოლოდ ამაზე მსჯელობდა, კერძოდ, გვამების სასწრაფოდ დამარხვისა და გარდაცვლილთა სახლებში ცეცხლის დანთების აუცილებლობაზე, რათა მოესპოთ ჰაერში გაფანტული მომაკვდინებელი შხამი, და ასე შემდეგ; ყველაზე აბსურდულად შანდიოელი კანონიკუსის ქცევა მომეჩვენა, როგორც ყოველთვის მსუქანი და ჯანმრთელი, საკუთარ ხელებს გამუდმებით რომ დაჰყურებდა, რათა ფრჩხილებზე დაავადების მაუწყებლად მიჩნეულ საეჭვო სილურჯის არსებობაში დარწმუნებულიყო. ეს ყველაფერი გულს მირევდა, სახლში მალე წავედი და დასაძინებლადაც დავწექი, თუმცა ვერაფრით ვახერხებდი. მოუთმენლობით შეპყრობილმა კვლავ ჩავიცვი და მოუთმენელმა, ნებისმიერ ფასად სატრფოს ნახვის

მსურველმა, ჩემი ხალხით მასთან ძალით შეჭრა გადავწყვიტე. მათ გასაღვიძებლად ფანჯარასთანაც კი მივედი, მაგრამ ღამის სუსხმა გამომაფხიზლა და მივხვდი, რომ ამით მხოლოდ საქმეს წავახდენდი. ჩაცმული კვლავ დავწექი და ბოლოს კიდეც ჩამეძინა.

ასევე გავატარე საღამოს მოლოდინში მთელი კვირა დღე და დათქმულ ადგილზე ადრიანად აღმოვჩნდი, მაგრამ მოცდა ვარჩიე და ათი საათის დადგომამდე დროს გაყვანა გვერდით ქუჩაზე სიარულში ვცადე. შემდეგ ვიპოვე სახლი, კარი, რომელიც მან ამიწერა. ის მართლაც ღია იყო, გავიარე დერეფანი, ავედი კიბეზე, მაგრამ მეორე კარი, რომელთანაც კიბემ მიმიყვანა, დაკეტილი დამხვდა, თუმცა არცთუ მჭიდროდ და გარეთ სინათლის ვიწრო ზოლს ატარებდა. ის შიგნით იყო, მელოდა, იდგა, ალბათ, კართან, სმენადაძაბული, ისევე, როგორც მე, კარის მეორე მხარეს. ფრჩხილით კარზე ფრთხილად ვაკაკუნებდი, როდესაც შიგნიდან ხმაური მომესმა: ის შიშველი ფეხების გაუბედავი ნაბიჯების ხმას მივამსგავსე. ერთხანს სუნთქვაშეკრული გავირინდე და შემდეგ უფრო გაბედულად დავაკაკუნე: პასუხად მამაკაცის ხმამ იკითხა ჩემი ვინაობა. მე თავი კარის ამყოლის სიბნელეს შევაფარე და ვცდილობდი არ მეხმაურა. თუმცა კარი არ გაღებულა. არ მინდოდა აქ გაჩერება და კიბეს მივაშურე, საფეხურები ფრთხილი ნაბიჯებით ჩავიარე, შეუმჩნევლად გავიარე დერეფანი, გავედი გარეთ და აფორიაქებული დავადექი ქუჩას, საფეთქლები მძლავრად მიცემდა, პირი მჭიდროდ მქონდა მოკუმული, სახე – მღელვარებითა და მოუთმენლობით წამონთებული. ერთხანს დავდიოდი ასე გაუჩერებლად და ბოლოს ისევ სახლთან აღმოვჩნდი: შესვლას არ ვჩქარობდი; ვგრძნობდი, რომ ის ქმრისგან განთავისუფლებას ეცდებოდა, რის შემდეგაც შევძლებდი მასთან მოხვედრას. ვიწრო ქუჩის მეორე მხარეს სახლის ნაცვლად ეკლესიის ღობე აღმართულიყო: მას ავეკარი, ვიყურებოდი ზევით და ვცდილობდი ოთახის გამოცნობას. ზედა სართულზე, ღია ფანჯარაში უეცრად ჩრდილმა გაიელვა და გაქრა – ჩაქრა, როგორც ცეცხლის გამონათება. მაინც, თითქოს ყველაფერს ცხადად ვხედავდი: აი, მან ბუხარში დანთებულ ცეცხლს შეშის დიდი ნაჭერი შეუკეთა, როგორც მაშინ, ერთად ყოფნისას, და დგას ახლა, როგორც მაშინ, ოთახის შუაში, ფეხებზე ცეცხლის ანარეკლი უელავს, ან ზის საწოლზე, სმენად ქცეული, მოლოდინში გაქვავებული. კარიდანვე ვხედავ მას, მისი კისრის, მხრების აჩრდილს, სინათლის გამჭვირვალე ტალღით კედელზე არეკლილს და მხურვალების ჩაცხრობისას კვლავ დაბლა დაღვენთილს. უკვე დერეფანში ვიყავი, შემდეგ კიბეზე; ახლა კარი უბრალოდ მიხურული დამხვდა და ჩემ ირგვლივ გაბატონებულ ბნელ სივრცეს უკვე მისი ღრიჭოდან მომდინარე სინათლის მკაფიო

ზოლი კვეთდა. სახელურისკენ ხელგაწვდილს მომეჩვენა, რომ ნაბიჯების და საუბრის ხმები მომესმა. არ მინდოდა ამის დაჯერება, და ეს ყველაფერი უფრო ჩემს სხეულში – საფეთქელში, ყელში – სისხლის ფეთქვის გამოძახილად ან ცეცხლის გიზგიზად მეჩვენებოდა – ცეცხლი მაშინაც ხომ ასე გიზგიზებდა. როდესაც ხელი უკვე სახელურზე მქონდა, მივხვდი, რომ ოთახში ადამიანები იყვნენ, და არცთუ ცოტანი. მაგრამ ახლა სულერთი იყო: რადგან ვგრძნობდი, რომ ისიც იქ იყო და, როგორც კი კარს გავაღებდი, დავინახავდი, მოვეხვეოდი, სხვის ხელებში მყოფს, ხელის ერთი მოძრაობით ჩემკენ მოვიზიდავდი, თუნდაც იქ თავმოყრილი ხმაურიანი მაკაცების კლანჭებიდან მის დასახსნელად გზა მახვილითა და ხანჯლით გამეკაფა! ყველაზე აუტანლად გულგრილი ლოდინი მეჩვენებოდა.

გავაღე კარი და ცარიელი ოთახის შუაში ორი ადამიანი დავინახე, რომლებიც ცეცხლს ანთებდნენ და ამ ცეცხლის ალში შიშველ კედლებსა და იატაკზე დაყრილ ბათქაშს მოვკარი თვალი. კედელთან, მაგიდაზე ორი შიშველი გვამი ესვენა, ერთს: ძალზე დიდს, თავზე რაღაც ეფარა; მეორე, უფრო პატარა, კედელზე მიბჯენილი, საკუთარი სხეულის ნაწილების ჩრდილთა ტყვეობასა თუ მეზობლობაში რჩებოდა, რომლებიც ამოიზრდებოდა, ფართოვდებოდა და კვლავ იკუმშებოდა.

კიბე ბარბაცით ჩამოვიარე და სახლის წინ ორ მესაფლავეს წავაწყდი: ერთმა სახეში პატარა ფარანი შემომანათა და მკითხა, თუ რას ვეძებდი, მეორემ კი თავისი საზიდარი სახლის კართან ჭრიალით მიაგორა. ვიშიშვლე დაშნა, საჭიროებისას თავი რომ დამეცვა და სახლამდე ასე მივაღწიე. მაშინვე დავცალე სამი თუ ოთხი ჭიქა მაგარი ღვინო და მცირე ხნის შესვენების შემდეგ, დილით, ლოთარინგიაში გავემგზავრე.

პარიზში დაბრუნებისას, ყველა ცდა – გამეგო რამე ამ ქალის შესახებ – ამაო აღმოჩნდა. იმ სავაჭროსაც კი მივაკითხე, რომელსაც ორი ანგელოზი ამშვენებდა; მაგრამ, ახლანდელმა მფლობელებმა უწინდელი მეპატრონეების შესახებ არაფერი იცოდნენ.

M. de Bassompiere, Journal de ma vie, Köln, 1663. –
გოეთე, გერმანელი ემიგრანტის საუბრები

ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი

ლუსიდორი

ფიგურები კომედიისთვის

სამოცდაათიანების ბოლოს, ქალაქის ცენტრში, ერთ-ერთი სასტუმროს პატარა აპარტამენტში ცხოვრობდა ფრაუ ფონ მურსკა, შესაძლოა არცთუ სახელოვანი, მაგრამ არც მთლად უცნობი გვარის ქალბატონი; საბუთებიდან ჩანდა, რომ რუსეთის იმპერიის პოლონურ ნაწილში მდებარე მამული, მისი და მისი შვილების კანონიერი საკუთრება, სეკვესტრის თუ რაღაც სხვა მიზეზით, თავისი კანონიერი მფლობელებისთვის ჩამოერთმიათ, თან დროის მცირე მონაკვეთში, შეიძლება ითქვას, უეცრად, რასაც მისი მდგომარეობა არცთუ სახარბიელოდ უნდა ექცია, და ასეც ჩანდა, თუმცა მხოლოდ ერთი შეხედვით. ოჯახს – დედას, ზრდასრულ ქალიშვილ არაბელას, ჯერ კიდევ ყრმა ვაჟ ლუსიდორსა და მოხუც მოახლეს რომ ითვლიდა – ფანჯრებით კერტნერშტრასეზე გამავალი სამი საძილე ოთახი და ერთი სალონი ეკავა, რამდენიმე ოჯახური პორტრეტით, ძველი, ხავერდის გადასაფარებლიანი, შუაში გერბამოქარგული, ერთფეხა მრგვალი მაგიდით, ხოლო ეს უკანასკნელი იქ დალაგებული ვერცხლის დოქებითა და პატარა კალათებით, მეთვრამეტე საუკუნის მშვენიერი ფრანგული ნაკეთობით და სპილენძის ჭედურობითა და ეს ყველაფერი მინიატიურებით მდიდარი კედლით – დამშვენებული; აქვე ღებულობდა ის სტუმრებს, წერდა წერილებს – ხშირად მასპინძელი, ასევე ხშირად სტუმარი – და რადგან თითქმის ყველგან უთვალავი ნაცნობი ჰყავდა, მისი სახლიდან, ძალიან მალე და სრულიად ბუნებრივად, სალონი ჩამოყალიბდა. იმ გაურკვეველ სალონთაგან ერთ-ერთი, განსჯის სიმკაცრის მიხედვით, „შესაძლოდ“ ან „შეუძლებლად“ რომ ნათლავენ. და მაინც, ფრაუ მურსკაზე ყველაფერს იტყოდით, გარდა ვულგარულისა და მოსაწყენისა;

ბუნების, ქცევის და თავის დაჭერის კიდევ უფრო მკაფიო ღირსებებით გამორჩეული ქალიშვილი უჩვეულოდ ლამაზიც გახლდათ. სტუმრების მიღების დროს, ოთხიდან ექვსამდე, აუცილებლად ნახავდით დედას; არცთუ ხშირად – ქალიშვილს, ცამეტი თუ თოთხმეტი წლის ვაჟიშვილს კი მხოლოდ შინაურები იცნობდნენ.

მართლაც, ფრაუ მურსკა ყოველივე ბანალურს მოკლებულ განათლებულ ადამიანად შეგვეძლო ჩაგვეთვალა. ვენის დიდ საზოგადოებაში – ქვეცნობიერად, vaguement, თავის თავსაც რომ მიაკუთვნებდა, და რომელთანაც არცთუ მჭიდრო ურთიერთობას, უფრო მისგან გარიყულობას უნდა დასჯერებოდა – მისი, როგორც „ლურჯი წინდის" (განათლებული არსების) მდგომარეობა არ იყო სახარბიელო. მის თავში კი განცდათა, კომბინაციათა, წინათგრძნობათა, შეცდომათა, გამოცდილებათა, შიშისა თუ ენთუზიაზმის ისეთ დომხალს აწყდებოდით, რომ ამ ყოველივესთან, რაც მას წიგნებიდან ამოეკითხა ან თვითონ შეეთხზა, დაყოვნების სურვილი ნამდვილად არ გიჩნდებოდათ. მსუბუქად, მოულოდნელად იცვლიდა მიმართულებას მისი საუბარი, გალოპით გადადიოდა ერთი თემიდან მეორეზე, თან გადასვლები, უფრო კი მკვეთრი ნახტომები, იყო უჩვეულო, წარმოუდგენელი და დამაბნეველი; მისი ღელვა, შინაგანი განგაში, თვით ჩვენი გმირის მხრიდან ამაზე ყურადღების გამახვილების გარეშეც, ალბათ თანაგრძნობას გამოიწვევდა – მისი საუბრების მოსმენისას ცხადი იყო, რომ უძილობით სიგიჟემდე იტანჯებოდა, და თავს ათასგვარ საზრუნავზე, გარემოებათა სასიკეთოდ შემობრუნებაში საკუთარ წვლილზე ფიქრით და ფუჭი იმედებით იტანჯავდა – თუმცა მისი მოსმენა საინტერესო, თავშესაქცევი გახლდათ და ხანდახან, ცხადია უნებლიეთ, გარემოების იძულებით, თითქმის უტაქტობამდე გახსნილი და უზომოდაც. მოკლედ ის იყო ექსტრავაგანტური არსება, თუმცა მისი სასიამოვნო ნაირსახეობა – კეთილი, მომხიბვლელი, და არავითარ შემთხვევაში რიგითი. მაგრამ ცხოვრებისეულმა გაჭირვებამ – ალღო ვერაფრით რომ აუღო და ვეღარ უმკლავდებოდა – იგი ერთგვარად დააბნია, თითქოს საყრდენი გამოაცალა, რამაც ორმოცდაორი წლის ქალი, საბოლოოდ, ირეალურ, ფანტასტიკურ ფიგურად აქცია. მისი წარმოდგენები, გამონათქვამები იყო ძალზე თავისებური, იშვიათი სულიერი სინატიფით, მაგრამ მიმართებების უკიდურესი არაადეკვატურობით გამორჩეული – როგორც ადამიანებისადმი, ასევე გარემოებებისადმი. რაც უფრო ახლოს იყო მასთან ადამიანი, მით უფრო უჭირდა მისი მიუკერძოებელი აღქმა; და უცნაური იქნებოდა, ასეთ ადამიანს საკუთარ შვილებზე აბსოლუტურად დამახინჯებული წარმოდგენა რომ არ ჰქონოდა და მასზე დაყრდნობით ბრმად არ ემოქმედა. არაბელა მის თვალში იყო ანგელოზი, ლუსიდორი – პატარა,

გულქვა არსება. არაბელა – ამ ქვეყნისთვის შესაფერზე ათასჯერ უკეთესი, იმ ქვეყნისთვის – ლუსიდორი „სრულიად ბუნებრივად რომ ერგებოდა და მომგებიანადაც იყენებდა". სინამდვილეში კი არაბელა იყო მისი გარდაცვლილი მამის ასლი, ამაყი, მუდამ უკმაყოფილო, მოუთმენელი, ლამაზი არსების ორეული, ადვილად რომ ეუფლებოდა ადამიანების ზიზღი, და ამ ზიზღს დახვეწილ იერს კიდევ უფრო ადვილად ანიჭებდა და ნიღბავდა. მამაკაცების მიერ პატივცემული ან მათში შურის აღმძვრელი, ბევრი ქალის ტრფობის საგანი, თვითონ იყო გულცივი, უგრძნობელი. პატარა ლუსიდორი კი – თვით უშუალობა და სიხალასე – მხოლოდ გული. და უმჯობესია აქვე გავამჟღავნო, რომ ლუსიდორი იყო არა ვაჟი, არამედ გოგონა, სახელად ლუსი. მათი ვენაში ყოფნისას უმცროსი ქალიშვილის პაროდიის გმირად წარდგენის ამ განზრახვას, როგორც ფრაუ მურსკას ყველა სხვა ჩანაფიქრს, მისი ელვისებური შთაგონების ნაყოფს, სამომავლო გეგმების ჩახლართული უკანა პლანი ახლდა და ბევრი მოვლენის სასიკეთოდ განვითარების წინაპირობადაც უნდა ქცეულიყო. ეს გონებამხვილური საჭადრაკო სვლა მიზნად, პირველ რიგში, მოხუც, იდუმალ, თუმცა, საბედნიეროდ, ვენაში მცხოვრებ რეალურად არსებულ ბიძაზე ზემოქმედებას ისახავდა, რის გამოც აირჩია ჩვენმა ფრაუმ თავისი ოჯახის ადგილსამყოფლად ეს ქალაქი, თუმცა იმედები გახლდათ ძალზე ბუნდოვანი, ხოლო მათი განხორციელების მრავალსვლიანი კომბინაციები – ცუდად გათვლილი. ამავე დროს, ამ გადაცმას სხვა, არანაკლებ არსებითი მიზეზები და არცთუ უმნიშვნელო უპირატესობაც ჰქონდა – ერთადერთი ქალიშვილით თავის გატანა უფრო ადვილი იყო, ვიდრე ორი, ასაკით საკმაოდ დაშორებულით – გოგონებს შორის სხვაობა კი იყო ოთხი წელი; ასე რომ ეს არჩევანი ნაკლებ ხარჯიანიც გახლდათ. გარდა ამისა, ოჯახის ერთადერთ, და არა უბრალოდ უფროს ქალიშვილად ყოფნა, არაბელას უფრო ხელსაყრელ პოზიციას უქმნიდა; და პატარა, „საყვარელ" ძმას – მხლებლის, მოსამსახურის ნაირსახეობას – ამ მშვენიერი არსების ხიბლის არსენალში დამატებითი მომგებიანი შტრიხები შეჰქონდა.

ამას სხვა გარემოებებიც ეხამებოდა: ფრაუ მურსკას ფანტაზიები – რეალურ საფუძველს არცთუ მთლად მოკლებული – არსებულ სინამდვილეს იმასთან, რაც მის ფანტაზიას შესაძლოდ ან ხელმისაწვდომად ეჩვენებოდა, ძალზე უცნაურად აწყვილებდა. ხუთი წლის წინ გადატანილი ტიფის შემდეგ ლუსის მშვენიერი თმა დაუმოკლეს. შემდეგში ლუსი მამულში ცხენზე ჯირითმა და სეირნობამ გაიტაცა; და იქცა ეს ტრადიციად – მალოროს გლეხის ბავშვებთან ერთად უუნაგირო ცხენზე ამ უკანასკნელისთვის მოწყობილი საბანაო გუბურების გადალახვა. გადაცმულ ცხოვრებას ლუსი ისევე შეეგუა, როგორც

ბევრ სხვა გარემოებას – იყო მომთმენი და ყველაზე აბსურდულიც კი მისთვის მალე იქცეოდა ხოლმე ჩვეად. გარდა ამისა, უაღრესად მორცხვსა და მორიდებულს, ისიც ხიბლავდა, რომ ეს სალონში გამოჩენისა და მოსწრებული ქალიშვილის როლისგან აზღვევდა. ეს იყო ოჯახის საიდუმლო, რომელიც ოჯახის წევრების გარდა მხოლოდ მოხუცმა მსახურმა იცოდა; უცხოთ კი თვალში არაფერი ხვდებოდათ – არც ისე ადვილია პირველმა შეამჩნიო თვალშისაცემი; რადგან ზოგადად, ადამიანები სულ ადვილად ახერხებენ რეალურად არსებულის არდანახვას. მხოლოდ წვრილი, ბავშვური თეძოები, სხვა არაფერი, ამჟღავნებდა ლუსის ქალიშვილობას. და იყო ყველაფერი დაფარული, თვით ეჭვის მიღმაც, და ცვლილებების ხანს, როდესაც პატარა ლუსიდორი საცოლე გახდებოდა ან თავის ქალურობას კიდევ უფრო მკაფიოდ გაამჟღავნებდა, ეს უცნაური გარდასახვა, ალბათ, ყველას გააოგნებდა.

ცხადია, ისეთი ლამაზი, ეშხიანი ახალგაზრდა არსება, როგორიც იყო არაბელა, რამდენიმე ან თუნდაც ერთი გამჟღავნებული თუ აღიარებული თაყვანისმცემლის გარეშე დიდხანს ვერ დარჩებოდა, მათ შორის კი ვლადიმირი გამოირჩეოდა – შთამბეჭდავი, ყველა სიკეთით შემკული ყმაწვილი, ხელების იშვიათი სინატიფით განსაკუთრებით ხაზგასმული, თან იყო ის მეტი, ვიდრე უბრალოდ მემკვიდრე – შეძლებული და ერთადერთი, რომლის მამა ავსტრიელი სამოქალაქო ოფიცერი, ხოლო დედა ძალზე ცნობილი ბალტიური გვარის დიდებული გახლდათ. არაბელას ირგვლივ შემოკრებილთა შორის მხოლოდ ის იყო „პარტია“, ნამდვილი და ერთადერთი. ამას სხვა გარემოებაც ერთვოდა, ფრაუ მურსკასთვის განსაკუთრებით მომხიბვლელი. რადგან, ერთდროულად, რაღაც, მისთვის არცთუ მთლად ნათელი, ოჯახური კავშირებით ის იმ მოუხელთებელ და იმავდროულად უმნიშვნელოვანეს ბიძასთან იყო დაახლოებული, რომლის გამოც ცხოვრობდნენ ისინი ვენაში და რაც გახლდათ ჩვენი ლუსის ლუსიდორად ქცევის ერთ-ერთი მიზეზი. ამ ბიძამ, ვალნერშტრასეზე ბუქუოის სასახლის მთელი სართული რომ ეკავა და რომლის სახელსაც მაღალ საზოგადოებაში ადრე ხშირად ახსნებდნენ, ფრაუ მურსკა ცუდად მიიღო. ქალმა – მისი ძმისშვილის (უფრო ზუსტად კი ბიძაშვილის შვილის) ქვრივმა – მასთან მხოლოდ მესამე ვიზიტისას შეაღწია, რის შემდეგაც აღარასოდეს დაუპატიჟებია, თუნდაც საუზმეზე ან ჭიქა ჩაიზე. მეტიც, დედის მიერ გაგზავნილ ლუსიდორსაც იგივე მიღება ელოდა – უკმაყოფილო და ცივი. ეს არაკეთილგანწყობა მთელი ოჯახისადმი საკმაოდ ზერელედ იყო შენიღბული. ჩვენთვის საინტერესო მოხუცი ბატონის თავისებურება ის გახლდათ, რომ იგი ვერ ეგუებოდა ქალებს, ვერც ხნოვანთ, ვერც ახალგაზრდებს. ამიტომ

ფრაუ მურსკას ჰქონდა იმედი, ერთობ ბუნდოვანი, რომ ის ოდესმე იმედისმომცემი კეთილგანწყობით დაინტერესდებოდა მის ვაჟიშვილის, რომელიც, შეიძლება მის გვარს არ ატარებდა, მაგრამ მასთან სისხლით ნათესაობით იყო დაკავშირებული. მის უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში თუნდაც ეს გაურკვეველი იმედი არცთუ ცოტას ნიშნავდა. ერთხელაც, დედის ბრძანებით ლუსიდორი ბიძასთან გაეგზავნა, მაგრამ ამაოდ – ის არ მიიღეს, რამაც თვითონ ძალზე გაახარა, დედა კი დააბნია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ყოველივე ამას არავითარი გაგრძელება არ მოჰყვა, და ნათესაური კავშირის ეს ძვირფასი ძაფები თითქოს სამუდამოდ გაწყდა. და ვლადიმირი, თავისი ორმაგი კავშირებით, მათი ხელახალი გაბმისთვის მართლაც რომ განგების ნებით მოვლენილად წარმოუდგა. სწორედ ამიტომ, ჩანაფიქრის მოქმედებაში მოსაყვანად, ვლადიმირის მათთან ვიზიტისას ქალების საზოგადოებაში ლუსიდორსაც ჩართავდა ხოლმე, და, საბედნიეროდ, მოხდა ისე, რომ ვლადიმირი „ყმაწვილის" მიმართ კეთილად განეწყო და პირველივე შეხვედრისას ცხენით გასეირნებაც კი შესთავაზა, რასაც, დედასა და არაბელას შორის სწრაფად გაცვლილი მზერის შემდეგ, ქალების მხრიდან მადლიერი თანხმობა მოჰყვა. ვლადიმირის ყურადღება უმცროსი ძმისადმი, ვის მიმართაც ის განსაკუთრებულ სითბოსა და სიმპათიას ამჟღავნებდა, უბრალოდ ბუნებრივად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა – არსებობს კი მომხიბვლელი გარეგნობის თოთხმეტი წლის ჭაბუკის დაუფარავი აღტაცების გამომხატველ მზერაზე უფრო სასიამოვნო რამ?

ვლადიმირის წინაშე ფრაუ მურსკა სულ უფრო მეტად იჩოქებდა, და, ეტყობა, მუხლებზე საბოლოოდ დასამხობად ემზადებოდა. შედეგად: არაბელას მოუთმენლობა დედის ახირებების მიმართ, და ერთი შეხედვით ძნელად ასახსნელი სურვილი, ვლადიმირის მეტოქესთან, სიმპათიურ და ელეგანტურ ტიროლერთან, გლეხისა და კეთილშობილის ნაჯვარ ჰერ იმფანგერთან კოკეტურობისა, რომელსაც სასურველ პარტიად არასდროს განიხილავდა, და ეს მიუხედავად იმისა, რომ დედის რჩეულის ღირსებებისადმი ის გულგრილი არ იყო. როდესაც დედამ, იმის გამო, რომ არაბელა ვლადიმირს ისე არ ექცეოდა, რის მოლოდინიც, სრულიად საფუძლიანად, ამ უკანასკნელს შეიძლება ჰქონოდა, მორიდებით უსაყვედურა, პასუხად თხოვნაზე მკვეთრი უარი გაისმა, რომლის დასაბუთებაშიც ბევრი იყო ნათქვამი უპატივცემულობასა და ვაჟის მიმართ სიმპათიის არარსებობაზე, გაცილებით მეტი, ვიდრე ის სინამდვილეში გრძნობდა. ლუსიდორ-ლუსი ყოველივე ამას შემთხვევით შეესწრო, და მოაწყდა სისხლი უეცრად ქალიშვილის გულს და მისი მიდამოები ასევე სწრაფად დატოვა. უჩვეულო გრძნობა, ბასრი ვით დანა, მსჭვალავდა მის არსებას, ეს

იყო ერთდროულად შიში, ტკივილი და მრისხანება. დის მიმართ წრომა იყო ყრუ, არაბელა – მისთვის ყოველთვის უცხო – ამ წუთში იქცა შემზარავად, და ვერ იტყოდა მის წინაშე უფრო ქედს იხრიდა თუ ეზიზღებოდა. შემდეგ კი ყველაფერი უკიდეგანო ტკივილში გადაიზარდა. ის გარეთ გავიდა და თავის ოთახში ჩაიკეტა. ვინმეს რომ ეთქვა, რომ ეს იყო სიყვარული – პირველ რიგში ვლადიმირისა – ის ამას ალბათ ვერ გაიგებდა. იქცეოდა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო, ავტომატურად, სახეზე ცრემლი სდიოდა, რის მნიშვნელობასაც ვერ ხვდებოდა. შემდეგ მიუჯდა მაგიდას და ვლადიმირს მხურვალე სასიყვარულო წერილი მისწერა. არა თავისთვის – არაბელასთვის. ის, რომ მისი ხელწერა ძალზე ჰგავდა არაბელასას, მას ყოველთვის აღიზიანებდა და თავს ახალი, მისგან განსხვავებული და უშნო ხელწერის ათვისება აიძულა. თუმცა, ამავე დროს, თავის უწინდელ ხელწერასაც ფლობდა. წერილი იყო ისეთი, როგორიც ხელეწიფებათ მათ, ვინც მისი წერისას არც არაფერზე ფიქრობენ და, კაცმა რომ თქვას, ვერც თავს ფლობენ. ის ააშკარავებდა არაბელას ბუნებას, სრულად და მთლიანად: იყო მასში ის, რაც სურდა ვაჟს და თან მოქმედებასაც ავალდებულებდა. ამბავი სრულიად წარმოუდგენელი, და, ალბათ სწორედ ამის გამო, წარმოსადგენად ადვილი, როგორც უდიდესი შინაგანი ძვრების გამოხატულება. არაბელა რომ ყოფილიყო ღრმა და თავგანწირული სიყვარულის შემძლე და ეს ერთი – უეცარი და მკვეთრი – სულიერი განათების წამს გაეცნობიერებინა, ამ გრძნობას, ალბათ, სწორედ ასე გამოხატავდა და ყველასთვის ცნობილ არაბელაზე გაბედული, საკუთარი თავისადმი მწველი ზიზღით ილაპარაკებდა. წერილი იყო უჩვეულო, მაგრამ ცივი გონების მიუკერძოებელი მკითხველისთვისაც კი – როგორც გულჩათხრობილი, იმპულსური ქალიშვილის ფარული ვნების ბუნებრივი ნაყოფი – არცთუ შეუძლებელი. შეყვარებულისთვის საყვარელი ქალის ბუნება მარად დარჩება შეუცნობელი. და ბოლოს, წერილი იყო ისეთი, როგორსაც ინატრებდა და შესაძლებლად მიიჩნევდა ვაჟი, ოცნებებში გათამამებული და საკუთარ თავთან მარტო დარჩენილი. წინასწარ ვიტყვი, რომ წერილი მართლაც მოხვდა ვლადიმირის ხელში: ეს მოხდა მომდევნო ნაშუადღევს, კიბეზე, მალული დადევნების, ფრთხილი მიმართვის, ლუსიდორის, საკუთარი მშვენიერი დის აღელვებული და უხერხული სამიჯნურო შიკრიკის – Postillon d'amour – ჩურჩულის თანხლებით. რა თქმა უნდა, ახლდა პოსტსკრიპტუმიც, რომელიც შეიცავდა ბეჯით თხოვნას, მუდარას, არ აღშფოთებულიყო არაბელას ქცევაში სატრფოს ან სხვების მიმართ არცთუ შესამჩნევი ცვლილებით. ყველაფერს ერთვოდა უზენაესი ვედრება: არ გაემყღავნებინა მისი ნაზი სიყვარული არც სიტყვით და არც იერით.

გადის ორი დღე, რომელთა განმავლობაშიც ვლადიმირის არაბელასთან შეხვედრას ახლავს ყოველთვის ორ წყვილ თვალზე მეტი. და ხვდება შეყვარებულს მისი სურვილის, ეს უკანასკნელი კი ვაჟს საკუთარი განზრახვისა თუ ვარაუდების მიხედვით; ვაჟი უბედურიცაა და ბედნიერიც – უკვე იცის, თუ რამდენად დიდია მისი გრძნობა. და იზრდება მისი მოუთმენლობა, რათა იქცეს უსაზღვროდ, დაუოკებლად. ლუსიდორი, რომელთანაც ის ყოვედღიურად სეირნობს ცხენით და რომლის საზოგადოებაც ერთადერთი კეთილისმყოფელი გამხდარა მისთვის, ამჩნევს – შიშითა და სიხარულით – მეგობრის ბუნების ამ ცვლილებას, მის სულ უფრო მზარდ, სულ უფრო მძაფრ მოუთმენლობას. ამას მოჰყვება ახალი წერილი, პირველზე უფრო ნაზი, უფრო გულში ჩამწვდომი – არ ხელყოს ისედაც მრავალმხრივი მუქარის ქვეშ მყოფი საოცნებო მდგომარეობა, დასჯერდეს ამ აღსარებებს და ლუსიდორის ხელით გადაცემულ წერილებს მხოლოდ წერილობით უპასუხოს. და ყოველ მესამე თუ მეოთხე დღეს გადადის წერილი ხელიდან ხელში. ბედნიერია ეს დღეები ვლადიმირისთვის, ისევე, როგორც ლუსიდორისთვის. იცვლება მათი საუბრის ტონი, ამოუწურავი გამხდარა სასაუბრო თემაც. როდესაც სადმე პრატერის ტყეში სეირნობისას ჩამოქვეითებული ლუსიდორი უახლეს წერილს გადასცემს, საკუთარი ხელის ნაღვაწს, შიშნარევი სიხარულით აკვირდება მისი წამკითხველის სახის ნაკვთებს. ხანდახან სვამს კითხვებს, თითქმის უტაქტოს; მაგრამ ამ სასიყვარულო ისტორიაში ჩართული ყმაწვილის მღელვარება, მისი გონიერება, სულ უფრო მგრძნობიარე და ნაზ არსებად რომ აქცევს, ვლადიმირს ართობს, რომლის აღიარებითაც მას, სხვა დროს ქედმაღალსა და სიტყვაძუნწს, ახლა, ლუსიდორთან არაბელაზე საუბრის გარეშე, ძალზე გაუჭირდებოდა. დროდადრო ლუსიდორი ქალთმოძულე არსებას თამაშობს, ვადაზე ადრე დაბრძენებულ და ბავშვურად ცინიკურ ყმაწვილს. იცის რა თქვას, და ნათქვამი სულაც არაა ბანალური; რადგან კარგად იცის, თუ როგორ შეაზავოს ის იმით, რასაც ექიმები „ინტროსპექტულ სიმართლეს" უწოდებენ. ვლადიმირი, რომელსაც თავმოყვარეობა მოსჭარბებია, და თავმომწონეობასა და ამაოებას სულ ადვილად ემორჩილება, ცდილობს მის განათლებას, რომ სიყვარული, რომელიც მისგან გადმოდინდება და ისეთ არსებაში ჩაედინება, როგორიცაა არაბელა, სრულიად განსაკუთრებული, განუმეორებელი თვისებისაა – მით უფრო სათაყვანოა ლუსიდორისთვის ვლადიმირი, თვითონ კი – პატარა და საცოდავი. ხანდახან საუბრობენ ქორწინებაზე, ლუსიდორისთვის მტანჯველ თემაზე, რადგან ცოცხლდება მაშინ არაბელა, აქამდე მხოლოდ წერილებში არსებული. ასევე ეშინია ლუსიდორს ყოველგვარი გადაწყვეტილების,

ცელილების, შედეგებით რომ იმუქრება, ეშინია, როგორც სიკვდილის. მისი ერთადერთი ფიქრია არსებული მდგომარეობის როგორმე გახანგრძლივება. სიტყვით ვერ გადმოსცემს კაცი, თუ რად უჯდება ლუსიდორს ამ გარეგნულად და შინაგანად მძიმე მდგომარეობის დღეების, კვირების მანძილზე – უფრო შორს გახედვისთვის აღარ ჰყოფნის ძალა – ერთგვარ წონასწორობაში შენარჩუნება. და რადგან ოჯახმა მას ბიძასთან ურთიერთობის გამოსწორების მისია დააკისრა, მის პირნათლად შესრულებას ცდილობს. სტუმრობს მას, ხანდახან იახლებს ვლადიმირსაც; ბიძას, ერთ უცნაურ, ახირებულ მოხუცს, ახალგაზრდებთან თავისუფალი ქცევა და ლუსიდორისთვის მტანჯველ გამოცდად ქცეული საუბარი ცხადია ართობს და ამის უფლებას იგი თავს შეუზღუდავად ანიჭებს. ამასთან ერთად, მისთვის არაფერი ჩანს იმაზე უცხო და შორი, ვიდრე ნათესავებისთვის რამის კეთების სურვილი. ლუსიდორს არ შეუძლია იცრუოს და დედა დაამშვიდოს. მწარეა იმედგაცრუება დედის, რომელიც ხედავს, რომ ბიძასთან დაკავშირებული იმედები ქარწყლდება, და საგანგაშოა მოუთმენლობა, როდესაც ამჩნევს, რომ არაბელასა და ვლადიმირს შორის არაფერი ხდება. ეს უბადრუკი პერსონები, რომლებზეც ის დამოკიდებულია ფინანსურ საკითხებში, თითქოს მხოლოდ იმის ცდაში არიან, როგორმე მისი ორივე ბრწყინვალე მოლოდინი უპერსპექტივოდ აქციონ. ყველასთან ჩივის თავის შიშზე, ყველასთვის ცხადია მისი ცუდად შენიღბული მოუთმენლობა, განსაკუთრებით ლუსიდორისთვის, რომლის თავშიც ამ შეუთავსებელი ამბების აუტანელი კორიანტელია. მაგრამ, რას იზამ, მან ამ ცხოვრების უჩვეულო სკოლაში, რომელშიც აღმოჩნდა, უფრო რთული და მკაცრი გაკვეთილი უნდა მიიღოს.

არაბელას ორმაგ ბუნებაზე არასოდეს თქმულა ცხადად, თუმცა წარმოდგენა თავისთავად ყალიბდებოდა: არაბელა დღისით – ყველაფრის უარმყოფელი, კოკეტური, ზუსტი და ადეკვატური, თავის თავში დარწმუნებული, ამქვეყნიური, მიწიერი, მშრალი და უგრძნობელი, თან ყველა ეს თვისება – ზომიერებას საგრძნობლად გაცდენილი და უკიდურესობამდე მიყვანილი. ღამით კი, შეყვარებულისადმი სანთლის შუქზე წერილის მთხზველი – უსაზღვროდ ერთგული და თავდადებული, ვნებიანი მოლოდინის ტყვეობაში. შემთხვევით თუ ბედისწერასთან სრული თანხმობით ეს ვლადიმირის ბუნების იმავე გაორებას შეესატყვისება. მასაც, ისევე როგორც ყოველ სულიერ არსებას, აქვს – მეტ-ნაკლებობით – თავისი ბუნების დღისა და ღამის მხარე. მშრალ, ცივ ქედმაღლობას, პატივმოყვარეობას – მძაფრსა და მდგრადს, სიმდაბლის, ამპარტავნობისა და მომხვეჭელობის გარეშე – სხვა გრძნობები, სხვა სწრაფვანი უპირისპირდება. უფრო, კი

არ უპირისპირდება, არამედ სიბნელეში, მოფარებულში ყოფნას ცდილობს, გაუცნობიერებლის სამყაროში, ცნობიერამდე ამოტივტივებისთვის მუდმივ მზადყოფნაში, ჩასაფრებული ბინდისა და სინათლის ზღურბლზე – მდიდარი წარმოსახვის მასაზრდოებელი ეს ფაქიზი მგრძნობელობა, საკუთარი თავის ცხოველურში – ძაღლში, გედში – გარდასახვას რომ ესწრაფვის და ხანდახან მის სულს მთლიანად ეუფლება. ამ გარდამავალ ხანას, ბავშვობიდან ყრმობისკენ მიმავალს, ის არცთუ სიამოვნებით იგონებს. მაგრამ რაღაც ამ დროისა მაინც შემორჩენია, და ამ მიტოვებულ, უკაცრიელ სამყაროს, რომლის სივრცესაც აზრი, თუნდაც ერთი, ობოლი, არ გადაუფრენდა, საკუთარი ბუნების ღამისეულ, საკუთარივე ნებელობით დათრგუნულ და გაუკაცრიელებულ მხარეს სხვა არაბელას, უხილავის, სიყვარულის ბინდიანმა, იდუმალმა სინათლემ გაჰკრა და გაანათა. და შემთხვევით დღის არაბელა მისი მეუღლე ან სატრფო რომ გამხდარიყო, ორი გაუცხოებული არსების კავშირი მიწიერი, ყოველდღიურობის ფარგლებში მოქცეული დარჩებოდა და საკუთარ ცხოვრებაში თავისივე ნებით დათრგუნული ბავშვობის დროის ფანტაზმებისთვის სივრცის დათმობას არც ვლადიმირი დათანხმდებოდა. თავისი არსების ამ მხარეზე, ბნელში არსებულზე, ის სხვაგვარად ფიქრობდა და ქალსაც სხვაგვარად სწერდა. და რა უნდა ექნა ლუსიდორს, თუკი მისი მეგობარი ამ ურთიერთობაში უფრო მეტს ესწრაფოდა, ამ, თეთრ ფურცლებზე ჩამწკრივებულ სტრიქონებზე აღმატებულს, მხურვალე გრძნობის ცოცხალ ნიშანს? ლუსიდორი რჩებოდა მარტო, საკუთარ შიშისა და მღელვარების, აფორიაქებული გრძნობების ღაღადის – საკუთარი სიყვარულის პირისპირ. დღის არაბელა მას ვერ შველოდა. და იყო ისე, თითქოს მას, დემონის მიერ წაქეზებულს, თამაში სწორედ ლუსიდორის წინააღმდეგ წამოეწყო. რამდენადაც ცივი, გაუწონასწორებელი, მიწიერი და კოკეტური იყო არაბელა, მით უფრო სხვას ითხოვდა და იმედოვნებდა ვლადიმირი და თანაგრძნობის ისეთი იმედით, რომ ლუსიდორს სულ უფრო უჭირდა უარის თქმა, სიმამაცე ღალატობდა, ხელიდან უსხლტებოდა, ქუცმაცდებოდა, და მისთვის თავი კიდეც რომ მოეყარა, მისი ნაზი კალამი ამ უარის გამოსათქმელად საჭირო სიტყვებს მაინც ვერ იპოვიდა. დადგო დრო, როდესაც ვლადიმირს შეეძლო ფიქრი არაბელას მიერ მისი ლუსიდორის ოთახში მიღების და იმის შესახებაც, თუ როგორი იქნებოდა ეს უკანასკნელი. ლუსიდორმა მოახერხა კერტნერშტრასეზე გამავალი ფანჯრის ისე დაბნელება, რომ კაცი თვალთან მიტანილ თითსაც ვეღარ დაინახავდა. ის, რომ საუბრის ჟღერადობა ძნელად გასარჩევ ჩურჩულამდე უნდა გაფერმკრთალებულიყო იყო ცხადი: მოსამსახურისგან მას მხოლოდ ერთი უბრალო კარი მიჯნავდა. არაფერი თქმულა იმაზე,

თუ სად უნდა გაეტარებინა ლუსიდორს ღამე: ცხადი იყო, რომ ის, ყველაფრის უცოდინარი, რაღაც მიზეზით თუ საბაბით საკუთარ ოთახს დატოვებდა. უცნაური იყო, რომ არაბელას თავის მშვენიერ თმაზე მკვრივი, გაუმჭვირვალე ქსოვილი შემოეხვია და მეგობრის მიერ მისი მოცილების ცდა მტკიცედ უარყო. თუმცა, იმ ღამით ეს იყო ერთადერთი უარი. გადიოდა ბევრი ღამე, ამ ღამისგან განსხვავებული, მაგრამ კვლავაც დგებოდა მსგავსი – ვლადიმირი იყო ბედნიერი. შესაძლოა ეს იყო მისი ცხოვრების უბედნიერესი დღეები. ღამის ბედნიერებით მოპოვებული თავდაჯერებულობა არაბელასთან დღისით ურთიერთობას თავისებურ, განუმეორებელ ელფერს სძენს. და პოულობს განსაკუთრებულ სიამოვნებას იმაში, რომ, მისთვის გაუგებარი მიზეზებით, სატრფო დღისით სრულიად განსხვავებულია; მომაჯადოებელია ქალის თავის ფლობა, თუნდაც ერთი გამოხედვით, ერთი მოძრაობითაც რომ არ ღალატობს. ეჩვენება, რომ კვირიდან კვირამდე მის მიმართ ის მით უფრო ცივი ხდება, რაც უფრო ნაზად ამჟღავნებს თავს ღამით. და მასაც სურს გამოჩნდეს ცბიერებაში არანაკლებ გაწაფული, ლაღი და თავისუფალი. და ღამის ნეტარების მოპოვებას ამ იდუმალი და ურყევი ქალური ნების მორჩილებით ცდილობს, და იმავდროულად იმასაც, რომ ეს გაორებული არსება უმძაფრესი განცდების წყაროდ აქციოს. რადგან მას ის ეკუთვნის, რაც თითქოს არც არის მისი; განცდა იმისა, რომ ის ვინც ღამით თავის სხვისადმი მიძღვნაში ვნებას უსაზღვრო თავდავიწყებით ეძლევა, დღისით, პირიქით, უმანკო და უკარება არსების ხატში მკვიდრდება, იგივე სიამოვნებაა თავბრუდამხვევი, რაც ჯადოსნური თასის განმეორებითი შესმა. და ხვდება, რომ ბედს მუხლმოდრეკილი უნდა უმადლოდეს, ამ, მისი არსების ფარული ოცნებების ყურისგდებით ხორცშესხმულ ბედნიერებას, რასაც გამოთქვამს გრძნობების გულახდილობის მოზღვავებაში, თვით ლუსიდორთანაც. და არაფერია უარესი, საცოდავ ლუსიდორს სულის სიღრმემდე რომ აძრწუნებს.

არაბელა კი, ნამდვილი, სწორედ ამ კვირებში ვლადიმირს ისე მკვეთრად ემიჯნება, რომ ყოველი საათი აძლიერებს მასში ეჭვს, ხომ არ იმყოფება მცდარი ინტერპრეტაციის უჩვეულო ცდუნების ტყვეობაში. მართალია, ვაჟს აშკარად და ცხადად არ გაუმჟღავნებია თავი, მაგრამ გრძნობს ქალი, რომ მათ შორის გაჩნდა რაღაც, ადრე არარსებული. აქამდე ყოველთვის ესმოდა მისი, თითქმის ასეა ახლაც; მათი ცხოვრების განათებული მხარეები, ჩაბნელებულისგან განსხვავებით, ერთმანეთის ჰომოგენურია; ისინი შეძლებდნენ ოჯახური ცხოვრების გონივრული ურთიერთობების კალაპოტში შენარჩუნებას. ჰერ იმფანგერისა – რომელიც მოსწონს – არ ესმის. ის, რომ

ვლადიმირი არ მოსწონს, ახლა უფრო ცხადად გრძნობს; ის აუხსნელი რაღაც, მისგან უცნაურ რხევებად რომ მოედინება, მოუთმენელს ხდის. ეს არაა ქორწინების სურვილი, არც ქათინაურები და პირმოთნეობა; ვერ ხვდება რა, სახელს ვერ უძებნის; თუმცა არ მოსწონს. იმფანგერმა კი უნდა იცოდეს, რომ ის მოსწონთ. ვლადიმირს, საამისოდ, თითქოს საკუთარი არგუმენტები აქვს. ამ ორ ახალგაზრდა მამაკაცს შორის უცნაური ურთიერთობა ყალიბდება. თითოეულს ჰგონია, რომ მეორეს გულგატეხილობის ან, სულაც, ბრძოლის ველის მიტოვების სრული საფუძველი აქვს. პირველი მეორის, და პირიქით, თავდაჯერებულ იერს უბრალოდ სასაცილოდ თვლის. არც ერთმა არ იცის, რა უქნას სრულქმნილ სულელად და ჭკუიდან გადასულ არსებად მიჩნეულ მეორეს.

მტანჯველია დედის მდგომარეობა. გამოსავალი არ ჩანს და ამაოა მისი ძიება. ახლობლებმა ის გაჭირვებაში მიატოვეს. მეგობრული ურთიერთობების თავაზიანობის ნიღბით მიცემულ სესხს უცერემონიოდ ითხოვენ უკან. და ახლოვდება საბედისწერო გადაწყვეტილებების – სწრაფისა და მკვეთრის – ხანა. ვენაში ცხოვრებასთან გამოთხოვება გარდაუვალია. დგება ჟამი მეგობრებთან წერილით გამომშვიდობების და სადმე, თუნდაც სეკვესტრირებული მამულის დღევანდელ მმართველთან, თავშესაფრის ძიების. არაბელას ეს ამბავი არ ახარებს, მაგრამ არც მისი ბუნებისთვის სრულიად უცხო სასოწარკვეთაში აგდებს. ლუსიდორი კი, შეშინებული, იძულებულია ეს ჭეშმარიტი, უსაზღვრო სასოწარკვეთა არ შეიმჩნიოს, თავის თავში ჩაკეტოს და იქ შეებრძოლოს. ჩაიარა მრავალმა ღამემ, ვიდრე თავის მეგობარს მოუხმობდა. მას სურს ეს ამაღამვე მოხდეს. დედასა და არაბელას შორის საღამოს საუბარი, გამგზავრების გადაწყვეტილება, მისი ხელის შეშლის შეუძლებლობა: ეს ყველაფერი მის გულს მიზანში მოხვედრილი კომბალივით ხვდება. იქნებ სასოწარკვეთილი ნაბიჯისთვის მიემართა, ყველაფერი უკან მოესროლა, დედასთან ყველაფერი ელიარებინა, პირველ რიგში კი მეგობრისთვის ეთქვა, თუ ვინ არის მის ნეტარ ღამეთა არაბელა, მაგრამ იმწამსვე შიში დაუვლის, ყინულივით ცივი, მეგობრის იმედგაცრუებისა და მრისხანების. თავი დამნაშავედ წარმოუდგება, თუმცა არც მეგობრის, არც სხვების წინააღმდეგ არაფერს ფიქრობს. არ შეუძლია ამ ღამით მისი ნახვა. გრძნობს – სირცხვილის, შიშისა და ძრწოლისგან შეიძლება სული ამოხდეს. და ნაცვლად იმისა, რომ მის მკლავებს მიენდოს, წერს ბარათს, უკანასკნელს – ყველაზე უდრტვინველს, მორჩილებით აღსავსეს, თანაგრძნობის მაძიებელსა და მის გამომწვევს, და არაფერია უფრო შეუფერებელი, ვიდრე სახელი არაბელა, რომელსაც აწერს. არასოდეს ჰქონია იმედი მისი ცოლობისა. თუნდაც

ტრფობის ერთი წელი იქნებოდა უსასრულო ბედნიერება. ემუდარება ნურაფერს იკითხავს, ნუ იქნება მომთხოვნი, ნუ ეცდება მიზეზებში გარკვევას. შეუძლია სტუმრობა, მხოლოდ საღამოს. რადგან უახლოეს დღეს, ხვალ, იქნება უკვე შორს. ერთხელაც, გვიან, ალბათ ყველაფერს მიხვდება, გაიგებს, სურს დამატება – აპატიებს, მაგრამ არაბელასთვის ეს სიტყვა შეუფერებელია, ამიტომ აღარ წერს. სძინავს ცოტა, დგება ადრე, სასტუმროს მსახურის ხელით უგზავნის წერილს. დილა ეთმობა ბარგის მომზადებას. საუზმის შემდეგ, უთქმელად, მიდის ბიძასთან. ღამით გადაწყვიტა. ეცდება ამ უცნაური კაცის გულის ასაჩუყებელი სიტყვების მოძებნას. მოხდება საოცრება და გაიხსნება ეს მტკიცედ გადაკვანძული ფულის ქისა. არ ფიქრობს ამ ყველაფრის სინამდვილეზე, მხოლოდ დედაზე, ოჯახის მდგომარეობაზე, სიყვარულზე. ფულით ან წერილით ხელში ჩაუვარდება ფეხებში დედას, სთხოვს პატიებას და ერთადერთ ჯილდოს – რას? დაქანცული პაწია თავი აღარ ემორჩილება – ჰო! მხოლოდ ეს, თავისთავადი და ცხადი: რომ დარჩნენ ვენაში, რათა დარჩეს ყველაფერი ისე, როგორც არის. ბიძია სახლშია. ამ სცენის დეტალების, საკმაოდ უცნაურად ჩავლილის, მოყოლა არ ღირს. მხოლოდ ეს: მისი გულის მოლბობა მან თითქმის მოახერხა – ის თითქოს მზადაა გადადგას ნაბიჯი, მაგრამ ეს ჭაღარა ჭრიჭინა კვლავაც ჭირვეულობს, და საკუთარ გადაწყვეტილებას გადათქვამს: კი, მოიფიქრებს რამეს, მაგრამ შემდეგ, არ ამბობს როდის – ამით მთავრდება ყველაფერი. ის ბრუნდება სახლში, კიბეზე მიიპარება და თავის ოთახში, ყუთებსა და ჩემოდნებს შორის, იატაკზე დაჩოქილი, სასოწარკვეთას ეძლევა. ეჩვენება, რომ ოთახში ესმის ვლადიმირის ხმა. ფეხის წვერებზე მიდის კართან, უგდებს ყურს. ეს მართლაც ვლადიმირია – არაბელასთან ერთად, მასთან საკმაოდ უჩვეულო, ხმამაღალ დიალოგში ჩართული.

ვლადიმირმა არაბელასგან დილით იდუმალი გამოსათხოვარი წერილი მიიღო. არაფერი მოხვედრია ასე მძაფრად გულში. ვაჟი გრძნობს, რომ მასა და ქალს, ოღონდ არა მათ გულებს შორის, გაწოლილა რაღაც ბნელი. ის გრძნობს საკუთარ არსებაში სიყვარულსა და ძალას, რათა შეიცნოს ის, რაც უნდა იყოს, გაიგოს, შეუნდოს, . მისი ღამეების სატრფო, განუმეორებელი და ერთადერთი, მეტისმეტად ძვირფასია მისთვის, თავი მის გარეშე რომ წარმოიდგინოს. უცნაურია, მაგრამ ნამდვილ არაბელაზე არ ფიქრობს, თითქმის ეხამუშება, რომ სწორედ არაბელა იქნება ის, ვისთანაც უნდა მივიდეს, გაამხნევოს, დაამშვიდოს და დაეუფლოს, სამუდამოდ და სრულად. ის მიდის, იქ მხოლოდ დედას პოულობს, აღელვებულს, დაბნეულსა და ფანტასტიკურს, ვიდრე ოდესმე. დედისთვის ახლა სხვაგვარია ვაჟი, განსხვავებული იმისგან, რაც ახსოვს. ხელზე ამბორი, საუბარი –

გრძნობამორეული, შეცბუნებული. სთხოვს არაბელასთან პირისპირ დარჩენის ნებართვას. მოხიბლული ფრაუ მურსკა უკვე ციური ნეტარების სამყაროშია, ყოველგვარი გადასვლისა და შუალედის გარეშე. მისი სტიქია ხომ შეუძლებელი, წარმოუდგენელია. არაბელას მოსახმობად იჩქარის, დ ახალგაზრდა მამაკაცისთვის – ახლა, როდესაც ყველაფერი ასე სასიკეთოდ შემოტრიალდა – თანხმობის თქმას ავალდებულებს. არაბელა განცვიფრებულია. „მასთან ასეთი ურთიერთობა არ მაქვს", ამბობს ცივად. „არავის აქვს ზუსტი წარმოდგენა მამაკაცთან ურთიერობის ხასიათზე", პასუხობს დედა და მას სალონში აგზავნის. დაბნეულია ვლადიმირი, აღელვებული, მგზნებარე და ანთებული. სულ უფრო რწმუნდება არაბელა, რომ მართალია ჰერ იმფანგერი, როდესაც ვლადიმირს უცნაურ არსებად მიიჩნევს. მისი თავდაჭერილობითა და სიცივით წონასწორობადაკარგული ვლადიმირი ევედრება ბოლოს და ბოლოს მოიხსნას ნიღაბი. მოიხსნას რა, არაბელა ვერ ხვდება. ვლადიმირი ერთდროულად ნაზია და მრისხანე – ნაზავი, არაბელასთვის ასე ნაკლებად მომხიბვლელი, შედეგად, ის ოთახიდან გარბის და მას მარტო ტოვებს. ვლადიმირი, სრულიად დაბნეული, მზადაა ქალი გიჟად ჩათვალოს, რომელიც, თავის მხრივ, მისი მისამართით იმავეზე მიანიშნებს, რაშიც მესამეს სრულად ეთანხმება. და იმ დროს, როდესაც ვლადიმირი სრულიად უაზრო მონოლოგის წამოწყებას აპირებს, იღება მეორე კარი და მისკენ მოისწრაფის ხილვა – უუცნაურესი, შემოეხვევა და იატაკზე ეშვება – ეს ჩვენი გმირია, მაგრამ არა უწინდელი ლუსიდორი, არამედ ლუსი, ეშხიანი და ცრემლით დანამული, არაბელას ღამის ტანსაცმელში, ბიჭურად მოკლედ შეკრეჭილი თმა აბრეშუმის თავშალს დაუფარავს. ესაა მისი მეგობარი და ნდობით აღჭურვილი პირი, იმავდროულად იდუმალი საატრფო, მისი მეუღლე. დიალოგს – ორი ადამიანის ურთიერთობის ცოცხალ დინებას, ჩვენ თვალწინ განვითარებულს – ცხოვრების სტიქია წარმოშობს, რომლის მიბაძვაც მხოლოდ კომედიას შეუძლია, და არავითარ შემთხვევაში მოთხრობას.

ასევე, გახდა თუ არა ლუსიდორი ვლადიმირის ცოლი, თუ დარჩა იმად – დღისით, და სხვა ქვეყანაში – რაც იყო ბნელი ღამისას – მისი ბედნიერი საატრფო, მოდით აქ ამის აღწერას ნუ შევუდგებით.

შეიძლება გამოვთქვათ ეჭვი, იყო თუ არა ვლადიმირი მართლაც ღირსეული ადამიანი, ღირსი ამ ერთგულებისა. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ლუსის ამ უანგარო ერთგულების მთელი მშვენება სხვა – ნაკლებად უცნაურ – გარემოებებში, ალბათ, დაფარული დარჩებოდა.

რაინერ მარია რილკე

ურჩხულის მძღოლი

იყო და არა იყო, იყო ერთი ქვეყანა, ლამაზი, უხვი, ბარაქიანი, თვალუწვდენ ტყიან-ველიან, უხვწყლიან-მდინარიანი; ჰქონდა ქალაქი ურიცხვი, ხალხმრავალქუჩებიანი. და ჰყავდა მეფე ღმრთისაგან ნაკურთხი, დარბაისელი, ხნიანი; ყველა ღირსებით შემკული, და, რაც სარწმუნოდ გვსმენია, მეფეთა სხვათა ზედა აღმატებული, ამაყი, კეთილზნიანი.

და ჰყავდა ამ მეფეს ქალიშვილი სინორჩით, უცხო ლტოლვა-სევდითა და მშვენიერებით გამორჩეული. და იყო მეფე მთელ სამეზობლოს დამოყვრებული, ქალწული კი – ასული ნორჩი, მარტოსული – თითქოს ყოველგვარ საახლობლოს, სანათესაოს მოკლებული. მისი თვინიერი ბუნება, სათნო იერი, ახალგაშლილი კოკორის უმანკო ეშხი იქცა უნებლიე და უცოდველ მიზეზად იმისა, რომ, რაც უფრო იშლებოდა მშვენიერების ეს კვირტი და სრულქმნილი ხდებოდა მისი სილამაზე, სულ უფრო ახლოს მოიწევდა ურჩხული, სანამ ბოლოს, ტყეში, ქვეყნის უმშვენიერესი ქალაქის ახლოს არ დაიდო ბინა – თვით შიშმა, საზარელმა და სასოწარმკვეთმა, რადგან არსებობს იდუმალი კავშირი მშვენიერსა და შემზარავს შორის; და ერთხელაც, ერთ გარკვეულ ადგილას, ისინი ერთმანეთს ავსებენ, როგორც მოცინარი სიცოცხლე და მოახლოებული, ყოველდღიურობასთან შეზრდილი სიკვდილი.

ვერ ვიტყვით, რომ გოგონას მტრობდა ურჩხული, როგორც ვერ იტყვის ვერავინ, თუ არა საკუთარი სინდისისა და ღირსების მიმართ გულგრილი და მათზე გულაყრილი, რომ სიკვდილი მტერია სიცოცხლის. შესაძლოა, ეს დიდი, მრისხანედ მგვრგვინავი ცხოველი, გართხმულიყო, გაწოლილიყო ამ მშვენიერი არსების წინაშე, როგორც

ძაღლი, და ამ საყვარელი ხელების ცხოველური ერთგულებისა და თვინიერების ნიშნად ლოკვისა და მოფერებისგან მხოლოდ საკუთარი ენის შემზარავი იერის გამო შეეკავებინა თავი. მაგრამ, ბუნებრივია, ასეთი თამამი ცდის უფლებას ადამიანები თავს ვერ მისცემდნენ, მით უმეტეს, რომ ყველას მიმართ, ვინც მას უახლოვდებოდა, ის იყო დაუნდობელი, როგორც სიკვდილი, ხილული და ხელშესახები, ყველას, უკლებლივ – ბავშვებს, ჯოგსა თუ ფარას – თავს ესხმოდა და ატყვევებდა.

თავდაპირველად ამ ამბის შემსწრე მეფე იყო ამაყი და კმაყოფილი, რადგან ამ განსაცდელმა დაავაჟკაცა მისი ქვეყნის ჭაბუკები, მამაკაცებად აქცია ისინი. ეს ახალგაზრდები, თავიანთი საქმიანობისა თუ წოდების ღირსნი, კეთილშობილთა მემკვიდრენი, სასულიერო სკოლის მოწაფენი თუ ხელოსანთა შეგირდნი, თითქოს სიზმარში, ოცნებათა ხორცშესხმის სახელოვან ცდაში, მიემართებოდნენ იქ, როგორც შორ, უცხო ქვეყანაში, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის – ხანმოკლე, მაგრამ სასტიკისა და დაუნდობლის – შიშისა და იმედის წუთებით გულანთებული, სუნთქვაშეკრული გმირები. სულ რამდენიმე კვირის შემდეგ დაივიწყა ყველამ ამ მამაცი ჭაბუკების რიცხვიც და სახელიც და არავის უცდია სადმე აღებეჭდა, უკვდავეყო ისინი – რადგან სწორედ ასეთი განსაცდელის დღეებში ხდებიან გმირები ჩვეული, თითქოს ყოველდღიური; და აღარ იწვევენ ხალხში გაკვირვებას, რადგან აღარაფერია მათში უჩვეულო და გაუგონარი. ადამიანური თანაგრძნობის მაძიებელი დაუშრეტელი სურვილი, შიში, შიმშილი ათასთა მოუხმობს მათ, და ისინიც ცხადდებიან ამ მოწოდებაზე, არიან მათთან, როგორც აუცილებლობა, როგორც პური, იმ უკანასკნელი თუ უპირველესი კანონებით უზრუნველყოფილი, თვით ძნელბედობის ჟამსაც რომ არ კარგავს ძალას, მოქმედებს მაინც.

რადგან ამ უიმედო დღევანდელობის მსხვერპლთა რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა და მთელ ქვეყანას, ყოველ ოჯახს საუკეთესო შვილი (ხშირად ჯერ კიდევ ბავშვი) აკლდებოდა, შეშინდა მეფე სამართლიანად, რომ მისი ქვეყნის ყველა პირმშოს განადგურება და გოგონათა უმრავლესობას ქალწულური ქვრივობის სიმწრის მრავალი წელი ემუქრებოდა, და აუკრძალა თავის ქვეშევრდომებს ორთაბრძოლა. უცხოელ ვაჭრებს კი, ამ არნახული განსაცდელით შეშინებულები ამ ქვეყნიდან რომ გარბოდნენ, მისცა დავალება, მსგავს შემთხვევაში უძველესი დროიდან მეფეთა შორის მიღებული: ის, ვინც ამ უბედური ქვეყნის სასიკვდილო განსაცდელიდან დახსნას შეძლებდა, ჯილდოდ მისი ქალიშვილის ხელს მიიღებდა, მიუხედავად იმისა, იქნებოდა ის კეთილშობილი თუ ჯალათის ნაბოლარა შვილი.

და აღმოჩნდა, რომ უცხო ქვეყნებსაც შეეძლოთ ეამაყათ თავიანთი

გმირებით; რადგან ამ მაღალი ჯილდოს დაპირებამ ააღელვა მათი ღირსეული შვილები და ბედის ცდა მრავალმა გადაწყვიტა.

თუმცა გამოჩნდა ისიც, რომ არც უცხოელები იყვნენ ადგილობრივებზე იღბლიანნი: ისინი აქ არა გამარჯვებისთვის, არამედ გმირული სიკვდილისთვის მოდიოდნენ.

და მოხდა ამ დღეებში მეფის ასულის უცნაური ფერისცვალება: თუ დღემდე მისი გული, გლოვითა და ქვეყნის დაქცევით დათრგუნული, ღმერთს ურჩხულის დამარცხებას მხურვალედ ევედრებოდა, ახლა უცნობი მხსნელის ჯილდოდ გამოცხადებული არსების უმანკო გრძნობა ქვეყნის დამაქცევარი ურჩხულისადმი თანაგრძნობით იმსჭვალებოდა და იქამდეც კი მივიდა, რომ ღამით, სიზმრის უსაზღვრო თავისუფლებასა და უშუალობაში მის სახელზე ლოცვებსაც კი თხზავდა და მფარველობას სთხოვდა წმინდა ასულებს.

ერთხელ დილით, ასეთი სიზმრებიდან ღრმა სირცხვილის გრძნობით გულდამძიმებულს რომ გამოეღვიძა, მოაღწია სასახლემდე ამბავმა, რომელმაც ის შეაშინა და დააბნია. ეს იყო ამბავი საბრძოლველად მოსული – ღმერთმა უწყის საიდან – ახალგაზრდისა. მას, მართალია, ურჩხულის დამარცხება ვერა, მაგრამ კლანჭებიდან დასხლტომა მოეხერხებინა, დაჭრილს, სისხლდენით დასუსტებულს, ხოხვით ულრან ტყემდე მიეღწია და თავი მისთვის შეეფარებინა, სადაც ენახათ უგონო, გაყინული, თავის ცივ, რკინის ნაჭუჭში შეყუჟული და სახლში მიეყვანათ; და იწვა ახლა იქ, მძიმე ავადმყოფი, ციებცხელებიანი, ის, ვისთვისაც, თვით საკუთარი, ღრმა ჭრილობებით ანთებული და აგიზგიზებული სისხლის მიმოქცევაც კი აუტანელი ტკივილის წყაროდ ქცეულიყო.

როდესაც ამ ამბავმა გოგონას ყურამდე მიაღწია, იმწამსვე მოისურვა მასთან წასვლა, ისე, როგორც იყო ჩაცმული, ქუჩები თეთრი აბრეშუმის პერანგის ამარა რომ გაირბინა და სასიკვდილო იარებით ტანჯულამდე რაც შეიძლება სწრაფად მიეღწია. მაგრამ მსახურებმა არ დაანებეს, ჩააცვეს, მოამზადეს და ახლა სასახლის დერეფნებში მიმავალი, თითქოს შორიდან მომავალი საკუთარი თავისკენ მოიჩქროდა, შემდეგ მას იმავე სიჩქარით რომ დაშორებოდა და ციხეკოშკის უთვალავ სარკეებში არეკლილი თავისი ულამაზესი კაბისა და ნაღვლიანი სახისთვის შეევლო თვალი. და მიატოვა ამ თამამი განზრახვის ასრულებისთვის ასე აუცილებელმა სიმხნევემ. ბევრჯერ გადაწყვიტა გაეგზავნა მასთან საიდუმლოს შემნახავი ერთგული მსახური, რათა მიეტანა მისთვის რჩეული თეთრეული ან მალამო, ტკივილის შემამსუბუქებელი.

მაგრამ უცნაური შფოთვა არ ასვენებდა, გულს უღრღნიდა.

დაღამებისთანავე ჯდებოდა ფანჯარასთან და იმ სახლის გამოცნობას ცდილობდა, რომელშიც უცნობი სიკვდილს ელოდა, რადგან ცხადი იყო, რომ ის კვდებოდა. მხოლოდ ერთადერთი არსება თუ შეძლებდა მის ხსნას, მაგრამ ის ერთადერთი მეტისმეტად მშიშარა და მხდალი აღმოჩნდა, და უარი თქვა მისი თავშესაფრის ძებნაზე. აღარ ასვენებდა ფიქრი, რომ დაჭრილი გმირის ბედი მის ხელში იყო. ამ ფიქრმა ტანჯვასა და სინდისის ქენჯნაში გატარებული დღეების მესამე ღამეს სახლის დატოვება აიძულა, გარეთ, ქუჩაში გააგდო, ამ შიშის სამფლობელოდ ქცეული, წვიმიანი ზაფხულის უკუნში. და არ იცოდა, როგორ მიეგნო სასურველი სახლისთვის, თუმცა ადვილად იცნო ფართოდ გაღებული ფანჯრით, სახლის უჩვეულო, მძაფრი განათებით, რომელიც კითხვასაც და ძილსაც შეუძლებელს ხდიდა.

და მან, უმწეომ და საცოდავმა, ნელა მავალმა, თავისი ცხოვრების პირველ სევდა-ნაღველს ჩაღრმავებულმა და ფიქრებში ჩაძირულმა, ჩაუარა სახლს, გასცდა მას, გააგრძელა გზა, და მიდიოდა ახლა შეუჩერებლად, სულ უფრო შორდებოდა ქალაქს.

წვიმამ გადაიღო; ღრუბლიანი ცა გადაიხსნა და მიმოფანტული ღრუბლის გროვებს ზევით, აქა-იქ კაშკაშა ვარსკვლავები აკიაფდა; სადღაც ბაღში თავისი საგალობლის პირველ სტროფებს სტვენდა ბულბული, არ ეშურებოდა მის დამთავრებას და საკუთარი სიმღერის სილამაზით ტკბებოდა. ყოველი ახალი სტროფის დასაწყისი იყო, ვით შეკითხვა პასუხსმოწყურებული, ირგვლივ გამეფებული სიჩუმიდან ამოზრდილი ულერადობა კი დიდი და ძლევამოსილი, როგორც ხმა უზარმაზარი ფრინველისა, რომლის ბუდე ცხრა მუხის წვერს გადაჰფენია.

როდესაც პრინცესამ დიდი ხნის სიარულის შემდეგ ცრემლიანი მზერა გზას მოსწყვიტა და მაღლა აღაპყრო, დაინახა ტყე და მის მიღმა განთიადის ნათელი ზოლი. და გამოეყო ამ ზოლს რაღაც შავი, თითქოს მისკენ მავალი.

ეს იყო მხედარი. გოგონა მას უნებლიეთ გაეცალა და ბნელ, სველ ბუჩქებს შეაფარა თავი. მხედარმა დინჯად ჩაუარა; მისი ცხენი თრთოდა, ცახცახებდა, გაოფლილს ფერი ჰქონდა მუქი, თითქმის შავი. თრთოდა თითქოს მხედარიც: მსუბუქად ულარუნობდა მისი ჯავშანპერანგის ყველა რგოლი. თავზე მუზარადი არ ეხურა, დაქანცულს მახვილი ძირს მძიმედ ჩამოეშვა. მის სახეს გოგონა გვერდიდან ხედავდა: და იყო ის მხურვალე, აღგზნებული, თმას უწენავდა ქარი.

პრინცესამ გააყოლა მზერა. უყურა დიდხანს და მიხვდა – სწორედ მან სძლია ურჩხულს. და მიატოვა იმწამს სევდამ, და აღარ იყო ის არსება ამ ბნელ ღამეში დაკარგული და გზააბნეული, რადგან ეკუთვნოდა მას, ამ უცნობ, უცხოდ მთრთოლვარე გმირს, ყოფილიყოს თითქოს მისი მახვილის დობილი.

მიაშურა სახლს, თავის საბედოს იქ რომ დალოდებოდა. შეუმჩნევლად შევიდა თავის ოთახში. როგორც კი გათენდა, გააღვიძა მოახლე და თავისი საუკეთესო კაბის მოტანა უბრძანა. როდესაც აცმევდნენ, გაისმა ხმაური – ეს ქალაქი იღვიძებდა დიდი ხნის ნანატრი, ბედნიერი დილა გათენებული. ადამიანები ზეიმობდნენ, კოშკებში რეკავდნენ ზარები, ლამის საკუთარი ბუდიდან ამოვარდნას ლამობდნენ. და მიხვდა უეცრად პრინცესა – ამ ზეიმსა და ხმაურში – ის არ მოვიდოდა. სცადა მისი წარმოდგენა, მადლიერი ხალხით გარშემორტყმულის, მაგრამ ამაოდ, ვერ ახერხებდა. სასოწარკვეთილი ცდილობდა ამ ეული გმირის, მთრთოლვარის, ხატის გაცოცხლებას, ისეთის, როგორიც მან იხილა. მისი არდავიწყება თითქოს საკუთარი სიცოცხლისთვისვე იყო აუცილებელი. მაგრამ, ამავე დროს, სულში ისეთი ზეიმი ბობოქრობდა, რომ მოახლეს, რომელიც მას რთავდა და კაზმავდა, საქმიანობა არ შეაწყვეტინა, თუმცა კარგად უწყოდა მისი ამაოება. თმა ზურმუხტითა და მარგალიტით მოართვევინა, რომლებიც, მოახლის გასაკვირად, იმწამსვე, უცნაურად, ნესტით დაითრთვილა. პრინცესა მზად იყო. მან მოახლეს გაუღიმა და შორიდან დადევნებული თეთრი შლეიფის ხმაურში, ოდნავ გაფითრებულმა, სარკეებს ჩაუარა.

ხოლო მეფე, დარბაისელი, ღირსეული, სამეფო დარბაზში ტახტზე იჯდა. მის ირგვლივ იდგნენ ჭარმაგი რაინდები, სამეფოს ერთგული მცველნი და ბრწყინვალებას აფრქვევდნენ. ის უცხო რაინდს – სამეფოს მხსნელს – ელოდა.

ის კი, უკვე ქალაქს გაცილებული, მიაჭენებდა ცხენს, აგრძელებდა გზას, მაღლა უთვალავი ტოროლა ირეოდა და თავს დასტრიალებდა. ვინმეს მისთვის ჩადენილის მნიშვნელობა რომ შეეხსენებინა, შესაძლოა კიდეც შემობრუნებულიყო, შემცბარი და უხერხულად მოღიმარი – მას ხომ ეს ყველაფერი უკვე დავიწყებული ჰქონდა.

რაინერ მარია რილკე

სევდიანი ამბავი ჯორნეტ ქრისტოფ რილკეს ტრფობისა და აღსასრულისა

„... 1663 წლის 24 ნოემბერს ანდერძის თანახმად ოტო ფონ რილკე ლინდას მამულის /ლანგენაუს, გრენიცის, ციგრას/ მიწებთან ერთად გახდა უნგრეთში დაღუპული ძმის, ქრისტოფის ლინდას დანარჩენი წილის მფლობელი/ მან კი ხსენებული ბოძების გამაბათილებელი წერილი შეადგინა, მისი ძმის, ქრისტოფის (რომელიც, შეტყობინების თანახმად, ... დაიღუპა ავსტრ. საიმპ. ჰაისტერის ცხენოსანთა პოლკის ბარონ ფონ პიროვანოს ასეულის კორნეტის წოდებით) დაბრუნების შემთხვევაში ... "

ჭენება, ჭენება, ჭენება – დროის სრბოლასთან გაჯიბრება მთელი დღე, მთელი ღამე და ისევ მთელი დღე.

ჭენება, ჭენება, ჭენება.

სიმამაცე ღონემიხდილი – მხოლოდ შემოწოლილი სევდის სიმხნევე. თვალს არ ხვდება აღარც მთა, აღარც ხე, თუნდაც ეული. არაფერი წელგამართული. უცხო ქოხები, დაჭაობებულ ჭებთან ჩაცუცქებული, თითქოს მათ ელტვიან მიწაზე გართხმული – მწყურვალი და დამაშვრალი. არსაით ციხე-კოშკი. სურათი – ყველგან იგივე, უცვლელი. და გამხდარა ზედმეტი მეორე თვალი. მხოლოდ ღამით – შეგრძნება, – ხანდახან, – რომ იცი გზა. იქნებ ღამით ვიბრუნებთ მონაპოვარს, უცხო მზეს რომ გამოვტაცეთ? შეიძლება. მზე – სავსე, მძიმე, როგორც ჩვენთან დღის ზეობისას, შუა ზაფხულში. ჩვენ ზაფხულში დავემშვიდობეთ ერთმანეთს. მდელოს სიმწვანეზე ქალწულთა კაბების სითეთრის ხანგრძლივი გამონათება. ახლა კი ხანგრძლივი ჭენება. შემოდგომაა უკვე, ალბათ. თუნდაც იქ, სადაც გვცნობენ სევდიანი ქალები, უწყიან ჩვენი.

ის, ლანგენაუელი, უნაგირზე, ბრუნდება და ამბობს:

„მარკიზო ..."

მის მეზობელ, პატარა, დახვეწილ ფრანგს, სამი დღე გადაბმულად რომ ლაპარაკობდა და იცინოდა, სათქმელი შემოლევია. უნდა ძილი – დაღლილი პატარა ბავშვივით. მტვრით დაფარული ნატიფი, მაღალი საყელო. ვერც კი ამჩნევს მტვერს. ჭკნობა მისი ხავერდიან უნაგირზე – ნელი.

ის კი, ლანგენაუელი, იღიმის და ამბობს:

„თქვენი უჩვეულო თვალები დედისას ჰგავს, ალბათ..." პატარა, ჭკნობას ივიწყებს, გამხნევებული აშრიალებს ტანს, იბერტყავს საყელოს, მზერა – ფერფლით აღმდგარი, ხალისიანი.

ვიღაც ყვება თავისი დედის ამბავს. ცხადია, გერმანელი. სიტყვები ლაგდება სივრცეში ხმამღლა, დინჯად, ყოყმანით – თითქოს გოგონა თაიგულისთვის არჩევს სათითაოდ ყვავილს და ჯერაც არ იცის, როგორი იქნება ის საბოლოოდ – ასე ცდილობს შეუხამოს ერთმანეთს სიტყვები. როგორი იქნება ამბავი – მხიარული? სევდიანი? სმენად ქცეულა ყველა. გაიკრიბა ფურთხების ხმაც. მათ – დიდებულებმა – იციან ყველაფრის ფასი. ის, ვინც არ იცის გერმანული, ხვდება უმალ, შეიგრძნობს სიტყვის ჟღერადობით: „საღამოს" ... „პატარა ვიყავი ..."

ეს ბატონები: საფრანგეთიდან, ბურგუნდიიდან, ჰოლანდიის დაბლობიდან, კერნტენის ველებიდან, ბოჰემიის ციხე-კოშკებიდან და კაიზერ ლეოპოლდის სახელით, გამხდარან ახლობლები. რადგან: ერთი ყვება და ამბობს ყველას სათქმელს. თითქოს ამქვეყნად ერთია დედა ...

და ჭენებით შეაბიჯეს ღამის, მორიგის, სამფლობელოში. კვლავ დუმან, მაგრამ დუმილს გაგონილი სიტყვების შუქი ანათებს. მარკიზი იხდის მუზარადს. ხრის თავს – კისერს, მხრებს, ვით ქალისას, გაშლილი, მუქი, რბილი თმა ეფინება. და ხედავს ის, ლანგენაუელი, ამჩნევს შორს, ნათებაში, რაღაცას, ვერ არჩევს რას, რაღაც ნატიფს, მუქს – ეულ სვეტს, ნახევრად წაქცეულს, თითქოს მუხლმოყრილს. და, მას გაცდენილი, დიდი ხნის შემდეგ, ხვდება – ღვთისმშობელი.

ბანაკის კოცონი. სხედან ირგვლივ და ელიან. ელიან, იქნებ იმღეროს ვინმემ. დაქანცულთა შორის ჩამკვდარა ხალისი. ცეცხლის წითელი შუქი მძიმედ იფრქვევა ირგვლივ; აი, გაწვა მტვრით დაფარული ფეხსაცმელების ზედაპირზე, არ სჯერდება, მიცოცავს ზევით, მუხლებამდე და გადაჭდობილ ხელებში იმზირება. სახეები – მუქი.

პატარა ფრანგის თვალებში შუქის, არა არეკლილის – საკუთარის, სულისმიერის, გამონათება. ეამბორება პატარა ვარდს, ახლა მის მკერდთან რომ დაუდია ბინა, დაჭკნება იქაურ სიმშვიდეში, დაიფერფლება მისი სიცოცხლე. ის, ლანგენაუელი, ხედავს, რადგან არ სძინავს. და ფიქრობს: მე არ მაქვს ვარდი, არც ერთი: არც თეთრი, არც წითელი.

იწყებს სიმღერას – ძველს, სევდიანს, მის სამშობლოში მინდორში გოგონების ნამღერს, შემოდგომისას, მოსავლის აღების შემდეგ.

და ეუბნება პატარა მარკიზი: „თქვენ ახალგაზრდა ხართ, ალბათ ჭაბუკი?"

და ის, ლანგენაუელი, უპასუხებს, სევდანარევი ქედუხრელობით: „თვრამეტის." და დუმდება ორივე.

ცოტა ხნის შემდეგ კითხულობს ფრანგი: „ჰერ იუნკერ, გყავთ სამშობლოში საცოლე?"

„თქვენ?" უბრუნებს კითხვას ის, ლანგენაუელი.

„იგი ქერაა თქვენსავით."

და კვლავ დუმილი, სანამ არ გაიჟღერებს გერმანელის ხმა: „ეშმაკმა დალახვროს, რატომ ამხედრებულხართ და მიაჭენებთ ცხენებს ამ წყეულ, აშმორებულ ქვეყანაში თურქი ძაღლების შესახვედრად?"

მარკიზი იღიმება: „რათა უკან დავბრუნდეთ."

და მას, ლანგენაუელს, ეუფლება სევდა. იგი ფიქრობს ქერა ქალიშვილზე, ვისთან ერთადაც თამაშობდა ბავშვობაში. გზნებიან, დაუოკებელ თამაშებს და უნდა სახლში, მხოლოდ წამით, იმ წამით, რაც სჭირდება ფრაზას: „მაგდალენა, – მაპატიე, იმისთვის როგორიც ვიყავი!"

ვიყავი – როგორი? ფიქრობს ახალგაზრდა დიდებული. და ფერმკრთალდება ქალიშვილის სახე, იკარგება, ქრება.

ერთხელ, დილით გამოჩნდა მხედარი, შემდეგ – მეორე, მეოთხე, მეათე. აბჯარასხმული, უზარმაზარი. მათ უკან კი – ათასი: ლაშქარი.

დადგა განშორების ჟამი.

„სახლში ბედნიერ დაბრუნებას გისურვებ, მარკიზო."

„გფარავდეთ ღვთისმშობელი, ჰერ იუნკერ."

უჭირთ განშორება. დამეგობრება უეცარი, ძმობა, ნდობა – სრული; რადგან იციან ბევრი რამ ერთმანეთის. ყოყმანი. ირგვლივ ფლოქვების ხმა, აჩქარება. აი, იხდის მარკიზი ხელთათმანს. გულისპირიდან ვარდის კოკორს იღებს, აცლის ფურცელს – ზიარების შებღალვა, თითქოს.

„ეს დაგიცავთ. მშვიდობით."

ის, ლანგენაუელი, დაბნეულია. დიდხანს, დიდხანს უყურა ფრანგს, სანამ თვალს არ მიეფარა. შემდეგ უცხო ფურცელს მუნდირში, გულთან ახლოს ინახავს. და ახლა, გულის ცემის ტალღებს მინდობილი, სიმყუდროვეში, სიცოცხლისკენ იმზირება იმედიანი. საყვირის ხმა. ამხედრებული იუნკერი ლაშქრისკენ მიიჩქარის. ილიმის სევდიანი: მას უცხო ქალი იცავს.

ერთი დღე აღალთან ერთად. შეკურთხება, ფერთა სიმრავლე, სიცილი – არემარეს რომ აბრმავებს. ბავშვების თავყრილობა, ჭრელი. ძიძგილაობა, ყვირილი. გოგონები – გაშლილ, მოფრიალე თმაზე ალისფერი ქუდები. თვალის ჩაკვრა. გამოჩნდნენ ნარდად მომუშავე ახალგაზრდები, – ფოლადის სიშავის ხეტიალი, ვით ღამის ბარბაცი. გოგონებს ჩაჭიდება, ვნებიანი, კაბის ჩამოხევამდე, დოლის კიდეს მათი მიბჯენა. და აღელვებული, გზნებიანი, თავდაცვითი ვნებით უკუქცეული თითებით გამოღვიძებული დოლები, მათი გუგუნი, გუგუნი, ვით სიზმარში. და საღამოობით უნათებდნენ ისინი ფარნით და უცნაური: ღვინო, ელავს რკინის ჩაჩებში. ღვინო? სისხლი? – ვის შეუძლია განასხვაოს.

როგორც იქნა, შპორკის წინაშე. თავისი თეთრი ცხენის სიახლოვეს აღმართულა გრაფის ფიგურა. თმა ბზინავს ფოლადის ელვარებით. მას, ლანგენაუელს, არ უკითხავს ვინაობა. ცნობს გენერალს, უმალ გადმოევლება ცხენს – მტვრის ღრუბელში აღმოჩენილის წელში მოხრა, ხელში – სარეკომენდაციო წერილი.

ისმის ბრძანება: „წამიკითხე ერთი ეგ ქაღალდი“ – ტუჩების გაუნძრევლად წარმოთქმული სიტყვები. არც კი სჭირდება; სულ სხვაა შეკურთხებისას. დანარჩენს ამბობს მარჯვენა. წერტილი. ბასტა. მას უყურებენ. ყმაწვილმა დიდი ხანია კითხვა დაამთავრა. აღარც იცის უკვე სად დგას. შპორკი – უპირველესად. უკან იხევს თვით ცა – ლაპარაკობს შპორკი, დიდი გენერალი:

„კორნეტი.“

და ეს ბევრია.

პოლკი განლაგდა რაბას გაღმა. ის, ლანგენაუელი, მიაჭენებს ცხენს, მარტო. ვაკე. საღამო. უნაგირზე, წინ ბზინავს მტვერი. ამოდის მთვარე. ხედავს მას თავის ხელებზე.

ოცნებობს.

მაგრამ მოუხმობს ვიღაც.

მოხმობის ყვირილი.

დაფლეთილი, ქრება ხილვა.

ეს არ არის ბუ. მოწყალება:
ერთადერთი ხე
მოუხმობს მას:
ადამიანო!
და ის იყურება: ყალყზეა. ყალყზეა
სხეული,
ხის ტანს აკრული, და ახალგაზრდა ქალი,
სისხლიანი და შიშველი,
შემოეფეთა: დამიხსენი!

აი, ჩამოხტა ცხენიდან, ჩაშავებულ სიმწვანეში ჩამოქვეითდა
და გადაჭრა ცხელი თოკები;
და ხედავს – მზერა აალებული,
კბილები – საკბენად გამზადებული.

იცინის? ნუთუ?

შეძრწუნებული,
ჯდება ცხენზე,
მიაჭენებს ღამით.
სისხლიანი თოკები მტკიცედ მოუჭიმავს.

ის, ლანგენაუელი, წერს წერილს, ჩაფიქრებული. დინჯად გამოჰყავს ასოები – დიდი, დარბაისლური, წელგამართული:

„დედა, კეთილო დედა,
„იამაყე: ვარ მედროშე.
„არ იდარდო: ვარ მედროშე,
„გიყვარდე: შენი მედროშე შვილი –"

შემდეგ წერილს მუნდირში ინახავს, ყველაზე დაცულ ადგილას, გულთან ახლოს – ვარდის ფურცლის გვერდით. და ფიქრობს: იქნება მალე სურნელოვანი. და: ალბათ იპოვის ვინმე...; რადგან, ასე ახლოა მტერი.

ჭენებით გადაუარეს მოკლული გლეხის გვამს. თვალები დარჩენია ღია და მათში არეკლილა რაღაც – არა ცა. ძაღლების ყმუილი. გამოჩნდა სოფელი – როგორც იქნა. ქოხები, მათზე ქვათა წყებად და წყობად მაღლდება ციხე-კოშკი. წინ გაწოლილა ხიდი, როგორც მიპატიჟება. ფართოდ გაიღო ჭიშკარი. საყვირის მაღალი ხმით შეგე-

ბება, ხმაური, ჭრიალი და ძაღლების ყეფა. ეზოში – ჭიხვინი, ფლოქვების ხმა და ყვირილი.

დასვენება! იყო სტუმარი – ერთხელ მაინც – სურვილების ამსრულებელი, არა თვითონ, სხვა და არა საკუთარი, მწირი საშუალებებით. ერთხელაც – ზედმეტი ყველას მტრად აღქმის სიფრთხილე. ერთხელაც – მიენდო მოვლენათა დინებას, იმედით, არ გემუქრება რაც ხდება. ერთხელაც – მოდუნდეს სიმამაცე, გაიზმოროს, საკუთარ სამეფოში ნებიერად გადაბრუნდეს. ბედნიერება – არ იყო ყოველთვის ჯარისკაცი. ერთხელაც – კულულები მუზარადის გარეშე, შეუბოჭავად, თავისუფლად ეფინებოდეს კისერს, საყელო შეხსნილი – თამამად, ფართოდ და ყველაფერი, თვით ფრჩხილებამდე: ისე, ვით აბაზანის შემდეგ. თავიდან შეიცნო ქალის არსი. და, – იქცეოდე თეთრებივით, იყო ვით ლურჯები. მათი ხელები, ასე ნატიფი, მათი ღიმილი, ლაღად ნამღერი, ვით ლამაზი ჰანგი, როდესაც ქერა ბავშვებს შემოაქვთ მწიფე, წვნიანი ხილით დამძიმებული თასები.

დაიწყო, ვით სადილი – იქცა ნადიმად, არავინ იცის როდის, როგორ, შეუმჩნევლად. ჩირაღდნის აღმავალი ალის თრთოლვა, ხმების ზუზუნი, მინისა და ბრწყინვალების გზნებიანი სიმღერის წკრიალი და, ბოლოს, რიტმი, უკვე მომწიფებული – გაიშალა, ცეკვად ჩამოიქნა. ყველაფერმა გაიტაცა, დაატყვევა იგი. და იყო დარბაზებში აზვირთებული ტალღების გუგუნი, შეხვედრა თავის თავთან და არჩევა, არა სხვისი, თავისი თავის, დამშვიდობება და კვლავ ხილვა, ბრწყინვალებით ტკბობა, დამაბრმავებელი სიკაშკაშით თრობა და ნაზად დარწევა – თბილი ქალების კაბებში ატეხილ ზაფხულის ქარში – თავისი თავის.

ათასი ვარდიდან და მუქი ღვინიდან ჩაედინება ქვიშის საათის შრიალი ღამის სიზმარში.

და დგას ვიღაც სანახაობის დიდებულებით გაოგნებული. ისეთი ზნით, გაღვიძებას მოთმინებით რომ ელის. რადგან – მხოლოდ სიზმარში ხედავ ასეთ ბრწყინვალებას და ასეთი ქალების ასეთ ნადიმს: მათი უნატიფესი ჟესტი, ვით ფარჩის დაღმავალი, გლუვი ნაოჭების ტალღები.

ისინი, დროის დინებას საუბრის ვერცხლისგან რომ აგებენ ან, ხანდახან, ხელის აწევა, ისეთი, იფიქრებ, რომ სადღაც იქ, სადაც ვერ სწვდება შენი ფიქრი, ხავერდოვან ვარდებს წყვეტენ, ისეთს, რომ ვერ ხედავ. და ოცნებობ: იქნე შემკული, სხვა მხრივაც ბედნიერი და შიშველი შუბლისთვის მოიპოვო გვირგვინი.

ვიღაც, თეთრ აბრეშუმში, გრძნობს, რომ ვეღარ იღვიძებს; რადგან ღვიძავს და სინამდვილე უმღვრევს გონებას. და შეძრწუნებული ოცნებებს აფარებს თავს – დგას მარტო, პარკში, შავ პარკში. ნადიმი შორსაა. და ცრუობს სინათლე. ახლოა ღამე, შემორტყმია – ცივი, გარინდებული. და ეკითხება ქალს, მისკენ რომ იხრება:

„შენ ხარ ღამე?"

ის იღიმება.

მას კი რცხვენია თავისი თეთრი ტანსაცმლის.

უნდა: იყოს შორს, მარტო, იარაღით,

აღჭურვილი და აბჯარასხმული.

„დაგავიწყდა, რომ დღეს პაჟი ხარ ჩემი? მიმატოვებ? მიდიხარ საით? შენი თეთრი ტანისამოსი მანიჭებს შენს უფლებას."

– –

„კვლავ უხეში მუნდირისკენ ეს ლტოლვა?" უკვირს ქალს.

– –

„გცივა? გტანჯავს სამშობლოსთან განშორება?"

ბანოვანის ღიმილი.

არა.

მხოლოდ იმიტომ, რომ აღარ იცავს ბავშვობა და მის მხრებს სამოსი აღარ ფარავს. ვინ წარიტაცა?

„შენ? კითხულობს და თვითონაც ვერ ცნობს ხმას. „შენ!"

და დგას ახლა შემოძარცული. შიშველი – წმინდანი, ნათელი და ტანკენარი.

ნელა ქრება ციხე-კოშკში სინათლე, სანთლები. დამძიმებულა ყველა: დაღლილი, შეყვარებული ან ნამთვრალევი. მინდორში გატარებული შიშველი, გრძელი ღამეების შემდეგ: საწოლთა სიმრავლე – მუხის, განიერი. სხვანაირია ლოცვაც, გაასხვავებ იმისგან გზად, უბადრუკ თხრილში, საფლავად რომ შეიგრძნობ დაძინებისას.

„ღმერთო, იყოს ნება შენი!"

უფრო მოკლეა ლოცვა საწოლში.

მაგრამ, უფრო წრფელი.

სიბნელე ციხე-კოშკის ოთახში.

მაინც ნათება – საკუთარი ღიმილის სახეში შემონათება. ბრმასავით ხელის ცეცება, ერთურთის, ვით კარის, პოვნა. როგორც ბავშვები, ღამის სიბნელით შეცბუნებული, დამფრთხალი, იკაფავენ გზას ერთმანეთისკენ. თუმცა გამქრალა შიში. არსაიდან მუქარა: არა დღე,

არა ღამე; რადგან ჩამოქცეულა დრო. და საკუთარი ნანგრევებიდან მათი აღორძინებული სახეების გამონათება.

არ კითხულობს ვაჟი: „შენი მეუღლე?"

არ კითხულობს ქალი: „ როგორ მოგმართო?"

იპოვეს ერმანეთი, რათა გახდნენ ერთმანეთისთვის ახალი სქესი.

ერთმანეთს დაარქმევენ ასობით ახალ სახელს და კვლავ გადაარქმევენ, მდუმარედ, როგორც იხსნიან საყურეს.

წინკარში, სავარძლის ზემოთ, კიდია მუნდირი, აშურმა და ლაბადა – მისი, ლანგენაუელის. ხელთათმანები აწყვია იატაკზე. დროშა – მიყუდებულია ფანჯრის ალათაზე – მოხდენილი, შავი.

გარეთ ქარიშხალი თარეშობს ცაზე, მას თეთრად და შავად აქუცმაცებს. მთვარის შუქის ხანმოკლე გაელვება და უძრავ დროშაზე ჩრდილის ცახცახი. თვითონ დროშა – სიზმრებში ჩაძირული.

იყო კი ფანჯარა ღია? მძვინვარებს სახლში ქარიშხალი? რატომ ეხეთქება განუწყვეტლივ კარი? ვინ დადის ოთახში? – ვინც უნდა იყოს. სულ ერთია. ციხე-კოშკის ოთახში ვაჟი მას ვერ პოულობს. ვით ასი კარის მიღმა სიმყუდროვეში მეფობს ძილი, ორის, შერწყმული ორის ძილი; შერწყმული ერთ დედად თუ ერთ სიკვდილად.

ეს დილაა? ამოდის მზე? რომელი? ის დიდია, უზარმაზარი. ჩიტები? მათი ხმა ყველგან.

ყველგან სინათლე, – მაინც არ არის დღე.

ხმა ყველა მხრიდან, ოდენ არა ჩიტების.

ესაა კოჭების ნათება. ესაა ფანჯრების ყვირილი. და ყვირიან, ყვირიან წითლად, აღწევს მტრამდე – გარეთ, აგიზგიზებულ მიდამოში – ყვირილი:

ხანძარი.

ირევიან სახეზე ძილის შემორჩენილი ნაფლეთებით – ვინ აბჯარასხმული, ვინ თითქმის შიშველი, ოთახიდან ოთახში, მთელ სახლში და ეძებენ კიბეს.

სუნთქვა გაძნელებული, ენადაბმული საყვირების ბორძიკი გარეთ, ეზოში:

შეგროვდით, შეგროვდით!

და დოლების ზანზარი.

მაგრამ, დროშა არ ჩანს.

ხმა: კორნეტო!

ატორტმანებული ცხენები, ლოცვა, ყვირილი,
შეკურთხება: კორნეტო!
რკინა რკინაზე, ბრძანება და სიგნალი;
სიჩუმე: კორნეტო!
და კიდევ ერთხელ: კორნეტო!
და გრგვინვით გაეშურა მხედრობა იქით.
– –

კვლავ არ ჩანს დროშა.

ის გარბის, გარბის როგორც ნაძლევზე, ალმოდებული დერეფნებით, კარების მცხუნვარე ალყაში, ცეცხლმოკიდებულ კიბეზე, ცეცხლს რომ უკიდებს მასაც. და, აი, გააღწია აგიზგიზებული სახლიდან. ხელზე გადაუწვენია ალამი – გულწასული თეთრი ასული. პოულობს ცხენს და ვით ყვირილი: იქით, სადაც არიან თანამებრძოლები, მიუხედავად – რა გიღობავს გზას, რას ხედავ გვერდზე. აი, გონს მოდის დროშა – არა-სოდეს ყოფილა ასეთი მეფური, დიდებული. ხედავს მას ყველა, შორს, წინ, ცნობენ თეთრ მეომარს, უმუზარადოს და – დროშას ...
– –

ცეცხლმოდებული, ელავს ალამი მტრის შუაგულში და მისდევს მას მტერი.

ის, ლანგენაუელი, ღრმად შეჭრილა მტრის რიგებში, სრულიად მარტო. შიშმა შემოავლო მას მტკიცე რკალი და გაჩერდა აალებული ალმის ქვეშ, მათ შორის, შუაში.

დინჯად, ჩაფიქრებულა თითქოს, იყურება ირგვლივ. ხედავს უცხო სახეებს – ურიცხვს, ჭრელს.

ეს ბაღებია – ფიქრობს ის და ეღიმება. მაგრამ გრძნობს, – მზერ-ას იზიდავს რაღაც, და ხედავს მამაკაცებს, იცის, არიან წარმართი ძაღლები: და ცხენს მათ შორის შეაგდებს. კვლავ ბაღებია – მტერი, მის ირგვლივ რომ კრავს წრეს, და ზეიმია – თექვსმეტი მახვილი, მას რომ მიეჭრა, თექვსმეტი გაშიშვლებული რკალი და მათი ელვარე სხივთა თამაში.

მოცინარი შადრევანი.

დაიფერფლა ციხე-კოშკში მუნდირი, წერილი და უცხო ქალის ვარდის ფურცელი.

უახლოეს, ადრიან გაზაფხულზე (დღე იყო ცივი, ნაღვლიანი) ლანგენაუში გამოჩნდა პიროვანოს მფლობელის კურიერი – დინჯი ნაბიჯი ცხენის. იქ მან იხილა მოხუცი ქალი, სევდიანი და მტირალი.

რაინერ მარია რილკე

ამბავი ქვას მიყურადებული ჯაცისა

კვლავ ჩემს ხეიბარ მეგობართან ვარ. სახეზე მას ჩვეული ღიმილი დასთამაშებს: „აი, იტალიაზე კი ჯერ არაფერი მოგიყოლიათ.“ „ანუ, ეს რაც შეიძლება მალე უნდა გავაკეთო?“

ევალდი თავს მიკრავს და თვალებს ხუჭავს, რათა ყურადღებით მომისმინოს. მეც ვიწყებ: „რასაც ჩვენ გაზაფხულად შევიგრძნობთ, ღმერთისთვის მხოლოდ წამიერი გაღიმებაა, დედამიწაზე სწრაფად გადაივლის, გადაიყვავილებს, გაქრება. თითქოს რაღაცას იხსენებსო, მისცემია მოგონებებს, ჩაფიქრებულა დედამიწა, ამ ხსოვნით შთაგონებული კი ზაფხულში ყველას მოუთხრობს ამის შესახებ, ვიდრე შემდგომ, შემოდგომით დიდი მდუმარებისას, არ დაუდგება სიბრძნის, სიმწიფის ხანა, რომლის მეშვეობითაც გაენდობა იმ ერთადერთ, ეულ არსებას. ყველა ჩვენი გაზაფხული, ერთად განცდილი, მაინც ვერ შეავსებს ღვთაებრივის თუნდაც ერთ წამს. და ის, ღმერთისთვის შესამჩნევად რომ იქცეს, ვერ დარჩება ხეებისა და მდელოების ამარა, არა – მან ადამიანებში უნდა გაიდგას ფესვები, იქ შეისხას ხორცი, მომძლავრდეს, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ დამკვიდრდება, არა დროში – მარადიულობაში, ღმერთისთვის ყოველდღიურობა რომაა.

ერთხელაც, ღმერთის მზერა, ჩვენთვის მიუწვდომელ, მისთვის ჩვეულ იდუმალ სვლაში, იტალიის თავზე შეყოვნდა. ქვევით გადაშლილიყო ქვეყანა ნათელი, ოქროს ბზინვარებად ელავდა დრო, განივად კი, როგორც გზა ბინდიანი, მხარბეჭიანი მამაკაცის ჩრდილი გაწოლილიყო, მძიმე და შავი. შორს, წინ ჩანდა მისი ხელების მომცრო ჩრდილიც – შემოქმედის მოუსვენარი, მთრთოლვარე ხელებისა, და გადასწვდებოდა ხოლმე ის პიზას, ნეაპოლს, ხან კი ზღვის ტალ-

ღების შეუცნობ, მოუსვენარ ზედაპირზე ლივლივებდა. თვალს ვერ აცილებდა ამ ხელებს ღმერთი, თავდაპირველად თითქოს ლოცვისთვის გაშლილი რომ მოეჩვენა, მაგრამ ლოცვა, მათ მიერ აღვლენილი, ერთმანეთს მათვე აშორებდა და ღონივრად, მძლავრად სხვადასხვა მხარეს მიმართავდა. ცაში გამეფდა სიჩუმე. მთელი წმინდა ამალის მზერა მორჩილად მიჰყვებოდა მბრძანებლიხას და ამ ჩრდილს უზენაესის მზერასთან სრული თანხმობით აკვირდებოდა, თუ როგორ ეუფლებოდა ის ნახევარ იტალიას, დუმდნენ ანგელოზნი, ბაგეზე გაქვავებოდათ სადიდებელი ჰიმნები, თრთოდნენ ვარსკვლავნი – თუნდაც უნებლიე დანაშაულის გამო ღვთის რისხვის მოშიშარნი. მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. გადახსნილიყო ცა – კაშკაშებდა მზე იტალიის თავზე, და ღრუბელზე მდგომი ნეტარი Fra Angeliko da Fiesole რომში მუხლმოდრეკილ რაფაელს მშვიდად დაჰყურებდა, მისი ხილვით ტკბებოდა, და ლოცვა მრავალი, მიწიდან ცისკენ მავალი, იკაფავდა გზას. მაგრამ ღმერთმა მხოლოდ ერთი შეიცნო და შეამჩნია: მიქელანჯელოს ძალა აღევლინებოდა მასთან, ვით ვაზის სურნელი. და ის, ლმობიერი, ამ სურნელის მის ფიქრებთან კადნიერ მეზობლობას ითმენდა, და იმასაც, რომ მათში მკვიდრდებოდა. ის ღრმად დაიხარა, ვიდრე არ იპოვა შემოქმედი, და გასცდა მზერა მხრებს, შეჩერდა მის ქვებზე მიდებულ სმენადქცეულ ხელებზე და შეკრთა: შეიძლება განა, რომ ქვაშიც ბუდობდეს სული? რატომ უსმენდა მათ კაცი? და ამოძრავდნენ მისი ხელები, გააფხვიერეს ქვა, და იქნა ის, ვითარცა საფლავი, და – ფეთქავდა მასში ხმა, უღონო, მილეული: „მიქელანჯელო“. შეშინდა ღმერთი: ‚ვინა არის იქ?' მიქელანჯელომ დაძაბა სმენა; ხელები უთრთოდა. შემდეგ უპასუხა, ყრუდ: ‚უფალო, შენ, თუ არა, ვინ? ვერ მომიღწევია ოღონდ შენამდე.' და იგრძნო ღმერთმა, რომ ქვაშიც იყო ის და ამ სივიწროვეში სული შეეხუთა. ცა ქცეულიყო ქვად, და თვითონ, იქ გამომწყვდეული, ახლა მიქელანჯელოს ხელების მოიმედეღა რჩებოდა – რომ გახდებოდნენ ისინი მისი მხსნელი, და გრძნობდა – მოემართებოდნენ ისინი, ოღონდ შორიდან – მუშაობდა ოსტატი და უწყვეტი იყო მის ფიქრთა დინება: შენ მხოლოდ ლოდი ხარ პატარა, და სხვა ვერავინ ვერ შეძლებდა შენში ადამიანის პოვნას. მე კი ვგრძნობ – აი, აქ, მხარს: ის იოსებ არიმათიელისაა, იქ კი დახრილა მარიამი – შევიგრძნობ მის მთრთოლვარე ხელებს, მათზე იესო, ჩვენი უფალი რომ ასვენია, რომელმაც, ჯვარზე გაკრულმა, ახლახან დალია სული. და, თუკი ამ მარმარილოს პატარა ნაჭერში პოვებს ეს სამი სივრცეს, როგორ ვერ შევძლებ კლდის ამ ნაჭერში მიძინებული მოდგმის სიცოცხლისკენ მოხმობას? და ომახიანი მოქნევით გამოკვეთა, გამოათავისუფლა პიეტას ეს სამი ფიგურა, თუმცა მათ სახეებს ქვის თხელი საფარი

მთლიანად არ მოაცილა, თითქოს შიშობდა მის ხელებს მათი ღრმა სევდა-ნაღველი არ მოჰფენოდა, არ შეებოჭა ისინი. და სხვა ქვას მიაშურა. მაგრამ არასოდეს იყო მის ქმნილებებში შუბლი მკაფიო, მხრის სიგლუვე გამოკვეთილი და ქალის სხეულის ქანდაკებას მარად აკლდა საბოლოო სრულქმნილების მიმნიჭებელი ღიმილი, სრულად რომ არ გამჟღავნებულიყო მისი მშვენიერება.

ამ დროისთვის ჩაიფიქრა იულიუს დელა როვერეს უკვდავსაყოფი ძეგლი საფლავზე. გადაწყვიტა კლდის აღმართვაც – რკინის პაპს ზურგს უკან ამაღლებული და ადამიანური მოდგმის ხატთა სამოსახლოდ ქცეული, მას რომ დაამშვენებდა. უთვალავი, ჯერ კიდევ ბუნდოვანი ჩანაფიქრით აღსავსე გაეშურა თავისი მარმარილოს ლოდებისკენ. ღარიბი სოფლის თავზე, დაქანებულ ფერდობზე მიიწევდა გზა. დიდ, ჭაღარა თმით დამშვენებულ, ფერმკრთალ სახედ მოეჩვენა კლდის ახალდამუშავებული ზედაპირი, ზეთისხილის ხეებითა და ჟანგმოდებული ქვებით გარშემორტყმული. დიდხანს იდგა მისი დაბურული შუბლის წინ. უეცრად, შუბლს ქვემოთ შეამჩნია მასზე მიჩერებული დიდი ქვის თვალები და ისიც, რომ ამ მზერის ძალით იზრდებოდა, განივრცობოდა მისი სხეული, და ბოლოს, მთელ მიდამოზე ზეაღმართული, მას ზევიდან გადმოჰყურებდა, და ეჩვენებოდა, რომ ის, ახლა მარადიულობიდან მომავალი, ამ კლდის წინ მის თანასწორ, მის ტყუპისცალად ქცეულიყო; ველი კი თანდათან უკან იხევდა, როგორც ციცაბო აღმართში მიმავალის მზერის წინაშე, ქოხები ეკვროდნენ ერთმანეთს, ვით ნახირში საქონელი, და ჩნდებოდა – სულ უფრო ახლო, სულ უფრო შინაური – ქვის პირბადიანი კლდის სახე. იერი ჰქონდა უძრავი, თუმცა მომლოდინე, მაინც მზად მყოფი. მიქელანჯელო ფიქრობდა: „ადამიანი შენ ვერ დაგანაწევრებს, რადგან ხარ ერთი, მთლიანი“, და შემდეგ მიმართა ხმამაღლა: „უნდა დაგასრულო და ჩემს ქმნილებად გაქციო“.

და შემობრუნდა – დაადგა ფლორენციის გზას. უკან მომავალი ხედავდა, ტაძრის კოშკს, ვარსკვლავს. და მის ფეხებთან გართხმულიყო საღამო.

უეცრად შეჩერდა პორტა რომანასთან. სახლების ორივე რიგი მოიწევდა მისკენ, როგორც გაწვდილი ხელები, ბოლოს მისწვდნენ, ჩაჰკიდეს ხელი და ქალაქში შეიყვანეს. სულ უფრო ვიწროვდებოდა, იბურებოდა ქუჩები, და სახლში შესული, თითქოს სიბნელის ხელებში აღმოჩნდა, რომელსაც ველარ დაუსხლტებოდა. მიაშურა დარბაზს და იქიდან თავი დაბალ, ორიოდე ნაბიჯის სიგრძის ოთახს შეაფარა. და შემოეჭდო ამ უსასრულოდ განვრცობილ სხეულთან მებრძოლი კედლები, თითქოს მის ბუნებრივ, ახლა ვიწროდ ქცეულ, ჩარჩოებში ჩაჭირხვნის ცდაში. ის დამორჩილდა. დაიჩოქა, მისთ-

ვის აქამდე უცნობი მორჩილების გრძნობით მიენდო იმ ძალებს, რადგან თვითონაც სურდა, რაც სურდათ მათ. და მოახლოვდა ხმა: „მიქელანჯელო, ვინ არის შენში?“ და ვიწრო ოთახში მყოფმა მამაკაცმა, ხელებში თავჩარგულმა, უპასუხა ჩუმად: „უფალო, შენ, თუ არა, ვინ?“

და განივრცო სივრცე ღმერთის წინაშე, და აღმართა მან სახე იტალიის თავზე თავისუფლად, დაუბრკოლებლად, და მიმოიხედა: ირგვლივ მოსასხამსა და მიტრებში იდგნენ წმინდანები, მგალობელ ანგელოზთა ნაბიჯი იყო ნელი, როგორც მწყურვალე ვარსკვალავების ირგვლივ ანკარა წყაროს წყლით სავსე დოქებით სვლა და არ უჩანდა კიდე ცას.“

ჩემმა კოჭლმა მეგობარმა თავი ასწია, მზერა გარეთ მიაპყრო და იცდიდა, თუ, შეღამების ღრუბლების სვლას დამგზავრებული, როდის გაემართებოდა ის მაღლა, ცისკენ: „მაშ, იქაა ღმერთი?“ იკითხა მან. ვდუმდი. შემდეგ მისკენ დავიხარე:

„ევალდ, განა ჩვენ აქ ვართ?“ და ერთმანეთს გულითადად ჩავკიდეთ ხელი.

რაინერ მარია რილკე

ამაყი ქალბატონი და მათხოვარი

ჩვენს მიდამოს, ტყისპირზე, ხანდახან მათხოვარი სტუმრობს. დღესაც იქ იყო, საწყალი და უპოვარი, ვიდრე ოდესმე, თანაგრძნობის აღმძვრელი მიმიკრიით დამპალი ღობის გასაცოდავებულ ფიცრებს შეზრდილ-შერწყმული; იქ ვიყავით ჩვენც, ბატონი მასწავლებელი და მე, და ასეთ ამბავს შევესწარით: მასთან რაღაცის ჩუქების მოსურნე გოგონამ მიირბინა, რაც სულაც არ იყო უჩვეულო, გამაოგნებელი იყო, თუ როგორ გააკეთეს. ყოჩაღი, ლამაზი რევერანსის შემდეგ, მის ძღვენს ყურადღება რომ არ მიეპყრო, მონეტა სწრაფად გაუწოდა და განმეორებითი რევერანსის შემდეგ გაიქცა. ორივე რევერანსი გახლდათ მოწიწებული – იმპერატორის ღირსების შესაფერი. სწორედ ამან აღაშფოთა მასწავლებელი და მან მოხუცის განდევნა გადაწყვიტა, რადგან ის, ღარიბთა გაერთიანების თავმჯდომარე, ქუჩაში მათხოვრობის კატეგორიულ მოწინააღმდეგადაა ცნობილი. მე მას ვაკავებდი. „ჩვენ ხალხს ვეხმარებით, შეიძლება ითქვას, უზრუნველვყოფთ და, თუ ისინი ქუჩაშიც იმათხოვრებენ, ეს, უბრალოდ, ჩვენი სრული უპატივცემულობა იქნება“. „ღრმად პატივცემულო მასწავლებელო“, – მის დამშვიდებას ვცდილობდი, ის კი მაინც ტყისკენ მიიწევდა. „ღრმად პატივცემულო ბატონო“, ვემუდარებოდი, „მინდა ერთი ამბავი გიამბოთ.“ „ასე საჩქაროა?“ იკითხა ღვარძლიანად. წონასწორობას არ ვკარგავდი: „დიახ, სწორედ ახლა. სანამ ნანახს დაივიწყებდეთ.“ უკანასკნელი მონათხრობის შემდეგ მასწავლებელი აღარ მენდობოდა. ეს მას სახეზე ეწერა. მე იგი დავაშოშმინე: „ოღონდ არა ჩვენს საყვარელ ღმერთზე, არა, ამას ნამდვილად არ ვაპირებ. ამ მოთხრობაში ღმერთი არ გვხვდება. ეს უფრო ისტორიული ამბავია.“ მგონი, დავარწმუნე. საკმარისია „ისტორია“ ახსენო და მას-

წავლებლები მაშინვე ცქვეტენ ყურებს; რადგან ეს რაღაც განსაკუთრებით პატივსაცემია, უწყინარი და პედაგოგიკურ პრაქტიკაში ხშირად სასარგებლოც. დავინახე, თუ როგორ შეუდგა სათვალის წმენდას, ნიშნად იმისა, რომ მისი აღქმის უნარმა მხედველობიდან ახლა ყურებისკენ გადაინაცვლა. ეს ხელსაყრელი მომენტი უნდა გამომეყენებინა და მეც დავიწყე:

„ეს მოხდა ფლორენციაში. ახალგაზრდა ლორენცო დე მედიჩის, ჯერ კიდევ მის აღზევებამდე, პოემა „ბახუსისა და არიადნეს ტრიუმფი" ახალი დასრულებული ჰქონდა, რომლის სტროფების მუსიკა და რითმები ახლა მთელი ფლორენციის ბაღებში ჟღერდა.

მაშინ ცოცხალი იყო პოეტის იდუმალი სულიდან მეტყველ ხმებად გადმოღვრილი სიმღერები, როგორც ნავებს, შეუცნობის სამყაროში უშიშრად, თამამად რომ გადავყავდით. მას პოეტი იწყებდა, რომელსაც ყველა აჰყვებოდა და მასთან ერთად ამთავრებდა. „ტრიუმფი", როგორც მაშინდელ სიმღერებში იყო მიღებული, სიცოცხლის – ამ ვიოლინოსი, მისი ნათელი ჟღერადობის სიმების – მელოდიის, და ბნელი ფონის – მჩქეფარე სისხლის ხმაურის – სადიდებელ სიმღერას წარმოადგენდა. სიმწყობრედაკარგული, ლაღი მხიარულებით აღმოცენდებოდნენ უთანაბრო, აღტყინებული სტროფები, მაგრამ იქ, დაძაბულობის მწვერვალზე, სუნთქვაშეკრულთ საშველად მოკლე, უბრალო მისამღერი მიაშურებდა, თავბრუდამხვევი სიმაღლიდან დაბლა მიმართული, თითქოს, უფსკრულის წინაშე მდგარი და მისი სიღრმის შიშით თვალდახუჭული. ის ასე ჟღერდა:

მშვენიერია სილამაზე, თვალის, გულის მაამებელი,
თუმცა წარმავალი, გაგვირბის და ვის ძალუძს მისი შეყოვნება?
და თუკი ვინმეს სურს იყოს ბედნიერი, დე იყოს დღეს,
რადგან არა ვიცით რა ხვალისა.

განა უცნაურია, რომ ამ სიმღერის შემსრულებლებს ამ ზეიმის დღევანდელობაში დამკვიდრების ცდაში – იმ ერთადერთ კლდეზე, რომელზეც გამართლებულია მისი აღმართვა – შეჰყროდათ მოუთმენლობა? და ამით თუ ავხსნით ხალხმრავლობას ფლორენციელთა სურათებზე, ყველა დიდებულისა და მანდილოსნის ერთ სურათში გაერთიანებას რომ ცდილობს, რადგან სურათი ნელა იქმნებოდა და, ვინ უწყოდა, დარჩებოდა კი ყველა მათგანი კვლავ ისეთივე ახალგაზრდა, ისეთივე ხორცსავსე და ლოყებლაჟღაჟა, ან შემდეგი სურათისთვის იქნებოდნენ კი ერთად? რა თქმა უნდა, მოუთმენლობის ეს სულისკვეთება თავის გამოხატულებას ყველაზე მკაფიოდ ახლაგაზრდებში პოვებდა. და ახლა მათ შორის ყველაზე ბრწყინვა-

ლენი, ნადიმის შემდეგ, სტროცის სასახლის ტერასაზე ისხდნენ და იმ გართობა-თამაშების შესახებ საუბრობდნენ, სულ მალე სანტა კროჩეს ეკლესიის წინ რომ უნდა გამართულიყო. ოდნავ მოშორებით, აივანზე, იდგა პალა დელი ალბიცი მეგობარ მხატვარ ტომაზოსთან ერთად. ისინი კამათობდნენ, სულ უფრო ცხარედ, სანამ ტომაზომ არ იყვირა: „შენ ამას ვერ გააკეთებ, ვერა, სანაძლეოს ვდებ!“ მათმა პაექრობამ მალე მიიპყრო ყველას ყურადღება. „რა ხდება?“ იკითხა გაეტანო სტროციმ და რამდენიმე მეგობართან ერთად მათ მიუახლოვდა. „პალას სურს ზეიმისას ბეატრიჩე ალტიკიერის წინ დაიჩოქოს და კაბის კალთის მტვრის კოცნის ნებართვა სთხოვოს.“ ყველას გაეცინა და ლეონარდომ, რიკარდების გვარიდან, შენიშნა: „იმედია, პალა ამ განზრახვას კარგად აწონ-დაწონის, რადგან ლამაზ ქალბატონებს მისთვის ღიმილი უხვად ემეტებათ, სხვა დროს რომ ფრთხილობენ და თავისთვის ინახავენ.“ მეორემ კი დაამატა: „ბეატრიჩეს, ასეთ ახალგაზრდას, ღიმილისთვის ჯერ კიდევ ბავშვურად ხისტი აქვს ტუჩები, ამიტომაც ჩანს ასეთი ამაყი.“

„არა“, უპასუხა პალა დელი ალბიციმ მოჭარბებული სიმკვეთრით, „უბრალოდ ამაყია ის, და მისი ახალგაზრდობა აქ არაფერ შუაშია. ის ამაყია – მიქელანჯელოს ხელებში ქვასავით, მადონას სურათზე გამოსახული ყვავილივით და ალმასის წახნაგებით არეკლილი სინათლის სხივივით ამაყი.“ სტროციმ ცოტა მკაცრად შეაწყვეტინა: „შენ კი, პალა, ხარ ამაყი? შენი სიტყვები მაფიქრებინებს, რომ საკუთარი თავი მწუხრის ლოცვაზე Santissima Anunziata-ს ეზოში მომლოდინე მათხოვრების გვერდით გინდა დააყენო, რომლებსაც ბეატრიჩე ალტიკიერიმ, სხვაგან მზირალმა, ხელში სოლდო უნდა ჩაუდოთ.“ „კი, სწორედ ეს მსურს!“ იყვირა პალამ, თვალებანთებულმა, მეგობრებს შორის კიბისკენ გაიკაფა გზა და გაუჩინარდა. ტომაზო დადევნებას აპირებდა. „შეეშვი“, შეაჩერა სტროციმ, „ჯობია მარტო დავტოვოთ, ეს უფრო გამოაფხიზლებს.“ და მეგობრები ბაღში გაიფანტნენ.

ახლაც, საღამოს წირვაზე, Santissima Annunziata-ს ჭიშკართან ოცამდე მათხოვარი, კაცი თუ ქალი, იცდიდა. ბეატრიჩე, რომელიც ყველა მათგანს სახელებით იცნობდა და, ხანდახან, სან ნიკოლოს ჭიშკართან მათ ქოხებს და იქ მყოფ სნეულებსა და ბავშვებსაც მოინახულებდა ხოლმე, მათ წინ ჩავლისას, ჩვეულებრივ, ყოველ მათგანს ერთ ვერცხლის მონეტას ჩუქნიდა. დღეს ის აგვიანებდა; უკვე დარეკეს ზარებმა, და ახლა, შეღამების სიჩუმეში, მიდამოს კოშკებიდან წამოსული მკაფიო, მსუყე ჟღერადობიდან შემორჩენილი წვრილი, მეჩხერი ძაფების ბადე შემორტყმოდა.

მღელვარება იგრძნობოდა ღატაკთა შორის, თუნდაც იმიტომ, რომ მათ რიგებში საღამოს ბინდს თავშეფარებულ უცნობ მათხოვარს

შემოეღწია, და ახალსაზრუნავგაჩენილებმა ახალგაზრდა ქალს სწორედ ამ დროს მოჰკრეს თვალი, შავ, მონაზვნის ყაიდაზე შეკერილ ტანსაცმელში, რომელიც მათკენ მოემართებოდა. მისი სვლა საკუთარმა გულმოწყალებამ შეაფერხა, რადგან ხან ერთთან, ხან მეორესთან მიდიოდა, ქისიანი ქალის თანხლებით და მოკრძალებულ საჩუქარს არიგებდა. მუხლად დაცემული მათხოვრები მოთქვამდნენ და მათი მწყალობლის უბრალო კაბის გრძელ კუდზე თავისი ჩამომხმარი თითების წამით შეყოვნებას ცდილობდნენ, ან სველი, მოჩურჩულე ტუჩებით მისი კიდის არშიას კოცნიდნენ. ქალი რიგის ბოლოს უახლოვდებოდა; მისთვის კარგად ნაცნობი ყველა მათხოვარი უკვე მოენახულებინა. მაგრამ შორს, ჭიშკრის ჩრდილში, ჩამოძონძილი უცნობი დაინახა და დაიბნა, შეშინდა. ყველა თავის მათხოვარს დიდი ხანია, ჯერ კიდევ მათი ბავშვობიდან იცნობდა, მათი დასაჩუქრება ჩვევად ჰქცეოდა და მათთან სრულად იყო გაშინაურებული, როგორც ხელის გაჩერებას წმინდა წყლით სავსე მარმარილოს თასში, ყველა ეკლესიის კართან რომ დგას. მაგრამ არასოდეს უფიქრია, რომ უცხო მათხოვრებიც არსებობდნენ; და როგორ უნდა მიეცა თავისთვის მისი დასაჩუქრების უფლება, როდესაც არაფერი იცოდა მისი მოთხოვნისა თუ მოლოდინის კანონიერებაზე? და განა უცნობისთვის მოწყალების გაღება გაუგონარი თავხედობა არ იქნებოდა? ასე, ამ გაურკვევლობასა და შინაგან შფოთვაში ჩაუარა უცნობს, თითქოს ვერც კი შეამჩნია, და მაღალ, გრილ ეკლესიაში შევიდა.

მაგრამ შიგნით, წირვისას, ის ვერც ერთ ლოცვას ვეღარ იხსენებდა, რადგან შიშობდა, რომ წირვის შემდეგ იმ საცოდავს ვეღარ ნახავდა და მისი გაჭირვების შესამსუბუქებლად ვეღარაფერს გააკეთებდა ამ ღამით, როდესაც ყოველგვარი სიღატაკის ხილვა უმწეო და სევდის მომგვრელია, მეტად, ვიდრე დღისით. მან თანმხლებ ქალს ნიშანი მისცა და გასასვლელს მიაშურა. მათხოვართაგან იქ აღარავინ იყო; თუმცა უცხო მაინც იდგა, სვეტს მიყრდნობილი – გალობას თუ უსმენდა, რომლის ხმები შორიდან, თითქოს ციდან მოედინებოდა. სახე, კეთროვანთა ჩვევით, თითქმის მთლიანად ჰქონდა დაფარული, ისინი იარებს მხოლოდ ვინმეს მიახლოებისას აშიშვლებენ, დარწმუნებულნი, რომ ზიზღი და თანაგრძნობა, ერთდროულად, მათ სასარგებლოდ მეტყველებს. ბეატრიჩე ყოყმანობდა. ქისა ახლა მას ჰქონდა და მისი ხელები შიგ სულ რამდენიმე მონეტას თუ ითვლიდა. ბოლოს მათხოვართან მივიდა და მიმართა, უფრო სიმღერით, ვიდრე ჩვეულებრივი სასაუბრო კილოთი, ისე, რომ თავდახრილს, საკუთარი ხელებისთვის არ მოუცილებია გარემოს გარიდებული მზერა:

„არა იმიტომ, რომ გული გატკინოთ, ბატონო ... მგონი, მგონი გიცნობთ, და უნდა ვაღიარო, რომ თქვენგან დავალებული ვარ.

მამათქვენმა, ერთ დროს მდიდრული რკინის მოაჯირი გაგვიკეთა, ახლა ჩვენს კიბეს რომ ამშვენებს. მოგვიანებით, ოთახში, რომელშიც ის მუშაობდა, ქისა აღმოჩნდა, ვფიქრობ, მან დაკარგა. ცხადია... მაგრამ ამ უმწეო ტყუილმა მუხლებზე დააჩოქა. მან ფარჩის ქისა მათხოვარს მოსასხამით დაფარულ ხელებში შეაჩეჩა და ჩაიჩურჩულა: „მაპატიეთ –."3.

ის გრძნობდა, როგორ ცახცახებდა მათხოვარი და თანმხლებ ქალთან ერთად სასწრაფოდ თავი ეკლესიას შეაფარა. თითქოს სწორედ საამისოდ გაღებული კარიდან გალობის ნაწყვეტი გაისმა – ამით დასრულდა ამბავი. მესერ პალა დელი ალბიცი დარჩა თავისი ძონძების ამარა. მთელი წყალობა მან იქვე დაარიგა და, ფეხშიშველამ, საცოდავმა, სოფლისკენ გასწია. როგორც ამბობენ, სიცოცხლის დარჩენილი ნაწილი მან სუბიაკოს მახლობლად გაატარა."

„ეჰ, დრონი, დრონი," თქვა ბატონმა მასწავლებელმა. „და რა მერე; ის, ალბათ, მოქეიფე და ლოთი გახდებოდა, ამ შემთხვევამ კი ის მანანწალად და განდეგილად აქცია. დღეს, ალბათ, მასზე არავის სმენია." „მაგრამ", – მორიდებულად შეეეპასუხე, – „კათოლიკურ ეკლესია ხანდახან ახსენებს მის სახელს, დიდი ლიტანიობისას, შემწეთა და მოსარჩლეთა შორის; რადგან ის წმინდანი გახდა."

ეს ამბავი ბავშვებმაც მოისმინეს, რომლებიც ამტკიცებენ, რაც მასწავლებელს ძალზე განარისხებს, რომ ღვთის სიყვარული მასშიცაა. ისე, ცოტა უცნაურად კი გამომივიდა; რადგან ჰერ მასწავლებელს ისეთი ამბის მოთხრობას დავპირდი, რომელშიც ღმერთზე არაფერი იქნებოდა ნათქვამი. თუმცა, ცხადია: ბავშვებმა ეს უნდა იცოდნენ!

რაინერ მარია რილკე

სიბნელისთვის ნაამბობი ამბავი

პალტოს მოხურვას და ჩემს მეგობარ ევალდთან გადასვლას ვაპირებდი. მაგრამ წიგნის კითხვამ გამიტაცა – სხვათა შორის, წიგნი ძველი იყო – და შემაგვიანდა – მიდამო უკვე შეღამების ბინდში გახვეულიყო, როგორც იცის ეს გაზაფხულზე რუსეთში. სულ რაღაც წამის წინ ოთახში იყო სინათლე, თავის სხივებს მის უშორეს კუთხეებსაც რომ აწვდენდა, ახლა კი საგნები ისე იქცეოდნენ, თითქოს არაფერი იყო მათთვის შეღამების ბინდზე უფრო ჩვეული და ნათელის არსებობა საერთოდ უცხო ყოფილიყო მათთვის; ამ ბინდიდან დიდი, შავი ყვავილები ამოიზარდნენ, მოედნენ მთელ სივრცეს, მათი პაწია ხავერდოვანი ჯამების ირგვლივ კი უცხო, თითქოს ნემსიყლაპიების ფრთებზე მოკალათებული ნათება ფარფატებდა.

კოჭლი, ცხადია, ფანჯარასთან აღარ იდგა. დავრჩი სახლში. რის მოყოლას ვაპირებდი მისთვის? დამავიწყდა. ცოტა ხნის შემდეგ ვიგრძენი, რომ ამ დავიწყებულ ამბავს ჩემგან თითქოს ვიღაც ელოდა, ალბათ არსება ეული, სადღაც შორს, თავისი პირქუში, წყვდიადით მოცული ოთახის ფანჯარასთან, ან იქნებ იყო ეს თვით ბინდი, ჩვენ – მე, იმ შორეულ უცნობს, და საგნებს რომ გვეკვროდა. და მოხდა ისე, რომ ეს ამბავი ამ სიბნელეს ვუამბე. ის სულ ახლოს მოიწევდა, და სულ უფრო ჩუმად შემეძლო თხრობა, რაც ჩემს ამბავს ასე უხდებოდა. ის აწმყოში ხდება და ასე იწყება:

„დიდი ხნის არყოფნის შემდეგ უბრუნდებოდა დოქტორი გეორგ ლასმანი მშობლიურ კუთხეს. არასოდეს იყო მისი სანათესაო მრავალრიცხოვანი, მით უმეტეს ახლა – ბავშვობის და ყრმობის ქალაქში მხოლოდ ორი და ეგულებოდა, ორივე გათხოვილი, ჩანდა, იღბლიანად; ანუ, თორმეტი წლის უნახავი დების მონახულება გახლდათ

მისი სტუმრობის მიზეზი. ასე ფიქრობდა, ასე ეგონა. მაგრამ ღამით, ხალხმრავალ ვაგონში ძილმორეული სიფხიზლისას, ცხადი გახდა მისთვის, რომ აქეთ მას საკუთარი ბავშვობის მონატრება მოუხმობდა, კარგად ნაცნობ ძველ, პატარა ქუჩებში კვალის, ნაშთის ხილვის იმედი, მასში წარსულის მოგონებებს რომ გააცოცხლებდა: რათა ენახა ჭიშკარი, კოშკი ან წყარო, სევდისა თუ სიხარულის მიზეზად რომ შეიძლება ქცეულიყო. ასე იკარგება ცხოვრებაში ადამიანი. და სტუმრობდა ფიქრები, მოგონება სხვადასხვა: პატარა სახლი ჰაინრიხის ქუჩაზე, კარის მბზინავი სახელური და მუქად შეღებილი დერეფანი, კარგად შენახული ავეჯი და მშობლები, ორი გამოფიტული არსება, ავეჯის მიმართ თითქმის მოწიწებით განმსჭვალული, ყოველთვის იქვე, ყოველთვის ნივთებთან ახლოს; საქმიანი დღეების სასოწარკვეთილი სრბოლა და კვირა დღეები – მბზინვარე, ცარიელი დარბაზები, იშვიათი სტუმრები, დახვედრა – სიცილისა და უხერხულობის ნაზავი, აშლილი კლავირი, ხანდაზმული კანარის ჩიტი, სავარძელი – ნაანდერძები რელიკვია, და მასზე დაჯდომა აკრძალული, დღეობა, ბიძია, ჰამბურგელი სტუმარი, თოჯინების თეატრი, არღანი, ბავშვების თავყრილობა და ყვირილი: „კლარა". თითქოს ჩასძინებოდა. აი, დგანან სადგურში, სინათლის გაელვება, მისი მიმართულების ცვლა უსწრაფესი, დამაბნეველი, აი, ჩამოუვლის ჩაქუჩი ბორბლებს, ააჟღერებს და მათი გულისნადების განჭვრეტის ცდაში მიაყურადებს. ისმოდეს თითქოს: კლარა, კლარა, კლარა და ფიქრობს დოქტორი, სრულიად ფხიზელი, ვინ იყო ის? უეცრად შეიგრძნობს სახეს – ბავშვისას, რომლის ქერა თმა კულულებში კი არ იყრის თავს, არამედ სადად, გლუვად ეშვება. არ შეუძლია მისი აღწერა. ესაა რაღაც ჩუმის, სუსტის, ერთგულის, წყვილი მხრის სივიწროვის, უმწეობის შეგრძნება, გახუნებული, გაცრეცილი კაბა კიდევ უფრო რომ აძლიერებს, და ყოველივე ამისთვის თხზავს სახეს, თუმცა იცის – ეს არ უნდა გააკეთოს. ის, სახე, აქაა – უფრო იყო აქ – მაშინ. და აგონდება დოქტორ ლასმანს, მართალია გაჭირვებით, ბავშვობის ერთადერთი მეგობარი – კლარა. იქამდე, სანამ სასწავლებელში მოხვდებოდა, ასე ათი წლისა, ყველაფერს, რაც კი მის ხელთ აღმოჩნდებოდა, მას რომ უწილადებდა, ცოტას (თუ მაინც ბევრს?). კლარას არ ჰყავდა და-ძმა. იგივე იყო მის შემთხვევაშიც, რადგან უფროსი დები მისთვის ვერ იცლიდნენ. მაგრამ შემდგომში დაივიწყა, აღარასოდეს მოუკითხავს. როგორ მოხდა? მიეყუდა სავარძლის საზურგეს. ის იყო ღვთისნიერი არსება, ეს ახსოვდა, და შემდეგ ჰკითხა საკუთარ თავს: რა ბედი ეწია ნეტა? ერთხანს აწუხებდა აზრი, რომ შეიძლება ცოცხალი აღარც იყო. დაეუფლა შიში – უსასრულო, ყოვლისმომცველი, ამ კუპეს ვიწრო სივრცით კიდევ უფრო გამძაფრებული;

თითქოს ყველაფერი ამას ადასტურებდა: ბავშვის ავადმყოფური იერი, მოუგვარებელი ურთიერთობა მშობლებთან, ხშირი ტირილი, უეჭველია: ის მკვდარია. ერთ ადგილზე ველარ ჩერდებოდა, სული ეხუთებოდა; აღარ მოერიდა მძინარე მგზავრების შეწუხებას, მათ შორის გაიარა, დერეფანს მიაშურა. იქ გააღო ფანჯარა და ბნელ სივრცეში გაიხედა. მოკიაფე წერტილებით დაწინწკლული, ის იდუმალად ციმციმებდა. ამან დაამშვიდა, და, როდესაც კუპეში დაბრუნდა, მიუხედავად მოუხერხებელი სავარძლისა, ჩაეძინა.

ორ გათხოვილ დასთან შეხვედრას უხერხულობის გარეშე არ ჩაუვლია. სამ მამაკაცს დავიწყებული ჰქონდა, თუ რამდენად უცხონი იყვნენ ერთმანეთისთვის – მიუხედავად ახლო ნათესაობისა – და ერთხანს ურთიერთობა ამ ტრადიციულ კალაპოტში სცადეს. თუმცა მალევე, უსიტყვო თანხმობით, თავი ზრდილ, ნეიტრალურ ტონს შეაფარეს, საზოგადოებრივი ურთიერთობის კულტურას ყველა შესაძლო შემთხვევისთვის რომ შეუქმნია.

სწორედ უმცროსს – რომლის ქმარიც, ცხოვრებაში განსაკუთრებით წარმატებული, საიმპერატორო მრჩევლის ტიტულის ფაბრიკანტი გახლდათ – ჰკითხა მეოთხე თავი კერძის შემდეგ: „სოფი, ვერ მეტყვი რა ბედი ეწია კლარას?“ „რომელ კლარას?“ „გვარს ვერ ვიხსენებ. იცი შენ, მეზობლის პატარა გოგონა, რომელთანაც ბავშვობაში ხშირად ვთამაშობდი.“ „აჰ, კლარა ზოლნერს გულისხმობ?“ „ჰო, ზოლნერს, ზოლნერს. ახლა მახსენდება: მოხუცი ზოლნერი, ეს საშინელი კაცი – მაგრამ კლარა?“ ის ყოყმანობდა: „აჰ, ის გათხოვდა – თუმცა ახლა სულ მარტო ცხოვრობს.“ „ჰო, დაამატა ჰერ მრჩეველმა, და დანა თეფშზე მჭახედ გაუსრიალდა, „სრულიად მარტო.“ „შენც იცნობ?“ მიუბრუნდა დოქტორი სიძეს. „კი-ი-ი, ისე, ზერელედ; ისე, ის აქ საკმაოდ ცნობილია.“ მეუღლეებმა თანხმობის მზერა გაცვალეს. დოქტორი მიხვდა, რომ რაღაც მიზეზების გამო ამაზე საუბარი მათთვის უსიამოვნო იყო და აღარაფერი უკითხავს.

როდესაც დიასახლისმა ყავა მოართვათ და შემდეგ ისინი მარტო დატოვა, ჰერ მრჩეველმა ამ თემაზე საუბრის უფრო მეტი ხალისი გამოამჟღავნა. „ეს კლარა“, – იკითხა მან ცბიერი, ირონიული ღიმილით, თან სიგარიდან ვერცხლის თასში ჩავარდნილ ფერფლს თვალს არ აცილებდა – ალბათ, ჩუმი და ანტიპათიური ბავშვი იყო, არა?“ დოქტორი დუმდა. ჰერ მრჩეველმა მეტი ნდობის ნიშნად უფრო ახლო მიიწია: „ეს მთელი ისტორიაა! არასოდეს გსმენია?“ ,მაგრამ მე ხომ ჯერ არავისთან მისაუბრია.“ „გისაუბრია!“, ელეგანტურად გაიღიმა მრჩეველმა, „ამის შესახებ გაზეთებიც კი წერდნენ.“ „რა?“ იკითხა წონასწორობადაკარგულმა დოქტორმა.

„როგორ გითხრა, ის მას გაექცა“ ამ უცნაურმა, დამაბნეველ-

მა წინადადებამ ფაბრიკანტის წინ გაწოლილი სიგარის ბოლიდან გამოაღწია, რომლის მიღმაც ავტორი მისი ზემოქმედების შედეგს ახლა უსაზღვრო სიამოვნების მოლოდინში ელოდა. მან უფრო საქმიანი იერი მიიღო, წელში გასწორდა და საუბრის ტონი შეცვალა – გადავიდა თხრობაზე, იმავდროულად მის ტონში ერთგვარი წყენაც იგრძნობოდა. „ჰმ, ის გაათხოვეს, სამშენებლო მრჩეველ ლერზე. შენ ის დავინწყებული გეყოლება. არაა ხნოვანი, ასე, ჩემი ასაკისა იქნება. მდიდარი, წესიერი, აბსოლუტურად წესიერი. ქალი კი იყო უგროშო, თან უშნო, არც აღზრდა ჰქონდა მაინცდამაინც სატრაბახო და ასე შემდეგ." მაგრამ მრჩეველი არ ეძებდა დიდებულ ქალბატონს, სალონების კაშკაშა ვარსკვლავს – მას მოკრძალებული დიასახლისი სჭირდებოდა. მაგრამ კლარა – ყველგან მიღებული, ყველა კეთილგანწყობილი, ყოველთვის თავშეკავებული – ისე, რომ სულ ადვილად შეეძლო გარკვეული მდგომარეობისთვისაც მიეღწია, ეს ყველაფერი გასაგებია – მაგრამ კლარა, ერთ მშვენიერ დღეს – ქორწინებიდან ასე ორი წლის თავზე: დაიკარგა. წარმოიდგინე: გაქრა. სად? იტალიაში. პატარა სასიამოვნო მოგზაურობა. მარტო? რა თქმა უნდა, არა. ისე, ბოლო წელს აღარ ვპატიჟებდით, – თითქოს წინასწარ ვგრძნობდით! მრჩეველი, ჩემი კარგი მეგობარი, ღირსეული ადამიანი, მამაკაცი...

„კლარა?" შეაწყვეტინა დოქტორმა და წამოდგა. „აჰ, ჰო – ღვთის რისხვამ უწია. მაშ ასე, ხსენებული – ამბობენ მხატვარი, – იცი ეს ყველაფერი – მსუბუქი არსება, ლაღი ჩიტი – და მხოლოდ ეს – მაშ ასე, როდესაც იტალიიდან დაბრუნდნენ, მიუნხენში: მშვიდობით, და თვალით აღარავის უნახავს. ზის ახლა სახლში მარტო, შვილთან ერთად.

აღელვებული ლასმანი ბოლთას სცემდა: „მიუნხენში?" „კი, მიუნხენში", უპასუხა მრჩეველმა და მაშინვე წამოდგა. „ალბათ, კარგი დღე არ ადგას" – „რას გულისხმობ? "–, „ნუ, მრჩეველი თავის სიგარას უყურებდა, ,ფინანსურად, და საერთოდ – ღმერთო – ასეთი ცხოვრება" – უეცრად მან თავისი მოვლილი, ნალოლიავები ხელი ცოლისძმას მხარზე დაადო და გააგრძელა, სიტყვები სიამოვნებისგან დამტკბარი ყელიდან მორაკრაკებდა: ,იცი ეს როგორცაა, ისე კი ყვებიან, რომ თავს ირჩენს – დოქტორი მკვეთრად შემოტრიალდა და ოთახიდან გავიდა. ჰერ მრჩეველს – საყრდენგამოცლილი ხელი ჰაერში რომ დარჩა – ათი წუთი დასჭირდა, რათა დაბნეული და გაოგნებული საბოლოოდ გამორკვეულიყო. შემდეგ შევიდა მეუღლესთან და გაღიზიანებულმა უთხრა: „ყოველთვის ვამბობდი, რომ შენი ძმა უცნაური არსებაა." და პასუხად, თავის დაქნევასთან ერთად, ზარმაცი მთქნარებით გაისმა: „აჰ, ღმერთო, კი."

ორი კვირის შემდეგ დოქტორი გაემგზავრა. მან უცბად გააც-

ნობიერა, რომ თავისი ბავშვობა სხვაგან უნდა მოეძებნა. მიუნხენში მისამართების ცნობარში იპოვა: კლარა ზოლნერი, შვაბინგი, ქუჩა და ნომერი. რეგისტრაციის საქმე მოაგვარა და იქით გაეშურა. მის წინ, სინათლითა და სიკეთით სავსე ოთახში, ელეგანტური ქალბატონი იდგა.

„გეორგ, გახსოვარ?"

დოქტორი დაიბნა. „მაშ, ეს თქვენ ხართ, კლარა?" ქალის უშფოთველი სახე და ნათელი შუბლი სიმშვიდეს და მოთმინებას ასხივებდა, თითქოს სტუმარს დროში არ ზღუდავდა, რათა მასში ძველი კლარა ამოეცნო. ერთხანს ასე გაგრძელდა. ბოლოს, დოქტორმა თითქოს იპოვა ის, რაც მის წინ მდგომი ქალისა და ბავშვობის ამხანაგის იგივეობას ადასტურებდა. მან კიდევ ერთხელ მოძებნა მისი ხელი და ხელმეორედ ჩამოართვა; შემდეგ ნელა გაუშვა და ირგვლივ მიმოიხედა: ოთახი გხლდათ სადა: საწერი მაგიდა ფანჯარასთან, ზედ წიგნები და ხელნაწერები, რითაც იყო, ალბათ, მის მოსვლამდე დაკავებული – არაფერი ზედმეტი, მხოლოდ აუცილებელი. სკამი ჯერ კიდევ მაგიდის სიახლოვეს რჩებოდა. „წერდით?" ... დოქტორი ამ კითხვის უაზრობას კარგად გრძნობდა. უშუალო იყო პასუხი: „კი, ვთარგმნი". „დასაბეჭდად?" „კი", უპასუხა უბრალოდ, „ერთი გამომცემლობისთვის." გეორგმა კედელზე რამდენიმე იტალიური სურათი შენიშნა, მათ ქვევით კი – ჯორჯონეს „კონცერტი". „გიყვართ ეს სურათი?" ის სურათს მიუახლოვდა. „თქვენ?" „ორიგინალი არ მინახავს; მგონი ფლორენციაშია, არა?" „პიტიში. აუცილებლად უნდა ჩახვიდეთ". „ამ მიზნით?" „დიახ, ამ მიზნით". შეუბოჭავი, ხალისიანი იყო ქალი. დოქტორი ჩაფიქრებული ჩანდა.

„რა მოხდა, გეორგ? არ დაჯდებით". „რაღაც სევდა მომეძალა", ყოყმანობდა ის. „ვფიქრობდი, რომ, მაგრამ თქვენ არც ისე ცუდად გამოიყურებით..." სათქმელი უცბად შეცვალა. კლარას გაეღიმა: „ჩემი ამბავი გაიგეთ?" „კი, ანუ..." „ოჰ," სასწრაფოდ შეაწყვეტინა კლარამ, როდესაც შეამჩნია, რომ მის შუბლზე ღრუბლები იქუფრებოდა, "ნუ გავამტყუნებთ ადამიანებს, როდესაც ამას სხვაგვარად აფასებენ". იმის გადმოცემა, რასაც ჩვენ ვგრძნობთ და განვიცდით, ხშირად ძნელია და, ვინც ამას დააპირებს, ის მარცხისთვისაა განწირული. ხოლო დოქტორმა: „რამ შეგაძლებინათ გამხდარიყავით ასეთი ... კეთილმოსურნე ... ასეთი კეთილმორწმუნე?" „ყველაფერმა", წარმოთქვა მან ჩუმად, სითბოთი. „მაგრამ რატომ თქვით: კეთილმოსურნე?" „იმიტომ ... იმიტომ, რომ უნდა გაქვავებულიყო თქვენი გული. თქვენ ისეთი სუსტი, უმწეო არსება იყავით; ასეთი ბავშვები ან უხეშდებიან, ან ..." , „ან – გინდოდათ გეთქვათ – იღუპებიან. ნუ, მე მართლაც მკვდარი ვიყავი. ოჰ, მრავალი, მრავალი წელია, მას შემ-

დეგ, რაც უკანასკნელად გნახეთ, სახლში, ვიდრე...", მან მაგიდიდან რაღაც აიღო: „შეხედეთ, ეს მისი სურათია. ცოტა შელამაზებულია. სახე არაა ისეთი ნათელი, მაგრამ უბრალოა, საყვარელი. ცოტა ხანში ჩვენს შვილსაც გიჩვენებთ. ახლა სძინავს. ბიჭია, ანჯელო, მამის სახელია. ის ახლა შორსაა, მოგზაურობს."

„და ახლა სრულიად მარტო ხართ?" იკითხა დოქტორმა ისე, პაუზა რომ შეევსო, თან სურათს თვალს ვერ აშორებდა.

„კი, მე და ბავშვი. არ არის საკმარისი? მოგიყვებით, თუ როგორ იყო ყველაფერი. ანჯელო მხტვარია. მისი სახელი ნაკლებადაა ცნობილი, არც თქვენ იცით, ალბათ. ის ბოლო დრომდე ებრძოდა სამყაროს, ქვეყანას, თავის გეგმებს, საკუთარ თავს და მე. დიახ, მეც; რადგან, ერთი წლის წინ ვთხოვე, უნდა გაემგზავრო-მეთქი. ვგრძნობდი, როგორ უჭირდა. ერთხელ იკითხა ხუმრობით: „მე თუ ბავშვი?" „ბავშვი" ვუპასუხე, და ისიც გაემგზავრა.'

„და როდის დაბრუნდება?"

„ვიდრე შვილი მის სახელს არ წარმოთქვამს, ასე შევთანხმდით." დოქტორს რაღაცის თქმა სურდა. მაგრამ კლარას გაეცინა: „და რადგან სახელი არც ისე მარტივია, ალბათ, ერთხანს დააგვიანდება. ანჯელოს ორი წელი მხოლოდ ზაფხულში შეუსრულდება."

„უცნაურია", თქვა გეორგმა. „რა, გეორგ?" „რა კარგად გესმით ცხოვრება. როგორი დიდი გამხდარხართ, როგორი ახალგაზრდა. რა უყავით თქვენს ბავშვობას? ჩვენ, ორივე, ვიყავით ისეთი – ისეთი უმწეო. ამას ვერ შევცვლით და ვერც თვალს დავხუჭავთ, – არ ყოფილიყოს თითქოს". „მაშ ფიქრობთ, რომ ჩვენ ბავშვობის გამო უნდა ვიტანჯებოდეთ, და სამართლიანად?" „სწორედ ამას ვგულისხმობდი. ამ მძიმე სიბნელის გამო, რომ გაწოლილა ჩვენ უკან, რომელთანაც ასეთი უმწეო, გაურკვეველი ურთიერთობა გვაქვს. არის დრო: სივრცე – ჩვენი პირმშოსთვის, ყველაფრის საწყისის, ჩვენი ნდობის, ჩანასახის, იმისა, ოდესმე რომ შედგება, ალბათ. და უეცრად ვგებულობთ: შთაუნთქავს ყოველი ზღვას, ვერ მივმხვდარვართ, როდის; ვერც კი შეგვიმჩნევია. თითქოს მავანს მთელი თავისი მწირი დანაზოგისთვის მოეყაროს თავი, ამით ბუმბული ეყიდოს, ქუდზე დაემაგრებინოს, და უეცრად: აღარ არის, ახლახან ამოვარდნილ ქარს მოუტაცებია იგი. ცხადია, სახლში მის გარეშე დაბრუნებული ფიქრობს – რაღა დარჩენია – ნეტა როდის გაუფრინდა."

„ამაზე ფიქრობთ, გეორგ?"

„უკვე აღარ. შევწყვიტე. დაიწყო ასე ჩემი არსებობის მეათე წლის გასრულებისას, იქ, სადაც შევწყვიტე ლოცვა. ეს სხვა მე აღარ მეკუთვნის."

„და როგორ მოხდა, რომ გამიხსენეთ?"

„ამან მომიყვანა თქვენთან. თქვენ ხართ იმ დროის ერთადერთი მოწმე. ვფიქრობდი თქვენში მეპოვა ის, რასაც ვერ ვპოულობ ჩემში – მოძრაობა, სიტყვა, სახელი, რის მიღმაც არსებობს რაღაც – განათების წამი"– დოქტორმა თავი ცივ ხელებში ჩარგო, რომლებიც ვერ მშვიდდებოდნენ.

ფრაუ კლარამ გააგრძელა მათი საერთო ფიქრები: „ცოტა რამ მახსენდება ჩემი ბავშვობიდან, ჩვენ შორის ათასი სიცოცხლე აღმართულიყოს თითქოს. მაგრამ ახლა, როდესაც ჩემს ფიქრებს თქვენ მოგონებებისკენ მოუხმეთ, რაღაც მახსენდება. იყო საღამო. მოხვედით ჩვენთან, მოულოდნელად; თქვენი მშობლები სახლში არ იყვნენ – თეატრში თუ სადღაც სხვაგან. სახლი იყო გაჩირაღდნებული. მამა ელოდა სტუმარს, ნათესავს – მდიდარს, შორეულს, თუ არ ვცდები. ის უნდა ჩამოსულიყო, არ ვიცი საიდან, შორიდან, ყოველ შემთხვევაში. კარი იყო ღია, ლამპები ანთებული, დედა დროდადრო მიდიოდა ტახტთან, ასწორებდა გადასაფარებელს, მამა იდგა ფანჯარასთან. ვერავინ ბედავდა დაჯდომას, რომ არ შეებღალა მშობლების მიერ ავეჯისთვის მინიჭებული წესრიგი. და რადგან სწორედ ამ დროს მოგვისწარით, ჩვენთან ერთად მოგიწიათ ცდა. ჩვენ, ბავშვები, გაფაციცებული მივჩერებოდით კარს, ვცდილობდით გაგვეგო მოახლოებული ნაბიჯების ხმა. რაც უფრო გადიოდა დრო, მით უფრო უჩვეულო იერს იძენდა სტუმარი – და ვცახცახებდით კიდეც, არ მოსულიყო დროზე ადრე – ვიდრე მისი ბრწყინვალება, ყოველი დაგვიანებული წუთით გამძაფრებული, თავისი ელვარების მწვერვალს არ მიაღწევდა. მისი არმოსვლა არ გვაშინებდა; ვიცოდით, მოვიდოდა, უბრალოდ დრო გვინდოდა მიგვეცა მისთვის, რომ გამხდარიყო უფრო დიდი, ძლევამოსილი. "

დოქტორმა უეცრად ასწია თავი და სევდიანად წარმოთქვა: „ჩვენ, ორივემ, ისიც ვიცოდით, რომ ის არ მოვიდოდა – და ეს მე არ დამვიწყებია". „არა," – დაადასტურა კლარამ, „ის არ მოსულა –, და, პაუზის შემდეგ: „ლამაზი იყო მაინც." „რა?" „ნუ, ეს ყველაფერი – ლოდინი, განათებული სახლი, – სიჩუმე – ამაღლებული, საზეიმო განწყობა".

გვერდით ოთახში რაღაც გატოკდა. ფრაუ კლარამ მოიბოდიშა და სტუმარი წამით დატოვა; შემდეგ, სახეზე შუქჩამდგარმა, მხნემ, ხალისიანმა, წარმოთქვა: „შეგვიძლია შევიდეთ. მას ახლა ღვიძავს და იღიმის. თუმცა, რაზე ვსაუბრობდით?"

„ვფიქრობდი იმაზე, თუ რამ შეგაძლებინათ, რა ძალამ, საკუთარი თავის პოვნა, მისი მშვიდი დაუფლება. ცხოვრებას თქვენთვის ეს ამოცანა არ შეუმსუბუქებია. შესაძლოა, ის დაგეხმარათ, რაც მე მაკლია?" „და, გეორგ, რა შეიძლება ეს ყოფილიყო?" კლარა მის გვერდით დაჯდა.

„უცნაურია; როდესაც, ამ სამი კვირის წინ, ღამის, ფიქრობდი თქვენზე, პირველად დიდი ხნის მანძილზე, ვიფიქრე: თქვენ იყავით სიკეთით, რწმენით აღსავსე ბავშვი. და ახლა, როდესაც კვლავ შევხვდით ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ ხართ სხვა ადამიანი, განსხვავებული იმისგან, რასაც მოველოდი – მიუხედავად ამისა, ვიტყოდი, ვგრძნობ, უფრო მტკიცედაც: ის, რაც თქვენ მიგიღოდათ ცხოვრებაში, და რისი მეშვეობითაც განვლეთ ყველა განსაცდელი – ესაა თქვენი თვინიერი ბუნება."

„რას უწოდებთ თვინიერებას?"

„ნუ, თქვენს დამოკიდებულებას უზენაესისადმი, მის სიყვარულს, რწმენას."

ფრაუ კლარამ დახუჭა თვალები: „ღმერთის სიყვარული? მინდა დავფიქრდე, გავერკვე თქვენს აზრებში." დოქტორი მას დაძაბული უყურებდა. ის ლაპარაკობდა ნელა, სიტყვები – მშვიდი – თითქოს განსჯის, ფიქრის მსვლელობას მიჰყვებოდა აუჩქარებლად: „ბავშვობაში – მიყვარდა ღმერთი? ალბათ არა. არასოდეს. ეს ჩემთვის იქნებოდა ჭკუაგადასული ადამიანის ხსნის, განთავისუფლების გიჟური იმედი – ეს ალბათ არაა ამ ყველაფრის ზუსტი სახელი – ყველაზე დიდ ცოდვად რომ მეჩვენებოდა – ფიქრი: ის არსებობს. თითქოს ამით მას ჩემში ყოფნას ვაიძულებდი, ამ პატარა არსებაში, სასაცილოდ გრძელი ხელებით, ჩვენს თბილ სახლში, რომელშიც ყველაფერი იყო ყალბი, არანამდვილი, პაპიემაშეს ბრინჯაოს კედლის თეფშებით დაწყებული, იმ, ძვირფას ეტიკეტიან ბოთლებში ჩასხმული იაფფასიანი ღვინით დამთავრებული. და მოგვიანებით – ფრაუ კლარამ ხელები ისე აამოძრავა, თითქოს თავს რაღაცისგან იცავდა, და თვალები მაგრად დახუჭა – თითქოს უფრთხოდნენ შეშინებულები, ქუთუთოებს მიღმა რამე საშინელი არ ეხილათ – ჩემს არსებას რომ შემოჩვეოდა, რომ გაშინაურებოდა, ალბათ, მას განვდევნიდი. მაგრამ ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. ის დავიწყებული მყავდა. დავივიწყე ყველაფერი. და მხოლოდ ფლორენციაში: როდესაც – პირველად ცხოვრებაში – ვხედავდი, მესმოდა, ვგრძნობდი, შევიცნობდი და ვისწავლე ამ ყველაფრისთვის მადლიერება – ის კვლავ გამახსენდა. და ყველგან იყო მისი კვალი. ყველა სურათში – მისი ღიმილის ანარეკლი, ზარებში – მისი ხმის ექო, და სტატუებში – მისი ხელის ანაბეჭდი."

„და იპოვეთ?"

კლარამ შეხედა დოქტორს, ახლა მისი დიდი, ფართოდ გაღებული თვალები ბედნიერებას ასხივებდა: „ვგრძნობდი, რომ ის იყო, იყო ოდესღაც ... რატომ უნდა მენატრა მეტის შეგრძნება? ეს მეტისმეტი იქნებოდა."

დოქტორი ადგა, მივიდა ფანჯარასთან. ჩანდა მინდორი და შვაბინ-

გის პატარა, ძველი ეკლესია. ფრთხილად, ფეხაკრეფით მოიპარებოდა შელამება. უეცრად დოქტორმა ლასმანმა იკითხა, ის კვლავ ფანჯარაში იყურებოდა: „ახლა?" და რადგან არავინ უპასუხა, მოტრიალდა, უხმაუროდ დაბრუნდა უკან.

„ახლა..." კლარა ყოყმანობდა, როდესაც ის მის წინ იდგა, და აიხედა, მიაპყრო მზერა: ,ახლა ვფიქრობ ხანდახან: ის იქნება."

დოქტორმა აიღო მისი ხელი და ერთხანს თავისაში გააჩერა. ის გაურკვეველში, შეუცნობში იყურებოდა.

„რაზე ფიქრობთ, გეორგ?"

„ვფიქრობ, რომ ისეა, როგორც იმ საღამოს: თქვენ ელით უჩვეულოს, საოცარს, ღმერთს, და იცით, რომ მოვა ის – და მეც, შემთხვევით, მივედი აქამდე."

ფრაუ კლარა წამოდგა – მსუბუქი, ლაღი. ის იყო ახალგაზრდა, ძალიან. „მაგრამ, მოდი ახლა დაველოდოთ." ეს თქვა ისე უბრალოდ და ხალისიანად, რომ დოქტორს გაეღიმა. მასპინძელი მას მეორე ოთახში, შვილთან შეუძღვა.

ამ ამბავში არაფერია ისეთი, ბავშვმა რომ არ შეიძლება იცოდეს. და მაინც, მათ ეს ჯერ არ განუცდიათ. ის მხოლოდ სიბნელეს ვუამბე, მხოლოდ მას. ბავშვებს ეშინიათ მისი, გაურბიან და, თუკი მასთან დარჩენა უწევთ, მაგრად, მაგრად ხუჭავენ თვალებს და ცქვეტენ ყურებს. მაგრამ მათთვისაც დადგება დრო, როდესაც მას შეიყვარებენ. მისგან შეიტყობენ ჩემს ამბავს და უკეთაც გაიგებენ.

ფრანც კაფკა

დაკვირვება

ბავშვები შარაგზაზე

გავიგონე, როგორ ჩაუარა ბაღის გისოსებს ურემმა, აქა-იქ გამოჩნდა კიდეც მოშრიალე ფოთლებში. როგორ ჭრიალებდა ზაფხულის სიმხურვალეში რვილი და ბორბლის მანა! მუშები ბრუნდებოდნენ მინდვრებიდან, იცინოდნენ, და როგორ! სამარცხვინო იყო ეს ყველაფერი.

ვიჯექი ჩვენს პატარა საქანელაში, ჩემი მშობლების ბაღის ხეებს შორის, ვისვენებდი.

გისოსების წინ კი მოძრაობა არ წყდებოდა. ჯერ ბავშვებმა ჩაირბინეს, გაუჩინარდნენ; ახლა ყვავილების კვლები აღმოჩნდა ძნებით დატვირთულ ურმებზე მოკალათებული ქალებისა და მამაკაცების ჩრდილში; საღამოსკენ გამოჩნდა დინჯად მოსეირნე ხელჯოხიანი მამაკაცი, მოპირდაპირე მხრიდან კი – ხელიხელგაყრილი გოგონების წყვილი, შეხვდნენ ერთმანეთს, გოგონებმა გაუღიმეს და, ღიმილიანებმა, გზიდან მოლზე გადაუხვიეს.

აფრინდნენ ჩიტები, ცაში ნაპერწკლებივით გაიფანტნენ. გავაყოლე მზერა, ვხედავდი როგორ მიიწევდნენ ზევით, შეუსვენებლივ, ვუყურებდი დიდ ხანს, მანამ, სანამ არ მომეჩვენა, რომ ისინი კი არ მიიწევდნენ აღმა, არამედ მე ვეშვებოდი დაღმა, და თოკებს ხელჩაკიდებულმა დავიწყე მსუბუქი რწევა – თავბრუ, სისუსტე თითქოს ამაში პოვებდა შვებას. ძალა დამიბრუნდა, უფრო ენერგიულად ვქანაობდი, ქროდა შემხვედრი ნიავი, სულ უფრო გრილი, ჩემი მზერის წინაშე კი მოციმციმე ვარსკვლავებით მოჭედილი ცა აღმართულიყო.

ვვახშმობდი სანთლის შუქზე. ხშირად ვეყრდნობოდი ხელებით

მაგიდას და, უკვე დაღლილმა, ბუტერბროდი ჩავკბიჩე. თბილი სიოს ნავარდით აფორიაქებული ფარდები კედლებს აწყდებოდნენ, ფანჯრის ღიობში შემოჭრილ სიოში იბერებოდნენ, გარეთ იწევდნენ, სადაც დროდადრო, ჩემი უკეთ დანახვის თუ დალაპარაკების მსურველი გამვლელი აკავებდათ. მალე ჩაქრა თითქმის ყველა სანთელი და აღმავალ ბოლში ჩანდა, როგორ ირეოდა ჰაერში ქინქლი. ფანჯარაში მავანმა რაღაც მკითხა. შევხედე, თითქოს მთაგრეხილებს ვუყურებდი ან ცას მივჩერებოდი, არც ის ჩანდა პასუხით დიდად დაინტერესული.

ამოხტა ერთი ფანჯრის მოაჯირზე და მამცნო, რომ სხვები უკვე სახლის წინ შეგროვილიყვნენ. წამოვდექი ზანტად, ხვნეშით, რა თქმა უნდა.

„არა, რატომ ხვნეში ასე? რა მოხდა? ეს რაღაც გამორჩეული, გამოუსწორებელი უბედურებაა და არაფერი ეშველება? მართლაც ამაო და უიმედოა ყველაფერი?"

არც არაფერი იყო დაკარგული. მივრბოდით სახლის წინ. „მადლობა უფალს, როგორც იქნა, მოხვედით!" „როგორც ყოველთვის აგვიანებ!" „მაინცდამაინც მე?" „სწორედ შენ, თუ წამოსვლა არ გინდა, შეგიძლია სახლში დარჩე." „არავითარი შენდობა?" „რა? არავითარი შენდობა? უყურე ამას?"

საღამოს მივაპობთ თავებით. აღარავითარი დღისით თუ ღამით. ეხახუნებიან ერთმანეთს ჟილეტის ღილები, იყოს თითქოს კბილები, ხან კი მივრბივართ ერთმანეთისგან თანაბარი დაშორებით, პირი – ცეცხლის მფრქვეველი, ნადირი ტროპიკებში. როგორც ძველი დროის კირასირები შორეულ ომებში, მძიმე ნაბიჯით მივაჭენებთ მაღლა, ჰაერში. ერთმანეთის მიყოლებით ჩავირბინეთ პატარა ქუჩა და ფეხებში მოზღვავებული ენერგიის ინერციით ავირბინეთ შარაგზა. ზოგი გზიდან გადავიდა, და, გვერდზე ადევნებულ მინის თხრილში აღმოჩენილი, ცოტა ხნით გაქრა, ფერდობს მოეფარა, რათა კვლავ გამოჩენილიყო მინდორში გაკვალულ გზაზე, როგორც უცხო და ქვევით გადმოეხედა.

„ჩამოდით დაბლა!" „ჯერ მაღლა ამოდით!" „უკან რომ ჩამოგვაგდოთ? ნურას უკაცრავად, ნუთუ ასეთი მიამიტები ვჩანვართ." „ასეთი მშიშრები, გინდათ თქვათ. აბა, მოდით, თუ ბიჭები ხართ, მოდით!" მართლა? თქვენ? სწორედ თქვენ გადმოგვყრით დაბლა? მაშ, ვნახოთ, როგორი სანახავი იქნებით?"

თავს დავესხით, მკერდში საპასუხო დარტყმამ კი ძირს დაგვყარა და დავწექით თხრილში, ბალახზე, გავერთხეთ მიწაზე, უკვე ნებაყოფლობით. ყველგან ერთგვარი თანაბარი სითბო, ბალახში თბილისა და ცივის შეგრძნება გაქრა, მხოლოდ დაღლილობა გვახსენებდა თავს.

გადანვებოდი მარჯვნივ, ხელს ყურის ქვეშ ამოიდებდი და მაშინვე ძილი გერეოდა. მართალია, მოგინდებოდა წამოხტომა, აი, უკვე მაღლაა ნიკაპი, და უფრო ღრმად ვარდებოდი თხრილში. შემდეგ: ხელის გვერდზე განევა, ფეხების მკვეთრი გაქნევით ჰაერში წამოწევა, მაგრამ კვლავაც თხრილში ხარ, კიდევ უფრო ღრმად. და ასე უსასრულოდ.

თუ როგორ გაიჭიმები მთელ სიგრძეზე, განსაკუთრებით მუხლებში, მოეწყობი დასაძინებლად შენს უკანასკნელ და სამუდამო თხრილში, ამაზე არც კი ფიქრობ და წევხარ ზურგზე, ტირილის გუნებაზე, თითქოს ავადმყოფი იყო. გაიელვა ფიგურამ, და შენც, შემკრთალი, თვალებს ახამხამებ, ფერდობიდან გადმომხტარმა ყმაწვილმა, მჭიდროდ რომ შემოუწყვია თეძოებზე ხელები, თავზე გადაგვიფრინა, მუქი ფეხსაცმლის ლანჩები დაგვანახა და გზაზე დაეშვა.

ჰორიზონტზე ამოვიდა მთვარე, არცთუ მაღლა, მის სინათლეში კი ეკიპაჟს მოვკარით თვალი, მალევე რომ ჩაგვიარა, გაუჩინარდა. დაქროლა სიომ, აღწევდა თხრილშიც, მასთან ერთად ახლო ტყიდან გამოყოლილი ხეთა სურნელი. და აღარც მარტოობაა ისე მძიმე.

„სად ხართ?“ „აქეთ!“ „ყველა ერთად!“ „რას იმალები, ნუ სულელობ!“ „არ იცით, რომ ფოსტამ უკვე ჩაიარა?“ „ო, არა! უკვე?“ „რა თქმა უნდა, როდესაც გეძინა.“ „მეძინა? ეს რა ძილია, ისე, არაფერი!“ „გაჩუმდი, ისედაც სახეზე გაწერია.“ „მაგრამ გთხოვ.“ „წავედით!“

მივრბივართ მჭიდრო სიახლოვეში, ზოგიერთი ერთმანეთს ხელსაც კი აწვდენს, იყო ციცაბო თავდაღმართი – თავს ვერ აწევდი მაღლა. ერთმა დასცა ინდიელების საომარი ყიჟინა, ახლა ოთხით მივრბივართ, აღმატებული ძალით ფეხებში და ნახტომებისას თეძოებში გვიბერავს ქარი. ვერაფერი შეგვაჩერებდა; სირბილით აღგზნებულები, გადახტომისას ხელებს გადავაჭდობდით და ირგვლივ მშიდად მიმოვიხედავდით.

შევჩერდით მთის ნაკადულზე გადებულ ხიდზე; დაწინაურებულები მობრუნდნენ. დაბლა ქვებზე, ფესვებზე წყალი ეხეთქებოდა, თითქოს არ იყო უკვე გვიანი საღამო. არ ჩანდა მიზეზი, თუ რატომ არ უნდა ამხტარიყავი ხიდის მოაჯირზე.

შორს, ბუჩქებს მიღმა გამოჩნდა მატარებელი, ყველა კუპე განათებული ჰქონდა, ფანჯრები – ჩამოშვებული. ჩვენ შორის ერთერთმა წამოიწყო ქუჩის სიმღერა, გაცვეთილი, მოყირჭებული, და ყველას მოგვინდა ხმის აყოლება. ავყევით, ავაჩქარეთ, თითქოს მატარებელს მივაყოლეთ, მას გავაყოლეთ, ხელები ჩავკიდეთ ერთმანეთს და ასე რწევით გავაცილეთ ვაგონები, და რადგან ხმა აღარ გვყოფნიდა, აირია სიმღერის სიმწყობრე, ყველა თავისთვის ცდილობდა და ეს ყველას სიხარულს გვანიჭებდა. როდესაც შეწყობილი

სიმღერისას შენს ხმას სხვებისას უხამებ – თითქოს ანკესზე იყო წამოგებული.

ვმღეროდით ასე, ზურგით ტყისკენ, და ისმოდა ის შორს, ტყეში, ესმოდათ მგზავრებს, მათ დადევნებული სიმღერა. სოფელში მოზრდილები ჯერ კიდევ ფხიზლობდნენ, დედები ღამისთვის ასნორებდნენ ლოგინებს.

დრო იყო. ჩემ გვერდით მდგომს ვაკოცე, გავუწოდე დანარჩენ სამს ხელები, გავიქეცი უკან, არავის დაუძახია. პირველსავე გზაჯვარედინზე, იქ, სადაც ველარ მხედავდნენ, შემოვტრიალდი და მინდვრის გზებით პირი ისევ ტყისკენ ვიბრუნე. სამხრეთით, ქალაქისკენ მივისწრაფოდი, ჩვენს სოფელში რომ უყვართ თქმა:

„იცოდე, იქ ხალხია! ვისაც არ სძინავს!"

„და რატომ?"

„არ იღლებიან."

„ნეტა რატომ?"

„იმიტომ, რომ შერეკილები არიან."

„შერეკილები არ იღლებიან?"

„აბა, შერეკილები როგორ დაიღლებიან!"

ნიღაბახდილი თაღლითი

როგორც იქნა, საღამოს ათი საათისთვის, მოულოდნელად გადაყრილ შემთხვევით ნაცნობთან ერთად, ორი საათის განმავლობაში მთელი ქუჩები რომ შემომატარა, მისმა და ზრდილობის უნებლიე მძევალმა, მემამულის სახლამდე მივაღწიე, სადაც წვეულებაზე მელოდნენ.

„ასე!" ვთქვი და დამშვიდობების ნიშნად, ახლა გარდაუვალი რომ ჩანდა, ხელი ხელს შემოვკარი. რამდენიმე ნაკლებ მკაფიო მინიშნება ადრეც ვცადე. სრულიად გამოფიტული ვიყავი.

„უკვე ადიხართ?" იკითხა მან. მისი პირიდან მომესმა ხმაური – რაღაც კბილების კაწკაწის მსგავსი.

„დიახ".

ბოლოს და ბოლოს, დაპატიჟებული ვიყავი, და ეს უკვე ვუთხარი. დაპატიჟებული იქ, მაღლა, სადაც შეკრებილ საზოგადოებას სიამოვნებით შევუერთდებოდი, და არა სახლში შესასვლელთან დიდი ხნით დგომისთვის მიწვეული, თანამოსაუბრის ყურების მიღმა დიდი ხნით უაზროდ მზერისა და ერთობლივი დუმილისთვის განწირული. თანადგომას ამ დუმილს გვერდით მდგარი სახლებიც უცხადებდნენ, რომლებსაც მხარს ირგვლივ ჩამოწოლილი სიბნელე უბამდა, მაღლა, ვიდრე თვით ვარსკვლავებამდე. ახლა მკაფიოდ ისმოდა: უხილავ

მოსეირნეთა ნაბიჯების ხმა, რომელთა სიშორე-სიახლოვის გამოცნობის ხალისი გამქრალიყო, ქარის ქროლვა, გამუდმებით რომ ეკვროდა ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, და გრამოფონი, რომელიღაც სახლის დახურული ფანჯრის მიღმა რომ იქცევდა თავს. ამ სიჩუმით გათამამებულებს, ხმა ამოეღოთ და მას, სიჩუმეს, ისე განკარგავდნენ, თითქოს მხოლოდ მათი საკუთრება ყოფილიყოს – უნინ, აწ და მარადის.

და შეეგუა ამას თანმხლები თავისი – და, ღიმილის შემდეგ, ჩემი – ღირსების პატივისცემით, კედლის გასწვრივ აღმართა მარჯვენა ხელი და თვალდახუჭულმა მიაყრდნო ლოყა.

ოღონდ, ჯერ კიდევ გაღიმებულს, სირცხვილის გრძნობამ მაიძულა შემობრუნება – მხოლოდ ახლა, ამ ღიმილზე მივხვდი, რომ საქმე თაღლითთან მქონდა. უკვე თვეებია, რაც ამ ქალაქში ვარ, ვირწმუნე, რომ ამ ხალხს, ყველას, კარგად ვცნობდი – აი, მოემართებიან ღამით პატარა ქუჩებიდან, ხელებგამონვდილი მოგაშურებენ, როგორც კლიენტის დანახვაზე სასტუმროს მეპატრონენი, ეფარებიან აფიშის სვეტებს, საიდანაც, თითქოს დამალობანას თამაშობენო, გითვალთვალებენ, თუნდაც ცალი თვალით, ან გზაჯვარედინებზე, როდესაც დგახარ გაურკვეველობაში, უეცრად შენ წინ, ტროტუარის კიდეზე აღმოცენდებიან! მაინც, რა კარგად მესმოდა მათი, ჩემი პირველი ნაცნობებისა ქალაქის პატარა სასტუმროებში, რომლებსაც უნდა ვუმადლოდე შეუპოვრობის პირველ ცოცხალ ნიმუშებს, რომელთა გარეშეც ცხოვრება ჩემ ირგვლივ ვეღარ წარმომიდგენია და მას ახლა უკვე ჩემშიც შევიგრძნობ. როგორ გიღობავენ გზას, მაშინაც, როდესაც უკვე დიდი ხანია თითქოს გაექეცი და სათაღლითო აღარც არაფერია! არც დაჯდომას აპირებენ, არც ეცემიან, არამედ გადმოხრილან შენკენ სწრაფვაში, გიყურებენ მზერით, თუმცა შორით, მაინც შთამბეჭდავით! და ყოველთვის ერთნაირია მათი ფანდები: დგებიან შენ წინ ისე, რომ მთელ სივრცეს ფარავენ; ცდილობენ შეგაფერხონ სწრაფვაში იქით, საითაც მიგეჩქარება; სანაცვლოდ გიმზადებენ მყუდრო თავშესაფარს და საკუთარ მკერდს გთავაზობენ. ბოლოს, შენში თავმოყრილ აღშფოთების გრძნობას მეტი სიახლოვისთვის, გადახვევისთვის მზადყოფნად აღიქვამენ და ცდილობენ აქაც დაგასწრონ, მოემართებიან შენკენ, წინ გადმოხრილი თავით.

ეს ძველი თავშექცევა მხოლოდ დიდი ხნის ერთად ყოფნის შემდეგ განვჭვრიტე. თითის წვერებს ერთმანეთზე გულმოდგინედ ვუსვამდი, შესაძლო შერცხვენა-გაწბილებისგან რომ დამეზღვია თავი.

თანამოსაუბრე კი იდგა უწინდებურად, კედელზე მიყრდნობილი, ვერ ელეოდა თაღლითობას და თავისუფალ ლოყაზე ბედით კმაყოფილება ვარდისფრად დასთამაშებდა.

„გიცანი!“ ვუთხარი, მსუბუქად დავკარი მხარზე ხელი და მაღლა გავეშურე – მიხაროდა მსახურების, ასე უმიზეზოდ ერთგულების, ხილვა. მოულოდნელი იყო ეს სიამოვნება. პალტოს გამორთმევისას და ჩექმებისგან მტვრის ჩამობერტყვისას ყველას სათითაოდ შევავლე თვალი, თავისუფლად ამოვისუნთქე და დარბაზში წელგამართული შევედი.

მოულოდნელი გასეირნება

როდესაც გადაწყვეტ, თითქოს საბოლოოდ, რომ ამ საღამოს სახლში დარჩები, უკვე საშინაოდ ჩაცმული, ვახშმის შემდეგ განათებულ მაგიდას მიუჯდები, რაღაც საქმესა თუ თამაშს წამოიწყებ, რომლის დამთავრებისთანვე, ჩვეულებრივ, დასაძინებლად მიდიან, როდესაც ამინდი განსაკუთრებით არაკეთილგანწყობილია და ისიც სახლში დარჩენის აუცილებლობას გულისხმობს, როდესაც რა ხანია მშვიდად ზიხარ მაგიდასთან და გარეთ გასვლა ახლა ყველას განსაკუთრებით გააკვირვებს, როდესაც საკიბური ჩაბნელებულია, ხოლო ჭიშკარი დაკეტილი, მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, უეცარი უსიამოვნო გრძნობის მოზღვავებისას, დგები, ტანსაცმელს იცვლი და ქუჩაში გასასვლელად გამზადებული აცხადებ, რომ უნდა წახვიდე. ხანმოკლე დამშვიდობებისას ამას კიდეც აკეთებ, და კარის გამოხურვის სიჩქარესთან სრული თანხმობით, მეტ-ნაკლებადაც მშვიდდები, ან იმედი მაინც გიჩნდება ამის, როდესაც, უკვე ქუჩაში, სულიერ წონასწორობას თანდათან იბრუნებ, რასაც, მოულოდნელი თავისუფლებით შთაგონებული, ხალისიანად ეხმიანებიან შენი კიდურები, ამ ერთი გადაწყვეტილების მიღებით და აღსრულებით კი თითქოს ყველა სხვა გადაწყვეტილების მიღების უნარს უყრი ერთად თავს, როდესაც ჩვეულზე უფრო ცხადად აცნობიერებ, რომ შენი ძალები მათზე შესაძლო მოთხოვნებს აღემატება და ადვილად შეძლებ სწრაფი ცვლილებების არათუ განხორციელებას, არამედ მათთან შეგუებასაც. ასე პატარა ქუჩებს მიუყვები და საკუთარ ოჯახს მთლიანად ემიჯნები, სადღაც ილუზორულში რომ იძირება და, როდესაც შენ თვითონ – ახლა უკვე მტკიცე, მკაფიო კონტურები – უკან, კანჭებზე ხელის ცემისას, საკუთარ ჭეშმარიტ სახემდე მაღლდები.

კიდევ უფრო მტკიცდება ეს ყველაფერი, როდესაც ამ გვიან საღამოს მიაკითხავ მეგობარს, რათა ის მოიკითხო.

განზრახვანი

დათრგუნული მდგომარეობიდან თავის დაღწევა ნებისყოფით მოხმობილი ენერგიისთვის არ უნდა იყოს ძნელი. საკარძლიდან წამოვხტი, მაგიდას შემოვურბინე, თავი და კისერი ავამოძრავე, თვალებში ცეცხლი ავაგიზგიზე და მათ ირგვლივ დავძაბე კუნთები. შეეებრძოლები ყველა ჩემს გრძნობას: მხურვალედ მივესალმები ა-ს, თუკი ახლა მესტუმრება, ვეცდები ვიყო მეგობრულ-თავშეკავებული ბ-სთან ჩემს ოთახში, გ-სთან საუბრისას ყოველივე ნათქვამს შევისრუტავ ღრმად – მიუხედავად ტკივილისა და სიძნელისა – ხარბად, დიდი ულუფებით.

მაგრამ, ამ შემთხვევაშიც კი, ყოველი შეცდომა, რომლისგანაც არა ვარ დაზღვეული, მთელს, მსუბუქსა და მძიმეს, შეაფერხებს და მაიძულებს წრეზე მავალი განვლილს დავუბრუნდე – უკან და არა წინ.

საამისოდ არსებობს კარგი რჩევა: შეეგუო ყველაფერს, იქცეოდე როგორც მძიმე სხეული და თუ მაინც მძლავრობს ქარი, და საცაა კიდეც წაგიღებს, ზედმეტი ნაბიჯი არ წაგცდეს, არც ერთი, უმზირე სხვებს მზერით ცხოველურით და სინანული არავითარი. მოკლედ, დათრგუნე საკუთარი ხელით ყოველი ცოცხალი, შენში ჯერ კიდევ მოჩვენებად შემორჩენილი, ამრავლე მდუმარება საფლავისმიერი და მოსპე ყველაფერი მის მიღმიერი.

სულის ამგვარი მოძრაობის გამოხატულება – წარბზე ნეკის შეხების წამი.

გასეირნება

„არა, არ ვიცი", აღმომხდა ყრუდ, „არა, რა თქმა უნდა. თუ არავინ მოვა, ესე იგი არ მოვა არავინ. ცუდი არავისთვის ვყოფილვარ, არც ჩემთვის ყოფილა ასეთი ვინმე, მაგრამ შველა არ უნდა არავის. არავის. თუმცა, არც მთლად ასეა საქმე. უბრალოდ, ჩემი შველა, თორემ სხვაგვარად არც სიმპათიური იქნებოდა მაშინ ვინმე. სიამოვნებით – რატომაც არა – მოვაწყობდი გასეირნებას მათთან – მხოლოდ არავისთან, მრავალთან, არა ერთთან – ერთად. მთებში, რა თქმა უნდა. თუ არადა სად? როგორ ირევა სიმჭიდროვეში ამდენი არავინ, უამრავი ერთმანეთისთვის გაწვდილი და დასაყრდნობად შეთავაზებული ხელი, ეს უთვალავი ფეხი, თან ასეთ სიახლოვეს! ცხადია, ყველა ფრაკშია. მივდივართ დინჯად, აუჩქარებლად, ქარი ნავარდობს კიდურებს შორის – იქ, სადაც ვუტოვებთ საამისოდ სივრცეს.მთებში სუნთქავ ისე ლაღად! საოცარია, რატომ არ ვმღერით".

მარტოხელას უბედურება

რა ცუდია, იყო მარტოხელა, მოხუცი და ღირსების შელახვის შიშით დამძიმებული, ითხოვდე სხვებთან ერთად გატარებული თუნდაც ერთი საღამოს გულისხმიერებას, იყო ავად და ოთახის იმ კუთხიდან, სადაც დგას შენი საწოლი, კვირების მანძილზე, გაუნძრევლად, ცარიელ სივრცეს მისჩერებოდე, მომსვლელს კარის წინ ეთხოვებოდე, ზევით, კიბეზე, მეუღლესთან ერთად არასოდეს მიიჩქაროდე, საკუთარ ბინას ჰქონდეს მხოლოდ უცხო ბინებში გამავალი გვერდითი კარი, ვახშამი სახლში, მსუბუქად, ცალი ხელით მიგქონდეს, სხვის შვილებს შურნარევი აღტაცებით უყურებდე და გიჭირდეს გაუთავებლად წარმოთქვამდე: „არ მყავს არც ერთი", და საკუთარი სიჭაბუკის გახსენებას ორიოდე ბერბიჭას იერითა თუ ქცევით ცდილობდე.

და მოხდება ისე, რომ სინამდვილეშიც, დღეს და შემდეგაც, იდგები ასე, იმავე სხეულით, თავით, ნამდვილით, შუბლითაც, რათა მასზე ხელს იცემდე.

ვაჭარი

შესაძლებელია გრძნობს კიდეც ვინმე ჩემდამი სიბრალულს – მე ვერ ვგრძნობ ამას. ჩემი პატარა საქმე უამრავ საზრუნავს მიჩენს, შიგნიდან შუბლსა და საფეთქელს ტკივილად რომ აწყდება და არც მომავალში იძლევა უკეთესობის იმედს, რადგან პატარაა ჩემი საქმე.

საჭიროა განკარგულებების გაცემა, თან დროულად, რამდენიმე საათით ადრე; ზრუნვა წესრიგზე, რათა მსახურებმა არ მოადუნონ ყურადღება, შესაძლო გართულებებისგან თავის დაზღვევა და წელიწადის ერთ გარკვეულ დროს სხვა დროის მოდისა და გემოვნების განსაზღვრა, არა ჩემი წრის ხალხისთვის, არამედ ქვეყნის ყველაზე შორი და მიუწვდომელი კუთხეებისთვის.

ჩემი ფული უცხო ხალხის ხელშია; მათი საქმიანობის გარემოებებზე, ვითარებაზე, ზოგადად, ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს; უბედურება, რაც მათ შეიძლება თავს დაატყდეთ, არ შემიძლია ვიწინასწარმეტყველო და როგორღა შევძლებ მის თავიდან აცილებას! შესაძლოა, ისინი, გათამამებულნი და მფლანგველებად ქცეულნი, ახლა რესტორნის ეზოში ქეიფობენ, ნაწილი კი, იქაურობას წამით გამიჯვნია და ამერიკაში გაქცევაზე საუბრობს.

სამუშაო დღის დამთავრებისას, დაკეტილი სავაჭროს შემხედვარე, ჩემი საქმის მუდმივი საჭიროებისთვის უსარგებლო საათების წარმოდგენისთანავე, ჩემი აღგზნება, ჯერ კიდევ დილით წინ მიმართული და წარმატებული საქმიანობისთვის შემართული, უეცრად უკან

მაწყდება და, წყლის უკუქცეულ დინებასავით, სადღაც უმიზნოდ მიმაქანებს.

ეტყობა, ამ განწყობას საქმიან კალაპოტში ვეღარ მოვაქცევ. და, ისღა დამრჩენია, სახლში წავიდე, რადგან სახე, ხელები მაქვს ჭუჭყიანი, ოფლიანი, ტანსაცმელი – დასვრილი და მტვრიანი, ასევეა სამუშაო ქუდიც და სკივრის ლურსმნებს დაუკაწრავს ფეხსაცმელი. მივდივარ, თითქოს ტალღებზე მივაბიჯებ, თითებს ვატკაცუნებ და შემხვედრ ბავშვებს თავზე ხელს ვუთათუნებ.

მაგრამ მეტისმეტად მოკლეა გზა. აი, უკვე სახლში ვარ, ვაღებ ლიფტის კარს, შიგ შევდივარ.

ვხედავ, უეცრად მარტო აღმოვჩნდი. სხვები, კიბეზე ამსვლელები, იღლებიან, უნდა დააცხრონ სუნთქვა, დააშოშმინონ ფილტვები და, ვიდრე კარს გაუღებდნენ, მიზეზიც აქვთ გაღიზიანებისა და მოუთმენლობის. აი, უკვე პარმაღში არიან, კიდებენ ქუდს, და რამდენიმე შემინულკარიანი დერეფნის გავლით საკუთარ ოთახში აღმოჩენილი, რჩებიან მარტო, ოდენ თავისი თავის ამარა.

ასევე მეც, სიმარტოვეს ლიფტში შესვლისთანვე ვეზიარები, აქაც არავინაა, შეზღუდულ სივრცეს მხოლოდ ჩემი სიმარტოვე ავსებს. ჩამუხლული ვიყურები ვიწრო სარკეში. როდესაც ლიფტი იწყებს აღმასვლას, ვამბობ:

„გაჩუმდით, დაიხიეთ... გსურთ ხის ჩრდილში, ფანჯრის ფარდებს მიღმა, იქ, სადაც გუმბათად აღმართულა ტალავერი?“

კბილებში ვცრი სიტყვებს, მათთვის თუ ვლაპარაკობ, კიბის მოაჯირთა წყება კი ეშვება დაბლა, დაბინდული მინის მიღმა მიცურავს, თითქოს ჩანჩქერს ვუმზერდე.

„გაფრინდით შორს; თქვენს ფრთებს, ჯერ კიდევ თვალმოუკრავს, შეუძლიათ სოფლის ველზე ან სულაც პარიზში მიგიყვანონ, ყველგან, სადაც კი მოგესურვებათ.

და მაინც, დატკბით ფანჯრიდან გადაშლილი ხედით, როდესაც გზაჯვარედინზე სამმხრივი მსვლელობა გვერდის აუქცევლად კვეთს ერთმანეთს და უკანა რიგებში კვლავ თავისუფალ სივრცეს აჩენს. დაუქნიეთ ცხვირსახოცები, შეძრწუნდით, დე მოგეჭარბოთ გრძნობები, რათა ხოტბა შეასხათ მშვენიერ მანდილოსანს, მოძრავ ავტომობილში მჯდომსა და მას მოხდენილად შერწყმულს.

გადაიარეთ ნაკადულზე გადებულ ხიდზე, დაუქნიეთ თავი მობანავე ბავშვებს და შეკრთით ჯავშნოსანი გემიდან მოღწეული ათასი მეზღვაურის მგვრგვინავ ვაშაზე.

გამოეკიდეთ ვინმეს, რიგითს, ჭიშკრის სივიწროვეში მოიხელთეთ, გაძარცვეთ და ჯიბეებში უდარდელად ხელებჩაწყობილმა გააყოლეთ თვალი, რომ დატკბეთ, თუ როგორ მიუყვება ის გზას მარცხნივ,

ნაღვლიანი. სიმწყობრედაკარგული, ამხედრებული პოლიციელები აშოშმინებენ ცხენებს, ანელებენ სვლას და უკან დახევას გაიძულებენ. დაუთმეთ – ცარიელი ქუჩები მათ საცოდავად აქცევთ. ვიცი ეს. აი, მიაჭენებენ უკვე წყვილებად, ტოვებენ ადგილს – ნუთუ! უვლიან ნელა ქუჩის კუთხეს, მოედანს კი ელვისებურად გადაუფრენენ".

დროა ჩემი გამოსვლის, ლიფტის ქვევით გაგზავნის, კარზე ზარის დარეკვის. გოგონა გიღებს კარს და შენც ესალმები.

მზერის უქმი ფარფატი

მაინც, რა ვაკეთოთ გაზაფხულის დღეებში, ასე მოულოდნელად რომ გვსტუმრობს? დღეს, ადრე დილით, ცა იყო რუხი, მაგრამ, უკვე ფანჯარასთან – ჩერდები გაოცებული, ლოყით ფანჯრის სახელურს მიყრდნობილი.

ხედავ მზის სინათლეს, რა თქმა უნდა, ჩამავალს, გოგონას ბავშვურ სახეზე არეკლილს, ის კი მისეირნობს, იყურება ირგვლივ, მიდამოს ათვალიერებს. უეცრად, სახეს აეკრა მამაკაცის ჩრდილი – უცნაური წყვილი, წინ მიმავალს ასდევნებია ჩამორჩენილი, თითქოს მის დაწევას ცდილობდეს.

აი, ჩაიარა მან, გასცდა მას, და, – გოგონას სახეზე კვლავ თავისუფლად იღვრება სინათლე.

გზად შინისკენ

ცხადად შეიგრძნობ ჰაერის შთამბეჭდავ ძალას, დამაჯერებლობით აღსავსეს უამინდობის შემდეგ! ჩემი ღირსებები წარმომიდგნენ ცხადად და მძლავრობენ ჩემზე, თუმცა ძალიან არც მე ვუძალიანდები.

ვმოძრაობ მარშის რიტმში, ტემპი ამ უბნისაა, ამ კვარტლის, ამ ქუჩის. სამართლიანად ვარ პასუხისმგებელი: ყველა დაკაკუნებაზე: კარზე, მაგიდის ჭურჭელზე, ყველა სადღეგრძელოზე, ბნელ ქუჩებში აღმართული ახალი შენობების კარკასში მომწყვდეული ბორდელების კედლებს მიყრდნობილ ტახტებზე მოკალათებულ ყველა სასიყვარულო წყვილზე.

ვადარებ ჩემს წარსულსა და მომავალს, ორივეს ვაფასებ როგორც ჩინებულს, უპირატესობას ვერც ერთს ვანიჭებ, მხოლოდ განგება თუ შემიძლია გავკიცხო, ასე უსამართლოდ რომ მანებივრებს. ოთახში შესვლისას ოდნავ ჩაფიქრებული ვარ, თუმცა, კიბეზე თითქოს არც არაფერი ჩანდა საამისო. ფანჯრის ფართოდ გაღება ვერ მშველის, ვერც ის, რომ ბაღში ჯერ კიდევ ულერს მუსიკა.

მორბენალი და მადევარი

როდესაც ღამით ქუჩაში სეირნობ და კაცს, შენკენ რომ მორბის – ჯერ კიდევ შორიდან შემჩნეულს, რადგან აღმართში მიიწევს ქუჩა და დაპნათის სავსე მთვარე – კი არ დაიჭერ, თუნდაც იყოს ის სუსტი, ტანსაცმელი ჰქონდეს დაფლეთილ-დაკონკილი და ყვირილით მოსდევდნენ, არამედ მისცემ საშუალებას გზა გააგრძელოს.

ღამეა და, რა ჩვენი ბრალია, რომ ფერდობზე აღმავალ ქუჩას ანათებს სავსე მთვარე: შესაძლოა ამ ორისთვის ეს დევნა გართობაა, ან ორივე ვიღაც მესამეს მისდევს, შესაძლოა პირველი, უცოდველი, დევნას არც იმსახურებს, შესაძლოა მკვლელია მეორე და ჩვენ ბოროტების თანამონაწილედაც ვიქცეთ, ან არც კი იცნობენ ისინი ერთმანეთს და საკუთარი ნება-სურვილით დასაძინებლად მიიჩქარიან, შესაძლოა მთვარეულები არიან, ან შეიარაღებულია პირველი.

ბოლოს, განა არ შეიძლება ვიყოთ დაღლილი ან ნასვამი, თან ძალიან? და გვიხარია – როგორც იქნა, ორივე თვალს მიეფარა.

მგზავრი

ვდგავარ ტრამვაის პლატფორმაზე, ღრმად დაეჭვებული ჩემი მდგომარეობის სიმყარეში: ამ ქვეყანაზე, ამ ქალაქში, თვით საკუთარ ოჯახშიც. დაწვრილებითაც მოგითხრობდით, თუ რამდენად საფუძვლიანია ჩემი პრეტენზიები ამა თუ იმ სფეროში. იმასაც კი ვერ ვამტკიცებ, რომ აქ ვარ, ამ პლატფორმაზე, ხელი ამ სახელურზე მიკიდია, რომ თავი ამ ვაგონისთვის მიმინდვია, ხალხი გზას რომ უთმობს და მდუმარედ აგრძელებს სვლას, ან ჩერდება ვიტრინასთან – უფრო დასვენების, ვიდრე მისი თვალიერების მოსურნე. ჩემგან ამას, რა თქმა უნდა, არავინ მოითხოვს, მაგრამ ეს სულერთია.

ვაგონი ანელებს სვლას, გოგონა დგება კიბის ახლოს, ჩასასვლელად ემზადება. ვხედავ ისე მკაფიოდ, თითქოს ხელით ვეხებოდე. აცვია შავი ტანსაცმელი, ქვედატანის ნაკეცები თითქმის არ ირხევა, ვიწრო ბლუზას ამშვენებს თეთრი საყელო – წვრილთვლიანი მაქმანი, მარცხენა ხელი კედელზე ბრტყლად მიუდია, მარჯვენაში უჭირავს ქოლგა, ეყრდნობა საფეხურს – ზევიდან მეორეს. სახე აქვს მუქი, ცხვირი – ოდნავ ჩაჭყლეტილი, ქვევით ფართო და მრგვალი. თმა – ხშირი, წაბლისფერი და მარჯვენა საფეთქელზე ღინღლი, ალერსიანად რომ უფრიალებს ქარი. პატარა ყური მჭიდროდ მიჰკვრია თავს და, რადგან ახლოს ვარ, ვხედავ მარჯვენა ყურის ნიჟარას, მის ძირში კი ჩრდილს.

და ჩემს თავს ვეკითხები: რატომ არ აღფრთოვანდება საკუთარი თავით? რატომ დუმს, არაფერს ამბობს?

ტანსაცმელი

ხშირად, როდესაც ვხედავ ტანსაცმელს – ნაკეცებიან-ფოჩიან-ფურფუშებიანს, კოხტად შემოტმასნილს ლამაზ სხეულზე – ვფიქრობ, ის ასე თავს დიდხანს ვერ შეინახავს: გაუჩნდება ნაკეცები, უშნო, ისეთი, უთოც რომ ვეღარ უშველის, დაიდებს მტვერს, ღრმად ჩამჯდარს, რომელსაც ვეღარაფერი მოაცილებს და ასეთ ნაღვლიან, ღიმილისმომგვრელ სანახაობად ქცევას არავინ ისურვებს – ჩაიცვას ყოველდღიურად ასეთი ძვირფასი კაბა ადრე დილით და გაიხადოს გვიან ღამით.

და მაინც, ვხედავ გოგონებს, შესაძლოა მშვენიერთ, მომხიბვლელი ნაკვთებითა თუ ნატიფად მოკეკლუცეთ, მათ ეშხიანად გადაჭიმულ კანს, ნაზ თმას. დღიდან დღემდე, მხოლოდ ამ ტანსაცმლით რომ გვეევლინებიან, ასე ბუნებრივით მასკარადისთვის, და მათი სახე – ყოველთვის ერთი და იგივე, ერთსა და იმავე ხელისგულზე დაყრდნობილი – ამგვარ სარკეში არეკლილი წარმოგვიდგება.

მხოლოდ დროდადრო, წვეულებიდან გვიან საღამოს დაბრუნებულთ, სარკეში ყურებისას ეჩვენებათ ის შეფერთხილი, შესივებული, მტვრიანი, მრავალთა მიერ მრავალჯერ ხილული და მოყირჭებული.

უარი

როდესაც მშვენიერ გოგონას შეხვედრისას ვთხოვ: „იყავი კეთილი, წამომყევი“, ის კი დუმილით ჩამივლის, ეს გულისხმობს:

„რატომ? არც ჰერცოგი ხარ სახელოვანი, არც წარმოსადეგი ამერიკელი, ინდიელივით მხარბეჭიანი, აუღელვებლად, მშვიდად მზირალი, თავმომწონე გარუჯული კანით, მწვანე მდელოს მკერდზე ლაღად მხრებგაშლილი მდინარიდან მონაბერი ჰაერით ნაფერებნაალერსებით, არც დიდი ზღვებისკენ გიქნია პირი, რათა უცხო მხარეთა ხილვის მოსურნეს, გადაგესერა ისინი, ვერც კი მივხვდარვარ მათ ძიებაში რა გზას უნდა დაადგეს კაცი. ამიტომ, გთხოვ ამიხსნა, რატომ უნდა წამოგყვე მე, ქალი რჩეული, კეკლუცი და პირმშვენიერი?“.

„გავიწყდება? არ ხარ ავტომობილში, ნარნარად, მსუბუქი რწევით რომ მოგატარებდა ქუჩებს; არც შენი კაბის ირგვლივ შემოჯარული, ჩურჩულით თავისი კერპის მაქებარ-მადიდებელი თაყვანისმცემელთა რკალისთვის მომიკრავს სადმე თვალი; მკერდს კოხტად შეუფარებია ბიუსტჰალტერის სილამაზისთვის თავი, ამ ტყვეობას გარიდებული თეძოები და კანჭები კი შეუბოჭავად ლაღობენ და ნებივრობენ სრულ თავისუფლებაში; გამოწყობილხარ წვრილნაოჭებიან თავთის

კაბაში, გასული შემოდგომით ამდენი სიხარული რომ მოგვიტანა ყველას, და ილიმები მაინც, ხანდახან, ამ სასიკვდილო იარით სხეულზე“

„დიახ, ჩვენ ორივე მართლები ვართ და, ამის მკაფიოდ გაცხადებას თავი რომ ავარიდოთ, რაღა დაგვრჩენია, უმჯობესია ჩვენს სახლებში ცალ-ცალკე დავბრუნდეთ.“

მხედარს – განსჯისთვის

თუკი დაფიქრდები, ვერაფერი გაცდუნებს და შეჯიბრში გამარჯვებისთვის ბრძოლას ვერ გაიძულებს.

ქვეყნის პირველი მხედრის დიდებით გამოწვეული სიხარული, ორკესტრი რომ დაიქუხებს, მეტისმეტად დიდია, რომ შემდეგ, დილით, ხელი შეუშალოს სინანულის გრძნობის გაღვიძებას.

მტრების, ცბიერი, გავლენიანი ხალხის შური გულს გვტკენს, ახლა, ამ სივიწროვეში, იმ სივრცისკენ სწრაფვისას, ჩვენ წინ რომ გადაშლილა, ცარიელი, მხედრებისგან თავისუფალი, გარდა ერთი წრით დაწინაურებულებისა, თვალისთვის ასე პატარა, უკვე ჰორიზონტისკენ რომ მიაჭენებენ.

ბევრი მეგობარი ზარალის მიჩქმალვას ჩქარობს, მხოლოდ შორეული სალაროებიდან ყვირიან „ვაშას“ და ისიც ჩვენკენ სანახევროდ მობრუნებულნი; ხოლო მათ შორის უახლოესთ, საუკეთესოთ, ფული ჩვენზე არცკი დაუდიათ, რადგან წაგების შემთხვევაში მეგობარზე გაწყრომას ერიდებოდნენ, ახლა, გამარჯვებულების დანახვისას – მათ ხომ ვერ იხეირეს – პირი იბრუნეს და ტრიბუნების გასწვრივ ყურებას ამჯობინებენ.

ჩამორჩენილი მეტოქენი, უნაგირზე მტკიცედ მსხდომნი, ცდილობენ იმ წარუმატებლობას გადაავლონ თვალი, მათ რომ ეწიათ, და იმ უსამართლობასაც, რომლის მსხვერპლადაც მოაქვთ თავი; გამომეტყველება აქვთ ისეთი იმედიანი, თითქოს სერიოზული შეჯიბრი ახლა იწყება და წინა უბრალოდ ბავშვური თამაში იყო.

გამარჯვებული ბევრ ქალს ეჩვენება სასაცილოდ, რადგან ქედმაღლობს, თუმცა, ყოველი ხელის ჩამორთმევისას, მოწიწებით თავის დახრისას თუ შორით მისალმებისას, ბოლო რომ აღარ უჩანს, იბნევა, მაშინ როცა დამარცხებულებმა პირში წყალი ჩაიგუბეს და თავის მოუსვენარ, მოჭიხვინე ცხენებს კისერზე ხელს უთათუნებენ.

ბოლოს, გაიკრიფა ყველა და მიდამოს მოქუფრული ციდან წამოსული წვიმის წვეთები დაეპატრონა.

ქუჩაში გამავალი ფანჯარა

თუ მარტოობაში ცხოვრობ და დროდადრო ვინმესთან სიახლოვეს ნატრობ – დღის მონაკვეთების ცვალებადობის, უამინდობის, საქმიანი ურთიერთობების და მსგავსი გარემოებების გათვალისწინებით, უბრალოდ ეძებ მკლავს, ნებისმიერს, რათა დაეყრდნო – ქუჩაში გამავალი ფანჯრის გარეშე დიდხანს ვერ გაძლებ. არც არაფერს ეძებდე თითქოს, უბრალოდ, დაღლილი, მიმართავ მზერას აღმა თუ დაღმა – პუბლიკასა თუ ცას მიაპყრობ რიგრიგობით თვალებს, ფანჯრის მოაჯირთან მყოფი, არაფრის მოსურნე, ისე, უმიზეზოდ, უბრალოდ უკან გადაგიწევია თავი. და მაინც, ცხენების, მათი თანმხლები ეტლების წყების ხმაური იზიდავს შენს ყურადღებას, და – მასთან ერთად – სოლიდარობის გრძნობას.

სურვილი, იყო ინდიელი

ეჰ, რომ ყოფილიყავი ინდიელი! ყოველთვის მზა, შემართული, გაჭენებულ ცხენზე, წინ გადახრილი, მიაპობ ჰაერს და მოსდებია სხეულს მღელვარების ხშირი ცახცახი, აფორიაქებულ, ასევე მოცახცახე მიწაზე, სანამ შეარბილებ დეზებს, არც არსებულა ისინი, ვიდრე გადააგდებ აღვირს, ასევე არარსებულს, და ძლივსღა შეავლებ თვალს მიწას – წმინდად მოთიბულ მდელოს – უკვე ცხენის კისრისა და თავის გარეშე.

ხეები

და ვართ, ვით თოვლში ხეთა ვარჯი, თვალისთვის არამყარი, ერთი ბიძგით მიწაზე დააწვენ თითქოს. მაგრამ, არა – დგანან წელგამართული, მიწას მტკიცედ მოჭიდებული. თუმცა, კვლავაც გვატყუებს თვალი, მოგვჩვენებია ეს ყველაფერი.

როდესაც ხარ უბედური

ნოემბრის ერთ საღამოს, როდესაც ყველაფერი აუტანელი გახდა, ჩემი ოთახის ვიწრო, ახლა სარბენ ბილიკად ქცეულ ნოხზე აჩქარებული ბოლთის ცემისას, განათებული ქუჩის ხედით შემკრთალმა, ჯერ ოთახის, შემდეგ კი სარკის სიღრმეში რაღაც შევნიშნე, ახალი მიჯნა თუ ზღვარი, და ვიყვირე, რათა უბრალოდ მომესმინა ყვირილი, რასაც ვერაფერი უპასუხებს – და არც მასზე აღმატებული ჩანს ძალა, რომ ის გადაფაროს, და ძლიერდება ის, შეუჩერებლად, თვით

დუმილშიც, და სწორედ ამ დროს გადაიხსნა კედელი, გაიღო კარი სწრაფად, სისწრაფე კი იყო აუცილებელი, ქვევით, ქვაფენილზე გაწოლილი შესაბმელი ცხენები ფრუტუნს შეეშვნენ და გაშმაგებულები წამოდგნენ, თითქოს წყნარ ქუჩაში კი არა, არამედ ბრძოლის ველზე ყოფილიყვნენ.

მთლიანად ჩაბნელებული დერეფნიდან, სადაც ლამპა ჯერ კიდევ არ აენთოთ, ბავშვმა გადმოაბიჯა, ვით პატარა მოჩვენებამ, ოთახში აღმოჩნდა, დარჩა იქვე, თითის წვერებზე შემდგარი, ის მსუბუქად, თითქმის შეუმჩნევლად ირწეოდა იატაკის კოჭზე. ბინდიანი ოთახის მწირი სინათლით დაბრმავებულს, ხსნა – სახის დამალვა – ჯერ საკუთარ ხელებს ამოფარებულს სურდა, მაგრამ, მოულოდნელად, სიმშვიდის ძებნაში მზერა ფანჯარას მიაპყრო, სადაც ქუჩის განათების აღმავალ, გამჭვირვალე ნისლს ფანჯრის თაღთან ჩამოწოლილ სიბნელესთან მოეყარა თავი. ღია კარის წინ მდგომი მაღლა აწეული მარჯვენა მკლავით ის ოთახის კედელს ეყრდნობოდა. გარედან მომავალი სიო ოთახში მის ფეხებსა და სახსრებზე მსუბუქი შეხების, ყელსა და საფეთქელზე შემოვლებისა თუ წამიერი შეყოვნების შემდეგ აღწევდა.

ერთხანს ვუყურებდი, ბოლოს წარმოვთქვი: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“ და ბუხრის თეჯირიდან პიჯაკი ავიღე, რადგან არ მინდოდა მის წინ ნახევრად შიშველი ვმდგარიყავი. ერთხანს ასე ვიყავი, პირი არ დამიხურავს, მღელვარებისთვის რომ მიმეცა გზა და მასთან განშორება გამეადვილებინა. პირში ცუდი გემო მქონდა, წამწამები მიხამხამებდა, მოკლედ, ეს ვიზიტიღა მაკლდა, ასე მოულოდნელი და, მაინც – მოსალოდნელი.

ლოყებღაჟღაჟა ბავშვი, კვლავინდებურად კართან რჩებოდა, მარჯვენა ხელი კედელზე მიებჯინა, ამ უხეშად დაბათქაშებული თეთრი კედლის ხორკლიან ზედაპირზე თითების ხახუნის სიამოვნებას ვერ ელეოდა. მე მივმართე: „ჩემთან ხართ? არ გეშლებათ? ამ უზარმაზარ სახლში კაცი სულ ადვილად დაიბნევა. მე ვარ ესა და ეს, ვცხოვრობ მეოთხე სართულზე. ის ვარ, ვისაც ეძებთ?“

„დამშვიდდით, დამშვიდდით!“ მომმართა ბიჭმა მას შემდეგ, რაც თავი სანახევროდ მოატრიალა. „ნუ ღელავთ.“

„მაშინ შემოდით, მომეცით კარის დაკეტვის საშუალება.“

„ახლახან დავკეტე. ნუ წუხდებით. და, საერთოდაც, დამშვიდდით.“

„რა შუაშია შეწუხება. ამ დერეფანში ცხოვრობს ადამიანების მთელი წყება, ყველას ვიცნობ, რა თქმა უნდა; უმრავლესობა სამსახურიდან ახლა ბრუნდება; როდესაც ოთახიდან გესმის ხმა, მგონი, სრული უფლება გაქვს გააღო კარი და დარწმუნდე, რომ იქ ცუდი არაფერი ხდება. ასეა. ამ ხალხს თან მძიმე სამუშაო დღის მთელი

ტვირთი მოჰყვება, და ვის დაუთმობდით თქვენი საღამოს ამ დროებით თავისუფლებას! თუმცა ეს ისედაც კარგად იცით. ნება მიბოძეთ კარი დავხურო."

„ასეთი რა ხდება? რატომ დაიჟინეთ? რა მერე, თუნდაც მთელმა სახლმა მოიყაროს თავი. გარდა ამისა, გიმეორებთ: კარი უკვე დავეკეტე, გგონიათ ეს მარტო თქვენ შეგიძლიათ? გასაღებიც კი გადავატრიალე."

„კეთილი. მეტი არაფერი მინდოდა. ჩაკეტვა არც იყო აუცილებელი. ახლა, რადგან აქ ხართ, მოხერხებულად მოეწყვეთ. როგორც სტუმარს შეჰფერის. მენდეთ. იყავით თავისუფლად, უშიშრად. არც დარჩენას გაიძულებთ, არც წასვლას, ორივე თქვენი ნებაა. განა აუცილებელი იყო ამის თქმა? ასე მიცნობთ?"

„არა. ამის თქმა მართლაც არ იყო აუცილებელი. ზედმეტიც კი იყო. მე ბავშვი ვარ და რატომ მაქცევთ ამდენ ყურადღებას?"

„ნუ გავაზვიადებთ. რა თქმა უნდა, ბავშვი ხართ, მაგრამ არც ისე პატარა. ზრდასრული ხართ. გოგონა რომ ყოფილიყავით, ოთახში ჩემთან ერთად მარტო ვერ ჩაიკეტებოდით."

„მოდით, ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ. უბრალოდ მინდოდა მეთქვა: ის, რომ თქვენ ასე კარგად გიცნობთ, თითქმის არაფრისგან მიცავს, მხოლოდ თქვენ გაზღვევთ ზედმეტი გარჯისგან – შეგიძლიათ ფუჭ, უსაგნო საუბარზე აღარ იფიქროთ. თუმცა, ქათინაურებით მანებივრებთ. ზედმეტია, გთხოვთ, არ გინდათ. ამასთან, მართალია, გცნობთ, მაგრამ არც ყველგან და არც ყოველთვის, განსაკუთრებით ამ სიბნელეში. უკეთესი იქნებოდა სინათლე აგენთოთ. არა? რადგან, უკვე შევამჩნიე, რომ მემუქრებოდით."

„როგორ? გემუქრებოდით? გთხოვთ, გემუდარებით. როგორ მიხარია, რომ, როგორც იქნა, აქ ხართ. მე ვთქვი, „როგორც იქნა", რადგან უკვე გვიანია. გაუგებარია, რატომ მოხვედით ასე გვიან. შესაძლოა, ამ სიხარულში ისე დავიბენი, რომ რაღაც შემეშალა, თქვენ კი ეს ასე გაიგეთ. ათგზის ვაღიარებ, რომ შემეშალა და თქვენც შეგიძლიათ დამემუქროთ, რითაც გნებავთ. ოღონდ, ღვთის გულისთვის, ნუ ვიკამათებთ! მაგრამ, ეს როგორ იფიქრეთ? როგორ შეგიძლიათ ასე მატკინოთ გული? რატომ გსურთ, რადაც უნდა დაგიჯდეთ, თქვენი აქ ყოფნის ხანმოკლე წამები ასე ჩამაშხამოთ? უცხო უფრო გულისხმიერი იქნებოდა."

„მჯერა; ეს არ იყო გონივრული. თუკი უცხოს შეუძლია ასე ახლოს ყოფნა, მით უმეტეს – მე, მოვლენათა არსიდან გამომდინარე. ეს თქვენც იცით, მაშ რა საჭიროა ეს სევდა-ნაღველი? აღიარეთ, რომ გსურთ კომედიის თამაში და იმწამსვე დაგტოვებთ."

„აჰ, ასე? ესეც იკადრეთ? მეტისმეტად გათამამდით. ბოლოს და

ბოლოს ჩემს ოთახში ხართ. და ჩემს კედელზე უსვამთ გაშმაგებით ხელებს. ოთახი, კედელი, ეს ყველაფერი ჩემია. გარდა ამისა, არა მარტო თავხედობაა, სასაცილოცაა, რასაც ამბობთ. თითქოს ჩემთან ასე ლაპარაკს თქვენი ბუნება გიბიძგებთ. მართლა? თქვენი ბუნება? დიდი სიკეთე და გულუხვობაა მისი მხრიდან. თქვენი ბუნება ჩემი ბუნებაა და, როდესაც ჩემი ბუნებიდან გამომდინარე ასე მეგობრულად გესაუბრებით, თქვენც ასევე უნდა მოიქცეთ."

„აი, ჭეშმარიტად მეგობრული საუბარი!"

„მე ადრინდელი ვიგულისხმე."

„იცით, როგორი ვიქნები შემდგომში?"

„არაფერი ვიცი."

სანთლის ასანთებად პატარა მაგიდისკენ გავემართე. იმ დროისთვის ოთახში არც გაზი მქონდა და არც დენი. ერთხანს ვიჯექი მაგიდასთან, სანამ ესეც არ მომბეზრდა, ჩავიცვი საზაფხულო პალტო, ტახტიდან ქუდი ავიღე და სანთელი ჩავაქრე. ოთახიდან გასვლისას ფეხი სავარძელს წამოვკარი.

კიბეზე ჩემსავით დამქირავებელს წავაწყდი, იმავე სართულიდან.

„ისევ გარეთ გადიხართ, საცოდავო?" იკითხა ერთდროულად ორ საფეხურზე მდგომმა.

„აბა რა ვქნა?" ვუპასუხე. „ახლახან მოჩვენებას ვმასპინძლობდი."

„თქვენ ამას ისეთი უკმაყოფილებით ამბობთ, თითქოს წვნიანში თმა გეპოვოთ."

„თქვენ ხუმრობთ. მაგრამ იცოდეთ, რაც უნდა იყოს, მოჩვენება მოჩვენებაა."

„შეჭმარიტად. მაგრამ რა ვქნათ, თუკი მისი არ გვჯერა?"

„ფიქრობთ, მე მწამს მათი? რას მშველის ეს ურწმუნობა?"

„რატომაც არა. თუ მოჩვენება მართლა გესტუმრებათ, მისი აღარ უნდა შეგეშინდეთ."

„კი, მაგრამ ეს არა თავისთავადი, არამედ თანმხლები შიშია. შიში საკუთრივ მოვლენის მიზეზის მიმართ. და ის რჩება. სწორედ ამას შევიგრძნობ ჩემში დიდებულად."

და, აღელვებულმა, ჯიბეებში დავიწყე ქექვა.

„თუკი საკუთრივ მოვლენის მიმართ შიშს არ გრძნობთ, შეგეძლოთ მის მიზეზებში მშვიდად გარკვეულიყავით!"

„ეტყობა, მოჩვენებებთან ჯერ არ გისაუბრიათ. მათგან ნათელ პასუხებს ვერ ელირსებით. არაფერი არსებითი, მხოლოდ გაუთავებელი „შესახებ" და „გამო". ამ მოჩვენებებს საკუთარი არსებობა ჩვენზე მეტად აეჭვებთ, რაც, მათი მოჩვენებითობის გათვალისწინებით, გასაკვირი არცაა."

„გამიგია, რომ კარგი კვებით შესაძლებელია მათი მოღონიერება."

„ინფორმირებული ყოფილხართ. შეიძლება. მაგრამ, ვინ გააკეთებს ამას?"

„რატომაც არა. თუ, მაგალითად, მოჩვენება მდედრობითი სქესისაა", თქვა მან და ზედა საფეხურზე აიწია.

„აჰ, ასე", წარმოვთქვი, „მაშინ ეს უკვე რაღაც სხვა იქნება." ჩაფიქრებული ვიყავი. ჩემი ნაცნობი უკვე იმდენად მაღლა იყო ასული, იძულებული გახდა ჩემს დასანახად საკიბურის თაღქვეშ გადმოხრილიყო. „მაგრამ, მიუხედავად ამისა", დავუძახე „თუ თქვენ ჩემს მოჩვენებას წამართმევთ და თქვენთან წაიყვანთ, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდება, სამუდამოდ."

„ვიხუმრე", თქვა მან და თავი უკან გადასწია.

„ძალიან კარგი", ვუპასუხე. უკვე მშვიდად შემეძლო სასეირნოდ წასვლა, მაგრამ თავს ყველასგან მიტოვებულად ვგრძნობდი, ისევ უკან დაბრუნება ვარჩიე და დასაძინებლად დავწექი.

სასჯელი

განაჩენი

ვუძღვნი ფ-ს.

იყო წლის უმშვენიერესი პირველი თვეების კვირა დილა. ახალგაზრდა კომერსანტი გეორგ ბენდემანი იჯდა მდინარის ნაპირს გრძელ მწკრივად გაყოლებული დაბალი, მსუბუქად ნაგები, ერთმანეთისგან მხოლოდ სიმაღლითა თუ ფერით განსხვავებული სახლებიდან ერთ-ერთის მეორე სართულზე, თავის ოთახში. მან ახლახან დაამთავრა წერილი უცხოეთში მყოფ ბავშვობის მეგობართან, ხელში შეათამაშა, დინჯად ჩადო კონვერტში და საწერ მაგიდაზე იდაყვებდაყრდნობილმა, მეორე სართულის ფანჯრიდან მდინარეს, მასზე გადებულ ხიდებსა და მოპირდაპირე ნაპირის ახლად ამოყრილი ბალახის მწირი სიმწვანით შეფერილ ბორცვებს გახედა.

ის ფიქრობდა მეგობარზე, წარუმატებლობით იმედგაცრუებულმა რომ მიატოვა სამშობლო და წლების წინ რუსეთში, პეტერბურგში გადაიხვეწა, სადაც საქმე წამოიწყო, თავიდან წარმატებული, მაგრამ უკვე რა ხანია ილბალს მისთვის ზურგი შეექცია, როგორც თვითონ ჩიოდა სამშობლოში მისი სულ უფრო იშვიათი სტუმრობისას. მუშაობდა ფუჭად, ქანცგაწყვეტამდე, უცხო ყაიდის წვერი ცუდად უფარავდა ნაცნობ სახეს, რომლის სიყვითლეც მასში ფესვგადგმულ

ავადმყოფობაზე მეტყველებდა. როგორც თვითონ ყვებოდა, მას არ ჰქონდა ახლო ურთიერთობა თანამოძმეთა იქაურ კოლონიასთან და თითქმის არავითარი პირადული კონტაქტები ადგილობრივ ოჯახებთან, ეს ყველაფერი კი მას საბოლოოდ ბერბიჭას ცხოვრებას უქადდა.

რა უნდა მიეწერა ადამიანისთვის, აშკარად რომ გაურბოდა სიძნელეებს, რომლის მიმართაც მხოლოდ თანაგრძნობა თუ შეიძლებოდა ჰქონოდა და რომლის შველაც შეუძლებელი ჩანდა. რა ერჩია – უკან დაბრუნება, თავისი საქმიანობის გადმოტანა, ძველი მეგობრული ურთიერთობების განახლება, რისთვისაც ყველა წინაპირობა არსებობდა და ყველაფერში მეგობრების იმედით ყოფნა? მაგრამ ეს სხვა არაფერი იქნებოდა, თუ არა იმის თქმა – რაც უფრო რბილად, მით უფრო მტკივნეულად – რომ ყველა მისი ადრინდელი ცდა წარუმატებელი იყო და ის მათ უნდა შეშვებოდა, დაბრუნებულიყო და მრავალთა ცნობისმოყვარე – დაკვირვებული თუ გაკვირვებული – მზერის სამიზნე გამხდარიყო, დასტურად იმისა, რომ მხოლოდ მეგობრებს გაეგებოდათ საქმის და მას, ასაკოვან ბავშვს, უბრალოდ, აქაურებისათვის უნდა მიებაძა. და იქნებოდა კი მისთვის მიყენებული ეს ტანჯვა, ტკივილი გამართლებული? შესაძლოა, მისი სახლში დაბრუნების ეს ცდა წარუმატებლადაც დამთავრებულიყო, რადგან არაერთხელ უთქვამს, რომ აქაური გარემოებებისა მას აღარ ესმოდა და, მიუხედავად ყველაფრისა, ის კვლავ უცხოეთში აღმოჩნდებოდა, მეგობრების რჩევებით გულნატკენი, უარესად გამწარებული და მეგობრებს კიდევ უფრო დაშორებული. მაგრამ რჩევა რომ შეესმინა და დაბრუნებულიყო, მაშინ – რა თქმა უნდა, არა განზრახ, არამედ უნებლიეთ, ფაქტების ძალით – დაითრგუნებოდა და გამოსავალს ვერც მეგობრების წრეში და ვერც მის გარეთ იპოვიდა. მაშ, დამცირებული, შერცხვენილი, უსამშობლო და უმეგობრო არსებისთვის უკეთესი არ იქნებოდა დარჩენილიყო უცხოეთში, დასჯერებოდა იმას, რაც ჰქონდა? და განა ამ შემთხვევაში შეიძლებოდა ფიქრი, რომ ის აქ წარმატებული იქნებოდა?

სწორედ ამიტომ ალბათ მიწერ-მოწერისას არსებითი და ჭეშმარიტი გარემოებების შეტყობინებისგან თავის შეკავება ჯობდა, რასაც შორეულ ნაცნობებთან ურთიერთობაში სინდისის ქენჯნის გარეშე აკეთებს ადამიანი. უკვე სამი წელი გავიდა მისი ბოლო სტუმრობიდან, რის მიზეზადაც ის – უხალისოდ და ძუნწად – რუსეთში არსებულ პოლიტიკურ არასტაბილურობას ასახელებდა, რაც, მისნაირი კომერსანტის, თუნდაც პატარა საქმეში მყოფის, ხანმოკლე არყოფნასაც კი შეუძლებელს თუ არა, არასასურველს მაინც ხდიდა, ეს მაშინ, როცა ასიათასობით რუსი მშვიდად მოგზაურობდა მთელ ქვეყ-

ანაზე. მაგრამ სწორედ ამ სამი წლის მანძილზე გეორგის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. დედის გარდაცვალების ამბავი – ახლა ორი წლის გადასახედიდან რომ იხსენებდა და რის შემდეგაც საქმეს გეორგი მოხუც მამასთან ერთად უძღვებოდა – მეგობარმა იცოდა და სამძიმარი წერილში გამოხატა, საკმაოდ მშრალ გამოთქმებში, რის მიზეზიც შეიძლება ის ყოფილიყო, რომ უცხო ქვეყანაში ამასთან დაკავშირებით გლოვა წარმოუდგენელი, არაბუნებრივი ჩანდა. ახლა, ამ ამბის შემდეგ, გეორგმა თავის საქმეს, ისევე როგორც ყველაფერ სხვას, ხელი უფრო ენერგიულად მოჰკიდა. შესაძლოა, დედის სიცოცხლეში შვილის საქმიანობას მამა აფერხებდა, რომელიც საქმის გაძღოლაში მხოლოდ საკუთარი მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა, დედის გარდაცვალების შემდეგ კი, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ საქმეში რჩებოდა, უფრო თავშეკავებული გახდა, შესაძლოა, გადამწყვეტ როლს ილბალიც თამაშობდა. ყოველ შემთხვევაში, ბოლო ორი წლის განმავლობაში მათი საქმიანობა, სრულიად მოულოდნელად, წარმატებულად განვითარდა, ბრუნვა ხუთჯერ გაიზარდა და შემდგომი წინსვლაც გარდაუვალი ჩანდა, ისე, რომ საჭირო გახდა პერსონალის გაორმაგება.

მეგობარს ამაზე წარმოდგენა არ ჰქონდა და, ადრე, უკანასკნელად ალბათ სამძიმრის წერილში, ის რუსეთში გადასახლების აუცილებლობაში მეგობრის დარწმუნებასაც კი ცდილობდა. ბევრს საუბრობდა იმ პერსპექტივებზე, პეტერბურგში გეორგის საქმიანობისთვის რომ არსებობდა. ციფრები, რომლებიც მოჰყავდა, მისი საქმის დღევანდელ მასშტაბებთან შედარებით უმნიშვნელო და არაფრის მთქმელი იყო. თვითონ კი წერილებში საკუთარ წარმატებაზე საუბარი არ სურდა, ამაზე ლაპარაკი არც ახლა ეხალისებოდა, ეუხერხულებოდა კიდეც, რადგან, ეს ალბათ მისგან ერთგვარ თავის მართლებასაც მოითხოვდა.

ასე, მეგობარს მხოლოდ იმ უმნიშვნელო შემთხვევებზე უყვებოდა, ჩვენს მეხსიერებაში ერთ მშვიდ კვირა დღით ჩაფიქრებისას რომ ამოტივტივდება. უბრალოდ, განშორების ამ ხანგრძლივ მონაკვეთში ჩამოყალიბებული წარმოდგენები მშობლიურ ყოფაზე სურდა ხელუხლებლად დარჩენილიყო, რასაც ის უკვე შეგუებოდა. მოხდა ისე, რომ მან მეგობარს სამჯერ, დროით საკმაოდ დაშორებულ წერილებში, მავანის მავანთან ნიშნობაზე მიანიშნა. მოულოდნელად და მისი განზრახვის საწინააღმდეგოდ, ის ამ ამბით დაინტერესდა.

გეორგი კი, ერთი თვის წინ შეძლებული ოჯახის ქალიშვილზე, ფროილაინ ფრიდა ბრანდენფელდზე ნიშნობის გამხელის ნაცვლად სწორედ ამგვარ საგნებზე მსჯელობას არჩევდა. საცოლესთან ბევრჯერ უსაუბრია მეგობარზე და მასთან განსაკუთრებული სიახ-

ლოვით გამორჩეულ მიმოწერაზეც. „მაშ, ის ჩვენს ქორწილს ვერ დაესწრება“, თქვა მან, „მე მგონი, მაქვს უფლება ვიცნობდე ყველა შენს მეგობარს.“ „ხელს არ შეეუშლი“, უთხრა გეორგმა, „გამიგე, ალბათ ჩამოვა, ასე ვფიქრობ ყოველ შემთხვევაში, მაგრამ ის თავს შებოჭილად და დაჩაგრულად იგრძნობს, ალბათ კიდეც შეშურდება, და უმწეოს, ამ გრძნობებთან ჭიდილში დამარცხებულს, ისღა დარჩება, უკან დაბრუნდეს. დიახ, მხოლოდ ეს – და იცი ეს რას ნიშნავს?“ – „კარგი, მაგრამ შენ გამორიცხავ, რომ ეს ყველაფერი სხვაგვარადაც შეიძლება აღიქვას?“ – „ამას ვერ გამოვრიცხავ, მაგრამ, მისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ეს ნაკლებ სარწმუნო ჩანს.“ – „გეორგ, ამისთანა მეგობრების პატრონი, მგონია, ქორწინებაზე არ უნდა ფიქრობდეს.“ – „კი, ეს ჩვენი, ორივეს ბრალია; მაგრამ დღეს არაფრის შეცვლა არ შემიძლია“. და როდესაც ქალმა, ვაჟის კოცნის წყებათა შორის, ამოთქვა: „და მაინც ეს ყველაფერი რაღაცნაირად გულს მტკენს“, ბოლოს და ბოლოს, საქმრომ ეს უვნებელ განზრახვად ჩათვალა – მიეწერა მეგობრისთვის ყველაფერი. „ასეთი ვარ და ასეთად უნდა მიმიღოს“, გაიფიქრა მან, „არ შემიძლია ჩემგან ის ადამიანი გამოვძერწო, მასთან მეგობრობისთვის უფრო შესაფერი რომ იქნებოდა“.

და კვირა დილით შეთხზულ ვრცელ წერილში მეგობარს ამ ნიშნობის შესახებ შემდეგი სიტყვებით მოუყვა: „საუკეთესო ამბავი კი ბოლოსთვის შემოვინახე. მე ერთი შეძლებული ოჯახის ქალიშვილზე, ფროილაინ ფრიდა ბრანდენფელდზე დავინიშნე. მისი ოჯახი აქ შენი გამგზავრებიდან კარგა ხნის შემდეგ დამკვიდრდა, და, ვფიქრობ, არ გეცნობა. მომავალში ალბათ შევძლებ ჩემი საცოლის შენთვის უკეთ გაცნობას, დღეს კი იმის თქმას დავჯერდები, რომ ბედნიერი ვარ და ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ იმ მხრივ თუ შეიცვლება, რომ შენ ახლა ერთი ჩვეულებრივი მეგობრის ნაცვლად ძალზე ბედნიერი მეგობარი გეყოლება. გარდა ამისა, ჩემი საცოლის სახით, გულითად სალამს რომ გითვლის და მალე თვითონაც მოგწერს, კიდევ ერთ, გულწრფელ მეგობარს შეიძენ, რაც შენისთანა მარტოხელასთვის არ იქნება უმნიშვნელო. ვიცი, ჩვენთან სტუმრობისგან ბევრი რამ გაკავებს, მაგრამ ხომ არ იქნებოდა ჩემი ქორწინება შესაფერისი გარემოება ყველა შენი დაბრკოლების ერთიანად უგულებელსაყოფად? თუმცა, რაც უნდა იყოს, არჩევანში თავისუფალი ხარ – მოიქეცი, როგორც საჭიროდ ჩათვლი“.

გეორგი დიდხანს იჯდა ასე, წერილით ხელში, საწერ მაგიდასთან, პირით ფანჯრისკენ. და ნაცნობს, ქუჩიდან რომ მიესალმა, ფიქრებიდან ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულმა, დაბნეულად მოღიმარმა, სალამი ძლივს დაუბრუნა.

ბოლოს, წერილი ჯიბეში ჩაიდო, ოთახიდან გამოვიდა და თვეების მანძილზე პირველად მამის ოთახისკენ მიმავალ დერეფანს გაუყვა. თუმცა, ამის საჭიროება არც არსებობდა, რადგან მამას ისედაც რეგულარულად ხვდებოდა – საქმის საჭიროებიდან გამომდინარე, ისინი ერთად სადილობდნენ, საღამოს კი საკუთარი არჩევანის მიხედვით ატარებდნენ, უფრო ხშირად კი ერთხანს საერთო ოთახში – თუ გეორგი, არცთუ იშვიათად, მეგობრებთან ან, ახლა უკვე საცოლესთან არ იყო – თავ-თავის გაზეთში თავჩარგულები.

გეორგს გაუკვირდა, რომ, მიუხედავად მზიანი დილისა, მამის ოთახში ბნელოდა. მიზეზი ვიწრო ეზოს გადაღმა აღმართული მაღალი კედელი იყო. მამა ფანჯარასთან, გარდაცვლილი დედის სამახსოვრო ნივთებით მორთულ კუთხეში იჯდა და გაზეთს კითხულობდა. მხედველობის დაქვეითების გამო გაზეთი ჩვეულებრივზე უფრო შორს ეჭირა. მაგიდაზე იდო საუზმის მონარჩენი – უფრო კი თითქმის ხელუხლებელი საუზმე.

„ა, გეორგ!" თქვა მამამ და მისკენ გაეშურა. სიარულში ღამის ხალათი გაეხსნა და კალთები აუფრიალდა – „მამაჩემი კვლავაც გოლიათია", გაიფიქრა გეორგმა.

ხმამაღლა კი წარმოთქვა: „აქ აუტანელი სიბნელეა".

„კი, უკვე ბნელა", უპასუხა მამამ.

„ფანჯარაც დახურე?"

„ასე მირჩევნია."

„გარეთ თბილა", გეორგმა ერთგვარად ადრე ნათქვამი გააგრძელა და ჩამოჯდა.

მამამ საუზმის ჭურჭელი მაგიდიდან სკივრზე გადააწყო.

„მინდოდა შენთვის მეთქვა", გააგრძელა გეორგმა, რომელიც მამის მოძრაობას თვალს დაბნეული აყოლებდა, „რომ ჩემი ნიშნობის შესახებ პეტერბურგში შევატყობინე".

„პეტერბურგში?" იკითხა მამამ.

„ნუ, ჩემს მეგობარს", თქვა გეორგმა, თან მამის მზერას თვალს არ აცილებდა. – „მაინც, საქმეში სულ სხვანაირია", ფიქრობდა ის, „როგორი მხარბეჭიანია, ხელები კი მკერდზე გადაუჯვარედინებია."

„ჰოო. შენს მეგობარს", თქვა მან.

„ შენ იცი, თავიდან არ მსურდა ამაზე საუბარი. არავითარი სხვა მიზეზი, მხოლოდ წინდახედულება. თვითონაც იცი, მძიმე ადამიანია. ჩემს თავს ვუთხარი – სხვისგან შეუძლია გაიგოს ჩემი ნიშნობის ამბავი, რაც, მისი განმარტოებული ცხოვრების პირობებში ნაკლებად სავარაუდოა – ამას ხელს ვერ შევუშლი –, მაგრამ არა ჩემგან."

„ახლა გადაიფიქრე?" ჰკითხა მამამ, გაზეთი ფანჯრის რაფაზე დადო, ზევიდან სათვალე დაადო, რომელსაც ხელით ფარავდა.

„კი, გადავიფიქრე. ის ჩემი მეგობარია და ჩემი ბედნიერება მისიცაა. და წერილიც დავწერე, მაგრამ, სანამ გავაგზავნიდი, მინდოდა შენთვის მეთქვა."

„გეორგ," უთხრა მამამ და უკბილო პირი ფართოდ გააღო, „მისმინე! შენ გინდა, რომ ამასთან დაკავშირებით მომეთათბირო. ეს, რა თქმა უნდა, პატივსაცემია და ღირსებას გმატებს. მაგრამ ეს არაფერია, საუბედუროდ არაფერი, თუ მთელ სიმართლეს არ იტყვი. არ მსურს ყველაფერზე საუბარი, შევჩერდები ყველაზე მთავარზე. ჩვენი საყვარელი დედის გარდაცვალების შემდეგ ბევრი, არცთუ სახარბიელო რამ მოხდა. მათი ჯერიც დადგება ალბათ და იქნებ უფრო ადრეც, ვიდრე გვგონია. საქმეში ბევრი რამ არ მესმის, შესაძლოა ჩემი მიზეზით და არა იმიტომ, რომ რამეს მიმალავენ – არ მინდა ვიფიქრო, რომ ეს ასეა. ჯანმრთელობა მღალატობს, მეხსიერებაც, ბევრ რამეს ველარ აღვიქვამ, ხელიდან მისხლტება წვრილმანები. ეს, პირველ რიგში, ბუნებრივი პროცესების შედეგია, მეორეც – დედის გარდაცვალებამ მე უფრო მეტი დარტყმა მომაყენა, ვიდრე შენ. მაგრამ, რადგან ჩვენ ამაზე ვლაპარაკობთ – წერილის თაობაზე – გეორგ, გთხოვ ნუ ცრუობ. ეს სულ მცირე რამაა, ერთ ამოსუნთქვაზე მცირე, მაშ, ნუ ცრუობ. მართლა გყავს პეტერბურგში მეგობარი?"

დაბნეული გეორგი წამოდგა. „შევეშვათ მეგობრებს. ათასიც კი ვერ შემიცვლის შენს თავს. იცი რას ვფიქრობ? თავს არ უფრთხილდები. ასაკი კი თავისას მოითხოვს. საქმეში ჩემთვის შეუცვლელი ხარ, ეს კარგად იცი, მაგრამ, თუ საქმე შენს ჯანმრთელობას დაემუქრება, ხვალვე დავხურავ. ასე არ ვარგა. ჩვენ შენთვის ახალი ცხოვრების წესი უნდა დავამკვიდროთ. მაგრამ, შევჩერდეთ არსებითზე. სიბნელეში ხარ, მაშინ როცა არის სხვა, ნათელი ოთახი. საუზმეს არ ეკარები ან პატარა ლუკმებს სჯერდები, ნაცვლად იმისა, რომ კარგად დანაყრდე. ზიხარ დახურულ ფანჯარასთან, სუფთა ჰაერი კი შენთვის აუცილებელია. არა, მამა! ექიმს მოგიყვან და მისი რჩევების შესაბამისად მოვიქცევით. ოთახს გამოვიცვლით, წინა ოთახში გადახვალ, მე კი – აქ. შენთვის არაფერი შეიცვლება, ყველაფერს იქ გადავიტანთ. მაგრამ ამას დრო სჭირდება, ახლა ცოტა ხნით დაწექი ლოგინში, აუცილებლად უნდა მოისვენო. გადასვლისას მოგეშველები, ნახავ, შემიძლია. თუ გადასვლა ახლავე გირჩევნია, მაშინ დროებით ჩემს ლოგინში დაგაწვენ. სხვათა შორის, ეს ძალიან გონივრული იქნებოდა."

გეორგი ახლოს მივიდა მამასთან, რომელსაც აჩეჩილთმიანი თავი ჩაექინდრა.

„გეორგ", ჩუმად თქვა მამამ, ის გაუნძრევლად იჯდა.

გეორგი მამის წინ მუხლებზე დაეშვა, დაინახა მისი დაღლილი

სახე, გაფართოებულ თვალის კუთხეებში – გუგები, მას რომ დაჰყურებდნენ.

„შენ არ გყავს მეგობარი პეტერბურგში. ყოველთვის ტაკიმასხარა და ოინბაზი იყავი და უკეთესი არც ჩემ მიმართ ყოფილხარ. იქ? მეგობარი? ვერ დავიჯერებ."

„მამა, დაფიქრდი", უთხრა გეორგმა, სავარძლიდან ხელში აიყვანა და მის წინ უმწეოდ მდგომს ხალათი გახადა, „მალე სამი წელი გახდება მას შემდეგ, რაც ჩვენთან სტუმრობდა. ისიც კი მახსენდება, რომ თვალში მაინცდამაინც არ მოგვიდა. ყოველ შემთხვევაში, მასთან დაკავშირებით ორჯერ მაინც ვიცრუე, თუმცა ის მაშინ ჩემს ოთახში იყო. მე კარგად მესმის მის მიმართ ეს ანტიპათია, მართლაც ის ცოტა უცნაურია. თუმცა, შემდეგ საკმაოდ კარგი ურთიერთობა დაამყარეთ. მეამაყებოდა, რომ უსმენდი, თავს უქნევდი და კითხვებს უსვამდი. დაფიქრდი, აუცილებლად გაიხსენებ. ის რუსეთის რევოლუციის შესახებ წარმოუდგენელ ისტორიებს ყვებოდა. რად ღირს, მაგალითად, კიევში ხალხის დიდი თავყრილობისას აივანზე ნანახი სასულიერო პირი, ხელზე დიდი სისხლიანი ჯვარი რომ ამოიკვეთა, ასწია ხელი და ხალხს მიმართა. ამ ისტორიას შენც კი ყვებოდი ხანდახან".

ამ დროს გეორგმა მოახერხა, მამა კვლავ წამოაყენა და საშინაო შარვალი, საცვლის ზევიდან რომ ატარებდა, წინდებთან ერთად ფრთხილად გახადა. არცთუ სუფთა საცვლების დანახვაზე თავს უყურადღებობა უსაყვედურა. რა თქმა უნდა, მამის საცვლების დროულ გამოცვლაზე ზრუნვა მისი ვალი იყო. თავის მომავალ მეუღლესთან მამის ყოფის გაუმჯობესებაზე მკაფიოდ ჯერ არაფერი ჰქონდა ნათქვამი, რადგან უსიტყვოდ შეთანხმდნენ, რომ ის ძველ სახლში დარჩებოდა. მაგრამ, ახლა მტკიცედ გადაწყვიტა თან წაეყვანა. დაკვირვებული კაცი კი იფიქრებდა, რომ შვილს მამაზე ზრუნვა რა ხანია დაგვიანებოდა.

მამა ლოგინისკენ ხელში აყვანილი წაიყვანა. შემზარავი გრძნობა დაეუფლა, როდესაც ორიოდე ნაბიჯის გადადგმისას შეამჩნია, რომ ის მის მკერდზე საათის ძეწკვს ხელში ათამაშებდა და ისე ჩაბღაუჭებოდა, რომ მისი ლოგინში ჩაწვენა გაუჭირდა.

მაგრამ, ჩაწვა თუ არა, თითქოს ყველაფერი მოგვარდა. საბანი თვითონ დაიხურა და მხრებზეც კი გადაიფარა. მან გეორგს ახედა – საკმაოდ კეთილგანწყობილად.

„გაგახსენდა, არა?" ჰკითხა გეორგმა და გასამხნევებლად თავი დაუქნია.

„კარგად მახურავს?" იკითხა მამამ, იმის ნიშნად, რომ ვერ ხედავდა, ფეხებს თუ უფარავდა.

„ალბათ გესიამოვნა ლოგინში, ახლა მოისვენე“, თქვა გეორგმა და საბანი გაუსწორა.

„კარგად მახურავს?“ იკითხა მამამ კიდევ ერთხელ და პასუხს განსაკუთრებული ყურადღებით დაელოდა.

„დამშვიდდი, კარგად გახურავს.“

„არა!“ იყვირა მამამ უცბად, ისე, რომ ორივე, პასუხი და კითხვა ერთმანეთს მკვეთრად შეეჯახა და საბანი ისეთი ძალით მოისროლა, რომ ჰაერში ფრენისას წამით მთლიანად გასწორდა, გაიშალა. წამოდგა, წელში გაიმართა. ჭერს მხოლოდ ცალი ხელით ებჯინებოდა. „ვიცი, საბნის გადაფარება გინდოდა, ძვიფასო ნაშიერო, მაგრამ მე ის არ მახურავს. ესაა ჩემი ძალა, შენ რომ იხილე, ბოლო და უკანასკნელი, თუმცა საკმარისი, შენთვის საკმარისზე მეტიც. შენს მეგობარს ალბათ ვიცნობ. ჩემთვის ის საყვარელი შვილი იქნებოდა. ამიტომაც ატყუებდი მთელი წელი. რატომაც არა? ფიქრობ, მის გამო ცრემლი არ გადმომვარდნია? მხოლოდ იმიტომ იკეტები შენს ბიუროში – არავინ უნდა შეგაწუხოს, შეფი ხომ ძალიან დაკავებულია – რომ რუსეთში გასაგზავნი ყალბი წერილები იქ თავისუფლად შეთხზა. მაგრამ, საბედნიეროდ, შვილის ეშმაკობის განჭვრეტას მამას ვერავინ ასწავლის. გგონია მას სძლიე, ისე სძლიე, რომ შეგიძლია შენი უკანალით საბოლოოდ შეაჯდე და ის არც კი გატოკდება! მაშ, ბატონმა მოწყალე შვილმა ქორწინება გადანყვიტა!“

შეძრწუნებულმა გეორგმა მამას ახედა. პეტერბურგელი მეგობარი, რომელსაც, როგორც გაირკვა, ის იცნობდა, მის არსებას, როგორც არასდროს, მისწვდა, დაეუფლა. სადღაც, შორეულ რუსეთში გადაკარგულს ხედავდა მას, ცარიელი, გაძარცული ოფისის კართან, გაპარტახებულ კარადებს, თაროებს, დამსხვრეულ ნივთებსა და დანარცხებისთვის გადმოხრილ საგნებს შორის. ნეტა, რატომ უნდა გამგზავრებულიყო ასე შორს?

„შემომხედე!“ დაუყვირა მამამ და დაბნეული გეორგი ყველაფრის კვლავ მოსაწესრიგებლად საწოლისკენ გაეშურა, მაგრამ შუა გზაზე გაჩერდა.

„რადგან კაბა აიწია მან“, დაიწყო მამამ, ტკბილად მოედინებოდა სიტყვები, „რადგან კაბა ასე აიწია მან, მახინჯმა ბატმა“, და, საჩვენებლად თავისი პერანგი ისე ასწია, რომ თეძოს თავზე ომში მიღებული ჭრილობის ნაიარევი გამოუჩნდა, „რადგან მან ასე და ასე აიწია კაბა, მიეჭერი, აღარ მოასვენე, და შენი ჟინი რომ დაუბრკოლებლად დაგეკმაყოფილებინა, დაივიწყე ჩვენი საყვარელი დედის ხსოვნა, შებღალე ის, მეგობარს უღალატე, ხოლო მამა ლოგინს შეაჩეჩე, რათა არ გატოკებულიყო. შემიძლია კიდევ მოძრაობა, თუ არა?“ და იდგა ის სრულიად თავისუფლად, იქნევდა ფეხებს, მოვლენათა არსის სიღ-

რმეების წარმატებულ დამლაშქრავს სახე უბრწყინავდა.

გეორგი იდგა კუთხეში, მამისგან რაც შეეძლო შორს. ერთ დროს, დიდი ხნის წინ, მტკიცედ გადაწყვიტა ყველაფრისთვის ყურადღებით ედევნებინა თვალი, როგორმე ხიფათს – შემოვლითი გზებიდან, უკნიდან თუ ზევიდან მომავალს – რომ არ დაებნია. ახლა გაახსენდა ეს დიდი ხნის წინ მიღებული გადაწყვეტილება, მერამდენედ მივიწყებული – ასე უყრის კვლავ და კვლავ სიძნელის გადამლახავი ადამიანი ნემსის ყუნწში მოკლე ძაფებს.

„მეგობარი მაინც გადაურჩა ღალატს!“ დაიყვირა მამამ. და მოქანავე საჩვენებელი თითით დაადასტურა. „მისი დამცველი აქ მე ვიყავი.“

„კომედიანტი!“ ვეღარ შეიკავა გეორგმა თავი, თუმცა შეცდომა მაშინვე გააცნობიერა და მზერაგაქვავებულმა ენაზე იკბინა – მეტისმეტად გვიან – და ტკივილისგან სახე დაემანჭა.

„ჰო, ცხადია, კომედიას ვთამაშობდი! კომედია! კარგი სიტყვაა! რაღა დარჩენოდა დაქვრივებულ მოხუც მამას? თქვი – და პასუხისთვის განკუთვნილი წამით იყავი ჩემი, ჯერ კიდევ ცოცხალი შვილი – რაღა დამრჩენოდა, ჩემს უკანა ოთახში, ჩემი ძვლების სიღრმეში გამჯდარი სიბერით დაბეჩავებულს და პერსონალისგან შევიწროებულს. ხალისიანი, მქუხარე იყო ამ ქვეყანაზე შენი სვლა, წარმატებით აგვირგვინებდი საქმეებს, რომლებსაც საფუძველი მე ჩავუყარე, სიამოვნებისგან მალაყებსაც კი აკეთებდი, და ჩაუვლიდი მამას კეთილშობილის გაუმჭვირვალე ნიღბით სახეზე! და გგონია არ მიყვარდი – მე, რომელმაც მოგეცი დასაბამი?“

„ახლა დაიხრება“, ფიქრობდა გეორგი, ნეტა დაეცეს და დაიმსხვრეს“ აი, ამ სიტყვებმა გაიქროლა მის თავში.

მამა წინ დაიხარა, თუმცა თავი შეიმაგრა, არ დაცემულა და, რადგან მოლოდინის მიუხედავად, გეორგი მასთან არ მივიდა, კვლავ წამოდგა.

„დარჩი, სადაც ხარ, არაფერში მჭირდები! გგონია, კიდევ გაქვს ძალა, რომ მომიახლოვდე და უბრალოდ იმიტომ რჩები ადგილზე, რომ ასე გსურს? არ შეცდე! ძლიერი ვარ, ჯერ კიდევ. უბრალოდ უკან უნდა დამეხია, ხოლო ძალა დედამ გადმომცა, შენს მეგობართან მე მშვენიერი კავშირი დავამყარე, შენი ინფორმაცია კი აქ მაქვს, ჯიბეში!“

„ნეტა ჯიბეები პერანგშიც თუ აქვს!“ ესლა გაიფიქრა გეორგმა და იმ აზრმაც გაუელვა, რომ ამ შენიშვნით მას საქვეყნოდ განაიარაღებდა. მხოლოდ წამით გაიფიქრა, რადგან ყოველთვის ყველაფერი ავიწყდებოდა.

„ჩამოეკიდე შენს საცოლეს და ჩემკენ გამოემართე! გვედრზე მოგისვრი, თან სულ ადვილად.“

გეორგი დაიმანჭა – სურდა ეჩვენებინა, რომ ამის არ სჯეროდა. მამამ ნათქვამის ჭეშმარიტების დასტურად თავი გეორგის მიმართულებით გაიქნია.

„მაშ, როგორ გამართე დღეს, როდესაც მკითხე, მიგეწერა თუ არა მეგობრისთვის წერილი. სულელო, მან ყველაფერი იცის, ყველაფერი! მე ვწერდი წერილებს, რადგან საწერი მოწყობილობის ჩამორთმევა დაგავიწყდა. სწორედ ამიტომ აღარ ჩამოდიოდა ნლების მანძილზე, ყველაფერი შენზე ასჯერ უკეთ იცის, შენს წერილებს ის გაუხსნელად მარცხენით ჭმუჭნის, მაშინ როცა ჩემი მარჯვენაში აქვს მომარჯვებული წასაკითხად!"

და აღგზნებული აწეულ ხელს თავს ზემოთ იქნევდა. „მან ყველაფერი ათასჯერ უკეთ იცის!" ყვიროდა ის.

„ათასჯერ!" წარმოთქვა გეორგმა მამის გამოჯავრების ცდაში, მაგრამ საბედისწერო ჟღერადობა სიტყვამ ჯერ კიდევ ტუჩებს მოწყვეტამდე შეიძინა.

„ნლების მანძილზე ველოდი ამ კითხვას! ფიქრობ, რამე სხვა მაწუხებს? იცი, რომ გაზეთებს ვკითხულობ? აპა!" და ესროლა გეორგს გაზეთის ფურცელი, რალაცნაირად ლოგინამდე რომ მიეტანა – ძველის, გეორგისთვის სრულიად უცხო დასახელების. „რამდენი ხანი დაგჭირდა სიმწიფისთვის! დედაშენი უნდა მომკვდარიყო, ის ვერ მოესწრო სიხარულის დღეს, მეგობარი თავის რუსეთში იღუპება, სამი წელია, დამჭკნარი, ჩამომხმარი, სანაგვეზე გადასაგდებად გამზადებული, და მე, კარგად ხედავ, რაც მჭირს. ჰო, საამისოდ გიჭრის თვალი!"

„მაშ, ჩასაფრებულხარ!" აღმოხდა გეორგს.

მამამ გააგრძელა, თითქოს, თანაგრძნობით: „ალბათ, ადრე უნდა გეთქვა. ახლა ეს ყველაფერი უადგილოა." შემდეგ ხმამაღლა: „ამგვარად, ახლა იცი, რაც შენ მილმა ხდებოდა, აქამდე მხოლოდ ის იცოდი, რაც შენში ხდებოდა. უცოდველი ბავშვი იყავი, მაგრამ კიდევ უფრო მეტად – სატანური არსება! – ამიტომ იცოდე: მე მოგისაჯე სიკვდილი – წყალში დახრჩობით!"

გეორგი გრძნობდა, თუ როგორ დევნიდა მას ოთახიდან უხილავი ძალა, ლოგინზე მამის დახეთქების ხმა ჯერ კიდევ ჟღერდა ყურებში. კიბეზე ჩამავალმა, თითქოს დამრეც სიბრტყეზე მიიჩქაროდა, ოთახის დასალაგებლად ამომავალი მოსამსახურე გააოგნა. „ღმერთო!" დაიყვირა მან და სახეზე წინსაფარი აიფარა, მაგრამ ის უკვე სხვაგან იყო. ჭიშკარს მიღმა, გარეთ, სირბილით წყლისკენ მიიჩქაროდა. უკვე ჩაჰკიდა ხელი მოაჯირს, თითქოს საჭმელს ჩაებლაუჭაო დამშეული. გადაევლო მას – დახვეწილი ტანმოვარჯიშე, რაც იყო კიდეც თავისი მშობლების საამაყოდ, ყმაწვილობისას. ჯერ კიდევ იმაგრებდა თავს,

მაგრამ სულ უფრო ეცლებოდა ძალა, მოაჯირის გისოსებს შორის ავტობუსი გაარჩია, რომლის ხმაური მის დაცემას სულ ადვილად გადაფარავდა, ჩუმად აღმოხდა: „ძვირფასო მშობლებო, ყოველთვის მიყვარდით", და მოაჯირს ხელი შეუშვა.

ამ დროს ხიდზე უამრავი ხალხი მოძრაობდა.

სოფლის ექიმი

ახალი ადვოკატი

გვყავს ახალი ადვოკატი, დრ. ბუცეფალუსი. გარეგნულად ალექსანდრე მაკედონელის საბრძოლო ცხენის ეპოქისგან სრულიად განსხვავებული. თუმცა, გარემოებებს გაშინაურებული კაცი მასში რაღაც იმდროინდელს, თითქმის უხილავს, მაინც შეამჩნევს. ამას წინათ გარე კიბეზე შევხვდი მას, სასამართლოს თანამშრომლის სოლიდურ ჩარჩოებში მოქცეულ არსებას. ამ დაწესებულების დიდი ხნის თანამშრომლის გაწაფული მზერა ადვოკატს ერთგვარი გაოცებით აკვირდებოდა, როდესაც ის, თეძოების ჩვეულებრივზე სწრაფი და ენერგიული მოძრაობით, ზევით მიემართებოდა, საფეხურიდან საფეხურზე აჩქარებული ნაბიჯებით მიხტოდა და მარმარილოზე არეკლილი მათი ხმა მიდამოს მჭახე ექოდ ეფინებოდა.

ბუცეფალუსის მიღებას ბიურო, მთლიანობაში, დადებითად შეხვდა, თუმცა დღევანდელ საზოგადოებრივ წყობაში მის გამოჩენას – მოვლენათა არსში განსაცვიფრებელი წვდომით – არასახარბიელოდ მიიჩნევს, მეტიც, მისთვის მძიმე გამოცდად, და ფიქრობს, კაცობრიობის ისტორიაში მისი როლის გათვალისწინებით, რომ ის თანადგომას იმსახურებს. დღეს – და ამას ვერავინ უარყოფს – დიდი ალექსანდრე აღარაა. მართალია, კაცის კვლის საქმეში ბევრი დაწინაურდა; ხოლო სუფრის მეორე მხარეს მეგობრებისკენ დამიზნებით შუბის ტყორცნაში ბევრი დაოსტატდა კიდეც; ბევრისთვისაც ასპარეზი – მაკედონია – მეტისმეტად ვიწრო გამხდარა, ლანძღავენ ფილიპეს, ალექსანდრეს მამას, მაგრამ ვის შეუძლია ინდოეთისკენ მათი გაძღოლა? ჯერ კიდევ მაშინ იყო ინდოეთის კარიბჭე შორი და მიუწვდომელი, მაგრამ გზა მაინც იყო იქით სამეფო მახვილით მონიშნული. დღეს კი კარიბჭე სადღაც სხვაგანაა, არავინ იცის სად; და ვერც მიმართულე-

ბას გიჩვენებს ვინმე; ბევრს აღუმართავს მახვილი, მაგრამ, ეს ისე, კენწლაობენ უბრალოდ; და მზერა, მათკენ მიმართული, გაორებული, გასამებული, უსასრულოდ გამრავლებული, საბოლოოდ იბლანდება.

შესაძლოა, მართლაც საუკეთესოა ბუცეფალუსის არჩევანი – კანონთა კოდექსებში ნაპოვნი თავშესაფარი. მხედართა თეძოების უშუალო მეზობლობას, ალექსანდრეს ომების გრგვინვა-ქუხილს გარიდებული, ლამპის მყუდრო სინათლეში ფურცლავს ის ჩვენს ძველ ფოლიანტებს.

სოფლის ექიმი

არ ვიცოდი რა მექნა: აუცილებელი იყო გამგზავრება; ათი მილის დაშორებით, სოფელში, მძიმე ავადმყოფი მელოდა; ჩვენ შორის კი, მთელ ამ სივრცეში, ქარბუქი ბობოქრობდა; მქონდა ერთი კარეტა, მსუბუქი, დიდბორბლებიანი, ისეთი, ჩვენს გზებს რომ შეეფერება; ქურქში გახვეული, ინსტრუმენტებიანი ჩანთით უკვე ეზოში ვიყავი, გამგზავრებისთვის მზად; მაგრამ ცხენი არ ჩანდა, ცხენი. ჩემმა, ამ ყინვიან ზამთარში დიდი ჯაფის გამო, წინა ღამით განუტევა სული; და დარბის ახლა მოახლე გოგონა მთელ სოფელში, იმედით, იქნებ ვინმემ სანაცვლო მოგვაქირაოს. მაგრამ სასიკეთოს არაფერს ველი, ეს კარგად ვიცი. ბარდნის, თოვლი სულ უფრო იკიდებს ფეხს ჩემს ტანსაცმელზე და ვდგავარ ასე ეზოში – სულ უფრო დამძიმებული, შებოჭილი და ნირწამხდარი. ჭიშკარში გოგონა გამოჩნდა, მარტო, თან მოჰყვება უცნაურად მოძრავი სინათლე, ეს ფარანი ირწევა მის ხელში – ასეც ვიცოდი, ასეთ ამინდში ცხენს ვინ გაიმეტებს. სასოწარკვეთის კიდევ ერთი ბოლთა; გამოსავალს ვერ ვპოულობდი, ვგრძნობდი, რომ ქანცგაწყვეტილს ფიქრების სადავე ხელიდან მისხლტებოდა და დატანჯულმა წლობით მიტოვებული საღორის ფარღალალა კარს ფეხი ვკარი. ის გაიღო, საგდულებმა ანჯამებზე დაიწყეს ქანაობა – წინ, უკან. ჩემამდე სითბომ მოაღწია, თან ცხენის სუნი მოჰყვებოდა. თოკზე ფარანი ირწეოდა, მაგრამ მისი მწირი სინათლე იქ გამეფებულ სიბნელეს ვერ უმკლავდებოდა. დაბალ ტიხარს მიღმა ჩაცუცქული ცისფერთვალება მამაკაცი გამოჩნდა, შემოსულს ყურადღებით და მოლოდინით რომ აკვირდებოდა. „შევაბა?“ მკითხა და დაოთხილი გამოფოფხდა. არ ვიცოდი, რა მეთქვა, მხოლოდ დავიხარე, მაინტერესებდა საღორეში რა ხდებოდა. ჩემ გვერდით მოახლე იდგა. „კაცმა არ იცის, რას გადააწყდები საკუთარ სახლში“, თქვა მან და ორივეს გაგვეცინა. „ეჰეი, ძამიკო, ეჰეი, დაიკო!“ დაიყვირა მეჯინიბემ და ერთიმეორის მიყოლებით კარში ორი ფეხმარდი, კანჭლონიერი ცხენი გამოჩნდა – ლამაზ თავებს აქლემებივით დაბლა

ხრიდნენ, კარს ტანის მოძრაობით აღებდნენ და გზას ასე იკაფავდნენ. მაგრამ იმწამსვე გაჩერდნენ – ყელმოღერებულ, ტანწერწეტა არსებებს ზურგზე მკვრივი ოხშივარი ასდიოდათ. „მიეხმარე," ვუთხარი და მორჩილი მოახლე მსახურისთვის კარეტის აკაზმულობის მისაწოდებლად გაეშურა. მაგრამ, მიუახლოვდა თუ არა შემოხვია ხელი და მის სახეს დააცხრა. მოახლემ დაიყვირა და ჩემკენ გამოქანდა; ლოყებზე კბილების ორი წითელი მწკრივი აჩნდა. „პირუტყვო", ვყვიროდი განრისხებული, „მათრახი მოგინდა?" მაგრამ იმწამსვე გამახსენდა, რომ ის იყო უცხო, კაცმა არ იცის საიდან, და რომ ნებაყოფლობით მეხმარებოდა, ეს მაშინ, როცა ყველამ უარი მითხრა. თითქოს გამოიცნოო ჩემი ფიქრები, ჩემს მუქარას ყურადღებას არ აქცევდა, და, ცხენებით დაკავებულმა, ჩემკენ მხოლოდ ერთხელ გამოიხედა. „ჩაჯექი", მომმართა, და მართლაც: ყველაფერი მზადაა. ასეთი მშვენიერი აკაზმულობით არასოდეს მიმგზავრია; ხალისიანად ვეჯდები კარეტაში. „მე წავიყვან, გზა მაინც არ იცი", ვეუბნები. „რა თქმა უნდა, სულაც არ ვაპირებ წამოსვლას, მე როზასთან ვრჩები." „არა", ყვირის როზა და, საკუთარი ბედისწერის გარდაუვალობის წინათგრძნობით არცთუ უსაფუძვლოდ შეშფოთებული სახლისკენ გარბის; ისმის კარის ჯაჭვის და კლიტის ხმა; გარდა ამისა, ვხედავ როგორ ქრება სინათლე ჯერ წინკარში, შემდეგ – ოთახებში, ასე ცდილობს მოძალადისგან თავის დაცვას. „ჩემთან ერთად წამოხვალ", ვეუბნები მსახურს, „თუ არა და, უარს ვამბობ გამგზავრებაზე, რაც უნდა აუცილებელი იყოს ეს. არ ვაპირებ სანაცვლოდ გოგონას დათმობას." „მხნედ! ყოჩაღად!" თქვა და ხელი ხელს შემოჰკრა; უეცრად მოწყდა ადგილს კარეტა, მსუბუქად გაქანდა, თითქოს წყლის სწრაფმა ნაკადმა პატარა ნაფოტი აიტაცა. ჯერ კიდევ მესმის კარის მტვრევის ხმა, რომელმაც ვერ გაუძლო მეჯინიბის გააფთრებულ შემოტევას და ნაფოტებად იქცა, და მთელი არსებით ვაცნობიერებ – შეგრძნების ყველა წყაროდან: თვალებიდან, ყურებიდან ჩემში თანაბარი სიმძაფრით რომ აღწევს – გიჟური ჭენების თანმხლები ქარის ზუზუნს. თუმცა მხოლოდ ერთი წამით, რადგან, თითქოს ავადმყოფის ეზო სწორედ ჩემი ეზოს ჭიშკრის გადაღმა იწყებოდეს, უკვე იქ ვარ; მშვიდად დგანან ცხენები; აღარ თოვს; მიდამოს მთვარის შუქი ეფინება; ავადმყოფის მშობლები შესახვედრად მოეშურებიან; უკან მოჰყვებათ და; კარეტიდან კი არ ჩამოვდივარ, უფრო დამხვდურებს გადმოვყავარ; მათი დაბნეული, არეული ლაპარაკიდან აზრი ვერ გამომაქვს; ავადმყოფის ოთახში სუნთქვა ჭირს; დაზიანებული აგურის ღუმელი, პატრონის ხელი აშკარად რომ აკლია, ბოლავს; ფანჯარას, რა თქმა უნდა, გავაღებ; მაგრამ ჯერ ავადმყოფი უნდა ვნახო. გამხდარი, უსიცხო, არც ცივი, არც თბილი, ჩაცვენილი, ცარიელი თვალები;

ბუმბულის ლოგინიდან წამოიწია, საცვლის პერანგის ამარა, ჩამომეკიდა კისერზე და ყურში ჩამჩურჩულა: „ექიმო, ხელს ნუ შემიშლით სიკვდილში." ვიყურები ირგვლივ – არავის გაუგია. მდუმარე, თავდახრილი მშობლები უცდიან განაჩენს; ჩემი ხელჩანთისთვის დამ სკამი მომიტანა: ვხსნი ჩანთას, შიგ ვეძებ რაღაცას; ყმაწვილი გაუთავებლად ჩემკენ მოიწევს, თხოვნას მახსენებს; ვიღებ პინცეტს, ვსინჯავ სანთლის შუქზე, უკან ვდებ. „ჰო", ვფიქრობ ჩემთვის მკრეხელურად, „ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ღმერთები არიან შემწე, ცხენს რომ აგზავნიან, ასე საჭიროს და აუცილებელს, სიჩქარისთვის მეორესაც აყოლებენ, მეტიც, ფუფუნებისთვის – მეჯინიბესაც". მახსენდება როზა; რა ვქნა, როგორ დავიხსნა უცხოს კლანჭებიდან, ათი მილის სიშორიდან, კარეტაში შებმული გადარეული ცხენების გადამკიდე, რომლებიც ღმერთმა უწყის, ვის ემორჩილებიან. როგორღაც აშვებული ცხენები – ვერ ვხვდები, როგორ – გარედან აღებენ ფანჯარას, თავს ყოფენ ოთახში და – არც ოჯახის წევრების ყვირილი აკრთობთ – ავადმყოფს აკვირდებიან. „ახლავე უკან გავემგზავრები", ვფიქრობ ჩემთვის, თითქოს ვგრძნობ ცხენების ამ მიპატიჟებას, თუმცა დას წინააღმდეგობას არ ვუწევ, რომელიც ფიქრობს, რომ სიცხემ შემაწუხა და ქურქს მხდის. მთავაზობენ ერთ ჭიქა რომს, მოხუცი მამა მხარზე ხელს მითათუნებს – ის, რომ თავისი უძვირფასეს განძს მანდობს, ამ ჟესტითაც დასტურდება. უარის ნიშნად თავს ვაქნევ; მოხუცის სამყაროს სივიწროვეში, იქ, სადაც მეპატიჟებიან, თავს უხერხულად ვიგრძნობდი; მხოლოდ ამიტომ ვარ უარზე. დედა, ლოგინთან მდგომი, მიხმობს; მივდივარ და იმ დროს, როცა ცხენი მაღლა სწევს გრძელ კისერს, იყურება ჭერში და ჭიხვინებს, ყმაწვილს მკერდზე ვადებ თავს, ჩემი სველი წვერის შეხებისას შეშინებული რომ თრთის. დასტურდება, რაც ისეც ვიცი: ყმაწვილი ჯანმრთელია, მხოლოდ სისხლის მიმოქცევა აქვს ოდნავ შეფერხებული და მზრუნველი, უშურველი დედის მიერ შეთავაზებული ყავის ჭარბი სმითაა გაბერილი, დაოსებული, მაგრამ ჯანმრთელია და საუკეთესო გამოსავალი მისი ლოგინიდან წამოგდება იქნებოდა. არა, არა ვარ მსოფლიო წესრიგის გაუმჯობესებისთვის მოწოდებული მებრძოლი და მის ლოგინში წოლას ხელს არ შევუშლი. ვარ ოლქის ადმინისტრაციის მიერ დაქირავებული და ჩემს მოვალეობას ზომიერად ვასრულებ, უკიდურესობების გარეშე. მცირე ხელფასის მიუხედავად, ღარიბების მიმართ კეთილმოსურნე და ხელგაშლილი ვარ. როზაზეც ხომ უნდა ვიზრუნო, და ყმაწვილი შეიძლება მართალიც იყოს, რა ვქნათ, ბოლოს და ბოლოს მეც მოვკვდები. რას ვაკეთებ ახლა, ამ სუსხიან ზამთარში, ბოლო რომ აღარ უჩანს! ჩემი ცხენი მკვდარია, და არ აღმოჩნდა სოფელში არავინ, ამ გაჭირვებაში რომ

დამხმარებოდა. იძულებული გავხდი აკაზმულობა საღორიდან გამომეტანა; და რომ არა ეს უცხო ცხენები, ეტლში ღორები უნდა შემება. ასეა. და ოჯახს თავს ვუქნევ. მათ არაფერი იციან, რომც იცოდნენ, მაინც არ დაიჯერებდნენ. რეცეპტების გამოწერა ადვილია, დანარჩენში თანხმობის მიღწევაა ძნელი. ამით ალბათ ჩემი ვიზიტი – კიდევ ერთი ფუჭი გამოძახება – დამთავრდება, ამას მიჩვეული ვარ, იმასაც, რომ ღამის ზარებით მთელი ჩვენი ოლქი მაწამებს, მაგრამ ახლა ამას როზას მსხვერპლშეწირვა დაემატა, ამ მშვენიერი გოგონასი, წლების მანძილზე ჩემთან ჭირ-ვარამს რომ ინაწილებდა, ახლა დაუცველის, მიტოვებულის. ეს მსხვერპლი კი მეტისმეტია, და მთელი ჩემი გონება იქით უნდა მივმართო, რომ რაღაც მოვიფიქრო, ჯავრი ამ ოჯახზე რომ არ ვიყარო, რაც ჩემს როზას მაინც ვერ დამიბრუნებს. როდესაც ხელჩანთას ვკეტავ და ქურქზე მივუთითებ, მთელი ოჯახი იკრიბება, მამა ჭიქაში რომს ყნოსავს, დედა, იმედგაცრუებული – მაინც რას ელოდნენ ჩემგან? – თვალცრემლიანი ტუჩს იკვნეტს, სისხლიან ცხვირსახოცს იქნევს და – მეც მზად ვარ, ამის შემხედვარე, ვაღიარო, რომ ყმაწვილი ავადაა. მივდივარ მასთან, ის მიღიმის, თითქოს მისთვის მადისაღმძვრელი და მოსაღონიერებელი წვნიანი მიმეტანოს – აჰ, ახლა ორივე ცხენი ჭიხვინებს; ხმაური – ალბათ უზენაესი ნებით მოვლენილი – გამოკვლევას აადვილებს, და უკვე ვფიქრობ, რომ ავადაა ყმაწვილი. მის მარჯვენა მხარეს, თეძოს მიდამოებში, ხელისგულის სიდიდის იარა აქვს. ვარდისფერი, უფრო ზუსტად – გარდამავალ ფერთა მთელი გამა: ვხედავ მას, შუაში მუქს, კიდეში ღიას, წვრილმარცვლიანს, უთანაბრო სისხლგროვებით, დიდს, ღია კარიერივით გადახსნილს. ასეა შორიდან. ახლოდან სურათი კიდევ უფრო მძიმდება. და ვინ შეძლებს შეხედოს ამას ისე, რომ გაკვირვებულმა ჩუმად არ დაუსტვინოს? ჭიები, სიგრძით და სისქით ჩემი ნეკის ოდენა, ვარდისფერი და წითელ სისხლში ამოსვრილი, თეთრთავიანი, მრავალფეხა არსებები, იარის შუაგულში იგრიხებიან, მის სიღრმეში ფუთფუთებენ, და მზის სინათლეზე მოიწევენ. საცოდავო ყმაწვილო, ვეღარავინ გიშველის. აღმოვაჩინე შენი დიდი იარა; შენს გვერდზე აღმოცენებული ეს ყვავილი, უკვე გაფურჩქნული, გაშლილი, მოგკლავს, დაგასამარებს. ოჯახი ბედნიერია, ისინი საქმეში მხედავენ; და ეუბნება დედას და; დედა მამას, მამა სტუმრებს, ფეხაკრეფით, თითის წვერებზე, ხელებგაშლილი, რომ მოიკვლევენ მთვარის შუქზე გზას და ოთახში მოიწევენ. „გადამარჩენ?“ ჩურჩულით მოთქვამს მის იარაში დაბუდებული ავისმომასწავებელი სიცოცხლით დაბრმავებული ყმაწვილი. ასეთია ჩემი მხარე. ექიმისგან შეუძლებელს მოითხოვენ. ძველი რწმენა დაკარგულია – მღვდელი ზის სახლში, გლეჯს და ფლეთს მესის ტანსაცმელს, ყველას, ერთიმეორის მიყოლებით; ექი-

მი კი ვალდებულია თავისი ნატიფი ხელებით ყველაფერი გააკეთოს. ახლა, როგორც გენებოთ: თავს არავისთვის მომიხვევია; გამომიყენებთ წმინდა მიზნებისთვის, არც ამაში გაგინევთ წინააღმდეგობას; ან რა უნდა მსურდეს მე, ერთ საწყალ, მოხუც სოფლის ექიმს, ვისაც ერთგული მოახლე მოსტაცეს! და მოდიან ისინი: ოჯახი, სოფლის უხუცესნი, მხდიან ტანსაცმელს; მოსწავლეთა გუნდი, მასწავლებელი რომ ლოტბარობს, სახლის წინ შეგროვილა და უბრალო მელოდიას გალობს:

„გახადეთ, გააშიშვლეთ და მაშინ უმკურნალებს,
თუ არა და არ აცოცხლოთ, მოკალით!
ის ხომ მხოლოდ ექიმია, მხოლოდ ექიმია ის."

შემდეგ მხდიან ტანსაცმელს, მშვიდად ვუყურებ – თითები მათ წვერში მებლანდება – ჩემზე დახრილ თავებს. ვარ გაწონასწორებული, ყველას მიმართ უპირატესობის გრძნობით აღვსილი, ასეთად ვრჩები ამ წუთებშიც, თუმცა რას მარგია – თავზე, ფეხებზე მკიდებენ ხელს და საწოლისკენ მიმათრევენ. მაწვენენ კედლისკენ, იარის მხარეს. ოთახიდან ყველა გადის; კარი იკეტება, სიჩუმეა, აღარც სიმღერა ისმის; გარს ეხვევა ღრუბლები მთვარეს; ირგვლივ ლოგინი სითბოდ იღვრება; აჩრდილებად ირხევა ფანჯრის ღიობში ცხენების თავები. „იცი", მესმის ყურში ჩურჩული, „ნდობა შენდამი ძალზე მცირეა. საიდანღაც გაჩნდი, არც საკუთარი ფეხით მოსულხარ. იმის მაგივრად, რომ მიშველო, ჩემს სასიკვდილო სარეცელში მავიწროებ. დიდი სიამოვნებით ამოგკაწრავდი მაგ თვალებს". „მართალია", ვეუბნები, „სამარცხვინოა. მაგრამ ექიმი ვარ. რა ვქნა? გჯერა, რომ ეს ჩემთვის არ არის ადვილი?" „და ამ მობოდიშებას უნდა დავჯერდე? ეჰ, ალბათ, კი. ისევ მე უნდა დავთმო, როგორც ყოველთვის. ამ მშვენიერი იარით მოვევლინე ქვეყანას; ეს იყო მთელი ჩემი ავლადიდება." „ჭაბუკო მეგობარო", ვეუბნები, „შენი მთავარი შეცდომა ისაა, რომ შეზღუდულია შენი ხედვა, ვიწროა შენი თვალსაწიერი. მე, ყველანაირი ავადმყოფობის მხილველი, გეუბნები: შენი იარა არც ისე მძიმეა – მხოლოდ ალესილი წალდის ორი დარტყმით გამოწვეული. ბევრი სთავაზობს ასე თავის გვერდს და არც წალდის ხმა ესმის ტყეში, მაშინაც კი, როდესაც ის ასე ახლოა." „მართლა ასეა, თუ მატყუებ, სარგებლობ ჩემი მაღალი სიცხით?" „მართლა ასეა, ირწმუნე სახელმწიფო სამსახურში მყოფი ექიმის პატიოსანი სიტყვა." ის იჯერებს. დგება სიჩუმე. ახლა დროა საკუთარი თავის გადარჩენაზე ვიფიქრო. ცხენები ჯერ კიდევ ერთგულად მიცდიან უწინდელ ადგილზე. ტანისამოსს, ქურქს, ხელჩანთას სწრაფად მოვუყარე თავი;

არ მინდოდა ჩაცმაში დროის ფლანგვა; ცხენები ისე რომ აჩქარებულიყვნენ, როგორც აქეთობას, ამ საწოლიდან პირდაპირ ჩემსაში აღმოვჩნდებოდი. მორჩილად დაიხია ერთმა ფანჯრიდან უკან; ჩემი შეკვრა ეტლში შევაგდე; ქურქი მეტისმეტად შორს გაფრინდა და კაუჭზე მხოლოდ სახელოთი ჩამოეკიდა. კიდევ არა უშავს. ცხენს შემოვახტი. აი, ისიც მიმაქანებს – ღვედი მიწაზე ეთრევა, სრიალებს, ორივე ცხენი თითქმის განცალკევებულია, აღარც წყვილის შებმაა თითქოს, ეტლიც ფეხათრევით მოგვყვება, მის უკან კი – ქურქი. „აბა, მხნედ, ყოჩაღად!“ მივმართავ ცხენებს, მაგრამ სიმხნევისა არაფერი ეტყობათ; მივდივართ ზლაზვნით, ტაატით, ამ თოვლის უდაბნოში, როგორც ქანცგაწყვეტილი მოხუცები; ჩვენ უკან ისმის ახალი მელოდია – მღერიან ბავშვები, მაგრამ სიმღერას ახლა სიმწყობრე დაუკარგავს:

„გიხაროდენ ავად მყოფნო,
ექიმმა ლოგინად რომ განგაწესათ!“

ასე სახლამდე ვერასოდეს მივაღწევ; ჩემი წარმატებული პრაქტიკა აღარ არსებობს; ის უკვე სხვამ მომპარა, მიითვისა. ამაოდ, ვერასდროს შემცვლის; ჩემს სახლში მეჯინიბე მძვინვარებს; როზა მსხვერპლია; ყველაფერს ვერც კი ჩამოვთვლი. შიშველი, წელიწადის ამ ავბედითი დროის, ყინვის კლანჭებში, მიწიერი ეტლით, არამიწიერი ცხენებით, დაეხეტიალობ ირგვლივ, მოხუცი, უმისამართოდ. ჩემი ქურქი უკან გადმოკიდებულა, შორსაა, ვერ ვწვდები, და ჩემი პაციენტების ამ ბრბოდან თითსაც არავინ ატოკებს. ვარ მოტყუებული! მოტყუებული! ერთხელაც ავყევი უდროო ღამის ზარს – და ახლა შეუძლებელია რამის გამოსწორება.

ქანდარაზე

ასე რომ იყოს: ვინმე, სუსტი, ჭლექიანი მოჯირითე გოგონა, ცხენზე ამხედრებული, დაუღალავი, შეუპოვარი პუბლიკის წინაშე, უფროსის მათრახის დაუნდობელი ტყლაშუნის თანხლებითა და იძულებით, თვეების მანძილზე მანეჟის ჩაკეტილ წრეში დაქრის – და ძლივსღა ეწევა თვალი – ირგვლივ ყველას კოცნას უგზავნის, არ ჩერდება, ირწევა, და მთელი ეს წარმოდგენა, ორკესტრის და ვენტილატორების შეუჩერებელი გრუხუნის თანხლებით, გამუდმებით წინ, ნაცრისფერ მომავალში მიისწრაფის, მის წინ უსასრულოდ რომ განივრცობა, რათა იქ სულ ახალ-ახალი ოვაციების ტალღების მოზღვავებაში დამკვიდრდეს, როდესაც ამ ტალღების წყარო – ხელები – არაფერია, თუ

არა ორთქლის ჩაქუჩი, ალბათ გამოქანდებოდა ქანდარის რომელიმე სტუმარი, ჩამოირბენდა გრძელ კიბეებს, მანეჟში შეიჭრებოდა და დაიყვირებდა: შეჩერდით! ეს ხმა გაკვეთდა, გააპობდა ორკესტრის ფანფარების ქუხილს, ყველაფერზე მორგებას რომ ცდილობს.

მაგრამ, ასე არაა: აი, მოფარფატდა ქალი – ლამაზი, თეთრი და ლოყებაჟღაჟა, გამოჩნდა ფარდებს შორის, ლივრეით თავმომწონე მსახურები სიგანეზე რომ წევენ; აქვეა დირექტორი – ერთგული ცხოველი, მთელი თავისი არსებით მისკენ მიმართული, მოწიწებით მისი მზერის მაძიებელი: მზრუნველად სვამს ვაშლისებური ლაქებით აჭრელებულ ცხენზე, თითქოს უსაყვარლესი შვილიშვილი ყოფილიყოს, ხიფათით აღსავსე თავგადასავალი რომ ელის; ყოყმანობს მათრახით ნიშნის მიცემაში; ბოლოს – ამ გაურკვევლობის დაძლევის ნიშნად – მას ატკაცუნებს; ერთხანს ცხენს გვერდით პირღია მისდევს და აკვირდება მხედრის ნახტომებს მზერა მახვილი; მისი ზღვარგადასული სითამამით შეძრწუნებული და მის დაშოშმინებას ინგლისურ ენაზე შეძახილებით ცდილობს; რისხვა რგოლებიან მეჯინიბეებზე გადააქვს, მათ უკიდურესი მზადყოფნისა და ყურადღებისკენ მოუხმობს; სალტომორტალეს წინ ხელებაწეული ორკესტრს თითქოს გაჩუმებას ევედრება; ბოლოს, ჯერ კიდევ აცახცახებული ცხენიდან აჰყავს პატარა, ორსავე ლოყაზე კოცნის და პუბლიკის თაყვანისცემა ეცოტავება, თვით მქუხარე ტაშიც; მაშინ როდესაც, გოგონას, მასზე დაყრდნობილს, ფეხის წვერებზე მანეჟის მტვერი ეფინება და ფართოდ ხელებგაშლილს, ბედნიერს და მისი შეკრებილ ხალხთან გაზიარების მოსურნეს, უკან გადაუწევია პაწია თავი და, რადგან სწორედ ასეა ყველაფერი, ამის მხილველი ქანდარის სტუმარი სახით მოაჯირს ეყრდნობა და, დასკვნითი მარშისას – თითქოს მძიმე სიზმრის ტყვეობაში იყოს – ქვითინებს, ვერ გაუგია რატომ.

ძველი ფურცელი

ისეა, თითქოს ჩვენი სამშობლოს დაცვის საქმეში საკმარის თავდადებას აღარ ვიჩენთ. აქამდე, ჩვენი საქმეებით დაკავებულები, ნაკლებად ვფიქრობდით ამაზე; მაგრამ ბოლოდროინდელი ამბები გვაშფოთებს.

ჩემი ფეხსაცმლის სახელოსნო მოედანზეა, იმპერატორის სასახლის წინ. ერთ მშვენიერ დღეს, გაღებული არ მქონდა მაღაზია და განთიადის ბინდში ვხედავ – არ იტყვით რას?! – მოედანზე გამომავალ ყველა ქუჩაზე განთავსებულ შეიარაღებულ ხალხს. ისინი ჩვენი ჯარისკაცები არ არიან. ცხადია, ეს ნომადებია ჩრდილოეთიდან.

ჩემთვის უცნობი გზებით შემოუღწევიათ დედაქალაქში, რომელიც

საზღვრთან არცთუ ახლოსაა; თან მათი რიცხვი თითქოს ყოველ-დღიურად მატულობს.

თავისი ტრადიციის თანახმად ღია ცის ქვეშ ცხოვრობენ და საცხოვრებელ სახლებს გაურბიან. ან რად უნდათ – მთელი დღეები ლესავენ ხმლებს, ნვერს უმახვავენ შუბებს, აჯირითებენ ცხენებს. ეს, ერთ დროს წყნარი, ყოველთვის გულმოდგინედ დასუფთავებული მოედანი მათ თავლად აქციეს. მართალია, ხანდახან, მივატოვებთ ხოლმე საქმეს, რათა ყველაზე ბინძური ნაგავი მაინც გავიტანოთ, მაგრამ ამას სულ უფრო იშვიათად ვაკეთებთ, რადგან ამაოა გარჯა, და სახიფათოც – სულ ადვილად შეიძლება ველური ცხენების ქვეშ მოვყვეთ ან მათრახი მოგვხვდეს.

საუბარი მათთან შეუძლებელია. ჩვენი ენა არ ესმით, და, შეიძლება ითქვას, არც საკუთარი აქვთ. ერთმანეთში ლაპარაკობენ როგორც ჭკები. ყოველთვის და ყველგან ისმის მათი ჭკისებური გადაძახილი. ჩვენი ცხოვრების წესი, ჩვენი დაწესებულებები მათთვის გაუგებარია, ისევე, როგორც არაფრისმთქმელი. ამიტომ გაურბიან ჟესტების ენასაც. თუნდ ყბა მოგექცეს და ხელები ილრძო, შენი არ ესმით და ვერც ვერაფერს გააგებინებ. ხშირად ემანჭებათ სახე; ატრიალებენ თვალის კაკლებს და დორბლი გადმოსდით პირიდან, მაგრამ ვერც რამის თქმას ახერხებენ და ვერც ვინმეს შეშინებას; უბრალოდ, ჩვევა აქვთ ასეთი. რაც სჭირდებათ, თან მიაქვთ. ვერ იტყვი, რომ ამისთვის ძალას იყენებენ – განზრახვაც საკმარისია, რომ გვერდზე გადგე და დაუთმო ყველაფერი.

ჩემი ნივთებიდანაც წაიღეს რაღაც. მაგრამ მაინცდამაინც ვერ დავიჩივლებ, მით უმეტეს ყასბის შემხედვარე. ვერ ასწრებს საქონლის მოტანას, რომ იმწამსვე ყველაფერს სტაცებენ და სანსლავენ. მათი ცხენებიც ხორცს მიირთმევენ; ხშირად ცხენის გვერდით წევს მხედარიც და ორივე ხორცის ერთი ნაჭრით ნაყრდება, საპირისპირო ბოლოებიდან. ყასაბი მშიშარაა და ვერ ბედავს ხორცის მოტანაზე უარის თქმას. ჩვენ გვესმის მისი, ვაგროვებთ ფულს და ვეხმარებით – ხორცის არქონისას, ვაითუ, უარესი მოიფიქრონ რამე, ვინ იცის; არც ის იცის ვინმემ, თუნდაც ხორცით უზრუნველყოფილებს რა მოუვათ თავში.

ბოლოს გადაწყვიტა ყასაბმა დაკვლის ხარჯები მაინც დაეზოგა და ერთ მშვენიერ დილით ცოცხალი ხარი მოიყვანა. ჯობდა ეს არ ექნა. თითქმის მთელი საათი ვიწექი სახელსნოს სილრმეში, მიწაზე, ზევიდან მეფინა ჩემი ტანსაცმელი, მეყარა გადასაფარებლები, ბალიშები, რათა ხარის ბღავილი არ მომესმინა, რომელსაც ყველა მხრიდან დააცხრნენ ნომადები და კბილებით დაგლიჯეს.

უკვე კარგა ხნის დაშოშმინებული იყო მიდამო, როდესაც ჩემი

თავშესაფრიდან გამოსვლა გავბედე; ისინი ეყარნენ ხარის ნარჩენებთან, როგორც ღვინის ჭურჭელთან ლოთები.

თითქოს სწორედ მაშინ შევამჩნიე კაიზერი თავისი სასახლის ფანჯარაში; სხვა დროს ის არასოდეს მოსულა აქ, წინა ოთახებში, ის ყოველთვის შიდა ბაღში ჩერდებოდა; ახლა კი იდგა – ან, ყოველ შემთხვევაში, ასე მეჩვენებოდა – ერთ-ერთ ფანჯარასთან და ამ ამბავს, ამ საშინელებას, სასახლის წინ თავჩაქინდრული უყურებდა.

„რა იქნება?" ვეკითხებოდით ერთმანეთს. „რამდენ ხანს უნდა გავუძლოთ ამ გაუსაძლისს? ნომადები კაიზერის სასახლემ მიიზიდა, ხოლო როგორ განდევნოს იქიდან, არ იცის. ჭიშკარი დაკეტილია; გუშაგები, ერთ დროს საზეიმო მსვლელობით რომ გამოდიოდნენ და უკან ბრუნდებოდნენ, ახლა გისოსებიანი ფანჯრების უკან იმალებიან და ქვეყნის გადარჩენა ჩვენთვის, ხელოსნებისა და კომერსანტებისთვის მოუნდვიათ; მაგრამ უცხოა ჩვენთვის ეს ყველაფერი; და არც მოგვიწონებია როდესმე ამით თავი. გაუგებრობაა ეს და ყველას დაღუპვას გვიქადის.

კანონთან შეღწევის მოლოდინში

კანონის წინ დგას კარის დარაჯი. მოდის სოფლელი, სთხოვს კანონთან შეშვებას. მაგრამ კარისკაცი უარით ისტუმრებს. მამაკაცი დაფიქრდება და ეკითხება, შეძლებს თუ არა მოგვიანებით იქ მოხვედრას. „ეს შესაძლებელია", ისმის პასუხად, „მაგრამ არა ახლა." ჭიშკარი, როგორც ყოველთვის, ღიაა, კარისკაცი გვერდზე გადგება და, აი, წელში იხრება კაცი, რათა შიგ შეიხედოს. დარაჯი ამჩნევს ამას და ეუბნება: „თუ ძალიან გსურს, შეგიძლია შეხვიდე, ჩემი აკრძალვის მიუხედავად. მაგრამ გახსოვდეს: მართალია, დიდია ჩემი ძალაუფლება, მაგრამ უსუსტესი ვარ. დარბაზიდან დარბაზში შეხვდები კარის დარაჯებს, რომელთა ძალაუფლება რიგითობის მიხედვით იზრდება და უკვე მესამისთვის თვალის გასწორება ჩემს ძალებს აღემატება." სოფლის შვილი არ მოელოდა ასეთ სირთულეებს; კანონი ყოველთვის და ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, ფიქრობს ის, მაგრამ, როდესაც ყურადღებით აკვირდება ბეწვის ქურქში გახვეულ დარაჯს, მის დიდ, წაწვეტებულ ცხვირს, თათრულ წვერს – გრძელს, თხელსა და შავს – გადაწყვეტს შესვლის ნებართვას დაუცადოს. დარაჯი ჭიშკრის გვერდით სკამსა და მოსვენებას სთავაზობს. და ზის ისიც ასე,დღეების, წლების მანძილზე. არ აკლებს ცდას, როგორმე შიგ მოხვედრის უფლება რომ მოიპოვოს და დარაჯს გულს უწყალებს. ის კი პატარა დაკითხვებს უწყობს – სამშობლოს შესახებ, ესაუბრება სხვა საკითხებზეც. ესაა გულგრილი კითხვები, დიდ ბატონებს რომ

სჩვევიათ და, ბოლოს, მთელი ეს საუბარი, როგორც წესი, მთავრდება უარით. კაცი, რომელიც ამ მოგზაურობისთვის სათანადოდ აღიჭურვა, დარაჯის მოსაქრთამად მზადაა ყველაფერი გაიღოს, თუნდაც ყველაზე ძვირფასი. ეს უკანასკნელი, მართალია, ყველაფერს ართმევს, მაგრამ ეუბნება: „ვიღებ მხოლოდ, რათა არ იფიქრო, რომ შენს ცდას რაღაც დააკელი." მრავალი წლის მანძილზე აკვირდება მას კაცი, თვალს არ აცილებს. სხვები აღარ ახსოვს, რადგან სწორედ ეს მიაჩნია ერთადერთ დაბრკოლებად მიზნის მიღწევის კანონში შეღწევის გზაზე. წყევლის ბედს, თავიდან, უკანმოუხედავად და ხმამაღლა, ასაკში შესვლისას, მხოლოდ თავისთვის ბუზღუნებს. ის გახდა ბავშვივით უმწეო, და, რადგან დარაჯის ქურქზე მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად მის რწყილსაც კი კარგად იცნობს, სთხოვს მას დახმარებას, დარაჯის გადარწმუნებას. ბოლოს, კარგავს თანდათან თვალში სინათლეს და აღარ იცის, მართლა სიბნელე ჩამოწოლილა ირგვლივ, თუ ეს მხედველობა ღალატობს. მაგრამ არჩევს მაინც ამ სიბნელეში სინათლის ბრწყინვალებას, კანონის კარიდან შეუფერხებლად და ჩაუქრობლად რომ ანათებს. დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენია. და თავს იყრის მასში მთელი ამ დროის გამოცდილება, იმ ერთ, ერთადერთად კითხვად ყალიბდება, დარაჯისთვის რომ არ დაუსვამს. თვალით მოიხმობს – მის გახევებულ სხეულს წელში გამართვა უჭირს – და დარაჯი იძულებულია დაიხაროს, რადგან სხვაობა სიმაღლეში მის სასარგებლოდ შეცვლილა მკვეთრად. „ახლა რის ცოდნას ისურვებდი?" ეკითხება დარაჯი. „რით' ვერ დაიცხრე ცნობისმოყვარეობა." „ყველა მაინც კანონის შესაბამისად კვდება", ამბობს კაცი, „როგორ მოხდა, რომ ამ ხნის მანძილზე ჩემ გარდა შესვლის ნებართვა არავის უთხოვია?" და ხვდება დარაჯი, რომ მას დიდი ხანი აღარ დარჩენია და, რათა როგორმე გააგონოს, გადალახოს დაბრკოლება – მისი დაყრუებული სმენა – უყვირის: „აქ ვერავინ მიიღებდა შესვლის უფლებას, რადგან ეს შესასვლელი მხოლოდ შენთვის იყო განკუთვნილი. ახლა კი დროა, წავიდე და დავკეტო."

ტურები და არაბები

ოაზისში გავჩერდით. თანამგზავრებს უკვე ეძინათ. წინ მაღალმა, თეთრმა არაბმა ჩამიარა; აქლემებისთვის დაეხედა და ახლა უკან ბრუნდებოდა.

ბალახზე პირაღმა დავწექი; ძილი მინდოდა; მაგრამ არაფერი გამომდიოდა; შორს ტურის მოთქმა-ჩხავილი ისმოდა; კვლავ წამოვჯექი. და ამას წინ ასე შორი, უეცრად სულ ახლოს აღმოჩნდა – ტურები უკვე ჩემ ირგვლივ ირეოდნენ, იყო სინათლის წერტილების

ციმციმი, მათი თვალების დაბინდული ოქროს უეცარი ჩაქრობა-გაელვება; თხელი, პატარა სხეულების, თითქოს მათრახის მუქარით, თანაბარი, სხარტი მოძრაობა.

ერთი ზურგიდან მომიახლოვდა, სულ ახლოს მოვიდა, გამოყო თავი ჩემს იღლიაში, თითქოს სითბოს დახარბებული, გამეხახუნა, მეორე მხარეს გამოვიდა, წინ დამიდგა, შემომხედა, თითქმის თვალი თვალში გამიყარა და მომმართა:

„მე ვარ ტურათა შორის უხუცესი, შორს თუ ახლოს, აქ და ყველგან. მოხარული ვარ, რომ შემიძლია ჩვენს მხარეში მოგესალმო. იმედი თითქმის დაკარგული მქონდა, რადგან დიდხანს, დიდხანს გელოდით; გელოდა ჩემი დედა, ჩემი დედის დედა და ყველა მათი დედის დედა, ვიდრე თვით ყველა ტურის დედამდე. გჯეროდეს!"

„მიკვირს," ვთქვი მე. აი, უიღბლობა – წინასწარ მომარაგებული ნაფოტის ანთება დამვიწყებოდა, რომლითაც მათ მოგერიებას ვაპირებდი, „მიკვირს ამის მოსმენა. მხოლოდ შემთხვევით აღმოვჩნდი აქ, მოვდივარ შორეული ჩრდილოეთიდან და არ ვაპირებ დიდხანს დარჩენას. და რა გსურთ თქვენ, ტურებო?"

თითქოს ჩემი ხაზგასმით მეგობრული მიმართვით გათამამებულებმა წრე ჩემ ირგვლივ უფრო შეავიწროეს, ახლოს დამიდგნენ; მესმოდა მათი სუნთქვა, უფრო კი სისინი, მოკლე და გახშირებული.

„ვიცით", დაიწყო უხუცესმა, „რომ ჩრდილოეთიდან მოდიხარ, ჩვენი იმედიც სწორედ ამას ეფუძნება. იქაა გონება, აქ, არაბებში რომ ვერ შეხვდები. მათი ქედმაღლობის ცივ კაჟს გონების ნაპერწკალს ვერ გამოჰკრავ. საჭმელად ცხოველებს კლავენ და ლეშს ამრეზით უყურებენ."

„ნუ ლაპარაკობ ასე ხმამღლა", ვუთხარი, „მათ აქვე, ახლოს სძინავთ."

„ეჰ, მართლა რომ უცხო ხარ," მიპასუხა ტურამ, „თორემ გეცოდინებოდა – მსოფლიოს ისტორიაში ვერ ნახავ შემთხვევას, რომ ტურას შეშინებოდეს არაბის. ვისი უნდა გვეშინოდეს, მათი? განა არ არის საკმარისი, რომ ასეთ ხალხში ვართ გარიყული?"

„შესაძლოა, შესაძლოა," ვეუბნები, „ვერ განვსჯი საგნებს, ჩემთვის ასე შორსა და მიუწვდომელს; დიდი ხანია არ წყდება ამაზე კამათი; ალბათ სისხლშია გამჯდარი და სისხლითვე დამთავრდება."

„ძალზე ჭკვიანი ხარ", თქვა მოხუცმა ტურამ; სუნთქვა უფრო გახშირებოდათ, თუმცა ჩუმად იდგნენ; მცემდა მათი ხახიდან მომავალი მძაღე სუნი, დროდადრო პირის მოკუმვით დახშული და შერბილებული, „შენ ძალზე ჭკვიანი ხარ; რასაც ამბობ, სრულად ეთანხმება ჩვენს უძველეს მოძღვრებას. მაშ, რაღა დაგვრჩენია, მათ სისხლს გამოვწოვთ და ქიშპობაც ამით დასრულდება.

„ო!“ ვთქვი მე გზნებით, იმაზე მეტით, რასაც ვისურვებდი. „ისინი თავს დაიცავენ და თავიანთი თოფებით ერთიანად მუსრს გაგავლებენ.“

„ვერ გაგვიგე“, თქვა მან, „ეს ჩვეულებრივი, ადამიანური წარმოდგენებია, შორეულ ჩრდილოეთშიც რომ ცოცხლობს. ჩვენ მათ არ მოვკლავთ. მაშინ ჩვენს გაბანვას მთელი ნილოსის წყალი არ ეყოფოდა. ჩვენ მათ გავურბივართ. ამ არსებების დანახვა, იმის ხილვა, რომ ცოცხლობენ, მოძრაობენ, გვაიძულებს ხსნა სუფთა ჰაერზე, ღია უდაბნოში ვეძებოთ, რომელიც სწორედ ამიტომ გამხდარა ჩვენი სამშობლო.“

და ირგვლივ მყოფმა ტურებმა, რომელთა შორის ბევრი იყო შორიდან მოსული, თავები წინა ფეხებში ჩარგეს და თათებით მის გაკოხტავება-გასუფთავებას შეუდგნენ; თითქოს ზიზღის დაფარვას ცდილობდნენ. ამ სანახაობამ იმდენად შემზარა, რომ ერთი სული მქონდა აქედან გამეღწია – სიამოვნებით გავაკეთებდი ნახტომს, ისეთს, აქაურობას სასწრაფოდ რომ გამარიდებდა.

„მაშ, რის გაკეთებას აპირებთ?“ ვიკითხე და წამოდგომა დავაპირე; მაგრამ ვერ ვახერხებდი; ორი ახალგაზრდა ტურა ჩემს ტანსაცმელს კბილებით ჩაფრენოდა; იძულებული ვიყავი ადგილზე დავრჩენილიყავი. „ისინი ტანსაცმლის კალთებით გაკავებენ“, წარმოთქვა მოხუცმა დინჯად, თან თითქოს ჩემს მდგომარეობას მიხსნიდა – „პატივისცემის ნიშნად.“ „უნდა გამიშვათ!“ ვუყვიროდი ხან მოხუცს, ხან ახალგაზრდას. „რა თქმა უნდა, გაგიშვებენ“, თქვა უფრო ხანდაზმულმა, „როცა კი ინებებ. მაგრამ ცოტა უნდა მოიცადო, რადგან ჩვენი ჩვევით კბილები ძალიან ღრმადა აქვთ ჩასობილი და ყბების დაცილებას დრო სჭირდება. მაშ, ისმინე ჩვენი თხოვნა.“ – „თქვენმა ქცევამ ამ თხოვნის მიმართ ყრუ და გულგრილი გამხადა.“ „ნუ ეცდები ჩვენთვის სამაგიეროს გადახდას“, თქვა მან და მოთქმა-ვედრების ტონი თავის ბუნებრივ ხმას პირველად შეაშველა, „ჩვენ საწყალი ცხოველები ვართ, მხოლოდ კბენაა ჩვენი იარაღი; ყველაფრისთვის, რასაც ვაკეთებთ, კარგისა თუ ცუდისთვის, დაგვრჩენია მხოლოდ კბენა.“ „მაშ, რა გინდა?“ ვკითხე ცოტა მომლბარმა.

„ბატონო,“ შეჰყვირა მან და ყველა ტურა ერთად აჩხავლდა, ეს ხმა შორეთიდან მომავალ მელოდიად ჩამესმოდა. „ბატონო, შენ ის ქიშპი უნდა დაასრულო, მსოფლიოს ორად რომ ხლეჩს. ამის შემძლე ჩვენმა წინაპრებმა სწორედ ისე აღწერეს, როგორიც შენ ხარ. მშვიდობა გვჭირდება არაბებისგან; ჰაერი, რომ ვისუნთქოთ; მათგან თავისუფალი ხედი; და არა დასაკლავად განწირული ცხვრის სასოწარკვეთილი მოთქმა-ვედრება; ყველა ცხოველმა მშვიდად უნდა დალიოს სული; ჩვენ კი უნდა შეგვეძლოს თავისუფლად გამოვწოვოთ მთელი სისხლი და მათი ძვლები ხორცისგან გავწმინდოთ, გავასუფთაოთ. სიწ-

მინდე, მხოლოდ სიწმინდე, აი, რა გვსურს", მოთქვამდა, ქვითინებდა ყველა, „და როგორ ეგუები შენ ამ ქვეყანას, შენ, კეთილო გულო და ნეტარო შიგნეულობავ? ჭუჭყია მათი სითეთრე; ჭუჭყია მათი სიშავე; შემზარავია მათი წვერი; ფურთხება გინდება მათი თვალის ჭრილის შემხედვარეს; ხელის აწევა და იღლიაში ჯოჯოხეთი აღებს ხახას. ამიტომ, ო, ბატონო, ამიტომ ო, სათნო ბატონო, შენი ყოვლისშემძლე ხელებით, შენი ყოვლისშემძლე ხელებით გამოღადრე მათ ამ მაკრატლით ყელი!" და მის თავის დაქნევაზე ტურა მოგვიახლოვდა, რომელსაც ეშვზე გადმოკიდებული პატარა, ჟანგიანი თერძის მაკრატელი მოჰქონდა.

„აჰა, ბოლოს და ბოლოს, მაკრატელი და ბარემ მოათავე საქმე!" იყვირა ჩვენი ქარავნის არაბმა წინამძღოლმა, ქარის საწინაარმდეგო მიმართულებიდან რომ მოგვპარვოდა; ჰაერში მისმა უზარმაზარმა მათრახმა გაიელვა.

ყველა სასწრაფოდ გაგვეცალა, ისინი მოშორებით გაჩერდნენ, გაქვავებულები ერთმანეთთან ახლოს ჩაცუცქდნენ, ისე ახლოს, რომ ეს ყველაფერი ვიწრო, წნულ ღობეს დაემსგავსა, რომელშიც მოძრავი, მოციმციმე, ნათელი წერტილები გამოკრთოდა.

„ასე, შენ ნახე და მოისმინე ეს წარმოდგენა", თქვა არაბმა და მხიარულად გაიცინა, რამდენადაც თავისი ტომის თავდაჭერილობა ამის საშუალებას აძლევდა. „მაშ, იცი რა სურდათ ამ არსებებს?" ვკითხე მე. „რა თქმა უნდა, ბატონო", მიპასუხა მან, „მოგზაურობს ეს მაკრატელი უდაბნოში და იმოგზაურებს ჩვენთან ერთად, ვიდრე სამყაროს დასასრულამდე. ყველა ევროპელს სთავაზობენ მას ამ დიდი მისიის შესასრულებლად; და მათი აზრით, ყოველი მათგანი სწორედ ამ საქმისთვის არის მოწოდებული. ფუჭი, უაზრო იმედები, სულელები, ნამდვილი სულელები. ამიტომ გვიყვარს ისინი; რადგან ჩვენი ძაღლები არიან; და უფრო ლამაზები, ვიდრე თქვენი. შეხედეთ ერთი, ამ ღამით აქლემმა დალია სული. მე ვბრძანე მისი მოყვანა."

ოთხმა მზიდავმა იგი ჩვენ წინ დააგდო. როგორც კი ეს მოხდა, აღიმაღლეს ხმა ტურებმა. თითქოს მათ ყელზე გამობმულ ბანარს ეწეოდა ვიღაც ღონივრად, მოყვებოდნენ ამ უცხო ნებას მორჩილად, მიწაზე გართხმულები მოხოხავდნენ – არაბების მიმართ სიძულვილი აღარავის ახსოვდა. ლეშის აყროლებული სუნით მონუსხულები მთლიანად გამიჯნოდნენ სინამდვილეს. უკვე ჩაასო ერთმა მათგანმა ყელში კბილები, პირველივე ცდით – პირდაპირ არტერიაში. ვით პატარა, ცოფმორეული ტუმბო, სასოწარკვეთილი აღტყინებით რომ ცდილობს მის ძალებს აღმატებული ხანძრის ჩაქრობას, თრთოდა და ხტოდა მისი ყველა კუნთი. და მაღლა, მთაზე, ამ საქმეში სასწრაფოდ ჩაერთო ყველა.

წინამძღოლმა ზურგზე მათ მწველი, მშანთავი მათრახი გადაუჭირა, ურტყამდა უმოწყალოდ. ყველამ წამოყო თავი; ვერ გამორკვეულიყვნენ ამ თავდავიწყებიდან, იყვნენ დაბნეულნი, უმწეონი; დაინახეს არაბი და ახლა უკვე საკუთარი დინგით შეიგრძნობდნენ დარტყმის სიმწარეს; უკან გადახტნენ და ერთხანს სირბილით დაიხიეს. მაგრამ მათ წინ აქლემის სისხლის გუბე გადაშლილიყო და ოხშივარი ასდიოდა – სხეული უკვე მრავალ ადგილზე დაეფლითათ. დიდი იყო ცდუნება; და კვლავ დაბრუნდნენ; კვლავ ასწია წინამძღოლმა მათრახი; მე ხელი დავუჭირე.

„მართალი ხართ, ბატონო", თქვა მან, „მოვალეობის შესრულებაში ხელს ნუ შევუშლით; თან ჩვენი გამგზავრების დროა. თქვენ ნახეთ ისინი. უცნაური ცხოველებია, არა? და როგორ ვძულვართ!"

სტუმრად მაღაროში

დღეს მაღაროში უფროსი ინჟინრები გვესტუმრნენ, ეტყობა, ახალი გვირაბის გაყვანის თაობაზე დირექციის განკარგულებასთან დაკავშირებით. მოვიდნენ, რათა დაიწყონ წინასწარი გაზომვები. რა ახლაგაზრდები არიან, როგორი განსხვავებული! ყველას ეტყობა თავისუფალი ცხოვრების კვალი – შეუზღუდავია მათი თავდაჯერებულობა, უკვე სიჭაბუკეში გამჟღავნებული.

ერთი მათგანი – შავთმიანი – მოძრავია, ცოცხალი, ვერ ისვენებს, ყველაფერს ათვალიერებს. მეორე – ბლოკნოტით ხელში, ჩანახატებს აკეთებს, სიარულისას ირგვლივ იყურება, ყველაფერს აკვირდება, იწერს, ადარებს.

მესამეს ხელები პიჯაკის ჯიბეებში ჩაუწყვია და დადის ასე, ტანსაცმელშემოტკეცილი და წელგამართული; ყველაფერში ღირსებას ინარჩუნებს; მხოლოდ გამუდმებულ ტუჩების კვნეტაში მჟღავნდება მისი სულსწრაფი, მოუთვინიერებელი სიჭაბუკე.

მეოთხე რაღაცას უხსნის მესამეს, რომელსაც ეს მაინცდამაინც არ აინტერესებს; და ამ უკანასკნელზე პატარა, სულ ცდილობს არ ჩამორჩეს – სული მაცდური, საჩვენებელი თითი მუდამ ზევით მიმართული და საუბარი მისი – ლიტანია, ირგვლივ მომხდარის მატიანე.

მეხუთე, შესაძლოა რანგით უფროსი, თანხლებას ვერ ჰგუობს; ხან ყველას უსწრებს, ხან ჩამორჩება, დანარჩენები იძულებით ფეხს უწყობენ; ის ფერმკრთალია და სუსტი; პასუხისმგებლობის გამახვილებულ გრძნობას გამოუფიტავს, თვალები ჩაცვენია; მუდამ ჩაფიქრებული, ხშირად იდებს ხელს შუბლზე.

მეექვსესა და მეშვიდეს, წელში ოდნავ მოხრილებს, ხელიხელგაყრილებს, ერთმანეთთან ახლოს მიუტანიათ თავები, დადიან და

საუბრობენ – ორი ახლო ადამიანის ნდობითა და ურთიერთგაგებით აღსავსენი; რომ არა ჩვენი ქვანახშირის მაღარო, სადღაც დედამიწის სიღრმეში ჩაკარგული ადგილი, იფიქრებდით, რომ ეს არსებები, ორივე – გამხდარი, ძვალი და ტყავი, უწვერულვაშო, ცხვირბარაქიანი – ახლგაზრდა სასულიერო პირია. ერთი მათგანი თავისთვის ჩაიცინებს, კატასავით კრუტუნებს და ეს, ჩასუნთქვის ტალღას დამგზავრებული ჩაცინება, შიგნითაა მიმართული; მეორეს კი, ასევე მოღიმარს, მჭევრმეტყველს, ხელით გამოჰყავს ტაქტი. რამდენად უსაფრთხოდ უნდა გრძნობდნენ თავს თანამდებობაზე, რომ ასეთი მნიშვნელოვანი შემოვლისას, შეფის თანდასწრებით, საკუთარი საქმეებით ან ისეთით, ამჟამინდელ გარემოებებთან რომ არა აქვს კავშირი, ასე თავდაჯერებით დაკავდნენ. იქნებ, მიუხედავად ამ სიცილისა და დაუდევრობისა, ყურადღების მიღმა მაინც არაფერი რჩებათ? ასეთ ბატონებზე ძნელია შეიქმნა გარკვეული აზრი.

მეორე მხრივ, ცხადია, რომ, მაგალითად, მერვე საქმიანია, შეუდარებლად მეტად, ვიდრე ეს ორი, და დანარჩენ ბატონებთან შედარებითაც. ის ყველაფერს სინჯავს და პატარა ჩაქუჩს – დროდადრო რომ იღებს ჯიბიდან და შემდეგ ისევ უკან აბრუნებს – ყველაფერს, მისთვის საინტერესოს, უკაკუნებს. ხანდახან, მიუხედავად ელეგანტური ჩაცმულობისა, დაბლა, ტალახში იხრება და ამგვარი კაკუნით მიწის სიმკვრივეს ამოწმებს, შემდეგ კი – სიარულისას, გაუჩერებლად – კედლებს ან ჭერს. ერთხელ ძირშიც კი გაწვა და ერთხანს ასე გაუნძრევლად დარჩა; რაღაც ცუდიც კი ვიფიქრეთ; მაგრამ მალევე წამოიმართა, თავისი მოქნილი სხეული მსუბუქ წამოხტომაში გამართა. თურმე რაღაცას იკვლევდა. ვფიქრობდით, რომ კარგად ვიცოდით ჩვენი მაღარო და ქვები, თუმცა ვერაფრით მივხვდით ეს ინჟინერი რას არკვევდა.

მეცხრე რაღაც საბავშვო ეტლის მსგავსს მოაგორებს, რომელზეც საზომი ხელსაწყოები აწყვია – ძვირფასი ინსტრუმენტები, სიღრმეში მსუბუქ ბამბაში გახვეული რომ მოჩანს. რა თქმა უნდა, ეტლი მსახურს უნდა მოჰქონდეს, მაგრამ მას ვერავის ანდობენ; ახლოს ყოველთვის უნდა იყოს ინჟინერი, და ისიც, როგორც ვხედავთ, ამას სიამოვნებით აკეთებს. ის ყველაზე ახალგაზრდაა, შესაძლოა, არც ყველა ამ ხელსაწყოს დანიშნულება ესმის, მაგრამ თვალს არ აშორებს და ამის გამო ხშირად მათ საფრთხეშიც აგდებს, რადგან დიდია კედელთან შეჯახების ალბათობა.

და საამისოდ არის კიდევ ერთი ინჟინერი, ყოველთვის ეტლის გვერდით – მისი დამზღვევი. როგორც ეტყობა, მას საფუძვლიანად ესმის ამ ხელსაწყოების და მათი მოვლა-პატრონობა ამიტომაც აბარია. დროდადრო, მოძრაობისას, იღებს რომელიმე ხელსაწყოს

– გახედავს, უშვებს ან უჭერს რაღაცას, შეანჯღრევს, უკაკუნებს, ყურთან მიიდებს და უსმენს; ბოლოს, ეტლის გაჩერებისას, ფრთხილად დებს უკან, შორიდან თითქმის შეუმჩნეველ, პატარა ნივთს. ის ოდნავ მბრძანებლურია, რაც მხოლოდ ხელსაწყოებზე ზრუნვითაა ნაკარნახები. უსიტყვოდ, თითით მინიშნებისას გზიდან ათი ნაბიჯით ადრე უნდა გადავუხვიოთ, გავეცალოთ, მაშინაც, როდესაც ისედაც ასეთი სივიწროვეა.

ამ ორ ბატონს მოჰყვება დაუსაქმებელი მსახური. ბატონების ქედმაღლობა, ამ უკანასკნელებს დიდი ხანია გვერდზე რომ გადაუდიათ, რაც, მათი ღრმა ცოდნისა და კომპეტენციის გათვალისწინებით, სრულიად ბუნებრივია, მსახურს, პირიქით, იქვე უპოვია, აუღია და მთლიანად თავის თავზე მოურგია. ერთი ხელი ზურგზე შემოუდია, მეორე ლივრეის ხავერდოვან ქსოვილს ეფერება, სალამს მარჯვნივ და მარცხნივ არიგებს, თითქოს ჩვენი მისალმების პასუხად, ან შესაძლოა ჰგონია, რომ ჩვენ სალამს არ დავიშურებდით, და მან ეს, საკუთარი ღირსების სიმაღლიდან უბრალოდ ვერ შეამჩნია. რა თქმა უნდა, არ მივსალმებივართ, თუმცა მისი შემხედვარე კაცი იფიქრებს, რომ ის რაღაც მნიშვნელოვანი პერსონაა, მაგალითად, მაღაროს დირექციის კანცელარიის მსახური. ბუნებრივია, მის ზურგს უკან ჩვენ გვეცინება და, რადგან მას ჭექა-ქუხილიც კი ვერ გამოაფხიზლებს და ვერაფერი მოაბრუნებს, ჩვენთვის უცნაურ, ეგზოტიკურ არსებად რჩება.

დღეს ცოტა მეტი ვიმუშავეთ; შესვენება მეტისმეტად დიდი გამოგვივიდა; ასეთი სტუმრობა მუშაობისთვის ასე აუცილებელ ყურადღებას მთლიანად გიფანტავს. მეტისმეტად მაცდუნებელია ბტონებს გვირაბის სიბნელეში ადევნო თვალი, რომელშიც ისინი იკარგებიან. მაგრამ, ჩვენი სამუშაო დღე მთავრდება; და მათი უკან მობრუნების მოწმენი ვეღარ ვიქნებით.

უახლოესი სოფელი

პაპას უყვარდა თქმა: „სიცოცხლე საოცრად მოკლეა. ახლა მოგონებები ისე ირევა ჩემში, რომ არ მესმის, როგორ შეუძლია ახლაგაზრდა კაცს ცხენი უახლოესი სოფლისკენ გააჭენოს და – რომ არაფერი ვთქვათ უბედურ შემთხვევაზე – არ ეშინოდეს, რომ სიცოცხლის ჩვეულებრივი, ბედნიერი დინება ასეთი წამოწყებისთვის საკმარისი არაა."

იმპერატორის გზავნილი

იმპერატორმა, და ასე ჰქვია მას, თავისი სასიკვდილო სარეცლიდან ეს გზავნილი შენ – ერთ კერძო პირს, სანყალ, უბირ ქვეშევრდომს, საიმპერატორო დიდების მზის უშორეს კუთხეში გახიზნულ პაწანინა აჩრდილს – დიახ, სწორედ შენ გამოგიგზავნა. უბრძანა მაცნეს საწოლთან დახრა და წერილი ყურში ჩასჩურჩულა; და ეს იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ დანაბარების გამეორება ბრძანა და ახლა ის ყურში უკან ჩასჩურჩულეს. ნათქვამის სისწორე მომაკვდავმა თავის დაქნევით დაადასტურა. და იგი – მისი სიკვდილის მოწიწებით მომლოდინე დიდებულების თანდასწრებით, რადგან ხელისშემშლელი კედლები დაენგრიათ და ფართოდ გაშლილი შესასვლელი კიბეების გასწვრივ, თავიანთი რანგისა და წოდების შესაბამისად, იმპერიის წარჩინებული პირები ჩამწკრივებულიყვნენ – გააგზავნა. ის მხნე, დაუღალავი, მაშინვე შეუდგა დავალების შესრულებას; ხალხმრავლობაში ის გზას ხან ერთი და ხან მეორე წინ გაწეული ხელით იკვალავს; წინააღმდეგობისას მზის ქარგულობით დამშვენებულ მკერდს აჩვენებს; მიიწევს წინ, მსუბუქად, როგორც არავინ. ოღონდ ხალხმრავლობაა არნახული და არც მათ სახლებს უჩანს ბოლო. გაშლილი ველები რომ ყრფილიყო! – გაფრინდებოდა და სტუმრობას კარზე მუშტების დიდებული კაკუნით გაუწყებდათ. ნაცვლად ამისა, რა ამაოდ უნდა დაშვრეს – ჯერ კიდევ ვერ გაუღწევია სასახლის შიდა სივრცის ოთახებიდან – ალბათ ველარც გააღწევს; კიდეც რომ მოახერხოს, არაფერი ექნება სატრაბახო; გზა დაბლა კიბეებზე ძალით უნდა გაიკაფოს და, ეს რომც შეძლოს, სასახლის შიდა ეზოებიც უნდა გადაკვეთოს; ეზოების შემდეგ – კვლავ სასახლე, ირგვლივ შემორტყმული; კვლავ კიბე და ეზოები; და ასე მთელი ათასწლეულები; ბოლოს, ვთქვათ და გარე ჭიშკრიდან გამოაღწია – ოღონდ ეს არასოდეს, არასოდეს მოხდება – წინ სატახტო ქალაქი გადაშლილა, სამყაროს შუაგული და მასზე დახვავებული მთელი წიაღისეული სიმდიდრეები. არსად არავინ მიისწრაფის და მით უმეტეს მომაკვდავის გზავნილით. და შენ, საღამოს პირზე ფანჯარასთან მჯდომს, ეს ყველაფერი დაგსიზმრებია.

ოჯახის უფროსის წუხილი

ერთნი ამბობენ, რომ ოდრადეკი სლავური სიტყვაა და ამის საფუძველზე ცდილობენ მისი წარმოშობის განჭვრეტას. სხვები მიიჩნევენ, რომ სიტყვა გერმანულია და უფრო სლავური გავლენისკენ იხრებიან. მაგრამ ორივე შეხედულების არასანდოობა და ბუნდოვანება იმ დასკვნის საფუძველს ქმნის, რომ არც ერთი არის მართებული, მით

უმეტეს, სიტყვის მნიშვნელობის დადგენა ვერც ერთის მეშვეობით ვერ ხერხდება.

ცხადია, ამგვარი წიაღსვლებით თავს არავინ შეიწუხებდა, რომ არა ოდრადეკის არსებობა. ის, პირველ რიგში, ბრტყელი, ვარსკვლავ-ისებური ძაფის კოჭია, რა თქმა უნდა, ძაფიანი, თუმცა ეს უფრო ძველი, გადაბმული ან ერთმანეთში აბლანდული სხვადასხვა სახისა და ფერის ნაგლეჯებია და არა ერთი მთლიანი. მაგრამ ის მხოლოდ კოჭი არ არის და მასზე, ვარსკვლავის შუაგულში გაყრილ პატარა ჩხირზე, მართი კუთხით, კიდევ ერთია დამაგრებული. ამ ყველაფერს ადამიანივით ორ ფეხზე დგომა, ერთი მხრივ სწორედ ამ უკანასკნელზე და მეორე მხრივ ვარსკვლავის ქიმებზე დაყრდნობილს შეუძლია.

კაცი იფიქრებს, რომ ამ უცნაურ ქმნილებას ერთ დროს რაღაც ფუნქცია ჰქონდა და ახლა მისგან მხოლოდ ნაწილი დარჩენილა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ასე არაა; ყოველ შემთხვევაში არაფერი მეტყველებს ამაზე; არსად ჩანს დამატებითი დეტალებისთვის ბუდეები ან რამე ჩამონატეხის კვალი; მთელი, მართალია, ცოტა უაზროდ გამოიყურება, მაგრამ თავისებურად რაღაც მთლიანობას მაინც განასახიერებს. უფრო დეტალური დაკვირვება კი, რაც უფრო ღრმა დასკვნების საფუძველი გახდებოდა, შეუძლებელია, რადგან ოდრადეკი ძალზე მოძრავი და მოუხელთებელია.

ის ხან სხვენზეა, ხან კიბეზე, ხან კი დერეფნებსა და წინკარში; ხან, თვეების მანძილზე, ველარსად მოკრავს თვალს კაცი; და აღარ იცი, აქაა თუ სხვაგან გადასახლდა; და მაინც, აუცილებლად ბრუნდება უკან, სახლში. ხანდახან, როდესაც სახლიდან გადიხარ და კიბის მოაჯირს ეყრდნობი, გინდა გამოელაპარაკო. ცდილობ, რაც შეიძლება მარტივი კითხვები დაუსვა, ეპყრობი როგორც ბავშვს და ამას თუნდაც მისი ჩია აღნაგობა გკარნახობს. „მაშ, რა გქვია?" ეკითხები. „ოდრადეკი", გიპასუხებს ის. „და სად ცხოვრობ?" „საცხოვრებელი ადგილი გაურკვეველი", ამბობს და იცინის; მაგრამ უცნაურია სიცილი, თითქოს მასში ფილტვები არც კი მონაწილეობდეს. ჟღერს როგორც დაფანტული ფურცლების შრიალი და საუბარიც, როგორც წესი, ამით მთავრდება. ხშირად ამ პასუხებსაც ვერ ეღირსები; უპირატესად დუმს, როგორც ხე, რაც, როგორც ჩანს, არის კიდეც.

ხშირად ვეკითხები თავს, რა ელის მომავალში. სიკვდილი? ყველა მოკვდავს, სანამ ამის დრო დაუდგებოდეს, აქვს თავისი მიზანი, საქმიანობის სფერო, და ამაში იხარჯება; მაგრამ ოდრადეკს ეს არ ეხება. დაგორდება ერთხელაც კიბეზე ჩემი შვილებისა და შვილიშვილების ფეხებთან, უკან დადევნებული ძაფის კუდით. რა თქმა უნდა, არავის ვნებს; მაგრამ იმის წარმოდგენა, რომ ის ჩემზე დიდხანს იცოცხლებს, სევდას მგვრის და ტკივილს მაყენებს.

თერთმეტი ვაჟიშვილი

მყავს თერთმეტი შვილი.

პირმშო შეუხედავია, მაგრამ სერიოზული და გონიერი; და მაინც, მის ჭკუას, რაც უნდა მიყვარდეს ის სხვა შვილებთან ერთად, განსაკუთრებით არ ვაფასებ, რადგან გონება აქვს მეტისმეტად პრიმიტიული. ირგვლივ ვერაფერს ამჩნევს: ვერც მარცხნივ, ვერც მარჯვნივ, ვერც შორს და ვერც ახლოს; საკუთარი აზრების წრეში ჩაკეტილა და გამუდმებით იქ ტრიალებს.

მეორე ლამაზია, მოქნილი, აღნაგობით მშვენიერი; ერთი სიამოვნებაა მოფარიკავის პოზაში მისი ხილვა. ჭკვიანია, როგორც პირველი, თან გამოცდილი; ბევრი აქვს ნანახი და, თითქოს ამიტომ, ადგილობრივებშიც მეტი ნდობით სარგებლობს, ვიდრე სხვები, ვისაც არაფერი უნახავს ამ ქვეყანაზე. ამ უპირატესობას მარტო მოგზაურობას როდი უნდა უმადლოდეს, ეს უფრო მისი განუმეორებელი თვისებაა, რასაც ყველა აღიარებს, ვინც წყალში ხტომისას მისი ორმაგი, სამმაგი და მაინც გასაოცრად დახვეწილი, ელეგანტური ბრუნის მიბაძვას ცდილობს. ხალისსა და გამბედაობას ისინი სახტომი ფიცრის კიდემდე ინარჩუნებენ, იქ კი მუხლები ეკეცებათ და ხელებს უმწეოდ შლიან. და, მიუხედავად ყველაფრისა (ასეთი შვილით, ცხადია, უნდა ვამაყობდე), ჩემი დამოკიდებულება მის მიმართ არაა უღრუბლო – მარცხენა თვალი მარჯვენაზე ოდნავ პატარა აქვს და უხამხამებს; ნაკლია, რა თქმა უნდა, თუმცა პატარა და თან მის სახეს უფრო უშიშარს ხდის, და ალბათ არავის მოუვა აზრად ამ თვალის ხამხამის გამო დააყენოს ეჭვის ქვეშ მისი ბუნების შეუდარებელი სრულყოფილება. მხოლოდ მე, მამა, ვაკეთებ ამას. რა თქმა უნდა, არა სხეულის ამ პატარა ნაკლის, ტკივილს რომ მაყენებს, არამედ მისი გონებრივი ხარვეზების და იმ შხამის გამო, სადღაც მის სისხლში რომ მიმოიქცევა, იმ სისუსტის გამო, მისი ბუნების – მხოლოდ ჩემთვის ცხადის – შესაძლებლობების სრულფასოვან განხორციელებას რომ აფერხებს. და, მეორე მხრივ, სწორედ ეს აქცევს მას ჩემ შვილად, რადგან ეს ნაკლი მთელი ჩვენი ოჯახის ნაკლიცაა, მასში უფრო მკვეთრად გამოხატული.

მესამეც ლამაზია, მაგრამ ეს არაა სილამაზე, რომელიც მხიბლავს. ეს უფრო მომღერლის სილამაზეა; მეტყველი პირი, მეოცნებე თვალები, თავი, მეტი გამომსახველობისთვის ფონად დრაპირებას რომ მოითხოვს; მეტისმეტად გამოკვეთილი მკერდი; ხელები – უმალ რომ აღიმართება ზევით და ძირს კიდევ უფრო სწრაფად ეშვება; ფეხები კი სულ ადვილად იცლიან სიკოხტავისთვის, რადგან თავისი უპირველესი მოვალეობის, სხეულის ღირსეულად ტარებისთვის ვერ მოუცლიათ; გარდა ამისა, მისი ხმის ტონს აკლია სისავსე; იტყუებს, წამით

იზიდავს მსმენელის ყურადღებას; მაგრამ სულ მალე ფერმკრთალდება შთაბეჭდილება, რადგან სწრაფადვე კლებულობს მისი ძალა. მთლიანობაში მაინც ყველაფერი გაცდუნებს, რომ თავი მოიწონო ასეთი შვილით, თუმცა მე მის ჩრდილში ყოფნას ვარჩევდი; საპირისპიროს არც თვითონ ცდილობს, მაგრამ არა იმიტომ, რომ კარგად იცის თავისი ნაკლოვანებები, უფრო იმიტომ, რომ უცოდველია და ასეთად დარჩენას ცდილობს. და თავსაც ჩვენს დროში უცხოდ გრძნობს; კი, ეკუთვნის ჩემს ოჯახს, თითქოს, მაგრამ, ამავე დროს – სხვასაც, მისთვის ახლა სამუდამოდ დაკარგულს; ხშირადაა დაღვრემილი და ვერაფერი ამხიარულებს.

მეოთხე, შესაძლოა, ყველაზე თავაზიანი, ჭეშმარიტად თავისი დროის შვილი, ყველასთვის გასაგები და ყველასთვის მისაღებია და თანხმობის ნიშნად მისთვის ყველა თავის დაკვრას ჩქარობს. შესაძლოა, სწორედ ეს საყოველთაო აღიარება წარმოშობს მისი მოძრაობის სიმსუბუქეს, მისი გამონათქვამების უდარდელობას, რომელთაგან ზოგიერთს კაცი გაიმეორებდა კიდეც და ხშირადაც, ოღონდ ზოგიერთს, რადგან მთლიანობაში მათ პატრონის იგივე სიმჩატე აუფასურებს. და იმას ჰგავს, ვინც დაბლა გასაოცარი სითამამით ხტება, მერცხალივით კვეთს ჰაერს და – განწირულად, უიმედოდ – მტვრიან, უკაცრიელ გარემოში ეშვება – სრული არარაობა. აი, ასეთი აზრები მიწამლავენ გუნებას ამ ბავშვის ხილვისას.

მეხუთე საყვარელია და კეთილი; გპირდება ნაკლებს, ვიდრე აკეთებს; თან ისეთი უმნიშვნელო, შეუმჩნეველი, რომ მის გვერდით ყოფნისას თავს სრულ სიმარტოვეში იგრძნობდით; თუმცა გარკვეული პატივისცემა მაინც მოიპოვა. რომ მკითხოთ როგორო, ვერ გიპასუხებთ. უცოდველობა, შესაძლოა, ყველაზე ადვილად იკვალავს გზას ამ სამყაროს ელემენტთა ქაოსურ თარეშში, ის კი უცოდველია. ალბათ, მეტისმეტადაც. ყველას მიმართ მეგობრული. ვაღიარებ: როდესაც მას აქებენ, არ მსიამოვნებს. ჩემი შვილის, ასე ცხადად საქების ქებით, თითქოს თვით ქებას აუფასურებენ.

მეექვსე, ერთი შეხედვით, ყველაზე ჩაფიქრებულია და სერიოზული. ერთდროულად წუწუნა და ქაქანა. ამიტომ, ძნელია მასთან საერთო ენის გამონახვა. უიღბლობისას სევდისა და დარდის მორჩილი ტყვე, წარმატებისას ყბედობას ერთგულებს. თუმცა, მასში ვერც თავდავიწყებული ვნების უნარს უარვყოფ; დღის სინათლეზეც გზას ფიქრების სამყაროში ისე იკვალავს, თითქოს სიზმარში ყოფილიყოს. ჯანმრთელსაც კი – მით უმეტეს, რომ ეს სიკეთე ჭარბად აქვს – ხანდახან არამყარი აქვს სიარული, თუმცა მაინც აგრძელებს, მარტო, დაუხმარებლად. შესაძლოა ამაში სხეულია დამნაშავე, მისი ასაკისთვის მეტისმეტად დიდი. და ეს მას აუშნოებს, მიუხედავად სხეულის

ცალკეული ნაწილებისა, მაგალითად, ხელებისა და ფეხების მოხდენილობისა. უშნო აქვს შუბლიც; კანი – ისევე როგორც ძვლის წყობა – გამოფიტული, ჩამომხმარი.

მეშვიდე ყველაზე მეტადაა ჩემი შვილი. მას არ აფასებენ; მისი მახვილგონიერი, სხარტი გონება აბნევთ. არა, არ არის უნაკლო, აქვს ნაკლი და არა ერთი, და არც თვალს ვხუჭავ მათზე; ვიცი, აკლია მასშტაბები, გაქანება; და ამ ქვეყანას მხოლოდ ის ნაკლი რომ ჰქონოდა, რომ მას დიდად არ აფასებს, ის მაინც უნაკლოდ დარჩებოდა. მაგრამ ოჯახში მისი არყოფნა ძალზე დამაკლდებოდა. გაშფოთებს და, იმავდროულად, მემკვიდრეობითობის წინაშე მოწიწებას გაგრძნობინებს, რადგან ორივე საწყისს, მისეულს და ჩემეულს, თუნდაც ჩემს აღქმაში, ჭეშმარიტ, მტკიცე მთლიანობად აერთიანებს. თუმცა ამ მთლიანობით ბევრს ვერაფერს აღწევს; მომავლის ბორბლის ამოძრავებას ვერ ახერხებს; მაგრამ მისი თვისებები მამხნევებს, იმედს მისახავს; მინდა, რომ ჰყავდეს შვილები, დე გამრავლდნენ ეს უკანასკნელნიც. სამწუხაროდ, ჩემი სურვილის ასრულებას ის არ ჩქარობს, მიზეზი კი – ჩემთვის გასაგები, მაგრამ არასასურველი – თვითკმაყოფილებაა, ასე შთამბეჭდავად რომ ეწინააღმდეგება მასზე გაბატონებულ შეხედულებას; ირჯება ასე, უქმად, არ ანაღვლებს ქალები და, მიუხედავად ყველაფრისა, უდარდელი ცხოვრების წესს არ ღალატობს.

მერვე ჩემი ტკივილია, გაუცხოებულია, გამირბის, ვერც კი ვხვდები, რატომ. მე კი მის მიმართ განსაკუთრებულ მამობრივ სითბოს ვგრძნობ. დრომ ბევრი რამ შეარბილა; ადრე მასზე ფიქრისას, ხშირად ამიტანდა ხოლმე ცახცახი. ის თავის საკუთარ გზას ადგას; ჩემთან ურთიერთობა გაწყვიტა, შეუძლია თავისი მტკიცე თავის ქალით, თავისი პატარა, ათლეტური სხეულით თავის გატანა, ყველგან, სადაც კი მოისურვებს. მხოლოდ ფეხები აქვს, როგორც ჭაბუკს, სუსტი, თუმცა ეს ნაკლი, ალბათ, უკვე გამოუსწორდა. ვაპირებდი მეთხოვა მისთვის უკან დაბრუნება, მეკითხა, თუ როგორ მიდის მისი საქმე, რატომ გაემიჯნა მამას და ცხოვრებაში რას აპირებს, მაგრამ ახლა იმდენად შორსაა, თან იმდენი დრო გავიდა, რომ უმჯობესია ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არის. მსმენია, რომ ჩემს შვილებს შორის წვერიანი ის ერთადერთია; ბუნებრივია, ასეთი მომცრო ტანის მამაკაცს ეს არ მოუხდება.

მეცხრე ძალზე ელეგანტურია და ქალების დანახვაზე უჩვეულო სითბო ჩაუდგება ხოლმე თვალებში. ისეთი თბილია და ტკბილი, ლამის მეც კი მაცდუნოს, თუმცა კარგად ვიცი, რომ ამ არამიწიერი ბრწყინვალების მთლიანად ჩამოსარეცხად ერთი სველი ჭურჭლის სარეცხი ღრუბელიც კმარა. მაგრამ ამ ყმანვილში ყველაზე მთავარი ისაა, რომ მისთვის არც ცდუნებაა მთავარი; ის მთელი ცხოვრება ტახტზე წოლა-

სა და ჭერში ყურებას დასჯერდებოდა, ან კიდევ უკეთესი იქნებოდა, თუ მზერას ქუთუთოებს ქვეშ მოასვენებდა. ამ მდგომარეობაში თუ ამყოფებთ, იქნება კარგი, კეთილი, ლაკონური და ხატოვანი; ოღონდ მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში; მის მიღმა გასვლისას კი, რაც მისი სივიწროვის გამო, გარდაუვალია, უშინაარსოა მისი ლაპარაკი. რამე ნიშანსაც კი მისცემდი, რომ გქონდეს მისი ძილმორეული, დაბინდული თვალების გამჭრიახობის ცოტაოდენი იმედი.

მეათე არაგულწრფელად ითვლება. ამ ნაკლს მთლიანად ვერც უარვყოფ და ვერც ვადასტურებ. ერთი ცხადია, მისი ასაკისთვის სრულიად შეუფერებელი მ̣ედიდური მოძრაობის ხილვისას, ყოველთვის ყველა ღილზე შეკრულ სერთუკში, ძველ, მაგრამ საგულდაგულოდ გაწმენდილ და გაკოხტავებულ შავ ქუდში, უძრავი სახის, წინ გამოწეული ნიკაპის, თვალებზე მძიმედ გადაფენილი ქუთუთოების, ხანდახან ტუჩებთან მიტანილი ორი თითის – ამ ყველაფრის შემხედვარე ფიქრობ: აი, უსაზღვრო ფარისეველი. ახლა მის ლაპარაკს დაუგდეთ ყური! გონიერი; წინდახედული; მსჯელობაში ყოველთვის საგნობრივი, ზუსტი და დამცინავი, კითხვებს ენერგიულად უპასუხებს ან ასევე ყოჩაღად აბათილებს – სამყაროსთან გასაოცარ, ყოველთვის ბუნებრივ და ბედნიერ თანხმობაში; იმ თანხმობაში, გარდაუვლად ყელმოღერებასა და, შესაბამისად, თავის ამაყად აწევაში რომ გადადის. ბევრს, საკუთარ თავს ჭკვიანად რომ მიიჩნევდნენ და მისთვის ზურგის შექცევას სწორედ ეს აიძულებდათ, თავისი სიტყვით კვლავ კეთილად განაწყობდა და თავისკენ შემოაბრუნებდა. მაგრამ, არიან ისეთებიც, მის გარეგნობას მშვიდად რომ ეგუებიან, თუმცა მის სიტყვას ფარისევლურად მიიჩნევენ. დიახ, მე, როგორც მამას, არ შემიძლია გავარჩიო მტყუან-მართალი, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ უკანასკნელთა მოსაზრება ალბათ უფრო ანგარიშგასაწევია.

ჩემი მეთერთემტე შვილი ნაზია, შესაძლოა ყველაზე სუსტი მათ შორის, მაგრამ ამ სისუსტით შემაცდენელი და დამაბნეველი; დროდადრო შეუძლია იყოს მტკიცეცე და თავის თავში დარწმუნებულიც, სისუსტე კი მაინც მისი ბუნების მთავარი თვისებაა. ოღონდ არაფერია ამ სისუსტეში სამარცხვინო, უბრალოდ, ჩვენს მინაზე ჩანს ასეთი. ფრენისთვის მზაობა განა სისუსტე არაა, როდესაც ოდენ რყევა, გაურკვევლობა და ფარფატი რომაა? სწორედ ასეთ სისუსტეს ამჟღავნებს ჩემი შვილი. ასეთი თვისებები მამას, ბუნებრივია, არ ახარებს; რადგან, ცხადია, ისინი ოჯახის ნგრევისკენაა მიმართული. ხანდახან შემომხედავს, თითქოს მეუბნება: „მამა, თან წაგიყვან." და ვფიქრობ მაშინ: „შენ იქნებოდი უკანასკნელი, ვისაც ჩემს თავს ვანდობ̣დი." და მისი მზერა – კვლავ, თითქოს: „ვიყო მაშ, თუნდაც უკანასკნელი."

აი, ასეთები არიან ჩემი შვილები.

ძმის მკვლელი

დადგენილია, მკვლელობა მოხდა ასე:

ნათელ, მთვარიან ღამეს შმარი, მკვლელი, იდგა ქუჩის კუთხეში, რადგან ვეზე, მსხვერპლი, საკუთარი ბიუროდან მომავალი, სწორედ აქ, ამ გზაჯვარედინზე უხვევდა მეორე ქუჩაზე, სადაც იყო მისი სახლი.

ცივია ღამის ჰაერი, გამჭოლი, ძვლებამდე ატანს. შმარს კი მხოლოდ თხელი, ლურჯი სამოსი მოსავს. ზევიდან გადაცმული სერთუკი არ შეუკრავს – არ გრძნობს სიცივეს; თან გამუდმებით მოძრაობს. ვადაზე მტკიცედ ჩაჭიდებულს მკვლელობის იარაღი გაუშიშვლებია – ნახევრად ხიშტი, ნახევრად სამზარეულო დანა. გახედავს მთვარის შუქზე – გაიბრწყინებს, გაიელვებს მისი პირი; შმარისთვის არასაკმარისად; და გაუქანებს ქუჩაზე დაგებულ აგურს; შემდეგ, ალბათ ნანობს; ზიანის აღმოსაფხვრელად ჩექმის ძირს უსვამს, ვით ვიოლინოს ხემს, უსმენს ჩექმაზე დანის ხახუნის ხმას ცალი ყურით, მეორე, კი, საბედისწერო მეზობელ ქუჩაზე მიუყურადებია.

რატომ ითმენს ყველაფერ ამას მესამე სართულის ფანჯრიდან მზირალი ჩვენი პრივატული ათენა პალადა? ეცადეთ, ჩაწვდით ადამიანური ბუნების სიღრმეებს! საყელო – მაღლა აწეული, საშინაო ხალათი – წელზე შემოხვეული, აქნევს თავს, დაბლა იყურება.

ხუთი სახლის მოშორებით, მისგან ცერად, იყურება ფრაუ ვეზეც, საღამურზე მელიის ქურქგადაცმული, ქმრის მოლოდინში, დღეს ასე რომ იგვიანებს.

ბოლოს, ვეზეს ბიუროში გაისმის კარის ზარის ხმა, კარის ზარისთვის მეტისმეტად ხმამაღლა, სცდება უბანს, ქალაქს, იჭრება ზევით, ცაში, და ვეზე, ღამითაც საქმიანი, მშრომელი დაუღალავი, უკვე მოდის, ჯერ კიდევ უხილავი, მისი სვლა – მხოლოდ კარის ზარით დადასტურებული; და ითვლის ქვაფენილი თანაბრად მის მშვიდ ნაბიჯებს.

პალადა იხრება უფრო ღრმად, წინ – არ შეიძლება რამე გამოეპაროს. ზარის ხმით დამშვიდებული ფრაუ ვეზე ჭრიალით კეტავს ფანჯარას. შმარი კი დაბლა იხრება; და, რადგან ამ წუთს მის წინ სხვა არაფერია, ხელებითა და სახით ეკვრის ქვას – გაყინულია ყველაფერი, მაგრამ ცეცხლი გიზგიზებს შმარში.

სწორედ ქუჩების გასაყარზე ჩერდება ვეზე, ტანით აქეთ და ხელჯოხით, მისი საიმედო საყრდენით, სწვდება მეორეს. უჩვეულო კაპრიზი – ღამის ცამ, ოქროსფერმა და მუქლურჯმა, მიიპყრო მისი ყურადღება. უყურებს ცას, ხელს ისვამს თმაზე, არმცოდნე იმისა, რაც ელის; არაფერი იყრის თავს, რათა იქცეს მოსალოდნელი საფრთხის მაუწყებელ გაფრთხილებად; ბუნდოვანია ყველაფერი, არაცნობიერის მღვრიე ბინდში დალექილი, უაზრო, განუჭვრეტელი.

თავისთვის და თავისთავში ძალზე გონიერი, ის აგრძელებს გზას, მსხვერპლის მომლოდინე შმარის მახვილის შესახვედრად მიემართება.

„ვეზე!" ყვირის თითის წვერებზე წამოწეული შმარი, ხელი წინ გაშვერილი, დანა მკვეთრად ქვევით დახრილი. „ვეზე! იულია ამაოდ გელის!" – მარჯვნივ ყელში, მარცხნივაც და მთელი ძალით ღრმად მუცელში ურტყამს დანას შმარი. და გამოსცემს ვეზე ხმას, ვით გაფატვრისას წყლის ვირთხები.

„ასე", ამბობს შმარი და მოისვრის დანას – უსარგებლო სისხლიან ტვირთს – უახლოესი სახლის მიმართულებით. „ო, მკვლელობის ტკბილო წამო! ო, სიმსუბუქევ, ო, ნეტარებავ, შობილო უცხო სისხლის თქრიალით! ვეზე, ძველო მეგობარო, ლუდხანის მეინახევ, ახლა სიბნელეში ქუჩაზე გართხმული, სისხლად რომ იღვრები. ყოფილიყავი სისხლით სავსე ბუშტი, ადვილად გაგაქრობდი. ყველა სურვილს არ უწერია ასრულება, ყველა სისხლიან სიზმარს – ახდენა, შენი მძიმე ნაშთი წევს აქ, გახევებული, მოძრაობისთვის მიუწვდომელი. და რაა ის კითხვა, მდუმარე და გამოუცნობი, შენ რომ გაწუხებს?"

პალადა, თავის სხეულში დახვავებულ მთელ შხამს ძლივს რომ ინელებს, თავის ორსაგდულიან კარში ჩნდება: „შმარ! შმარ! ყველაფერი – შემჩნეული, არაფერი – გამორჩენილი." პალადა და შმარი აკვირდებიან ერთმანეთს. პალადა მშვიდდება, შმარი – პირიქით.

იქ შეკრებილი ადამიანებით გარშემორტყმული ფრაუ ვეზე, აფორიაქებული, შეძრწუნებული მოიჩქარის, სრულიად შეცვლია სახე. ქურქი იხსნება და ემხობა ქმარზე ქალი – მეუღლისაა ახლა ეს ღამისპერანგიანი სხეული, ხოლო მეუღლეთა წყვილზე საფლავის მწვანე მდელოდ გადაფარებული ქურქი – იქ შეჯგუფებული ხალხის.

ამ უკანასკნელ გულისრევასთან შებრძოლებას შმარი ტუჩების კვნეტით ცდილობს, პირით მხარზე ეყრდნობა პოლიციელს, რომელსაც იქიდან მსუბუქი ნაბიჯებით მიჰყავს.

სიზმარი

იოზეფ კ -ს ესიზმრა:

იყო მშვენიერი დღე, მოუნდა გასეირნება. ორი ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული – სასაფლაოზე აღმოჩნდა. გზა იყო უჩვეულო, არა სეირნობას მორგებულ-შეხამებული ბუნებრივი ბილიკი, არამედ ხელოვნურად, უხერხულად დაკლაკნილი, და მიცურავდა ის ამ გზაზე – ჩქარ მდინარეზე – მშვიდი, მოფარფატე. ახალი საფლავის მიწაყრილი უკვე შორიდან მოხვდა თვალში და მოუნდა მასთან გაჩერება. უცნაურად იტყუებდა, იზიდავდა, და ერთი სული ჰქონდა

იქ აღმოჩენამდე. ხანდახან კარგავდა თვალთახედვიდან, რადგან დროშები ჩრდილავდა, რომელთა ქსოვილსაც ქარი წეწდა, ერთმანეთს უჩვეულო ძალით ახეთქებდა; მედროშეები არსად ჩანდნენ, მაგრამ, ცხადია, იყო ზეიმი.

თავისი მიზნისგან ჯერ კიდევ შორს მყოფმა, უეცრად ისეთსავე ახალ საფლავს მოჰკრა თვალი, თითქმის უკვე მას გაცდენილმა, სულ ახლოს, გვერდით. ბალახზე სწრაფად გადახტა და, რადგან გზა ფეხქვეშ თავბრუდამხვევად იკლაკნებოდა, მიწაზე დაცემისას წონასწორობის დაცვა ვერ მოახერხა, წაბარბაცდა და ზუსტად პატარა ბორცვის წინ მუხლებზე დაეცა. საფლავის უკან ორ მამაკაცს ეკავა საფლავის ქვა; დაინახეს თუ არა კ., ქვა ხელიდან გაუვარდათ და ის ახლა მიწაში ჩაშენებული, იქიდან ამოზრდილი ჩანდა. იმწამსვე ბუჩქებიდან მესამე მამაკაცი გამოვიდა, რომელშიც კ -მ მხატვარი ამოიცნო – იდგა ის, ცუდად შემოსილი, მხოლოდ შარვალსა და სახელდახელოდ შეკრულ პერანგში; ეხურა ხავერდის ქუდი; ეკავა ჩვეულებრივი ფანქარი, რომლითაც, მისკენ მომავალი, ჰაერში რაღაცას გამოსახავდა.

ამ ფანქრით ხელში დაეყრდნო ქვას. წელში მოხრა არ დასჭირვებია, რადგან ქვა მაღალი იყო, და, ვინაიდან ქვისგან ბორცვი აშორებდა, რომელზე დაბიჯებაც მას არ სურდა, გადაიხარა და ახლა ფეხის წვერებზე, მარცხენა ხელით ქვას დაყრდნობილი იდგა. იშვიათი გაწაფულობის წყალობით მოახერხა მან ჩვეულებრივი ფანქრით ოქროს ასოების გამოყვანა: „აქ განისვენებს“ – ასოები იყო მკაფიო და ლამაზი, ღრმად ამოტვიფრული, ოქრო – სრულფასოვანი. ორი სიტყვის დამთავრების შემდეგ, უკან გახედა კ -ს. ეს უკანასკნელი, ამ ყველაფრით გართული, მას ყურადღებას არ აქცევდა და მხოლოდ ქვას უყურებდა. კაცმა დააპირა საქმის გაგრძელება, მაგრამ ველარ ახერხებდა, რაღაც უშლიდა, დაუშვა ფანქარი და კვლავ კ -სკენ შემობრუნდა. კ -მაც შეხედა, დაბნეულმა, თუმცა მიზეზს ვერ ხვდებოდა. მხატვრის მთელი თავდაჯერება, შრომის ხალისი და სიმსუბუქე გამქრალიყო. კ -ც შეცბა – ორმა უმწეო არსებამ მხოლოდ მზერა გაცვალა; ჩამოწვა მათ შორის გაუგებრობა, გამკვრივდა, განივრცო მთელი თავისი მანკიერებით, რომლის წინაშეც ორივე უძლური ჩანდა. სასაფლაოს სამრეკლოზე გაისმა ზარების რეკვა, უდროო დროს, მაგრამ მხატვარმა აღმართული ხელი გაიქნია და რეკვაც შეწყდა. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ განახლდა, ამჯერად ჩუმად, თითქმის უხმოდ და, ყოველგვარი ჩარევის გარეშე კვლავ გაჩერდა; თითქოს ვიღაც მის ულერადობას ამოწმებდა. დაბნეული მხატვრის შემხედვარე კ-ს, სასოწარკვეთილს, ტირილი აუვარდა და სახეზე ხელებაფარებული დიდხანს ქვითინებდა. მხატვარი მის დამშვიდებას უცდიდა და,

რადგან სხვა ვერაფერი მოიფიქრა, წერა განაგრძო. პირველი პატარა შტრიხი, რომელიც მან გააკეთა, კ -სთვის იყო ხსნა, ავტორისთვის კი უდიდესი შინაგანი წინააღმდეგობის გადალახვით მოპოვებული მიღწევა; მაგრამ ხელწერა აღარ იყო ისეთი ლამაზი, ოქრო გაუფერულდა, უხალისოდ მიჰყვებოდა ერთმანეთს ასოები – ახლა უფრო დიდი, უფერული და არამყარი. იოტი თითქმის დასრულებული იყო და, სწორედ ამ დროს, განრისხებულმა მხატვარმა პატარა ბორცვს წიხლი ჰკრა და მიწა ჰაერში მიმოფანტა. ბოლოს, კ. ყველაფერს მიხვდა; მაგრამ განზრახვაზე ხელის აღების თხოვნისთვის დრო აღარ რჩებოდა; თითებით მიწას ეჭიდებოდა, რომელიც ხელს თვინიერად მოჰყვებოდა; ყველაფერს, თითქოს უკვე წინასწარ მომზადებულს, მხოლოდ მიწის თხელი ფენა ფარავდა; აი, მის წინ დიდი ხვრელი გამოჩნდა, დაქანებული კედლების ძირში, რომელშიც ის ჩაიძირა, მსუბუქი დინებით საყრდენგამოცლილი, პირაღმა, ზურგით მიწაზე. და როდესაც, ჯერ კიდევ, წელგამართული თვალშეუვალი სიღრმის უკუნმა ჩაიხუტა, ქვაზე შთამბეჭდავი ორნამენტებით შემკული მისი სახელის ასოები ხალისიანად ჩამწკრივდა.

და ამ სანახაობით მოხიბლულ კ -ს გაეღვიძა.

მოხსენება აკადემიისთვის

აკადემიის მაღალო საზოგადოებავ, ბატონებო!

აკადემიის წინაშე ჩემი ცხოვრების პირველი პერიოდის, მაიმუნური არსებობის შესახებ მოხსენებით წარდგომის შეთავაზებას დიდ პატივად მივიჩნევ.

სამწუხაროდ, არა მაქვს თქვენი მოლოდინის ღირსეულად გამართლების იმედი. თითქმის ხუთი წელი მაშორებს ჩემს მაიმუნურ სამყაროს, და კვლავ რომ განვვლო, თუნდაც ჩქარი ჭენებით, გზა, კალენდარული თვალსაზრისით შეიძლება არცთუ ხანგრძლივი, მაგრამ უსასრულად გრძელი და თვალის გადასავლებლადაც არცთუ ადვილი, როგორც გავაკეთე დიდებული ადამიანების რჩევების დახმარებით, ჩემი ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთებში რომ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს და, რჩევებით, მხარდაჭერით, წინამორბედის მიერ დაწყებულ საქმეს ღირსეულადაც აგრძელებდნენ, ხან თვით აპლოდისმენტებისა და საორკესტრო მუსიკის თანადგომითა და თანხლებით, თუმცა, არსებითად მარტომ, რადგან მიმატოვებდა ხოლმე ყველა, ჩერდებოდა, ხატოვნად რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ წინაღობამდე, მისგან მოშორებით. ეს მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა ჯიუტად მხოლოდ ჩემი წარმოშობით, ჩემი ყრმობის მოგონებებით რომ შემოვფარგლულიყავი. სწორედ სიჯიუტეზე უარის თქმა და შემ-

წყნარებლობა იყო პირველი მცნება, რომლის ვალდებულებაც ავიღე – დიახ, მე, თავისუფალმა მაიმუნმა, ვალდებულებების ამ უღელში საკუთარი ნებით გავყავი თავი. ამიტომაც შემაქციეს თავის მხრივ ზურგი მოგონებებმა, უამთასვლასთან ერთად, სულ უფრო რომ მშორდებიან და ფერმკრთალდებიან. თუკი ჩემი უკან დაბრუნებისთვის, ადამიანთა მხრიდან ასეთი ნების არსებობისას, დედამიწის თავზე აღმართული კარი თავიდან იყო თავისუფალი – ცამდე ფართოდ გადახსნილ-გადაშლილი – ჩემს წინსვლასთან ერთად, შოლტითა და მათრახით აჩქარებულთან, ის სულ უფრო დაბლდებოდა და იზღუდებოდა; და მეც, დროთა განმავლობაში, ადამიანის ბუნებას სულ უფრო თამამად, სულ უფრო მჭიდროდ ვერწყმოდი; სულ უფრო ცხრებოდა ჩემში წარსულის ქარიშხლის მძლავრი სუნთქვა, დღეს, მსუბუქ სიოდ ქცეული, ქუსლებს სასიამოვნოდ რომ მიგრილებს, შორეთის დამაკავშირებელი ხვრელი კი, საიდანაც ის ქრის და საიდანაც ოდესღაც მეც მოვედი, დაპატარავებულა, და ძალიანაც, და უკან დაბრუნებისას, დაღმასვლისას, ჩემი აღმასვლის საწყის პუნქტამდე რომ მიმეღწია და მეორე მხარეს გამეღწია – სურვილისა და ძალის არსებობისას – ტყავი სწორედ ამ ხვრელში უნდა დამეტოვებინა. გულახდილად რომ ვთქვა, რამდენადაც ამ საგნებზე სუბრისას ხატოვნებას ვარჩევ, გულახდილად რომ ვთქვა თქვენი მაიმუნური წარსული, რამდენადაც ბატონებო, თქვენც გაქვთ რაღაც ამგვარი შორეულ წარსულში, რომელიც არც ისე შორია თქვენთვის, როგორც ჩემთვის – ჩემი. და ექავება ქუსლები ყველას, ვინც აქ, ამ მიწაზე დადის: პატარა შიმპანზეს, ისევე როგორც დიდ აქილევსს.

მაგრამ თქვენს შეკითხვას მსურს შევეხმიანო, ოღონდ ყველაზე მოკრძალებულად, და თქვენი ცნობისმოყვარეობა ამ ფარგლებში დავაკმაყოფილო, რასაც დიდი სიამოვნებით გავაკეთებ. მაშ ასე: უპირველესი, რაც ვისწავლე, გახლდათ ხელის ჩამორთმევა; ის გახსნილობისა და გულწრფელობის საწინდარია, და ახლა, ჩემი მოღვაწეობის მწვერვალზე, მას გულახდილობასაც დავუმატებდი. ეს აკადემიისთვის არსებითად ახალს არაფერს შეიცავს, მეტიც, შორსაა იმისგან, რასაც ჩემგან ითხოვენ და რის თქმასაც, სურვილის შემთხვევაშიც კი, ვერ შევძლებდი – თუმცა, იმ მთავარს მაინც გვიჩვენებს, რომლის ერთგულებითაც ყოფილმა მაიმუნმა ადამიანური ბუნების ნვდომა და იქ დამკვიდრება მოახერხა. და მაინც, ყველაზე უმნიშვნელოც კი, რის თქმასაც ვაპირებ, შემეძლო საერთოდ არ მეხსენებინა, რომ არა საკუთარი თავის რწმენა და მსოფლიოს უდიდეს ვარიეტეთა სცენაზე ჩემი პოზიციების არნახული სიმყარე.

ჩემი სამშობლო ოქროს სანაპიროა. რაც შეეხება ჩემი დატყვევების ამბავს, ის მე სხვა წყაროებიდან შევიტყვე. ჰაგენბეკის

სამონადირეო ფირმის წარმომადგენლები – ეჰ, მათ უფროსთან შემდგომში მშვენიერი წითელი ღვინის არაერთ ბოთლს გამოვუყვანე ნირვა – ახლომახლო, სანაპიროს ბუჩქნარში ჩასაფრებულიყვნენ, როდესაც ერთ საღამოს, ჩემს თანამოძმეებთან ერთად, იქ წყლის დასალევად მივედი. ატყდა სროლა და მე ერთადერთი აღმოვჩნდი, რომელსაც მოხვდა ტყვია, თან ორი: ერთი – ლოყაში; ჭრილობა მსუბუქი იყო, მაგრამ დამიტოვა დიდი იარა, ისეთი, რომ ბალანმა ფეხი ვერაფრით მოიკიდა. და რომელსაც უნდა ვუმადლოდე ჩემს სახელს, საზიზღარს, მართლაც მაიმუნური ფანტაზიის ნაყოფს – წითელი პეტერი – თითქოს სხვა არაფრით განვსხვავდებოდე იმ უსახელო და უხეიროდ გაწვრთნილი უგვანი მაიმუნისგან, ამ ახლახან დაცემული პირუტყვისგან, რომლის სახელიც ცოტა ვინმემ თუ იცის. ეს ისე, სხვათა შორის.

მეორე მომხვდა უკნიდან, თეძოში. ეს ჭრილობა უფრო მძიმე აღმოჩნდა, და მისი მიზეზია, რომ ცოტა ვკოჭლობ. ამ დღეებში ერთი სუბიექტის, მინდა გითხრათ ათასგზის ქარაფშუტასი, რომელიც გაკადნიერდა და თავის თავს ჩემზე მსჯელობის უფლება მისცა, სტატიაში წავიკითხე: თითქოს ჩემი მაიმუნური ბუნება ჯერ კიდევ ბოლომდე არაა დათრგუნული; რის დასაბუთებასაც იმაში ხედავს, რომ მნახველებთან სიამოვნებით ვიხდი შარვალს, რათა მათ ნატყვიარი ვაჩვენო. და განა ამის დამწერს იმ ხელის თითები, რომლითაც წერდა, სათითაოდ არ უნდა მოამტვრიო?! ეს ჩემი, დიახ, ჩემი საქმეა, როდის, სად და ვისი თანდასწრებით გავიხდი შარვალს; და საერთოდაც, ადამიანი იქ ვერაფერს ნახავს, თუ არა ნალოლიავებ, აბიბინებულ ბალანს და იარას, შედეგს – მოდით კონკრეტული მიზნისთვის ვიხმაროთ კონკრეტული სიტყვა, რომელიც სწორად უნდა გაიგონ – ბოროტი და არაკაცური გასროლისა. ვერაფერი დაიმალება, ყველაფერი ცხადი და ნათელია; როდესაც საქმე ჭეშმარიტებას ეხება, ყველა, თვით რაფინირებული მოაზროვნეც დახვეწილ მანერებს გვერდზე გადადებს. თუ რომელიმე ავტორი სტუმრების თანდასწრებით გაიხდის შარვალს, ამ შემთხვევაში მას სულ სხვა იერი ექნება, და გონიერებადაც ჩავუთვლიდი, თუკი ამას არ გააკეთებდა. მაშ, კეთილი ინებოს და თავისი ნატიფი მგრძნობელობით თავს ნუღა მომაბეზრებს!

ამ გასროლის შემდეგ – და აქ იწყება საკუთრივ ჩემი მოგონებები – ჰაგენბეკის ორთქლის გემის გემბანზე, გალიაში გამელვიძა. ეს არ იყო ჩვეულებრივი ოთხკედლიანი გალია – უფრო სკივრზე მიმაგრებული სამი კედელი, მეოთხე სკივრთან რომ ჰქონდა საერთო, წელში გასამართავად მეტისმეტად დაბალი და დასაჯდომადაც ვიწრო. ამიტომ ვიყავი ჩაცუცქებული, მუხლმოხრილი, რის გამოც მუხლები

გამუდმებით მიცაცხცახებდა და რადგან სიბნელეში მამყოფებდნენ, პირით სკივრისკენ, ზურგით გისოსებს ვებჯინებოდი, რომლებიც კანს უმოწყალოდ მიხეხავდა, მისერავდა და სხეულშიც ღრმად აღწევდა. გარეული ცხოველების ასე შენახვა უწინ გამართლებულად ითვლებოდა და, დღევანდელი ჩემი გამოცდილების საფუძველზე უნდა ვთქვა, რომ ადამიანური თვალსაზრისით, ეს ასეც არის.

მაგრამ მაშინ ამაზე არ ვფიქრობდი. მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე პირველად აღმოვჩნდი ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში; ყოველ შემთხვევაში, ხსნას პრიმიტიული, სწორხაზოვანი წინ სწრაფვა ვერ მომიტანდა; ირგვლივ ერთმანეთზე მტკიცედ მორგებული სკივრის ფიცრები შემომრტყმოდა. მართალია, ერთ ადგილას ხვრელი ჩანდა და ამ აღმოჩენამ, ჩემი უმეცრებით, არნახული, ლამის გამარჯვების ყიჟინად აღმოხდენილი სიხარული მომგვარა, მაგრამ ამ ხვრელის სიგანე კუდის გასაყოფადაც არ კმაროდა და მის გაფართოებას მთელი ჩემი მაიმუნური ძალა და მოხერხება არ ეყოფოდა.

როგორც შემდეგ მითხრეს, დიდი ალიაქოთი ამიტეხავს, რადგან დაასკვნეს, რომ მალე ან საერთოდ აღარ ვიქნებოდი, ან, თუ ამ პირველ კრიზისს გავუძლებდი, წვრთნას ადვილად დავემორჩილებოდი. გადავრჩი. ყრუ ქვითინი, რწყილების ტკივილისმომგვრელი სტუმრობა, მათი სასოწარკვეთილი ძებნა, ქოქოსის კაკლის აპათიური ლოკვა, სკივრზე თავის რტყმა, ვინმეს მოახლოებისას ენის გამოყოფა – აი, ჩემი პირველი ნაბიჯები ახალ ცხოვრებაში. და მაინც, ყველაზე მთავარი: არ ჩანდა გამოსავალი. ჩემი მაშინდელი მაიმუნური განცდები, რა თქმა უნდა, ახლა ადამიანური სიტყვებით უნდა გადმოვცე, მათ უნდა მოვარგო და დავაკნინო, მაგრამ, თუ ძველი, მაიმუნური ჭეშმარიტება დღეს მიულწეველია, ჩემს სათქმელში განზრახვა და მიმართება მაინცაა სწორი, სწორედ ესაა ეჭვგარეშე.

ეჰ, რამდენი გამოსავალი მქონია ადრე, ახლა რომ აღარ ჩანდა არც ერთი. ჩიხში აღმოვჩნდი. რომ მივეკარი, ჩაველურსმე, ჩემი თავისუფლება მეტად მაინც არ შეიზღუდებოდა. რატომ? რისთვის? – ფეხის თითებს შორის ჩემთვის ვინმეს ხორცი რომ ეკაწრა, იმედი არაფრის უნდა მქონოდა. უკან გისოსებზე რომ მივეჭყლიტე – არც მაშინ. გამოსავალი არ ჩანდა. მაგრამ უნდა მეპოვა, რადაც უნდა დამჯდომოდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ გადავრჩებოდი და სული ამ სკივრზე გაუნძრევლად მიკრულს ამომხდებოდა. ამგვარად, თუ ჰაგენბეკთან მაიმუნი სკივრის კედლის ლუკმა და კერძია, მაშინ მე ჩემი მაიმუნური არსებობისთვის უნდა მომეღო ბოლო. და დაიწყო ამის შემდეგ აზრთა ნათელი, ამაღლებული სვლა, რომელიც მე სტომაქით უნდა განმეხორციელებინა, რადგან მაიმუნები სხეულის მხოლოდ ამ ნაწილით ფიქრობენ.

ვშიშობ, არასწორად გამიგებენ და ამიტომ განვმარტავ გამოსავალში რას ვგულისხმობ. ამ სიტყვას ვხმარობ მისი ყველაზე გავრცელებული და ზუსტი მნიშვნელობით. მე შეგნებულად არ ვახსენე თავისუფლება, რა თქმა უნდა, ის დიდი, ყოვლისმომცველი თავისუფლება. მაიმუნად ყოფნისას შესაძლოა ვიცოდი, თუ რა იყო ის, ვიცნობდი ადამიანებსაც, რომლებიც მას ესწრაფვიან. ჩემდათავად, მე მას არ მოვითხოვდი, არც მაშინ და არც ახლა. გარდა ამისა: ადამიანები თავისუფლებით თავს იტყუებენ, თან მეტისმეტად ხშირადაც. და, რამდენადაც თავისუფლება ყველაზე ამაღლებული რიგისაა, იმავე რიგისაა შესაბამისი იმედგაცრუებაც. ვარიეტეში ჩემი გამოსვლის წინ, მაღლა, ჭერში, ხშირად მინახავს აკრობატთა წყვილის ტრაპეციაზე ვარჯიში. ისინი ქანაობდნენ, დახტოდნენ, დაფრინავდნენ მათი დამზღვევი პარტნიორის ხელების სიმარჯვის იმედით ან ატარებდა ერთი მეორეს თმებს ჩაფრენილი კბილებით. და ვფიქრობდი, „ესაა ადამიანური თავისუფლება", „თვითმპყრობლური ჟესტი." შენ, წმინდა ბუნების დაცინვავ! და გეგულებათ სახლი, ამის შემხედვარე მაიმუნთა მოდგმის ხარხარს რომ გაუძლებდა?

არა, არ მინდოდა თავისუფლება, არა და არა. მხოლოდ ხსნა და საამისო გამოსავლის ძიება: მარჯვნივ, მარცხნივ, საითაც გნებავთ, ოღონდ რამე ახალი; სხვა ამოცანა, სხვა გამოწვევა ჩემთვის არ არსებობდა; შედეგი თუნდაც კვლავ იმედგაცრუება ყოფილიყო, და არა ერთი; და, რადგან არ იყო სხვა გამოწვევა, იმედგაცრუებაც მხოლოდ ერთი იქნებოდა; გამოწვევა იყო პატარა და არც იმედგაცრუება იქნებოდა მასზე დიდი. წინ, მხოლოდ წინ! – ყველაფერი, ოღონდ არა სკივრის კედელს მიყუდებული, ხელაღმართული დგომა.

დღეს უკვე ცხადად ვხედავ: ჩემს პრობლემებს დიდი შინაგანი სიმშვიდის გარეშე თავს ვერ დავაღწევდი. და შესაძლოა იმას, რასაც მივაღწიე, სწორედ სიმშვიდეს უნდა ვუმადლოდე, გემზე ყოფნის პირველი დღეებიდანვე რომ დამეუფლა, და ალბათ გემის ხალხსაც.

მიუხედავად ყველაფრისა, არსებობენ მაინც კეთილი ადამიანები! დღესაც მსიამოვნებს მათი მძიმე ნაბიჯების ხმის მოგონება, თვლემისას რომ ჩამესმოდა. მათ ყველაფრის აუღელვებლად, წყნარად კეთების ჩვევა ჰქონდათ. როდესაც თვალის ქავილისას რომელიმეს ხელის თვალთან მიტანა სურდა, ის მას მაღლა სიმძიმედაკიდებულივით ეწეოდა. ხუმრობა იცოდნენ უხეში, მაგრამ გულითადი. მათ სიცილს უცნაური, შიშისმომგვრელი ხველება ახლდა, მხოლოდ მოჩვენებითი, რადგან არაფერი ჰქონდა რეალური საფრთხისა. პირში ყოველთვის უგროვდებოდათ ფურთხი, ხოლო საით მიმართავდნენ პირს გადაფურთხებისას, მათთვის სულერთი იყო. ყოველთვის ჩიოდნენ, რომ ჩემმა რწყილებმა პირი ახლა მათკენ იბრუნეს; მაგრამ ამას

ისინი არ გაუბოროტებია, რადგან კარგად იცოდნენ – ჩემს ბეწვში რწყილები წარმატებით მრავლდებოდნენ და ისიც, თუ რა კარგი მხტომელები იყვნენ; და ამას გაგებით ეკიდებოდნენ. თავისუფალ დროს ზოგიერთნი ჩემ ირგვლივ ნახევარწრედ სხდებოდნენ, არ ლაპარაკობდნენ, თითქოს უფრო ჟღურტულებდნენ, და სკივრებზე წამოწოლილები ჩიბუხს აბოლებდნენ; ჩემს უმცირეს მოძრაობაზეც მუხლზე ხელს ირტყამდნენ; ხანდახან ილებდნენ ჯოხს და მფხანდნენ იქ, სადაც ყველაზე მეტად მსიამოვნებდა. და დღეს, იმ გემზე სამოგზაუროდ რომ დავეპატიჟე, რა თქმა უნდა, უარს ვიტყოდი, თუმცა ცხადია ისიც – შუა გემბანზე ჩემი ცხოვრებისდროინდელი მოგონებები არაა მხოლოდ უსიამოვნო ან საზიზღარი.

გაქცევის ცდისგან სწორედ ამ ხალხის წრეში ნაპოვნი სიმშვიდე მაკავებდა. დღევანდელი გადასახედიდან მეჩვენება, რომ, სულ ცოტა, ბუნდოვნად მაინც ვგრძნობდი – თუ გადარჩენა მინდოდა, გამოსავალი აუცილებლად უნდა მეპოვა, და რომ ეს გაქცევა ვერ იქნებოდა. არ ვიცი, იყო თუ არა ეს შესაძლებელი, მაგრამ ვფიქრობდი, რომ მაიმუნისთვის – არცთუ შეუძლებელი. მართალია, დღეს ჩემთვის ასე ჩვეული კაკლის კვნეტისასაც კი ფრთხილად უნდა ვიყო, მაგრამ მაშინ ალბათ დროთა განმავლობაში შევძლებდი კარის საკეტის გადაღრღნას. მაგრამ ეს არ გავაკეთე. ან კი რას მომიტანდა? თავის გამოყოფასაც ვერ მოვასწრებდი, რომ მაშინვე დამიჭერდნენ და კიდევ უფრო ცუდ გალიაში გამომაწყვდევდნენ; ან, თუკი სხვა ცხოველებთან, მაგალითად, გოლიათურ გველებთან შეუმჩნეველად მისვლას შევძლებდი, მხოლოდ იმისთვის, რომ მათ მკლავებში, მათი სხეულის ძლევამოსილ რგოლებში დამელია სული; ან რომ მომეხერხებინა, გემბანი მალულად გამევლო და გადავმხტარიყავი – რა მელოდა? ერთხანს ოკეანის ტალღებზე ლივლივი და, ბოლოს, დახრჩობა – სასოწარკვეთილი ადამიანის უგუნური ქმედება, სხვა არაფერი. ასე ადამიანურად მე არ ვმსჯელობდი, მაგრამ ჩემი გარემოცვის გავლენით ისე ვიქცეოდი, თითქოს ეს ყველაფერი მესმოდა და ყველაფრის გათვლას ვცდილობდი.

გათვლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ალბათ ყველაფერს მშვიდად ვაკვირდებოდი. ვხედავდი, როგორ დადიოდნენ ეს ადამიანები – ერთი და იგივე სახეები, ერთი და იგივე მოძრაობა, ხანდახან მეჩვენებოდა, რომ სინამდვილეში კი არ იყვნენ, იყო მხოლოდ ერთი. ჩემ წინ დიადი მიზანი აკიაფდა. არავინ მპირდებოდა, რომ თუ მათი მსგავსი გავხდებოდი, ჩემთვის ამ გალიის კარი გაიხსნებოდა. ამგვარ შეუსრულებელ დაპირებას არავინ იძლეოდა. მაგრამ პირობის შესრულებისას ახალი იმედები გაჩნდებოდა, სწორედ იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად მოელის კაცი. ხოლო რაც შეეხება ამ ადამიანებს, მათ არაფერი ჰქონდათ

ჩემთვის მიმზიდველი. და იმ, უკვე ნახსენები თავისუფლების მომხრე რომც ვყოფილიყავი, ცხადია, ოკეანის ტალღებს მაინც იმ გამოსავალს ვარჩევდი, რასაც ამ ადამიანების პირქუში იერი მპირდებოდა. ყოველ შემთხვევაში, სანამ ამ დასკვნამდე მივიდოდი, მათ დიდხანს ვაკვირდებოდი. დიახ, ჩემი დაკვირვებები ერთი, განსაზღვრული მიმართულებით მიმაქანებდა.

ადვილი იყო ადამიანების მიბაძვა – ფურთხება პირველ დღეებშივე ვისწავლე. და ამის შემდეგ გულიანად ვაფურთხებდით ერთმანეთს სახეში, სანამ არ მოგვწყინდებოდა; ერთი განსხვავებით: როდესაც გულს ვიჯერებდით, მე სახეს გულმოდგინედ ვილოკავდი, ისინი კი არა. ძალიან მალე ჩიბუხს ისე ვაბოლებდი, როგორც ამ საქმიანობას გაშინაურებული და ამ საქმეში დაბერებული. ხოლო, როდესაც ჩიბუხის თავში ცერს ჩავჩრიდი, ამას მთელი შუა გემბანის მხიარული ყიჟინა მოჰყვებოდა; მხოლოდ ცარიელ და დატენილ ჩიბუხებს შორის განსხვავებას ვერ ვხედებოდი დიდხანს.

ამ დროის ყველაზე დიდი უსიამოვნება დაკავშირებულია შნაფსის ბოთლთან. მისი სუნი მტანჯავდა და მთელი ძალების დაძაბვის ზღვარზე მამყოფებდა; კვირები გავიდა, სანამ ჩემს თავს ვძლევდი. ეს შინაგანი ბრძოლა გარშემო მყოფებმა ჩემთან დაკავშირებული ნებისმიერ სხვა მოვლენაზე გაცილებით სერიოზულად აღიქვეს. ჩემს მოგონებებში ამ ადამიანებს არ განვასხვავებ, მაგრამ იყო მათ შორის ერთი, რომელიც მუდამ მსტუმრობდა – მარტო თუ ამხანაგებთან, დღისით თუ ღამით – და დღის სრულიად განსხვავებულ მონაკვეთებში; ჯდებოდა ჩემ წინ ბოთლით ხელში და გაკვეთილიც იწყებოდა. მას არ ესმოდა ჩემი და ამ უცნაური არსების ბუნებაში ჩაწვდომას ცდილობდა. ამიტომ, ბოთლიდან საცობს ნელა იღებდა და მიყურებდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ყველაფერი გავიგე; ვაღიარებ, ამ ადამიანს ყოველთვის ველური ყურადღებით, სულმოუთქმელად ვაკვირდებოდი; ადამიანური ბუნების შესწავლის მსურველი ამ საგნის ამგვარ მასწავლებელს ძნელად თუ იპოვის დედამიწის ზურგზე; მას შემდეგ, რაც ბოთლს გახსნიდა და მას პირთან მიიტანდა – ჩემი მზერა მას ბოლომდე აცილებდა, თვით ყელამდე – ჩემით კმაყოფილი თავს მიკრავდა, შემდეგ ტუჩებზე მიიდებდა, მე კი, მომხდარის გაცნობიერებით, მისი არსის თანდათანობითი წვდომით აღფრთოვანებული, თავგამოდებით ვიფხანდი ყველაფერს – წკმუტუნით, კრუსუნით, გრძივად თუ განივად – რასაც კი მივწვდებოდი; მასაც უხაროდა და კმაყოფილი წრუპავდა სასმელს; ხოლო მე, მოუთმენარი და სასონარკვეთილი, თანასწორობის მოსურნე, სიმწრისგან ჩავისერიდი და იქაურობას ვაბინძურებდი, რაც მას დიდ კმაყოფილებას ჰგვრიდა; ბოთლს შორს გაწვდილი ხელით აიქნევდა, პირთან მიი-

ტანდა და ყელში ერთი ამოსუნთქვით გადაუძახებდა. მე, ამ დაუკმაყოფილებელი სურვილით გამოფიტული, მხარს ველარ ვუბამდი და გისოსებს ჩამოვეკიდებოდი. ის კი, სწავლების თეორიულ ნაწილს მორჩენილი, ხელს მუცელზე კმაყოფილებით ისვამდა და თან კეთილად იცინოდა.

მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა პრაქტიკულ გაკვეთილებს. თეორიული გაკვეთილებით მეტისმეტად ხომ არ ვიფიტებოდი? ალბათ. ასეთი იყო ჩემი ბედი. და მაინც რამდენადაც ვახერხებდი, გამოწვდილ ბოთლზე ჩაჭიდებას ვცდილობდი; ხელის კანკალით ვხსნიდი; წარმატებასთან ერთად კი ძალ-ღონე მიბრუნდებოდა; ვწევდი ბოთლს, ნამდვილის ზუსტ ასლს; მოვიყუდებდი და ზიზღით ვაგდებდი, დიახ, ზიზღით მოვისვრიდი, მიუხედავად იმისა, რომ ცარიელს მხოლოდ სუნი ჰქონდა შემორჩენილი. ჩემი მასწავლებლის გულდასაწყვეტად და საკუთარი პერსონის გულსატკენად, ვერც მისი გულის მოლბობას და ვერც ჩემი სევდის გაქარვებას ვახერხებდი იმით, რომ მისი გადაგდების შემდეგ მუცელზე ხელის მოსმა და ჩაცინება არ მავიწყდებოდა.

აი, ეს იყო ჩემი გაკვეთილი, ხშირად, ალბათ მეტისმეტად ხშირადაც. მაგრამ, ჩემი მასწავლებელი უნდა ვაქო და ვადიდო: ის არ მიწყრებოდა; ხანდახან თუ დამადებდა ანთებულ ჩიბუხს ტყავზე, სანამ სადმე, სადაც ვერ ვწვდებოდი, კანი არ დამეწვებოდა, მაგრამ შემდეგ თავისი დიდი, კეთილი ხელებით მას თვითონვე აქრობდა – უბოროტო არსება, რადგან კარგად ხედავდა, რომ ჩვენ მაიმუნურ ბუნებას ერთი საერთო პოზიციიდან ვებრძოდით და, რომ ჩემ წილად გაცილებით ძნელად მოსათვინიერებელი მხარე მოდიოდა.

და რა გამარჯვება იყო მისთვის, ისევე როგორც ჩემთვის, როდესაც ერთ საღამოს, მაყურებლების თანდასწრებით – ალბათ, ზეიმობდნენ რაღაცას, უკრავდა გრამოფონი, ოფიცერი გამოსულიყო გემბანზე და ხალხში სეირნობდა – სწორედ ამ საღამოს, სრულიად მოულოდნელად, გალიის წინ უყურადღებოდ მიტოვებულ ბოთლს მოვკარი თვალი, ავიღე და ყურებდაცქვეტილი პუბლიკის წინაშე ყველა წესის დაცვით გავხსენი, მივიდე ტუჩზე და ყოყმანის, მანჭვის გარეშე, როგორც ნამდვილმა მსმელმა, თვალებმილულულმა ყელში გადავუძახე ისე, რომ ყლუპების ხმით მთელი შემოკრებილი პუბლიკა დავატკბე; ვსვამდი არა თავის თავში დაეჭვებული ადამიანის სასოწარკვეთილი გამბედაობით, არამედ, როგორც საქმეში გაწაფული, მასში დაღვინებული და ბოლოს ცარიელი ბოთლიც მოვისროლე; მართალია, მუცელზე ხელის მოთათუნება დამავიწყდა; სამაგიეროდ, რადგან თავის შეკავება აღარ შემეძლო, ვინაიდან აღეგზნო ჩემი არსება, გალაღდა გრძნობები, ამოძრავდა ჩემში

ყველაფერი – მოკლედ და ლაკონურად – დავიყვირე „ჰეი!“ და ჩემი ხმა ადამიანურ ბგერებად გადმოიღვარა, ამ შეძახილით ადამიანთა მოდგმაში შევიჭერი და მათ გამოხმაურებას – „ერთი უსმინეთ, ალაპარაკდა!“ – მთელი ჩემი ოფლად დაღვრილი სხეული კოცნად, ამბორად შეიგრძნობდა.

ვიმეორებ: ადამიანების მიბაძვა არ იყო თვითმიზანი; მე მათ ვბაძავდი, რადგან ეს იყო ჩემი ერთადერთი იმედი. მაგრამ ეს გამარჯვება არ იყო საკმარისი. ხმამ იმწამსვე მიღალატა; და მხოლოდ თვეების შემდეგ დამიბრუნდა; შნაფსის ბოთლისადმი ზიზღმა თითქოს იმატა. მაგრამ არჩეული მიმართულება საბოლოო იყო და იქიდან გადახვევას არ ვაპირებდი.

როდესაც ჰამბურგში ჩემი თავი მომთვინიერებელს გადასცეს, მაშინვე გავაცნობიერე ჩემ წინაშე მდგარი არჩევანი: ან ზოოპარკი, ან ვარიეტე. არ მიყოყმანია. და ვუთხარი ჩემ თავს: გააკეთე ყველაფერი, რათა მოხვდე უკანასკნელში; აი, ერთადერთი გამოსავალი; ზოოპარკი მხოლოდ ახალი გალიაა – მოხვდები იქ და სამუდამოდ დაიღუპები.

და მეც ვისწავლე, ბატონებო. აჰ, ადამიანი მაშინ სწავლობს, როდესაც სურს სწავლა, რადგან გამოსავალს ეძებს; და სწავლობს მაშინ თავდადებით, უკანმოუხედავად; მეთვალყურეობს თავის თავს, თუნდაც მათრახით; და თვით უმნიშვნელო წინააღმდეგობისას იტანჯება. მაიმუნური ჩემში მძვინვარებდა, ყალყზე დგებოდა, ყირაზე გადადიოდა, სხვებისკენ მიმართული, მათზე ვრცელდებოდა და ჩემი მასწავლებელიც, ლამის მაიმუნად ქცეული, მალე გაკვეთილებზე ხელს იღებდა და სამკურნალო დაწესებულებაშიც კი ხვდებოდა. საბედნიეროდ, იქიდან მალევე ბრუნდებოდა.

ბევრი მასწავლებელი გამოვიცვალე, მყავდა ხან ერთი, ხან კი რამდენიმე ერთდროულად. როდესაც ჩემი განსწავლულობა ამაღლდა, დაიხვენა, საზოგადოება კი ჩემი პროგრესის მიმართ ყურადღებიანი გახდა და ჩემი მომავალი სულ უფრო გამოიკვეთა, მასწავლებლებს მე თვითონ ვირჩევდი, ხუთ სხვადასხვა ოთახში ვათავსებდი, მე კი, თანამიმდევრულად, ერთიდან მეორეში დავხტოდი.

აჰ, ეს წინსვლა, პროგრესი! ყოველი მხრიდან ცოდნის ნათელი სხივების მოზღვავება და ამ ყამირ, ახალგაღვიძებულ ტვინში მათი შეღწევა-დამკვიდრება! არ უარვყოფ: ბედმა გამიღიმა. თუმცა, ამავე დროს ვაღიარებ: ამას ზედმეტად არ ვაფასებდი არც მაშინ და, მით უმეტეს, არც ახლა. ძალების უკიდურესი დაძაბვის ხარჯზე, მსგავსი ამ ქვეყანას რომ არ ახსოვს, შევძელი საშუალო ევროპელის განათლების მიღება. შესაძლოა, ეს არც იმდენია, მაგრამ დასაფასებელია, რადგან გალიიდან დამიხსნა და ეს განსაკუთრებულმა გამოსავალმა – ადამიანად ყოფნამ შემაძლებინა. არსებობს შესანიშნავი გერმანული

გამოთქმა: ბუჩქებში დაიმალო – გაქრე; და სწორედ ეს გავაკეთე – გავქრი. სხვა გზა არ მქონდა, თუ ვივარაუდებთ, რომ თავისუფლება არ იყო ჩემი არჩევანი.

როდესაც თვალს გადავავლებ ჩემს განვითარებას, მის წარსულ მიზნებს, მაშინ არც წუწუნის და არც თვითკმაყოფილების საბაბი არა მაქვს – ხელები შარვლის ჯიბეებში, ბოთლი ღვინო მაგიდაზე და სარწეველაში წამოწოლილი ფანჯარაში ყურება, აი, ჩემი პრივილეგია. მოდის სტუმარი, ვღებულობ, როგორც წესია. ჩემი იმპრესარიო მისაღებშია; ზარის ხმაზე შემოდის, ისმენს განკარგულებებს. წარმოდგენა თითქმის ყოველ საღამოსაა, და ჩემი წარმატება აღარაა მზარდი, უკეთეს შემთხვევაში, უკან არ მიდის. ბანკეტიდან, სამეცნიერო საზოგადოებებიდან ან სადმე ვიწრო წრის სიმყუდროვეში გატარებული საღამოდან სახლში გვიან ვბრუნდები, სადაც მელის პატარა, ნახევრადგაწვრთნილი შიმპანზე გოგონა და ჩემს თავს მასთან მაიმუნად ყოფნის თავისუფლებით ვანებივრებ. დღისით არ მსურს მისი ხილვა – ამ გაუთავებელი წვრთნით გზააბნეული ცხოველის უაზრო გამომეტყველება, რომელსაც მხოლოდ მე ვამჩნევ, ძნელი ასატანია.

მთლიანობაში ყველაფერს მივაღწიე, რის მიღწევაც მსურდა. ვერ ვიტყვი, რომ არ ღირდა წვალებად. ოღონდ ახლა, არა ადამიანის განსჯა, არამედ ცოდნის განვრცობა მსურს და ყველაფერს, მაღალო საზოგადოებავ, ყველაფერს მხოლოდ ამ მიზნით მოგახსენებთ.

შიმშილობის ოსტატი

პატარა ქალბატონი

ის მინიატიურულია, გამხდარი, და მაინც შემოტკეცილ, თასმებით მჭიდროდ შეკრულ ტანსაცმელს ატარებს, ყოველთვის ერთსა და იმავეს, რომლის მოყვითალო-ნაცრისფერი ქსოვილი, შეიძლება ითქვას, ხისგულისფერია, იმავე ფერის ფუნჯებითა და ღილისებრი ფოჩებით მორთულ-მოკაზმული; ყოველთვის უქუდო, თმა – ქერა, ბზინვარებაჩამქრალი, სადა და გლუვი, არა უწესრიგოდ ჩამოშლილი, არამედ ერთად თავმოყრილი, თუმცა არც თავისუფლება აქვს ბოლომდე შეზღუდული; მიუხედავად შემოტმასნილი კაბისა და თასმებისა, მისი მოძრაობა თავისუფალია და, შესაძლოა, ის ამ თვისებას ერთგვარად აზვიადებს კიდეც, თითქოს ამით თავს იწონებს; უყვარს დოინჯშემოყრილი დგომა და გვერდზე გადახრა, მკვეთრი და უეცარი. შთაბეჭდილება, რომელსაც მისი ხელები ტოვებს, მხოლოდ იმ დეტალით შემიძლია გამოვხატო, რომ არ მინახავს ადამიანი, რომლის თითები ასე მკვეთრად იყოს ერთმანეთისგან განცალკევებული; და მაინც, ეს არა ანატომიური აგებულების ანომალია, არამედ ჩვეულებრივი, სრულიად ნორმალური ხელია.

და ახლა ეს პატარა ქალბატონი ჩემით ძალზე, ძალზე უკმაყოფილოა, რის საბაბსაც ადვილად პოულობს – ფიქრობს, რომ ყოველთვის უსამართლოდ ვექცევი და ყოველ ნაბიჯზე ვაბრაზებ; შესაძლებელი რომ იყოს ცხოვრების უმცირეს ნაწილებად დანაწევრება და მათი ცალ-ცალკე განსჯა, ჩემი ცხოვრების თითოეული ასეთი უმცირესი ნაწილი მისთვის აღშფოთების საბაბი იქნებოდა. ბევრჯერ მიფიქრია ამაზე, თუ რატომ შეიძლება იყოს ჩემზე ასე შემომწყრალი; შესაძლოა იმიტომ, რომ მის წარმოდგენას სილამაზეზე, სამართლიანობაზე, ზოგადად მის ჩვევებს, იმედებსა და ტრადიციებს ჩემში ყველაფერი

ეწინააღმდეგება. გეთანხმებით, არსებობენ ასეთი, ჩვენი ბუნების სრულიად საპირისპირო ადამიანები, მაგრამ განა ეს საკმარისია, რომ ისინი ტანჯვის საბაბად ვაქციოთ? ჩვენ არ ვურთიერთობთ და, ამდენად, ჩემი მხრიდან მისი ტანჯვის მიზეზად ქცევის არც საბაბი არ არსებობს. მან უბრალოდ უნდა ჩათვალოს, რომ მისთვის სრულიად უცხო ვარ. ცხადია, ასეცაა და, ამავე დროს, მე ვარ ადამიანი, რომელიც ამგვარ გადაწყვეტილებას არათუ შეეწინააღმდეგება, არამედ ყოველმხრივ მიესალმება; მან უბრალოდ უნდა გადაწყვიტოს, რომ მისთვის აღარ ვარსებობ, ამას თავს არც ადრე ვახვევდი და არც მომავალში ვეცდები – და გაქრებოდა ტანჯვა ყოველი. ვდუმვარ და არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჩემთვისაც მტკივნეულია ეს ყველაფერი, და ხმასაც სწორედ ამიტომ არ ვიღებ, კარგად ვიცი, ჩემი სატკივარი მის ტანჯვასთან შედარებით არაფერია. თან, ისიც კარგად ვუწყი, რომ ეს ტანჯვა არც გაუზიარებელი სიყვარულის ნაყოფია; განა რა მოხდებოდა ჩემს ცხოვრებაზე კეთილი ზეგავლენის მოხდენას რომ ცდილობდეს, ოდნავ მაინც, მით უმეტეს იმაში, რასაც ის ჩემ მიმართ აკეთებს, ჩემი წინსვლის შემაფერხებელი არაფერია. მაშ რაღაა კიდევ ერთი პატარა ნაბიჯი? მაგრამ ჩემი წარმატება მას არად უღირს. ერთადერთი, რაც ადარდებს, ეს პირადი ინტერესია, ანუ იმ ტანჯვის საზღაური, ყოველდღიურად რომ ვუმზადებ, ან ჩემგან მოსალოდნელი ტანჯვის თავიდან აცილება. ერთხელ უკვე მივანიშნე, ამ მუდმივი უსიამოვნებისთვის ბოლო როგორ მოეღო, ვცადე მაინც, მაგრამ ამით მასში ისეთი მრისხანება გამოვიწვიე, რომ ჩემს განზრახვაზე სასწრაფოდ და საბოლოოდ ხელი ავიღე.

გარკვეული პასუხისმგებლობა ჩემზეც მოდის. რაც უნდა უცხო იყოს ჩემთვის ეს პატარა ქალბატონი, ხოლო წყენა ის ერთადერთი, რაც გვაკავშირებს, ტკივილის მიმართ, რომელსაც მას ვაყენებ, ან რომელსაც ჩემ გამო განიცდის, გულგრილი მაინც ვერ ვიქნები, რომ ის ასე – არა მარტო სულიერად, არამედ ფიზიკურადაც – იტანჯება. ჩემამდე ხანდახან აღწევს, ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად, რომ გაღვიძებისას კვლავ ფერმკრთალი და უძინარი ყოფილა, თავის ტკივილით შეწუხებული და საქმიანობისთვის თითქმის უვარგისი; რითაც ახლა თავის ნათესავებსა და ახლობლებს გაუჩინა საფიქრალი, მსჯელობენ ისინი დროდადრო მიზეზებზე, მაგრამ ვერ პოულობენ, მხოლოდ მე ვიცი ის – ესაა გაღიზიანება, ძველი, და მაინც ახალი. რა თქმა უნდა, მისი ახლობლების შეშფოთებას არ ვიზიარებ, რადგან ვიცი, ის მტკიცეა და შეუპოვარი, ვისაც ასე გაბრაზება შეუძლია, მისი შედეგების დაძლევასაც შეძლებს; ხანდახან მიჩნდება ეჭვი, რომ მისი წყენა, თუნდაც ნაწილობრივ, უფრო მოჩვენებითია, ვიდრე ნამდვილი, როგორმე მთელი ქვეყნის ეჭვი ჩემკენ რომ მომართოს.

სიმართლე გითხრათ, მჯერა – ეამაყება კიდეც, რომ სწორედ მე ვარ მისი ტანჯვის წყარო და მიზეზი. ჩემ გამო რამე სხვაზე წუწუნი მისთვის დამამცირებელი იქნებოდა; მისი არსებობის მთავარი იმპულსი მხოლოდ ჩემთან დაკავშირებული ამოუწურავი და უსაზღვრო ზიზღია – მოგიზგიზე, დაუცხრობელი; და, რა თქმა უნდა, ამ შეურაცხმყოფელ თემაზე საჯარო მსჯელობა მისი ღირსებისთვის მეტის-მეტად დამამცირებელი იქნებოდა. მაგრამ არც ისაა გამოსავალი, საერთოდ არაფერი თქვა შენი წუხილის, შფოთვის მუდმივ საგანზე. და ცდილობს თავისი ქალური ცბიერებით რაღაც შუალედურის მოძებნას; მდუმარედ, მხოლოდ საკუთარი ფარული ტანჯვის გარეგნული ნიშნებით ცდილობს ამ ყველაფრის საზოგადოების სამსჯავროზე წარდგენას. შეიძლება იმედოვნებს, რომ საზოგადოების ყურადღების ჩემზე მოპყრობით მის აღშფოთებას გამოიწვევს და საზოგადოების ხელში არსებული იძულების უზარმაზარი საშუალებებით საბოლოო განაჩენს უფრო სწრაფად გამომიტანს, ვიდრე ამას თავისი შედარებით სუსტად აღჭურვილი პირადი გაბრაზებით შეძლებდა; რის შემდეგაც, ალბათ, უკან დაიხევს, თავისუფლად ამოისუნთქავს და ზურგსაც შემაქცევს. თუ მართლაც ასეთია მისი მოლოდინი, ის მწარედ ცდება. საზოგადოება მას ამ როლში არ ჩაენაცვლება და არც შეუამხანაგდება; რადგან ის ამდენ ბრალდებას ვერასოდეს წამომიყენებს, თუნდაც ყველაზე დიდი გამადიდებელი შუშითაც, ლუპითაც რომ დამაკვირდეს. არც ისეთი უვარგისი ვარ, როგორც ფიქრობს; თავის ქებას ვერ დავიწყებ, მით უმეტეს, ამასთან დაკავშირებით; თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეუცვლელი და ერთადერთი არ ვარ, ჩემი არც საპირისპირო თვისებებია თვალში საცემი; მხოლოდ მისთვის, მისი, ლამის თეთრად მოშუქარი თავლებისთვის ვარ ასეთი, და ამაში ის სხვას ვერავის დაარწმუნებს. მაგრამ შემიძლია ამ მხრივ მშვიდად ვიყო? არავითარ შემთხვევაში; რადგან, თუ ცნობილი გახდა, რომ ჩემ გამო ლამისაა დასნეულდეს, და თუ ზოგიერთი გაფაციცებული მეთვალყურე, ან ჭორების ყველაზე დაუღალავი და ერთგული მსახური ყოველივე ამის განჭვრეტასთან მართლაც ძალზე ახლოსაა ან თავს გვაჩვენებს, რომ ასეა, ხომ მომაწყდება მაშინ ყველა და მკითხავს, თუ რატომ ვტანჯავ პატარა ქალბატონს ჩემი გამოუსწორებელი ხასიათით, მის სიკვდილის პირამდე მიყვანას ხომ არ ვაპირებ და, ბოლოს და ბოლოს, ამ ყველაფრის შესაწყვეტად მეყოფა თუ არა ადამიანური თანაგრძნობა და გონიერება. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდებოდა და იძულებული ვიქნებოდი მეღიარებინა, რომ მისი ავადმყოფობის ამ ნიშნებისა მაინცდამაინც არ მჯერა და ამით, ბუნებრივია, ის უსიამოვნო ეჭვი უნდა გამეღვივებინა, რომ ოღონდ როგორმე პასუხისმგებლობას თავი ავარი-

დო, მზად ვარ ყველაფერი სხვას გადავაბრალო, თან ასე უხეშად და არადელიკატურად. რომ შემეძლოს ღიად თქმა, ვიტყოდი – ამ ავადმყოფობის ამბავი კიდეც რომ მჯეროდეს, ამ არსების მიმართ თანაგრძნობა არ მაქვს არავითარი, რადგან ის ჩემთვის სრულიად უცხოა, რომ ურთიერთობა, რომელიც ჩვენ შორის არსებობს, ცალმხრივია, მხოლოდ მის მიერ შეთხზული. ვერ ვიტყვი, რომ არ დამიჯერებდნენ; უფრო არც დამიჯერებდნენ და არც დაეჭვდებოდნენ; ამგვარ მსჯელობამდე საქმე ალბათ არც მივა; სავარაუდოდ, უბრალოდ იმ განცხადებას დასჯერდებიან, რაც მე ამ სუსტ, ავადმყოფ ქალბატონთან დაკავშირებით გავაკეთე, და ჩემთვის ეს არცთუ სახარბიელო იქნებოდა. ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა პასუხისას, ჩემ წინ გადაულახავ წინაღობად ამ და მსგავს შემთხვევებში სასიყვარულო ურთიერთობის ეჭვის გაღვივების, მისი აღმოცენების წინაშე ჩვენი სამყაროს უუნარობა აღიმართებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ურთიერთობის არარსებობა ცხადზე ცხადია, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ჩემგან უნდა მოდიოდეს, იმისგან, ვინც, მიუხედავად ამ პატარა ქალბატონის განსჯის ძალისა და მისი დასკვნების უსასრულო რიგისა, მისი ღირსებებისთვის პატივის მიგებას შეძლებდა, და ეს იმ შემთხვევაში, თუკი მისი მიკერძოების მსხვერპლი არ გავხდებოდი. მას კი ჩემდამი მეგობრული დამოკიდებულებისა არაფერი ეტყობა; ამაში ის ალალი და გულწრფელია; და სწორედ ამას ეფუძნება ჩემი უკანასკნელი იმედი; ასეთი, სავარაუდო, ურთიერთობის მის საომარ გეგმებთან თანხვედრის შემთხვევაშიც კი ის ისეთ თავდავიწყებას არასოდეს მიეცემოდა, რომ რაღაც ამგვარის არსებობა ცხადი სხვებისთვის ექცია. თუმცა საზოგადოება – ამ მიმართებით სრულიად ჩლუნგი – მაინც მის აზრზე დარჩებოდა და ყოველთვის ჩემი წინააღმდეგი იქნებოდა.

და აღარაფერი დამრჩენია, თუ არა დროულად ვუშველო თავს და, სანამ ჩვენს საქმეებში მთელი ქვეყანა ჩარეულა, ისე შევიცვალო, რომ პატარა ქალბატონის რისხვა როგორმე თავიდან კი არ ავიცილო, რაც, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, არამედ ოდნავ მაინც შევარბილო. ხშირად მიკითხავს საკუთარი თავისთვის, მაკმაყოფილებს თუ არა ჩემი ახლანდელი მდგომარეობა იმდენად, რომ ჩემს ქმედებაში რამის შეცვლა, ან თუნდაც ამაზე ფიქრი ზედმეტად მიმაჩნდეს, არა იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ ამის აუცილებლობაში, არამედ თუნდაც ამ ქალბატონის დასაშოშმინებლად. და მეც ვცადე, მართალია, წვალებითა და ძალდატანებით, მაინც კეთილსინდისიერად; თუმცა თანდათან ჩამითრია და მეც ავყევი, რადგან ყველაფერი ეს ერთგვარად მართობდა და მახალისებდა; ზოგიერთი განხორციელებული ცვლილება თვალში საცემი გახდა, და ამდენად, ამაზე ქალბატონის ყურადღების

მიპყრობა ზედმეტიც კი გახლდათ, რადგან ის ყველაფერს ისედაც ჩემზე ადრე ამჩნევს – მას ხომ ჩემს სახეზე თვით განზრახვის ამოკითხვაც შეუძლია; მაგრამ წარმატება არ იყო უზრუნველყოფილი, ან იქნებოდა კი ეს შესაძლებელი? მისი ჩემით უკმაყოფილება, როგორც ახლა ვხედავ, საფუძვლიანია, არსებითი; და მის წინაშე უძლურია ყველაფერი, თვით ჩემი თვითმკვლელობის ჩათვლით, რადგან მისი მრისხანება, ამ შემთხვევაში, კიდევ უფრო დიდი, უსაზღვრო იქნებოდა. და ვერ წარმომიდგენია, რომ ასეთი მახვილი გონების ქალბატონს კარგად არ ესმოდეს, არ ესმოდეს ჩემსავით, როგორც მისი ცდების უნაყოფობა, ასევე ჩემი უდანაშაულობა, ჩემი უუნარობა, თვით გულწრფელი განზრახვისასაც, ვუპასუხებდე მის პრეტენზიებსა თუ ბრალდებებს. რა თქმა უნდა, ის ყველაფერს ხედავს, მაგრამ ამგვარ მეომრულ აღტყინებაში ამ შეუპოვარ, საბრძოლო ჟინით დაბრმავებულ არსებას ყველაფერი ავიწყდება და ასეთია ჩემი უიღბლო, საბრალო ბუნება, რომლის შეცვლაც არ შემიძლია, რადგან განგებამ ის სამუდამოდ მარგუნა, რომ მრისხანებაში ზღვარგადასულ არსებას მხოლოდ გაფრთხილება შემიძლია ჩავჩურჩულო. და ამ პირობებში ჩვენ, რა თქმა უნდა, ერთმანეთს ვერ გავუგებთ. და ესაა ალბათ ჩემი ხვედრი – გამოვდიოდე სახლიდან ყოველ დილით, დღის პირველი საათების იმედით გამხნევებული და ჩემი ხილვით დამწუხრებულ სახეს ვუყურებდე, გაღიზიანების ნიშნად ზევით აპრეხილ ტუჩებს, დაკვირვებულ, ყურადღებიან მზერას და შედეგს – ამ დაკვირვებამდე წინასწარ ცნობილს და სახეზე აღბეჭდილს; მზერას, რომლის შუქიც ჩემს სახეზე გაიელვებს, გაკრთება და რომელსაც, მიუხედავად დროის სიმცირისა, არაფერი გამოეპარება, გაბორტყებულ ღიმილს, ამ ქალურ ლოყებსა და მის ნაკვთებში გამჯდარ-ჩაღვენთილს, საყვედურით აღსავსეს, ცისკენ მიმართულს, დოინჯშემოყრილ დგომას, როგორმე თავი რომ გაიმხნეოს და ნება განიმტკიცოს, და აღშფოთებულის ცახცახსა და გაფითრებას.

ამის შესახებ ამ დღეებში – როგორც, ჩემდა გასაოცრად, ზემოხსენებულ მოვლენებზე თვალის გადავლებისას აღმოჩნდა, მთელი ამ ხნის მანძილზე პირველად – გადაკვრით ერთ მეგობარს ვესაუბრე, ორიოდე სიტყვით, და ამ ყველაფრის მნიშვნელობა, თუნდაც გარეგნულად, რაც უნდა პატარა იყოს ჩემთვის, სიმართლესთან შედარებით კიდევ უფრო დავაკნინე. უცნაურია, მაგრამ ჩემს მეგობარს ამაზე თითქოს არაფერი სმენოდა, მეტიც, მას დიდი მნიშვნელობა არც მიანიჭა, ჩემს არგუმენტებს ჯიუტად უარყოფდა და ასევე ჯიუტად თავისაზე იდგა. მით უმეტეს უცნაურია, რომ თითქოს ის ამ ამბავს არსებითად დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, მაინც ცოტა ხნით საცხოვრებლად სხვაგან გადასვლა მირჩია და საკმაოდ დაბე-

ჯითებითაც. უფრო უგუნური გამოსავალის შემოთავაზება ძნელი იქნებოდა; მართალია, ვითარება მარტივი ჩანს, ყველას შეუძლია, თუკი კარგად დააკვირდება, მასში გარკვევა, მაგრამ არც ისე, რომ ჩემმა გამგზავრებამ ყველაფერი ან უმთავრესი მაინც მოაგვაროს. პირიქით, თავი სწორედ გამგზავრებისგან უნდა შევიკავო; და, თუკი რამე გეგმას უნდა მივდიო, პირველ რიგში იმას, რომ ვითარება თავის პირვანდელ, ვიწრო, გარე სამყაროსთვის დახურულ სივრცეში დავტოვო, ასევე, ვიყო მშვიდად იქ, სადაც ვარ, და არ დავუშვა ამ გარემოებით გამოწვეული დიდი, თვალში საცემი ცვლილებები, რაც ნებისმიერთან ამაზე საუბრისგან თავის შეკავებას გულისხმობს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ეს ვინმესთვის ფარულ საფრთხეს შეიცავს, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს პატარა, პირადული და, ამდენად, ადვილად გადასატანი ამბავია და ასეთად უნდა დარჩეს. ამ მხრივ ჩემი მეგობრის მოსაზრებები, გარკვეული თვალსაზრისით, სასარგებლოა და მართალია, ახალი ამაში არაფერია, მათ ჩემი ძირითადი შეხდულება კიდევ უფრო განამტკიცეს.

როგორც ეს უფრო ღრმა განსჯისას გამოჩნდა, ცვლილებები, ჟამთასვლისას რომ განიცდის თითქოს გარემოებები, მართლაც ცვლილებებია, ოღონდ არა მათი, არამედ მხოლოდ მათთან დაკავშირებული ჩემი შეხედულებების, იმდენად, რამდენადაც ეს შეხედულებები ერთგვარად გაწონასწორებული, მოწიფული და საქმის არსის ადეკვატური ხდება, ნაწილობრივ კი, რა თქმა უნდა, მუდმივი და ძნელად დასაძლევი რყევების გავლენით, იყოს თუნდაც მსუბუქი, მაინც, ერთგვარ ნერვულ მუხტს რომ ატარებს.

და სულ უფრო ვმშვიდდები, რადგან ვაცნობიერებ, რომ გადაწყვეტილება, ხანდახან თითქოს ასეთი სასწრაფო და საშური, ალბათ, მაინც არ იქნება – ადამიანი ადვილად ახერხებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო დროის მონაკვეთის გადაჭარბებულ შეფასებას; როდესაც ჩემი პატარა მსაჯული, ჩემი ხილვით შეუძლოდ შექნილი, ცალი ხელით საზურგეს, მეორით კი კორსეტს ჩაჭიდებული, სავარძელში გვერდულად, უღონოდ ეშვებოდა და ლოყებზე სასოწარკვეთილი სიბრაზის ცრემლები სდიოდა, ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ეს იყო გადაწყვეტილების მიღების წამი, რომ მალე დამიძახებდნენ და პასუხს მაგებინებდნენ. მაგრამ არ ჩანდა არც პასუხისგება და არც განაჩენი. ქალები ადვილად ხდებიან ცუდად, და სამყაროს არა აქვს დრო საიმისოდ, რომ ყველაფერს ყურადღებით ადევნოს თვალი. და რა ხდებოდა მთელი ამ წლების განმავლობაში? არაფერი, გარდა ამგვარი შემთხვევების გამეორებისა, ხან მძაფრად, ხან მსუბუქად, მხოლოდ მათ რაოდენობას რომ ამრავლებდა. ყველა ჩვენგანის ირგვლივ

დაეხეტება ხალხი, რომელიც, საშუალება რომ ჰქონდეს, ყველგან ჩაყოფდა ცხვირს, და დიდი სიამოვნებითაც, ოღონდ საბაბი მიეცით საამისოდ, მანამ კი, გუმანს მინდობილი, რჩება ამ უკანასკნელის ამარა, რომელიც მარტო იმად თუ გამოდგება, რომ გაართოს და ასე დაასაქმოს. და არსებითად ასე იყო ყოველთვის, იყვნენ ეს უსარგებლო უსაქმურები, ჰაერით ფუჭად მოსარგებლენი, ამ საქმეში განსაკუთრებულად გაქნილნი, თავის სიახლოვეს სხვადასხვა ეშმაკურად მოფიქრებული მიზეზებით, უფრო კი ნათესაობის მომიზეზებით რომ ამართლებენ, ყოველთვის ჩასაფრებულნი, მუდამ საყნოსავად მომართული თუ შემართული ცხვირით, რის შედეგიც მხოლოდ მათი მომაბეზრებელი, მუდმივი გვერდით ყოფნაა. მთელი განსხვავება ისაა, რომ ისინი კარგად გავიცანი, ვარჩევ მათ სახეებსაც; ადრე ვფიქრობდი, რომ ისინი თანდათან, ყველა მხრიდან იყრიდნენ თავს, რომ იზრდებოდა საქმეთა სიმრავლე და გადაწყვეტილების მიღებასაც სწორედ ეს განაპირობებდა; დღეს კი ვფიქრობ, რომ ყველაფერი ასე იყო ოდითგან და გადაწყვეტილების მიღებასთან ამას საერთო ცოტა ან სულაც არაფერი აქვს. ან თვით გადაწყვეტილებაც, რატომ ვხმარობ ამ სიტყვას, რატომ ვაჯილდოებ მას ასეთი მნიშვნელობით? და თუ ოდესმე – ცხადია, არა ხვალ, არა ზეგ და ალბათ არც არასდროს – იმით დამთავრდება, რომ საზოგადოება იმ საქმით დაკავდება, რაშიც ის, როგორც ეს ხშირად მითქვამს, არ არის კომპეტენტური, და მართალია, ეტყობა ამ პროცესს თავს უვნებლად მაინც ვერ დავაღწევ. თუმცა მხედველობაშია მისაღები, რომ საზოგადოებისთვის არა ვარ უცნობი, დიდი ხანია ვცხოვრობ მისი სამყაროს გაჩახჩახებულ სინათლეში, მისი წესებისადმი სრული ნდობით განმსჭვალული და, ამდენად, თავადაც ნდობის ღირსი. და რომ სწორედ ამიტომ ეს, ამ ბოლო დროს (არ ვიცი საიდან) მოვლენილი ტანჯული პატარა ქალბატონი, (და აქვე ვახსენებ, რომ ვინმე სხვა მას დიდი ხანია თალგამად თუ ჩათვლიდა), საზოგადოებისთვის სრულიად შეუმჩნევლ არსებად და, ალბათ, თავისი ჩექმით გასრესდა კიდეც. დიახ, ეს ქალბატონი იმ დიპლომს, რომელშიც საზოგადოება დიდი ხანია თავის პატივცემულ წევრად მაღიარებს უკიდურეს შემთხვევაში მხოლოდ ერთ პატარა, უშნოდ ჩახუჭუჭებულ ხელმოწერას თუ დაურთავს. აი, ასეთია დღეს ვითარება, ჩემნაირი წონასწორობადაკარგული ადამიანისთვის არცთუ ხელსაყრელი.

ბოლო წლების მანძილზე ჩემი სულიერი სიმშვიდის ერთგვარი ამღვრვევა ამ საქმის გარემოებებს სულაც არ უკავშირდება; უბრალოდ არ არის ადვილი შეეგუო, რომ შენ ვიღაცას გამუდმებით აბრაზებ და აღიზიანებ, მაშინაც, როდესაც ამ ბრალდების უსაფუძვლობას სრულად აცნობიერებ, მაინც კარგავ სულიერ სიმშ-

ვიდეს, მოუთმენლად ელი, ასე ვთქვათ, მხოლოდ სხეულებრივად, იმ გადაწყვეტილებებს, რომელთა დადგომის შესაძლებლობასაც შენი კეთილგონიერება არცთუ საფუძვლიანად მიიჩნევს. ნაწილობრივ ეს ყველაფერი ასაკის ბრალიცაა; ახალგაზრდული ხალისი ყველაფერს მოხდენილობით მოსავს და ჭაბუკური ენერგიის უშრეტი ნაკადი უშნო დეტალებსაც ადვილად უმკლავდება; ახალგაზრდას შეიძლება ჰქონდეს უსიამოვნო იერი, რაღაც კრიჭაში დგომის თუ ჩასაფრების, რასაც მას ადვილად აპატიებენ, თითქოს ვერც კი ამჩნევენ, ასევეა თვითონაც, მაგრამ სხვაა სიბერე, როდესაც ადამიანური თვისებებიდან ცოტა რამ შემოგრჩენია და ყველას უნდა გაუფრთხილდე, რადგან მათი განახლება შეუძლებელია, ამიტომაც მეთვალყურეობ, ასაკოვანის მომლოდინე მზერა კი მართლაც გამოკვეთილად მომლოდინეა, და სულ არაა ძნელი ამის დადგენა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც გამწვავების ხილული მიზეზი არ ჩანს.

რაც უნდა იყოს, ცხადია და ურყევად მწამს, რომ ამ საქმეს თუ ხელს დავაფარებ, თუნდაც მსუბუქად შევნიღბავ, მიუხედავად ამ ქალბატონის რისხვისა, სიმშვიდის შენარჩუნებას კიდევ დიდი ხნით შევძლებ.

ჟოზეფინა, მომღერალი ანუ თაგვების ხალხი

ჩვენს ხალხს ჰყავს თავისი მომღერალი – ჟოზეფინა. ვისაც მისთვის არ მოუსმენია, ის სიმღერის ძალას ვერასოდეს გაიგებს. და არც ვინმე მეგულება, მისი სიმღერა რომ არ ხიბლავდეს, რაც მით უფრო დასაფასებელია, რომ ჩვენს მოდგმას, ზოგადად, მუსიკა მაინცდამაინც არ უყვარს. მშვიდობა და სიმშვიდეა ჩვენი მუსიკა; მძიმეა ჩვენი ყოფა და, როდესაც გვსურს ყოველდღიური საზრუნავისგან განთავისუფლება, მისი ტვირთის, ასე ვთქვათ, ჩამობერტყვა, გვიჭირს ჩვენი ცხოვრებისთვის ისეთ შორ, ამაღლებულ სფეროებამდე ამაღლება, როგორიცაა მუსიკა. თუმცა ამას მაინცდამაინც არც განვიცდით; არა, საქმე აქამდე არ მიდის; ერთგვარი პრაქტიკული მოქნილობა და ამ პრაგმატული სულისკვეთების ღიმილი, ჩვენს უდიდეს უპირატესობად რომ მიგვაჩნია და ცხოვრებაშიც დაუღალავად ვიყენებთ, ყველა გასაჭირს გვიქარვებს, რადგან იგია ჩვენთვის ერთგვარი შვება, და თუკი ჩვენში ოდესმე – ალბათ არასოდეს – ბედნიერების სურვილს აღმოცენება უწერია, ის შესაძლოა სწორედ მუსიკის პირმშო იყოს. გამონაკლისი მხოლოდ ჟოზეფინაა; მას უყვარს მუსიკა და მისი შუამავლობაც ხელეწიფება; ის ერთადერთია; და მისი გარდაცვალებით ჩვენი ცხოვრებიდან მუსიკა ალბათ გაქრებოდა – ვინ იცის, რამდენი ხნით.

ხშირად მიფიქრია მუსიკაზე, იმაზე, თუ რას წარმოადგენს ის. მართლაც რომ უცნაურია – როგორ ხდება, რომ ჩვენ, ასეთ არამუსიკალურ ხალხს, ჟოზეფინას სიმღერა გვესმის, ან რამდენადაც ის ჩვენს ამ უნარს უარყოფს, გვჯერა მაინც ამის. უმარტივესი პასუხი იქნებოდა: მისი სიმღერის მშვენიერება იმდენად სრულყოფილია, რომ ყველაზე ჩლუნგი არსების მოხიბვლასაც ახერხებს. მაგრამ ეს პასუხი არაა დამაკმაყოფილებელი. რადგან სიმართლე რომ ყოფილიყო, ის ჩვენზე, რაღაც განსაკუთრებულის შთაბეჭდილებას უნდა ტოვებდეს – რომ ამ ყელიდან რაღაც ისეთი გვესმის, რაც არც ოდესმე გვსმენია და ღმერთს ჩვენი თავი არც მისი აღქმის უნარით დაუჯილდოებია, და რომ ეს არის რაღაც, რის მოსმენასაც მხოლოდ ჟოზეფინა თუ შეგვაძლებინებს. ჩემი აზრით კი, ყველაფერი სწორედ პირიქითაა, მე ამას ვერ ვგრძნობ და მსგავსი რამ არც სხვებისთვის შემინიშნავს. ვიწრო წრეში ხშირად გვილიარებია, რომ ჟოზეფინას სიმღერა, როგორც ხელოვნების ნიმუში, განსაკუთრებული ღირსებებით არ გამოირჩევა.

და საერთოდაც, არის კი ის სიმღერა? არამუსიკალურობის მიუხედავად, ჩვენ მაინც გვაქვს სიმღერის ერთგვარი ტრადიცია და ეტყობა ჩვენს ხალხს შორეულ წარსულში ჰქონია სიმღერა; ამას გადმოგვცემენ თქმულებები, რომელთაგან ზოგიერთს ჩვენამდეც მოუღწევია და რომლებსაც დღეს, ცხადია, ველარავინ ასრულებს. ამგვარად, გარკვეული წარმოდგენა სიმღერაზე გვაქვს და უნდა გითხრათ, ამ წარმოდგენას ჟოზეფინას სიმღერა არ შეესატყვისება. ან არის კი ის საერთოდ სიმღერა? თუ უფრო სტვენაა? აი, სტვენას კი ჩვენი ხალხი კარგად იცნობს და ჩვენი ოსტატობაც სწორედ აქ ვლინდება, ან იქნებ ეს არა ოსტატობა, არამედ უბრალოდ თვითგამოხატვის ერთგვარი ფორმაა. სტვენა ყველა ჩვენგანს შეუძლია, თუმცა ამას ხელოვნებად არავინ მიიჩნევს, ჩვენ უბრალოდ ვუსტვენთ, და ამას ყურადღებას არც ვაქცევთ, მეტიც, არც კი ვამჩნევთ, და ჩვენ შორის ბევრია ისეთიც, რომელმაც არ იცის, რომ ის ჩვენი ხალხის თავისებურება, მისი თვითდამკვიდრების ერთგვარი ნაირსახეობაა. და სიმართლე რომ იყოს მოსაზრება, თითქოს ჟოზეფინა კი არ მღერის, არამედ მხოლოდ უსტვენს, ან თუნდაც, როგორც მე მეჩვენება, არც ჩვეულებრივი სტვენის ფარგლებს სცილდება – შესაძლებელია, ეს უბრალოდ მის ძალებს აღემატება, რადგან ჩვეულებრივი მინის მუშა ამას მთელი დღის მანძილზე, თავის სამუშაოსთან ერთად სულ ადვილად ართმევს თავს – რაც საეჭვოდ ხდის მის, ეგრეთ წოდებულ, ოსტატობას და მისი ხელოვნების ზემოქმედების ბუნების ახსნას მხოლოდ ართულებს, და თითქოს ერთგვარ გამოცანადაც აქცევს.

თუმცა, რასაც ის გვთავაზობს, მხოლოდ სტვენა არაა. თუ შორს დადგებით და ყურს დაუგდებთ, ან კიდევ უკეთესი, თუ გსურთ

თქვენი თავის შემოწმება და ერთობლივი შესრულებისას მისი ხმის გამოცალკევებას ეცდებით, ვერაფერს მოისმენთ, თუ არა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ, დიდი-დიდი, მხოლოდ სინაზისა თუ სისუსტის ოდნავი გრადაციით გამორჩეულ სტვენას. მაგრამ, აბა მის წინ დადექით – ეს უკვე აღარ იქნება მხოლოდ სტვენა; მისი ხელოვნების გასაგებად საჭიროა არა მარტო მოსმენა, არამედ ყურებაც. ის მხოლოდ ჩვეულებრივი, ყოველდღიური სტვენა რომ ყოფილიყო, მაშინაც კი, თვალში ერთი თავისებურება მოგხვდებოდათ, კერძოდ, რომ მავანი პუბლიკის წინაშე ასე საზეიმოდ მხოლოდ იმიტომ წარსდგება, რომ რაღაც ჩვეულებრივი აკეთოს. კაკლის მტვრევა სულაც არაა ხელოვნება, ამიტომ თავში არავის მოუვა ამ საქმიანობით პუბლიკის გართობა. მაგრამ თუკი ამას მაინც გააკეთებს და მიზანსაც მიაღწევს, ეს ნიშნავს, რომ აქ საქმე მხოლოდ კაკლის ტეხაში არაა. ან, მართალია, ეს კაკლის ტეხაა, მაგრამ აღმოჩნდება, რომ, თუმცა ჩვენ ის ასე შეგვისისხლხორცებია, რაღაც მაინც გამოგვრჩენია და ეს კაკლის მტეხელი მის ნამდვილ არსს მხოლოდ ახლა გვიჩვენებს, თან, შედეგისთვის შეიძლება უკეთესიც კია, რომ ამ საქმეში ის ჩვენზე ნაკლები ოსტატია.

შესაძლოა, სწორედ ასეა ჟოზეფინას შემთხვევაში; მასში ის გვაოცებს, რაც სრულებით არ გვიკვირს ჩვენში; თუმცა, ამ უკანასკნელ მოსაზრებას ჩვენი Prima Donna სრულად იზიარებს. ერთხელ, პროტესტიც კი გამოვთქვი, როდესაც მას, როგორც ეს ხშირად ხდება, ჩვენში საყოველთაოდ გავრცელებულ სახალხო სტვენაზე მიუთითეს მოკრძალებულად, თუმცა ჟოზეფინასთვის ეს მაინც მეტისმეტი აღმოჩნდა. ასეთი თავხედური, გამომწვევი და ქედმაღლური ღიმილი, სახეზე რომ მოირგო, არასოდეს მინახავს; ის, გარეგნულად სრულქმნილი სინაზე, უნატიფესი თვით ჩვენს ქალური სახეების მრავალფეროვნებით მდიდარ ხალხში, მაშინ იყო არსება ჩვეული, არაფრით გამორჩეული; თუმცა, თავისი იშვიათი მგრძნობელობის წყალობით ამას თვითონაც ადვილად მიხვდა და მოთოკა კიდეც თავი. ყოველ შემთხვევაში კავშირს სტვენასა და საკუთარ ხელოვნებას შორის ის უარყოფს. მათ მიმართ კი, ვინც ამ მოსაზრებას არ იზიარებს, ის მხოლოდ ზიზღს და ალბათ ფარულ სიძულვილსაც უნდა გრძნობდეს. ეს არაა ჩვეულებრივი ამაოება, რადგან ამ ოპოზიციას, რომელსაც სანახევროდ მეც ვეკუთვნი, ის, რა თქმა უნდა, არანაკლებ აღაფრთოვანებს, მაგრამ ჟოზეფინასთვის უბრალო აღფრთოვანება არ კმარა, მას სურს ეს აღფრთოვანება მხოლოდ მისთვის სასურველი ფორმით იხილოს – უბრალო აღფრთოვანება მისთვის არაფერია; ოპოზიცია კი მხოლოდ მისგან მოშორებით ყვავის; მის წინ მყოფმა კი იცის: რასაც ის აქ აკეთებს, სულაც არაა სტვენა.

და რადგან სტვენა ჩვენთვის ისეთ ჩვეულად ქცეულა, სრულიად დაუძაბავად და დაუფიქრებლად რომ ვაკეთებთ, კაცს შეიძლებოდა ეფიქრა, რომ ჟოზეფინას აუდიტორიაც უსტვენს; მისი ხელოვნება გვატკბობს და, როდესაც რაღაც გვატკბობს, მაშინ ვუსტვენთ; მაგრამ აუდიტორია არ უსტვენს, ის თაგვივით გატრუნულა, თითქოს ესოდენ ნანატრი მშვიდობა დამდგარიყოს; ხოლო რის გამო ვიკავებთ თავს სტვენისგან, ჩვენ რა თქმა უნდა, არ ვამხელთ. არის ეს მისი სიმღერა, რომელიც გვხიბლავს, თუ უფრო მეტად ის საზეიმო სიჩუმე, მის პაწია, სუსტ ხმას გარს რომ შემოხვევია? ერთხელ, ერთი პატარა, უგუნური არსება მას სიმღერაში აჰყვა და თავისი მიამიტი უცოდველობით თვითონაც იწყო სტვენა, ზუსტად ისე, როგორც ამას ჟოზეფინა აკეთებდა; და ისმოდა სტვენა – წინ, ჩვეულის შეუსაბამო, სულ უფრო მორცხვი, გაუბედავი, აქ, პუბლიკაში კი ბავშვურად თავდავიწყებული და შეუძლებელი იყო განსხვავება; მაინც, სიმშვიდის დამრღვევი ჩვენ ხმაურითა და სტვენით გავაჩუმეთ, მიუხედავად იმისა, რომ ამის აუცილებლობა არც არსებობდა, რადგან ის, შიშსა და სირცხვილს თავშეფარებული, ისედაც გაჩუმდებოდა; წონასწორობადაკარგული ჟოზეფინა კი აგრძელებდა თავის ტრიუმფალურ სიმღერას, ფართოდ გაეშალა ხელები, მოეღერებინა, წაეგრძელებინა კისერი იმ ზღვრამდე, ვერასოდეს რომ ვერ წარმოვიდგენდით.

თუმცა, ის ყოველთვის ასეთია, ყოველი წვრილმანი, ყოველი შემთხვევითობა, ყოველი სიჯიუტე თუ სიცელქე, პარკეტის ჭრიალი, შეფერხება განათებაში, მათგან თუნდაც ერთი, საკუთარი სიმღერის ზემოქმედების გაძლიერებაზე ზრუნვა მისთვის საკმარისი მიზეზია; ის ფიქრობს, რომ ყრუთათვის მღერის – აღფრთოვანება და აღტაცება არ აკლია, ჭეშმარიტი დაფასება კი დიდი ხანია არ აღელვებს. და ხელსაყრელია მისთვის ყველა ხელის შემშლელი გარემოება; ყველაფრის ძლევას, რაც მისი სიმღერის სიწმინდეს გარედან უპირისპირდება, ის მსუბუქი შებრძოლებით ან თითქმის უბრძოლველად, ოდენ საპასუხოდაპირისპირებით ახერხებს, რის მეშვეობითაც ადამიანთა თავყრილობას აფხიზლებს და ასწავლის არა გაგებას, არამედ მოწიწებულ პატივისცემას.

და მცირეც ისევე რომ ემსახურება, როგორც დიდი! მშფოთვარეა ჩვენი ცხოვრება, ყოველი დღე აღსავსეა მოულოდნელობით, შიშით, მღელვარებითა და იმედით, და რომ არა ამხანაგების მხარდაჭერა, დღითა თუ ღამით, ამასთან გამკლავება ერთისთვის შეუძლებელი იქნებოდა; მძიმეა ტვირთი, ერთისთვის განკუთვნილი, თუმცა მრავალთა თანადგომით ერთგვარად შემსუბუქებული, მაინც რომ ცახცახებს მისი მზიდველი მხარი ათასი. სწორედ აქ დგება ჟოზეფინას წამი. და ჩნდება ისიც, არსება სათუთი, მთრთოლვარე,

შიშისმომგვრელი, რომლის რხევები მკერდის ქვევით განივრცობა, თითქოს მთელ თავის ძალას მხოლოდ სიმღერაში აქსოვდეს, მხოლოდ მისთვის ემეტებოდეს, და ყველაფერს, რაც სიმღერას არ ემსახურება, ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე, თავის ამარა ტოვებდეს, თვით სიცოცხლის უნარსაც, თვითონ კი – შიშველი, ყოველივე მიწიერისგან განწმენდილი, მხოლოდ სულთა კეთილთა მფარველობას მინდობილი, სათუთი, დაუცველი, იმდენად, რომ, თითქოს, საკუთარ სხეულს მთლიანად გამიჯნული მისი არსების – მხოლოდ სიმღერით სულდგმულის – სასიკვდილოდ დაზრობა ოდენ ციკი ჰაერის ქროლვასაც კი ხელეწიფებოდეს. სწორედ ამგვარი იერის ხილვისას ვეუბნებოდით ერთმანეთს ჩვენ, მისი, ეგრეთ წოდებული, მოწინააღმდეგეები: „შეუძლია კი საერთოდ სიმღერა? და ასე საზარლად იმად უნდა დაშვრეს, რომ არა სიმღერა – ნუ ვახსენებთ მას – არამედ სტვენა მაინც შეძლოს, ჩვენი ხალხისთვის ასე ჩვეული და შინაური?" აი, ასე გვეჩვენება ყველაფერი. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ეს შთაბეჭდილება, შესაძლოა გარდაუვალი, უცილობელი, მაინც წამიერია და სწრაფადვე ცამტვერდება. და ვიძირებით ჩვენც მორიდებულ მსმენელთა – მრავალთა – გრძნობებში, და ღრმაა ეს მორიდება იმდენად, რომ თვით სუნთქვაც კი მოწიწებით უბამს ფეხს და მას მორჩილებს.

და ჩვენი ხალხის – მოუსვენარის, მუდამ რაღაცის ძიებაში მყოფის, თუმცა არცთუ ცხადი და გასაგებია ყოველთვის მიზნები – ირგვლივ რომ შემოსაკრებად, საკმარისია თავი უკან გადასწიოს, პირი ოდნავ გააღოს, მზერა ზევით მიმართოს, რაც სიმღერის სურვილზე მიანიშნებს. მას ეს შეუძლია ყველგან გააკეთოს, სადაც კი მოესურვება, და არაა აუცილებელი იყოს ის თვალსაჩინო, საამისოდ ნებისმიერი გამოდგება, თუნდაც შეუმჩნეველი, ოღონდ მისი ჭირვეული მზერის არჩევანი. ცნობა, რომ ის სიმღერას აპირებს, წამიერად ვრცელდება და ხალხიც მისკენ მოეშურება. ხანდახან არის შეფერხებებიც – მოთხოვნა ჟოზეფინას სიმღერაზე ჩვენი ცხოვრების მღელვარე პერიოდებში განსაკუთრებულია, როდესაც უთვალავი საზრუნავი და გასაჭირი მათგან თავის დასაღწევად ათასგვარი ხერხის ძებნას გვაიძულებს და სურვილის შემთხვევაშიც კი ძნელია ხალხის დროულად შეკრება, ყოველ შემთხვევაში ისე, როგორც მას სურს – დგას ამ დროს თავის შთამბეჭდავ პოზაში, მცირერიცხოვანი მსმენელებით გარშემორტყმული, დგას ასე ერთხანს, შემდეგ ეუფლება მრისხანება, ფეხებს აბაკუნებს, უწმაწურად იგინება, ქალისთვის სრულიად შეუფერებელი გამოთქმებით და ხანდახან კიდეც იკბინება. თუმცა, მის რეპუტაციას არც ეს ვნებს; პირიქით – და უცნაურია ეს – მისი გადაჭარბებული პრეტენზიების შეზღუდვის ნაცვლად მათ სრულ

კანონიერებას აღიარებენ და სრულად მორჩილნი შესაბამის ქცევასაც ცდილობენ; მსმენელების მოსახმობად აგზავნიან შიკრიკებს; თან მისგან მალულად; და დგებიან გზების ირგვლივ მაცნენი, რათა დაგვიანებულთ მიანიშნონ, რომ ურიგო არ იქნებოდა ფეხის აჩქარება და გრძელდება ეს ხალხის მეტ-ნაკლებად მისაღები რაოდენობის შეგროვებამდე.

რა აიძულებს ხალხს ჟოზეფინასთვის ასე გარჯას? პასუხი ამ კითხვაზე, ისევე როგორც ჟოზეფინას სიმღერის გამოცანაზე, რასაც ის ცხადია უკავშირდება, არაა ადვილი. საერთოდაც, ამ კითხვაზე უარის თქმა და მისი მეორე საკითხთან გაერთიანებაც შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი იქნებოდა მტკიცება, რომ ხალხის მხრიდან ჟოზეფინას უპირობო ერთგულება, პირველ რიგში, მისი სიმღერის ერთგულებაა. მაგრამ, საქმე ასე სწორედაც რომ არაა; საეჭვოა, უპირობო ერთგულება ჩვენმა ხალხმა საერთოდ იცოდეს; ხალხი, რომელსაც ყველაზე მეტად უვნებელი ეშმაკობა და მოხერხება უყვარს, ბავშვური ჟღურტული და ჭორები – რა თქმა უნდა, უცოდველი, მხოლოდ ტუჩების სავარჯიშო – ეს ხალხი ცხადია ვინმეს ან რამის უპირობოდ ერთგული ვერ იქნება, და ამას, ალბათ, ჟოზეფინაც კარგად გრძნობს, და თავისი პატარა ყელის უკიდურესი დაძაბვით სწორედ ამის უზრუნველყოფას ცდილობს.

თუმცა, ასეთი ზოგადი მსჯელობისას საჭიროა ერთგვარი ზომიერება, რადგან ხალხი, მიუხედავად ყველაფრისა, ჟოზეფინას ერთგულია, თუმცა არა უპირობოდ. მაგალითად, ის ვერ შეძლებდა ჟოზეფინას დაცინვას. მართალია, უნდა ვაღიაროთ, რომ ჟოზეფინა ზოგიერთს ამის საბაბს აძლევს; ხოლო სიცილი, როგორც მოვლენა, ფაქტი – თავისთვის და თავისთავად – ყოველთვის მისაღები და სასურველია; მაგრამ ჟოზეფინასთან დაკავშირებით ჩვენ არ ვიცინით. ხანდახან მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი ხალხი ამ სათუთ, მოსაფრთხილებელ არსებას, რაღაცით გამორჩეულს – მისი აზრით, ეს რაღაც სიმღერა რომაა – ენდობა, რაც მასზე ზრუნვას ავალდებულებს. მიზეზი, მართალია, ბუნდოვანია, მაგრამ ფაქტია ურყევი. ხოლო იმის დაცინვა, ვისიც გჯერა და ენდობი, ღალატის ტოლფასია; ესაა ყველაზე დიდი სიბოროტე, რასაც ჩვენ შორის ყველაზე ბოროტნი ჟოზეფინას მიმართ სჩადიან, როდესაც ამბობენ: „ჟოზეფინას დანახვაზე რატომღაც სიცილის ხალისი მიგვატოვებს, თითქოს სადღაც დამალვას ცდილობდეს.“

აი, ასე ზრუნავს ჩვენი ხალხი ჟოზეფინაზე, მამობრივად, როდესაც ბავშვის გაწვდილ ხელებს, იმის გარკვევის გარეშე თხოვნაა ეს თუ უფრო მოთხოვნა, უშუალო გულისხმიერებით უპასუხებს. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენი ხალხი ამგვარი მოვალეობებისთვის

გამოუსადეგარია, მაგრამ სინამდვილეში, ის, თუნდაც ამ შემთხვევაში, მას სანიმუშოდ ასრულებს; ვერც ერთი ცალკეული არსება ვერ შეძლებდა იმას, რასაც ჩვენი ხალხი ერთად, როგორც ერთი არსება, მისთვის აკეთებს. ცხადია, განსხვავება ძალაში ხალხსა და ცალკეულ პირებს შორის უზარმაზარია და საკმარისიც, რომ არსება, რომელსაც ის მფარველობს, თავისი სიახლოვის სითბოსა და სიმყუდროვეში მიიზიდოს, სადაც ის საკმარისად იქნება დაცული. მაგრამ ჟოზეფინასთვის რაღაც ამდაგვარის თქმას ცხადია ვერ ბედავენ. „ჩემი სტვენა გმფარველობთ“, იტყვის ხოლმე. „უსტვენ, რა თქმა უნდა“, ვფიქრობთ ჩვენთვის. გარდა ამისა, მისი აღშფოთება უფრო ბავშვური ქცევაა, მადლიერების ბავშვური გამოვლინება, და ამისთვის ყურადღების არმიქცევა მამის ვალია.

მაგრამ არის სხვა გარემოებაც, ხალხისა და ჟოზეფინას ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ძნელად ასახსნელი. ჟოზეფინა საპირისპირო შეხედულებისაა – ფიქრობს, რომ ის თვითონ იცავს ხალხს, რომ ჩვენს რთულ პოლიტიკურ და სამეურნეო საქმიანობაში მხსნელად სწორედ მისი სიმღერა და თვითონ ის გვევლინება და თუ უბედურებისგან ვერ გვაზღვევს, ძალას მაინც გვმატებს, რომ მას გავუმკლავდეთ. საერთოდ, ის ცოტას ლაპარაკობს, დუმს მოლაყბეთა შორის, მაგრამ ეს გამოკრთის მისი თვალებიდან, მისი მოკუმული პირიდან – ჩვენში ეს ძალზე ცოტას რომ ეხერხება, მას კი ასე კარგად გამოსდის. ყოველი ცუდი ამბისას, მათ შორის ნამდვილისა თუ ნახევრად მართლის – და მოეშურება, მოიწევს ზოგჯერ ყველა ერთად, თითქოს ერთურთის დასწრების ჟინით შეპყრობილი – წამოდგება ხოლმე იმწამსვე, სხვა დროს, თავს რომ ვერ იმაგრებს დაღლილი, მისი უღონო სხეული, ძალაგამოცლილი, დაბლა მიემართება და თავის სამწყსოს ყელმოღერებული მიმოავლებს თვალს, როგორც მწყემსი ფარას უამინდობისას. ცხადია, ბავშვებიც აყენებენ ამგვარ მოთხოვნებს, მათთვის ჩვეული დაუოკებელი ჟინიანობით, მაგრამ ჟოზეფინასთან ეს მაინც არაა ისეთი უსაფუძვლო, როგორც მათთან. რა თქმა უნდა, ის ვერც გვშველის და ვერც ძალას გვმატებს, და საერთოდაც, ადვილია თავი იმ ხალხის მხსნელად წარმოიდგინო, რომელსაც, ტანჯულსა და გამბედავს, საკუთარი ტყავის გადარჩენა ნაკლებად ადარდებს, გადაწყვეტილებების მიღებაში სწრაფია და არაერთხელ ჩაუხედავს სიკვდილისთვის თვალებში, მხოლოდ გარეგნულად რომაა მშიშარა ამ თავზეხელაღებული სიმამაცის გარემოში, რომელშიც მუდმივად უწევს ყოფნა, და ნაყოფიერია ისევე, როგორც მამაცი, ადვილია, ვამბობ, ყოველივე ამის შემდეგ, თავი ამ ხალხის მხსნელად წარმოაჩინო, რომელსაც საკუთარი თავი, მართალია მსხვერპლით, დანაკარგით, მაინც გადაურჩენია და რომელთა წინაშეც

ისტორიკოსი – ზოგადად კი, უნდა ვთქვა, ისტორიის მკვლევართა მნიშვნელობას ჩვენ ძალზე ვაკნინებთ – შიშისგან გაქვავდებოდა. ისიც სათქმელია, რომ ჟოზეფინას ხმას განსაცდელის ჟამს მეტი ყურადღებით ვუსმენთ. ხიფათის ავისმომასწავებელი ნიშნები, ირგვლივ რომ იყრის თავს, ჩვენ, თითქოს უფრო მშვიდებსა და მოკრძალებულებს, ჟოზეფინას მბრძანებლური ბუნების მიმართ უფრო მორჩილადაც გვაქცევს; ამ დროს ვეძებთ მჭიდრო სიახლოვეს, ხალისით ვიკრიბებით, ვცდილობთ ჩვენს დამთრგუნველ გარემოებებს რაღაცნაირად გავემიჯნოთ, როგორმე მათ დავშორდეთ; თითქოს გვსურდეს, სწრაფად შევსვათ – სისწრაფე კი აუცილებელია, რაც ჟოზეფინას ხშირად ავიწყდება – ბრძოლის წინ მშვიდობის თასი. ეს არა იმდენად სიმღერის შესრულებაზე დასწრებაა, რამდენადაც სახალხო კრება, რომლის დროსაც მეფობს სრული სიჩუმე და აღარ ისმის თვით უსუსტესი სტვენაც – მეტისმეტად სერიოზულია წამი, რომ კაცმა მისი ლაყბობაში გაფლანგვა ისურვოს.

მაგრამ ასეთი დამოკიდებულება ჟოზეფინას ცხადია არ აკმაყოფილებს. მიუხედავად მისი ნერვიულობისა და გაღიზიანებისა, რაც მისი ერთგვარად გაურკვეველი მდგომარეობიდან მომდინარეობს, ის მაინც თავდაჯერებულობით დაბრმავებული, ბევრ რამეს ვერ ამჩნევს და მალე უფრო მეტის არშემჩნევას სულ ადვილად მოახერხებს, პირმოთნეთა ცდით, პირმოთნეთა, ამ სიტყვის საყოველთაოდ მიღებული და სასარგებლო მნიშვნელობით, რომელთა რიცხვი, ჩრდილში, შეუმჩნეველად, დაუღალავად რომ იღვწიან, მის ირგვლივ არცთუ მცირეა, ხოლო ისე, სხვათა შორის, სადმე სახალხო თავყრილობის კუთხეში სასიმღეროდ, რაც თავისთავად ცოტა სულაც არ იქნებოდა, თავისი სიმღერა მას არ ემეტება.

თუმცა ეს საჭირო არც არის, რადგან მისი ხელოვნება უყურადღებოდ არ რჩება. მართალია, ჩვენ სრულიად განსხვავებული საქმეებით ვართ დაკავებული და ჩვენ ირგვლივ სიჩუმე არც მისი სიმღერის სიყვარულით ბატონობს – ზოგი მაღლაც კი არ აიხედავს, არამედ ჩაურგია სახე მეზობლის ბეწვში და ხანდახან გეჩვენება, რომ ჩვენი ჟოზეფინა ამაოდ უნდა დაშვრეს მაინც, და ძნელია ამის უარყოფა, რაღაც მისი სტვენიდან ჩვენამდე აუცილებლად აღწევს. აღზევებულა ის საყოველთაო სიჩუმეზე და აღწევს თითოეულ ჩვენგანამდე, როგორც ხალხის გზავნილი; ძნელბედობისას აჟღერებული ეს სუსტი სტვენა, თითქოს მტრული სამყაროს გარემოცვაში მყოფი ხალხის გაჭირვებული ყოფის სიმბოლოდ გვევლინება. ასე მკვიდრდება ჟოზეფინა, მკვიდრდება ხმის ეს აჩრდილი და შესრულების ეს მოჩვენება, იკვალავს გზას ჩვენკენ და სასიკეთოა ამაზე ფიქრი, რადგან გვამხნევებს. შემთხვევით ჩვენ შორის აღმოჩენილ სიმღე-

რის ჭეშმარიტ ოსტატს ასეთ დროში ვერ ვიგუებდით და ამგვარ შესრულებას, მისი უაზრობის გამო, ერთხმად უარვყოფდით. დე, ყოფილიყოს დაცული ეზოფინა იმის ცოდნისგან, რომ მიზეზი იმისა, თუ რატომ ვუსმენთ, საბუთია სწორედ ამ სიმღერის ღირსებების უარმყოფელი. ალბათ გრძნობს ამას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, რატომ უარყოფდა ასეთი დაჟინებით, რომ მას ვუსმენთ? თუმცა ის მაინც აგრძელებს სიმღერას, თითქოს სწორედ მისი მეშვეობით სურდეს ამ ეჭვის ჩახშობა.

მიუხედავად ყველაფრისა, მისთვის ერთგვარად სანუგეშოდ: ჩვენ მას, გარკვეული თვალსაზრისით, მაინც ვუსმენთ, შესაძლოა, როგორც უსმენენ ვოკალის ნამდვილ ოსტატს; მსგავსი ზემოქმედების მოხდენას სიმღერის დიდოსტატი ჩვენს წრეში ამაოდ ეცდებოდა, რადგან ეს მხოლოდ მისი მწირი შესაძლებლობებისთვისაა ხელმისაწვდომი, და ესეც ალბათ ჩვენი ცხოვრების თავისებურებებს უკავშირდება.

ჩვენი ხალხისთვის სიყმაწვილე უცხოა – ვიცით მხოლოდ ბავშვობა, ისიც ხანმოკლე. თუმცა სისტემატურად ისმის მოთხოვნა ბავშვებისთვის განსაკუთრებული თავისუფლების უზრუნველყოფის, მათი ერთგვარი დანდობის, მათთვის სულ მცირედი უდარდელობის, ცელქობის, ცოტაოდენი გართობის უფლების უზრუნველყოფის შესახებ, რომ კარგი იქნებოდა ამ უფლების აღიარება და მისი განხორციელებისთვის ხელის შეწყობა; აი, როგორი მოთხოვნები ჩნდება დროდადრო, მას თითქმის ყველა ეთანხმება, თითქოს არაფერი იყოს უფრო დასაფასებელი და მისაღები, მაგრამ იმავდროულად, ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში არაფერია ისეთი, ნაკლები აღიარებითა და მხარდაჭერით რომ სარგებლობდეს. მოთხოვნას ყველა ეთანხმება, თავისებურად ცდილობს კიდეც მის განხორციელებას, მაგრამ მალე ყველაფერი ისევ ძველ კალაპოტს უბრუნდება. და ისეთია ჩვენი ცხოვრება, რომ ბავშვმა, როგორც კი დამოუკიდებლად გადაადგილებას და გარემოში გარკვევას იწყებს, თავის თავზე ზრდასრულივით უნდა იზრუნოს; სივრცე, რომელსაც ჩვენი სამეურნეო საქმიანობიდან გამომდინარე ვეუფლებით და რომელიც ასე გვსაქსავს და გვაშორებს, მეტისმეტად დიდია, მტრები კი, ყველგან ურიცხვ ხიფათს რომ გვიმზადებენ, მეტისმეტად მრავალრიცხოვანი. ამდენად, არსებობისთვის ამ ბრძოლისგან ბავშვებს ვერ გავრიყავთ და ისე ვიქცევით, თითქოს მათი უდროო აღსასრულის ხანა დამდგარიყოს. ამ სევდიან მიზეზებს ერთვის ამაღლებულიც: ჩვენი მოდგმის ნაყოფიერება. თაობები – და მრავალრიცხოვანია ყველა მათგანი – სწრაფად ცვლიან ერთმანეთს და ბავშვებს ბავშვობისთვის დრო აღარ რჩებათ. სხვა ხალხები შეიძლება ზრუნავდნენ თავიანთ ნორჩებზე,

აშენებდნენ მათთვის სკოლებს და მოედინებოდეს ყოველდღიურად ამ სკოლებიდან მათი ნაკადი – ერის მომავალი – დიდი ხნის მანძილზე, დღიდან დღემდე რომ ინარჩუნებს ბავშვობას. ჩვენ არ გვაქვს ასეთი სკოლები, მაგრამ ჩვენი ხალხის წიაღიდან დროის უმცირეს მონაკვეთებში ბავშვების ურიცხვი სიმრავლე მოედინება, მხიარულად მოჟღურტულე თუ მოწრიპინე, ვიდრე სტვენას დაეუფლებოდეს, კოტრიალით ან ინერციის ძალით რომ აგრძელებს მიზნისკენ სწრაფვას მანამ, სანამ სირბილს ისწავლის, მოუქნელი, ყველაფერს რომ ეჯახება და თავისი სიმძიმით თან მიათრევს, მანამ, სანამ თვალი აეხილება მას, ჩვენს მომავალს! მაგრამ არა ისე, როგორც სხვებთან, როდესაც ბავშვები ყოველთვის ბავშვებად რჩებიან – არა, ჩვენთან სხვაგვარადაა, ახალ-ახალი, უწყვეტი და დაუსრულებელია მათი ნაკადი – გაჩნდება თუ არა, პატარა უკვე აღარაა ბავშვი, მის უკან კი ახალ-ახალი ბავშვური სახეები მოჩანს, მოჩქარე, მათ ადევნებული, ლოყებაჟღაჟა, ბედნიერი და რაოდენობასა და თაობათა მონაცვლეობის სიჩქარეში ძნელია მათი გამოცალკევება. რა თქმა უნდა, რაც უნდა მშვენიერი იყოს ეს ყველაფერი და რაც უნდა სამართლიანად შურდეთ სხვებს ჩვენი, ჩვენ მაინც ვერ ვახერხებთ ამ ბავშვებს ვაჩუქოთ ნამდვილი ბავშვობა. რასაც მოაქვს კიდეც თავისი შედეგები. და მსჭვალავს ჩვენს ხალხს უბერებელი, ამოუძირკვავი ბავშვურობა; და ხანდახან, ჩვენს სანიმუშო, ჩვენს შეუცდომელ პრაქტიკულ გონებასთან სრულ წინააღმდეგობაში ვიქცევით სრულიად უგუნურად და სწორედ ისე, როგორც ბავშვები – დაუფიქრებლად, მფლანგველურად, ქარაფშუტულად და ეს ყველაფერი ხშირად მხოლოდ გართობის, თავშექცევისა და გულის გადასაყოლებლად ხდება. და თუ ჩვენს სიხარულს არ შეიძლება ჰქონდეს ბავშვური განცდის სიმძაფრე და სიცხოველე, რაღაც ამ საწყისისა მაინც ცოცხლობს მასში. სწორედ ჩვენი ხლხის ამ თვისებებით სარგებლობს რა ხანია ჟოზეფინა.

მაგრამ ჩვენი ხალხი არა მარტო ბავშვურია, ის ნაადრევი მოხუციცაა – ბავშვობა და ხანდაზმულობა ჩვენთან სხვაგვარია. არ გვაქვს სიყმაწვილე, მალევე ვხდებით ზრდასრულები, და ვრჩებით ასეთად დიდი ხანი, და ამ ხნიდან დაწყებული ჩვენი ხალხის არსებობას ერთგვარი დღლილობა და უიმედობა მსჭვალავს, ფართო კვლად გასდევს მას, სხვა მხრივ ძარღვიან-იმედიანს. ალბათ ამასთანაა დაკავშირებული ჩვენი არამუსიკალურობაც, რომლისთვისაც ძალზე მოხუცები ვართ. მისი მღელვარება, მისი აღმაფრენა ჩვენს სიმძიმეს ვერ ეგუება და ჩვენც, დაღლილი ჟესტით, უარს ვამბობთ მასზე და სტვენით ვკმაყოფილდებით; ცოტაოდენი სტვენა, ხანდახან, ჩვენთვის ესეც საკმარისია. არავინ იცის, არიან თუ არა ჩვენ შორის მუსიკალური ტალანტები; მაგრამ, რომც ყოფილიყვნენ, თანამოძმეთა ხასიათი

მათი ნიჭის სრულფასოვან გამოვლენას აუცილებლად შებოჭავდა და მის განვრცობას შეაფერხებდა. ჟოზეფინას კი შეუძლია იმღეროს ან უსტვინოს რამდენიც მოესურვება, ის ხელს არ გვიშლის, მას ადვილად ვეგუებით; და თუკი მის საქმიანობაში მაინც აუცილებლად უნდა იყოს რამე მუსიკისა, მის არსებობას უფრო ადვილად შევეგუებოდით არარსებობის ზღვარზე, შესაძლებელი იქნებოდა ერთგვარი მუსიკალური ტრადიციის შენარჩუნებაც, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი ეს ხელს არაფერში შეგვიშლიდა.

მაგრამ ჩვენნაირი გუნება-განწყობის ხალხისთვის ჟოზეფინას კიდევ აქვს რაღაც. მის კონცერტებზე, განსაკუთრებით ძნელბედობის ჟამს, ჩვენს ახალგაზრდობას, პირველ რიგში, ყურადღება საკუთრივ მომღერალზე აქვს მიპყრობილი, სულგანაბული უმზერს – ტუჩებს როგორ კოხტად მანჭავს, როგორ რთავს და კაზმავს, როგორ მიმართავს ამოსუნთქვისას თავის პაწია, საყვარელ წინა კბილებში ჰაერის ნაკადს და მის მიერვე გამოცემული ბგერებით ტკბება, ჯერ ხმამაღალით, შემდეგ სულ უფრო სუსტითა და ბოლოს გამქრალით, და ულერადობის ამ კლებას საკუთარი თავის ახალი, უკვე მისთვისვე გაუგებარი შესრულებისთვის ასაგზნებად იყენებს, თუმცა იქ შეკრებილთა უმრავლესობა – და ეს სულ უფრო ცხადი ხდება – მას სულ უფრო ემიჯნება და საკუთარ თავთან მარტო რჩება. ბრძოლებს შორის წარმოშობილ დღენაკლულ პაუზებში ოცნებობს ჩვენი ხალხი, თითქოს თითოეულ ჩვენგანს კიდურების შეგრძნება უქრებოდეს, და იყოს ის, მშვიდ ცხოვრებას მოკლებული, მზად – როგორმე, თუნდაც ერთხელ ცხოვრებაში – საკუთარი სიამოვნებისთვის ხალხის დიდ, თბილ ლოგინში მოისვენოს, გაიზმოროს და ოცნებებს მიეცეს. სწორედ ასეთი ოცნებებისას ჩაგვესმის ხანდახან ჟოზეფინას სტვენა – მისთვის ბრწყინვალე, ნაპერწკლების მფრქეველი, ჩვენ უხეშად რომ გვეჩვენება, თითქოს ხელს გკრავდნენ უზრდელად; მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ის თავის ადგილზეა, როგორც არსად სხვაგან, რადგან მუსიკა, ზოგადად, ძნელად თუ იპოვის სადმე ამგვარ მოლოდინს, მხოლოდ მისკენ რომ იქნება მიპყრობილი. და არის ამაში რაღაც ჩვენი ხანმოკლე ბავშვობის, რაღაც სამარადჟამოდ დაკარგული ბედნიერების, მაგრამ, ამავე დროს, დღევანდელი ცხოვრების ქმედითობისაც, მისი პატარა, შეუცნობი და მაინც გადარჩენილი, შეუმუსრავი სიმხნევის. და ეს ყველაფერი ნათქვამია არა მჭახე, ხმამაღალი ბგერებით, არამედ მსუბუქად, ჩურჩულით, გაგების იმედით, ნდობით, ხანდახან შეიძლება მხურვალედაც. ცხადია, ეს სტვენაა. რატომაც არა? სტვენა ჩვენი ხალხის ენაა, ისე კი არა, რომ უსტვენს ზოგიერთი მთელი თავისი ცხოვრება და არა უწყის რა. ჩვენთან სტვენა ყოველდღური ცხოვრებისგან თავისუფლებაა და

გვათავისუფლებს კიდეც მისგან ხანმოკლე დროით. ცხადია, ეს წარმოდგენა ჩვენ არ უნდა გამოვტოვოთ.

მაგრამ, აქედან ჟოზეფინას მტკიცებამდე, რომ ამგვარი განსაცდელის ჟამს ის ახალ ძალას გვანიჭებს და ა. შ. და ა. შ., ძალზე დიდი გზაა. ყოველ შემთხვევაში, ჩვეულებრივ თანამოძმეთა და არა ჟოზეფინას პირმოთნე მეხოტბეთათვის. „და როგორ შეიძლება ეს სხვაგვარად იყოს?" ამბობენ ისინი თამამად, თავიანთ რწმენაში თავდაჯერებულნი, „სხვაგვარად როგორ უნდა ავხსნათ ის დიდი ხალხმრავლობა, განსაკუთრებით მტრის თავდასხმისას, რომელიც, ხანდახან, სწორედ ამ მტრის დროულ, დამაჯერებელ მოგერიებასაც კი უშლის ხელს." სამწუხაროდ, რაც შეეხება ამ უკანასკნელ მტკიცებას, ის მართლაც რომ ჭეშმარიტია, თუმცა ჟოზეფინას სახელს, მის ქება-დიდებას ეს არაფერს მატებს, მით უმეტეს, თუ დავუმატებთ, რომ როდესაც ასეთ თავყრილობას მოულოდნელად თავს ესხმის მტერი და ამას არაერთი ჩვენი თანამემამულე ეწირება, ჟოზეფინა ცხადია დამნაშავეა, რადგან მტერი, ალბათ, სწორედ მისმა სტვენამ მოიზიდა – ყოველთვის ყველაზე დაცულ ადგილას იმყოფება და თავისი თანმხლები პირებით გარშემორტყმული, ჩუმად და სწრაფად პირველი ქრება. ეს ცხადია ყველამ კარგად იცის და მაინც მალევე მიიჩქარიან იქით, როდესაც და საითაც ამას მოისურვებს, ანუ სადაც სასიმღეროდ ყელმოღერებული ჟოზეფინა ეგულებათ. აქედან შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ ის კანონის გარეთ, ან მასზე მაღლაა, რომ შეუძლია აკეთოს, რაც მოესურვება, თუნდაც ჩვენი ხალხის ერთიანობისა და მთლიანობის ხარჯზე და რომ მას ეს ყველაფერი ეპატიება. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ მისი პრეტენზიებიც სრულიად გასაგებია, და შეგვეძლო ჩვენი ხალხის მიერ ნაბოძებ ამ თავისუფლებაში, ამ განსაკუთრებულ, სხვებისთვის მიუწვდომელ, კანონების უარმყოფელ საჩუქარში იმის აღიარება დაგვენახა, რომ ჩვენს ხალხს, როგორც ამას ჟოზეფინა ამტკიცებს, მისი არ ესმის, უძლურია მისი ხელოვნების წინაშე, მის მიმართ თავს უღირსად გრძნობს და სასოწარკვეთილი ქმედებით ჟოზეფინას შეურაცხყოფის საზღაურის გადახდას იმედოვნებს და, რამდენადაც ჟოზეფინას ხელოვნება მისი გაგების მიღმაა, ამდენად მისი პიროვნება და სურვილებიც ხალხის სუვერენული უფლებების განხორციელების შესაძლებლობების მიღმა რჩება. შესაძლოა ეს მოსაზრება არცთუ ყველაფერში ჭეშმარიტია, და ისეც, ალბათ მეტისმეტად სწრაფად ყრის ჩვენი ხალხი მის წინაშე ფარ-ხმალს, მაგრამ რამდენადაც ამას უპირობოდ არასდროს აკეთებს, ასევე ხდება მის მიმართაც.

უკვე დიდი ხანია, ალბათ, საკუთარი შემოქმედებითი გზის დასაწყისიდანვე, იბრძვის ჟოზეფინა, რომ მისი სიმღერის გათვალისწინებით

იგი ლუკმაპურზე ზრუნვისა და სხვა ყოველდღიური საქმიანობისგან გაათავისუფლონ, რასაც არსებობისთვის ჩვენეული ბრძოლა ითვალისწინებს და რაც ალბათ მთელ ხალხს უნდა დაეკისროს. ვინმე, აღფრთოვანების ტყვეობის იოლი მსხვერპლი, და არიან ასეთებიც, რომელსაც ამგვარი მოთხოვნის მოფიქრება მხოლოდ მოთხოვნის უჩვეულობიდან და საკუთარი სულიერი წყობიდან გამომდინარე შეუძლია, მის მართებულობასაც ადვილად დაუშვებს. ჩვენი ხალხი კი სხვაგვარ დასკვნებს აკეთებს და ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მშვიდად ამბობს უარს და არც დასაბუთებით იტკივებს თავს. ჟოზეფინა, მაგალითად, იმაზე მიუთითებს, რომ დაძაბული შრომა ვნებს მის ხმას, თან ეს სიძნელე, თავის მხრივ, არაფერია იმ დაძაბულობასთან შედარებით, სიმღერის შესრულებას რომ ახლავს, და თან სრულფასოვანი დასვენების და შემდგომი სიმღერისთვის მომზადების საშუალებას აღარ უტოვებს, რაც მისი სრული გამოფიტვის წინაპირობადაც შეიძლება იქცეს, ეს კი, თავის მხრივ, მის საშემსრულებლო დონეს საგრძნობლად და საბედისწეროდ დააქვეითებდა. ჩვენი ხალხი მხოლოდ უსმენს, მაგრამ არაფერს აკეთებს. ამ ხალხს, სხვა დროს თანაგრძნობისთვის მუდამ მზას, ხანდახან გულს ვერაფერი უჩუყებს, და ხისტია მაშინ უარი, იმდენად, რომ ჟოზეფინაც კი იბნევა და თითქოს მორჩილებისთვის მზადყოფნასაც გამოხატავს, შრომობს, როგორც საჭიროა, მღერის საუკეთესოდ, რამდენადაც შეუძლია, ოღონდ მხოლოდ გარკვეული ხანი, რის შემდეგაც ის ბრძოლას ახალი ძალებით აახლებს – აი, საამისოდ კი მას მართლაც ბევრის გაკეთება შეუძლია.

ცხადია, რასაც ჟოზეფინა სიტყვიერად ითხოვს თუ ამტკიცებს, იმას სულაც არ ესწრაფვის. ის გონიერია, მუშაობას არ გაურბის, როგორც ეს ზოგადად ჩვენს შრომისმოყვარე ხალხს სჩვევია, და თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში თავისი ცხოვრების წესს არ შეცვლიდა, არც შრომა აღიმართებოდა წინააღობად მისი სიმღერის განვითარების გზაზე, და, ცხადია, არც საკუთრივ სიმღერა გახდებოდა ამით უკეთესი – რასაც ის მოითხოვს, ეს მხოლოდ მისი სიმღერის, მისი ხელოვნების დაფასებაა, საყოველთაო და ერთმნიშვნელოვანი, დროისა და ეპოქის ფარგლებს გაცდენილი და ცნობილ ყველა მაგალითს აღმატებული. მას, ვისაც ყველაფრის განხორციელება შესაძლებელი ეჩვენება და ბოლო დრომდე ასეც იყო, ეს უკანასკნელი მიზანი ჯიუტად არ ემორჩილება და არაფერი გამოსდის. შესაძლოა, თავდასხმა თავიდან სხვა მიმართულებით უნდა განეხორციელებინა, შესაძლოა, თავის შეცდომებს უკვე აცნობიერებს, მაგრამ გვიანია უკან მობრუნება, ეს საკუთარი თავის ღალატი იქნებოდა და ახლა ამ მოთხოვნას ის ან გაიტანს, ან თან გადაჰყვება.

მტრები რომ ჰყოლოდა, როგორც თვითონ ამტკიცებს, მათ შეეძლებოდათ ამ ბრძოლისთვის თითზე თითის დაუკარებლად, ხალისიანად, კმაყოფილებით ემზირათ. მაგრამ მტრები არ ჰყავს, დროდადრო თუ ვინმე თავს წამოყოფს და მისი მისამართით შენიშვნას გამოთქვამს, ამ წაკინკლავებას გამოცოცხლება არ მოჰყვება ხოლმე და არც არავის ახალისებს. იმიტომ, რომ ჩვენი ხალხი ამ შემთხვევაში თავს ჩვენი ცხოვრებისთვის ასე იშვიათი, ცივი, სამართლებრივი განსჯის ფარგლებში ავლენს. და ამ პოზიციის გამზიარებელს იმის წარმოდგენა, რომ ხალხს ასეთი დამოკიდებულება მის მიმართაც შეიძლება გაუჩნდეს, თავის ამგვარად გამოჩენის ყოველგვარ ხალისს უკარგავს. მოთხოვნისას, ისევე როგორც მასზე უარისას, არსებითი არა მისი მართებულობა და კანონიერება, არამედ ხალხის მხრიდან თავისი თანამოძმის მიმართ მტკიცე დაპირისპირების შესაძლებლობაა, და მით უფრო მტკიცე, რომ სწორედ ამ თანამოძმის მიმართ იღვწის ის ასეთი მამობრივი ზრუნვით, უფრო მეტიც, ასე უდრტვინველად.

ხალხის ადგილზე ერთი პიროვნება რომ ყოფილიყო: ვიფიქრებდით, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე ჟოზეფინას ის იმ მუდმივი და მწველი სურვილით უთმობდა, რომ როგორმე ამ დათმობებისთვის მოეღო ბოლო – თმობდა ბევრს, არაადამიანურად ბევრს, მტკიცე რწმენით, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, დათმობა ბოლოს შეზღუდვას დაექვემდებარებოდა და თავის საბოლოო ფარგლებს პოვებდა; დიახ, მან მეტისმეტად ბევრი დათმო, საჭიროზე მეტი, რათა პროცესი დაეჩქარებინა, როგორმე თავისი ნებიერი კიდევ უფრო გაენებივრებინა და ახალ-ახალი სურვილებისკენ ებიძგებინა, ვიდრე ამ უკანასკნელ მოთხოვნას არ წამოაყენებდა; და ახლა შეეძლებოდა, სწრაფად, ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ, ეს უარზე გათვლილი საბოლოო ქმედება წამოეწყო. რა თქმა უნდა, ხალხი ასე არ იქცევა, ის ამგვარ ეშმაკობაში უცოდველია, თან ჟოზეფინასადმი მისი თაყვანისცემა წრფელია და მტკიცე – განსაცდელგამოვლილი, ხოლო ჟოზეფინას მოთხოვნა, ცხადია, ისეთი მყარია, რომ საბოლოო შედეგს მიამიტი ბავშვიც კი ადვილად იწინასწარმეტყველებს; და მაინც, შესაძლებელია, რომ პროცესების ჟოზეფინასეულ აღქმაში ერთგვარ როლს ამგვარი ეჭვები თუ ვარაუდებიც თამაშობდეს და უარყოფის ტკივილს დამატებით სიმწარეს ანიჭებდეს.

მაგრამ, როგორც ჩანს, მიუხედავად მასში ამგვარი ეჭვების და ვარაუდების შესაძლო არსებობისა, ის ამ ბრძოლაში შიშის გამო უკან დახევას არ აპირებს. პირიქით, ეს ბრძოლა ამ ბოლო დროს კიდეც გაამძაფრა; და კიდევ, თუ აქამდე მას სიტყვიერად აწარმოებდა, ახლა სხვა ხერხს მიმართა, მისი აზრით, უფრო ქმედითს, რომელიც, ჩვენი აზრით, სახიფათო მისთვისვე შეიძლება აღმოჩნდეს.

ზოგი ფიქრობს, ჟოზეფინა სულ უფრო მომთხოვნი სწორედ ასაკის გამო ხდება, რომ თანდათან მას ხმა ღალატობს და საბოლოო აღიარებისთვის ბრძოლის წამოსაწყებად ეს დრო სწორედ ამიტომ შეარჩია. მე ამის არ მჯერა. ჟოზეფინა არ იქნებოდა ჟოზეფინა, ეს მართალი რომ ყოფილიყო. სიბერე და ხმის სისუსტე მისთვის არ არსებობს. როდესაც ის რამეს ითხოვს, ეს არა გარე მიზეზებს, არამედ მისი არსების შინაგან ლოგიკას ეფუძნება, რომელიც უმაღლეს გვირგვინს იმიტომ კი არ ესწრაფვის, რომ ამ წამს უფრო ხელმისაწვდომია, არამედ იმიტომ, რომ უმაღლესია; და მასზე რომ იყოს დამოკიდებული, ამ გვირგვინს უფრო მაღლაც კი დაკიდებდა.

არსებული გარეგნული სიძნელეების ეს უგულებელყოფა, მათზე მაღლა დგომა, ულირსი საშუალებების გამოყენებისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს, მისი უფლებები მისთვის ყოველგვარ ეჭვზე მაღლაა; და რა მნიშვნელობა აქვს, სასურველს როგორ დაეუფლება? მით უმეტეს, ჩვენს სამყაროში, როგორც მას წარმოუდგენია იგი, ღირსეული საშუალებები არცთუ სანდოა. შესაძლოა სწორედ ამიტომ გადაიტანა მან ბრძოლა სიმღერის სფეროდან სხვა, უფრო ძვირადღირებულში. მისმა გარემოცვამ გაავრცელა მისივე მტკიცება, რომ მას შეუძლია ისე იმღეროს, რომ ხალხის ყველა ფენას, თვით ყველაზე ფარულ ოპოზიციასაც კი, ნამდვილ სიხარულს ანიჭებდეს, სიხარულს არა ხალხის გაგებით, რომელიც ამტკიცებს, რომ რა ხანია, რაც ჟოზეფინას სიმღერა სწორედ ამას ანიჭებს, არამედ სიხარულს ჟოზეფინას სურვილითა და გემოვნებით. მაგრამ, ამატებს, რომ არ შეიბღალოს სიმაღლე და ობივატელის მიმართ პირმოთნედ არ იქცეს, ის ისეთად უნდა დარჩეს, როგორიც არის. სხვაგვარადაა საქმე სამსახურისგან განთავისუფლებასთან დაკავშირებით, თუმცა ეს, იმავდროულად, ბრძოლაა მისი სიმღერის გადასარჩენად და, რადგან ამ შემთხვევაში ის უშუალოდ სიმღერის კეთილშობილი საშუალებებით არ იბრძვის, ყველა საშუალება მისაღებია.

ასე მაგალითად, გავრცელდა ხმა, რომ თითქოს, თუკი არ დაუთმობდნენ, მას კოლორატურების შემცირება გადაეწყვიტა. ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან მის სიმღერაში ისინი არასოდეს შემიმჩნევია. თუმცა მათ შეკვეცას მაინც აპირებს, ოღონდ ჯერ მხოლოდ შემოკლებას და არა მთლიანად უარის თქმას. და მან, თითქოს, ეს მუქარა კიდეც შეასრულა, თუმცა პირადად მე ახალი მის შესრულებაში ვერაფერი შევამჩნიე. ხალხი უსმენდა და ეხმაურებოდა ყველაფერს ჩვეულებრივად, როგორც ყოველთვის, და არც კოლორატურების თაობაზე უთქვამს რამე და არც მისი მოთხოვნის მიმართ შეუცვლია თავისი დამოკიდებულება. თუმცა, ჟოზეფინაში, როგორც მის იერში, ასევე აზრებში, რაღაც გრაციოზული მაინც გამოსჭვივის. როგორც

იმ კონცერტის დასრულებისას, როდესაც მან განაცხადა – მას შემდეგ, რაც მისი მუქარა კოლორატურების შეკვეცის თაობაზე მეტის-მეტად მკაცრად თუ ნაჩქარევად მიიჩნიეს – რომ კოლორატურებს ის კვლავაც სრულად შეასრულებდა. მაგრამ მომდევნო კონცერტის შემდეგ გადაწყვეტილება კვლავ შეცვალა და დიდ კოლორატურებზე საბოლოოდ თქვა უარი, თან განაცხადა, რომ მისთვის სასურველ გადაწყვეტილებამდე ასე დარჩებოდა. და ისმენს ჩვენი ხალხი ამ დათქმებსა თუ გადათქმებს გულგრილად, აუღელვებლად, როგორც ზრდასრული უსმენს ბავშვურ ტიტინს, კეთილგანწყობით, მაგრამ გარკვეული დისტანციით.

მაგრამ ის უკან არ იხევს. მაგალითად, რად ღირს თუნდაც მისი ბოლოდროინდელი განცხადება, რომ ამას წინათ მუშაობისას მან ფეხი იტკინა, რაც ხელს უშლიდა დიდხანს დგომაში და, ბუნებრივია, სიმღერის სრულფასოვან შესრულებაში; და რადგან ის მხოლოდ ფეხზე მდგარი მღერის, ამიტომ მას სიმღერის ხანგრძლივობა უნდა შეემოკლებინა. მიუხედავად კოჭლობისა და თანმხლებ პირთა მკლავებზე ხშირი დაყრდნობისა, მისი არავის სჯერა. მიუხედავად მისი სხეულის განსაკუთრებული მგრძნობელობის საყოველთაო აღიარებისა, ჩვენ მაინც ბუნებით მშრომელი ხალხი ვართ. ასეთივეა ჟოზეფინაც. ჩვენს ხალხს ყოველ დაჟეჟილობაზე რომ ეკოჭლა, ჩვენს გაჭირვებას საშველი აღარ დაადგებოდა. მაგრამ, რაც უნდა ხელით დაჰყავდეს თანხლებას და უწინდელთან შედარებით უფრო ხშირადაც, რაც უნდა მალიმალ ვარდებოდეს ამ უმწეო მდგომარეობაში, ჩვენში თანაგრძნობას რომ იწვევს, მაინც ჩვენ მას ძველებურად მადლიერებით და სიხარულით ვუსმენთ და კუპიურების გამო განსაკუთრებით არ ვხმაურობთ.

რადგან გამუდმებით კოჭლობა მოსაბეზრებელია, ჟოზეფინა დროდადრო რაღაც ახალს მოიფიქრებს ხოლმე და დაღლილობას, უგუნებობას, ხანაც სისუსტეს იმიზეზებს. კონცერტის გარდა იმართება წარმოდგენაც – ჟოზეფინას უკან ვხედავთ მის ამალას, სიმღერის დაწყებას რომ ევედრება. ის სიამოვნებით დათანხმდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ შეუძლია. მას ამშვიდებენ, ეპირფერებიან და ნინასწარ ამორჩეულ ადგილამდე თითქმის ხელში აყვანილი მიჰყავთ. ბოლოს, ისიც, თითქმის შეუმჩნეველი ცრემლით თვალებზე, თმობს, მაგრამ როდესაც დაქანცული, მაგრამ უკანასკნელძალამოკრებილი სიმღერას აპირებს და ხელებს შლის, ჩვეულებრივისგან განსხვავებით, უღონოდ ისევ დაბლა უშვებს და ამის შემხედვარეს ისინი ლამის მოკლეც კი გეჩვენება. აი, ის იწყებს, მაგრამ არაფერი გამოსდის, რასაც თავის უნებლიე უკან გადაგდებით გვაუწყებს, ჩვენ თვალწინ დუნდება, მიწაზე დაცემისთვის განწირული ძირს ეშვება, მაგრამ

კვლავ ფხიზლდება, წამოიმართება და მღერის, ჩვეულებრივისგან არცთუ განსხვავებულად და მის ოდნავ მოჭარბებულ მღელვარებას მხოლოდ განსაკუთრებით მახვილი სმენა თუ აღიქვამს, რაც საქმეს სულაც არ ვნებს, პირიქით – თუ რგებს. დასასრულისთვის ის ჩვეულებრივზე ოდნავ ნაკლებადაც კია დაღლილი და მტკიცედ – რამდენადაც შეიძლება ასე ითქვას მის მოკლე, სწრაფ ნაბიჯებზე, ამ ერთგვარ ცუნცულზე – ტოვებს სცენას, თანმხლების მიერ ხელის შეშველებაზე უარით და პუბლიკის ცივი, გამომცდელი და შემფასებელი მზერით, რომელიც ამ მზერას თვალს მოწიწებით არიდებს.

ასე იყო სულ ახლახან. ხოლო უახლესი ამბავი ისაა, რომ ის გაქრა, გაქრა მაშინ, როდესაც ყველა მისი სიმღერის მოლოდინში ვიყავით. და ეძებდა არა მარტო ამალა – ამ საქმეში მონაწილეობა მთელ ხალხს სურდა, თანადგომას ასე რომ ეშურებოდა; ამაოდ. ის გაქრა, ამიერიდან სიმღერაზე სამუდამოდ აიღო ხელი, აღარ ისურვა ჩვენი ხვეწნა-მუდარის მოსმენა და სამარადჟამოდ მიგვატოვა.

უცნაურია, თუ რამდენად ცდება ეს ბრძენი არსება და იმასაც კი გაფიქრებინებს, რომ არც არაფერს ფიქრობს, უბრალოდ თავი ბედისთვის მიუნდვია, ჩვენს სამყაროში ასე სევდიანი რომაა. სიმღერას გაურბის, თვითონვე სპობს ძალას, ჩვენს სულებზე რომ აამაღლა და გააბატონა. ან კი როგორ შეძლო ამ გავლენის მოპოვება იმათზე, ვისაც ცუდად ან საერთოდ არ იცნობს. იმალება, აღარ მღერის და ეს ხალხი – აუღელვებელი, შესამჩნევი იმედგაცრუების გარეშე, მბრძანებლური და საკუთარი თავის მოიმედე, უშფოთველი მასა, რომელსაც მართლაც რომ საჩუქრების მხოლოდ გაცემა შეუძლია – თუმცა, შესაძლოა, ეს პირიქით ჩანდეს – და არა მიღება, და მათ შორის არც ჟოზეფინასგან, ეს ხალხი აგრძელებს ცხოვრებას, ძველებურად და უდტრვინველად მიუყვება თავის გზას.

ხოლო ჟოზეფინას საქმე სულ უკან მიდის. და მალე დადგება მისი საბოლოო სტვენისა და სამუდამო დადუმების ხანა. ჩვენი ხალხის უსასრულო ისტორიაში ის მხოლოდ პატარა ეპიზოდია და ამ დანაკლისს როგორმე გადავლახავთ. ცხოვრებას ეს, რა თქმა უნდა, არ შეგვიმსუბუქებს; ჩვენი თავყრილობები კვლავაც გაიმართება, მაგრამ შესაძლებელია კი ეს სრულ სიჩუმეში? თუმცა, განა იგივე არ იყო ჟოზეფინას კონცერტებზეც? განა არ იყო ისინი ჩუმი, მდუმარე? იყო კი მისი სტვენა დღევანდელ სიჩუმეზე ხმამაღალი და ცოცხალი, ან უფრო ცხადი, ვიდრე მისი გახსენება? და იყო კი მის სიცოცხლეშივე მეტი, ვიდრე უბრალო მოგონება? და განა ჩვენი ხალხის სიბრძნემ ჟოზეფინას სიმღერა ასე მაღლა იმიტომ არ დააყენა, რომ ამ სახით ის ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა?

შესაძლოა სწორედ ამიტომ არცთუ დიდია ჩვენი დანაკარგი,

ეოზეფინა კი, მიწიერი ტანჯვის მარწუხებისგან თავისუფალი, მისი აზრით, რჩეულთა ხვედრი რომაა, მხიარული, ხალისიანი, გაქრება, ჩვენს ურიცხ გმირებში გაითქვიფება და მალევე, რადგან ჩვენ ისტორიას არ ვქმნით, თავისუფლების სულ უფრო ცხად განცდაში მას დაივიწყებენ ისევე, როგორც ყველა მის მსგავსს.

საუბარი მლოცველთან

იყო დრო, როდესაც ყოველდღე ეკლესიაში დავდიოდი, რადგან გოგონა, რომელიც მიყვარდა, საღამოობით იქ ნახევარ საათს მუხლმოყრილი ლოცულობდა და ამ ხნის განმავლობაში მისთვის მშვიდად მზერა შემეძლო.

ერთხელაც გოგონა არ მოვიდა. რაღა დამრჩენოდა, უკმაყოფილო, გაბრაზებული, მლოცველებს ვაკვირდებოდი და ამ დროს თვალში მომხვდა ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელიც მთელი თავისი ხმელი ტანით მიწაზე გართხმულიყო, დროდადრო, თავს რაც ძალი და ღონე ჰქონდა იქნევდა და იატაკზე დაწყობილ ხელისგულებზე ანარცხებდა.

ეკლესიაში მხოლოდ რამდენიმე მოხუცი ქალი ჩანდა, ისინი თავშალში გახვეულ თავებს ხანდახან გვერდზე აბრუნებდნენ, მლოცველისთვის რომ შეევლოთ თვალი. ეტყობა ეს ყურადღება მას სიხარულს ჰგვრიდა, რადგან ამგვარი რელიგიური ექსტაზის ყოველი გადმოფრქვევის წინ მზერას ირგვლივ მყოფებს შეავლებდა ხოლმე – ცდილობდა, დარწმუნებულიყო, რომ მლოცველები ეკლესიაში საკმაოდ იყვნენ. ეს მე შეუფერებლად მივიჩნიე და გადაეწყვიტე ეკლესიიდან გამოსვლისას გავსაუბრებოდი, მეკითხა, თუ რატომ ლოცულობდა ასე. დიახ, გაბრაზებული გახლდით, რადგან ჩემი გოგონა იმ დღეს არ მოვიდა.

ის მხოლოდ ერთი საათის შემდეგ ადგა, პირჯვარი გულმოდგინედ გადაიწერა და აჩქარებული ნაბიჯით ემბაზისკენ გაემართა. მე დავდექი ემბაზსა და კარს შორის, გადაწყვეტილი მქონდა განმარტების გარეშე არ გამეტარებინა. პირი მტკიცედ მოვკუმე, რაც იმას ნიშნავდა, რომ უკან დახევას არ ვაპირებდი. მარჯვენა ფეხი წინ მყარად დავდგი, მარცხენას კი თითის წვერზე მსუბუქად ვეყრდნობოდი; დამატებით სიმტკიცეს ესეც მაძლევდა.

ნაკურთხი წყლის სახეზე შესხმისას, ალბათ თვალი მეც შემავლო, შესაძლოა, რაღაც ავის მოლოდინში უფრო ადრეც კი შემამჩნია, რადგან მოულოდნელად კარისკენ გაიქცა და იქიდან გარეთ გააღწია. შემინული კარი დაიხურა. როდესაც გარეთ აღმოვჩნდი, იქაურ პატარა, ვიწრო ქუჩებზე ვეღარსად მოვკარი თვალი, რადგან ირგვლივ ფეხით მოსიარულეები მრავლად იყვნენ.

შემდეგ დღეებში აღარ გამოჩენილა, სამაგიეროდ გამოჩნდა ჩემი გოგონა, გამჭვირვალე მაქმანებით მხრებდამშვენებულ შავ კაბაში, მაქმანის მიღმა კი პერანგის ამოღებული გულის ნახევარმთვარე მოუჩანდა, რომლის ქვედა არშიის აბრეშუმი ელეგანტურ საყელოში გადადიოდა. გოგონას დამნახავს ის ახალგაზრდა სულ დამავიწყდა და მის მიმართ ინტერესი არც შემდეგ გამჩენია, რაც გამოჩნდა და ჩვეული აღტყინებით შეუდგა ლოცვას. გზა მას ჩემ გვერდით გავლას აიძულებდა, ისიც რაც შეიძლება სწრაფად გაცლას ცდილობდა, თან სახეს მარიდებდა და გვერდზე იყურებოდა. შეიძლება იმის გამო, რომ იგი მხოლოდ მოძრაობაში წარმომედგინა, ყოველთვის მეჩვენებოდა – მაშინაც კი, როდესაც იდგა – რომ მიხოხავდა.

ერთხელ, ოთახში შევყოვნდი და სახლიდან გამოსვლა შემაგვიანდა. თუმცა, ეკლესიაში მაინც წავედი. გოგონა ვეღარ დავინახე და უკან დაბრუნება გადავწყვიტე. ის კვლავინდებურად იწვა. წარსული შემთხვევა გამახსენდა და ჩემმა ცნობისმოყვარეობამაც გაიღვიძა.

კარამდე ფეხაკრეფით მივედი, ბრმა მათხოვარს მონეტა მივეცი და კარის ღია ამყოლის უკან, მის გვერდით მოვკალათდი: ვიჯექი ასე ერთი საათი და მე ჩემი მოხერხებულობით, ხოლო ჩემი სახე ალბათ თავისი ეშმაკური გამომეტყველებით, ვტკბებოდით. თავს იქ კარგად ვგრძნობდი და გადავწყვიტე, ეს ადგილი ხშირად მომენახულებინა. მეორე საათის დადგომისას მლოცველის გამო აქ ყოფნა უკვე უაზროდ მეჩვენებოდა. მაინც, ჯიბრიანმა, მესამე საათიც დავყავი და, განრისხებულმა, ობობებს ჩემს ტანსაცმელზე ბობღვის საშუალება მივეცი, ეს იმ დროს, როდესაც ეკლესიის სიბნელიდან მომავალი მლოცველების ხმამაღალი სუნთქვა მესმოდა.

აი, ისიც გამოჩნდა. ფრთხილად მოდიოდა, მისი ფეხები მიწას მსუბუქად ეხებოდნენ, თითქოს მასზე მტკიცედ დაბიჯებამდე, მის სიმყარეში დარწმუნებას ცდილობდნენ.

წამოვდექი, დიდი ნაბიჯებით პირდაპირ მისკენ გავემართე და ხელი ჩავკიდე. „საღამო მშვიდობისა“, წარმოვთქვი, შემდეგ ვუბიძგე, კიბე სწრაფად ჩავარბენინე და ნათელ ადგილზე გავიყვანე.

უკვე ქვევით, მომმართა სრულიად დაბნეულმა: „საღამო მშვიდობისა, კეთილო ბატონო, ნუ მიწყრებით თქვენს მონა-მორჩილს.“

„კარგი“, ვუთხარი, „ბატონო ჩემო, მსურს რაღაც გკითხოთ; ამას წინათ ხელიდან დამისხლტით, დღეს ეს აღარ გამოგივათ“.

„თქვენო გულმოწყალებავ, ნება მომეცით სახლში წავიდე. საცოდავი გახლავართ, აი, ჩემი სიმართლე.“

„არა“, გვერდით მიმავალი ტრამვაის ხმაურში ვიყვირე, „არ გაგიშვებთ. სწორედ ასეთი ამბები მაინტერესებს. იღბლიანი ნადავლი ხართ. ჩემს თავს ვულოცავ“.

მან მიპასუხა: „აჰ, ღმერთო, გული გაქვთ ცოცხალი, თანაგრძნობით გამთბარი, თავი კი მასიური, თითქოს ქვისგან გამოთლილი. თქვენ იღბლიან ნადავლს მიწოდებთ, რა ბედნიერი უნდა იყოთ! არამყარია ჩემი უბედურება, ბასრ წვერზე მოქანავე, საკმარისია ვინმე შეეხოს, თუნდაც სიტყვიერად, და კითხვის დამსმელს იმწამსვე თავზე დაემხობა. ძილი ნებისა, ჩემო ბატონო“.

„კარგი,“ ვუთხარი და მარჯვენაში ხელი მტკიცედ ჩავჭიდე, „თუკი არ მიპასუხებთ, დავიწყებ ყვირილს, აქვე, ქუჩაში. და ყველა ნოქარი გოგონა, ახლა სახლისკენ რომ მიეშურება, მოირბენს მათი ხილვის ტკბობით გართულ სატრფოებიანად, რადგან იფიქრებს, რომ დროგში შებმული ცხენი დაეცა, ან მოხდა რაღაც ამგვარი. შემდეგ კი მათ თქვენ თავს ვაჩვენებ.“

მტირალმა ახალგაზრდამ ხელები რიგრიგობით დამიკოცნა. „ყველაფერს გეტყვით რასაც ინებებთ, ოღონდ გთხოვთ გვერდზე ქუჩაში შევუხვიოთ.“ თავი დავუქნიე და ჩვენც იქით გაეწიეთ.

მაგრამ პატარა ქუჩის სიბნელეს არ დასჯერდა, მხოლოდ შორიშორს გაფანტული ყვითელი ფარნების მკრთალი შუქი რომ ებრძოდა, და ძველი სახლის დაბალი დერეფნისკენ გამიძღვა, პატარა ფარნის ქვეშ, რომლის სინათლის წყარო ხის კიბესთან მეჩხერ წვეთებად იღვრებოდა.

იქ მრავალმნიშვნელოვნად ცხვირსახოცი ამოიღო, კიბის საფეხურზე გაფინა და მომმართა: „დაბრძანდით, ძვირფასო ბატონო, და ასე მოსვენებულმა შეგიძლიათ მკითხოთ ყველაფერი, მე კი ფეხზე ვიდგები, და ვეცდები ყველაფერზე გიპასუხოთ. ოღონდ ნუ მტანჯავთ“.

მე ჩამოვჯექი და ვუთხარი, თან მოჭუტული თვალები ზემოთ მივაპყარი: „რა მშვენივრად გაითამაშეთ შმაგობა! – როგორ იქცევით ეკლესიაში! როგორი გამაღიზიანებელია და უსიამოვნო მაყურებლისთვის ეს ყველაფერი! თქვენმა შემხედვარე მორწმუნემ თავისი მოვალეობა როგორ უნდა აღასრულოს?“

ის ტანით კედელს აეკრა, ჰაერში მხოლოდ თავს ატრიალებდა. „ნუ ბრაზობთ – ან რატომ უნდა ბრაზობდეთ იმაზე, რისი მიზეზიც არ ხართ. მე მხოლოდ ჩემს თავზე ვბრაზობ – როდესაც შეუფერებლად ვიქცევი; სხვის ცუდ ქცევაზე კი ვხარობ. ასე რომ, ნუ გაბრაზდებით, თუ გეტყვით, რომ ჩემი ცხოვრების მიზანი მუდმივად ყურადღების ცენტრში ყოფნაა.“

„რას ამბობთ“, ვიყვირე, მეტისმეტად ხმამაღლა ამ პატარა დერეფნისთვის. „მართლაც, ეს რა თქვით. თუმცა, სწორედ ეს ვიფიქრე, მას შემდეგ, რაც პირველად დაგინახეთ. ჩემი გამოცდილებით ვიცი, და იცოდეთ, არ ვხუმრობ, ეს ზღვის ავადმყოფობასავითაა, ოღონდ

სნეული ხმელეთზეა. მისი არსი ისაა, რომ დაგვიწყებია საგანთა ნამდვილი სახელები და ახლა, სიჩქარეში, მათზე სრულიად შემთხვევით სახელებს ახვავებ – ჩქარა, ოლონდ, რაც შეიძლება ჩქარა!! – მაგრამ შორდებით მათ და ისინი კვლავ დავიწყების მორევში იძირება. ტუხტი, რომელსაც თქვენს „ბაბილონის გოდოლი" უწოდეთ, რადგან არ იცოდით ან არ გსურდათ გცოდნოდათ, რომ ეს ტუხტი იყო, კვლავაც უსახელოდ ირწევა მინდორში, და თქვენ მას ახლა „ნაბახუსევი ნოე" უნდა დაარქვათ."

ცოტა შევცბი, როდესაც მითხრა: „მიხარია, რომ მოსმენილისა ვერაფერი გავიგე".

აღელვებულმა მოკლედ მოვუჭერი: „თქვენი სიხარული მხოლოდ იმის დასტურია, რომ ყველაფერი გაიგეთ".

„ცხადია, თავი გავამჟღავნე, მოწყალეო ბატონო, მაგრამ თქვენც საკმაოდ უცნაურად ლაპარაკობდით".

ხელები კიბის ზედა საფეხურზე დავაწყვე, მივეყუდე და ამ თითქმის მიუწვდომელ, მოკრივის უკანასკნელი იმედის პოზაში, ვუთხარი: „თავის გადარჩენის საკმაოდ სასაცილო ჩვევა გქონიათ – თქვენს მდგომარეობას სხვას მიაწერთ".

ამის შემდეგ გამხნევდა. საკუთარი სხეულისთვის მთლიანობის მისანიჭებლად ხელები გადაიჯვარედინა და ერთგვარი შინაგანი წინააღმდეგობით წარმოთქვა: „არა, ამას არც თქვენ და არც სხვა ვინმეს წინააღმდეგ არ ვაკეთებ – ეს ჩემს ძალებს აღემატება. მაგრამ, ბედნიერი ვიქნებოდი, ეს რომ შემძლებოდა, რადგან მაშინ ეკლესიაში ხალხის ყურადღების მიქცევა აღარ დამჭირდებოდა. იცით, ეს რისთვის მინდა?"

ამ კითხვამ განმაიარაღა. ცხადია, არ ვიცოდი, ალბათ, აღარც მაინტერესებდა და არც აქ მოსვლა მიხაროდა, უბრალოდ ამის მოსმენა ამ ადამიანმა მაიძულა. ისღა დამრჩენოდა უარის ნიშნად თავი გამექნია და მეჩვენებინა, რომ არ ვიცოდი, მაგრამ თავი ვერაფრით ავამოძრავე.

პირდაპირ მდგომი თანამოსაუბრე კი იღიმებოდა. შემდეგ მუხლებზე დაიხარა – ძილმორეული სახე უცნაურად დამანჭვოდა – და დაიწყო მოყოლა: „არ მახსოვს ჩემი ცხოვრება ჩემი თავდაჯერებისთვის ოდესმე საკმარისი საბაბი ყოფილიყოს. საგნებს ჩემ ირგვლივ აღვიქვამ როგორც რაღაც არამყარს, არა ახლა, აწმყოში, არამედ თითქოს ერთ დროს არსებულს, ახლა კი სადღაც ჩაძირულს. ჩემო ბატონო, ყოველთვის მინდა საგნები ისე დავინახო, როგორიც შეიძლება იყოს თავისთავად, მანამ, სანამ თავს მაჩვენებდა. ამ დროს არის ისინი, ვფიქრობ, ლამაზი და მშვიდი. ასეც უნდა იყოს ალბათ, რადგან ჩემ ირგვლივ ეს ხშირად მესმის."

რადგან ვდუმდი და ჩემს შეძრწუნებას მხოლოდ სახის უნებლიე კრუნჩხვები ამჟღავნებდა, მან იკითხა: „არ მეთანხმებით, განა ამას არ ამბობს ხალხი?"

ამაზე უნდა მეპასუხა ალბათ, მაგრამ ვერ ვახერხებდი.

„არ გჯერათ? მაშ, მომისმინეთ: როდესაც პატარა ბავშვმა ხანმოკლე შუადღის ძილის შემდეგ გავიღვიძე, ჯერ კიდევ ძილის ბურუსში დედის ხმა მომესმა, აივნიდან დაბლა ვიღაცას რომ ეკითხებოდა სრულიად ბუნებრივად: „როგორ ხართ? რასა იქმთ ჩემო საყვარლებო. ოჰ, როგორ ცხელა." ბაღიდან ქალმა უპასუხა: „სიმწვანეში ყავას მივირთმევ." ეს ორივემ დაუფიქრებლად წარმოთქვა, არცთუ მკაფიოდ, თითქოს ისედაც ცხადი იყო ნათქვამი და საპასუხოდ მოსმენილი."

მომეჩვენა, რომ მე მეკითხებოდა, ამიტომ ხელი შარვლის უკანა ჯიბეში ჩავიყავი, თითქოს იქ რაღაცას ვეძებდი; – არაფერსაც არ ვეძებდი, მხოლოდ გამომეტყველების შეცვლა მსურდა, საუბარში ჩემი მონაწილეობა რომ დამედასტურებინა. მაინც ვთქვი, რომ ეს შემთხვევა მართლაც უჩვეულო იყო და სრულიად გაუგებარიც. ისიც დავუმატე, რომ არც ამბის სიმართლისა მჯეროდა და რომ ის რაღაც გარკვეული, ჩემთვის გაურკვეველი, მიზნისთვის იყო შეთხზული. შემდეგ დავხუჭე თვალები, რადგან მტკიოდა. „ო, რა კარგია, რომ ჩემს აზრს თქვენც იზიარებთ, და რა უანგარობაა, რომ შემაჩერეთ, რათა ეს გეთქვათ. და მართლაც, რატომ უნდა მრცხვენოდეს – ან რატომ უნდა გვრცხვენოდეს – წელში გამართული მძიმედ არ დავაბოტებ, ხელჯოხს ქვაფენილს არ ვურტყამ და მას არც გამვლელთა ტანსაცმელზე გადავატარებ, გვერდზე რომ ჩამივლიან ხმამაღალ საუბარში ჩართულნი. განა არ შემეძლო ჯიუტად დამეჩივლა, რომ მე, მოუქნელი მხრებით სახლების გასწვრივ დავხტივარ, თითქოს ჩრდილი ვიყო და ხანდახან ვიტრინის ფანჯრების მინებში ვქრები?

მაინც, რა დღეები გავატარე! რატომაა ყველაფერი ასე ცუდად ნაგები, იმდენად, რომ თავზე გვემხობა მაღალი სახლები, თან ისე, რომ ხილულ მიზეზს ვერ ამჩნევს კაცი. ვბობღდები მაშინ ნანგრევებზე და ყოველ შემხვედრს ვეკითხები: „როგორ შეიძლება ეს მომხდარიყო! წარმოგიდგენიათ – ჩვენს ქალაქში – ახალი სახლი!" და პასუხს ვერავინ მაძლევს.

ადამიანები ხშირად ეცემიან ქუჩაში და წვანან ასე უსულოდ, უძრავად. და საქმიანი ადამიანები თავიანთ, ნივთებით ჩახერგილ კარებს აღებენ, მოიჩქარიან, შეაქვთ გვამები სახლში, ბრუნდებიან, ღიმილი დასთამაშებთ თვალებსა და ტუჩებზე და ამბობენ: „მშვიდობიან დღეს გისურვებთ – ბინდიანია ცა – ბევრი თავშალი გაეყიდე – კი, კი, ომი." შევხტი სახლში და მას შემდეგ, რაც რამდენჯერმე

მოკაკულთითიანი ხელი მრისხანედ ზევით ავწიე, პორტიეს პატარა ფანჯარაზე დავუკაკუნე: „ძვირფასო ბატონო", მივმართე მეგობრულად, „თქვენთან გვამი მოიტანეს. უმორჩილესად გთხოვთ, თუ შეიძლება, მაჩვენეთ." და, როდესაც ყოყმანის ნიშნად თავს გააქნევს, ხმას მეტ სიმტკიცეს ვანიჭებ: „ჩემო ძვირფასო, საიდუმლო პოლიციიდან გახლავართ, ახლავე მაჩვენეთ გვამი." „ერთი?" კითხულობს თითქმის შეურაცხყოფილი, ნაწყენი. „არა, ჩვენ არ გვაქვს გვამები, ეს საპატივცემულო სახლია." მე წელში ვიხრები და მივდივარ.

უკვე შემდეგ, როდესაც დიდ მოედანს მივადგები, რომლის გადავკვეთასაც ვაპირებ, აღარაფერი მახსოვს. ამ წამოწყების სირთულე მაბნევს და ხშირად ვფიქრობ: „როდესაც ადამიანი ასეთ დიდ გეგმებს მხოლოდ ქედმაღლობის გამო აგებს, რატომ არ აგებს ქვის მოაჯირს, რომელიც მოედანზე გადაიყვანდა. დღეს უბერავს სამხრეთ-დასავლეთის ქარი. მოედანზეც შეუღწევია, შფოთავს ჰაერი, აქაურობა არაა მშვიდი. რატუშის შპილი ცაში პატარა წრეებს ავლებს. ამ ჩოჩქოლში რატომ არ შეჩერდებიან? შეისვენებენ? ყველა ფანჯრის მინა ხმაურობს და ბამბუკივით შრიალებს ფარნის ბოძები. ქარი სვეტზე აღმართული წმინდა მარიამის მოსასხამს გრეხს, აფრიალებს, ლამის მოგლიჯოს. ნუთუ ვერავინ ხედავს? – ქვაფენილზე გავლის მსურველი ბატონები და ქალბატონები ფარფატებენ. როდესაც ქარი სულის მოსათქმელად ჩერდება, ჩერდებიან ისინიც, ცვლიან ფრაზებს და მისალმების ნიშნად წელში იხრებიან, მაგრამ კვლავ უბერავს ქარი და უძლურების ნიშნად ფეხს ყველა ერთდროულად წევს. მართალია, ქუდები ჯერ კიდევ ხელით უკავიათ, მაგრამ ნაპერწკალი უელავთ თვალებში, თითქოს ბუნების მრისხანება დამცხრალიყოს. მხოლოდ მე ვარ შეშინებული."

შეურაცხყოფილმა, როგორადაც მიმაჩნდა თავი, ვთქვი: „ამბავი, ადრე რომ მომიყევით დედათქვენისა და ქალბატონის შესახებ ბაღში, სულაც არაა საინტერესო. არა მარტო იმიტომ, რომ ასეთი ისტორია ბევრი მომისმენია, თავსაც გადამხდენია და, ზოგ შემთხვევაში, თანამონაწილეც კი ვყოფილვარ. უბრალოდ, ბუნებრივია ეს ყველაფერი. არ ფიქრობთ, რომ აივანზე ყოფნისას, იმავეს ვიტყოდი, და ბაღიდანაც იმავეს ვუპასუხებდი? სრულიად ტრივიალური შემთხვევა." ამის გაგონებაზე ბედნიერი ჩანდა, მითხრა, რომ ძალიან კარგად მეცვა, რომ მოსწონდა ჩემი ჰალსტუხი და ძალზე ნატიფი მქონდა კანიც. და რომ აღიარება ყველაზე მკაფიო სწორედ მისი უარყოფისას ხდება.

საუბარი ნაბახუსევთან

როდესაც პატარა ნაბიჯებით სახლის ჭიშკრიდან გამოვედი, ციდან მთვარე, ვარსკვლავები და მთელი ეს უზარმაზარი თაღი, ხოლო მოედნიდან რატუშა, წმინდა მარიამის სვეტი და ეკლესია გადმომემხო.

მშვიდი, თავდაჯერებული, ჩრდილიდან მთვარის შუქზე გავედი, ციოდა, პალტო შევიკარი; შემდეგ ხელები აღვმართე, ღამის ხმაური დავადუმე და ფიქრი დავიწყე:

„რა მერე, თუ ნამდვილივით იქცევით. გსურთ დამარწმუნოთ, თითქოს არ ვარსებობ მე, მწვანე ქვაფენილზე კომიკურად დაყუდებული: მაგრამ უკვე რა ხანია, შენ, ცაო, ხარ ნამდვილი, რაც შენ, მოედანო, არასდროს ყოფილხარ.

რა თქმა უნდა, თქვენი ძალა ჩემზე აღმატებულია ჯერ კიდევ, თუმცა მხოლოდ მაშინ, თუკი საკუთარ ნებაზე მიგიშვებთ.

მადლობა უფალს, მთვარევ, აღარ ხარ მთვარე და ალბათ ჩემი დაუდევრობაა, რომ შენ, მთვარედ წოდებულს, ჯერ კიდევ მოგმართავ, როგორც სრულუფლებიან მთვარეს. რატომ აღარ ქედმაღლობ, როდესაც „უცნაურფრად შეღებილ, ყველასგან მივიწყებულ ქაღალდის ფარანს გიწოდებ", და ლამის უკან იხევ, როდესაც „მარიამის სვეტად" მოგმართავ, და ვერც შენს მუქარით აღსავსე იერს ვხედავ, მარიამის სვეტო, „ირგვლივ ყვითელი სინათლის მფენ მთვარედ რომ გნათლავ."

და მართლაც ვფიქრობ, რომ თქვენთვისვე არაა სასიკეთო, რომ ადამიანი თქვენზე ფიქრს იწყებს და მათ უღრმავდება, რადგან ჯანმრთელობასა და სიმამაცეს კარგავთ.

ღმერთო, რა სიკეთეა, იდგე ჩაფიქრებული, ისმენდე ნაბახუსევის რჩევებს!

რატომ დადუმდა ყველაფერი? – ქარი თუ ჩადგა. და პაწია სახლები, თითქოს ასეთსავე პაწია ბორბლებზე შემდგარი, მოედანზე ხშირად რომ დაგორავენ, ახლა მყარად ჩასობილა მიწაში და მიწისგან მათი გამმიჯნავი შავი ზოლი, მდუმარე, თხელი და წვრილი, აღარ ჩანს."

მოვწყდი ადგილს და მოვკურცხლე. დიდ მოედანს დაუბრკოლებლად სამჯერ შემოვურბინე, ხოლო რადგან მთვრალს ვერსად შევხვდი, სირბილი კარლოსის ქუჩისკენ გავაგრძელე – არც სიჩქარე შემინელებია და არც დაღლილობა მიგრძვნია. კედელზე ჩემი მომცრო ჩრდილი მომდევდა, თითქოს ჩემ გვერდით კედელსა და ქვაფენილს შორის თხრილს მოუყვებოდა.

სახანძროს რომ გავუსწორდი, პატარა ზარის განგაშის ხმა შემომესმა და, როდესაც იმ ადგილზე შევუხვიე, მთვრალს შეეჩეხე –

წყაროს გისოსებს მიყრდნობილს, ხელები მხრების სიგანეზე გაეშალა და ხის საშინაო ფეხსაცმელში გაყრილ ფეხებს მინას უბაკუნებდა.

სულის მოსათქმელად ერთხანს შევჩერდი, შემდეგ მივუახლოვდი, ცილინდრი მოვიხადე და თავი წარვუდგინე:

„საღამო მშვიდობისა, არსებავ ნატიფო, კეთილო და კეთილშობილო, ოცდაორი წლის ვარ, მაგრამ ჯერ კიდევ არ მაქვს სახელი. თქვენ კი, ცხადია, მოდიხართ – საიდან? რა თქმა უნდა, განსაცვიფრებელ, დიახ, კეთილხმოვანი სახელით შემკულ-დამშვენებულ დიად ქალაქ პარიზიდან. გარს გახვევიათ ბუნებრივი სურნელი საფრანგეთის ღირსეული მამულისა, დასხლტომას რომ ლამობს.

ცხადია, თქვენს მოხატულ თვალებს უხილავს ის, დიდი, სახელოვანი ქალები ელეგანტური წელის ირონიულად მოხდენილი მიმოხრით, მაღალ, ნათელ ტერასაზე, მაშინ როცა კიბეზე მოფენილი მათი ფერადოვანი შლეიფის ბოლო ბაღის სილაზე გაწოლილა უძრავად. არა? გრძელ ძელებზე, სიმეტრიულად განაწილებული ადიან მსახურები, გამომწვევად გამოჭრილ ფრაკებსა და თეთრ შარვლებში, ფეხები ძელზე შემოუხვევიათ, ტანით წელსზევით ხშირად უკან ან გვერდზე იხრებიან, მიწიდან თოკებით უზარმაზარი რუხი ტილოები რომ ასწიონ და ზევით გადაჭიმონ – რამეთუ დიდ ქალბატონს ღრუბლიანი დილა მოსურვებია." და რადგან დააბოყინა, ვკითხე შემკრთალმა, ლამის შეშინებულმა: „მართალია, რომ ჩვენი პარიზიდან მოდიხართ, მგრგვინავი ქალაქიდან, იმ საოცნებო სეტყვიანი ამინდიდან?". როდესაც მან კვლავ დააბოყინა, შეცბუნებულმა ვკითხე: „ვიცი, ჩემ წილად დიდი პატივია." და სწრაფად შევიკარი პალტო, შემდეგ გავაგრძელე – გზნებით, თუმცა რიდით:

„ვხვდები, პასუხის ღირსად არ მთვლით, მაგრამ ვიცი, დღეს ეს რომ არ მეკითხა, მთელი ცხოვრება სანანებელი გამიხდებოდა.

მიბრძანეთ ბატონო, წარმოსადეგო, მორთულ-მოკაზმულო, მართალია, რაც მოვისმინე? რომ არიან პარიზში ადამიანები, ოდენ ლამაზად გაწყობილ ტანსაცმლად რომ გვევლინებიან? რომ არის სახლები – მხოლოდ პორტალი, სხვა არაფერი? მართალია, რომ ზაფხულის დღეებში ცის სილურჯე წარმავალია, და სწრაფადაც, და მხოლოდ აქა-იქ მიწებებული თეთრი ღრუბლებით შემკული, თავს გულის ფორმით რომ იწონებენ? და არის კიდევ პანოპტიკუმი, ყოველთვის ხალხმრავალი, რომელშიც მხოლოდ ყვავილებია, ყელზე ჩამოკიდებულ პატარა ფირფიტებზე სახელგანთქმულ გმირთა, დამნაშავეთა და შეყვარებულთა სახელებით დამშვენებული?

ეს ამბავი, სრულიად ყალბი!

განა მშვიდია პარიზის ქუჩები, ასე უეცრად გამრავლებულ-დატოტვილი? ყველაფერი როდია ყოველთვის წესრიგში, როგორიც

შეიძლება და უნდა იყოს კიდეც! არის უბედური შემთხვევები. ხალხი გროვდება და ახლომახლო ქუჩებიდან დიდი ქალაქის შესაფერი ღირსეული ნაბიჯით – ქვაფენილს ოდნავ რომ ეხება – მოეშურება; მართალია, ყველა ცნობისმოყვარეობას შეუპყრია, მაგრამ – იმედგაცრუების შიშსაც; გახშირებიათ სუნთქვა და წინ ყოფენ პატარა თავებს. ოღონდ, ერთმანეთის შეხებისას პატიებას ითხოვენ: „დიდად მწყინს – ეს მოხდა სრულიად შემთხვევით – ირგვლივ ისეთი ხალხმრავლობაა, ისეთი სიმჭიდროვე, გთხოვთ პატიებას – ჩემი მოუქნელობის ბრალია. ოჰ, ეს, რა უხერხულად მოვიქეცი – ვაღიარებ. ჩემი სახელია ჟერომ ფარუში, ბაყალი კაბოტენის ქუჩიდან – ნება მიბოძეთ, რომ ხვალ სადილად მიგიწვიოთ – მეუღლეც დიდად მოხარული იქნებოდა". აი, ასეა ეს ყველაფერი. და რომელიმე ხალხმრავალ ბულვარზე მდიდრულ კვარტალში ორი ვაგონი რომ მყოლოდა – მსახურები დარბაისლურად აღებენ კარს, ქვევით შებმული რვა ციმბირული ნაგაზი ყეფა-ყეფითა და ცეკვა-ხტუნვით მიუყვება ქუჩაზე ლიანდაგს. ამ დროს კი ვიღაც ამტკიცებს, რომ ისინი გადაცმული პარიზელი ფრანტები არიან".

თვალები დაეხუჭა. როდესაც დავდუმდი, პირში ჩაიყო ორივე ხელი და ქვედა ყბა მოქაჩა. ტანსაცმელი მთლიანად დასვრილი ჰქონდა, იქნებ კინწისკვრით გამოაგდეს ღვინის სარდაფიდან, და მას ეს ჯერაც ვერ გაეცნობიერებინა.

შესაძლოა, ეს სწორედ ის პატარა პაუზა იყო დღისა და ღამის მიჯნაზე, როდესაც მოულოდნელად ჩავქინდრავთ თავს და როდესაც ყველაფერი – შეუმჩნეველი, დადუმებული, რათა ჩვენთვის გაუჩინარდეს – ქრება. როდესაც ვართ მარტო, წელში მოხრილი, მზერას ირგვლივ შემოვატარებთ, მაგრამ ვეღარაფერს ვხედავთ, ვეღარაფერს შევიგრძნობთ, ჰაერის წინააღმდეგობასაც კი, თვით უმცირესს, ამით შინაგანად იმ მოგონებას ვერთგულებთ, რომ ჩვენგან მოშორებით დგას სახლები, სახურავიანი, წახნაგოვანსაკვამლემილებიანი, საბედნიეროდ, საიდანაც სახლებში სიბნელე ჩაედინება, სხვადასხვა დანიშნულებისა და სიდიდის ოთახებში, გზად მანსარდებში შეყოვნებული. და ბედნიერებაა, რომ ხვალ იქნება დღე, და – ყველაზე დაუჯერებელი – რომ ყველაფერს დაინახავ.

აი, შემართა მთვრალმა მაღლა წარბები, თვალებს შორის გაიბრწყინა ნათელმა, და განაცხადა, სვენებ-სვენებით: საქმე ისაა, – რომ მეძინება, ამიტომ, მივდივარ დასაძინებლად. კერძოდ, ვაცლავის მოედანზე, ახლობელთან – მივდივარ იქ, რადგან იქ ვცხოვრობ, და იქ მაქვს საწოლი. – ახლა წავედი. – მხოლოდ არ ვიცი, რა ჰქვია მას და სად ცხოვრობს – ვფიქრობ, დამავიწყდა – თუმცა არაფერია, რადგან ისიც არ ვიცი, მყავს თუ არა ის, ახლობელი. – ახლა კი ნამდვილად

წავედი. – ფიქრობთ, შევძლებ პოვნას?"

დაუფიქრებლად ვუპასუხე: „ცხადია. მაგრამ შორიდან მოდიხართ და თან არ გახლავან მსახურნი თქვენნი, რა თქმა უნდა, სრულიად შემთხვევით. ნება მიბოძეთ გაგაცილოთ."

არაფერი მიპასუხა. მე ხელი გავუწოდე, მას რომ დაყრდნობოდა.

აეროპლანი ბრეშიაში

1909 წლის 9 სექტემბრის ¤ა შენტინელლა რესციანა (ბრეშიის დარაჯი) იუწყება – თან აღფრთოვანებას ვერ მალავს: ჩვენთან დღეს ზღვა ხალხმა მოიყარა თავი, ჩვენთვის, ან, თუნდაც, დიდი ავტოშეჯიბრისთვის, აქამდე არნახულმა. ვის არ შეხვდებით: უცხოთ – ვენეციელებს, ლიგურიელებს, პიემონტელებს, ტოსკანელებს, რომაელებს, თვით ნეაპოლელებს; ჩვენს ადგილებს დიდი ბატონები სტუმრობენ – ფრანგები, ინგლისელები ამერიკელები – დაუპყრიათ სასტუმროები, კერძო სახლების ყველა კუთხე-კუნჭული: ფასები დიდებულად მიიწევს ზევით, ხალხის ცირცუიტო აერეო-მდე მისაყვანად ტრანსპორტი აღარ გვყოფნის; ასაფრენ მოედანზე განლაგებული კაფეები ალბათ ორი ათას კაცზე მეტს ვერ გასწვდება, და მრავალი ათასი უარით უნდა გაისტუმროს, მათ დასაცავად კი სამხედროების დახმარება გამხდარა საჭირო; 50 000 კაცი არცთუ ძვირ ადგილებზე მთელი დღე ადგილიდან ფეხს არ იცვლის.

ამ ცნობებმა მე და ჩემი ორი მეგობარი ერთდროულად შეგვაშინა და გაგვამხნევა. გვამხნევებს ის, რომ იქ, სადაც ასეთი საშინელი ჭყლეტაა, დემოკრატიული წესრიგი ძალდაუტანებლად მკვიდრდება – სადაც ადგილები არაა, აღარც მათთვის ბრძოლაა საჭირო. შიშით კი ამგვარი შემთხვევების იტალიური ორგანიზაცია გვაშინებს, ჩვენზე მზრუნველი კომიტეტებიც, ადგილობრივი რკინიგზა, რომლებსაც „შენტინელლა"-მ მათი ოთხსაათიანი დაგვიანების საჯარო აღნიშვნით გაუთქვა სახელი; ცრუვდება ყველა მოლოდინი, ყველა იტალიური მოგონება უცნაურად ირევა ერთმანეთში, ბუნდოვნდება და ვერც ერთს ენდობი.

ჯერ კიდევ ბრეშიის რკინიგზის სადგურის ბნელ ბუნაგში აღმოჩენილებმა, სადაც ადამიანები ისე ყვიროდნენ, თითქოს მათ ფეხქვეშ მიწა იწვოდა, ერთმანეთი სრულიად სერიოზულად გავაფრთხილეთ, რომ რაც უნდა მომხდარიყო, ყოველთვის ერთად ვყოფილიყავით. ჩვენ ხომ აქაურობას მტრებად მოვევლინეთ!

გადმოვდივართ; ვსხდებით ეკიპაჟში, ყველა მიმართულებით რომ ირყევა და ბორბლებზე თავს ძლივს იმაგრებს; მეეტლე მშვენიერ გუნებაზეა; კომიტეტის რეზიდენციამდე თითქმის უკაცრი-

ელი ქუჩებით მივდივართ, სადაც ჩვენს შინაგან გაღიზიანებას არც კი იმჩნევენ, არ არსებობდეს თითქოს; ვიგებთ ყველაფერს, რაც გვჭირდება. ღამის გასათევი, სადაც გაგვაგზავნეს, ერთი შეხედვით ოდესმე ნანახთა შორის უბინძურესია, თუმცა ცოტა ხნის შემდეგ უკვე ასეთი გადაჭარბებულად საზიზღარი აღარ მოგვეჩვენა. სიბინძურე – რომ ვერ გაექცევი, რომელზეც აღარც კი ლაპარაკობ – უცვლელი, ურყევი, და ბოლოს, უკვე გაშინაურებული ადამიანურ ცხოვრებას ერთგვარად სოლიდურსა და მიწიერს ხდის. სიბინძურე, რომლის სამფლობელოდანაც მასპინძელი მოიჩქარის, საკუთარი თავით ამაყი, ჩვენ გამო მორჩილი, თვინიერი, რომელსაც იდაყვები გაუთავებლად უმოძრავებს და ხელებსაც – რომლის თითები უშურველი კომპლიმენტია – უცნაურად აყოლებს და ეს ყველაფერი სახეზე შუქჩრდილების მუდმივ თამაშად აირეკლება, გაუთავებელი წელში მოხრა-რეევერანსებით, ზუსტად ისეთით, უკვე ასაფრენ მოედანზე გაბრიელე დ'ანუნციოშიც რომ ამოვიცანით – და, იკითხავს კაცი, ამ სიბინძურის გამო დარჩება ვინმეს კიდევ წყენა გულში?

ასაფრენი მოედანი მონტეკიარის მინდვრებია; სადაც მანტუამდე მიმავალი ადგილობრივი მატარებლით სულ ერთ საათში შეიძლება ჩასვლა. ამ ადგილობრივი რკინიგზის ლიანდაგები საერთო შარაგზას მიუყვება, ლიანდაგებზე კი მოკრძალებულად გადაადგილდებიან ვაგონები, სხვა საშუალებებზე არც ჩქარა, არც ნელა, ველოსიპედისტებსა, რომლებიც გზას ამ მტვერში თითქმის თვალდახუჭული იკვალავენ, და მთელი პროვინციის ყველაზე უვარგის ეკიპაჟებთან ერთად, მგზავრების შეუზღუდავი რაოდენობით დახუნძლული, ყველას გასაოცრად მაინც საკმაოდ სწრაფად რომ მოძრაობენ, ამ გაუგონარ, თავხედ ავტომობილებს შორისაც კი, თავაწყვეტილი, ღამის გადაყირავების ზღვარზე რომ მიქრიან, ამ სიჩქარისთვის მეტისმეტად მიამიტად მოკრიახე საყვირებით.

რაც უფრო გადის დრო, ამ გასაცოდავებული მატარებლით circuito-მდე ჩაღწევის იმედი სულ უფრო უსაფუძვლო გვეჩვენება. მაგრამ ირგვლივ იცინიან, იცინიან მარჯვნივ, იცინიან მარცხნივ და ვაგონების სიღრმეშიც. ვდგავარ პლატფორმაზე, გაჩაჩხული ფეხებით ორი ვაგონის ზამბარებზე შემდგარ ერთ გოლიათზე მიჭყლეტილი, მჭვარტლისა და მტვრის შხაპში, მსუბუქად მოქანავე ვაგონების სახურავებიდან რომ გვეყრება. შემხვედრი მატარებლის მოლოდინში დარბაისლური მოთმინებით უხვად აღჭურვილი მატარებელი ორჯერ ჩერდება, თითქოს რაღაც იღბლიან შემთხვევას თუ ვინმესთან შეხვედრას ელოდებოდეს. შორს ჩნდება სოფლები, ჯერ დინჯად, ზარმაცად მოიწევენ, გვიახლოვდებიან, და შემდეგ ასევე დინჯად გვშორდებიან, უნებლიეთ თვალი აქა-იქ კედლებზე გაკრულ

ავტომობილების უკანასკნელი ველური თავყრილობის ამსახველ პლაკატებზე ჩერდება. გზის კიდეებში კი თეთრი მტვრის საფარქვეშ ყველა მცენარე ლამის ერთმანეთს დამსგავსებია, რადგან გამოუცნობი გამხდარა მათი გვარი, ჯიში და წარმომავლობა.

როგორც იქნა, ჩვენი ქანცგაწყვეტილი და გამოფიტული მატარებელი საბოლოოდ ჩერდება. ერთდროულად ამუხრუჭებს ავტომობილისტთა ჯგუფიც – ცოტა მოშორებით, მათ მიერ დაყენებული მტვრის კორიანტელში პატარა დროშების ფრიალს ვარჩევთ. გვაჩერებს ნახირიც, გაცოფებული, გზააბნეული, თავქუდმოგლეჯილი მორბის ბორცვებზე, მოიწევს და ავტომობილების ჯგუფში შემოჭრასაც არ ერიდება.

როგორც იქნა, მოვაღწიეთ. აეროდრომის მისადგომებში კიდევ ერთი დიდი ადგილია, სადაც დგას საეჭვო ხის სახლი, რომელზეც სხვა წარწერებს მოველოდით, განსხვავებულს იმისგან, რაც ვიხილეთ: გარაჟი, დიდი ინტერნაციონალური სასადილო და ა. შ. უზარმაზარი, საკუთარ ინვალიდის ეტლში ქონის გროვად ქცეული მათხოვრები ხელებს იშვერენ, გზას გვიღობავენ, ჩვენ კი ამ სიჩქარეში ვცდილობთ როგორმე მათ გადავახტეთ. ასე ბევრს გავასწარით, ბევრმაც გაგვასწრო. ავყურებთ ცას, ვეძებთ იმას, რის გამოც ვართ აქ. მადლობა უფალს, ჯერ არც ერთს არ გადაუფრენია! მივდივართ პირდაპირ მიზნისკენ, ჯერჯერობით უვნებელნი – ჩვენზე არავის და არაფერს არ გადაუვლია. ათასობით სატრანსპორტო საშუალებას შორის, მათ უკან და მათ შესახვედრად, იტალიური კავალერია ცხენებს მიაჭენებს. წესრიგი და უბედური შემთხვევა, ორივე მგონი თანაბრად უნდა გამოირიცხოს.

ერთხელაც, ბრეშიაში, გვიან საღამოს, სადღაც გვეჩქარებოდა, ჩვენი აზრით, საკმაოდ შორს. მეეტლემ სამი ლირა მოითხოვა, შევთავაზეთ ორი. მივიღეთ მტკიცე უარი და მან მხოლოდ კეთილგანწყობის ნიშნად დააზუსტა და ქუჩის სიშორე აგვიწერა – უკვე გვრცხვენოდა ჩვენი შეთავაზების. კეთილი, სამი, მაშ სამი. სამად სამი შეხვევა მოკლე ქუჩებზე და უკვე ადგილზე ვიყავით. ოტომ, ჩვენ სამში ყველაზე ენერგიულმა, განაცხადა, რომ ერთწუთიან მგზავრობაში სამი ლირის გადახდას არ აპირებდა, რომ ერთიც საკმარისზე მეტი იყო. უკვე ღამეა, პატარა ქუჩა ცარიელია, მეეტლემ კი უკან არ დაიხია და ისე აღეგზნო, თითქოს მთელი საათია, რაც ვკამათობთ: „რა? ეს პირის გატეხაა, რა გგონიათ? სამზე შევთანხმდით და სამი უნდა გადამიხადოთ, თუ არა და, ნახავთ". ოტო: „ნიხრი ან პოლიცია!" „ნიხრი? არავითარი ნიხრი. ის არ არსებობს. და ვის გაუგია საამისოდ ნიხრი!" არსებობს შეთანხმება ღამით მგზავრობაზე, მაგრამ, თუ გადავიხდით ორს, შეგვიძლია საითაც გვნებავს, იქით წავიდეთ". ოტო: „ნიხრი

ან პოლიცია!" მცირე ხნის ყაყანისა და ხელების ფათურის შემდეგ გაჩნდა ისიც, მაგრამ ქაღალდზე ჭუჭყის გარდა არაფერია. ბოლოს ვთანხმდებით ლირასა და ორმოცდაათზე და მეეტლე აგრძელებს გზას ვიწრო ქუჩაზე, რომელზეც ვეღარ შემობრუნდება – არათუ მრისხანე, არამედ, როგორც მეჩვენება, ნაღვლიანი. სამწუხაროდ, სწორად არ მოვიქეცით; იტალიას ასეთი არ უნდა ეჩვენო; სადმე სხვაგან – შეიძლება, მაგრამ არა აქ. აბა სიჩქარეში ამდენს რას იფიქრებ კაცი! მაგრამ, მოდი, ნუ ვიწუწუნებთ – ერთ საფრენოსნო კვირაში იტალიელი ვერ გახდები.

გარდა ამისა, სინანულმა, კიდევ არაერთი რომ გველის, ასაფრენ მინდორზე ყოფნის სიხარული არ უნდა ჩაგვიშხამოს და, უფრო შევიჭერით, ვიდრე შევედით აეროდრომზე ჩვენი კიდურების, სახსრების საყოველთაო აღტყინებით, ამ მზიანი ცის ქვეშ ერთიმეორის მიყოლებით უეცრად რომ გეუფლება.

ჩავუარეთ ანგართა წყებას, რომელთა დახურული ფარდების შემხედვარეს თავი მოხეტიალე დასის სცენის წინ გვგონია. მათი ფრონტონების მთელი სივრცე ავიატორების სახელებს უკავია, იქვეა აპარატებიც – ქვევით თავშეფარებულებს, ზევიდან მშობლიური სამფეროვანი დროშები დაჰყურებენ. ვკითხულობთ გვარებს: კობიანკი, კანიო, რუჟიე, კურტისი, მუჰერი (ტრიდენტელი, რომელიც იტალიურ ფერებს ერთგულებს, ეტყობა უფრო ენდობა), ანცანი – რომაელ ავიატორთა კლუბი. Blériot? ვკითხულობთ. ნეტა სად არის ის, ვისზეც მთელი ეს დრო ვფიქრობდით? რუჟიე, ერთი დიდცხვირა პატარა არსება პერანგის ამარა თავისი ანგარის შემოღობილ სივრცეში გაუთავებლად აქეთ-იქით დარბის. აღგზნებული, მუდამ საქმით, ჩვენთვის საკმაოდ ბუნდოვნით, დაკავებული, იქნევს ხელებს, რომლებზეც მაჯები სწრაფად უმოძრავებს, ამ სიარულში გამუდმებით რაღაცას სინჯავს, ფარდების მიღმა აგზავნის მუშებს, სიღრმეში, უკან მოუხმობს, თავიდან იშორებს, მიდის იქ თვითონ, მაშინ როდესაც მისი მეუღლე, ვიწრო, თეთრ ტანსაცმელში, თმაზე მჭიდროდ შემოტმასნილ პატარა, შავ ქუდსა და ვიწრო ქვედატანში, დგას, ერთმანეთისთვის ელეგანტურად დაუშორებია ფეხები დ ცარიელ, მცხუნვარე სივრცეში იყურება – საქმიანი ქალი, რომლის პატარა თავში თავმოყრილი ყველა საზრუნავი ერთმანეთში ირევა და ადგილს ვეღარ პოულობს ამ სიმჭიდროვეში.

მეზობელ ანგარში სრულიად მარტოა კურტისი. ოდნავ გადაწეულ ფარდებში მოჩანს მისი აპარატი; ის უფრო დიდია, ვიდრე სხვათა აღწერის საფუძველზე წარმომედგინა. როდესაც მას გავუსწორდით, აიღო New York Herald-ი, მაღლა ასწია, შეუდგა გვერდის კითხვას, ზევიდან; ნახევარი საათის შემდეგ, უკან დაბრუნებისას, ჯერ კიდევ იმავე

გვერდის შუაში ვიხილეთ, კიდევ ნახევარი საათის შემდეგ კი უკვე მეორე ფურცელზე გადასულიყო. ცხადია, დღეს ფრენას არ აპირებს.

შემოებრუნდით და დიდი მინდორი დავინახეთ, იმდენად დიდი, რომ ყველაფერი ირგვლივ სივრცეში დაკარგული, ყველასგან მიტოვებული მოგვეჩვენა; ფინიშის თამასა ახლოსაა, სასიგნალო ანძა – შორს, სასტარტო კატაპულტა – სადღაც მარჯვნივ, კომიტეტის ავტომობილი, ქარში ფართოდ გაშლილი დროშით მიწაზე წრეს რომ არტყამს, საკუთარ მტვერში ჩერდება, შემდეგ კვლავ იძვრის.

ამ ტროპიკულ ქვეყანაში ეს უკაცრიელი ადგილი, ეს მზიანი უდაბნო, აქ თავმოყრილი იტალიის დიდებულების, პარიზელი ბრწყინვალე ქალბატონების და კიდევ სხვა მრავალი ათასის მოჭუტული თვალებით სამზერად თითქოს ხელოვნურად შეუქმნიათ. და არაფერია ისეთი, სხვა სპორტულ შეჯიბრებებს კონტრასტით რომ ამდიდრებს. არ ჩანს დოლის ფერად-ფერადი, ლამაზი წინაღობები, თეთრი საჩოგბურთო მოედნები, ფეხბურთელთა ხასხასა მწვანე მდელოები, ავტო- და ველომბრბოლელთა გზების ქვიანი აღმართ-დაღმართები. მხოლოდ ნაშუადღევს, ფერადოვან მხედართა ჯგუფი ორ-სამჯერ თუ გადაკვეთს სივრცეს. ამ მტვერში არც კი მოუჩანთ ცხენებს ფლოქვები, ნაშუადღევის ხუთ საათამდე მზის სინათლე უცვლელია და ერთგვაროვანი. და, რათა ამ სივრცის მშვიდი იერი არ დაირღვეს, დუმს ყველაფერი, არც მუსიკაა, და ყურისა და მოუთმენლობის მადის დასაცხრობად მხოლოდ იაფფასიან ადგილებზე განლაგებული ხალხის სტვენა თუ გამოდგება. ისინი, ჩვენ უკან მდებარე უფრო ძვირი ტრიბუნებიდან დანახულნი ალბათ სულ თავისუფლად ერწყმიან გაშლილ სივრცეს.

ხის მოაჯირის ერთ მხარეს უამრავ ხალხს მოუყრია თავი. „რა პატარაა!“ აღმოხდა ფრანგების ჯგუფს. რა ხდება? ვიკაფავთ გზას, რათა დავინახოთ. აქვე, მინდორში, დგას მწვანედ შეღებილი პატარა აეროპლანი, რომელსაც ასაფრენად ამზადებენ. ვხედავთ ბლერიოს ანგარსაც, გვერდით მის მოსწავლე ლებლანსაც – აღმართულა ორივე ამ ტრიალ სივრცეში. აპარატის ერთ-ერთ ფრთას თვით ბლერიო მიყრდნობია, ადვილად საცნობი, უკან გადახრილი თავი კისერზე მიუბჯენია და თავის მექანიკოსს, ძრავს რომ დასტრიალებს, თვალს არ აცილებს.

აი, ამ პატარა საგნით, ლამის სათამაშოთი, აპირებს ჰაერში აფრენას?! წყალთან დაკავშირებულ შემთხვევებში ყველაფერი გაცილებით ადვილია. იქ ადამიანს შეუძლია დაიწყოს გუბით, შემდეგ მდინარის ყურეზე გადავიდეს, შემდეგ – თვით მდინარეზე და ბოლოს – ზღვაზე. აქ კი არჩევანი არაა, გინდა-არგინდა, პირდაპირ ზღვით უნდა დაიწყო.

ბლერიო უკვე თავის ადგილზე მოკალათდა, ხელი რომელიღაც

ბერკეტზე უდევს, მაგრამ ანგარიშს უწევს მექანიკოსებს, ბეჯითი ბავშვებივით იქვე რომ დაძრწიან. ის ზანტად იყურება ქვევით, ჩვენკენ, შემდეგ მზერა სხვაგან გადააქვს, ერთ ადგილზე არ აჩერებს – ის მხოლოდ ერთადერთი რამისთვის – ფრენისთვისაა გამიზნული. ის ახლა გაფრინდება, რა არის ამაზე ბუნებრივი? სწორედ მფრინავის მხრიდან ამ ბუნებრიობის და იმავდროულად უჩვეულობის საყოველთაო განცდის შერწყმა სძენს ამ ყველაფერს განუმეორებელ იერს, ყველას ყურადღებას რომ იპყრობს.

მუშა პროპელერის ფრთის დატრიალებას ცდილობს, გაისმის ხმა, თითქოს მძინარე ზორბა ძილში მძიმედ სუნთქავდეს, მაგრამ პროპელერი ტრიალს არ აპირებს. ამას მოსდევს შემდეგი ცდა, კიდევ ათი ასეთი, პროპელერი ხან ჯიუტობს, ხან დატრიალდება – ერთი-ორჯერ. საქმე ძრავშია. კვლავ ერევიან საქმეში მექანიკოსები, მაყურებელეს ეს საქმის მონაწილეებზე მეტად ღლის და ქანცავს. ძრავს ყველა მხრიდან ზეთავენ, დაფარულ ჭანჭიკებს უშვებენ და კვლავ უჭერენ; ვიღაც ანგარში გარბის, მოაქვს სათადარიგო ნაწილი; მაგრამ არ უდგება; ის კვლავ უკან მიიჩქარის და ანგარის მიწაზე ჩაცუცქული ფეხებს შორის მოქცეულ დეტალს ჩაქუჩს ურტყამს. ბლერიო ადგილს უცვლის მექანიკოსს, ეს უკანასკნელი – ლებლანს. ხან ერთი ეჭიდება პროპელერს, ხან მეორე. მაგრამ გაკერპდა ძრავი – როგორც მოწაფე, რომელსაც მთელი კლასი ეხმარება, ყველა კარნახობს, მაგრამ მაინც უმწეოდ დადუმებულა, ერთსა და იმავე ადგილზე ბორძიკობს – ის ამუშავებას არ აპირებს. ერთხანს ბლერიო გაუნძრევლად ზის თავის ადგილზე; ირგვლივ ექვსი თანამშრომელი შემორტყმია, ის კი, თითქოს სიზმარში, არ ირხევა.

მაყურებელს ახლა შეუძლია სული მოითქვას და ირგვლივ მიმოიხედოს. ჩაგვიარა ბლერიოს ახალგაზრდა მეუღლემ მზრუნველი დედის იერით, მას მისდევს ორი ბავშვი. როდესაც მეუღლე ვერ მიფრინავს, ის წუხს, ღელავს, ხოლო ფრენისას შიში სტანჯავს; გარდა ამისა, მისი მშვენიერი ტანსაცმელი ამგვარი ამინდისთვის ცოტა სქელია და მძიმე.

კვლავ ატრიალებენ პროპელერს, შესაძლოა უწინდელზე უკეთ, ან არც კი; ძრავი ხმაურით იწყებს თავისი მოვალეობის შესრულებას, თითქოს იყოს არა ჩვენთვის კარგად ნაცნობი, არამედ სხვა, ახალი; უკან, კუდზე თვითმფრინავს ოთხი კაცი ჩასჭიდებია და ასე აკავებს; სიოც კი არ იძვრის, მაგრამ პროპელერით ამოძრავებული ჰაერი მძლავრად უბერავს მათ ლაბადებზე. ლაპარაკი აღარ ისმის, ირგვლივ მხოლოდ ძრავის ხმაური ბატონობს, ბოლოს რვა ხელი სცილდება აპარატს, რომელიც მირბის მიწის ზედაპირზე, თითქოს პარკეტზე მოუქნელი არსება მისრიალებდეს.

ასეთი ცდა ბევრია, თან ყველა წარუმატებელი და პუბლიკას მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებს. ადამიანები დაწნულ სავარძლებში ვეღარ ჩერდებიან, ზევით იწევენ, სანახევროდ ფეხზე წამომდგარი, და წონასწორობის შენარჩუნებას ასე წამოწეული, სავარძლებზე ხელებით დაყრდნობილი ცდილობენ. იმავდროულად სახეებზე იმედის, შიშის და სიხარულის ანარეკლი მონაცვლეობს. პაუზებში, ტრიბუნების გაყოლებაზე, ამოძრავდა იტალიის მაღალი საზოგადოება. ყოველ მხრივ ჩანს მისალმება, ზრდილობიანი წელში მოხრა, უცნობში დიდი ხნის უნახავი ნაცნობის ამოცნობა, გულთბილი გადახვევა, კიბეებზე ასვლა-ჩამოსვლა. ერთმანეთს უჩვენებენ პრინციპესა ლეტიცია სავოიელ ბონაპარტეს, პრინცესა ბორგეზეს, ხანდაზმულ ქალბატონს, სახეზე ყურძნის მტევნის მუქი ქარვისფერი რომ დასთამაშებს, გრაფინია მოროზინის. მარჩელო ბორგეზე ახლავს ყველა ქალს და არავის, მისი გამომეტყველება შორიდან პიროვნების ბუნებას თითქოს მკაფიოდ გამოხატავს, მაგრამ ახლოდან ლოყები პირის, ტუჩების კუთხეებს სრული გაუცხოებით ერწყმის. გაბრიელე დ'ანუნციო, პატარა და სუსტი, კომიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წევრის, გრაფ ოლდოფრედის წინაშე თითქოს მორიდებულად ცეკვავს. ტრიბუნიდან მოაჯირს მილმა პუჩინის მსუქანი სახე გადმოგვყურებს, ცხვირი აქვს ისეთი, გაკადნიერებული მავანი ლოთისასაც კი უწოდებდა.

მაგრამ ამ პერსონებს მხოლოდ მაშინ ამჩნევთ, თუკი ეძებთ, სხვა შემთხვევაში – ყველგან ერთი და იგივე მაღალი, მოდური ქალები, უფასურნი, და ამ ღირსებაში ასე გადამდებნი, რომლის ძლევამოსილებაში ყველას და ყველაფერს სწვდებიან. დასეირნობენ ისინი სკამების წინ, თავიანთ, ტანზე ცუდად მორგებულ ტანსაცმელში. ყველა სახე, აზიურად თავშალშემოხვეული, მსუბუქადაა დაჩრდილულ-დაბინდული. წელზევით თავისუფლად გადმოშვებული სამოსი მთელ სხეულს უკნიდან ერთგვარად შებოჭილად წარმოაჩენს; და ამგვარი ქალების გაუბედავი იერი წინააღმდეგობრივ შთაბეჭდილებას ქმნის და შენში ერთგვარ შფოთვას იწვევს. ბიუსტჰალტერი სიღრმეში იკარგება, აღარც კი ჩანს; წელი ჩვეულებრივზე განიერი გამხდარა, რადგან წვრილია სხვა ყველაფერი – ამ ქალბატონებს სურთ, რომ ხელების შემოჭდობა მათ ტანზე რაც შეიძლება ღრმა და ვნებიანი იყოს.

აქამდე მხოლოდ ლებლანის აპარატი გვიჩვენეს. ახლა იმ თვითმფრინავის ჯერია, რომლითაც ბლერიომ ლამანშის სრუტეს გადაუფრინა; ეს არავის უთქვამს, უბრალოდ ყველამ იცოდა. ხანგრძლივი პაუზა და ბლერიოს თვითმფრინავი ჰაერშია, ჩანს ფრთებზე აღმართული მისი ტანის წელსზევითა ნაწილი, ფეხები კი ქვევით

ისე გამოუშვერია, მანქანის ნაწილი გეგონება. მზე გადაიხარა და ახლა თვითმფრინავს მოფარფატე ფრთები არა ზევიდან, არამედ ქვევიდან უელავს. ყველა სულგანაბული უყურებს, ზევით მიუპყრია მზერა და სხვა განცდებისთვის გულში ადგილი აღარავის დარჩენია. ის კი, პატარა წრის შემდეგ, თითქმის მართობულად დაკიდებული, ჩვენს თავზე ჩნდება. ყველას კისერი აქვს დაგრძელებული, ცდილობს დაინახოს, თუ როგორ ირწევა მონოპლანი, როგორ უმკლავდება მას ბლერიო და უფრო ზევითაც კი აჰყავს. რა ხდება მერე? დედამიწის ზედაპირიდან ოცი მეტრის მანძილზე, ხის კონსტრუქციის ტყვეობაში მოქცეული ადამიანი იმ უხილავი საფრთხის გამკლავებას ცდილობს, რომელშიც ნებაყოფლობით ჩაუგდია თავი. ჩვენ კი ვდგავართ ქვევით და ვუყურებთ – დათრგუნული, მოჩვენებითი და ილუზორული.

თუმცა საგანგაშო არაფერია. სასიგნალო ანძა ქარის დაბალ სიჩქარეს ადასტურებს და ახლა ბრეშიას დიდი პრიზის გათამაშებაში კურტისი ჩაერთვება. მაშ, მაინც? ვერ მოასწრეს ამის გამოცხადება, რომ კურტისის ძრავის გუგუნი გაისმა და ისე, რომ ძლივს შევავლეთ თვალი, უეცრად აფრინდა, დაგვშორდა და ახლა მისი მზერის წინ ფართოდ გადაშლილი მინდვრის თავზე მიფრინავს, შორს, ტყეების მიმართულებით მიიწევს, რომელსაც ახლაღა ვამჩნევთ – თითქოს არც იყო აქამდე. დიდხანს გრძელდება მისი ფრენა ამ ტყეების თავზე, ვიდრე გაქრებოდეს, რის შემდეგაც უკვე არა მას, არამედ მხოლოდ ტყეებს ვხედავთ. შემდეგ, სახლების უკან, ღმერთმა უწყის საიდან, იმავე სიმაღლეზე ჩნდება და ჩვენკენ მოიწევს; კვლავ მაღლა მიიწევს, ვხედავთ, თუ როგორ იხრება სიბნელეში მოქცეული ბიპლანის ფრთების ქვედა სიბრტყე და კვლავ უბრწყინავს ზედა მხარე. და მას შემდეგ, რაც სასიგნალო ანძას შემოუფრენს, მისალმების ხმაურის მიმართ გულგრილი, იქით მიემართება, საიდანაც დაიწყო ყველაფერი, მალევე რომ დაპატარავდეს და სიმარტოვეში აღმოჩნდეს.

ის ხუთ ასეთ გაფრენას ასრულებს, ფარავს 50 კმ 49'24"-ზე და ბრეშიის დიდ პრიზს ეუფლება – 30 000 ლირას. სრულყოფილია შედეგი? სრულფასოვანია წარმატება? მაგრამ სრულყოფილი შედეგი პატივისცემას არ იმსახურებს, რადგან ამის შემძლედ თავს ყველა მიიჩნევს, რისთვისაც სულაც არაა საჭირო სიმამაცე. და როდესაც კურტისი დაუღალავად შრომობს ტყეების თავზე, ხოლო აქ, დედამიწაზე მისი ყველასთვის კარგად ნაცნობი მეუღლე ზრუნავს და ფიქრობს მასზე, ის თითქმის ყველას დავიწყებია. ყველა მხოლოდ იმას წუხს, რომ კალდერარა ვერ გაფრინდება (თურმე დაზიანებულია თვითმფრინავი), რომ რუჟიე აგერ ორი დღეა, რაც თავის თვითმფრინავს – Voisin-ს – დასტრიალებს და ვერ აუმუშავებია, რომ

„ზოდიაქო“, იტალიური მართული აეროსტატი, ჯერ კიდევ არ ჩანს. კალდერარის შესახებ ისეთ საარაკო ამბებს ყვებიან, კაცი იფიქრებ, რომ ჰაერში მას ხალხის სიყვარული უფრო ადვილად აიყვანს, ვიდრე მისივე Wright-ი.

კურტისს ფრენა არ დაუმთავრებია, რომ თითქოს ფრთაშესხმულები, კიდევ სამ ანგარში იწყებენ ძრავები ხმაურს. საპირისპირო მხრიდან წამოსული ქარი და მტვერი შეჯახებისას ერთმანეთში ირევა. ორი თვალი აღარაა საკმარისი. ადამიანები საკუთარ სავარძლებში ტრიალებენ, აქეთ-იქით იხრებიან, სხვებს ეყრდნობიან, უბოდიშებენ, ან თუ გვერზე გადახრილი ერთი მეორეს ეყრდნობა, ისმის მადლობა. დგება იტალიური შემოდგომის საღამო და საგნები თუ ადამიანები უკვე ძნელად გასარჩევია.

სწორედ მაშინ, როდესაც კურტისი, გამარჯვების შემდეგ, უკვე ჩვენ წინაშე და ჩვენკენ გამოუხედავად, მოღიმარი, ქუდს იხდის, ბლერიო პატარა წრეს არტყამს, რასაც ყველა დიდი ხანია ელოდა მისგან! და ველარ გაგირკვევია, ვის ეკუთვნის ეს აპლოდისმენტები – კურტისს, ბლერიოს, თუ უკვე რუჟიეს, რომლის მძიმე აპარატიც ჰაერში ახლა აიჭრა. რუჟიე თავის ბერკეტებს მიჯდომია – როგორც მავანი დარბაისელი ბატონი საწერ მაგიდას – ვისთანაც, მის ზურგს უკან, პატარა კიბით შეიძლება მოხვედრა, ის მაღლა მომცრო წრეებით მიიწევს, ბლერიოს გასწრებას, მის მაყურებლად ქცევას ახერხებს და მაინც არ ეშვება, მაღლა სვლას აგრძელებს.

თუ ჩვენ კიდევ გვსურს ეტლით სახლში მოხვედრა, სწორედ წასვლის დროა; ჩვენსავით მსურველი უკვე ბევრი მოაწყდა და ჩვენც ამ საერთო ჩოჩქოლში მოვყევით. ცხადია, ეს ფრენა მხოლოდ ექსპერიმენტია; უკვე შვიდი საათი დაიწყო, და შედეგებს აღარ აღნუსხავენ. აეროდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე მძღოლები და მსახურები ჩამწკრივებულან სრულ მზადყოფნაში და რუჟიესკენ მიუთითებენ. საბედნიეროდ, ეტლი მოგვიწია, მეეტლე ჩვენ წინ ჩაცუცქდა (რადგან არსად ჩანს კოფო), და ბოლოს, კვლავ სუვერენული არსებები, მივემგზავრებით. მაქსი შენიშნავს, და მართებულადაც, რომ ამგვარი ღონისძიების მოწყობა ჩვენთან, პრაღაში, არა მარტო შესაძლებელი, არამედ აუცილებელიცაა. ცხადია, ეს ვერ გახდება შეჯიბრი, მაგრამ მაინც გამართლებული იქნებოდა, ავიატორის დაპატიჟებაც არაა ძნელი და იქ ჩამოსვლა არც ერთ მონაწილეს არ გაუხდებოდა სანანებელი. როგორი ადვილი ჩანს ყველაფერი; რაითი ახლა ბერლინში მიფრინავს და საჭიროა მხოლოდ გზის უმნიშვნელო დაგრძელებაზე მისი დათანხმება. ჩვენ ორნი არაფერს ვამბობთ, ჯერ ერთი, დაღლილები ვართ და მეორე – საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. გზა იკლაკნება, რუჟიე კი ისე მაღლაა, რომ მისი მდებარეობის განსაზ-

ღვრა ალბათ მალე ვარსკვლავების მეშვეობით თუ იქნება შესაძლებელი, ისინი კი სულ მალე გამოჩნდებიან ცაზე, მიმქრალი, უკვე შავად რომ ფერადდება. უკან მოხედვა არ გვბეზრდება, კვლავ ზევით მიიწევს რუჟიე, ჩვენ კი ვეშვებით ქვევით, Campagna-სკენ მივემართებით.

დიდი ხმაური

უნდა ვწერო, შუბლი კი გაუთავებლად მიცახცახებს. ვზივარ ჩემს ოთახში, მთელი ბინის ხმაურის ცენტრში, მის შტაბბინაში. მესმის როგორ ღრიალებს ყველა კარი, რაც მხოლოდ მათ შორის მოძრავ, ერთი ოთახიდან მეორეში მოჩქარეთა ფეხის ნაბიჯების ხმისგან თუ მიცავს, რადგან ჩემამდე, სამზარეულოში ღუმელის კარის დახურვის ხმაც კი აღწევს. აი, განახვნა მამამ კარნი ჩემი ოთახისა და ღამის საშინაო ხალათში, რომლის ბოლო იატაკზე მისრიალებს, ახლა სივრცის სწრაფად გადალახვას ეშურება, გვერდით ოთახში ბუხრიდან ნაცარს ფხეკენ, ვალი კითხულობს – სიტყვასიტყვით, წინკარიდან ყვირის – გაწმენდილია თუ არა მამის ქუდი, შიშინი, რომელიც ცდილობს იყოს ჩემდამი მეგობრული, რასაც მოჰყვება კიდევ ერთი, ახლა მოპასუხის, ასეთივე ყვირილი. ხმაურით იღება ბინის კარის საკეტი და ისმის ხმა, თითქოს კატარიანი ყელიდან მომავალი, კარი კი აგრძელებს მოძრაობას და ახლა ჩემამდე ქალის სიმღერა აღწევს, ყრუ მამაკაცური აფეთქებით შეწყვეტილი, ყველაზე უხეშითა და დაუნდობლით. მამა აქ აღარ არის. მესმის უფრო ნაზი, სიმწყობრედაკარგული, სასოწარკვეთილი ხმაური – ორი კანარის ჩიტის დუეტი. ადრეც ვფიქრობდი ამაზე და ამ ყველაფერმა კვლავ გამახსენა – ხომ არ შევაღო კარი, ოდნავ, სულ მცირე ღრიჭოში ჩემი დის ოთახში გველივით შევსრიალდე და იატაკზე გართხმულმა მას და მის მეგობარს შევთხოვო სიჩუმე.

როფზე ამხედრებული

ნახშირის მარაგი – ამონურული; როფი – ცარიელი და უაზრობად ქცეული აქანდაზი; ბუხრის ცივი ამოსუნთქვა; ოთახში ყინვის პარპაში; ფანჯრის წინ – თრთვილის ცვილში გაშეშებული ხეები; ცა – ვერცხლის ფარი, მოსაგერიებლად მათკენ მიმართული, ვინც მისგან შემწეობას ელის. რომ არ გავიყინო, მჭირდება ნახშირი; უკან – გულქვა ბუხარი, წინ – იმავე გულისხმიერებით მოჩერებული ცა. ამიტომ, მათ შორის უნდა გავჭენდე და შუა ქალაქში მენახშირეს დახმარებისთვის მივაკითხო. ჩვეული თხოვნის მიმართ უგრძნობელი, უნდა როგორმე დავარწმუნო, რომ ნახშირის მტვრის ნატამალიც აღარ

დამრჩა, რომ ამიტომ ის ჩემთვის მზეა კაშკაშა ცის კაბადონზე. უნდა მივიდე როგორც გლახა, მათხოვარი, შიმშილისაგან განაწამები, მისი კარის ზღურბლზე სასიკვდილო ხრიალით საცაა სულს რომ დალევს და დიდებულთა ოჯახის მზარეული კი გადაწყვეტს, მოსასულიერებლად მას პირში ყავის ნარჩენი, ნალექი ჩაასხას, და იქნებ მენახშირემ, განრისხებულმა, მაგრამ მცნების – „არა კაც კლა“ – ნათელი სხივით შთაგონებულმა, გაიმეტოს პირთამდე სავსე აქანდაზი.

ეს ყველაფერი კი ჩემმა მოგზაურობამ უნდა გადაწყვიტოს; ამიტომ, როფზე ამხედრებული, იქით, მიზნისკენ, ჭენებით უნდა გავეშურო. ხელი – მაღლა, სახელურზე, ყველაზე უბრალო, სახელდახელო აღვირზე. მძიმედ ვეშვები წრიულად კიბეზე; აი, ქვევით კი – წამოიმართა, გასწორდა წელში ჩემი როფი, დიდებული, მშვენიერი; აქლემები, მოკეცილი, მინაზე გაწოლილი, ვერ წამოდგებიან წინამძღოლის სახრის ქვეშ ბეწვის ბერტყვით უფრო ლამაზად. ყინვისგან შებოჭილ ქუჩაში მიდის ახლა ის ჩორთით, თანაზომიერი ნაბიჯით; ხშირად ვუსწორდები მეორე სართულს, მაგრამ არასოდეს ჩამოვდივარ სახლის კარამდე; უჩვეულოდ მაღლა ვლივლივებ ვაჭრის სარდაფის წინ და ვხედავ როგორ წერს იგი რაღაცას, მაგიდასთან დახრილი, მოკუნტული, თან, უკიდურესი სიცხის შესარბილებლად კარიც კი შეუღია.

„მენახშირევ!“ ვუყვირი ყინვისაგან გაბზარული ხმით, გზად პირიდან ამომავალი თბილი ჰაერის ნისლში რომ ეხვევა. „გთხოვ, მენახშირევ, მომეცი ცოტა ნახშირი. ჩემი როფი ცარიელია ისე, რომ უკვე შემიძლია მასზე გადამჯდარმა გავაჭენო. იყავი გულისხმიერი. როგორც კი შევძლებ, გადაგიხდი.“

ვაჭარი ხელს იდებს ყურთან. „მესმის მართლა, თუ მეჩვენება“, თავი უკან მიუბრუნებია და ეკითხება ცოლს, ღუმელთან ახლოს მიმჯდარი ქსოვით თავს რომ ირთობს, „არ მეჩვენება? მგონი მყიდველი მოგვადგა.“

„არაფერიც არ ისმის,“ ეუბნება ცოლი; მშვიდად რომ სუნთქავს თბილ ჰაერს – საქსოვ ჩხირებზე თავდახრილს, სასიამოვნოდ გაუთბია ზურგი.

„ო, კი“, ვუყვირი, „ეს მე ვარ“; თქვენი ძველისძველი მყიდველი; თქვენი მონა-მორჩილი; მხოლოდ წამიერად უსახსრო.“

„ქალო“, ამბობს ვაჭარი, „ნამდვილად არის ვიღაც, არ მეჩვენება; ძველი, ძალიან ძველი მყიდველი უნდა იყოს, ასე რომ ახერხებს ჩემთვის გულის აჩუყებას.“

„კაცო, რა დაიჩემე“, ეუბნება ცოლი და მცირე დაყოვნების შემდეგ მკერდთან ახლოს მიაქვს ხელსაქმე. „არც არავინაა, ქუჩა ცარიელია, ყველა ჩვენმა მყიდველმა ნახშირი უკვე მოიმარაგა; რამდენიმე დღით შეიძლება მაღაზიაც დავკეტოთ და დავისვენოთ“.

„მაგრამ მე ხომ აქვე ვარ, აგერ, როფზე გადამჯდარი“, ვუყვირი და ყინვისაგან დათრთვილული ცრემლები მიბნელებენ მზერას, „გთხოვთ, ზევით ამოიხედეთ, იმწამსვე აღმომაჩენთ; ერთ, სავსე აქანდაზს გევედრებით; მომცემთ ორს – ვიქნები ბედნიერი, უსაზღვროდ ბედნიერი. ყველა მყიდველი მაინც მომარაგებული გყავთ. ეჰ, მომასმენინა ნეტა როფში მისი ჩხრიალი!“

„მოვდივარ“, მესმის ვაჭრის ხმა და თავისი მოკლე ნაბიჯებით იგი უკვე კიბეზე ამოსვლას აპირებს, მაგრამ ცოლი მიდის მასთან, ხელს მტკიცედ ჰკიდებს და ეუბნება: „შენ დარჩები. რახან არ იშლი, მე ავალ. გახსოვდეს, რომ ღამით ხველა დაგახრჩობს. საქმისთვის, თუნდაც მოჩვენებითი, ფუჭი საქმისთვის, ივიწყებ ყველას და ყველაფერს: ცოლს, შვილებს და მზად ხარ გაწირო შენი ფილტვებიც. ვნახოთ ერთი, ავალ.“

„მაშ, ჩამოუთვალე ყველაფერი, რაც გვაქვს, ხარისხის მიხედვით; ფასებს აქედან გიკარნახებ.“

„კარგი“, ეუბნება ცოლი და ქუჩაში ამოდის. რა თქმა უნდა, იმწამსვე მამჩნევს. „ქალბატონო მენახშირის მეუღლევ, ვუყვირი, „მოკრძალებულად მოგესალმებით, თუ შეიძლება, ჩამიყარეთ როფში ნახშირი, მხოლოდ ერთი აქანდაზი; თუნდაც ყველაზე უხარისხო, სახლში თვითონ წავიღებ. რა თქმა უნდა, გადავიხდი, მთლიანად, მაგრამ მადროვეთ, ცოტა ხანს მადროვეთ.“ ო, როგორ ზარების რეკვად ისმის ეს ორი სიტყვა – „მაგრამ მადროვეთ“ და როგორ უჩვეულოდ, გრძნობათა მაცდუნებლად ეწყვილება მას ეკლესიის მწუხრის ზარები.

„მაშ, რომელი სურს?“ ყვირის ქვევიდან ვაჭარი. „არც ერთი“, უყვირის ქალი, „აქ არავინაა; ვერც სულიერს ვხედავ და ვერც უსულოს; და არც არაფერი ისმის; საათმა ექვსჯერ ჩამორეკა და მაღაზიას ვკეტავთ.“

ის ვერაფერს ხედავს, არაფერი ესმის; მაგრამ მაინც იხსნის წინსაფარს და მისი დახმარებით ჩემ განდევნა-გაძევებას ცდილობს. სამწუხაროდ, ახერხებს. დოღის ცხენის ყველა სიკეთე აქვს ჩემს როფს; წინაარმდეგობის გაწევისა კი – არა; მსუბუქია მეტისმეტად; ქალის წინსაფარმა მოაკვეთინა ფეხი.

„ბოროტო, ბოროტო“, ვუყვირი, მაშინ, როცა ის მაღაზიისკენ მიბრუნებული ზიზღნარევი კმაყოფილებით იქნევს ჰაერში ხელს, თითქოს რაღაცას ურტყამდეს. „ბოროტო!“ ერთ აქანდაზ ნახშირს, ყველაზე ცუდს, უვარგისს გთხოვდი, გემუდარებოდი და მაინც არ მაღირსე.“ და, რაღა დამრჩენია, ავალ მაღლა, თოვლიანი მთების სამეფოში, დავიკარგები იმ – მნახავთ კი ოდესმე? – სამყაროში, სადაც არც სალამია, არც დამშვიდობება.

რობერტ მუზილი

სიყვარულის გასრულება

„მართლა ვერ წამოხვალ?"

„ვერა; ხომ იცი, რაც შეიძლება მალე უნდა დავასრულო."

„მაგრამ ლილის ისე გაუხარდებოდა ... "

„რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს შეუძლებელია."

„არადა შენ გარეშე მგზავრობა არ მხიბლავს ... " თქვა ქალმა. ის ჩაის ასხამდა და წამით ოთახის კუთხეში ქმარს გახედა – იჯდა ის ღია ფერის ყვავილებით მოხატულ სავარძელში, ეწეოდა სიგარეტს. იყო საღამო. მუქი მწვანე დარაბები, სხვა მუქი მწვანე დარაბების რიგში, გარეთ, ქუჩაში იყურებოდნენ. სწორედ მათ გამო ქალი თითქმის ვეღარაფერს არჩევდა – გულგრილად ჩამოშვებულ ბნელ წყვილ ქუთუთოდ ჩრდილავდა ისინი ოთახის ბრწყინვალებას, იმ ოთახისა, რომელშიც ელვარება ჩამქრალი ვერცხლის ჩაიდნიდან ჩაის ნაკადი მსუბუქი ჩხრიალით მოედინებოდა, ფინჯნის ფსკერზე ეცემოდა, მსუბუქი ტკაცანით აირეკლებოდა და ეს ყველაფერი სინათლის სხივის ვიწრო ზოლში თლილ, გამჭვირვალე, თივის სიყავისფრის თოფაზის გრეხილ სვეტად ყოვნდებოდა ... ჩაიდნის ზედაპირის მსუბუქი, თითქმის შეუმჩნეველი ტალღების ძირში თავი მოეყარათ ჩრდილებს: მწვანესა და რუხს, ცისფერსა და ყვითელს – უძრავნი, გამოფიტულნი, ისვენებდნენ თითქოს. ჩაიდნის სილუეტს შერწყმული, სივრცეში შეჭრილი ქალის ხელი და მეუღლისკენ მიმართული მზერა მყარ, ხისტ კუთხეს ქმნიდა.

ცხადია, კუთხეს, ეს კარგად ჩანდა; მაგრამ კიდევ რაღაც სხვას მასში, არა წარმოსახვითს, თითქმის სხეულებრივს, დაჭიმულს და მათ შორის ფოლადის ხისტი ბრჯენივით გადაჭიმულს, მხოლოდ ეს ორი შეიგრძნობდა, ის ქალსა და კაცს ადგილებზე მტკიცედ აკა-

ვებდა და, მიუხედავად სიშორისა, ერთმანეთთან ახლოს ამყოფებდა, აერთიანებდა. იყო ეს იმდენად ცხადი, რომ ამის აღქმა ადამიანს უშუალოდ, შეგრძნებებითაც შეეძლო; ... რადგან ეყრდნობოდა მათი გულის კოვზებს და გრძნობდნენ იქ სიმძიმეს, .. მიეკრა ისინი სავარძლის საზურგეზე, წელში გაემართა, ზევით მიემართა, სახეები კი ჰქონდათ გახევებული, მზერა – გაქვავებული, და მაინც, იქ, იმ წერტილში, სადაც ეხებოდა ის სიღრმისეულს – გრძნობდნენ მღელვარებას: ჰაეროვანს, მსუბუქს – თითქოს ერთმანეთში შეეღწიათ გულებს, ვით პეპლების გუნდებს და დაფრინავდნენ ახლა სანატრელ სიახლოვეს, ფარფატებდნენ ურთიერთშერწყმის ნეტარებაში...

ამ გრძნობას, ვით მთრთოლვარე ღერძს, გამჭვირვალეს, თითქოს წარმოსახვითს და მაინც მკაფიოს, ეტვირთა მთელი ოთახის სიმძიმე, იმ ორთან ერთად, რომლებსაც ეყრდნობოდა: საგნები, ყველაფერი მათ ირგვლივ, მოლოდინში გარინდებული, სწორედ მათ გამო იყო აქ: კედლებზე ოქროს ბასრ წახნაგებად გართხმული სინათლე; ... დრო – სამყაროში ელვარე ძაფად დაჭიმული რომ მიიწევდა წინ, თითქოს ყველაფერს კვეთდა: ოთახის სივრცეს, ადამიანებს და – მოულოდნელად შეყოვნებული, მდუმარე – ელავდა, ბრწყინავდა, ... უხილავი მიზიდულობით დამუხტული საგნები თითქოს ერთმანეთს ელტვოდნენ. იყო დუმილი, ჩაძირვა – უხმაურო, უეცრად იწყო სიბრტყეებმა მოწესრიგება, კრისტალად გარდასახვა ... იმ ორის ირგვლივ, რომლებზეც მისი სიმეტრიული კვეთი გადიოდა და, რომლებიც, უეცრად, სუნთქვის ამ შეყოვნებისას, სივრცითში გადასვლისას და ურთიერთმიყრდნობისას, კრისტალის ათას წახნაგად მბზინავ, ურთიერთამრეკლავ სიბრტყეებს მიღმა უმზერდნენ ერთმანეთს – როგორც პირველი ხილვისას ...

ქალმა დაამთავრა ჩაის სმა, ფინჯანი დადო ლამბაქზე, ხელი – მაგიდაზე; თითქოს საკუთარი ბედნიერების სისავსით გათანგული მოეშვა, ჩაიძირა თითოეული მათგანი საკუთარი მუთაქის სირბილეში და იღიმოდნენ ერთმანეთს ჩაჭიდებულნი, ჩანდნენ დაბნეული და დაჰკარგოდათ სურვილი საკუთარ თავზე საუბრისა; ალაპარაკდნენ კვლავ ავადმყოფზე, წაკითხული წიგნის გმირზე და დაიწყეს სწორედ იმ ადგილით, იმ პრობლემით – თითქოს მათი ნამდვილი საფიქრალი ყოფილიყოს – ... მხოლოდ საუბარი განაახლეს, დღეების მანძილზე შეწყვეტილი, შეწყვეტილი უცნაურად – დაემალა, თითქოს საუბრის თემას, საკუთარი სახე და, მაშინ, როდესაც წიგნზე ლაპარაკობდნენ, სადღაც სხვაგან იყურებოდა; რაღაც დროის შემდეგ მათმა ფიქრებმა ამ არაცნობიერი საბაბიდან შეუმჩნევლად კელავ მათკენ იბრუნეს პირი.

„როგორ შეუძლია ისეთ ადამიანს, როგორიცაა გ. თავის თავს

თვალი გაუსწოროს?" იკითხა ქალმა და ჩაფიქრებულმა გააგრძელა – ის უფრო მეუღლეს კი არა, თავის თავს ელაპარაკებოდა. „ის რყვნის ბავშვებს, ახალგაზრდა ქალებს აცდუნებს, მათ შესარცხვენად სწირავს; შემდეგ დგას და ილიმის, გახევებული, მისჩერებია ეროტიკულის ანარეკლს, მასში თითქოს მკრთალ ციალად რომ ელავს. ფიქრობ, რომ ის ამას შეგნებულად სჩადის?"

„ფიქრობს თუ არა იმაზე, რასაც აკეთებს? ... ალბათ; ალბათ არა", უპასუხა კაცმა, „ალბათ ასეთი გრძნობებისას ამგვარი კითხვა უადგილოა."

„მე კი ვფიქრობ", თქვა ქალმა და სწორედ ახლა გამოჩნდა, რომ ის არა ვილაც, შემთხვევით, არამედ სრულიად ცხად, კონკრეტულ პიროვნებას გულისხმობდა ამ კაცის მილმა მისთვის რომ გამოკრთოდა, „ვფიქრობ, რომ ის კარგის ქმნას გულისხმობს."

ფიქრები, მდუმარე, ერთხანს ერთმანეთს გვერდიგვერდ მისდევდა, ბოლოს – შორს, გარეთ – სიტყვებად ამოტივტივდა; და, მაინც, აკავებდნენ თითქოს ერთმანეთს ხელით, დუმდნენ, ყველაფერი უკვე ნათქვამი იყო თითქოს. „ ... თავის მსხვერპლთ სწირავს, ტკივილს აყენებს, უნდა იცოდეს, რომ ის ხრწნის მათ, აცდუნებს მათ გრძნობებს – ააგზნებს გზნებით, მიზანი ვერავითარი – მილწეული, სურვილი – ასრულებული, რომ ვერ დააცხრობს; ... თითქოს ხედავდე მის სახეზე ღიმილს, ... სახე – რბილი, ფერმკრთალი, სევდიანი, თან მხნე, მტკიცე და ნაზი; ... იმ სინაზით აღბეჭდილი, მას და მისსავე მსხვერპლთ ღიმილად რომ გადაჰფენია, .. როგორც წვიმიანი დღე დედამიწას, ცა რომ უგზავნის და ძნელია გაგება, მისსავე სევდაშია მისი პატიება, იმ გრძნობაში, მის დამანგრეველ ქმედებას რომ ახლავს ... და განა არ არის ყოველი ცალკეული ტვინი ეული, გარიყული? ... "

„მართლაც, განა ყოველი ტვინი ეული არაა?" ეს ორი ადამიანი, ახლა მდუმარე, ერთდროულად მესამეზე, უცნობზე ფიქრობდა, იმ მრავალ მესამეთაგან ერთ-ერთზე, ორივე ერთად, თითქოს ბუნებაში მიაბიჯებდა: ... ხეები, ირგვლივ მდელოები, ცა და უეცარი არცოდნა იმისა, თუ რატომ არის აქ ყველაფერი ცისფერი, იქ კი – ღრუბელთა სიმრავლე; ... ისინი გრძნობდნენ თავს ყველა ამ მესამეთი გარშემორტყმულად, დიდი ბურთის შუაგულში, იმ ბურთისა, შენ ირგვლივ სივრცე რომ შემოუსაზღვრავს და დროდადრო მინის გამჭვირვალე სიცივის სიუცხოვედ მოგჩერებია – აღწევს ეს მზერა შენში ღრმად და იქ ყინვად ისადგურებს, როცა ჩიტის ფრენა ფეხარეული, უცნაური ბარბაცით ყინულის ნაკაწრად ტოვებს ნაჭდევს. და, უეცრად, გაშალა ფრთები ცივმა, შუადღის სიცხადის სიმარტოვემ და ოთახის ამ შეღამების სივრცეს გადაეფარა, გადაეფინა.

წამოიწყო ერთ-ერთმა საუბარი – ვიოლინოს სიმებს შეეხო ხემი

თითქოს: „ ... გგონია ის სახლია კარებგადარაზული. და რაც ჩაუდენია, დაბუდებულა მასში ვით მუსიკა – რბილი, ხავერდოვანი, ვის ძალუძს ოღონდ მისი მოსმენა? და გარდაისახებოდა, ალბათ, მისი მეშვეობით, ყველაფერი ნაზ სევდად... "

და უპასუხა მეორემ: „ ...შესაძლოა განვლო მან – მერამდენედ? – ხელის ცეცებით საკუთარი მე, რათა მიეგნო კარისთვის, და დგას ახლა მდუმარე, სახე დაგმანულ მინაზე მიუბჯენია, ხედავს შორით მსხვერპლთ – სატრფოთ რჩეულთ – და იღიმის..."

სხვა დროს კი დუმდნენ. და იყო ორის დუმილის, ნეტარად გადაჭდობილის, ულერადობა მაღალი, ვრცელი, გაშლილი. „ ... და ეწევა ამ არსებებს – ნანატრთ, სასურველთ – ეს ღიმილი, მათზე მოფარფატე, მსუბუქ ღრუბლად განოლილი, წნავს – მათი, სისხლად დაღვრილი მიმოხრის ჯერ კიდევ კრუნჩხვებად მთრთოლვარე საზარობიდან – სუსტ ღეროებიან თაიგულს ... და ყოვნდება ნაზად, რათა დარნმუნდეს – ის შეიგრძნეს და უშვებს ხელს მას, ამ უჩვეულო თაიგულს, თვითონ კი, მხნე, მტკიცე, მიემართება საკუთარი მარტოობის საიდუმლოს მთრთოლვარე ფრთებით ცად აზიდული, ვით უცხო ცხოველი საოცრებით დამუხტული სივრცის სიცარიელეში."

გრძნობდნენ, რომ ამ სიმარტოვეს ეფუძნებოდა მათი შეწყვილების იდუმალება. შემორტყმოდათ ირგვლივ სამყაროს ყრუ, ბნელი შეგრძნება, მტკიცედ რომ განიზიდავდათ, იყო სიცივის განცდა საოცარი, ნეტარი, ყოველი მხრიდან, გარდა იმ ერთისა, სადაც ეყრდნობოდნენ ერთმანეთს, თავისუფლდებოდნენ სულიერი ტვირთისგან, როგორც აღსარებისას, იყო თანხმობა, თანხვედრა, ორი, ერთმანეთზე თითქოს ჯადოსნურად მორგებული ნახევრისა, მცირდებოდა შერწყმისას მათი გარსი, არსი კი, პირიქით, ერთმანეთში სულ უფრო მძლავრად გადადინდებოდა და ურთიერთით იმსჭვალებოდა. ხან იყვნენ უბედურნი, რადგან ვერ ახერხებდნენ ყველაფერი, სულ მცირეც კი, საერთოდ ექციათ.

„გახსოვს", თქვა უეცრად ქალმა, „ამას წინათ, საღამოს, მაკოცე. იცოდი, რომ ჩვენ შორის იყო რაღაც? გავიფიქრე, წამიერად, რაღაც სრულიად უმნიშვნელო, მაგრამ შენ მიღმა, და მატკინა ამან გული, რომ ჩემი ფიქრები ჩვეულ მყუდრო ფარგლებს გასცდა. ვერ ვახერხებდი ამის თქმას, მხოლოდ შენზე მეღიმებოდა, რომ ვერაფერს ხვდებოდი და ფიქრობდი, რომ ჩემთან ახლოს რჩებოდი; ვეღარ ვახერხებდი რამის თქმას და შენზე ვჯავრობდი, რადგან ვერ გრძნობდი ამას და შენი ალერსი, მოფერება იყო შორი, თითქოს სამუდამოდ დაკარგული. ვერ ვბედავდი თქმას, რომ უნდა დავშორებოდით ერთმანეთს, რადგან ვერ ვპოულობდი გამამართლებელ მიზეზს, თვით ჩემშიც კი, პირიქით, აქ სინამდვილეში იყო სიახლოვე და, მაინც, იყო

შეგრძნება მკრთალი, ვით აჩრდილი ბუნდოვანი, თითქოს შემეძლო შენგან შორს, შენ გარეშე ყოფნა. იცი ეს გრძნობა – დგას საგნები, თითქოს ცხადად ისეთით, როგორადაც ვიცით ისინი, და მაინც, შეხედავ ერთხელაც, და გამხდარა ფერმკრთალი, ბინდიანი, დამფრთხალი, თითქოს მალულად, უცხო მზერით, მათ სხვა ხედავდეს. და აგიტაცებდი, ჩაგიკრავდი, დავეწაფებოდი შენს არსებას და გკრავდი ხელს, კვლავ მოგისროდი, მე კი გავერთხმებოდი მიწაზე, რადგან იყო ეს შესაძლებელი ... "

„ეს მაშინ იყო... ?"

„კი, ეს იყო მაშინ – ერთად ვიწექით, ერთარსად შერწყმის ლტოლვაში, დამცქეროდი, უეცრად ავტირდი; როგორც ფიქრობდი, სევდის მოძალებაში, ჩემი გრძნობით შენში უფრო ღრმად ჩაღწევის უმწეო ცდაში. ნუ გამიწყრები, ეს უნდა მეთქვა და არ ვიცი რატომ, მაგრამ, თუმცა ეს იყო მხოლოდ წარმოსახვის თამაში, მატკინა გული ისე, რომ, მგონი, სწორედ ამიტომ დავიწყე ამ გ-ზე ფიქრი. შენ ... ?"

კაცმა გვერდზე გადადო სიგარეტი, წამოდგა. მათ ერთმანეთს მიაპყრეს მზერა, ახლა ბაგირზე გვერდიგვერდ მდგომი ორი, ურთიერთს მტკიცედ ჩაჭიდებული ადამიანის სხეულის დაძაბული რხევით რომ ირხეოდა. არაფერი თქმულა, მხოლოდ დარაბები ასწიეს, ქუჩაში გაიხედეს; იყო შეგრძნება: საკუთარ დაძაბულობას მიაყურადეს, მსუბუქ ტკაცანად რომ მოესმოდათ, იცვლიდა სახეს, ახლებურად ლაგდებოდა და კვლავ ცხრებოდა, მშვიდდებოდა. გრძნობდნენ, უერთმანეთოდ ვერ იცოცხლებდნენ, მხოლოდ ერთად, როგორც დახვეწილი, თვითკმარი, ერთმანეთის მოიმედე ერთობა, შეძლებდნენ სასურველის ტარებას. როდესაც ფიქრობდნენ ერთმანეთზე, ეჩვენებოდათ მტკივნეული, თითქმის ავადმყოფური, ისე ნაზად, თამამად და ცნობიერს მიღმა სიმძაფრით შეიგრძნობდნენ თავიანთ ურთიერთობას თვით მისი სიღრმისეული არამდგრადობის უნატიფეს თრთოლვაში.

ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც გარეთ მიმართეს მზერა, უცხო სამყაროს ჭვრეტაში კვლავ დაუბრუნდათ სიმყარე, იგრძნეს დაღლილობა და მოისურვეს ძილი ერთმანეთის გვერდით. გრძნობდნენ მხოლოდ ერთმანეთს და, მაინც, იყო შეგრძნება – სულ მცირე, შორი, სიბნელეში ჩაკარგული, კიდევ ერთი, უსაზღვრო, გაშლილი, ზეცის ოთხივ კუთხით გადაშლილი.

მეორე დილით კლოდინი პატარა ქალაქში გაემგზავრა. იქ, სასწავლებელში, იზრდებოდა მისი პირველი ქორწინებიდან მოყოლი-

ლი ცამეტი წლის გოგონა ლილი. გოგონას მამა, ამერიკელი კბილის ექიმი, კლოდინმა ქალაქგარეთ ყოფნისას გაიცნო, როდესაც კბილის ტკივილით შეწუხებულმა მიაკითხა. ამაოდ ელოდა მეგობრის ვიზიტს. მოლოდინი ხანგრძლივი აღმოჩნდა, იმდენად, რომ მთლიანად შეიწირა მისი მოთმინება და ბრაზით, ტკივილით, ეთერით და დანტისტის თეთრი, მრგვალი სახით თრობით უცნაურ ნაზავში გადაიზარდა, დღეების მანძილზე გამუდმებით მისი მზერის სიახლოვეს რომ ლივლივებდა. ეს შემთხვევა, ისევე როგორც მისი ცხოვრების პირველი, ფუჭად ჩავლილი მონაკვეთი, მასში სინდისის ქენჯნას არასოდეს აღვიძებდა. რამდენიმე კვირის შემდეგ, უკანასკნელ მიღებაზე, იახლა მოახლე და ამით დამთავრდა ყველაფერი; დარჩა მხოლოდ მოგონება – უჩვეულო შეგრძნებათა ღრუბელი, ერთხანს, როგორც თავს დამხობილი ლაბადა, უცნაურად რომ გაბნევს, გაშფოთებს, სანამ არ ჩამოსრიალდება, მიწაზე არ დაეცემა.

რჩებოდა რაღაც უჩვეულო ყველა იმდროინდელ ქცევასა თუ გრძნობაში. ეჩვენებოდა, რომ მათ ვერ პოვეს ის სწრაფი და დამაჯერებელი დასასრული, როგორც იმ ერთხელ, და, ეტყობა, დიდხანს, დიდხანს ბატონობდნენ მასზე მამაკაცები, რომლებისთვისაც მზად იყო – საკუთარი თავის მსხვერპლშეწირვის და ნებელობის სრული უარყოფის ზღვარზე – ეკეთებინა ყველაფერი, რასაც კი მოისურვებდნენ, ოღონდ შემდეგ არასოდეს ჰქონია გარდამხდარში რამე ღირებულის შეგრძნება; ის მოქმედებდა ან ექვემდებარებოდა სხვათა ქმედებას ვნების სიმძაფრით, თვით საკუთარი ღირსების დაკარგვის, დამცირების მიჯნამდე, თუმცა მუდმივად თან სდევდა შეგრძნება, რომ ყველაფერი, რასაც აკეთებდა, მას არც კი ეხებოდა და არც კვალს ტოვებდა მასში, ამ უბედურ, ყოველდღიურობაში გათქვეფილ, უერთგულო ქალში, რომლის ქმედებები იყო ვით ნაკადულის დინება, შეუმჩნევლად რომ შორდება სათავეს და მსუბუქი შრიალით იკაფავს გზას, თვითონ კი, სადღაც შორიახლოს მჯდარი, ფიქრებში ჩაძირული, რჩებოდა თავისთვის, გარიყული და უძრავი.

და იყო გაურკვევლობის ბინდში ჩაკარგული გულწრფელობის ჩუმი თანხლების შორი აჩრდილი, ბედის ეს მორჩილება, უკიდურესი, მტკიცე და მყარი, და გზა, საკუთარი თავის უყოყმანო შეთავაზების, სრული განკარგვის უფლების მინიჭებისკენ მიმავალი. რეალურ ყოფაში მოსახდენის ათასგვარი შეწყვილების, მოვლენათა წყების მიღმა მიედინებოდა კიდევ რაღაც შეუმჩნევლად და თუმცა მისი სიცოცხლის ამ ფარულ არსს მკაფიოდ ვერ აცნობიერებდა და, შესაძლოა ხანდახან იმასაც კი ფიქრობდა, რომ ის მის ცნობიერებამდე ვერც ვერასოდეს ამოტივტივდებოდა, მაინც, ყველაფრის მიმართ, რაც მის ირგვლივ ხდებოდა, ჰქონდა შეგრძნება სტუმრის, უცხო

სახლში მოხვედრილი – პირველად და უკანასკნელად – ყველაფერს, რაც იქ ხდება, უშფოთველად და მოწყენით რომ ემორჩილება.

შემდეგ კი ყველაფერი, რასაც აკეთებდა, გრძნობდა თუ განიცდიდა, ჩაიძირა, ღრმად, სადღაც დაიკარგა, იმ, თავისი ახლანდელი მეუღლის გაცნობის წამს, ოდეს შეაბიჯა სიმშვიდესა და განმარტოებაში, და აღარ იყო მთავარი ნამყო – ოდენ მისგან შობილი და საგნები, ადამიანები მხოლოდ იმისთვის არსებობდნენ, უფრო მძაფრად რომ შეეგრძნოთ ერთმანეთი ან ყოფილიყვნენ სრულიად დავიწყებული. სიკეთის ზრდის მათრობელი შეგრძნება ამოიზარდა ირგვლივ, როგორც ყვავილების მთები, მხოლოდ შორს, ძალიან შორს, იყო გადატანილი შეჭირვება, ფონი, რომლისგანაც თავისუფლდებოდა ყველაფერი, როგორც სითბოში მოხვედრილი ადამიანის ძილმორეული მოძრაობა ყინვის სისასტიკისგან.

და მაინც, რაღაც მკრთალი, ძნელად აღქმადი აჩრდილი, მოილტვოდა მისი უწინდელი ცხოვრებიდან დღევანდელში. და ის, რომ სწორედ დღეს უნდა ეფიქრა ამაზე, შესაძლოა შემთხვევით, იმიტომ, რომ შვილთან მიემგზავრებოდა ან, რაღაც სრულიად უმნიშვნელო, არაარსებითის გამო, სწორედ რკინიგზის სადგურში ამოტივტივდა, სადაც მას – გადავსებულ დარბაზში, დათრგუნულს, აფორიაქებულს – უეცრად უჩვეულო შეგრძნებამ შეახო მსუბუქად ხელი და ჩაიქროლა, გაუჩინარდა, და, რაც უნდა ბუნდოვანმა და გაურკვეველმა, მაინც, თითქმის სხეულებრივ მსგავსებაში, თითქოს სხვა, უკვე დავიწყებული ცხოვრების მონაკვეთი გაახსენა.

მეუღლეს დრო არ ჰქონდა და კლოდინი სადგურამდე ვერ გააცილა. მატარებელს მარტო ელოდა, ირგვლივ ხალხი ირეოდა, იყო ჩოჩქოლი და ეს უზარმაზარი ბრბო, როგორც ნარეცხი წყლის დიდი ტალღები, თავისი უსახური ნებით, მას, უძლურს, ხან ერთ, ხან მეორე მხარეს მიაქანებდა. ამ დაბინდულ, პირქუშ სივრცეში ახალგამოღვიძებულ არსებებს მათში აღმოცენებული გრძნობები სახეზე უცნაურ შუქჩრდილებად გადაედინებოდათ, როგორც ქვირითი მღვრიე წყლის ზედაპირზე. გული ერეოდა. გაუჩნდა სურვილი ყველაფერი, რაც ირგვლივ მოძრაობდა, აქეთ-იქით მიმოიქცეოდა, ერთი თამამი ხელის აქნევით მიმოეფანტა, მაგრამ, იყო ეს გარემოს ფიზიკური უპირატესობა, ასე დამთრგუნველი, თუ უბრალოდ სადგურის უზარმაზარი თაღის ბინძური მინისა და ერთმანეთში გადახლართული რკინის ძელების ჩონჩხის ქვეშ ჩამოწოლილი უღიმღამო, უსიცოცხლო სინათლის იძულება, ის, ამ ადამიანებში თითქოს ზრდილ, გულგრილ არსებად გარეული, აცნობიერებდა, რომ მოსახდენი აუცილებლად მოხდებოდა, და იქ, გულის სიღრმეში, იგრძნო რაღაც დამამცირებელი. საკუთარ თავში საყრდენს ამაოდ ეძებდა; თითქოს ის ჩოჩქოლის

ნელ რწევაში დაეკარგა, მზერა ჰქონდა უმწეო, დაბნეული, საკუთარ მეს ვერ პოულობდა და, როდესაც ცდილობდა, ფიქრისას გონება ეძაბებოდა და მსუბუქი თავის ტკივილი ეუფლებოდა.

წარსულის მიწვდენის სურვილში პირი იბრუნეს ფიქრებმა და სიღრმისეულს მიაშურეს; მხოლოდ ყრუდ გააცნობიერა – თითქოს ფარულად თან რაღაც ძვირფასსა და ფაქიზს ატარებდა. არ უნდოდა გამჟღავნება, რადგან სხვები ვერ გაუგებდნენ, ის კი, ჩვეულებრივზე უმწეო, თავის დაცვას ვერ შეძლებდა. ეშინოდა. სუსტი, გამოფიტული, ყველასგან გარიყული, დადიოდა მათ შორის, ქედმაღალი, უცხოთა მიახლოებისას კრთოდა, თავს კრძალვას, რიდს აფარებდა, თითქოს მათ უკან იმალებოდა. იმავდროულად ფარული აღტაცებით შეიგრძნობდა საკუთარ ბედნიერებას, თუ რა მშვენიერი ხდებოდა ყველაფერი, როდესაც დუმილით შეცბუნებულ, არეულ გრძნობებში დაბუდებულ შიშს ემონებოდა.

ამან გაახსენა ის რაღაც, რადგან ასევე იყო მაშინ; და მოეჩვენა უეცრად: დიდხანს, დიდხანს ყოფილიყო თითქოს სხვაგან, არა შორს – იქვე, ახლოს. და იყო ირგვლივ ბუნდოვანება და გაურკვევლობა, მისი ქმედება, ვით ავადმყოფთა ვნებათაგან ფარული მალვა, შიშით მოცული, საკუთარი პიროვნების ირგვლივ ნამსხვრევებად იფანტებოდა, უცხო ადამიანების ხსოვნაში აღბეჭდილი, მათი თანამგზავრი, შორს მიემართებოდა. არ დარჩენილიყო არც ერთის ჩანასახი, იმ ნაყოფის წინაპირობა, სულს ჩუმად რომ აფხიზლებს, ამეტყველებს და ნაყოფიერების კვირტად ბერავს; მაშინ, როდესაც სხვები ფიქრობდნენ, რომ იყო მათთვის და მათ მიერ უკვე შიშველი, ფოთოლშემოძარცული, თვითონ კი, ქედმაღლობდნენ მის მიმართ ზურგშექცეული მოყირჭებისა და კმაყოფილების სისავსეში; .. მისი ვნებების ირგვლივ მკრთალი ნათება გაწოლილიყო, თითქოს გვირგვინის ციმციმი იფრქვეოდა, და მისი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრში, მისი ტკივილის ყრუ ზუზუნში ბრწყინვალება გამოკრთოდა. დროდადრო ჰქონდა შეგრძნება თითქოს მასში ტკივილი გიზგიზებდა ალის პატარა ენებად და უხილავი ძალა, გაუთავებლად, მათი გაღვივების, ახალ-ახალი კერების დანთებისკენ უბიძგებდა; და გრძნობდა რაღაცას, შუბლზე ბასრწახნაგა რგოლად შემოჭდობილს, უხილავსა და წარმოსახვითს, შექმნილს სიზმრისა და მინისგან, და დროდადრო ყურებში ულერდა სიმღერა – შორი, გაბმული – სადაც უჩვეულოდ შეზრდია ერთმანეთს დასაწყისი და დასასრული ...

მდუმარე კლოდინი იჯდა მატარებელში და გაქვავებული, ლანდშაფტს მისი მსუბუქი რწევითა და აჩქარებით კვეთდა. მგზავრები საუბრობდნენ – მას ეს ყრუ ხმაურად ჩაესმოდა. ახლა, ქმარზე ფიქრისას, მის ფიქრებს გარს რბილი, ქანცმორეული ბედნიერება

შემოხვეოდა, როგორც ჰაერი თოვლიანი არემარისა, მაინც, ამ სილბოს მიუხედავად, თითქმის რომ ბოჭავდა, ზღუდავდა ან – თითქოს, ავადმყოფი, ოთახის სივრცით შემოფარგლული და ერთხანს მას მინდობილი, მოკეთებული, ღია სივრცეში პირველ ნაბიჯებს დგამდეს – იყო ბედნიერების შეგრძნება, ადგილზე რომ მიგაჯაჭვავს და თითქმის ტკივილს გაყენებს; ... და უხმობდა ზურგიდან ეს გაურკვეველი, მერყევი ბგერა, რომლის მნიშვნელობას, შინაარსს, ვერ აცნობიერებდა, შორი, დავიწყებული, ვით ბავშვობისდროინდელი სიმღერა, როგორც ტკივილი, როგორც თვითონ, ... ქალის ფიქრები მეუღლისკენ ფართოდ გაშლილ, მოლივლივე წრეების სვლად მიემართებოდა, მის არსებას შორიდან რომ იზიდავდა და მისთვის თვალის გასწორებას ვერ ბედავდა.

საზურგეს მიეყრდნო და ფანჯარაში გაიხედა. გამოფიტა ხანგრძლივმა ფიქრმა; გრძნობები ჰქონდა ანთებული, გამძაფრებული, მათ უკან კი რაღაც ეძებდა სიმშვიდეს, განვრცობას ცდილობდა, რათა გადასრიალებულიყო როგორმე მასზე სამყარო ... წასაქცევად გადახრილთა დამრეც რიგში ენაცვლებოდა ერთმანეთს ტელეგრაფის ბოძები, მიყოლებით, სწრაფად იბრუნებდნენ პირს, უჩინარდებოდნენ თოვლის საფარშემოცლილი თავისუფალი მინდვრების მუქი ყავისფერი ხნულები. ბუჩქები – თავდაყირა დასობილი არსებები, ასობით აშვერილი პაწია ფეხი, ხოლო მათზე ჩამოკიდებული წყლის წვეთის ათასობით პატარა ზანზალაკი ყუნწში წყდებოდა, ელავდა, ციმციმებდა, სადღაც მიიჩქაროდა, ... იყო ონავრობა, სიცელქე, სიმჩატე, სირბილე, მოშვებულობა, სიმძიმისგან განთავისუფლება, სინაზე და სივრცის გაშლა-გაფართოება – თითქოს კედლები გადახსნილიყო. მისი სხეულიდან სიმსუბუქე ამოიზარდა, ოდნავ სიმძიმეშეპარული, ყურებში ლღობის, თოვლის დნობის შეგრძნებამ დაიბუდა და, ბოლოს, თანდათან – აღარაფერი, მხოლოდ გაბმული, სუსტი რეკვა. ეჩვენებოდა, რომ ცხოვრობდა თავის ქმართან ერთად, შუშხუნა სივრცის სფეროსებურ სამყაროში, რომელშიც ირეოდა მარგალიტები, ჩქეფდა ბუშტულები, ღრუბლები, მსუბუქად მოშრიალე, ბუმბულივით ჰაეროვანი. ბოლოს დახუჭა თვალები და – მიენდო ამ სამყაროს, გაენდო ქმარს.

ცოტა ხნის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ფიქრებს. მატარებლის მსუბუქი, თანაბარი რყევა, დნობაში შესული თოვლით დარბილებული, აფუებული მიწა, ზამთრის სიმკაცრის მარწუხებისგან თავის დაღწევის იმედჩასახული ბუნება – თითქოს მოეხსნა სიმძიმე, ტვირთისგან განთავისუფლდა; უეცრად გაახსენდა, რომ მარტო იყო. უნებლიეთ აიხედა; შეგრძნებები კვლავ აღიქვამდნენ მოძრაობას, წრიულს, მსუბუქად მოშრიალეს, თანდათან რომ ინაცვლებდა

და შორდებოდა – მიადექი თითქოს კარს, მხოლოდ დაკეტილს რომ იხსენებ, და ახლა, უეცრად ხედავ ღიას. შესაძლოა ბევრჯერ გასჩენია შემდეგ სურვილი, შესაძლოა რაღაც ფარული მერყეობდა, მომწყვდეული მათი ცოლქმრული სიყვარულის მიმოქცევის ორ – მასა და ქმრის – უკიდურესობას შორის: იქით, აქეთ. იცოდა მხოლოდ, რომ განახლებული გრძნობა კვლავ მძლავრად იზიდავდათ, იგრძნო, უეცრად, თითქოს, რაღაც, მის არსებაში მოქცეული, ჩაკეტილი, დიდი ხანია უხილავად ქცეული, დაიმსხვრა; და თითქმის შეუმჩნეველი, მაგრამ, მაინც ხელშესახები სიღრმის ჭრილობიდან იწყო აღმასვლა, პატარა, დაუსრულებელ წვეთებად, აზრებმა და გრძნობებმა, და თანდათან მთელ სივრცეს დაეუფლა.

ბევრი კითხვა ჩნდება საყვარელ არსებასთან ურთიერთობაში, რომლებზეც გადის ერთობლივი ცხოვრების შენების გზა ისე, რომ მათი ბოლომდე გააზრებისთვის ვერ იცლი, და არც ძალა გრჩება საამისოდ, შემდგომ, უკვე შემდგარი, მათი სხვაგვარად წარმოდგენისთვისაც რომ აღარ ტოვებს სივრცეს. და დგას, ალბათ სადღაც გზაზე, უჩვეულო ბოძი, სახე, სურნელი შეყოვნებული, იკარგება – ბალახში, ქვებში – ბილიკი, ნაბიჯით ჯერაც შეუბღალავი, იცი, უნდა მობრუნდე, შეხედო, მაგრამ – მიიწევს ყველაფერი წინ, ოღონდ, რაღაც – იყოს თითქოს ობობის ძაფი, სიზმრები, მოშრიალე ტოტი – ანელებს ნაბიჯს და არშემდგარი აზრებიდან გამოსჭვივის ჩუმი სიდამბლავე. ბოლო დროს, ხანდახან, შესაძლოა ხშირადაც, იყო ეს მზერა, უკან მიმართული, მთელი არსებით უკან გადახრა, მძაფრ სურვილში მისწვდე როგორმე წარსულს. ეწინააღმდეგებოდა მას კლოდინის ერთგულება, რადგან იყო მასში არა სიმშვიდე, არამედ ძალთა განთავისუფლება, ურთიერთმიყრდნობა, წონასწორობა – მხოლოდ მუდმივი წინ სწრაფვის შედეგი. სირბილი ხელიხელჩაკიდებული, მაგრამ ხანდახან, შუალედებში, შეჩერების ცდუნება უეცარი, იდგე სრულ სიმარტოვეში, ირგვლივ მიმოიხედო. საკუთარ ვნებას გრძნობათა მოზღვავებად შეიგრძნობდა, მის ნებას სრულად რომ იმორჩილებდა და თავის ნება-სურვილზე ატარებდა; და მაშინაც, როდესაც გზნება იყო უკვე ჩამცხრალი, თითქოს სინანულის მომგვრელი და გადალახული, და კვლავ თავისი სიყვარულის მშვენიერების შეგრძნება უბრუნდებოდა, იყო ის შებოჭილი, უძრავი, როგორც თრობა და აცნობიერებდა მასში ტკბობით და შიშით, თავის ყოველ მოძრაობას, მედიდურსა და ზვიადს, ვით ოქროქარგულ ფარჩაში გახვეულ-გამონასკვულს, და იზიდავდა რაღაც, არ იცოდა რა, არ იცოდა საით, რომ იწვა ჩუმი, ფერმკრთალი, როგორც მარტის მზის ჩრდილები გაზაფხულის ჯადოქრობის კალთაგადაფენილ დედამიწაზე.

დროდადრო მას თავის ბედნიერებაში შიშველი ფაქტების, გარე-

მოებათა უზენაესობის, მომხდარისა თუ მოსახდენის შემთხვევითობა სტანჯავდა; და ხანდახან ფიქრობდა, რომ ალბათ არსებობდა სიცოცხლის სახეობა, კიდევ ერთი და შორი, ბედი მხოლოდ მას რომ აღუთქვამდა. და იყო ეს უფრო ფორმა, ნაირსახეობა აზრის, წარსულის ნაშთი, არა ჭეშმარიტად ნაფიქრი, არა გონების ნაყოფი, არა ფიქრი – მხოლოდ გრძნობა ახსენებდა თავს, იმ დროს მათი თანმხლები; შორს მიმართული დაძაბული მოლოდინის მზერის აკვიატებული მოძრაობა, რომელსაც – მარად განუხორციელებელს, აუხდენელს – თავისი შინაარსი დიდი ხანია დაეკარგა და ახლა, სიზმრებში, ღიობს მიღმა ბნელი დერეფნის სივრცედ გაწოლილიყო.

იქნებ, იყო ეს ბედნიერება, უჩვეულოდ მყუდრო, საოცარი, მეტად, ვიდრე ყველაფერი სხვა. და შეიგრძნობდა რაღაც ფხვიერს მათ ურთიერთობაში, მოძრავსა და ამაღელვებელს, ბუნდოვანებით მოცულს, იქ, იმ ადგილას, სადაც სხვა მამაკაცების სიყვარულში მხოლოდ ჩონჩხის სიხისტეს აწყდებოდა, ძვლოვანსა და უსულოს. იყო მასში მსუბუქი მღელვარება, თითქმის ავადმყოფური ლტოლვა, სწრაფვა საკუთარი-მეს-უკიდურესი-დაძაბულობის-ზღვარზე-ყოფნისადმი, უკანასკნელი აღმავლობისა და უკიდურესის მოახლოების წინათგრძნობა. ხანდახან კი ეჩვენებოდა, რომ იყო უცნობი სატრფიალო სიმღერის შთაგონების წყარო, მისი მიძღვნის ამაღლებული საბაბი და მისი მისამართი.

დროდადრო, მუსიკის მოსმენისას, მისი სული შეიგრძნობდა ამ წინათგრძნობის მსუბუქ შეხებას, თითქოს მოეღწია სიოს შორეთის, მაცნეს შეუცნობლისა .. ; და შეაკრთო იმან, რომ იქ, იმ ბინდში, უცნობ-უცხოში – უეცრად, ჯერ კიდევ – საკუთარი სული დალანდა. ყოველ წელს კი დგებოდა დრო, ზამთრის გასაყარზე, როდესაც ამ უკიდურეს ზღვართან თავს ჩვეულზე უფრო ახლოს შეიგრძნობდა. ამ შიშველ, გამოფიტულ, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის გამოკიდებულ დღეებში ეუფლებოდა სევდა, არა ჩვეული მონატრება სიყვარულისა, არამედ ისეთი, იმ დიდი სიყვარულის მიტოვებისკენ რომ მოუხმობდა, რომელსაც ფლობდა. თითქოს, წინ, ბინდში, იკვეთებოდა გზა გარემოებათა უკანასკნელი თანხვედრისა. არა სატრფოსკენ, არამედ – სრულიად დაუცველი – უცხო, ხავერდოვან ჭკნობაში ნაღვლიანად გადაშლილი შორეთისკენ რომ მიუძღვებოდა, მომავალი იმ შორეთიდან, სადაც მათი სიყვარული იყო არა რაღაც, მხოლოდ მათი, მხოლოდ ამ ორი არსებით შემოფარგლული, არამედ ფესვები, შიშველი. უმწეო, გამოფიტული და სამყაროზე სევდიანად გადმომხობილი.

როდესაც ერთად მიდიოდნენ, ფეხათრევით მისდევდათ თავიანთი უფერული, მკრთალი ჩრდილები, რომელთა კავშირი ნაბიჯებთან იყო არამყარი, ფხვიერი, ვერ შემძლე მიწაზე სანდო მოჭიდებისა,

ნიადაგის სიმყარის ანარეკლი ნაბიჯების ხმაში კი – უჩვეულოდ დახშული და მოკლე; შიშველი, უფოთლო ბუჩქები ცას მისჩერებოდა, და სწორედ ამ შემზარავი სიცხადის საათებში, უეცრად საგნები, სხვა დროს უტყვი და თვინიერი, ახლა, თითქოს მათი მზერისგან თავისუფალი, გაუცხოებული – უჩვეულო არსებები – გაცრეცილი სინათლის ბინდში უფრო მაღალი, წელგამართული მოჩანდა, როგორც თავგადასავლების მოყვარული, როგორც არანამდვილი, წარმოსახვითი, მცხრალი, მათი მქრალი ჟღერადობის ექოთა გადამდებ მღელვარებაში შეუცნობის ნამსხვრევებით აღსავსე, იმ შეუცნობისა, რომელსაც, ყოველივე საგნისმიერს მოკლებულს და მათგან თითქოს სრულად ჩამობერტყილს, არაფერი ეხმიანებოდა და სამყარომდე დამსხვრეულ ნათებად მოღწეული, უმწეო, დაშლილ-დაქუცმაცებული, ხან საგნის აჩრდილში, ხან კი ჩაქრობისთვის განწირული მბჟუტავი აზრის ექოში გამოკრთებოდა.

შემდეგ გაუთამამდა ფიქრებს და ისიც კი დაუშვა, რომ სხვისი შეიძლება გამხდარიყო და მოეჩვენა ეს არა ერთგულების წაბილწვად, ღალატად, არამედ უკანასკნელ ქორწინებად, სადღაც, სადაც არ იყვნენ, თუ სადაც იყვნენ ოდენ როგორც მუსიკა, მხოლოდ მათში და მათთვის მჟღერი, სხვებისთვის მიუწვდომელი, რათა ვერ აირეკლოს უცხო სხეულმა – გადამდებმა და ყველას მომდებმა, მათ მიწვდენას მოწადინებულმა და ექოს გადაძახილად მოჰფინოს არემარეს. და მაშინ საკუთარ არსებობას შეიგრძნობდა მთრთოლვარე ხაზად, საკუთარ არსებაზე ნაკაწრად აღბეჭდვას რომ ცდილობდა, ქაოსის უწესრიგო მდუმარებაში რომ სმენოდა, ვით რაღაც, ოდეს წამი ყოველი შემდეგს მოუხმობს და როდესაც ხარ მხოლოდ ის, რასაც აკეთებ – შეუსვენებლად, ფუჭად და ბეჯითად – და მაინც კვლავაც რჩებოდა ის რაღაც, ვერასდროს რომ ჩაიდენდა. და მაშინ, უეცარი შეგრძნებისას, თითქოს იყო შესაძლებელი, რომ ერთმანეთი მხოლოდ ჩუმი, სევდიანი ბგერებით ჰყვარებოდათ, გულში ჩამწვდომითა და სულის შემძვრელით, ვით შეშლილობა, მხოლოდ მათთვის ხმიერით, და არ სურდათ ყოფილიყო უცხო სმენისთვის აღქმადი და გასაგონი, ჰქონდა წინათგრძნობა სილრმისეული სირთულეებისა თუ ურთიერთგადაჭდობილ პრობლემათა უჩვეულო ხლართების, მთელი სიმძაფრით პაუზებში გაცნობიერებულის, დუმილის, გარინდების, გრგვინვა-გრუხუნიდან უკიდეგანო ფაქტის სამყაროში გამოღვიძების, და იყო – თვით არაცნობიერ მოვლენათა წყებაში გარიყულიც – ერთგული გრძნობის, მაინც შემძლე თანაგრძნობის; მარტოობის სიცარიელეში, ერთმანეთის გვერდიგვერდ, ნაღვლიანი, ტკივილიანი დამკვიდრების, რომლის წინაშეც ქმედება ყოველი სხვა, იყო მხოლოდ გაბრუება, თვალის დახუჭვა, საკუთარ თავში ჩაკეტვა და

ჩაძინებისთვის ხმაურით თვითდარწევა – მას უყვარდა მეუღლე, როდესაც ფიქრობდა მისთვის ამ, უკანასკნელი, სამყაროს სიმძიმის ტკივილის მიყენებას.

კვირების მანძილზე შემორჩა მის სიყვარულს ეს ფერი; და გაქრა. მაგრამ ხშირად, უკვე სხვა ადამიანის სიახლოვეს, კვლავ ბრუნდებოდა იგი, ფერმკრთალი და გაცრეცილი. საკმარისი იყო გარეშე პირი, მისი განყენებული საუბარი, და თავს თითქოს უკვე გარედან, იქიდან მომართული მზერით აღიქვამდა ... გაკვირვებით ... რატომ ხარ ისევ აქ? არასოდეს მოსვლია აზრად ამგვარ უცხო არსებებზე ფიქრი, ფიქრი სურვილით, მონატრებით; ეს მას ტკივილს ჰგვრიდა; გულს ურევდა. მაგრამ სიჩუმის სიცარიელემ ირგვლივ უეცრად იწყო რყევა; და ვეღარ ხვდებოდა რა იყო ეს, სვლა? საით, აღმა თუ დაღმა?

კლოდინმა გარეთ გაიხედა. ხედი იგივე, უცვლელი რჩებოდა. მაგრამ – იყო ეს მისი ფიქრების სვლის შედეგი, თუ რამ სხვა – დამთრგუნველად და ხისტად გაწოლილიყო გარემოზე რაღაც და ჩამდგარიყო მათ შორის, ქალი მას დაპირისპირებულ ძალად აღიქვამდა, თითქოს თხელი, რძისფერი უსიამოვნების მიღმა იყურებოდა. მხიარულება, უწინდელი – უმსუბუქესი, ათასფეხა, მოუსვენარი – მძიმედ, აუტანლად დაჭიმულიყო; მათ შორის, ქონდრისკაცის მკვირცხლი მოკლე, ხშირი ნაბიჯებით, რაღაც მიდიოდა, მისრიალებდა, გაღიზიანებული, აღგზნებული და მიმბაძველი, მისთვის მკვდრად და მუნჯად რომ რჩებოდა; აქა-იქ გრუხუნის სიშიშვლედ აღიმართებოდა, მიხოხავდა მძიმედ და ამ უცნაურ სვლაში ყურს ჭრიდა მისი მძაფრი ჭრიალი.

და აყენებდა მას ტკივილს ამ ხილვაში ჩაღრმავება, რომელშიც აღარაფერი იყო მისი შეგრძნებებისა. ხედავდა ცხოვრებას, ცოტა ხნის წინ მასში ღრმად ფესვგადგმულს, გრძნობებში განსხეულებულს – ჯერ კიდევ – გარეთ, საკუთარი თავით აღსავსეს, შეცბუნებულსა და დათრგუნულს, მაგრამ, როგორც კი ცდილობდა თავის თავზე მორგებას, მათკენ მიმართული მზერისას საგნები იმსხვრეოდა, ქუცმაცდებოდა. და წარმოიშვა რაღაც საზარი – უცნაურად უბურღავდა თვალებს, თითქოს მისი სული იქით, შორს გადახრილიყო, დაძაბული, რაღაცას ესწრფოდა – სიცარიელეს ეჭიდებოდა...

უეცრად გაიფიქრა, რომ თვითონაც – ისევე, როგორც ეს ყველაფერი – აგრძელებდა ცხოვრებას: თავის თავში გამომწყვდეული, ერთ ადგილზე მიჯაჭვული, ერთ განსაზღვრულ ქალაქში, იქაურ სახლში და საკუთარი თავის შეგრძნებაში, წლების მანძილზე ამ პაწია, უსახურ ადგილას, და გრძნობდა თითქოს, რომ მისი ბედნიერებაც, როგორც ამგვარი ხმაურიანი საგნების გროვა, თუკი ის წამით შეყოვნდებოდა, ჩვეულ სვლას გააგრძელებდა და გასცდებოდა, მიატოვებდა.

მაგრამ მოეჩვენა ეს არა შემთხვევით აზრად, არამედ იყო ამაში

რაღაც უსაზღვრო მხნეობა, წელგამართულობა – უკაცრიელობის, ობლობის და გაუხარლობის, სადაც მისი გრძნობა ამაოდ ეძებდა საყრდენს, და ეხებოდა მას რაღაც ჩუმი, როგორც მეკლდეური კლდის ციცაბო კედელს და დადგა ცივი, მდუმარე წამი, წამი საკუთარი თავის მიყურადების, როგორც აყურადებენ გარეთ რაღაცას, და ის ვრცლად გადაშლილ სიბრტყეზე ჩაესმოდა, როგორც შრიალი, პატარა, გაურკვეველი და შემდეგ, უეცრად ამოზრდილ სიჩუმეში შეამჩნია, თუ რა უხმოდ დაღვრილ წვეთებად დაწრეტილიყო თვითონ და, პირიქით, რა დიდი, შემზარავად დავიწყებული შრიალით იყო აღსავსე სიცარიელის ქვის შუბლი.

და, როდესაც იგი მის წინ იკუმშებოდა, სანამ მთლიანად არ შეიწოვა, არ შეიყუჟა საკუთარ თავში, ვით თხელი ტყავი, და საკუთარ თავზე ფიქრი, გარინდებაში ჩაძირული შიში თითის წვერებით გააცნობიერა – ეწებებოდა მის არსებას მისივე შეგრძნებები, როგორც პატარა მარცვლები, გრძნობები კი ჩხრიალებდა ვით სილა და მოესმა კვლავ უჩვეულო ბგერა; იყო ის წერტილი – ჩიტის ლივლივი, მისი ფარფატი შორს, სიცარიელეში.

და აღიქვა უეცრად ყველაფერი, როგორც ბედისწერა – თვით გამგზავრება, ის, რომ ბუნება მისი მზერის წინაშე უკან იხევდა – თითქოს გაურბოდა, თვალს არიდებდა, და ის, რომ სწორედ მგზავრობის დასაწყისში იყო ასეთი დათრგუნული, შემკრთალი თავისი თავის, სხვების, საკუთარი ბედნიერების წინაშე, და მოულოდნელად მოეჩვენა წარსული არასრულყოფილ ანარეკლად, მხოლოდ აჩრდილად ჯერ კიდევ მოსახდენისა.

იყურებოდა გარეთ – კრძალვით, შიშით. მაგრამ, თანდათან, ამ სასოწარმკვეთად საზარი უცხოთი გარშემორტყმულის სულში უხერხულობა იბუდებდა, უჩვეულო სიმორცხვე თავდაცვის ინსტინქტის მიმართ – იმ ძალის წინაშე, მიუღებლისა და არასასურველის წინ აღდგომისკენ რომ უბიძგებდა და გრძნობდა, როგორ მერყეობდა მისი სული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას და დაეუფლა – ჩუმი, შემპარავი – უღონობის ძლევამოსილება, უნატიფესი, საბოლოო და უკანასკნელი – რაც უნდა მოხდეს, სულერთია, და გახდა ის, სული, უფრო თხელი და ნატიფი, ვიდრე ბავშვი და უფრო რბილი და სათუთი, ვიდრე თვით გაცრეცილი აბრეშუმის ნაჭერი; და ტკბობის რბილი გამონათებით აღიქვა სამყაროში უცხოდ ყოფნის ბედნიერება – უღრმესი, უტკბესი – ადამიანური, როგორც გამომშვიდობება, იქ დამკვიდრების შეუძლებლობა, ოდეს ვერც ერთ გადაწყვეტილებას, იქ მიღებულს, საშენოდ ვერ აღიქვამ, და მათ შორის მომწყვდეული, მათ მიერ ცხოვრებისგან გარიყული, შეიგრძნობ ცარიელი სივრცის ბრმა კოლოსალურობაში ვარდნის წინმსწრებ წამს.

და იგრძნო წარსულის მიმართ ლტოლვის მოულოდნელი, ბუნდოვანი ტალღა, მძაფრი სურვილი უცხო ადამიანების მიერ ბოროტად შეურცხყოფილ, მათ მიერ დაუნდობლად გაძარცულ, ავად მყოფობაში უფერული და უძლური ფხიზლად ყოფნისა, როდესაც ინაცვლებს შრიალი სახლის ერთი ბინიდან მეორეში, თვითონ კი, საკუთარი სულის სუფთა წონის სიმძიმისგან თავისუფალი და არსად მყოფი, კიდევ ერთ, სადღაც მოლივლივე-მოფარფატე სიცოცხლეს ეზიარები.

უხმოდ მძვინვარებდა ლანდშაფტი. მისი ფიქრები შეიგრძნობდა ადამიანებს, ისინი სულ უფრო დიდ, ხმაურიან, თავდაჯერებულ არსებებად განივრცობოდნენ, და შეიყუჟა თავის თავში – ახლა მას მხოლოდ საკუთარი ყოფნის სიცარიელე, მისი სიმსუბუქე, უწონადობა და ლტოლვა შემორჩენოდა – გაუცნობიერებელი და გაურკვეველი. მოულოდნელად მატარებელმა რბილი, მდოვრე რყევით ჯერ კიდევ თოვლის სქელ საფარქვეშ გარინდებულ გარემოში შეაღწია, სულ უფრო დაბლა მოინევდა ცა და მალე პირქუში, ლეგა ღრუბლების გუნდმა, მოჩქარემ, დაინია, დედამიწაზე ფანტელების მოძრავ ფარდებად ჩამოეშვა, გამოსდო მას კალთა და მის ზედაპირზე გასრიალდა. ვაგონში მოყვითალო ბინდი ჩამოწვა, თანამგზავრების კონტურები, სულ უფრო მკრთალი, თითქოს სხვა რეალობიდან, თითქოს, არანამდვილი, უჩვეულოდ ნელა ირწეოდა. აღარც კი იცოდა რაზე ფიქრობდა, შეეპყრო უცხო თავგადასავლებთან პირისპირ დარჩენის, მათთვის თვალის გასნორების ჟინს; იყო ეს ვით თამაში – მოძრაობა უმსუბუქესი – გამოკრთება, გაიელვებს – სულის შფოთვის, სევდა-ნაღველის, დიდი, აჩრდილისეული – მისკენ სწრაფვაში რომ შეჰყრია მოუთმენლობა. ცდილობდა ქმრის გახსენებას, მაგრამ უკვე თითქმის მთლიანად ჩაფერფლილი სიყვარულისგან მხოლოდ ობოლი ხატი შემორჩენოდა, უცნაური – წარმოუდგებოდა სახლი, დიდი ხნის წინ მიტოვებული, ჩაკეტილდარაბიანი. ცდილობდა ხილვის განდევნას, მაგრამ არ შორდებოდა, მას ოდნავ დაეხია და იქვე ახლოს მოკალათებულიყო. და იყო სამყარო სასიამოვნოდ გრილი, ვით ლოგინი, რომელშიც მარტო ნებივრობ ... გრძნობდა, თითქოს იდგა გადაწყვეტილების მიღების წინაშე და ვერ ხვდებოდა, თუ რატომ აღიქვამდა ამას ასე – არც აღშფოთებული, არც ბედნიერი – გრძნობდა მხოლოდ, რომ აღარც ჩამდენი იყო, აღარც ხელის შემშლელი რამისა, მისი ფიქრები მიემართებოდნენ გარეთ, უკანმოუხედავად, აღწევდნენ თოვლში, კვლავაც წინ მიიწევდნენ, სულ უფრო სცილდებოდნენ, ხარ, თითქოს, დაღლილი ისე, რომ აღარ შეგიძლია მობრუნდე, იძულებული იარო, შეუჩერებლად, მხოლოდ წინ.

მგზავრობის ბოლოს წარმოთქვა ბატონმა: „აი, ნამდვილი იდილია, ნამდვილი მოჯადოებული კუნძული, ჯადოსნური ზღაპარი და მისი მთავარი გმირი, ქათქათა თეთრეულსა და მაქმანებში გახვეული მშვენიერი მანდილოსანი ... “ და ლანდშაფტზე მიანიშნა. „რა სისულელეა“, ფიქრობდა კლოდინი, თუმცა პასუხი უცბად ვერ მოიფიქრა.

იყო ისე, თითქოს აკაკუნებ და ფანჯრის მილმა ბინდში მოტივტივე დიდ, ბნელ სახეს ხედავ. ვერ ცნობდა ადამიანს; იყო სულ ერთი, თუ ვინ, გრძნობდა მხოლოდ, რომ იდგა ის ახლოს, მოლოდინში. და გადმოაბიჯა რაღაცამ, იწყო ხორცშესხმა.

როგორც მსუბუქი სიო ღრუბლებში ნავარდისას მათ თანდათან მოძრავ არსებათა მწყობრ რიგში განალაგებს, ქალის გრძნობათა ღრუბლების უძრავმა, ფაფუკმა გუნდმაც თითქოს სრულიად უმიზეზოდ, მის დაუკითხავად იწყო სვლა, გადმოდგა ფეხი სინამდვილის სამყაროში, გასცდა მას და გაშლილ სივრცეს მიაშურა ... და უყვარდა, როგორც მგრძნობიარე, სენტიმენტალურ ადამიანებს, არა-საკუთარ-თავად, არასულიერი ფაქტების რიგში სხვად ყოფნა, საკუთარი სულის უძლურება, მისი წარწყმედა და ტანჯვა ისე, როგორც განდევნის ადამიანი სისუსტეს საკუთარი სინაზიდან – და ბავშვი, ქალი ან ტანსაცმელი შეიძლება ყოფილიყო ერთადერთი ამ სიბნელეში, მისი ტკივილი რომ იგუებდა.

ასე დასრულდა მგზავრობა გვიან ნაშუადღევს, დაცარიელებულ მატარებელში, ადამიანებისგან თანდათან, სათითაოდ რომ იწრიტებოდა; სადგურიდან სადგურამდე ცრიდა ის მეჩხრად მგზავრებს, ახლა ხელის ერთი მოსმით რომ გამოეხვეტა. და რადგან ერთსაათიანი მგზავრობისთვის ვაგზლის შენობასთან მხოლოდ სამი მარხილი იცდიდა, უნდა ეჩქარათ, რომ უადგილოდ არ დარჩენილიყვნენ. როდესაც ყოველდღიურობას დაბრუნებულმა კლოდინმა, განსჯაშეფასებაში მიმოავლო მას თვალი, აღმოაჩინა, რომ მასთან ერთად კიდევ ოთხი უცნობი მგზავრობდა. წინიდან გაოფლილი ცხენების უცხო სუნი შემოეფეთა, სიცივეში ოხშივარი რომ ასდიოდათ, ირგვლივ ფარნების არეკლილი სინათლის ტალღები ირეოდა, ხან კი უკანდახეული წყვდიადი ოთხთვალას კვლავ მოადგებოდა და სიღრმეში მოიწევდა; გზას ორივ მხრივ მაღალი ხეების მწკრივი შემორტყმოდა, თავს ბნელ დერეფანში შეიგრძნობდა, წინ, მიზნისკენ მიპყრობილი მზერისთვის სულ უფრო რომ ვიწროვდებოდა.

სიცივის გამო ზურგშექცევით იჯდა, წინ კი იყო კაცი – დიდი, განიერი, ქურქში გახვეული და წარსულისკენ მიმართულ ფიქრებს გზას უღობავდა. ყოველი გახედვა გადარაზულ ჭიშკრად აღმართული კაცის ბნელ ფიგურას აწყდებოდა. უყურა ერთხანს, აინტერესებდა როგორ გამოიყურებოდა, თითქოს მნიშვნელოვანი იყო მხოლოდ

ეს, სხვა ყველაფერი კი – ისედაც ცხადი. მაგრამ გრძნობდა, სიამოვნებდა, რომ მამაკაცი უცნობი რჩებოდა – სიგანეში განვრცობილი ბნელი სიუცხოვე. და ხანდახან ეჩვენებოდა, რომ ის უახლოვდებოდა, როგორც მოარული ტყე, ულრანი და გაუვალი, რათა მასზე მბრძანებლურად გადმომხობილს დაეთრგუნა ქალი.

პატარა ოთხთვალის მგზავრებს საუბრის უხილავი ქსელი ბადეში მოყოლილი თევზებივით სიახლოვისკენ უბიძგებდა. კამათში, საერთო აზრის ჩამოყალიბებაში უცნობი მამაკაციც მონაწილეობდა, იძლეოდა ყოველდღიური სიბრძნით გაჯერებულ პასუხებს, ასე რომ სჩვეოდათ მავანთ, შეკაზმულით იმგვარი საკაზმით, ქალის აღქმაში მამაკაცს სიმტკიცის მძაფრ, მწველ სურნელში რომ ახვევს. და მორჩილებდა ამ მამაკაცურ მბრძანებლობას, მისთვის ჩვეულსა და გასაგებს. ახსენდებოდა, რომ მის ნართაულ ფრაზებს საკადრისად არ უპასუხა. და შემდეგ, უკვე საუბარში ჩართულს, მოეჩვენა, რომ ეს მეტისმეტად თვინიერად გააკეთა და გაუჩნდა, ულონობის, წელში გატეხილი ადამიანის გრძნობა, გრძნობა უმწეო, სასოწარკვეთილი მოქნევა ხელის პროთეზის.

შემდეგ შეამჩნია როგორ მოისროდა მის მოდუნებულ სხეულს გზის ყოველი გამრუდება და გრძნობდა, როგორ ეხებოდნენ ამ დროს მხარზე, მუხლზე, ხან კი ამ რყევაში ტანით სხვებს თვითონ ეყრდნობოდა და შორეული მსგავსებით ამ პატარა მარხილს ჩაბნელებულ ოთახად აღიქვამდა, თავს კი აღგზნებული, ჟინიანი მამაკაცებით გარშემორტყმულად და მათ ურცხვობას შიშნარევი მორჩილებით ეგუებოდა, მოღიმარი, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა – მზერა სხვაგან, საკუთარი თავის მიღმა მიემართა.

ყველაფერი ისე იყო, თითქოს ძილ-ღვიძილში ხედავდე მძიმე სიზმარს, რომლის ფანტასტიკურობას რაღაცნაირად მაინც აცნობიერებ და უკვირდა, რატომ იყო მისი შეგრძნება ასე მძაფრი, სანამ ვიღაც გარეთ არ გადაიხარა და არ თქვა: „მალე, ალბათ, თოვლი მთლიანად დაგვფარავს."

უეცარი, მკვეთრი ბიძგით, თითქოს ნახტომით, ფიქრებმა სიფხიზლის სამყაროში ამოყვეს თავი. აიხედა. ირგვლივ მხიარულად, უწყინრად ხუმრობდნენ – შორს შემჩნეული სინათლე და პატარა, მოძრავი ფიგურები თითქოს სიბნელის დასასრულს იუწყებოდნენ. მოულოდნელად იგრძნო, რომ სინამდვილეს უჩვეულოდ მიუკერძოებლად და ფხიზლად აღიქვამდა; ამჩნევდა ამას და უკვირდა, რადგან აღელვებულს შეგრძნებები უკიდურესად გამძაფრებოდა. გონების სინათლის სიმძაფრე, შეფერილობის გარეშე, თითქმის სრულიად გამჭვირვალე, თრგუნავდა, ლამის შიშს ჰგვრიდა, აღარავითარი ბუნდოვანება-გაურკვევლობა, რომლის სიღრმეებსა თუ მყუდრო

სამალავებს შეაფარებდა თავს სიზმარეული და რომელშიც აზრი ვერ ბოგინებდა, ადამიანები კი, ხანდახან იყვნენ როგორც მთა – მხნე, ბრგე და ცად აზიდული, და გასრიალდებოდნენ უეცრად უხილავ ნისლში, იქ, სადაც სინამდვილე მეორე, უზარმაზარ, ბუნდოვან კონტურამდე განივრცობოდა. იყო მათ მიმართ თითქმის მორჩილება და შიში, თუმცა არასდროს კარგავდა შეგრძნებას, რომ ეს სისუსტე იყო მისი კიდევ ერთი, უჩვეულო უნარი; თითქოს მისი ცხოვრება, თავის პირვანდელ ფარგლებს გაცდენილი, მისი არსების მიღმა უხილავად, მგრძნობიარედ განვრცობილიყო და ახლა ამ ახალ საზღვრებში, მღელვარე ზღვის მსგავსად ყველაფერი განსაკუთრებული მრისხანებით აწყდებოდა, რაც ქალში თრთოლვასა და ცახცახს იწვევდა. და პირველად შეეშინდა ამ უჩვეულო დღის, რომლის სიმარტოვეს მასთან ერთად, როგორც გზას მიწისქვეშეთში, თანდათან, მისი არსების ყველაზე სანუკვარისა და დაფარულის ბინდიანი სივრცის ჩურჩულში ჩაძირულს, ახლა სადღაც გარეთ, შორეულ მიდამოებში, ჯიუტად, თავი ნამდვილ მოვლენათა ურყევ სამყაროში ამოეყო და იგი უცხო სინამდვილის – მიუღებლისა და არნასურვების – ტრიალ სივრცეში მიეტოვებინა.

მალულად გახედა უცნობს. სწორედ ამ წამს გაჰკრა მან ასანთს – გაიელვა მამაკაცის წვერმა, ცალმა თვალმა: ეს არაფრისმთქმელი ქმედებაც, მოულოდნელად, მან თითქოს სიმტკიცის გამოვლინებად აღიქვა, თავის ირგვლივ სადა, უზარმაზარ და ურყევ მთლიანობად რომ შეიგრძნობდა, რომელშიც ყველაფერი ერთმანეთს ბუნებრივად, მშვიდად და უხმაუროდ ერწყმოდა. ქალი ფიქრობდა, რომ ის, ალბათ, ერთი ჩვეულებრივი ადამიანი იყო. თანდათან ჩაუღრმავდა საკუთარი თავის შეგრძნებას, დაფლეთილსა და დანაწევრებულს; და ასე – დაშლილ-დაქუცმაცებული, ქაფის უფერული ფანტელები – ფარფატებდა ახლა ამ უცხო მამაკაცის წინაშე, ირგვლივ ჩამოწოლილ სიბნელეში. მომავალი უკვე უჩვეულო განცდას აღუთქვამდა – სიხარულს, რასაც ყურადღებაზე კაცის თანაგრძნობით გამთბარი, მეგობრული პასუხი ჰპირდებოდა; თავის ქმედებებს თვალს უღონოდ ადევნებდა, სულის უმცირესი შერხევის გარეშე, გრძნობდა საკუთარი თავით ტკბობის სიამოვნებას, რომ იგი – გახლეჩილი – ნეტარებასა და ტანჯვას შორის მერყევი, ჩაცუცქებული შინაგანი გამოფიტვის – უეცრად ჩამოშლილი სულიერი მდგრადობის სიღრმეში.

გაახსენდა – იყო ადრეც, რამდენჯერმე, მსგავსი დასაწყისი. და უწინდელის მობრუნებისას წამიერად შეახო ხელი ბედს – ხორციელ ვნებათა ტალღებს მინდობილის შემზარავმა შიშმა შეარყია მისი არსება, მთელ სხეულს ვიბრაციათა ექოდ მოედო – ისეთად, ჯერ კიდევ უსახელო ცოდვის მიმართ რომ შეიგრძნობ; გაიფიქრა უეცრად,

ამჩნევდა თუ არა, რომ უყურებდა და სულის იდუმალების ირგვლივ ბნელ სამალავად აღმართული მისი სხეული ჩუმი, მორჩილი ვნებიანობით ივსებოდა. უცნობი კი იჯდა წყვდიადში დინჯი, მედიდური, იღიმებოდა ხანდახან ან შესაძლოა ესეც ეჩვენებოდა.

ასე აგრძელებდნენ გზას ერთმანეთის სიახლოვეს, უკვე ფეხმოკიდებულ სიბნელეში. და კვლავ შეეპარა მის ფიქრებს შფოთვა, ის იკრებდა ძალას და ჩუმად იკვლევდა გზას. ეცადა თავის დარწმუნებას, რომ ყველაფერი იყო მხოლოდ მარტოობის შინაგანი სიჩუმით დათრგუნული, წონასწორობადაკარგული ადამიანის უწესრიგო შეგრძნებებით აფორიაქებული წარმოსახვის პირმშო, ზმანება, ამ უცხო ადამიანებში მოულოდნელი მოგზაურობით გამოწვეული. ხანდახან ფიქრობდა რომ, შესაძლოა, ეს ქარი იყო, თვითონ კი მის ხისტ, მწველ სიცივეში გახვეული – გახვეებული, უძრავი და შებოჭილი, ხანდახან კი ჰქონდა ქმრის სიახლოვის უცნაური შეგრძნება – სისუსტე და ვნებიანობა, საოცნებოდ ნეტარი მის სიყვარულში. და ერთხელაც, – მაშინ, როდესაც კვლავ გახედა უცნობს – უფრო შეიგრძნო, ვიდრე გააცნობიერა – საკუთარ ნებაზე უარის თქმა, ბუნდოვანი, სიღრმისეული, იქ ჩაკარგული, სიმტკიცე ამ უარისა, მისი ურყევობა, მის წარსულზე – გამოუთქმელ, მისთვის უცხოდ მოწესრიგებულ სივრცეზე – ნათებად რომ აღიმართა; იყო ეს მომავლის უჩვეულო წინათგრძნობა, დიდი ხნის წინ ჩავლილი კიდევ ცოცხლობდა თითქოს. მაგრამ წამის შემდეგ იქცა მხოლოდ სიბნელეში გონების სინათლის მბჟუტავ, ჩაქრობისთვის განწირულ გაკრთომად, მხოლოდ შეირხა რაღაც მისი სულის სიღრმეში, შეეწყვილა გამოძახილად ისე, თითქოს იყო ეს მისი სიყვარულის ლანდშაფტი, უცნობი, ჯერ უნახავი, უზარმაზარი საგნებით გადატვირთული, ჩუმად მოშრიალე, უცხო, ქაოსური, დაბნეული და შემკრთალი საკუთარი თავის ხავერდოვან სირბილეში რომ შეიყუჟა, აღსავსე იქიდან მომავალი გაუცნობიერებელი, უჩვეულო გადაწყვეტილებებით.

აგონდებოდა დღეები სხვა, ჩვეულთაგან გამიჯნული, ახლა მოშორებით, ოთახების ერთიმეორეში გამავალ სივრცეთა მწკრივად გაწოლილი, დროდადრო ჩაესმოდა ცხენების ფლოქვების ხმა – სათითაოდ, მკაფიოდ, მას, უმწეოს, გარემოებების ნებით აწმყოს უაზრობაში გარიყულს, ამ მარხილში უცხო თანამგზავრთა მეზობლობაში, კაცთან უფრო ახლოს რომ ამყოფებდა და ისიც ერთვებოდა საუბარში, ურთიერთგაგებაში დაწინაურებულთა დაწევის მოსურნე, დანაკარგის ანაზღაურების ცდაში მონდომებით მოცინარი – და იყო მისი სული დიდი, დაბურულ-დატოტვილი და თვალუწვდენობის გამო უმწეო, უღონო, თითქოს ზევიდან გადაჭიმული ხმის შთანმთქმელი მაუდით შებოჭილი.

ღამით გაეღვიძა – თითქოს ნიჟარების წკარუნისგან. იგრძნო უეცრად – თოვდა. გაიხედა ფანჯარაში – სივრცე მძიმე, თეთრ კედლად აღმართულიყო. ფეხშიშველი, თითის წვერებზე, ფანჯრისკენ ფეხაკრეფით გაემართა. ყველაფერი მოხდა სწრაფად, ბუნდოვნად გააცნობიერა, რომ იატაკზე შიშველ ფეხებს აბიჯებდა, როგორც ველური ცხოველი. გულგრილად უყურებდა ახლოდან ფანტელებს, ისინი ხშირ, თეთრ გისოსებად ეჩვენებოდა. ეს ყველაფერი მექანიკურად გააკეთა – იყო ეს, ვით ძილში უეცარი წამოხტომა – აღქმის უნარის შეზღუდულ სივრცეში, იმ უნარისა, მასში პატარა, უკაცრიელ კუნძულად რომ ამოტივტივებულიყო. ეჩვენებოდა, რომ საკუთარ თავს ძალიან დაშორებული, სადღაც სხვაგან იდგა. უეცრად გაახსენდა ფრაზა და თვით ინტონაციაც – მკაფიო, ხაზგასმული: მალე ალბათ თოვლი დაგვფარავს.

სცადა ფიქრების მოკრება, უკან მობრუნდა. ოთახი ვიწრო სივრცედ გაწოლილიყო – როგორც საკანი, როგორც განწირულობა. კლოდინმა აანთო სანთელი, რომლის სინათლეში თავი წამოყვეს საგნებმა; მათგან ძილი თითქოს თანდათან იწრიტებოდა, თითქოს ტყვეობისგან თავისუფლდებოდნენ და ჯერ კიდევ ვერ ეპოვათ თავი – კარადა, სკივრები, საწოლი და კიდევ რაღაც ძალზე ბევრი თუ ძალზე ცოტა, ხაოიანი, ხორკლიანი არაფრის რაკრაკი; იდგნენ ბრმა, ლოყებჩაცვივნული, წელში მოხრილი, მოციმციმე, მიმქრალი სინათლის შიშველ შეღამებაში, მაგიდასა და კედლებზე მტვრის შეგრძნება გაწოლილიყო – უსასრულო და უკიდეგანო, როგორც მასზე-ფეხშიშველი-გავლის-ვალდებულება. ოთახი ვიწრო, ფიცრისჭერიან, თეთრად დაბათქაშებულ დერეფანში გადიოდა; იცოდა – იქ, სადაც კიბე ამოდიოდა, მავთულის რგოლზე ეკიდა მბჟუტავი ლამპა, რომლის სინათლეც ჭერზე ხუთ მკაფიო, მოქანავე რგოლად აირეკლებოდა, შემდეგ ეს სინათლე – ხელის ცეცების ცხიმიანი კვალი – კირის ხსნარით შელესილ კედელზე გადაედინებოდა. უჩვეულოდ აღგზნებული სიცარიელის წინ ხუთი ნათელი წრის უაზრო რწევა თითქოს დარაჯად აღმართულიყო ... ირგვლივ უცხოებს ეძინათ. კლოდინმა უეცრად იგრძნო მხურვალება – უჩვეულო, ფანტასტიკური. უნდოდა დაეყვირა – ჩუმად, ისე, როგორც კნავიან კატები შიშისა და ვნებისგან, და იდგა ასე, ამ შუაღამით გაღვიძებული, უცნაურად განცდილი ქმედების უკანასკნელი ჩრდილი კი კვლავ მისი სულის უხორკლო, გლუვადქცეულ კედლებში შეიყუჟა. უეცრად გაიფიქრა: ახლა რომ მოსულიყო უცნობი და თამამად ეცადა ის, რაც მას, ცხადია, სურდა ...

რაღაცამ შეაშინა. ვერ ხვდებოდა – რამ. ვით ტყვია, გადაგორდა მასზე მწველად – რამდენიმე წუთი არაფერი, გარდა ამ უცნაური შიშისა და შემდეგ მდუმარე სივიწროვე, გრძელი მათრახივით

აშოლტილი. სცადა კაცი წარმოედგინა. ამაოდ. გრძნობდა მხოლოდ, საკუთარი ფიქრების სვლას, ცხოველის ფრთხილი, მოზომილი ნაბიჯებით. დროდადრო ხედავდა უცნობის სახის ნაკვთებს – წვერს, თვალის გაელვებას – ისე, როგორც იყო ეს რეალურად, სინამდვილეში ... შემდეგ იგრძნო გულისრევა. გაუჩნდა რწმენა, რომ ველარასოდეს გახდებოდა სხვა ადამიანის საკუთრება. და სწორედ ახლა, საკუთარი, ნაღვლიანი, იდუმალ მოლოდინში გარინდებული სხეულის ყოველი უცხო არსების მიმართ ზიზღისას, გრძნობდა – მეს მეორე, უფრო ღრმა სიბრტყეზე – შინაგან სისუსტეს, თითქოს თავს ველარ იმაგრებდა, თავბრუ ესხმოდა, შესაძლოა გრძნობდა ადამიანური სიმტკიცის არასანდოობას, შიშს საკუთარი თავის მიმართ, ადამიანური გაგებისთვის მიუწვდომელს თუ უბრალოდ უაზროს, იმ სხვა სურვილის მაცდუნებელს, და დაუარა შიშის ტალღამ, ვით მწველმა, მსუსხავმა ყინვამ, დამანგრეველ ვნებას კვალში რომ ჩასდგომია და მიერეკება, წინ მიაქანებს.

აი, მშვიდად, აუღელვებლად გაბა სადღაც საათმა თავის თავთან საუბარი. ფანჯრის წინ გაისმა ნაბიჯების ხმა, დასაწყისში მკაფიო, მიყრუვდა, გაუჩინარდა – წყნარი, აუღელვებელი ხმები ... ოთახში გრილოდა, მისი ძილმორეული სხეულიდან სითბო მოედინებოდა, გაურკვევლობაში მერყეობდა, სიბნელეში ქალთან ერთად, მასთან თვინიერ თანხმობაში ირხეოდა, ვით სისუსტის, ულონობის ღრუბელში ... რცხვენოდა საგნების, მის ირგვლივ მტკიცედ, წელგამართულად და დიდი ხანია კვლავ უმნიშვნელოდ, ერთსახად და ერთფეროვნად ჩამწკრივებულის და საკუთარი თავის წინ სივრცეს მიშტერებულის, ის კი, შეცბუნებული, თავს ვერ უყრიდა აზრებს, ფიქრები ჰქონდა არეული, ის ხომ ახლა, აქ, უცნობს ელოდა. თუმცა აცნობიერებდა სიბნელეში, რომ მას არა ის, უცნობი, არამედ მხოლოდ ეს დგომა, ლოდინი იზიდავდა – ყველას მიერ მიტოვებულის წვრილკბილებიანი, ველური ნეტარება – იყო ის, რაც ხარ, გამოღვიძებისას უსულო საგნებში უეცრად შეუხორცებელ იარად ამოზრდილი. და მაშინ, როდესაც ესმოდა საკუთარი გულის ფართხალი, თითქოს მკერდში ფრინველს ატარებდა, განსაცდელს გაცლილს, შეშინებულს; უცნაური, ჩუმი რხევით წამოიწია მისი სხეული და ამ გზააბნეულ ჩიტს იმ დიდ, უცხო ყვავილად შემოეჭდო, სიოს დაბერვაზე რომ ირწევა ნაზად, და აციმციმდა მასში შორეთის უხილავ სივრცეში გადაჭიმული იდუმალი შერწყმის დაძაბული თრთოლვა, მოესმა სატრფოს გულის ხეტიალის ხმა – შორი, მღელვარე, მშფოთვარე და მიუსაფარი, ვით მუსიკა, სიჩუმეში მჟღერი, ყველაფრის მიღმისეული და იქიდან გადმოღვრილი, მისკენ უცხოდ მავალი, მთრთოლვარე, მოციმციმე, ვით ვარსკვლავის შუქი, და მის მაძიებელ ბგერათა თანაჟღერადობის

შემზარავი სიმარტოვით, როგორც საზარი ხლართებით აღელვებული, იყო სულთა ყოველთა საცხოვრისს გამცდარი, გაცილებული.

და იგრძნო, რომ აქ უნდა დამთავრებულიყო რაღაც; ვერ ხვდებოდა რამდენ ხანს იდგა ასე; თხუთმეტი წუთი, ერთი? არაერთი? ან რამდენი საათი გასულიყო? ... დრო იყო უძრავი, უხილავი წყაროებით შევსებული – ვით ტბა უნაპირო, რომლის ირგვლივ არ ჩანდა შენაკადი ან ის ნაკადი, მას სათავეს რომ დაუდებდა. მხოლოდ ერთხელ – ვერ მიხვდა როდის, ამ უსაზღვრო ჰორიზონტის გაურკვეველი ადგილიდან – გაკრთა სადღაც მისი გონების ბინდში აზრი – გონების უეცარი განათება, .. და როდესაც მოუახლოვდა, გვერდით აღმოჩნდა, ამოიცნო დიდი ხნის წინ ჩაძირული ადრინდელი ცხოვრების სიზმრების მოგონება – თითქოს მტრების მიერ დატყვევებულს დამამცირებელი სამუშაოს შესრულებას აიძულებდნენ – ამ დროს იწყო ყველაფერმა გაფერმკრთალება, შეკუმშვა, და მის ცნობიერებაში ერთიმეორის მიყოლებით ამოიმართა – უკანასკნელად – შორეთის ნისლიანი ბინდიდან, ვით მოჩვენების იდუმალი სიცხადის თასმებით გადაკვანძული თამასების წყება, გაშორდა, დაიკარგა და გაახსენდა, რომ თავის დაცვას ვერ ახერხებდა, ძილში ყვიროდა, მძიმედ, ყრუდ იბრძოდა, სანამ ძალამ არ მიატოვა და შეგრძნებებმა არ უღალატა, გაახსენდა თავისი ცხოვრება – უკიდეგანოდ გადახსნილი, ბედკრული და უსახური, ... გაქრა შემდეგ ეს ყველაფერი და უხილავი წყაროებიდან შევსებულ, მომძლავრებულ სიჩუმეში იყო ნათება, სულის მოთქმის ტალღის უკუსვლა, ყოფილიყო თითქოს რაღაც უთქმელი თუ გამოუთქმელი, ... და შემდეგ, უეცრად, დაეუფლა იქიდან წამოსული – როგორც იყო უკვე ერთხელ – მისი ყოფნის ეს შემზარავი დაუცველობა, სიზმრებს მიღმა, შორი, შეუცნობი, მეორე სიცოცხლით ცოცხალი, მხოლოდ წარმოსახვითში, კიდევ ერთხელ, განმეორებით, როგორც დაპირება, სევდის ციმციმი, ხავერდოვანი სირბილე ჯერ არგანცდილი, საკუთარი მეს შეგრძნება – მისი ბედის საზარ ურყევობაში შიშველი, საკუთარი მეობისგან განძარცული – გამუდმებით სიღრმისეულ უძლურებას რომ ესწრაფოდა ტორტმანით, ამავე დროს, თვითონ, უცნაურად, გზააბნეულ, სადღაც მასში ჩაკარგულ, უმიზნო სინაზით სიყვარულის გასრულების მაძიებელ ნაწილს აცბუნებდა, და რომლისთვისაც დღის ენასა და მის მტკიცე, შეუცდომელ, წელგამართულ სვლაში სიტყვა არ მოიპოვებოდა.

ამ წუთში აღარც კი იცოდა, ეს სიზმარი, წლების მანძილზე თითქოს დავიწყებული, სწორედ ახლა, გაღვიძების წინ თუ ესიზმრა, და უეცრად მოეჩვენა ის დრო – სიზმრის დრო – იქვე, ზურგს უკან მდგარი, მოტრიალდი, თითქოს უეცრად, შეეჩეხე ვიღაცას, და ახლა, გაკვირვებული, მისჩერებიხარ. და ჰქონდა უცნაური შეგრძნება, რომ

ამ განმარტოებაში, ამ განცალკევებულ ოთახში, მისი სიცოცხლე, უწესრიგოდ გადათხრილი კვალივით, საკუთარ თავში, თითქოს მიწის სიღრმეში ჩაედინებოდა და იქ იკარგებოდა. კლოდინის უკან პატარა სინათლე ანათებდა, სახე კი სიბნელეში რჩებოდა; თანდათან კარგავდა შეგრძნებას, თუ როგორ გამოიყურებოდა თვითონ, წყვდიადში გაჩენილ უცნაურ ხვრელად მოეჩვენა ახლა საკუთარი კონტურები. და შენელდა მასში შეგრძნებები, დამუხრუჭდა აღქმა, აღარც იყო, თითქოს, აქ, სინამდვილეში, და მისი არსების რაღაც ნაწილი, მას ჩამოცილებული, ნლებსა და სივრცეში მოგზაურობდა, და ახლა, გამოღვიძებული, იყო შორი, უჩვეულო, ხელოვნური, თვით სინამდვილეშიც შეგრძნებებით სიზმარეულს მიტმასნილი, ... სადღაც, ... ამოტივტივდა ბინა, ... ადამიანები, ... შიშის საზარი ხლართები, მისი მარყუჟები ... შემდეგ წამოწითლება, ტუჩების სირბილე .. და გააზრება იმისა, რომ მოვა კვლავ ვიღაც, და სხვა, მივიწყებული შეგრძნება საკუთარი გაშლილი თმისა, მხრებისა, თითქოს იყო მოღალატე, უერთგულო მათი, ყველასი ... და, უეცრად, – შიშნარევი ჩაჭიდება სურვილისა უერთგულო სატრფოს, განვდილი ხელების დაღლა ნელი, აზრი: ჩვენ ერთმანეთს ვუღალატეთ მანამ, სანამ ერთმანეთს გავიცნობდით ... ეს იყო მხოლოდ აზრის მდუმარე გამოკრთომა, სანახევროდ ყოფნის ბინდში, უფრო განცდისა, გრძნობა სიმწრისა საოცრად მომხიბვლელი, ხარ თითქოს ქარში, ზღვიდან რომ უბერავს, და, დროდადრო, მისი მწკლარტე ამოსუნთქვის შემოხვევა წამიერი; უფრო აზრი – ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი ერთმანეთის გაცნობამდე, – თითქოს დღეანდელობაზე განვრცობილი მისი სიყვარულის უსასრულო დაძაბულობა, მას გასცდა და ორგულობას, ღალატს გადაეჭდო, საიდანაც მოსულიყო ერთხელაც მათთან, ორთან, მათ შორის მყოფი მარადიული ადრეული ხატიდან.

და მოეშვა, ჩაიკეცა გაოგნებული, დიდი ხანი ვერაფერს გრძნობდა, გარდა იმისა, რომ იჯდა, ირგვლივ მხოლოდ სიშიშვლე – საგნების, მაგიდის, სკამის. შემდეგი რაც გაახსენდა, იყო, ალბათ, ის გ., საუბარი გამგზავრების წინ, მიკიბულ-მოკიბული, სიტყვებს ამოფარებული, გაუგებარი; არა ცოცხალი სიტყვა, ან აზრი თუ ზრახვა სიტყვებში პირდაპირ გამჟღავნებული. და შემდეგ, მაგრამ როდის? – ფანჯრის ღრიჭოში შემოიჭრა თოვლიანი ღამის სველი, რბილი ჰაერი და მის შიშველ მხრებზე უხმაუროდ, ნაზად ჩამოსრიალდა. და იწყო მან ფიქრი, შორი, ტკივილიანი, როგორც ჩნდება ქარი წვიმიან, მოღუშულ მინდვრებში, და იქნებოდა ეს ჩუმი, ვით წვიმა ხშირი, მიწას წვრილ საცერში გაცრილი რომ ეფინება, ნეტარება ლანდშაფტზე გადაჭიმული ცისა – იყო უერთგულო, მოღალატე – ნეტარება სიცოცხლის იდუმალი დასასრულის ...

დილით ყველაფერს წარსულის განუმეორებელი სურნელი გადაჰფენოდა. კლოდინი სასწავლებელში წასვლას აპირებდა – გაღვიძება ადრეული, ვით მძიმე, გამჭვირვალე წყლიდან ამოსვლა; აღარ ახსოვდა არაფერი, რაც ღამით ასე აღელვებდა; სარკე ფანჯარას მიაყრდნო და შეუდგა თმის სამაგრებით მოწესრიგებას; ოთახში ჯერ კიდევ ბნელოდა. მაგრამ თმის ვარცხნისას, პატარა, დაბინდულ სარკეში დაძაბულად მზირალი, თავს სოფლელ გოგოდ შეიგრძნობდა, საკვირაოდ, გამოსასვლელად რომ ლამაზდება, და გააცნობიერა, რომ ეს მასწავლებლების გამო ხდებოდა, რომლებთანაც მიდიოდა ან, შესაძლოა, იმ უცხოსთვის, და ამ უაზრო წარმოდგენებისა თუ სახეებისგან ვეღარ თვისუფლდებოდა. შესაძლოა, ისინი შინაგანად არც აღელვებდნენ, მაინც არ ასვენებდნენ, ყველაფერს ეკვროდნენ, რასაც კი ხელს ჰკიდებდა და ყოველ მოძრაობაში იყო რაღაც ჩლუნგი მგძნობიარობისა, ფართოდ-ლაჯებ-გაშლილი სიარულის კოკეტურობისა, ზედაპირიდან სიღრმეში მდოვრედ, უსიამოვნოდ და შეუჩერებლად რომ ჟონავდა. ცოტა ხნის შემდეგ – უკვე მართლაც უსაქმო მისი ხელები; ბოლოს და ბოლოს უგუნურება იყო გარდაუვალისთვის წინააღმდეგობის გაწევა, და მაშინ, როდესაც რჩებოდა ასე, მერყევი და გაურკვეველი, ამ მდგომარეობაში მყოფი მოვლენებს უფრო ბედის მორჩილების, განზრახული თუ უნებლიე ქმედებების ბუნდოვანი შეგრძნებების არამყარ წყებად და არა რეალური გადაწყვეტილებების თანამიმდევრობად ახლდა, და – ხელების რბილ თმებში შეყოვნებისას და დილის სამოსის სახელოს ქათაქთა მკლავზე ჩამოსრიალებისას – კლოდინს მოეჩვენა, რომ ეს კვლავაც, როგორც ოდესღაც – ერთხელაც, ყოველთვის – ასევე იყო და ჰქონდა უცნაური შეგრძნება, რომ ახლა, სიფხიზლისას, დილის სიცარიელეში, მისი ხელების აღმა-დაღმა მოძრაობა, თითქოს, არა მის ნებას, არამედ რაღაც გულგრილი, უცხო ძალის მორჩილებას გამოხატავდა. და იწყო თანდათან ღამის განწყობამ მის ირგვლივ აღმასვლა, მოგონებები წამოიმართა, თუმცა მხოლოდ სანახევროდ, და კვლავ უკან შებრუნდა, ჩაიძირა, გაუჩინარდა, მისი დაძაბულობა ამ უახლესი მოვლენების წინაშე, ჯერ კიდევ ცოცხალი და მძაფრი, იყო, ვით ფარდის თრთოლვა. ფანჯრებთან ინათა, ამოიზარდა შიში. ამ მკრთალი სინათლის ხილვისას კლოდინი ნებაყოფლობით განთავისუფლებული ხელის მოძრაობას შეიგრძნობდა, და დაშვებას – ნელს, მაცდუნებელს – ვერცხლისფრად მოციმციმე ბუშტებსა და უცხო, დიდთვალება თევზებს შორის; გათენდა.

მან აიღო ქაღალდის ფურცელი და ქმარს მისწერა: „ ... უჩვეულოა ყველაფერი. ალბათ, რამდენიმე დღე გაგრძელდება, მაგრამ მეჩვენება, თითქოს შთანთქმული ვარ რაღაცაში, ჩემ ზევით რომაა,

ჩვენი სიყვარული, მითხარი, რა არის? დამეხმარე, მომაწვდინე ხმა. ვიცი, ის კოშკივითაა. მაგრამ მეჩვენება, რომ მხოლოდ თრთოლვას ვგრძნობ სუსტი, ტანკენარი სიმაღლის ირგვლივ ..."

როდესაც წერილს აგზავნიდა, ფოსტის თანამშრომლისგან გაიგო, რომ კავშირი არ იყო.

შენობა მაშინვე დატოვა. სითეთრით გარშემორტყმული პატარა ქალაქი თითქოს იმავე ფერის ზღვას დაეფარა. დროდადრო გადაიფრენდა ყვავი, ხან კი შავ ლაქად ბუჩქი ამოიმართებოდა. სიცოცხლე მხოლოდ სივრცის სიღრმეში, დაბლა, გარეუბნებში განახლდა.

მობრუნდა უკან და დადიოდა ქუჩებში, აღელვებული. თითქმის ერთი საათი. მოინახულა ყველა შესახვევი, შემდეგ შემობრუნდა, იგივე გზა საპირისპირო მიმართულებით გაიარა, გეზი კვლავ შეიცვალა, გადაკვეთა მოედნები – ადვილად გაახსენეს თავი ამასწინანდელმა შთაბეჭდილებებმა; პატარა, რეალობისგან მოკვეთილ ქალაქში, ყველგან: ციებცხელებიანი შიშველი სივრცის თეთრი ჩრდილების თამაში, სახლების წინ – თოვლის მაღალი ბორცვები; ჰაერი – მშრალი, გამჭვირვალე; მართალია, ჯერ კიდევ თოვდა, მაგრამ ფანტელები უკვე მეჩხრად ცვიოდა – გამხმარ, ბრტყელ, ბრჭყვიალა ფოთლებად; ისეთი პირი უჩანდა, მალე გადაიღებდა. ხანდახან, დაკეტილ კარებს ზევიდან, ფანჯრები – ნათელი მზერის ქუჩაში გამოხედვა, მათი სინათლე – შუშისებრ-ლაჟვარდოვანი ნათება, ქუჩაში – თოვლის ხრაშუნი, თითქოს მინის ნამსხვრევებზე დადიოდა. ხანდახან კი ყინულის ლოლოს ჩამოვარდნის ხმა ისმოდა; შემდეგ, წუთიერად, მდუმარე სივრცეში გაჩენილი ბასრწახნაგებიანი ნაპრალი უმზერდა, ტეხილი შემოწერილობის ხვრელი. სადღაც აელვარდა სახლის კედელი, ხან ვარდისფრად, ხან კი მკრთალ ყვითლად, როგორც კანარის ჩიტი ... ის, რასაც აკეთებდა, სიცოცხლის ამ გამძაფრებულ აღქმაში უცნაური მოეჩვენა; სრულ სიჩუმეში, ყოველი ხილული, წამიერად, რაღაც სხვა ხილულში, თითქოს საკუთარ ექოდ აირეკლებოდა; შემდეგ ირგვლივ ყველაფერი ჩაიშალა, თითქოს თავის თავში ჩაიძირა; მის ირგვლივ უაზრო პატარა ქუჩებში სახლები შემოჯარულიყო, როგორც გვერდიგვერდ ტყეში სოკოები ან, თითქოს გაშლილ სივრცეში შეჯგუფებული, წელში მოხრილი, კუზიანი ბუჩქები, ყველაფერი იყო საზეიმო, ამაღლებული და თავბრუს ხვევას იწვევდა. ქალში თითქოს ცეცხლი გიზგიზებდა, მასში რაღაც მოძრაობდა, ვით მწარე, მწველი სითხე და ჩაფიქრებით მავალს, თავი უზარმაზარ, იდუმალ, ცეცხლოვან და თხელკედლიან ჭურჭლად წარმოუდგა, რომელსაც ქუჩებში დაატარებდნენ.

წერილი დახია. სასწავლებელში შუადღემდე დარჩა, პედაგოგებთან საუბრობდა.

ოთახში სიჩუმე მეფობდა; პირქუში, ღრმა, გუმბათოვანი სივრცის კუთხიდან გარეთ გახედვისას, ის ვრცელი, ბინდიანი ეჩვენებოდა, როგორც რუხი, თოვლიანი სინათლის ფარდის მიღმა. ადამიანების ფიგურებს განსაკუთრებით რელიეფურად აღიქვამდა, მძიმე, დამთრგუნველი იყო მათი მკაფიო კონტურები. საუბარი მისი მხრიდან იყო არაპირადული, ოფიციალური, პასუხად ესმოდა იგივე, თუმცა, ხანდახან, იყო ვნების წამონთება, როდესაც მზად ხარ მას დაჰყვე, ღამის დანებდე. უკვირდა, რადგან არ მოსწონდა ისინი, არაფერი იყო ისეთი, მას რომ მიიზიდავდა, ყოველი მათგანი იყო ანტიპათიური და უარყოფითად განაწყობდა, თუნდაც მათი დაბალი სოციალური ფენისადმი მიკუთვნებულობის გამო, და, მაინც, ეჩვენებოდა – საპირისპირო სქესი, მამაკაცური მათში, თითქოს ასეთი სიმძაფრით არასოდეს განეცადა, ან ამ გრძნობის მწველი სიცხოველე დიდი ხნის დავიწყებული ჰქონდა. შეამჩნია, რომ მასში ამ გრძნობას მათი სახეების ხილვა აღძრავდა, მწირი განათებით გამძაფრებული, ეს გაცვეთილი, ჩლუნგად ყოველდღიური და მაინც ძლევამოსილი, როგორც ტლანქი, უზარმაზარი, გამოქვაბულში დაბუდებული ცხოველის მაცდური სუნი, ამ ადამიანების ირგვლივ გაუცნობიერებლად რომ შეიგრძნობდა, და იყო ეს ძალა მათი სიმახინჯის გამო განსაკუთრებით აუხსნელი. თანდათან კვლავ დაუბრუნდა დაუცველობის გრძნობა ძველი, მისი სიმარტოვის ხშირი სტუმარი, და გაუჩნდა უჩვეულო მონური მორჩილება, მზადყოფნა: აჰყოლოდა საუბრის ყველა ნიუანსს, დაჰყოლოდა მათ ნებისმიერ სურვილს, გრძნობდა იმ გამახვილებულ ყურადღებაში, რომლითაც უგდებდა ყურს, რომ პატივი იყო თუნდაც ის, რომ აქ იყო და მათთან საუბრობდა.

კლოდინი უკმაყოფილო იყო, გაღიზიანებული, რადგან ფიქრობდა, რომ აქ მეტისმეტად დიდხანს მოცდა, ბოჭავდა, თრგუნავდა თვით ოთახის ჰაერი, აქაური მწირი განათება და, უეცრად, პირველად, ეწვია აზრი, რომ მას, თავის ქმართან აქამდე განუყრელად მყოფს, ახლა, მარტო დარჩენილს, შეეძლო წარსულთან დაბრუნება, მისი გააზრება.

რასაც ახლა გრძნობდა, იყო უკვე არა რაღაც უმისამართო, გაურკვეველი, არამედ რეალურ ადამიანებთან დაკავშირებული. და, მაინც, იყო ეს შიში არა მათ, არამედ იმის მიმართ, არ აღექვა ისინი ისე, რომ მათი მაცდუნებელი საუბრით მოდუნებული სიფხიზლისას, მის მიმნდობ ბუნებაში ფარული მღელვარება აღმოცენებულიყო, არა ერთი, ცალკეული გრძნობის მომცველი, არამედ მათ საერთო საფუძველს მოდებული, საიდანაც აღმოცენდებიან ისინი – დადიხარ თითქოს შენში ზიზღის აღმძვრელ ბინებში, მაგრამ, შეუმჩნევლად, თანდათანობით, აცნობიერებ, თუ რა ბედნიერი შეიძლება იყვნენ

იქ ადამიანები და უეცრად დგება წამი, როდესაც შემოგერტყმება, შემოგეხვევა რაღაც, ხარ თითქოს შენც ერთ-ერთი მათგანი, გინდა გადახტე უკან და გრძნობ, ერთ ადგილზე მიჯაჭვული, რომ ჩაკეტილა სამყარო ყოველი მხრიდან, შენ კი, რჩები შუაგულში, მშვიდი, უშფოთველი ...

ეს შავი, წვერიანი ადამიანები უზარმაზარ ფიგურებად მოეჩვენა ნაცრისფერ სინათლეში, ამგვარი უცხო გრძნობის ბინდიან სფეროსებრ სხეულში და ცდილობდა წარმოედგინა, თუ როგორი იქნებოდა საკუთარი თავის ირგვლივ სივრცის ამ ჩაკეტვის, მისი გადარაზვის შეგრძნება. და მაშინ, როდესაც მისი აზრები, სადღაც, როგორც რბილ, აფუებულ მიწაში სწრაფად იძირებოდა, უეცრად ხაოიანი, თამბაქოს ბოლით გამჭვარტლული ხმა და სიტყვები მოესმა, თითქოს სიგარეტის ბოლში გახვეული, გამუდმებით ტრიალებდა მის ირგვლივ, მსუბუქად ეხებოდა, სახეზე ეხახუნებოდა, მეორე ხმა კი, მკაფიო და მაღალი, იყო ლითონის ჩასაბერი საკრავების მსგავსი. ცდილობდა იმ ჟღერადობის წარმოდგენას, რომლითაც ის, დაფლეთილ-დაქუცმაცებული, მოლივლივე, ვნებიანი აღტყინების სიღრმეში ჩაიძირებოდა. შემდეგ კვლავ მიიზიდა მისი გრძნობები მოუქნელმა, ხვეულების უჩვეულო ტეხილებად აღქმულმა მოძრაობამ, და ცდილობდა შეეგრძნო ოლიმპიურ-სასაცილო, როგორც მანდილოსანს, ღრმად რომ სწამს ამის, .. იქვე, ახლოს, წამოიმართა რაღაც, მისი სიცოცხლისთვის გარეშე, უცხო, გასცდა სიმაღლეში, გადმოეკიდა, და იყო უზარმაზარი, როგორც მათრობელი სუნის მფრქვეველი, ბანჯგვლიანი ცხოველი; გრძნობდა, რომ სურდა მათრახის მოქნევა, რათა დასცხრომოდა ამ არსებას, და აღიქვა უეცრად – შებოჭილმა, ბუნდოვნად – ნაცნობი ნაკვთების ერთმანეთში გადასვლა, მათ ურთიერთ შეხამებათა თამაში სახეზე, ასე უცნაურად რომ ჰგავდა მისას.

შემდეგ ფიქრობდა მალულად: „როგორ შეეძლებდით ჩვენ, ადამიანები, ასეთ თანამოძმეებთან ცხოვრებას ... " იყო ეს უჩვეულოდ მტანჯველი ტკბობა, ტვინის განვრცობილი სიხარული, ვით წინ გადებული თხელი მინა, რასაც ეკვროდა ტკივილით მისი ფიქრები, რათა ემზირა მის მიღმა, იქით, უცნობ, ბინდიან სივრცეში და ახარებდა ადამიანებისთვის ღიად, ნდობით თვალის გასწორება. შემდეგ სცადა დაენახა ქმარი აქედან დანახული უცხო მზერით. და შეძლო მშვიდად, მიუკერძოებლად ეფიქრა მასზე; ის რჩებოდა საოცარ, შეუდარებელ ადამიანად, მაგრამ მასში რაღაც – უწონადი, გონებისთვის მიუწვდომელი – გამქრალიყო და მოეჩვენა ის ფერმკრთალი და ოდნავ შორი; ხანდახან, ავადმყოფობის უკანასკნელი, ბოლო შემოტევისას დგას ადამიანი ასეთ გრილ, ყველაფრისგან გამიჯნულ სიკაშკაშეში. გაიფიქრა, რომ ოდესღაც მართლაც შეიძლება თავს გარდახდენოდა

მსგავსი იმისა, რითაც ახლა ერთობოდა, რომ იყო დრო, როდესაც ქმარს მყარი, თვით უმცირესი ეჭვით შეუბღალავი რწმენით აღიქვამდა, ისეთად, როგორადაც ცდილობდა ახლა მის წარმოდგენას, და უჩვეულო იყო ეს ყველაფერი.

ყოველდღიურად ტრიალებს მავანი გარკვეულ ადამიანებს შორის ან დადის ლანდშაფტში, მოძრაობს ქალაქში, სახლში, და ეს ლანდშაფტი ან ეს ადამიანები მუდამ მასთან არიან, მორჩილი და თვინიერი, ყველა ნაბიჯზე მის ფიქრთა თანმხლები. მაგრამ, ერთხელაც, უეცარი, შეუმჩნეველი ბიძგით ჩერდებიან, გაუგებარი, აუხსნელი სიმტკიცით – მდუმარე, უცხო და გაჯიუტებული. აი, შეხედავს მავანი თავის თავს, და დგას მათთან უკვე უცხო არსება. ანუ აქვს ადამიანს წარსული. მაგრამ რა არის ეს? ჰკითხა კლოდინმა თავის თავს და, მოულოდნელად, ვერ აღმოაჩინა ვერაფერი, რასაც შეიძლებოდა სახე ეცვალა.

იცოდა, სწორედ იმ წამს, არაფერია უფრო მარტივი, ვიდრე პასუხი, რომ თვითონ შეცვლილა ადამიანი, მაგრამ მასში უცნაური შინაგანი წინააღმდეგობა ძლიერდებოდა და ამ ყველაფრის გაგებას უძალიანდებოდა; მოვლენათა განმსაზღვრელ ამ დიდ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს კი მხოლოდ აბსურდულობას გაშინაურებული გონება თუ შეიცნობს, და უკვე აღარც ის სიადვილე ესმოდა, რითაც წარსულს, ოდესღაც მასთან ახლოს მყოფს, საკუთარი სხეულივით შერწყმულს, ასე უცხოდ აღიქვამდა, და მალე ისიც წარმოუდგენელი მოეჩვენა, რომ ის, შესაძლოა ოდესმე სხვაგვარი ყოფილიყო. შემდეგ იმაზე ფიქრობდა, როგორ ხდება, რომ ხანდახან ხედავ რაღაცას – შორეულსა და უცხოს – მიდიხარ იქით და ერთ განსაზღვრულ ადგილას საკუთარი ცხოვრების წრეში შეაბიჯებ, მაგრამ ადგილი, სადაც ერთ დროს იყავი, უჩვეულოდ დაცარიელებულა. ან საკმარისია მხოლოდ წარმოიდგინო, გუშინ გავაკეთე ესა თუ ის: წამი არის თითქოს უფსკრული, რომლის პირისპირ მარტო რჩები, არსება ფერმკრთალი, უცხო, ავადმყოფი. უბრალოდ არ ფიქრობ ამაზე; და უეცრად, გონების წამიერ განათებაში, მთელი თავისი ცხოვრება ამ გაუგებარი, მუდმივი ღალატით განმსჭვალული წარმოუდგა, რითაც ადამიანი – სხვებისთვის უცვლელი, იგივე – საკუთარ თავს ემიჯნება, არც იცის რატომ, და მაინც იდუმალად, მასში უკანასკნელ, მარად გაუფლანგავ, ცნობიერს მიღმა სინაზეს, და მისი მეშვეობით, მეტად, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქმედებით, საკუთარ თავს უფრო სიღრმისეულად შეიგრძნობს.

და მაშინ, როდესაც უცხო მზერისთვის გაშიშვლებულ-გადახსნილი ამ გრძნობის სიღრმე ქალში ნათებად თრთოდა-ციმციმებდა, გრძნობდა, თითქოს მისი სიცოცხლის დამზღვევი წრიული ბრუნვის

უსაფრთხოება, მის სიცოცხლეს ძირს დანარცხებისგან რომ იცავდა და მაღლა ატარებდა, უცბად გამქრალიყო და ახლა ის, სიცოცხლე, საყრდენგამოცლილი, სიმყარედაკარგული, ასობით შესაძლებლობად თუ ალბათობად დაქუცმაცებული, სხვადასხვა სიცოცხლის მომიჯნავე კულისებად ნაწევრდებოდა, მათ შორის კი, თეთრ, ცარიელ, მშფოთვარე სივრცეში ამოტივტივდებოდნენ პედაგოგები, ბნელი, ბუნდოვანი სხეულები და იძირებოდნენ, შეხედავდნენ მომლოდინედ, და თავის ადგილზე მძიმედ ჩერდებოდნენ. გრძნობდა უცნაურ, სევდიან სიამოვნებას სახეზე მორგებულ უკარება მანდილოსნის ქედმაღლურ ღიმილში; გარეგნულში, გამომეტყველებაში ჩაკეტილი, მათ წინაშე მჯდომარე, თვითონაც მხოლოდ შემთხვევითი, მათგან მხოლოდ ირგვლივ შემორტყმული შემთხვევისა და ფაქტის ცვალებადი გარსით გამიჯნული. და, მაშინ, როდესაც სივრცეში საუბრისას ტუჩებიდან სხარტად და არაფრისმთქმელად არეკლილი სიტყვები მოემართებოდა და გზას უსიცოცხლოდ, დუნედ მიიკვლევდა, როგორც კემსვისას ძაფი, შეაცბუნა აზრმა, რომ, როდესაც ამ ადამიანთაგან ერთ-ერთის პიროვნული ატმოსფერო, მისი ნების მიზიდულობა, ქალის ირგვლივ წრეს შეკრავდა, მისი ნამოქმედარი იქნებოდა ალბათ ნამდვილი, ყოფილიყო თითქოს ეს სინამდვილე მხოლოდ რაღაც უმნიშვნელო, გულგრილობის, დაუდევრობის ნაშიერი, დროდადრო მოვლენათაშორისი პატარა პაუზის წამიერი ღრიჭოდან ამოტყორცნილი – რომლის მიღმაც ადამიანს, საკუთარ მე-ს, ხილულის, შემდგარის ზედაპირიდან შორს, ღრმად ჩაძირულსა და საკუთარი თავისთვის მიუწვდომელს, თითქოს მარად შეუმდგარი სინამდვილის სიღრმისეული დინება მიაქანებდეს, რომლის ეული, სამყაროს შორეთში გარიყული სინაზის ჟღერადობა არავის ესმის. მისი უსაფრთხოება, მოსიყვარულე შიშში ერთადერთზე ეს ჩაჭიდება-ჩაბღაუჭება ამ წამს მოეჩვენა არაარსებითი, ზედაპირული, იმ, გონების მიერ უკვე ძნელად აღსაქმელ უწონად გრძნობასთან შედარებით – მარტოობის უკანასკნელ, ყველაფერს გამიჯნულ, მომხდარისა თუ მოსახდენისგან თავისუფალ ინტიმურობაში ეკუთვნოდეთ ერთმანეთს.

და ჩაუსახა იმედები მასში მღელვარების ექოდ დარხეულმა სამინისტროს მრჩევლის მოულოდნელმა გახსენებამ, რომ ის ქალის მიმართ გულგრილი არ იყო და ალბათ სწორედ მასთან იქცეოდა სინამდვილედ ის, რაც ახლა, აქ, მის გონებაში მხოლოდ შესაძლებლობებით და ალბათობებით თვითნებურ თამაშად ყალიბდებოდა.

წამით გააჟრჟოლა, თითქოს რაღაცამ გააფრთხილა; გაახსენდა სიტყვა სოდომი; უნდა მივდიო სოდომის წესს ...?! მაგრამ ამის უკან იყო მისი სიყვარულის ცდუნება: რათა სინამდვილეში შემიგრძნო

მე, ამ ცხოველის მიღმა, ის, რის წარმოდგენაც ადამიანს არ ძალუძს. რათა ვეღარ შეძლო მანდ მტკიცედ და ადვილად გწამდეს ჩემი. რათა გავხდე შენი შეგრძნებებისთვის მოუხელთებელი – ხილვა, რომელიც ვერ მკვიდრდება რეალობის სიცხადეში და იძირება, როგორც კი მზერას მოაცილებ. ვარ მხოლოდ ხილვა, შენ იცი, მხოლოდ რაღაც შენში, ვარსებობ შენით, მანამ, სანამ მაკავებს შენი ნება, თუ არა ოდენ რაღაც, სატრფო, ასე უცნაურად შერწყმულ-შეწყვილებული ...

და შეიპყრო ღალატის, უერთგულობის, თავგადასავლების ძიების მსუბუქმა სევდამ, მოქმედების მონატრებამ, არა მიზნის გამო, რისთვისაც მას ჩვეულებრივ სჩადიან – მხოლოდ იმიტომ, რომ აკეთო რაღაც, ოღონდ როგორმე საკუთარ თავთან არ დარჩე მარტო. გრძნობდა ქალი, რომ სამინისტროს მრჩეველი იდგა ახლა სადღაც და ელოდა. ეჩვენებოდა, რომ ქალის ირგვლივ შევიწროებული თვალსაწიერი ახლა მისი, მრჩევლის სუნთქვით ივსებოდა და ჰაერი ირგვლივ მამაკაცის სუნით იჟღინთებოდა. დაეტყო მოუსვენრობა, დაიწყო დამშვიდობება. ის, რომ მასთან მიდიოდა, შეიგრძნო სხეულში წამიერი სიცივით, იქ, იმ ადგილებში, სადაც ეს მოხდებოდა. იყო ისე, თითქოს რაღაცას მოჰკიდა ხელი, კარისკენ წაიღო და იცოდა, გადმოემხობოდა კარი და ცდილობდა დაეცვა თავი, და ყურადღებით უსმენდა, გრძნობები ჰქონდა გამძაფრებული და იყო ეს, ვით ძებნაში წინ გაწვდენილი ხელის ცეცება.

როდესაც შეხვდა, აღიქვამდა მას უკვე არა ნაცნობობის დასაწყისში, არამედ უშუალოდ მის ცხოვრებაში შემოჭრის წინ. ქალმა იცოდა, რომ ფიქრობდა მასზე და რაღაც გეგმა, ალბათ, მოფიქრებულიც ჰქონდა. გაიგონა ნათქვამი: „მე შეგუებული ვარ, რომ თქვენ მე უარმყოფთ, მაგრამ იცოდეთ, ჩემზე ერთგულ თაყვანისმცემელს ვერასდროს იხილავთ.“ კლოდინმა არაფერი უპასუხა. შთამბეჭდავად, დინჯად, დაჟინებით მოემართებოდა კაცის სიტყვები; უკვე გრძნობდა ქალი, რაც მოხდებოდა, როგორც კი მოქმედებას დაიწყებდნენ. შემდეგ თქვა: „იცით, რომ მართლა დაგვფარა თოვლმა?“ და მოეჩვენა, რომ ეს ყველაფერი ადრეც ჰქონდა განცდილი, თითქოს სიტყვები ეფლობოდა ერთხელ უკვე წარმოთქმული, მსგავსი სიტყვების კვალში. ყურადღებას აქცევდა არა იმას, თუ რას აკეთებდა, არამედ განსხვავებას, რომ რასაც ახლა აკეთებდა, იყო აწმყოც და ამავე დროს წარსულიც; ეს თვითნებური, ეს შემთხვევითი, მისი შემწეობით გაღვიძებული გრძნობის სუნთქვის თანხლება ახლო. და ჰქონდა საკუთარი თავის უძრავობის შეგრძნება, რომელსაც, როგორც ქვებს პატარა ტალღები, განუწყვეტლივ ევლებოდა წარსული და დღევანდელობა.

ცოტა ხნის შემდეგ მრჩეველმა თქვა: „ვგრძნობ, შინაგანად რაღაც

გაფერხებთ. ვიცი ეს გრძნობა. ცხოვრებაში ერთხელ ყველა ქალი დგება ამ არჩევანის წინაშე. თქვენთვის ძვირფასია ქმარი, არ გინდათ მას ტკივილი მიაყენოთ, ამიტომ იკეტებით საკუთარ თავში. მაგრამ ამისგან თუნდაც მცირე ხნით უნდა განთავისუფლდეთ და იყოთ მზად – განიცადოთ დიდი ვნება, თამამად გადაეშვათ გრძნობების ქარიშხალში." კვლავ დუმდა ქალი. გრძნობდა, ამ დუმილს თავის სასარგებლოდ გაიგებდა კაცი, მაგრამ ეს რაღაცნაირად, უჩვეულოდ სიამოვნებდა. ის, რომ იყო მასში რაღაც, ქმედებაში ხორცშესხმის ნებას რომ უსხლტებოდა და, ამდენად, რამე არც ქმედებისგან ემუქრებოდა და, ვერც მისგან თავის დაცვას მოახერხებდა – ან კი სჭირდებოდა? – რადგან იყო ის სიტყვებსმიღმიერი; რათა გაგეგო, უნდა გყვარებოდა ისე, როგორც უყვარდა მას თავისი თავი, და იმ რაღაცას, მხოლოდ ქმართან საერთოს, უფრო მძაფრად სწორედ ამ სიჩუმეში გრძნობდა; და თავისი არსების გარსის ამ უცხოსთვის საჯიჯგნად დათმობაში იყო მასთან სიღრმისეული, შინაგანი ერთიანობა.

სეირნობდნენ, ერთობოდნენ ასე. და იყო მის გრძნობაში მოძრაობა წინ, შორს, გადახრა იქით, სხვა სამყარომდე მიწვდენის სურვილი თავბრუდამხვევი, თითქოს რჩეულისადმი თავის მიძღვნის, მიკუთვნებულობის შეუცნობ იდუმალებას უფრო ღრმად შეიგრძნობდა, ეჩვენებოდა, ხანდახან, რომ ცდილობდა თავის თანმხლებს მორგებოდა, მისთვის ფეხი აეწყო, რათა სხვებს სხვად მოსჩვენებოდა და ყოფილიყო მათი მსგავსი და, ხანდახან, თითქოს ცოცხლდებოდა ხუმრობა, თავქარიანობა, ონავრობა, ყმაწვილქალური განცდები, საგნები, ყველაფერი, რასაც ის, მისი აზრით, უკვე დიდი ხანია გასცდენოდა; შემდეგ თქვა კაცმა: მოწყალეო ქალბატონო, თქვენ გონებამახვილი ადამიანი ბრძანდებით.

ამის გაგონებისას გვერდით მიმავალმა გააცნობიერა, რომ ცარიელ სივრცეში მოხვედრილი კაცის სიტყვები, იქ ეულად მკვიდრდებოდა. შემდეგ თანდათან მათ გვერდზე გაჩნდა სახლები, რომლების გასწვრივაც ისინი მიდიოდნენ, ოდნავ განსხვავებული და ადგილშენაცვლებული, როგორც ფანჯრის მინებში არეკლილი მათი მასპინძელი პატარა ქუჩები, და ცოტა ხნის შემდეგ იყო თვითონაც ასევე სახეშეცვლილი და დამახინჯებული, თუმცა ცნობდა მაინც თავის თავს. ქალი შეიგრძნობდა ყოველდღიურობის ადამიანისგან მომავალ ძალას, – იყო ეს სამყაროს შეუმჩნეველი გადაადგილება, მისი სივრცეში გადანაცვლება, საკუთარი-თავის-წინ, იქით – კაცისგან სიცოცხლის მარტივი ძალა მოედინებოდა და საგნების ზედაპირს ამრუდებდა. ქალს აბნევდა, აცბუნებდა თავისი სახე, ჯერ კიდევ ამ სარკისებურ სრიალა სამყაროში თვალმოკრული; და ეჩვენებოდა, რომ კიდევ ცოტა, მცირედი დათმობა და იქნებოდა ის სრულად არა

თვითონ, არამედ მხოლოდ მისი ანარეკლი. მოულოდნელად თქვა კაცმა: „დამიჯერეთ, ეს მხოლოდ ჩვევაა. ჩვიდმეტი თუ თვრამეტი, არ ვიცი რამდენი წლის წინ, სხვა კაცი რომ გაგეცნოთ და მასზე გათხოვილიყავით, ცდა – გამხდარიყავით დღევანდელი მეუღლის მეუღლე – დღეს თქვენთვის ასევე მძიმე იქნებოდა."

მიაღწიეს ეკლესიამდე, მედიდურად და ეულად მოჩანდა მათი ფიგურები დიდ მოედანზე; კლოდინმა აიხედა, მრჩევლისგან მომდინარე ჟესტების მეტყველი ნაკადი ცარიელ სივრცეში უჩვეულოდ რელიეფურად იკვეთებოდა. უეცრად, წამით მოეჩვენა, თითქოს საკუთარ ტანზე მიჯრით ამოზრდილი ათასობით კრისტალი აბურძგნილიყო; ირგვლივ დაღვრილი, დაქსაქსულ-დანაწევრებული, მშფოთვარე და ბინდიანი სინათლე მის სხეულში ზევით მიემართებოდა და კაცი, რომლამდეც ის აღწევდა, უეცრად, სრულიად განსხვავებულად აღიქმებოდა, მისი ყველა კონტური, ყველა ხაზი თავს ქალში იყრიდა, ფეთქავდა, ვით მისი გული და, ახლა, საკუთარ სხეულზე განვრცობილ მის ყველა მოძრაობას შიგნიდან შეიგრძნობდა. ქალს უნდოდა ეყვირა, ეკითხა, თუ ვინ იყო ის, მაგრამ გრძნობა რჩებოდა კანონების არმცნობ, უარსო ხილვად, მასში უცნაურად მოლივლივედ, თითქოს მას არც ეკუთვნოდა.

კიდევ ერთი წამი და ირგვლივ ყველაფერი გამეჩხრდა, ნისლიანი და ჩაქრობისთვის განწირული. ქალმა მიმოიხედა; მდუმარე და წელგამართული იდგა მოედნის ირგვლივ სახლები, კოშკზე ჩამორეკა საათმა. მტკიცედ, ფოლადისებურად აირეკლებოდა დარტყმები ოთხი კედლის ფანჯრებიდან, ექოს ანარეკლებად ნაწევრდებოდა, განვრცობისას სუსტდებოდა, სახურავებზე ფარფატებდა და იკარგებოდა. კლოდინი იყო წარმოდგენის ტყვეობაში, რომ გასრიალდებოდნენ ისინი სამყაროში შორს, დაეუფლებოდა მათი ჟღერადობა სივრცეებს და უეცრად შეიგრძნო შინაგანი თრთოლვით: მოგზაურობენ ხმები სამყაროში, მძიმე, მრავალკოშკიანი, როგორც მოგუგუნე ბრინჯაოს ქალაქები, რაღაც, რაც არ არის გონება, ... გრძნობების დამოუკიდებელი, მოუხელთებელი სამყარო, მხოლოდ თვითნებურად, ყოველდღიურობის საღ გონებასთან შემთხვევით და უხმოდ-წამიერად რომ ერთიანდება, როგორც ის უძიროდ ღრმა, ხავერდოვანი სიმუქის სიმრავლე, ხანდახან უძრავ, ნათელ ცაზე რომ გადაადგილდება.

იყო ისე, თითქოს, იდგა რაღაც გვერდით და უყურებდა. გრძნობებისგან დაცლილ სივრცეში მამაკაცის აღგზნებას მშანთავ საგნად აღიქვამდა, ბნელს, პირქუშს, თავის ვნებებთან მარტოობაში მეზრძოლს. და, თანდათან შეიგრძნო მძაფრი ქმედება – რასაც მოელოდა მისგან კაცი, რაც მას სწყუროდა – რაღაც არაპიროვნულგანყენებულად; არაფერი, თუ არა სურვილი შეგხედონ – უბრალო

შეხედვა, ბლაგვი და ჩლუნგი, როგორც უყურებს უცხოდ ერთმანეთს სივრცეში წერტილები, ჩვენი აღქმისთვის მიუწვდომელ-შეუცნობს შემთხვევით გამოსახულებაში რომ აერთიანებს და ერთ ხატად ამთლიანებს. და შეიკუმშა, დაიჭირხნა, თითქოს თვითონაც იმ წერტილთაგან ერთ-ერთად ქცეული. ჰქონდა ამ დროს საკუთარი თავის უჩვეულო შეგრძნება – აღარაფერი საერთო სულიერებასთან და თავისი არსის საკუთარი ნებით არჩეულ, მის რჩეულ ნაწილთან და, მაინც, იყო იგივე, რაც სხვა დროს. უეცრად გაუქრა შეგნება, რომ მის წინ იყო კაცი სულის საზარი ყოველდღიურობიდან. თითქოს იდგა თვითონ შორს, გაშლილ სივრცეში, ირგვლივ კი ბგერები ჰაერში და ღრუბლები ცაში, მდუმარე, და ეფლობოდნენ თითქოს ღრმად, მათ კუთვნილ ადგილსა და წამში, და იყო ისიც სხვა არაფერი, თუ არა ისინი, რაღაც მოძრავი, ულერადი, ... ფიქრობდა, რომ კარგად ესმოდა ცხოველების სიყვარულის ... ასევე ღრუბლების, შრიალის. და გრძნობდა მრჩევლის თვალებს, რომ ეძებდნენ მისას ... შეკრთა, გაუჩნდა საკუთარი თავის მონატრება და შეიგრძნო, მოულოდნელად, ტანსაცმელი, როგორც რაღაც, მასში უკანასკნელ, შემორჩენილ სინაზეს შემოხვეული, მის ქვეშ საკუთარი სისხლი, და ეჩვენებოდა, რომ სცემდა მისი მძაფრი, მთრთოლვარე სურნელი. აღარაფერი დარჩენოდა, გარდა საკუთარი სხეულისა, რომელზეც უნდა ეთქვა უარი და იყო ეს გამძაფრებული სულიერების უზენაესი ლტოლვა, სურვილი სინამდვილეზე ამაღლებისა და შეგრძნება სულისა, ვით შეგრძნება სხეულისა, ეს ნეტარება უკანასკნელი, და არ იცოდა გარდაისახებოდა მისი სიყვარული უკიდურესი სითამამის გამოწვევად, თუ იყო უკვე გამოფიტული, უფერული, და ახლა მისი გრძნობები გულგრილად იღებოდა, როგორც უსიცოცხლოდ ცნობისმოყვარე ფანჯრები.

შემდეგ იჯდა სასადილოში. იყო საღამო. გრძნობდა მარტოობას. მიმართა უცნობმა ქალმა: „დღეს ნაშუადღევს ვნახე თქვენი ქალიშვილი, გელოდათ, რა საყვარელი ბავშვია, რა თქმა უნდა, ასეთ არსებას თქვენთვის დიდი სიხარული მოაქვს.“ ამ დღეს კლოდინი არ ყოფილა სასწავლებელში, მაგრამ ვერაფერს პასუხობდა, თითქოს ადამიანებთან არა თვითონ, მთელი მისი არსება, არამედ მისი სხეულის ყველაზე ნაკლებმგრძნობიარე ნაწილები რჩებოდა: თმა თუ ფრჩხილები, ან სულაც მთელი სხეული თითქოს რქოვანი გამხდარიყო. მაინც უპასუხა რაღაც და ჰქონდა შეგრძნება, რომ ყველაფერი, რასაც ამბობდა, იბლანდებოდა, ტომარასა თუ ბადეში იხლართებოდა; საკუთარი სიტყვები ეჩვენებოდა უცხოდ უცხოთა შორის; და ფართხალებდა ისინი როგორც თევზები სხვა თევზების ცივ, სველ სხეულზე შეხედულებების, აზრების გამოუთქმელ ხლართებში.

იგრძნო ზიზღი. კვლავ გააცნობიერა – ერთმანეთის გაგებისთვის არსებითი იყო არა მათ მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომ ყველაფრის ახსნა სრულიად სხვაგან უნდა ეძებნა – ღიმილში, უეცარ დუმილში, მოკარნახე შინაგან ხმაში. და დაეუფლა სევდა გამოუთქმელი, მონატრება იმ, მასავით მარტოსული ერთადერთისა, რომელსაც აქ ვერავინ გაუგებდა, არაფრის მქონისა, თუ არა ოდენ სამყაროს სურათებით დახუნძლული, სივრცეში მსუბუქად მოლივლივე, მოსრიალე, ვით ნისლიანი ციებ-ცხელება, რბილი, ხავერდოვანი სინაზისა, საგნების ხისტ დარტყმას საკუთარ თავზე რომ იღებს და ყოველივე ჩვენ გარეთ მომხდარს, ჩვენი ცნობიერების სიბრტყეზე გაკეთილშობილებულსა და შერბილებულს აღბეჭდავს, იმ დროს, როდესაც შინაგანად ყველაფერი მარადიულ, იდუმალ, ყველა შრეში დავანებულ თავის თავთან ყოფნის ჰარმონიაში ლივლივებს.

მაშინ, როდესაც მსგავსი განწყობისას, ჩვეულებრივ, გარს ამგვარი, ადამიანებით სავსე, ოთახი ერტყა, ერთადერთი სივრცე ცხელი, მძიმე, მოძრავი მასისა, აქ იყო იდუმალი უძრაობა, სრული თავისუფლება და ადგილზე ხტომა. და მათი პირქუში უარყოფა. კარადა, მაგიდა. დაირღვა ქალსა და ამ ჩვეულ საგნებს შორის ჩვეული წონასწორობა და ისინი რაღაც ბუნდოვანსა და მერყევს ამჟღავნებდნენ. იყო იგივე შემზარავი გრძნობა, როგორც მგზავრობისას, საზარი, თუმცა მაინც სხვა – თითქოს მას, საგნებს შორის მოქცეულს, მათი უშუალოდ შეხების სურვილი სტანჯავდა – ეხებოდე მათ შიგნიდან, საკუთარის სულის უნატიფესი შინაგანი შეგრძნებების ფაქიზი ხელით. მისი გრძნობის წინაშე დაირღვა სივრცის მთლიანობა, გაჩნდა ხვრელები, მას შემდეგ, რაც მისი თავდაჯერებულობა, საბოლოო და უკანასკნელი, შეცბუნებული, ფიქრებში ჩაძირული, საკუთარ მეს მისჩერებოდა, თითქოს საგნების მის შეგრძნებებში მყარად აღბეჭდვა-დამკვიდრებაში, ჩვეულებრივ ძნელად გასაცნობიერებელში, ახლა რაღაც მორყეულიყო, გაფხვიერებულიყო და ცალკეული მკაფიო შთაბეჭდილებების გადაბმული ჟღერადობის ნაცვლად სამყარო მის ირგვლივ ბუნდოვან, ქაოსურ, უსასრულო შრიალად განვრცობილიყო.

და წარმოშვა ამან გრძნობა – მიუყვები ზღვის ნაპირს, აზვირთებული ტალღების გრგვინვაში გაქვავებულა გრძნობები, შეგრძნებებისა და შთაბეჭდილებებისთვის გადაურაზავს გზა, და ეს გრგვინვა წარიტაცებს, თვით უმნიშვნელოსა და წამიერს, ყოველ ქმედებასა და ყოველ აზრს, და თანდათან, ჩნდება გრძნობა არამდგრადობის და შინაგანი-საზღვრების-მორღვევის ნელის, საკუთარი თავის შეგრძნების დაჩლუნგების, საკუთარი მეს დენადობის, ყოველივეს ყვირილის სურვილში გადადინების, მოძრაობის დაუოკებელი ვნე-

ბა. გაჩნდა ნება, საკუთარი თავიდან უფესვოდ ამოზრდილი, უსასრულოდ ქმნის, კეთების – იქნებ იქ, ნამოქმედარში, მაინც აღიქვა საკუთარი თავი; და იყო მის ქმედებებად ამ მიმოფანტვაში, მისი პიროვნების სივრცეში ამ გადმოღვრაში ძალა დამანგრეველი – გიწოვს ის უხამსი ცმაცუნით, გფიტავს, გაცარიელებს, სადაც წამი ყოველი, ვით სიმარტოვე – ველური და ყველაფერს გამიჯნული, პასუხისმგებლობისა და ხსოვნისგან დაცლილი – ჩლუნგად მისჩერებია სამყაროს. და გადმოიფრქვა მისგან ჟესტებისა და სიტყვების ნაკადი, საიდანღაც მომავალი, და მაინც თვითონ, და ჩაუარა გვერდით, მოჩქარემ. იჯდა მრჩეველი მის წინ და შეამჩნია მჯდომარემ, თუ როგორ უახლოვდებოდა რაღაც, სატრფო ფარულად რომ ატარებდა თავის სხეულში, ქალისთვის კი იყო ის მხოლოდ წვერის განუწყვეტელი ცანცარი, მაშინ, როდესაც ლაპარაკობდა – თანაბრად, მოზომილად და ძილის მომგვრელად – მოძრაობა საზარი თხის, დაბალი ხმით, ცოხნით რომ წარმოთქვამს სიტყვებს.

და სტკიოდა გული; თან ეს ტკივილი ჩაესმოდა ხმადაბალ, გულში ჩამწვდომ ნანად, რომლის ღიღინი ტკბილი არწევდა ნაზად და უსახავდა იმედს, რომ ეს ყველაფერი იყო შესაძლებელი. მრჩეველმა უთხრა: „გატყობთ, ისეთი ქალების რიცხვს ეკუთვნით, რომლებიც ვნებას მთელი არსებით ეძლევიან, რომლის ქარიშხალს თავის ბედიღბალს მთლიანად მიანდობენ. მაგრამ არიან ამაყნი და ისურვებდნენ ამის დამალვას; მაგრამ მენდეთ, მე, ქალის სულის მესაიდუმლეს, ეს შეცდომაში ვერ შემიყვანს.“ და იძირებოდა თითქოს ქალი, დაუსრულებლად, საკუთარი წარსულის სიღრმეში. მაგრამ როდესაც სულის ჟამთა სვლის შრეებში – როგორც ღრმა წყლის ფენებში – ნიაღსვლისას მიმოიხედა, იგრძნო, შემთხვევითობა იყო არა ის, რომ საგნები მის ირგვლივ სწორედ ასეთი ჩანდა, არამედ ის, რომ მათი ეს იერი იყო მათზე მიბმული, არაბუნებრივი ჩაჭიდებით ბრჭყალებჩასობილი, თითქოს მათ ეკუთვნოდა, თითქოს გრძნობა, მართალია, დიდი ხანია ყავლგასული, მაინც ებღაუჭება, არ შორდებოდა მას. და იყო უცნაური – მოვლენათა რიგის უწყვეტ ქსოვილში, დროში ჩუმად რომ მიიწევს, მიედინება, გაწყვეტილა თითქოს ერთი რგოლი, ამობრუნებულა ჩვეული რიგიდან ამოვარდნილი, და, თანდათან, ყველა სახე, ყველა საგანი შემთხვევით, უცაბედ გამომეტყველებაში გაქვავებული, ერთმანეთს არა გასწვრივ, მიყოლებით, არამედ მათი ბუნებრივი თანამიმდევრობის საპირისპიროდ, მართობულად დაკავშირებია. მხოლოდ ის, ქალი, მიიწევდა ლივლივით ამ სახეებსა და საგნებს შორის – იქით, სიღრმეში.

მისი ცხოვრების გრძნობათა დიდი ერთობლიობა, წლების ნაღვანი, წამიერად გამოჩნდა უკან, შორს, შიშველი, თითქმის უფასური.

ფიქრობდა: ავლებს, აღბეჭდავს ადამიანი წერტილების დამაკავშირებელ რაღაც ხაზს, რათა არ დაიკარგოს, დარჩეს თავის თავთან მდუმარედ გარშემორტყმულ საგნებს შორის; ესაა ჩვენი სიცოცხლე; ისე, თითქოს, ლაპარაკობს გაუჩერებლად მავანი და აჯერებს თავს, რომ სიტყვა ყოველი წინას ეხამება და შემდგომს მოუხმობს, რადგან ეშინია, დუმილის წყვეტილობაში არ წაბარბაცდეს და არ შთანთქას იგი სიჩუმემ; მაგრამ ეს მხოლოდ შიშია, მხოლოდ სისუსტე იმ ყველაფრის – ერთმანეთს შემზარავად გამიჯნულ შემთხვევითობათა – მიმართ, რასაც იქმს ადამიანი ...

მრჩეველმა თქვა: „ეს ბედისწერაა. არიან მამაკაცები, რომელთა ხვედრი სხვებისთვის მღელვარების მოტანაა, და მის მიმართ ადამიანი გახსნილი უნდა იყოს, რადგან მაინც ვერაფერი დაიცავს ... “ ქალი არ უსმენდა, საკუთარ ფიქრებს მიაყურადა – უცნაური უკიდურესობების სვლას. მას სურდა ერთი ნახტომით, ერთი დაუფიქრებელი ჟესტით განთავისუფლება და სატრფოს ფერხთით გართხმა; გრძნობდა, ეს კიდევ შეეძლო. მაგრამ რაღაც – ხმამაღალი ყვირილი, გადაულახავი, უძლეველი – შეჩერებას აიძულებდა; იდგე ამ ნაკადის წინაშე, რათა არ დაიწრიტო, მჭიდროდ ჩაიკრა საკუთარი სიცოცხლე, რომ არ დაკარგო როგორმე იგი, და იმღერო, იმღერო, ოღონდ არ დადუმდე, და უმწეობამ არ გშთანთქას. მას არ სურდა ეს. რაღაც – ჭოჭმანით, ჩაფიქრებით ნათქვამი – ლივლივებდა მის წინ. და არ იყვირო როგორც ყვირიან, ოღონდ როგორმე არ შეიგრძნონ სიჩუმე. არც სიმღერა. მხოლოდ ჩურჩული, დუმილი, .. სიცარიელე, არაფერი ...

ერთხელაც ესტუმრა გრძნობა – ჩუმად, შეპარვით – ზღვარზე ყოფნის, იქით, წინ, კიდეზე გადახრის. მრჩეველმა თქვა: „არ გიყვართ თეატრალური წარმოდგენები? ხელოვნებაში მე კეთილი დასასრულის სინატიფე მხიბლავს, ყოველდღიურობის იარების ტკივილს რომ გვიქარვებს და გვამშვიდებს. სიცოცხლე იმედებს გვიცრუებს, გვტოვებს, ასე ხშირად, დასკვნითი აქტის გარეშე. მაგრამ რომ არა სიცოცხლის ეს სასოწარმკვეთი ბუნებრიობა და უშუალობა ... ?“

მოესმა ეს, უეცრად, ახლოს და მკაფიოდ. იყო, ჯერ კიდევ, სადღაც, ის ხელი – სითბო ძუნწად ნაწილადები, უხალისოდ დადევნებული, შეგნება: შენ – და აიტაცა რწმენამ, რომ შეეძლოთ ყოფილიყვნენ ახლა ერთმანეთისთვის უკანასკნელი, ერთმანეთს მიკუთვნებული, უსიტყვო, უნდობელი, ერთიანი, თითქოს ჰაეროვანი სიმსუბუქის ქსოვილი სიკვდილის სიტკბოებისა, როგორც არაბესკა, ჯერ კიდევ უცნობი გემოვნებისთვის შექმნილი, ყოველი ბგერა, გამოსახულებას მხოლოდ სხვის სულში რომ გამოკვეთს, და არსად სხვაგან, თუკი არ უგდებ ყურს.

მრჩეველი ადგა, შეხედა. ქალმა უეცრად გააცნობიერა, რომ თავს

მის წინ მდგომად, ტრფობის ობიექტს კი სადღაც შორს შეიგრძნობდა; კაცი, ალბათ, ფიქრობდა რაღაცას. რას? ქალს გაახსენდა, რომ მას ეს არ შეიძლებოდა სცოდნოდა, და ბარბაცებდა მასში შეგრძნება, სადღაც, გაუკვალავში, იქ, სადაც საკუთარ მეს სხეულებრივის ბინდი გადაჰფენოდა, და აღიქვა იმ წამს ის, სხეული – ყველაფერი, რასაც ეს უკანასკნელი შეიგრძნობდა, ვით მშობლიური კუთხე, მისი სულის ირგვლივ მზრუნველად ამოზრდილი და მას შეზრდილი – ბუნდოვან წინააღმდეგობად. უეცრად, გააცნობიერა საკუთარი თავის შეგრძნება, სხეულისმიერი, გრძნობა მისთვის უახლოესი, მის მე-ზე მტკიცედ შემოტმასნილი – როგორც გარდაუვალი ღალატი, სატრფოსგან რომ აშორებდა, თითქოს ქალში უძლურებად განვრცობილ უცნობ განცდაში საკუთარი სხეულით დაცული მისი უკანასკნელი ერთგულება მახინჯდებოდა და შემზარავ უინტიმურეს სიღრმეში მის საპირისპირო საწყისად გარდაისახებოდა.

შესაძლოა, შემორჩენილიყო მასში აღარაფერი, ოდენ სურვილი საყვარლისთვის საკუთარი სხეულის დათმობისა, მაგრამ მისი არსების ეს ნაწილი, სულიერი ღირებულებების სიღრმისეული არასანდოობითა თუ ბუნდოვანებით შეძრწუნებული სხეული ქალს უცხოს მოსურვებად აღიქვამდა, და მაშინ, როდესაც ქალი იმ შესაძლებლობას უფიქრდებოდა, რომ საკუთარი სხეულის დამანგრეველ საწყისად, ტანჯვის წყაროდ აღქმაში, თავს, იმავდროულად, სწორედ მისი წყალობით აცნობიერებდა, და თავისი გრძნობების სამყაროში – ამ სიბნელისა და სიცარიელის სამფლობელოში, ყოველ სულიერ გადაწყვეტილებას იდუმალად რომ უსხლტებოდა – გამომწყვდევის წინაშე შიშით მთრთოლვარეს ის, საკუთარი სხეული, სიმწრის ნეტარებით აცდუნებდა, გამიჯნოდა მას, ხელი ეკრა მისთვის, შორს მოესროლა, რათა ის, უმწეო, დაუცველი და შეძრწუნებული, გრძნობების ამ აღრევა-დაბნეულობაში უცხოს მიერ მიწაზე დანარცხებული, მის წინაშე გართხმულიყო, შეეგრძნო თავი თითქოს დანით გადახსნილი, შიშით, ზიზღით, ძალადობით და უნებლიე კრუნჩხვებით აღსავსე, ამ უჩვეულოდ, თვით უკანასკნელ სიმართლემდე გაშიშვლებული არაფრის ერთგულებაში, ამ მერყევ, ამ უსახო ყველგანში, სულის ავადმყოფისეულ სიცხადეში – ის, სხეული, მაინც, შეეგრძნო, ვით კიდე ნეტარი, ზღაპრული ჭრილობისა, გამთლიანების, მარადი შეზრდის, შერწყმის სურვილის ტკივილში ამაოდ რომ ეძებს კიდეს მეორეს, სხვას.

მოლოდინში გარინდებულ წელიწადთა რიგის წყვდიადიდან, ვით ფაქიზად ნაქსოვი ბადის მიღმა სივრციდან, ამოიმართა ქალის ფიქრებში სიყვარულისმიერი ნატვრა სიკვდილის, სურვილი მარადიული სამყაროს სიმშვიდესთან ზიარების, გაიმართა, გაიშალა, უხი-

ლავ ქსელად შემოეხვია და საბოლოოდ დაეუფლა. უეცრად, მოესმა საკუთარი, შინაგანი ხმა – სადღაც შორით, სხივებით ნაქსოვ ნათებად მოფენილ პასუხში, თითქოს მრჩევლის ნათქვამზე უსიტყვო თანხმობის დასტურში: „არ ვიცი, ამას თუ გადაიტანს ...“

პირველად ახსენა ქალმა ქმარი; შეშინდა – თითქოს არაფერი იყო ამაში სინამდვილისეული; მაგრამ უკვე შეიგრძნობდა მისი არსებიდან გაღწეული, სიცოცხლეში სიტყვად დამკვიდრებული აზრის დაუოკებელ ძალას. სწრაფად, მხნედ გადადგა მრჩეველმა ნაბიჯი, წინ: „მაშ გიყვართ ის?" არ გამოჰპარვია სასაცილო კაცის თავდაჯერებულობაში, რითაც წამოიწყო იერიში, და უპასუხა მთრთოლვარე-თამამმა: „არა; არა, სულაც არა!“

უკვე მაღლა, ოთახში, ვერც კი ხვდებოდა რატომ, იგრძნო საკუთარი ტყუილის ფარული ხიბლი. ფიქრობდა ქმარზე; დროდადრო გაიელვებდა რაღაც მისეული – თითქოს ქუჩიდან განათებულ ოთახში იყურებოდე; მხოლოდ ამის შემდეგ გააცნობიერა, რაც გააკეთა. კაცი იყო ლამაზი, მომხიბვლელი, უნდოდა მის გვერდით დგომა, მოაღწია კიდეც ქალამდე ნათებამ, მოიცვა მისი არსება და იქ დამკვიდრდა. მაგრამ დაიხია უკან თავის ტყუილში, და კვლავ გარეთ, ქუჩის წყვდიადში აღმოჩნდა. შეამციენა; სიცოცხლე ტკივილს ჰგვრიდა, ყოველი საგანი, თვით სუნთქვაც. როგორც თბილ, გასხივოსნებულ ბუშტში, შესრიალდებოდა თავისი ქმართან სიახლოვის სიმყუდროვეში, იყო ის იქ დაცული, საგნები აღარ სჭრიდნენ თვალს, აღარ აპობდნენ ღამის სივრცეს, როგორც გემის ბასრი ცხვირი, თითქოს რაღაც ძალას, რბილად შემოხვეულს, შეებოჭა ისინი. და აღარ სურდა ქალს.

გაახსენდა, რომ მოიტყუა ერთხელ. არა ადრე, რადგან არ იყო მაშინ ტყუილი, არავითარი, იყო უბრალოდ ის, ქალი. მაგრამ ერთხელ, მოგვიანებით, თუმცა იყო სიმართლე, უბრალოდ, როდესაც თქვა, რომ გაისეირნა, ღამით, ორი საათით, მაინც მოიტყუა; უეცრად გააცნობიერა, რომ მაშინ პირველად მოიტყუა. როგორც ამას წინათ, ქვევით, უცხოთა შორის მყოფმა. მიდიოდა მაშინ ქუჩებში, დაკარგული, აწყდებოდა აქეთ-იქით სივრცეს, იყურებოდა სახლებში გზააბნეული ძაღლივით; აი, გაუღეს სადღაც ქალს კარი და იყო მასპინძელი თავაზიანობით, საკუთარი ელეგანტური მიმოხრით, სტუმრის დახვედრის მთელი რიტუალით კმაყოფილი; სხვაგან კი მიდიოდა მავანი სტუმრად ცოლთან ერთად – თვით ღირსება სრულქმნილი, მეუღლე, ტაქტი და ზომიერება; და ყველგან – თითქოს წყალში, ფართოდ გაშლილი, მთელ სივრცეს, მის ყველა კუთხე-კუნჭულს უშფოთველად რომ ეუფლება – იყო პატარა ბირთვები, სხარტად ბზრიალა თავისი თავის ირგვლივ, და ცენტრისკენულ მოძრაობაში, უეცრად, ბრმად და უსარკმლოდ, გულგრილობას მიბჯენილი; და შიგნით, ყველგან, იყო

ეს წინაღდგომა, აწყდებოდა საკუთარ ანარეკლებს ვიწრო სივრცეში, ყოველ სიტყვას რომ შეიწოვდა და მომიჯნავემდე განავრცობდა, რათა როგორმე გადაეფარა ის, რისი ატანაც ჭირს, – შუალედური სივრცე, უფსკრული ორ ქმედებას შორის, მათი შეჯახების წინმსწრებ პაუზაში აღმოცენებული, რომელშიც იძირება შეგრძნება საკუთარი მე-სი, იქ, ორ სიტყვას შორის სიჩუმეში, სრულიად სხვა ადამიანის სიტყვებს შორის დუმილიც რომ შეიძლება იყოს.

და მიეპარა ფიქრი მალული: სადღაც, მათ შორის, ცხოვრობს ადამიანი, განსხვავებული, შენთვის შეუფერებელი, მაგრამ შეიძლება მოერგო მას, გახდე მისი შესაფერი, აღარაფერი გესმოდეს საკუთარი მე-სი, იმისა, რაც ყოფილხარ და რაც ხარ. რადგან მხოლოდ მსგავსთა, თანამოძმეთა გრძელ ჯაჭვში ცხოვრობენ გრძნობები, შემწე ერთმანეთისა, და არსებითი ისაა, რომ ცხოვრების ერთი წერტილი მეორეს უშუალოდ, შუალედური სიცარიელის გარეშე ესაზღვრება, და არსებობს ამის ასობით ხერხი. და გაუელვა მთელი მისი სიყვარულის მანძილზე პირველად: ეს შემთხვევაა; რაღაც შემთხვევის წყალობით გამხდარა ის ნამდვილი და ჩასჭიდებია მას ადამიანი. და შეიგრძნო პირველად გაურკვევლობის სიღრმისეულობა, შეეხო ამ ფესვს, უკანასკნელს, პირველსაწყისს, უპირობო-თავისთავადის დამანგრეველს, საკუთარი თავის უფორმო, უსახო შეგრძნებას სიყვარულში, მაინც, ყოველთვის საკუთარ თავთან რომ აბრუნებდა, თავის თავად აქცევდა და არავისგან განასხვავებდა. და ჰქონდა შეგრძნება, თითქოს უნდა ჩაძირულიყო კვლავ საკუთარ ლტოლვათა ტალღებში, ყოფილიყო მათი ნების მორჩილი, განუხორციელებელში გათქვეფილი, ყველაფრისგან გარიყული. მიიჩქაროდა ცარიელი ქუჩების სევდიან სიმარტოვეში, არავის მოიმედე, ყველგან მარტო და ეული – არსად თავშესაფარი, ყველგან მიუსაფარი – იყურებოდა სახლებში, განდგომილი, ადამიანთა ხილვის არმოსურნე, ერთად და ცალ-ცალკე, ოდეს ტკბები მხოლოდ საკუთარი ქუსლების ქვაფენილთან მოჭიდების ხმით, და ქალს, საკუთარი თავის აღქმაში ოდენ სიცოცხლის შიშველ შეგრძნებამდე დასულს, საკუთარი სირბილის ხმა ხან ზურგიდან თითქოს, მოსდევდა და ეწეოდა, ხან კი საპირისპირო მიმართულებით გადანაცვლებული – წინიდან მოესმოდა, გასწრებას რომ ცდილობდა.

მაგრამ მაშინ, როდესაც საკუთარი არსების სიღრმეში მხოლოდ დაშლილ-დანაწევრებულს, ხორცშეუსხმელ გრძნობათა აჩრდილების უსასრულო ნაკადს შეიგრძნობდა, რომელთა თავმოყრისა და გამთლიანების ძალა წართმეოდა, გაუფასურებულ, გონებისა და განსჯისთვის მიუწვდომელი საკუთარი არსების ნაწილს, და, ქანცგაწყვეტილი, თითქმის მოთქვამდა იმ სივრცის – რომელშიც შეაბი-

ჯა – დახშულობით შეცბუნებული, ახლა, სწორედ იმ წამს, როდესაც კვლავ გაახსენდა, რაც იყო ამ ყველაფერში მთლიანობის, შეიგრძნო ბოლომდე ამ გამჭვირვალე, ცხოვრებისეულ საჭიროებებზე მორგებულ ნარმოდგენათა თხელ გარსად მოციმციმე დაუცველობაში: საკუთარი მე-ს მხოლოდ-სხვებში-განხორციელების შეზღუდულობა, სიზმარეულ-ბინდიანი, კუნძულისეული განმარტოებულობა არგაღვიძების ნებისა, ეს, თითქოს ორ სარკეს შუა მოლივლივე სიყვარული, რომლის მიღმაც ადამიანი შეიგრძნობს არას და აქ, ამ ოთახში, იქ, სადაც თავისი ყალბი აღიარება სახეზე ნიღბად აეფარებინა, სხვა კაცის თავგადასავლის მომლოდინე საკუთარ არსებაში გააცნობიერა, თუ როგორ იზრდებოდა სიყვარულში საოცრებით, ხიფათით აღსავსე, თვლთმაქცობისა და ტყუილის წილი – გამოხვიდე მალულად საკუთარი თავიდან, შეაბიჯო სხვებისთვის მიუწვდომელსა და ყველას მიერ თავარიდებულში, დე, შეიწოვოს, შეისრუტოს სრულად მარტოობამ არსება შენი და დიდი სიმართლის გამო გაიწოვო სიცარიელეში, დროდადრო, იდეალების მიღმა რომ ჩნდება წამით.

უეცრად მოესმა ფრთხილი ნაბიჯების ხმა, რომელიც შეუმჩნეველად დარჩენას ცდილობდა, რასაც კიბის ჭრიალი ჩაენაცვლა. შემდეგ იყო პაუზა და ოთახის წინ დგომის მსუბუქი ხმაური.

მზერა შემოსასვლელს მიაპყრო; მოეჩვენა უცნაური, რომ ამ თხელი ფიცრების უკან იდგა კაცი: ის მხოლოდ ამ ყველაფრის თანმხლებ გულგრილობას, კარის შემთხვევითობას შეიგრძნობდა, რომლის ორივე მხარეს ერთმანეთისთვის უხილავი დაძაბულობის ორი წყარო იკრებდა ძალას.

უკვე გაეხადა და ტანსაცმელი საწოლის წინ სკამზე გადაეფინა, ნაჩქარევად. დღვანდელი, ამ დილით დაქირავებული ოთახის ჰაერი აღწევდა მასში, იქ დაბუდებულ პიროვნულ სურნელს ერეოდა. მიმოიხედა. შეამჩნია კარადაზე ირიბად ჩამოკიდებული თითბრის ბოქლომი, მზერა შეჩერდა საწოლის წინ, გაცვეთილ, დაცხავებულ ნოხზე, უთვალავ ფეხის კვალზე. მოულოდნელად დაფიქრდა ამ ფეხებიდან მომდინარე სუნზე, სადღაც, ახლომახლო რომ იკიდებდა ფეხს, ბინავდებოდა უცხო არსებების, სტუმრების სულში და ისინიც ამ, ასე ახლობელი, მშობლიური სახლივით სიმყუდროვის მომტანი სუნით იუღინთებოდნენ. ეს იყო წარმოდგენა – უცნაურად, ორმხრივად მოელვარე, ხან უცხო და ზიზღის მომგვრელი, ხან კი მომნუსხავი – გადმოედინებოდა, თითქოს, ამ ადამიანების თავკერძობა, გზას იკვალავდა მისკენ, მასში, სადაც მხოლოდ მორჩილი ყურადღება და ფრთხილი თვალთვალი შემორჩენილიყო. ჯერ კიდევ იდგა კარს უკან კაცი, ამაზე ხმაური მეტყველებდა, უნებლიე, თითქმის შეუმჩნეველი.

უეცრად მოუნდა ნოხზე გაგორება, ამ საზიზღარი ნაფეხურების

კოცნა, რათა აღგზნებულიყო მამრის მიერ მონიშნული ადგილების მყნოსველი ძუკნა. მაგრამ იყო ეს არა ხორციელი ვნება, არამედ რაღაც უფრო მეტი, რომ ღმუოდა მასში, როგორც ქარი, ან მოთქვამდა, ვით პატარა ბავშვი. იატაკზე ჩაიმუხლა, მისი მზერის წინაშე ამოიზარდა ნოხის გახევებული ყვავილები, განივრცო, ციკი, უგრძნობელი, ხედავდა თავის მძიმე, ქალურ თეძოებს, საზარლად გადახრილს მათზე, როგორც რაღაც სრულიად უაზროს და მაინც გაუგებარი სერიოზულობით დაჭიმულს, იატაკზე დაყრდნობილი მისი ხელები უმზერდა ერთმანეთს – ხუთად დანაწევრებული ორი ცხოველი. გააცნობიერა გარედან მომავალი ლამპის სინათლე, ჭერზე მისი შემზარავად მდუმარე, მოხეტიალე რგოლები, შიშველი კედლები, სიცარიელე და კვლავ კაცი – იქ მდგომი, დროდადრო მოძრავი, მოჭრიალე, როგორც ვარჯის ქერქი ქარში, როგორც სისხლის ყივილი, მისი დაჟინება, მისი ჩქროლვა, თვითონ კი შეიგრძნობდა სიღრმისეულ ხმაურს, არა გარედან – მასშივე აღმოცენებულს, თითქოს შრიალებდა ხშირფოთლებიანი ბუჩქნარი. და მაინც, აქ, ამ კარის უკან, მწოლიარე, შიშველი, კიდურებზე გართხმული, ახერხებდა თავისი მწიფე სხეულის სიტკბოთი ტკბობას, სულის იმ შემორჩენილი ნაწილით, რომელიც – მიუხედავად მთელის საბედისწერო იარებისა, შერყვნილისა და უძრავად დაშლა-დაქუცმაცებისთვის განწირულის სიახლოვისა და გადაგვარებისა – სიმახინჯის დაძაბულ, უწყვეტ აღქმაში სხვაგან მიემართა, თითქოს ხრწნადი ლეშის გვერდით ყოფილიყოს.

შემდეგ მოესმა ნაბიჯების ხმა, მიაყურადა – კაცი უკან ბრუნდებოდა. და უეცრად მიხვდა, ჯერ კიდევ საკუთარი თავიდან ფესვებამოგლეჯილმა, რომ იყო ეს ღალატი – უარესი, ვიდრე უბრალოდ ტყუილი.

ნელ-ნელა მუხლებზე წამოიმართა. მიაჩერდა შეუცნობელს, შესაძლოა, ახლა სინამდვილედ ქცეულს, და გააჟრჟოლა, როგორც ადამიანს, განსაცდელისგან არა საკუთარმა თავმა, გაუთვალისწინებელმა შემთხვევამ რომ იხსნა. სცადა აზრის ბოლომდე მიყვანა. წარმოიდგინა საკუთარი სხეული, უცხოს მკლავებში, ქვევით მოქცეული, და მის მბრძანებლურ ნებას სრულად დამორჩილებული, წარმოიდგინა იმგვარი სიცხადით, რომელიც, როგორც წყლის დინჯი ნაკადი, ადვილად აღწევს ყველგან და ყველა ღრიჭო-ნაპრალში მკვიდრდება. გრძნობდა, როგორ ფითრდებოდა, დანებების თანმხლებ სიწითლის მომგვრელ სიტყვებს, მასზე დამთრგუნველად აღმართულ კაცის თვალებს, მის სხეულზე მოარულს და მის მტკიცე, ჯიუტ, მასზე მტაცებელი ფრინველის ფრთად მბრძანებლურად გადაფენილ მზერას. და ფიქრობდა გამუდმებით: ესაა ღალატი. გაიფიქრა: მასთან

უკან დაბრუნებულს, ის ეტყოდა: ხარ უცხო, ეელარ შეგიგრძნობ, და პასუხად იქნებოდა მხოლოდ მორცხვი, დაუცველი ღიმილი: მენდე, არაფერი იყო, რაც ჩვენს ერთიანობას დაემუქრებოდა, და ამ დროს აღიქვა იატაკს უაზროდ მიბჯენილი თავისი მუხლი როგორც საგანი, და ამ საგნობრიობაში საკუთარი თავი გარეშესთვის მიუწვდომელი, ჩაკეტილი, ადამიანის უსათუთესი არსის ამ მწარე, სევდიანი დაუცველობის სისუსტეში, არავითარ სიტყვას, დაბრუნების და კვლავ შეერთების იმედს რომ არ ერთგულებს – ცხოვრების კანონზომიერებებზე მორგებული და მის წინაშე თავდახრილი. აღარ დარჩენილიყო მასში აზრი, აღარ იცოდა, იყო თუ არა მისი ქცევა უსამართლო, და მის ირგვლივ ყველაფერი უცნაურ, ეულ ტკივილად ქცეულიყო – ვით სივრცე, დაშლილ-დაქუცმაცებული, მოლივლივე და თითქოს ხავერდოვან სიბნელესთან შეზრდილი, შეუმჩნევლად რომ იზრდებოდა და განივრცობოდა. თანდათან გამოიკვეთა ამ ტკივილის მიღმა შემორჩენილი მკაფიო, გულგრილი სინათლე, რომელშიც ხედავდა ყველაფერს, რასაც აკეთებდა, ამ უძლიერეს, მისგან ამოგლეჯილ ძლევის გამოხატულებას, ამ მოჩვენებით ამაღლებულობას და საკუთარი სულის სამსხვერპლოზე მიტანას... თავის თავში ჩაშლილ-ჩამოქცეულს, უმნიშვნელოდ ქცეულს, ცივს, მიმართებადაკარგულს, შორს, შორს, სადღაც მის მიღმა, ქვევით ...

და დიდი ხნის შემდეგ ... ფრთხილად – ეძებდეს თითქოს საკეტს თითი – შეიგრძნობდა უცხოს მიყურადებას მისი კარის წინ და დაუარა თავბრუდამხვევმა სურვილმა – კარისკენ გაცოცების და ურდულის გადაწევის.

მაგრამ იწვა შუა ოთახში, იატაკზე; კიდევ ერთხელ შეაჩერა რაღაცამ – საკუთარი თავის საზარმა გრძნობამ – როგორც უკვე ერთხელ – ვით მკვეთრმა, ბასრმა მოძრაობამ, გააპო აზრმა მყესები: ეს ყველაფერი შესაძლოა უკან, წარსულთან დაბრუნება იყო. და აღმართა უეცრად ხელები: ო, გთხოვ, მიშველე, მიხსენი განსაცდელისგან! და შეიგრძნო ეს როგორც ჭეშმარიტება, და იყო ეს აზრი მისთვის, როგორც ფერება, ნაზი, გულისხმიერი: ჩვენ შევხვდით ერთმანეთს იდუმალად წლებსა და სივრცეში, შემოვიჭერი ახლა მე შენში, მაუწყებელი ტანჯვის, სევდისა და ნაღველის.

შემდეგ იყო სიმშვიდე, სივრცის გაშლა-განვრცობა, თითქოს კედლების ნგრევას მოყოლილი, მტკივნეულად დაგუბებული ძალების შემოდინება. მშვიდ, უძრავ წყლის მბზინავ სარკედ გაწოლილიყო მისი სიცოცხლე, მისი წარსული და მომავალი – წამის სიმაღლეზე. არის ბევრი რაღაც, რაც ადამიანმა არ უნდა აკეთოს და, კაცმა არ იცის რატომ, შესაძლოა სწორედ ისინია ყველაზე არსებითი; იცის კაცმა, ყველაზე მთავარია ისინი. იცის, რომ ცხოვრებაზე გაწოლილა საზარი

თრგუნვა, ხისტი სივიწროვე, როგორც ყინვაში თითებზე სიცივე. და ხანდახან დნება ის, დნება, როგორც ყინული მდელოებზე, ჩაფიქრებულია ადამიანი – სივრცეში განვრცობილი ბინდიანი ნათება. მაგრამ სიცოცხლე – ძვლიანი, მტკიცე, მომთხოვნი და მბრძანებლური – ფერხდება, სადღაც, უყურადღებო, იჭედება კიდური სახსარში და არაფერს აკეთებს ადამიანი.

უეცრად წამოდგა, წელში გაიმართა და აზრმა, რომ ეს უნდა გაეკეთებინა, წინ ენერგია უხმოდ მიმართა– ხელებმა გამოწიეს ურდული – იყო სიჩუმე, არავინ აკაკუნებდა. გააღო კარი, გაიხედა – არავინ. ლამპის მწირ სინათლეში ცარიელ სივრცეს შიშველი კედლები მიშტერებოდა. ალბათ ვერ გაიგო, როდის წავიდა.

დაწვა. საყვედური, გამტყუნება გაუთავებლად უტრიალებდა თავში. უკვე ძილის მკლავებში შეიგრძნო: მე გტკენ გულს. მაგრამ ჰქონდა უცნაური შეგრძნება: რასაც ვაკეთებ, აკეთებ შენ. უკვე ძილის დავიწყებაში, შეიგრძნობდა: ჩვენ ვთმობთ ყველაფერს, რაც გვაძლევს ამის უფლებას, რათა უფრო მტკიცედ გადავეხვიოთ იმას, რასაც ვერავინ უახლოვდება. და მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ წამით სიფხიზლეში ამოტყორცნილი ფიქრობდა: ეს ადამიანი იზეიმებს ჩვენზე გამარჯვებას. მაგრამ რას ნიშნავს გამარჯვება? და მისი ძილმორეული ფიქრები კვლავ დაბლა, სიღრმეში ჩასრიალდა. აღიქვა საკუთარი სინდისის ქენჯნა უკანასკნელ თანმხლებ სინაზედ. დიდი, ბნელი თავკერძობა, სამყაროს სიღრმეში განმვრცობი, აღიმართა მასზე, როგორც მომაკვდავზე, და ახლა, თვალდახუჭული, ქუთუთოებს მიღმა ხედავდა ბუჩქებს, ღრუბლებს, ჩიტებს და იყო მათ შორის თვითონ პატარა, და მაინც, ყველაფერი იქ თითქოს მისთვის იყო. და დადგა წამი საკუთარ თავში გამომწყვდევის და იქიდან ყოველი უცხოს გამოდევნის, და უკვე ნახევრად ძილში, მისი სამყაროს სრულქმნაში – მისი არსების წმინდად შემნახავი დიდი სიყვარული. ყველა მოჩვენებითი დაპირისპირება და წინააღმდეგობა კი იყო თრთოლვით გამქრალი.

მრჩეველი აღარ მოსულა; ეძინა მარტოს, მშვიდად, ღია კარში, ეულ ხესავით მდელოზე.

გათენდა. დადგა მყუდრო, იდუმალებით აღსავსე დღე. გაღვიძებისას თავს გამჭვირვალე ფარდებს უკან შეიგრძნობდა, ყველაფერ სინათლისეულს, ნამდვილს რომ აკავებს და არ ატარებს. წავიდა სასეირნოდ, მრჩევლის თანხლებით. ჰქონდა შინაგანი რყევის, წონასწორობის დაკარგვის შეგრძნება – ცისფერი ჰაერით და თეთრი თოვლით თრობა. აღმოჩნდნენ მიდამოს განაპირას, გახედეს თეთრ სიბრტყეს, თითქოს გასხივოსნებულს, საზეიმოს.

იდგნენ ღობესთან, მინდორში გზას რომ კეტავდა, გლეხის ქალი

ქათმებს საჭმელს უყრიდა. ყვითელი ხავსის ნაფლეთის ნათება ცაზე. „ფიქრობთ, რომ ... “ იკითხა კლოდინმა, ქუჩის მიღმა ნათელ ცისფერ ჰაერს გახედა და აღარ დაამთავრა, შემდეგ წარმოთქვა „ ... რამდენი ხანი კიდია ნეტა ეს გვირგვინი? შეიგრძნობს, ისრუტავს ჰაერს? როგორ ცოცხლობს? სხვა არაფერი უთქვამს და არც ის იცოდა, თუ რატომ თქვა ეს; მრჩეველმა გაიღიმა. ქალისთვის თითქოს ყველაფერი იყო ლითონში ამოკვეთილი და ჯერ კიდევ საჭრისის სიმძიმის ქვეშ მთრთოლვარე. იდგა ამ კაცის გვერდით და იმ დროს, როდესაც გრძნობდა, რომ მას უყურებდა და, რაც უნდა ეფიქრა, ლაგდებოდა ქალში რაღაც – ნათელი და გაშლილი, როგორც მოლივლივე ფრინველის მზერისთვის მიჯრით მიწყობილი მინდვრები.

ეს სიცოცხლე, ცისფერი, ბინდიანი და პატარა ყვითელი ლაქა ... რა სურს მას? ქათმების ეს მიპატიჟება თუ მიტყუება, მარცვლების მიწაზე დაცემის მსუბუქი ჩხრიალი, იყოს თითქოს ქვიშის საათის შრიალი, ... და ვისთვისაა ეს გაურკვეველი მინიშნება? ეს უსიტყვო, სილრმეში რომ მიექანება, და ხანდახან მხოლოდ წამების ვიწრო ღრიჭოში ამოიმართება და წარმავალში გაიელვებს, თუ არა – რჩება უძრავი, ... რას უნდა ნიშნავდეს? და შეხედა, მდუმარე თვალებით და შეიგრძნობდა საგნებს, გაუაზრებლად, მხოლოდ მზერით – როგორც ხანდახან ისვენებენ შუბლზე ხელები, როდესაც აღარაფერია სათქმელი.

შემდეგ უსმენდა ყველაფერს უფრო მსუბუქად, ღიმილით. მრჩეველი ცდილობდა თავისი ბადე ქალისთვის უფრო მჭიდროდ შემოეჭდო და მასში სანდოდ გაეხვია. მან ნება დართო. მხოლოდ ლაპარაკისას გრძნობდა ქალი – მიდიხარ თითქოს სახლებს შორის, რომლებშიც საუბრობენ ადამიანები, დროდადრო მისი ფიქრების დინებაში ჩაერთვებოდა ფიქრი სხვა, ახალი, წაიყოლებდა თან, იქით, და ისიც ძალდაუტანებლად მიჰყვებოდა, ამოტივტივდებოდა ერთ ხანს თავის თავში, სანახევროდ, ბინდში, და კვლავ ფიქრებში იძირებოდა. და იყო მასში ეს ჩუმი, გამჭოლი დინება – ტყვეობასთან შეგუება.

ამასთან ჰქონდა განცდა, როგორც საკუთარი, შეგრძნება იმისა, თუ როგორ უყვარდა კაცს თავისი თავი. ამ, საკუთარი თავისკენ მიმართული სინაზის წარმოდგენა მსუბუქად აღაგზნებდა და მასში ქალს აღვიძებდა. იყო ამიტომ დუმილი, თითქოს შესულიყო ისეთ სამფლობელოში, სადაც სხვა გადაწყვეტილებებს, სხვა ღირებულებებს აღიარებენ. მრჩეველისგან თითქოს ტალღა მოდიოდა, სულ უფრო ზღუდავდა მის ირგვლივ სივრცეს, მასში ამწყვდევდა, და ისიც მორჩილად თმობდა, უკან იხევდა. მაგრამ საქმე აქამდე არ მისულა. უბრალოდ, თითქოს, მის არსებაში ტოტზე ჩიტი ჩამომჯდარიყო და გალობდა.

მსუბუქად ივახშმა და დასაძინებლად გაემართა. ყველაფერი

მისთვის უკვე ოდნავ უსიცოცხლო ჩანდა – არავითარი ვნებანი. მიუხედავად ამისა, მცირეოდენი ჩათვლემის შემდეგ გაეღვიძა, იცოდა – ის ქვევით იჯდა და იცდიდა. აიღო ტანსაცმელი, წამოდგა. იდგა ახლა და იცვამდა, მხოლოდ, სხვა არაფერი; არა გრძნობები, არა აზრები, მხოლოდ უსამართლობის შორი გაცნობიერება, შესაძლოა – როდესაც მზად იყო – რომ ხარ უმწეო, დაუცველი. ასე ჩავიდა დაბლა. ოთახი იყო ცარიელი, ამ ღამის სიფხიზლეში მაგიდებსა და სკამებს, მყარად რომ რჩებოდნენ ადგილებზე, თითქოს თავები წამოეწიათ. კუთხეში იჯდა მრჩეველი.

ქალმა რაღაც თქვა, შესაძლოა: მაღლა მარტო ვიყავი; იცოდა, თუ როგორ გაიგებდა ის ნათქვამს. ცოტა ხნის შემდეგ მოჰკიდა ხელი; ქალი ადგა. ყოყმანობდა. და გარეთ გაიქცა. იცოდა, რომ ეს პატარა, სულელი ქალის საქციელი იყო და სიამოვნებდა. კიბეზე მოესმა ნაბიჯების ხმა, მას რომ მოჰყვებოდა, საფეხურები ჭრიალებდა, ქალი ამ დროს რაღაც შორზე, განყენებულზე ფიქრობდა და მის ირგვლივ ცახცახებდა საკუთარი სხეული – ტყეში მდევარდადევნებული ცხოველი.

ოთახში, უკვე ქალის გვერდით მყოფმა, მრჩეველმა თქვა, ისე, სხვათა შორის: „ვცდები? ვიცი გიყვარვარ. არა ვარ ხელოვანი, არც ფილოსოფოსი, მაგრამ ვარ ნამდვილი ადამიანი, ვფიქრობ – ნამდვილი მამაკაცი. და შეეპასუხა ქალი: „რას ნიშნავს ნამდვილი ადამიანი?" „უცნაური კითხვაა", აღელვებული ჩანდა კაცი, მაგრამ ქალმა დააბუსტა: „არა, ვგულისხმობდი, რა უცნაურია, რომ გყავს ვილაც, მხოლოდ იმიტომ, რომ ის გსიამოვნებს, მისი თვალები, მისი ენა, არა სიტყვები, არამედ მათი ჟღერადობა ... "

და აკოცა მრჩეველმა: „მაშ გიყვარვარ?"

კლოდინმა მოიკრიბა ძალა, რომ ეთქვა: „არა. მიყვარს, რომ ვარ თქვენთან, შემთხვევა, თქვენთან ყოფნის ფაქტი. შეიძლება იჯდე ესკიმოსებთან, ტყავის ტანსაცმელში. ჩამოკიდებულ ძუძუებიანი და თავს იწონებდე ამით. არ არიან, მაშ, სხვა ნამდვილი მამაკაცები?"

მრჩეველმა თქვა: „ცდები. შენ გიყვარვარ. მხოლოდ ვერ აცნობიერებ ამას და სწორედ ესაა ჭეშმარიტი ვნების ნიშანი."

უნებლიედ, შეგრძნებისას, თუ როგორ ფარავდა კაცის სხეული მისას, რაღაც შეყოვნდა მასში. მაგრამ კაცმა სთხოვა: „ო, გაჩუმდი."

და ის გაჩუმდა; მხოლოდ ერთხელ ალაპარაკდა, როდესაც იხდიდნენ; ლაპარაკობდა უმიზნოდ, უადგილოდ, შესაძლოა უმნიშვნელოდაც, და იყო ეს უბრალოდ, როგორც რაღაცაზე ხელის გადასმა ტკივილიანი: „ ... ისეა, თითქოს მიდიხარ ვიწრო ულელტეხილზე; ცხოველები, ადამიანები, ყვავილები – ყველაფერი შეცვლილი; თვითონაც შეცვლილხარ მთლიანად. და კითხულობ: აქ რომ მეცხოვრა

თავიდანვე, რას ვიფიქრებდი ამაზე, როგორ ვიგრძნობდი ყველაფერ ამას? უცნაურია, რომ ეს მხოლოდ ხაზია, რომელიც უნდა გადაკვეთო. მე თქვენ გაკოცებდით და შემდეგ გადავხტებოდი უკან და შევხედავდი; და კვლავ თქვენთან დავბრუნდებოდი. და ამ ზღვრის ყოველი გადაკვეთისას ამას უფრო მკაფიოდ ვიგრძნობდი. გავხდებოდი სულ უფრო ფერმკრთალი; ადამიანები დაიხოცებოდნენ, არა, ჩამოჭკნებოდნენ; ხეები და ცხოველებიც. ბოლოს იქნებოდა ყველაფერი თხელი, თხელი ბოლი ... და ბოლოს მხოლოდ ერთი მელოდია ... ჰაერში რომ მიიწევს წინ ... სიცარიელეზე ... "

და, კიდევ ერთხელ წარმოთქვა: „თუ შეიძლება, დამტოვეთ, გული მერევა."

მხოლოდ ილიმებოდა კაცი. შემდეგ თქვა ქალმა: „გთხოვ, წადი." და კმაყოფილმა ამოიოხრა კაცმა: „როგორც იქნა, როგორც იქნა – საყვარელო, პატარა მეოცნებევ – თქვი: შენ!"

და შეიგრძნო ქალმა, მთრთოლვარემ, შეძრწუნებულმა, თუ, მიუხედავად ყველაფრისა, როგორ ივსებოდა მისი სხეული ნეტარებით. მაგრამ იმავე დროს გრძნობდა, თითქოს ფიქრობდა რაღაცაზე, ერთხელ გაზაფხულით განცდილზე: ეს ყველასთვის აქ ყოფნის უნარი და მაინც, როგორც მხოლოდ ერთისთვის. და შორს, ძალიან შორს, სადაც ამბობენ ბავშვები ღმერთზე, რომ არის ის დიდი, ჰქონდა წარმოდგენა თავის სიყვარულზე.

რობერტ მუზილი

თვინიერი ვერონიკას ცდუნება

გესმის თითქოს ხმა – ორი, ყრუ, შორი: შესაძლოა, უბრალოდ დღიურის ფურცლებზე გართხმული, მდუმარე, გვერდიგვერდ თუ ერთმანეთში გადახლართული, ბნელი, ღრმა და უეცარი, მკვეთრი ნახტომით წელგამართული, თავისი თავის ირგვლივ წამომართული, წიგნის გვერდებს რომ სჩვევია, ქალისა, სიბრტყეზე დაღვენთილი, სივრცეში ფართოდ დაღვრილი, ვიბრაციის განშტოებებად დატოტვილი, რბილი, უმწიფარი თუ არშემდგარი მამაკაცის ხმა რომ შემორტყმია, რომლის ნაპრალებიდან თუ ღრიჭოებიდან იმზირება ის, რისი გადაფარვაც ჯერ კიდევ ვერ მოუსწრია. თუ არც ეს, არამედ რაღაც სხვა? შესაძლოა, სამყაროში სადმე არის წერტილი და იქით მიექანება ეს ორი, ყველგან, ყოველდღიურობის ჩვეულ, გაცრეცილ, ქაოსურ ხმაურში ძნელად თუ შესამჩნევი, მის ბინდში ოდნავ მბჟუტავი ხმა, როგორც სინათლის ორი სხივი, ერთურთსშემოტმასნილი, და სურვილი წერტილის მოძებნისა, იმ წერტილისა, რომლის არსებობას – ნისლიანს, შორეულს – ოდენ ირგვლივ ჩამოწოლილი შემაშფოთებელი დაძაბულობით თუ შეიგრძნობ, ვით მუსიკის ყრუ შრიალს – ისეთს, სმენა ძლივს რომ აღიქვამს – მის მძიმე, ბუნდოვან ნაოჭებს არა აქ, სადღაც სხვაგან, ბგერისა და სინათლისთვის გაუმჭვირვალე ფარდის ნაკეცებში არეკლილს. შესაძლოა, აწყდება ისინი ერთმანეთს და ავადმყოფური უძლურებიდან ნათელში, დღის შუქის სიმყარესა და სიჯანსაღეში ცდილობს გაღწევას.

– – – – – – – – – – – – –

„წრიულ სვლაში მავალო მარად!“ შემდეგ, იმ, წვრილი ძაფის დრეკადობით დაჭიმული ფანტაზიის უხილავი მზადყოფნის სიმტკიცესა და ჩვეულ რეალობას შორის საბედისწერო არჩევნის, ჩვენი გრძნო-

ბებისთვის მიუწვდომლის აქ, სინამდვილის სამფლობელოში დამკვიდრების სურვილის უკანასკნელი სასოწარკვეთილი გაბრძოლების და ყოველიეზე უარის თქმის, ყოველდღიური, მარტივი ყოფის თბილი ბუმბულის გროვაში დანთქმის დღეებში მიმართა მას, ვით ცოცხალ არსებას – ელაპარაკებოდა თავის თავს, საათობით, ხმამაღლა, შიშშეპყრობილი. ჩაწყდა მასში რაღაც, დაქანდა – გაუცნობიერებელშეუჩერებლად – და აი, სხეულში, სადღაც, იკიდებს ფეხს ტკივილი, მკვრივდება და ქსოვილის ანთებად ყალიბდება, რათა შემდეგ, რეალობად ქცეულმა, განაგრძოს სვლა, იქცეს ავადმყოფობად, სხეულს თანდათან, ტანჯვის შემპარავი, ორაზროვანი ღიმილით რომ ეუფლება.

„წრიულ სვლაში მავალო მარად," ევედრებოდა იოჰანესი, „არა ჩემში, ჩემ გარეთ ყოფილიყავი მაინც!" და: „გქონოდა ტანსაცმელი, ჩამეჭიდა კაბის კალთისთვის ხელი, რათა შემძლებოდა მომემართა: ო, ღმერთო, და ენის ქვეშ კენჭი პატარა, მეტი სარწმუნოობისთვის შენზე საუბრისას! და შემძლებოდა თქმა: ვანდობ ჩემს თავს წყალობას შენსას, შენ ხარ მხსნელი და იქენ შემწე, რათა ვქმნა რაიც მსურს, ჩემი არსების ნაწილი, ვით წერტილი, ცენტრი, ყველა ძალის წყარო, თვით კი უძრავი, გარინდებული, და ეს ხარ შენ."

იწვა, ოლონდ პირქვე, მტვერში თავჩარგული, მხურვალე გულით მისი მძებნელი, ვით სანუკვარი ნივთის მიგნების ცდაში ბავშვი მოუთმენელი. იცოდა მხოლოდ, სჭირდებოდა იგი, რადგან შეეპყრო შიშს და იყო მხდალი. იცოდა ეს. და მაინც, მოხდა ისე, თითქოს საკუთარი სისუსტე მისივე ძლიერების წყაროდ სურდა ექცია, იმ ძლიერებისა, რომლის შესაძლებლობას გუმანი კარნახობდა და ასე იზიდავდა – მსგავსი ხანდახან ყრმობაში თუ უგრძნია – ყოვლისშემძლე არსება, ბუნდოვანი ძალის თავი, სრულიად უსახო, და ფიქრობ, რომ შეგიძლია მოირგო იგი, მას მხრებით ქვეეიდან შეეზარდო, საკუთარი მე-თი განმსჭვალო, განასახიერო.

და უთხრა ერთხელ ვერონიკას: ის ღმერთია. და იყო ვაჟი თვინიერი, აღსავსე რიდით და იყო ეს დიდი ხნის წინ და იყო მისი პირველი ცდა განუსაზღვრელი – ორივე, ქალი და ვაჟი, არაცნობიერად რომ შეიგრძნობდა – საზღვრულად, ხელშესახებად ექცია; სრიალებდნენ ისინი ჰაერში, ფარფატებდნენ ჩაბნელებულ სახლში, მიემართებოდნენ ერთმანეთისკენ, ერთმანეთისგან, აღმა, დაღმა. მაგრამ წარმოთქმისთანვე უფასურდებოდა ნათქვამი და აზრის გამოთქმის ამაო მცდელობად რჩებოდა.

რასაც გულისხმობდა მაშინ იყო ... – უფრო გამოსახულებანი, რომ გვეელინება დროდადრო ქვაში, კედელზე, ღრუბლებში, თუ მორევად ქცეულ წყალში, იმ არსების, გამოუცნობის, არავინ რომ იცის ცხოვრობს სად, აღნიშნავს რას, ან რა იქნებოდა მისი სრულ-

ფასოვან სინამდვილედ ქცევისას – ის, რის თქმაც მას სურდა, შესაძლოა, იყო მხოლოდ რაღაც მიღმისეულის, იქ-მყოფის, აქ-მოვლენა სიზმარეული, ვით ის იშვიათი იერი, არა ამ – რომელიღაც სხვა, ყველა ნანახისა თუ ხილულის მიღმა უეცრად ნაეჭვებ-ნავარაუდებ სახეს დაკავშირებული. იყო პატარა მელოდიები, ჩაქსოვილი შრიალში, გრძნობები ადამიანებში, დიახ, იყო მასში გრძნობები, მათი გამოხატვისას შესაფერი სიტყვების ძიებაში ჯერ კიდევ არც კი გრძნობები, არამედ თითქოს რაღაც შეირხა მასში, გაიწელა, დაგრძელდა, ბასრი წვერებით სილრმეში ჩააღწია, რათა დაენამა მისი შიში, მისი სიმშვიდე, მისი დუმილი, როგორც იწელებიან საგნები, ხანდახან, გაზაფხულის კაშკაშა დღეების მთრთოლვარე მცხუნვარებაში, გრძელდებიან, გადააბობღდებათ მათივე ჩრდილები და დგანან ახლა მდუმარედ, ერთ მხარეს მიდრეკილი, უძრავი, მაინც მოძრავი, მოცახცახე, როგორც ნაკადულის დინებაში არეკლილი სილუეტები.

და ეუბნებოდა ხშირად ვერონიკას, რომ არც შიში იყო და არც სისუსტე ის რაღაც, მასში დაბუდებული, თითქოს, შიში იყო არა შიში – ოდენ შრიალი, არასოდეს ნანახის, თვალისთვის უხილავის – მომხდარისა თუ განცდილის სუნთქვა, მისი აჩრდილი ან, როდესაც ადამიანი სრულიად ცხადად, ცნობიერის გარეშეც გრძნობს და იცის, რომ შიშს ექნება რაღაც ქალური, რომ იქნება ერთხელაც სისუსტე დილით სოფლის სახლში, რომლის ირგვლივ წრიალებენ ფრინველები. ის იყო სწორედ იმ უჩვეულო მდგომარეობაში, როდესაც იბადება ასეთი სახეები, ნაკლული, გამოუთქმელი.

ერთხელაც შეხედა მას ვერონიკამ, თვალები ჰქონდა დიდი, უცნაური, თითქოს აბურძგნილი, ყალყზე შემდგარი, და მაინც თბილი, ისხდნენ ორნი, მარტო, ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში, და იკითხა ქალმა: „არის შენში, მაშ, რაღაც, რასაც ვერ შეიგრძნობ მკაფიოდ, ვერ აცნობიერებ და უბრალოდ უწოდებ ღმერთს, თითქოს არსებობდეს შენ მიღმა, როგორც ხილული რეალობა, ისე თითქოს ჩაგიდა კიდეც ხელი? და ეს არის ის, რასაც არასოდეს დაარქმევ სიმხდალეს ან სისუსტეს; არამედ წარმოგიდგება ვით არსება მოწყალე, თავისი კალთის ქვეშ რომ შეგიფარებდა, და რაღაც გაურკვეველი მიმართულებებისთვის, რომ მივყავართ არსაით, რაღაც მოძრაობებისთვის, რომ გახევებულან უძრავად, სახეებისთვის, შენში სრულფასოვნად ვერასოდეს რომ აღმოცენდებიან, ვერ ეზიარებიან ჭეშმარიტ სიცოცხლეს, ხმარობ სიტყვას ღმერთი, რადგან ისინი – სხვა სამყაროდან, თალხ მოსასხამში – მოაბიჯებენ მტკიცედ, თავის თავში დარწმუნებული, უცხო, დიდი, კეთილდღეობის სამეფოდან, როგორც ცოცხლები? მიპასუხე, როგორც ცოცხლები, რადგან ნებისმიერ ფასად გსურს შეიგრძნო ეს, როგორც ნამდვილი?“

„საგნებია ეს“, თქვა მან, „რომ გაკრთება, გაიელვებს ცნობიერის ჰორიზონტს მიღმა ან, თუნდაც, სივრცე უცნობი, გაუკვალავი, ცნობიერის შესაძლო ახალ ჰორიზონტად გადაჭიმული, წამიერად უცხო სამყაროდ მონიშნული, და ვერ მოუსწრია საგნებს იქ დამკვიდრება.“ იდეალებია ეს, ფიქრობდა უკვე მაშინ – არა გონების დაბინდვა, არა სულიერი ავადმყოფობის ნიშანი – მთელის წინათგრძნობა, საიდანღაც რომ მოიჩქარის და ყველაფერს, თუნდ ნამსხვრევებად მიმოფანტულს, აწესრიგებს, ამთლიანებს, ფიქრების უნატიფესი ხვეულებიდან მიიწევს გარეთ, მაღლა, ხის კენწეროებამდე, და მისი მიმოხრა, თვით წამიერი გამოკრთომა – მიმიკა, ჟესტი – იქნება, ვით აფრებში ქარი. და წამოხტა იგი, ამოძრავდა თითქმის სხეულისმიერი სურვილითა და მონატრებით.

დუმდა დიდი ხნით ქალი და ბოლოს უპასუხა: „იცი ... ჩემშიც არის რაღაც: დემეტრემ ...“ და გაჩერდა – სწორედ ამ დროს ახსენეს პირველად დემეტრე.

თავიდან ვაჟი ვერც კი მიხვდა, თუ რატომ. ვერონიკა იხსენებდა, რომ იდგა ერთხელ ფანჯარასთან და საკათმის წინ შემოღობილ ეზოს უყურებდა, უყურებდა მამალს, არც არაფერზე ჩაფიქრებული – მხოლოდ თანდათან გააცნობიერა ვაჟმა, რომ ის მათ ეზოს გულისხმობდა –, მოვიდა დემეტრე, დაუდგა გვერდით, – მაშინღა მიხვდა ქალი, რომ გამუდმებით ფიქრობდა რაღაცაზე, თუმც არ იცოდა რაზე – ბინდს მოეცვა გონება, და ახლაღა აცნობიერებდა – მძიმედ, თანდათან – თუ რა იყო ეს. და დემეტრეს სიახლოვე, ყვებოდა ქალი – ის, ვაჟი, რა თქმა უნდა, ხვდება, რომ სრულ სიბნელეში დაიწყო ამან ხოცშესხმა და ცნობიერში ამოზრდა – მის ფიქრებს ეხმარებოდა და, ამავე დროს, ზღუდავდა, კალაპოტში აქცევდა. მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ მიხვდა, რომ მამალზე ფიქრობდა, თუმცა, შესაძლოა არც არაფერზე, არამედ ისე, უმიზნოდ იყურებოდა, და რასაც ხედავდა, იყო მის არსებაში გაწოლილი უცხო, მკვრივი სხეული, უფრო შეგრძნება, უსახო, ბუნდოვანი, რადგან აზრებს არ აღვიძებდა, ფიქრებს არ აღვივებდა. ეჩვენებოდა ასევე თ'ითქოს თავს ახსენებდ„ რაღაც სხვაც, რასაც, თავის თავში ჩაკარგულს, ეძებდა ამაოდ, ვერსად პოულობდა. რაც უფრო დიდხანს იდგა დემეტრე მის გვერდით, მით უფრო უჩვეულო სიმძაფრით, შინაგანი ძრწოლით შეიგრძნობდა ამ სურათის ცარიელ კონტურებს. და შეხედა იოჰანესს კითხვით, თუ ესმოდა მისი. „ეს იყო ცხოველის, ერთი და იგივე, გულგრილი, უგულო ჩამოსრიალება, გადმოსაცემად ძნელი, გამოუთქმელი,“, ამბობდა ის და რასაც ხედავდა მაშინ, იგივეს ხედავს ახლაც, თითქოს, ყველაფერი ხდება თავისთვის, შენ კი ხარ გამიჯნული, გარიყული და ვერაფერი გაგიგია, არ შეგიძლია შეკრა ერთ მთლიანობად, მოაბა ბოლო და თავი. აი, ეს

უცნაური, ენით უთქმელი, გულგრილი ჩამოსრიალება და უეცრად ყოველგვარი მღელვარებისაგან ხარ თავისუფალი, დგახარ ერთხანს ასე, ვით არსება ჩლუნგი, გაგქვავებია შეგრძნებები, ფიქრები კი იკარგება სადღაც შორს, ხავსმოკიდებულ, ხრწნად სინათლეში. შემდეგ ქალმა გააგრძელა: „ხანდახან, მკვდარ ნაშუადღევს, როდესაც დეიდასთან ერთად ვსეირნობდი, თითქოს გართხმულიყო ეს სინათლე სიცოცხლეზე, გადაფარებოდა, მეჩვენებოდა, შემეძლო მისი აღქმა, და თითქოს ამ ავისმქნელ სინათლის ხატს ჩემი მუცელი ასხივებდა."

ჩამოვარდა დუმილი, ვერონიკა ეძებდა სიტყვებს.

მაგრამ იგივეს დაუბრუნდა. „დავინახე შემდეგ შორიდან მომავალი იგივე ტალღა", დაამატა მან, „აწყდებოდა დემეტრეს, გამუდმებით, და უკან იხევდა ".

და კვლავ აღდგა სიჩუმე.

უეცრად, მალულად, ფეხაკრეფით შეაღწია მასში ქალის სიტყვებმა – თითქოს სურდა დიდ, წყვდიადით მოცულ სივრცეში გაუჩინარება, იქვე, იოჰანეს სახის სიახლოვეს ჩაცუცქება. „ ... და სწორედ ასეთ წამს მომკიდა ხელი დემეტრემ თავზე, მკერდს მიაბჯინა – უთქმელად და მტკიცედ დაანვა დაბლა", ჩურჩულებდა ვერონიკა; კვლავ ეს სიჩუმე – გაქვავებული, უძრავი.

იოჰანესი – თითქოს სიბნელეში იდუმალი ხელის შეხებით შეძრწუნებული – ცახცახებდა, ვერონიკამ კი გააგრძელა: „არ ვიცი, რა დავარქვა იმას, რაც იმ წამს ვიგრძენი: რომ დემეტრე იყო მამალი შემზარავ, უზარმაზარ სიცარიელეში, საიდანაც მომევლინა უეცრად, იქიდან უხლავი ძალით გამოტყორცნილი". მოპყრობილი მზერა აშფოთებდა იოჰანესს, დემეტრეს ხსენება კი ტანჯავდა, რადგან ბუნდოვნად გრძნობდა, ეს მასაც ან, უფრო მას ეხებოდა. ვაჟში აღმოცენდა შიში, ქვეცნობიერი, ბინდიან-შემზარავი, რომ ვერონიკას სურდა და შეეძლო მასში ღვთის მიღმა, განყენებულად არსებული, მსგავსი უძილო ღამეთა წყებაზე განვრცობილი ნების გაურკვევლობაში შეთხზული მეს თავგადასავლის ცარიელი, გრძნობებისგან დაწრეტილი ჩარჩოებისა, გამოეფხიზლებინა და სასურველი ქმედებისკენ მიემართა. ეჩვენებოდა, და ვერც თავს იცავდა ამ შეგრძნებისგან, რომ საუბრის განახლებისას ქალის ხმას უჩვეულო ელფერი დაჰკრავდა – თანაგრძნობით აღსავსე, იმავდროულად ვნებიანი და საზარი: „მაშინ დავიყვირე: იოჰანესი ამას არასოდეს იზამდა! დემეტრემ – მხოლოდ: დიდი ამბავი, იოჰანესი, და ჩაიწყო ხელები ჯიბეებში. და – გახსენდება? – როდესაც ჩვენთან მოხვედი, როგორ მოგმართა დემეტრემ, თითქოს განმარტებას ითხოვდა – <ვერონიკა ამბობს, რომ ჩემზე მეტი ხარ>, დაგცინოდა ის, <მაგრამ ხარ მხდალი!> და, თითქოს საკადრისი პასუხისთვის მზადმყოფმა,

უთხარი: „ამას ვნახავთ კიდევ.“ და იმწამსვე მოგვხდა სახეში მუშტი. განა არა? – გინდოდა გეპასუხა იგივეთი, მაგრამ, როგორც კი მუქარით აღსავსე სახეს მოჰკარი თვალი, უფრო გამძაფრდა ტკივილი, უფრო შემზარავი გახდა შიში, ო, ვიცი ეს შიში – თითქმის მოწიწებული, კეთილგანწყობილი, და თანმხლები ღიმილი – არა? – არ იცოდი რატომ, მაგრამ ილიმოდი, ილიმოდი შეუჩერებლად, დაუსრულებლად, შემცბარი, სახეშეცვლილი, ვგრძნობდი ამას, ერთგვარი მორიდებით, მისი მრისხანე თვალების წინაშე დაუცველი, მრისხანე და მაინც ასეთი ტკბილი, უსაფრთხოების მომნიჭებელი, და იმსჭვალებოდი უნებლიეთ ამ სიტკბოთი, რწმენით, სიმშვიდით, შენში მაცოცხლებელ ნაკადად რომ ჩაედინებოდა, და ცხრებოდა ტკივილი, თანხმდებოდა ერთმანეთში გრძნობები ... და მითხარი მაშინ, რომ გინდოდა ყოფილიყავი მღვდელი ... და მივხვდი უეცრად – არა დემეტრე, შენ იყავი ცხოველი ... “

იოჰანესი წამოხტა. ვერაფერი გაეგო ამ მსჯელობისა. „რა?“ იყვირა, „ფიქრობ, რას ამბობ?!“

გაწბილებული ვერონიკა თავს იცავდა: „რატომ არ გახდი მღვდელი?! მღვდელში არის რაღაც ცხოველური! სიცარიელე, რომელშიც პოულობენ საკუთარ თავს სხვები. სირბილე, ტანსაცმლის სუნითაც რომ შეიგრძნობ. სიცარიელის ეს ხავერდოვნება, მოვლენათა სრბოლის წამით ჩამხერგავი, საცერივით შემაფერხებელი, შემდგომ მაინც გზის დამთმობი და დროის სვლისთვის კალაპოტის მიმცემი. სცადო უნდა კაცმა მისგან, სირბილისგან, მისი შექმნა. და ვიყავი ისეთი ბედნიერი, როცა ეს გავაცნობიერე ... “

და შეაწუხა ვაჟი საკუთარმა თავშეუკავებლობამ, არჩია დუმილი და იგრძნო თანამოსაუბრის ნათქვამზე ჩაფიქრებისას, თუ როგორ შორდებოდა თავისსავე თავს – უეცრად ჩამოცხა, დასცხა, ახალგამოღვიძებული კვირტივით დაიბერა, დაძაბულ ცდაში, გაეცალკევებინა თავისი წარმოსახვის ნაყოფი ქალის ფანტაზიით შობილისგან – სადღაც სხვაგან, ნისლში, მისას რომ ემსგავსებოდა, იმავდროულად უფრო ნამდვილი, თუმცა უფრო შეზღუდულიც, ვით საკანი ორისთვის – გაეცალკევებინა ისე, შეუძლებელი ყოფილიყო მათი აღრევა.

... როდესაც ორივე დამშვიდდა, თქვა ვერონიკამ: „ეს ისაა, რაც კარგად არასდროს მესმოდა და ჩვენ ის ერთად უნდა ვეძიოთ,“ და გააღო კარი, კიბეს გახედა. ორივეს ჰქონდა შეგრძნება, თითქოს სურდათ თავის სიმარტოვეში დარწმუნებულიყვნენ – ჩაბნელებული სახლი, ეს უზარმაზარი ცარიელი სივრცე, უეცრად ჩამოიქცა, თავზე დაემხოთ. ვერონიკამ თქვა: „ყველაფერი, რაზეც ვსაუბრობდით, არ არის განა ... თვითონაც არ ვიცი ... მაგრამ მითხარი, რაც ხდება შენში, მითხარი, რა არის ეს, ამ მოღიმარი, ტკბილი შიშით ... ?! სრუ-

ლიად არაპიროვნულად, რაღაც უჩვეულოდ, შიშვლად, სირბილით შემოსილად წარმომიდექი, მაშინ, როდესაც გირტყამდა დემეტრე."

მაგრამ იოჰანესს არ ჰქონდა პასუხი. ვარაუდები მხოლოდ. თითქოს ლაპარაკობენ მეზობელ ოთახში და ფრაზის ნაწყვეტებიდან ასკვნი, რომ შენ გეხება საუბარი. იკითხა ერთხელ: „ილაპარაკე დემეტრესთან ამის შესახებ?" „მაგრამ ეს იყო გაცილებით გვიან," უპასუხა ვერონიკამ, შეყოვნდა და დაამატა: „ერთადერთხელ", და ცოტა ხნის შემდეგ: „რამდენიმე დღის წინ. არ ვიცი რატომ." იოჰანესი შეიგრძნობდა ... ყრუდ რაღაცას ... მის არსებაში, შორს, სიღრმეში იყო შიში: ეჭვიანობა, ალბათ.

მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ მოესმა ვერონიკას ლაპარაკი. გააცნობიერა რაც ითქვა: „ეს იყო უცნაური, მე ჩავწვდი პიროვნებას ისე კარგად!" ის მექანიკურად ჩაეკითხა: „პიროვნებას?" „კი, გლეხის ქალი, მაღლა." „აჰ, ჰო გლეხის ქალი." „რომლის შესახებაც ყვებიან სოფლებში ბავშვები", განაგრძო ვერონიკამ, „და შეგიძლია წარმოიდგინო? არასოდეს ჰყოლია შეყვარებული, მხოლოდ ორი ძაღლი. შეიძლება საზიზღრობაა რასაც ამბობენ, მხოლოდ წარმოიდგინე: კბილების ღრჭიალით ზეაღმართული, მომთხოვნი, მბრძანებლური, იყო თითქოს მათი ტოლი, და ხარ კიდეც გარკვეული თვალსაზრისით, შენში დარჩენილ ერთადერთ პატარა წერტილამდე, მაგრამ იცი, შემდეგ წამს, რაღაც ჟესტი და კვლავ იქცევიან არაფრად, მორჩილ, წელში მოხრილ არსებებად – ცხოველებად, და არიან არა მარტო ცხოველები, არამედ – შენ და სიმარტოვე, ეს ხარ შენ და კიდევ ერთხელ შენ, შენ და ცარიელი ოთახი, ბეწვიანი, ბალნიანი, შენ ხარ ის, სურვილით შეპყრობილი – არა ცხოველი, არამედ რაღაც, ვერც კი გამოვთქვამ რა, და არ ვიცი რატომ მესმის მაინც ეს ასე კარგად."

შესთხოვდა იოჰანესი: „ცოდვაა, რასაც ამბობ, სიბინძურე."

მაგრამ ვერონიკა არ ეშვებოდა: „გსურდა მღვდლობა, რატომ?! და ვფიქრობდი მაშინ, იმიტომ ... იმიტომ, რომ მაშინ ჩემი ქმარი ველარ იქნებოდი. მისმინე ... მისმინე: დემეტრემ მითხრა პირდაპირ: <ის შენ არ შეგირთავს, და არც არავინ; შენ დარჩები აქ და მოხუცდები, როგორც დეიდა ... > და ვერ ხვდები, რომ შიშმა შემიპყრო? და განა შენც არ გრძნობ იგივეს? არასოდეს მიფიქრია იმაზე, რომ დეიდა ადამიანია. ის არასოდეს წარმომიდგებოდა მამაკაცად ან ქალად. და შემეშინდა უეცრად, რომ ეს იყო ისეთი რამ, რადაც მეც შეიძლება ვქცეულიყავი, და ვგრძნობდი, რომ რაღაც მოხდებოდა. და მომეჩვენა უეცრად, ის დიდი ხნის მანძილზე არ ბერდებოდა და, შემდეგ, უცბად, იქცა მოხუცად და ასეთად დარჩა. და თქვა დემეტრემ: <ჩვენ შეგვიძლია ვაკეთოთ რაც გვსურს. ჩვენ ცოტა ფული გვაქვს, მაგრამ ვართ უძველესი გვარი პროვინციაში. ვართ განსხვავებული, იოჰანესი

არ წავიდა სამინისტროში, მე კი ჯარში, და არც სასულიერო პირი გახდა ის. სხვები ჩვენ ცოტა ზევიდან გვიყურებენ, რადგან არ ვართ მდიდრები, მაგრამ არც ფული გვჭირდება და არც ისინი. > და, შესაძლოა, დეიდის გამო შეშინებულმა, ეს ასე იდუმალად აღვიქვი, ვით სიბნელე, ვით მიხურვისას მსუბუქი ამოოხვრა კარის და, იცი, დემეტრეს სიტყვებმა რატომღაც ჩვენი სახლი გამახსენა და დამეუფლა უცნაური გრძნობა, განა შენც იგივე არ გიგრძვნია, ჩვენი სახლისა და ბაღის გახსენებისას, ... ო, ბაღი, ... და მიფიქრია შუა ზაფხულში, რომ იგივეა ალბათ – იწვე თოვლში, ასე, სასოწარკვეთილად ნეტარი, ლივლივებდე საყრდენგამოცლილი, სითბოსა და სიცივეს შორის მოქცეული, გინდა წამოხტე და გაღვიძებისას ნეტარების სიტკბოებად იღვრები თითქოს. როდესაც ფიქრობ ბაღზე, არ შეიგრძნობ განა ამ ცარიელი სივრცის უწყვეტ მშვენიერებას, უხვად დაგუბებულ მაცოცხლებელ შუქს, თბილსა და დაბინდულს, რომ გიკრავს სუნთქვას, გამუნჯებს, მეტყველების უნარს გაკარგვინებს მის, არა მხოლოდ მზერისთვის, სხეულისთვისაც აღსაქმელ სიმკვრივედ ქცეულ სიჭარბეში, ცნობიერს მიღმა, უშუალოდ, ურეფლექსიოდ კეთილისმქნელი რომ გამხდარა კანისთვის, არ გესმის განა როგორ ევლება, ესალბუნება სიო ხის ტანს, მისი ქერქის მსუბუქი ოხვრა, ტკბილი ხახუნი, ფოთლებში მისი დაუსრულებელი ნავარდი, კვნესა-შრიალი ... თითქოს სიცოცხლის მშვენიერება, იმ სიცოცხლისა, ჩვენთვის ამ ბაღში რომ მთავრდება, რაღაც ბრტყელ ზედაპირად, შვეულ უსასრულობად ქცეულა, მავანს რომ შემოეჭდობა და წარიტაცებს, ვით ზღვა, რომელშიც ჩაიძირებოდა მასში შესვლა რომ გადაეწყვიტა ... ?"

და წამოხტა ვერონიკა, დადგა იოჰანესის წინ; უცნაურ, გზააბნეულ სინათლეში მოციმციმე მისი ხელის თითები სიტყვებს თითქოს სიბნელეში პოულობდა და მსმენელამდე შიშით, რიდით მოჰქონდა.

„სახლი ხშირად მახსენებდა თავს," ფრთხილად, ხელის ცეცებით იკვალავდა სიტყვები გზას, „მისი წყვდიადი, კიბის ჭრიალი, მტირალა ფანჯრები, ოთახის კუთხეები, დაყუდებული კარადები და, დროდადრო, სადღაც, მაღლა, პატარა ფანჯრის სინათლე, დინჯად, წვეთებად რომ იღვრებოდა, როგორც სითხე დახრილი ჩამჩიდან, და შიში – დგას, თითქოს, შორს, ეულად, ვიღაც ფარნით ხელში. და თქვა დემეტრემ: <არ ვარ მჭევრმეტყველი, რომ ვიპოვო სიტყვები, ეს იოჰანესს უფრო ეხერხება, მაგრამ გარწმუნებ, არის ჩემში რაღაც თავზეხელაღებულად მხნე, ეს მძლავრი შეტორტმანება უზარმაზარი ხისა, ხმა საზარი, არაადამიანური, როგორც ბავშვების ჟივილ-ხივილი თუ საააღდგომო აურზაური ... საკმარისია დავიხარო და თავი ცხოველად წარმომიდგება ... სახესაც კი მოვიხატავდი ... > და

მომეჩვენა, თითქოს, იყო ჩვენი სახლი სამყარო, რომელშიც ვართ მარტონი, სამყარო მღვრიე, გაუმჭვირვალე, სადაც გამრუდებულა, გაუცხოებულა ყველაფერი, როგორც საგნები წყალქვეშ, და მომეჩვენა თითქმის ბუნებრივი, რომ მზად ვიყავი დავყოლოდი დემეტრეს სურვილს. მან თქვა: <ის რჩება ჩვენ შორის და ალბათ რეალურად არც არსებობს, რადგან არავინ იცის მის შესახებ, და არც შეხება აქვს რეალურ სამყაროსთან, რომ როგორმე აქეთ გამოაღწიოს ... > არ იფიქრო იოჰანეს, რომ მის მიმართ რაღაცას ვგრძნობდი. ის ჩემ წინ, დიდ, კბილებით მოჭედილ ხახად გადაიხსნა, რომელსაც შეეძლო ჩემი გადაყლაპვა, როგორც კაცი, ის იყო ჩემთვის უცხო ისე, როგორც ყველა სხვა, მაგრამ იყო მასში რაღაც – თითქოს შთანთქმის შეგრძნება და წარმომიდგა, უეცრად, ტუჩებს შორის წვეთებად უკან ჩასრიალება, ეცადე წარმოიდგინო – გყლაპავს ცხოველი წყლის სმისას, ისევე გულგრილად, ჩლუნგად, როგორც იმ სითხეს ... ადამიანს უნდა განიცადოს რაღაც ისეთი, რასაც ის უბრალოდ გააკეთებდა, თან მარტო, არავისთან და არაფერთან ერთად. მაშინ გამახსენდი, არაფერი კონკრეტული, მაგრამ მე საკადრისი მივაგე დემეტრეს, ... უნდა მიანიჭო შენი სახე, მსგავსს, კარგი, კეთილი ... "

იოჰანესს ენა დაება: „რას გულისხმობ?"

ქალმა თქვა: „მე მაქვს ბუნდოვანი წარმოდგენა, თუ რანი შეიძლება ყოფილიყვნენ ადამიანები ერთმანეთისთვის, რომ არ ეშინოდეთ ერთმანეთის, შენც კი, როდესაც ლაპარაკობ, ხარ ისეთი მტკიცე და ურყევი, როგორც ქვა, ჩემკენ ნასროლი, ულმობლად რომ მიახლოვდება: მე ვგულისხმობ იმგვარ დამოკიდებულებას, თუ მიმართებას, როდესაც ადამიანი მთლიანად ერწყმის ერთმანეთისთვის ყოფნას და არა გაუცხოებას, როდესაც მხოლოდ აკვირდები და უსმენ ... არ შემიძლია ამის ახსნა, ... ის, რასაც შენ ხანდახან ღმერთს უწოდებ, არის, ... "

შემდეგ წარმოთქვა სიტყვები, იოჰანესისთვის კიდევ უფრო გაუგებარი: „ის არსება, რომელსაც გულისხმობ ალბათ არსადაა, რადგან ყველაფერშია. ის, მამაღმერთი, ჩვენს წარმოდგენაში, ერთი მსუქანი, ავი ქალია, ძუძუებზე კოცნას რომ მაიძულებს, და ამავე დროს ვარ მე, ხანდახან, სიმარტოვეში, კარადის წინ წამოწოლილი, ჩაფიქრებული. ასევე ხარ შენც, ალბათ; შენ, ხანდახან, განყენებული, საკუთარი მესგან გარიყული და ჩაკეტილი, როგორც სანთელი სიბნელეში – არა თავისთავადი, მხოლოდ ნაწილი სიბნელისა და თითქოს მხოლოდ მისი მოცულობის ცხადყოფისთვის არსებული, რათა ხილულში გარდასახოს უხილავი. მას შემდეგ, რაც ვნახე, თუ როგორ გეშინოდა საკუთარი თავის, ვგრძნობ, რომ, თითქოს, დროდადრო, ჩემი მეხსიერებიდან ქრები, რჩება მხოლოდ შიში, როგორც შავი ლაქა,

და შემდეგ მისი მოსაზღვრე თბილი, რბილი კიდე. და საქმე ისაა, რომ ადამიანი, თითქოს, მხოლოდ ისაა, რაც ხდება – მოვლენა და არა პიროვნება, რომელიც მოქმედებს; ადამიანი, ყოველი, უნდა დარჩეს მარტო იმასთან, რაც ხდება, და ამავე დროს რჩებოდეს მთლიანი, მდუმარე და ჩაკეტილი, როგორც უფანჯრო კედლებით შემოსაზღვრული ოთახის სივრცე, რომელშიც ყველაფერი შეიძლება მოხდეს ნამდვილად და მაინც ისე, რომ არ იყოს ერთი სივრციდან მეორეში შეღწევის თუ საიდანმე გამოღწევის სურვილი – თითქოს ყველაფერი ფიქრების სამყაროში ხდებოდეს... "

იოჰანესს არაფერი ესმოდა.

და იწყო უეცრად ქალმა ფერისცვალება, სხეულის ხილულმა ნაწილმა, გარეგნულმა, პირი იბრუნა, შიგნით ჩაბრუნდა, თითქოს თავის თავში ჩაიძირა, თვით სახის ნაკვთები, აქ დაპატარავდა, იქ გაიზარდა, რა თქმა უნდა, მას სურდა ალბათ კიდევ რაღაცის თქმა, მაგრამ უკვე თვითონ აღარ იყო თითქოს ის, ახლახან რომ საუბრობდა – მხოლოდ შეყოვნებით, ვით დიდი, შემოვლითი გზის გავლით, მოდიოდა სიტყვები: „ ... რას ფიქრობ? ... მგონი, ვერც ერთი ადამიანი ვერ შეძლებს იყოს ასეთი არაპიროვნული, იყოს მხოლოდ ცხოველი, ალბათ, ... მაგრამ დამეხმარე, რატომ უნდა ვფიქრობდე ამ დროს ყოველთვის ცხოველზე ... ?!"

და იოჰანესმა სცადა, მოეხმო, გამოეხმო როგორმე მისი მე, მოსაუბრესთან დაებრუნებინა, და დაილაპარაკა უეცრად – მას სურდა მოსმენა.

ქალმა თავი გააქნია, მხოლოდ.

– – – –

უეცრად, გახდა მტკიცე, გუმბათოვანი. ვერონიკა ჩამოდიოდა კიბეზე, რომლის ძირშიც იცდიდა ვაუი; ასე, ურთიერთგამიჯნული, იდგნენ ისინი შეღამების ბინდში. და არ ფიქრობდა ვაუი, რომ იგი მისგან მოელოდა ან მოითხოვდა რამეს, არამედ, თითქოს ორივე იქ მყოფი, იყო ავადმყოფი ფანტაზიის ნაყოფი. მაინც საჭიროდ ჩათვალა ეთქვა: „მოდი, წავიდეთ ერთად, სადმე შორს." მაგრამ პასუხად გაარჩია მხოლოდ ... არა სიყვარული ... არა ქორწინება ... დეიდას ვერ მივატოვებ.

ცდა განაახლა მან: „ვერონიკა, ადამიანი, თუმცა, ხანდახან სიტყვაც, სითბო, სიო მსუბუქი, ვით მორევში პატარა ქვა, იმ ღერძს ქმნის, ან იმ ცენტრს გიჩვენებს მოულოდნელად, რომლის ირგვლივაც ბრუნავ, ... ჩვენ ერთობლივად უნდა მოვიფიქროთ რამე, მაშინ შეევძლებთ ალბათ ამას ... " და იყო პასუხში, ხმაში, ვნება, უფრო ცხადი, ვიდრე მაშინ, ამ სიტყვების პირველად წარმოთქმისას, როდესაც ქალმა იგივე უპასუხა ვაუს: „ასეთი არაპიროვნული ვერ იქნება ადამიანი – ცხოველი მხოლოდ ... შესაძლოა მხოლოდ შენი სიკვდილის წამს ... " ჩაიჩურჩულა ქალმა. და კვლავ დაეუფლა ვაუს გრძნობა – იყო ეს არა გადაწყვეტილების სიმტკიცე, არამედ ხილვა, სინამდვილისადმი ყოველგვარი მიმართების გარეშე, ვით მუსიკა, მხოლოდ თავის თავზე მიმართული, მან თქვა: „მე მივდივარ; რა თქმა უნდა, მოვკვდები, ალბათ." მაგრამ იცოდა მაშინაც ვაუმა, რომ ეს არ იყო ის, რასაც გულისხმობდა.

და გამუდმებით, არ გააცდენდა საათს, ცდილობდა გარკვეულიყო, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სინამდვილეში ამის შემძლე ქალი. წარმოთქვამდა ხანდახან სახელს: ვერონიკა, და ამ დროს გრძნობდა ოფლს – სასოწარკვეთილი უკან ჩანჩალისა და ნესტიანი სიცივის ურთიერთგამიჯნულობის საწინდარს.და ფიქრობდა მის სახელზე, იმწამსვე, ორი პატარა კულულის, თითქოს შუბლზე ფრთხილად მიწებებულის, დანახვაზე ან, როცა ხედავდა მის ღიმილს, ხანდახან, როდესაც ისხდნენ მაგიდასთან, ის კი დეიდას ემსახურებოდა. და უყურებდა ვაუი მაშინაც, როდესაც ლაპარაკობდა დემეტრე; მაგრამ ყოველთვის აწყდებოდა რაღაცას, გაუგებრობაში რომ ამყოფებდა – როგორ შეიძლება გამხდარიყო ასეთი არსება მისი მგზნებარე გატაცების საგანი. და როდესაც ფიქრობდა ამაზე, მის ყველაზე ადრინდელ მოგონებებში იყო რაღაც მიმქრალი, მსგავსი ჩამქრალი სანთლების სუნისა, ან იმ, სტუმართა ხშირი მისვლა-მოსვლით ბზინვარებაშებღალული მისაღები ოთახებისა, ახლა დახურულ ფარდებს მიღმა რომ თვლემენ, შალითებს ქვეშ, სიმყუდროვეში. როდესაც დემეტრეს ლაპარაკს ისმენდა, საგნები, ასე შემზარავად ჩვეული, უფერული, როგორც ეს ავეჯი, ზედმეტი და ყველასგან მიტოვებული, სამეულის გამაერთიანებელ მანკიერებად მოჩანდა.

და მიუხედავად ამისა, მოგვიანებით, ქალზე ფიქრისას – გესმის მხოლოდ, თუ როგორ ამბობს ის უარს და, – ეს უარი, უეცარი, სამჯერადი – და ვეღარ ცნობ მის წარმომთქმელს. ერთხელ, იყო ეს მხოლოდ ჩუმად ნათქვამი და მაინც წინა მოვლენებს უცნაურად გამიჯნული, სახლში განვრცობილი და შემდეგ – როგორც მათრახის მოქნევა ან საკუთარ თავზე გაუაზრებელი, მტკიცე ჩაჭიდება – უეცრადვე დამცხრალი – კვლავ სიჩუმე პირვანდელი, თავის თავში ჩამხობილი, თითქმის ტკივილი, სასოწარკვეთით შობილი.

და ახლა, უკვე მასზე ფიქრისას, ეჩვენებოდა, დროდადრო, რომ იყო ის მშვენიერი, სილამაზე კი, – არა სადა, ბუნებრივი – უფრო ცალკეული ნაკვთების ხელოვნური, უცხო შეხამებით გამორჩეული, აღფრთოვანების ადვილად გამომწვევი, ასევე ადვილად დავიწყებას მიცემული და ბოლოს საზარლადაც ქცეული. ეჩვენებოდა – ოდეს ამოიმართა სახლის ბინდიდან მის წინ ქალი, გადმოაბიჯა იქიდან და მის უკან სივრცე უჩვეულოდ, უმოძრაოდ შეიკრა და გამთლიანდა და შთამბეჭდავი, უცხო ვნებიანობით, ვით უცნაური სენით აღბეჭდილი, მოძრაობდა ის, მის წინ მდოვრედ მოსრიალე – ეჩვენებოდა ამ დროს, ყოველთვის, რომ ცხოველად აღიქვამდა მას ქალი. ის შეიგრძნობდა ამას შეუცნობლად, საზარლად, თავის დიდ, ვრცელ სინამდვილეში, უფრო დიდში, ვიდრე შეეძლო წარმოედგინა. მაშინაც, როდესაც მას ვერ ხედავდა, ხედავდა უმძაფრესი სიცხადით: მაღალ ტანს, განიერ, ოდნავ თხელ მკერდს, ვიწრო, ბრტყელ შუბლს და ამ რბილ კულულებად ჩამოშვებულ უცხო, ხშირ, შავ თმას, მის ვნებიან, ეშხიან პირს და მკლავებს მოდებულ შავი თმის მსუბუქ ღინღლს.და იმასაც, რომ დადიოდა თავდახრილი, თითქოს ნატიფ კისერს უჭირდა იმ პატარა სიმძიმის ტარება, ბუნებამ ხვედრად რომ არგუნა, და წელგამართული, თვალშისაცემად მისეული, თითქმის ურცხვად ფლეგმატური, გულგრილი თვინიერება და მიხრა-მოხრა – ზანტი, თვითკმარი, რის ნიშნადაც სიარულში ოდნავ წინ გამოზნექდა ტანს. მაგრამ ერთმანეთში თითქმის აღარ საუბრობდნენ.

– –

– –

– –

უეცრად ვერონიკას ჩაესმა ჩიტების გადაძახილი. და ამით დამთავრდა. დამთავრდა ამ პატარა ამბით, როგორც ხდება ეს, დროდადრო, და დაიწყო ის, უპირატესად მისთვის განკუთვნილი.

რადგან, თითქოს მიპარვით, შემდეგ კი, ვით აფეთქება, ელვისებური სისწრაფით, როგორც ბუსუსებიანი ენის წვეტიანი წვერის ბასრი ჩხვლეტა, მაღალი ბალახისა და მინდვრის ყვავილების სურნელი შემოეფეთათ, აეკრო სახეებს, მათში შეაღწია – შემოენთოთ მძაფ-

რად და ღრმად, მოიკიდა ფეხი მათ არსებებში და იქ დამკვიდრდა. და უკანასკნელი საუბარი – დინჯად რომ მიუყვებოდა გზას, თითქოს თითებს შორის რაღაცას ატრიალებ, დიდი ხანია ყურადღებას აღარც აქცევ და დაწყებულს უაზროდ, მხოლოდ ინერციით აგრძელებ – შეწყდა. ვერონიკა შეშინდა; მხოლოდ შემდეგ შეამჩნია, თუ რა უჩვეულო იყო ეს შიში – სახეზე ალმური მოსდებდა, და იყო მოგონება მოვლენების, მრავალი წლის მიღმა რომ იღებდა სათავეს და ახლა – მას შემდეგ, რაც თვალის დახამხამებაში მეხსიერებაში დალექილი წლების რიგმა ჩაიქროლა – იყო აქ, მასთან, უეცრად თავსდატეხილი, სულის შემძვრელი, მთრთოლვარე, კვლავაც ცოცხალი. ამ ბოლო დროს, იყო, რა თქმა უნდა, მოგონებები და არა ერთი, და გრძნობდა რომ ეს ზუზუნი, ქროლვა უკვე წინა ღამეს მოესმა, და წინის წინა ღამეს და იმ ღამესაც, თოთხმეტი დღის წინ. და იყო შეგრძნება, რომ თითქოს ეს შეხება მას ადრეც ჰქონდა განცდილი, მსუბუქი და მაინც ასე მტანჯველი, მაგრამ როდის? ძილში თუ იყო. უკანასკნელ ხანს თავს დასტრიალებდა ისინი – მოგონებები, როგორც რაღაც მიზნისკენ ერთად დაძრული ფუტკრის ნაყარი. მთელი ბავშვობა, მისი უცნაური სახეები განუწყვეტლად, შეუსვენებლად მოემართებოდა მისკენ, გამუდმებით, ყველა მხრიდან, ყველა კუთხიდან: მარცხნიდან, მარჯვნიდან, წინიდან, ზურგიდან აღწევდა მასში და ხვდებოდა თითქმის არაბუნებრივი სიცხადით, რომ მოგონება იყო ნამდვილი, ჭეშმარიტი, უეცრად გაცნობიერებული, მრავალ განვლილ წელს მიღმა რომ აბრუნებდა – როგორც იქნა – თავის თავთან, უშუალოდ, ნახტომით, ყოველივე მათ შორის ამოზრდილის უგულებელყოფით, და – ფეთქავდა მოგონება, ჯერაც ცოცხალი.

მაშინ: უყვარდა დიდი სენბერნარის ბენვი, განსაკუთრებით წინ, მკერდზე, მის ამობურცულ ძვლებზე – ორი ბორცვი, ყოველ გადადგმულ ნაბიჯზე ერთმანეთს რომ ენაცვლებოდა; იყო ისინი უამრავი, მოყვითალო-მოყავისფრო, სიმდიდრე უთვალავი, მშვიდად, აუღელვებლად, თავდაჯერებულად უსაზღვრო, ოდეს იკარგება მზერა უმწეო, თუნდაც არა მთელზე, მხოლოდ მცირე ნაწილზე მიპყრობილი. და მაშინ, როცა აღიქვამდა არაფერს, თუ არა ოდენ კეთილგანწყობისა და სიმპათიის მთლიან, დაუნაწევრებელ ტალღას, თოთხმეტი წლის გოგონას სიხალასით ხალასს, ნაზს, მეგობრულს, და როდესაც იმას, რასაც მნიშვნელოვნად მიიჩნევ, აღიქვამ ისე, თითქოს ხარ ბუნების, ლანდშაფტის ნაწილი, მიდიხარ მის წიაღში და ხედავ ტყეს, იქით მდელოს, აქეთ მთას, იქ კი მინდორს და ამ დიდ წესრიგში ყოველი ცალკეული არის როგორც ქვა, მარტივი და მორჩილი, თვინიერი, თუმცა ყოველი მათგანი – შემზარავად რთული, უსასრულობა ელემენტების, როდესაც რომელიმეს გამორჩეულად მიაპყრობ

მზერას, და იქცევიან ვით ცოცხალი არსებები ისე, რომ გაოგნებულს გეუფლება შიში, როგორც უძრავი, ჩასაფრებული, ნახტომისთვის გამზადებული მხეცის პირისპირ დარჩენილს.

ერთხელაც, მწოლიარემ, თავისი ძაღლის გვერდით, წარმოიდგინა, რომ ალბათ ასეთები არიან გოლიათები; მთებით, ველებით, მკერდზე ტყედ მოდებული თმით და ტოტებზე დარწეული მგალობელი ჩიტებით, ტანზე მოკალათებული პატარა მკბენარებით, და – არ იცოდა რა შემდეგ, მაგრამ – არ ექნებოდა, ალბათ, ამას დასასრული, ყველაფერი კი იყო ისე თანამიმდევრულად დალაგებული, ერთიმეორეში ჩაჭირხნული, რომ ასე, თითქოს თვინიერად და დათრგუნულად, მათ მხოლოდ უსაზღვრო ძალით დამკვიდრებული წესრიგი თუ ამყოფებდა. და ფიქრობდა თავისთვის, რომ მრისხანებისას ეს ათასწახნაგოვან-მრავალსახოვანი სიცოცხლე დაიძრებოდა დანაწევრებული, ღრიალით მსხვერპლს თავს დატეხილი, ხოლო სიყვარულისას იქნებოდა მთების ფერხული და ხეთა გუგუნი, ვით ქარის ქროლვისას, და სხეულზე ამოზრდილი ფრიალა პატარა თმები, ქავილის ჟინად ატეხილი ბოროტი არსება და გამყივანი ხმა, ნეტარებაში რაღაცაზე, გამოუთქმელზე რომ მოთქვამს; მის სუნთქვას კი ეს ყველაფერი ცხოველების სიმრავლეში უნდა გაეხვია და თავისკენ მძლავრად მიეზიდა.

და, როდესაც შეამჩნია, რომ ეს სწორედ მისი პატარა, ქორფა, შემართული ძუძუები მოძრაობდნენ, ადიოდ-ჩამოდიოდნენ, ჩასუნთქვისა თუ ამოსუნთქვისას ჰაერის მსუბუქი ხახუნით თანხლებული, მობეზრდა უეცრად ამ ყველაფრის მოწმედ ყოფნა და სუნთქვა შეაჩერა, თითქოს სურდა და შეეძლო კიდეც რაღაცის გამოხმობა. მაგრამ, რადგან სუნთქვის განახლების სურვილის მოზღვავებას ვეღარ უძალიანდებოდა და კვლავ აღდგა მისი ჩვეული სვლა, თითქოს მას, სუნთქვას, ეს სხვა სიცოცხლე თანდათან თავისკენ იზიდავდა, დახუჭა თვალები და კვლავ თავის გოლიათებს დაუბრუნდა, ახლა ერთმანეთს სურათების მღელვარე რიგში რომ ენაცვლებოდნენ – იყვნენ უფრო ახლოს და სითბოს ასხივებდნენ, როგორც ჰორიზონტისკენ მოძრავი, ჩამოწოლილი ღრუბლები.

დიდი ხნის შემდეგ, თვალის გახელისას, ყველაფერი იყო უცვლელი, მხოლოდ ძაღლი იდგა ახლა გვერდით და უყურებდა. უეცრად, რაღაც წვეტიანი, წითელი, წელში მოკეცილი, ტკივილსევდანარევხალისიანი, უხმაუროდ გამოეყო ძაღლის ზღვის ტალღის სირბილის ყვითელ საწმისს, და სწორედ იმ წამს, როდესაც წამოდგომა დააპირა, სახეზე ნელთბილი, ათრთოლებული ენა შეეხო. და იყო უღონო, თითქოს დამბლადაცემული ... თითქოს თვითონაც ცხოველი, . და, მიუხედავად საზარელი შიშისა, ჩაიკეცა რაღაც მასში მცხუნ-

ვარედ, თითქოს თანდათან ... ვით ცოცხალი ღობის ეკალ-ბარდში ჩიტის ნაღვლიანი სტვენა და ფრთების ფრთხიალ-შრიალი, ვიდრე არ დადუმდა არემარე და არ გახდა მსუბუქ ბუმბულთა ერთურთზე სრიალად დაღვრილი ხმები რბილი, ხავერდოვანი ...

იყო შეკრთომა, შიში, სწორედ ის, იმდროინდელი – მძაფრ და სულის შემძვრელ მხურვალებად რომ დაუარა სხეულში – ყველაფრის გახსენების საწინდარი. რადგან არავინ უწყის როგორ, მაგრამ ხვდებოდა მაინც, რომ ახლა, წლების შემდეგ, დაუბრუნდა შიში, იგივე, უწინდელი.

და იდგა იქ ვაჟი, რომლის დღეს გამგზავრება იყო გადაწყვეტილი, ის კი, ქალი, იდგა აქ. და გასულიყო დღემდე ცამეტი თუ თოთხმეტი წელი და აღარ იყო მისი ძუძუები ისეთი, ყურადღება-, ალერსმოწყურებული და გამომწვევი, ალისფერსაკოცნელად, ალერსის მიპატიჟებად დაბურცული, ისინი ახლა ოდნავ მოდუნებული, ჩამოღვენთილი ჩანდა, გადაჰფენოდათ სევდიანი იერი, თითქოს ხედავდე ორ ქაღალდის ქუდს, მიტოვებულს დიდ, გაშლილ მინდორში, რადგან არა სისქეში, სიგანეში წასულიყი მკერდი, გაბრტყელებულიყო – სივრცე თავის ზრდაში თითქოს იქიდან იღებდა სათავეს. მაგრამ სარკეში ცქერისას, ის ამას, ალბათ, ვერც კი ამჩნევდა, შიშველი, აბაზანაში ან ტანსაცმლის გამოცვლისას, რადგან მხოლოდ იმას აკეთებდა, გარემოება რომ მოითხოვდა მისგან, უბალოდ გრძნობდა, თუ ეჩვენებოდა, ადრე შეეძლო ტანსაცმელი საკუთარი სხეულით სრულად შეევსო და ტანსაცმელიც – თითქოს ვერ უძლებდა მისი ხორცავსავსე სხეულის ამ შემოტევას, თან, მასთან სიახლოვესაც ვერ ელეოდა, არ ეთმობოდა – იყო ყოველი მხრით მკვრივად, მტკიცედ შემოჭდობილი, მაშინ, როცა ახლა ის მხოლოდ სხეულს უფარავდა, გულგრილად მოსავდა და, უწინდელის გახსენებისას, თავს არა გარედან მოპყრობილი მზერით, არამედ შინაგანი ხედვით შეიგრძნობდა, გარეთ, მისი სხეულებრივი მესკენ მიმართულით, აცნობიერებდა, რომ სხეული იყო ადრე, როგორც წყლის წვეთი დაღვენთებისას, ვიდრე მოწყდება საბოლოოდ, დაქანდება – დრეკადი და დაჭიმული, ახლა კი, რა ხანია, პატარა გუბურას დამსგავსებოდა, რბილი, უწყინრად შემოვლებული საზღვრებით; და, ალბათ, ეს სხვა არაფერი იქნებოდა, თუ არა მოდუნება, მოშვება, რომ არ ეგრძნო, ხანდახან, უცნაური მოძრაობა, სვლა იქით, ისე, თითქოს რაღაც, უჩვეულოდ რბილი და ხავერდოვანი, შიგნიდან, მდორედ, ათას ნატიფ ნაოჭად ეკვროდა, სულ უფრო მჭიდროდ.

იყო ალბათ ერთხელაც, ოდესღაც, რომ ის უბრალოდ სიცოცხლესთან უფრო ახლოს იყო, უფრო ცხადად შეიგრძნობდა მას – ეხებოდე თითქოს საკუთარი ხელებით, ან საკუთარი სხეულით – მაგრამ

უკვე დიდი ხანია გამქრალიყო ეს გრძნობა, იცოდა მხოლოდ, რომ მას შემდეგ მოხდა რაღაც – ახლა მათ შორის ჩამდგარი, მას რომ გადაფარებოდა და მიეჩქმალა. არ იცოდა, რა იყო ეს: სიზმარი, შიში სიფხიზლისას, თუ დაეფრთხო რაღაცას, ნანახს ან, იქნებ, იყო ეს უბრალოდ მისივე ხედვის თავისებურება; დღემდე გამოუცნობი რჩებოდა; რადგან ამ ხნის განმავლობაში, ამ შთაბეჭდილებებს უფერული, ყოველდღიური ცხოვრება გადაჰფენოდა, ნაეშალა ისინი, როგორც სუსტი ქარის ხანგრძლივი ქროლვა შლის, აქრობს სილაში ნაკვალევს; მისი ერთფეროვნების ექო უფრო სულში აირეკლებოდა, როგორც ქარის ზუზუნის ტალღები, აღმა თუ დაღმა მავალი. ამიერიდან მისთვის აღარ არსებობდა ძლიერი გრძნობები: არც ტკივილი, არც სიხარული, არაფერი შესამჩნევი, ან ხანგრძლივი, მოვლენათა ჩვეული რიგიდან ამოვარდნილი. თანდათან მისი ცხოვრება სულ უფრო უმნიშვნელო ხდებოდა. დღეები, გამორჩეული არაფრით, მისდევდა ერთმანეთს და, ასევე, წლები მსგავსი, უფერული, მისდევდა თავის ტოლ-სწორებს; გრძნობდა მხოლოდ, რომ ყოველი მათგანი რაღაცას აკლებდა ან მატებდა და იცვლებოდა ისიც ამ მონაცვლეობაში, მაგრამ არასოდეს გამოეყოფოდა ერთი სხვებს, დანარჩენთა ერთობლიობას; მას ჰქონდა საკუთარი თავის ბუნდოვანი შეგრძნება, როგორც რაღაც არამყარის, დენადის, და როდესაც შიგნიდან – სიბნელეში ხელის ცეცებით – საკუთარი თავის მიგნებას ცდილობდა, მას მხოლოდ ჩამოუყალიბებელ ფორმათა მონაცვლეობად შეიგრძნობდა, გაუმჭვირვალე მოსასხამით კიდევ უფრო გაბუნდოვნებულად, როდესაც ამჩნევ რაღაცას საფარ ქვეშ – იცი მოძრაობს, ოღონდ ვერ ხვდები, რატომ. ეს მოხდა თანდათან, თითქოს ცხოვრობდა რბილი გადასაფარებლის, ან თხლად დამუშავებული რქის ზარის ქვეშ, სულ უფრო გაუმჭვირვალე რომ ხდებოდა. სულ უფრო უკან იხევდა საგნები, კარგავდა სიმკვეთრეს მათი ხატი, საკუთარი თავის შეგრძნება შორდებოდა, სულ უფრო ღრმად იძირებოდა და გაჩნდა მათ შორის უზარმაზარი, ცარიელი სივრცე, სადაც არსებობდა მისი სხეული; ის, სხეული, ამჩნევდა ირგვლივ საგნებს – მოღიმარი, ცოცხალი – მაგრამ ყველაფერი იყო ცალ-ცალკე, ურთიერთგამიჯნული და, ხშირად, ეს ბლანტი ზიზღი უხმაუროდ მიიზლაზნებოდა მისი ცხოვრების გზაზე და ყველა გრძნობას თითქოს კუპრის ფერუმარილით თხუპნიდა და ბღალავდა.

მხოლოდ მაშინ, როდესაც იგრძნო ეს უცნაური მოძრაობა, ეს უჩვეულო გამოცოცხლება, დღეს უკვე ძალამოკრებილი, ფიქრობდა იმაზე, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა ყოფილიყო, როგორც უწინ. ფიქრობდა იმაზეც, იყო თუ არა ეს სიყვარული; სიყვარული? მან, ალბათ, დიდი ხნის წინ თუ მოაკითხა – ზანტად და აუჩქარებლად; ზან-

ტად, თუმცა მისი ცხოვრების დინებისთვის მეტისმეტად სწრაფად, რადგან ის, ცხოვრება, იყო ძალზე ნელი, მეტისმეტად, უფრო თვალის მდოვრე გახელა და დახურვა, ამ უკიდურესობათა შორის კი საგნებზე დაყოვნების ვერშემძლე მზერა გადაივლის მათზე, გადასრიალდება აუჩქარებლად, მათზე მოჭიდების გარეშე. აი, ამ მზერით დაინახა მან სიყვარულის მოახლოება და ამიტომ ვერ იჯერებდა, რომ იყო ეს სიყვარული; მას ეზიზღებოდა ის, მზერა, ეჭვიანი ზიზღით, როგორც ყველაფერი უცხო – სიძულვილის, მძაფრი სიძულვილის გარეშე, ოდენ მხარე საზღვრის მიღმა, შორი, სადაც საკუთარი – ხავერდოვნად და უიმედოდ – ერწყმის ცას, მაგრამ იცოდა ამის შემდეგ, რომ უსიხარულო გახდა მისი სიცოცხლე, რადგან ყოველივე უცხოს ზიზღს აიძულებდა, და მაშინ, როცა ის თავს მხოლოდ იმ ადამიანად გრძნობდა, რომელსაც თავისი საქმიანობის აზრი, მნიშვნელობა დაუკარგავს, ეჩვენებოდა, ხანდახან, რომ მას ის უბრალოდ დავიწყებული ჰქონდა, თუმცა ჯერ კიდევ შეეძლო მისი გახსენება. და რაღაც უჩვეულო აწვალებდა, როგორც მნიშვნელოვანი ამბების მოგონება, დავიწყებულის, ცნობიერს მიღმა რომ მივყავართ. და ეს ყველაფერი დაიწყო იოჰანესის დაბრუნებისთანავე, იმწამსვე გაახსენდა, არც კი იცოდა რატომ, თუ როგორ მოხვდა მას დემეტრეს მუშტი და მისი უმწეო ღიმილი.

და ჰქონდა ამის შემდეგ შეგრძნება, მოსულიყო თითქოს მავანი, მფლობელი იმისა, მას ასე რომ აკლდა, და მდუმარე, ქალის სიცოცხლის შეღამების ბინდიან სიმარტოვეში მიაბიჯებდა. გამქრალიყო ყველაფერი, დარჩენილიყო მხოლოდ ის, და მის სვლაში, ქალის აღქმაში, ზანტად, ფეხათრევით, იწყებდა სივრცე მოწესრიგებას, და ლაგდებოდა საგნები, მას შემდეგ, რაც ის, უცხო, მიაპყრობდა მათ მზერას; მისი, შემკრთალისა და მოღიმარის – ოღონდ ღიმილი მიმართული არა ვინმე სხვაზე, საკუთარ თავზე – ხილვისას ეჩვენებოდა, რომ შეეძლო სამყაროს შესუნთქვა, საკუთარ სხეულში მოქცევა, ერთხანს ასე შეკავება, მისი შიგნიდან სრულად განცდა-შეგრძნება, და მისი ნაზად, ფრთხილად კვლავ უკან დაბრუნებისას, მოეჩვენა ის ხელოვანად, თავისთვის, განმარტოებულად, ცაში მფრინავ დისკოზე რომ სურს გამოსცადოს საკუთარი მაგიის ძალა; და უეცრად გაქრა ხილვა, თვალს მიეფარა. ქალს უბრალოდ ტკივილი მიაყენა წარმოდგენის ბრმა დაჟინებამ, თუ რა ლამაზი იყო ყველაფერი მის თვალში და შურს შეეპყრო იმის გამო, რასაც ის სხვა, უცხო, უბრალოდ გრძნობდა. რადგან, თუმცა ქალის მზერამ კვლავ შებღალა წესრიგი და ჰარმონია – საგნების მიმართ მას მხოლოდ შვილისადმი დედის უძღები, მიკერძოებული სიყვარული თუ შეიძლებოდა ჰქონოდა, ცხოვრების წარმართვისთვის ასე უკმარი – ახლა, დროდადრო, მის-

მა მოდუნებამ იწყო რყევა, ვითარცა ბგერამ, ბგერამ, ყურში რომ ჟღერს ... რომ ჟღერს და სადღაც, სამყაროში, სივრცეს აგუმბათებს, ნათელს უდებს სათავეს, ... ნათელს და ადამიანებს, რომელთა სევდის მიმოხრა შვეულად განვრცობილა, ვით ხაზები, სულ უფრო მზარდი, წინ მსწრაფი, თავის პირვანდელ ფარგლებს გამცდარი, გაცილებული, რომ გრძელდება, მიემართება შორს, უსასრულობაში, რათა იქ შეიყაროს, შეხვდეს ერთმანეთს. და თქვა ვაუმა: იდეალებია ეს და იყო ქალისთვის სიტყვები იმედიანი, რომ არ იყო ეს შეუძლებელი. თითქოს მხოლოდ სიმაღლეში მომატება, ამაღლება სცადა, მაგრამ ეს მას ტკივილს აყენებდა ისე, რომ გეჩვენება – შეუძლოდ გამხდარა სხეული, ვერშემძლე შენი სიმძიმის ტარებისა.

და მოხდა ისე, რომ ყველა მოგონებამ ერთდროულად გაახსენა თავი, ყველამ, ერთის გარდა. ყველა ერთად დაატყდა თავს და, ვერც კი ხვდებოდა რატომ, უბრალოდ კარნახობდა რაღაც, რომ მაინც აკლდა ერთი, ის, რომლის გამოც ეს სხვები გამოეცხადა. და აღმოცენდა მასში წარმოდგენა, რომ იოჰანესი შეძლებდა ამაში დახმარებას და მთელი მისი ცხოვრება მხოლოდ ამაზე იყო დამოკიდებული, როგორმე მოეპოვებინა ის ერთი, უკანასკნელი. ისიც იცოდა ქალმა, რომ იყო ეს არა ძალა, რასაც შეიგრძნობდა, არამედ ვაუის უშფოთველობა, მისი სისუსტე – მდუმარე, აუმღვრეველი, გარეშე ძალისთვის მიუწვდომელი, ვაუის უკან სივრცედ გაშლილ-განფენილი, რომელშიც რჩებოდა მარტო ყველაფერთან, თავს გადამხდართან. მაგრამ ქალი ვეღარ ახერხებდა სასურველის პოვნას, შფოთავდა, იტანჯებოდა, რადგან ყოველთვის, მიზნის სიახლოვეს, კვლავ ცხოველი წარმოუდგებოდა; ხშირად არა ერთი, მრავალი – ან დემეტრე. იოჰანესზე ფიქრისას, ეჩვენებოდა, რომ მათ ჰყავდათ საერთო მტერი, მაცდური, დემეტრე, მისი ხატი, ქალის მოგონებას დიდ, ხშირ-ფოთლიან, დატოტვილ-დაბურულ მცენარედ რომ გადაჰფენოდა და მის ძალასა და ენერგიას ისრუტავდა. და არ იცოდა, სწორედ ეს მოგონება იყო მიზეზი, თუ ის გრძნობა, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი. იყო ეს სიყვარული? – უფრო მოგზაურობა მის სამყაროში, იქ ნელი ხეტიალი. თვითონაც არ იცოდა, რა. იყო ვით სვლა გზაზე, სავარაუდოდ გარკვეული მიზნისკენ, და იყო მოლოდინი, მანამდე, ოდესმე, სხვის, ვინმესა თუ რამის პოვნის და შეცნობის, ნაბიჯებს ასე რომ ანელებდა.

და არ ესმოდა ვაუს ქალის, სიცოცხლის შეგრძნების ამ მერყევი, გაუბედავი გრძნობის ტარების სიძნელის არმცოდნეს, სიცოცხლისა, ორივესთვის თავს იმაზე რომ დაიფუძნებდა, რაზეც ქალს ჯერ წარმოდგენაც არ ჰქონდა, და იყო ლტოლვა ქალისადმი თითქოს სწრაფვა უმარტივესი რეალობისადმი – იქნებოდა ეს ცოლობა, თუ

რამ სხვა. ქალს არ ესმოდა ეს, ეჩვენებოდა უაზრო, ამ წამს კი, თითქმის ბანალური. მასში არასოდეს ყოფილა ეს, ერთადერთ მიზანზე სწორხაზოვნად მიმართული ლტოლვა, და არც არასოდეს ასე მკაფიო, ცხადი, რომ მამაკაცები მხოლოდ საბაბი იყვნენ, რასთანაც რაღაც უფრო ღირებულის ძიებაში, მათში მხოლოდ აჩრდილად არეკლილში, არ უნდა შეჩერდე. და იბრუნა პირი კვლავ თავისკენ, ჩაბრუნდა, ჩაიქცა მისი მე უკან, ქალის არსებაში და იყო ჩაცუცქებული წყვდიადადში, ყურადღებიანი მზერით ვაჟს მიჩერებული. და გაკვირვებულმა, პირველად აღიქვა საკუთარი-მეს-თავის-თავში ეს გამომწყვდევა, მასთან უნატიფესი შეგრძნებებით, ვით თითებით უშუალო შეხება, რასაც იგი ცნობიერების წინაშე თავდავიწყებით, ვნებიანად ეძლეოდა, ასე ახლო მის, ვაჟის, თვალებთან და, მაინც, მისთვის მიუწვდომელ უსაფრთხოებაში. და აღსდგა, ამხედრდა რაღაც ვაჟის წინააღმდეგ, როგორც რბილად მოშრიალე კატის ბეწვი და, თითქოს პატარა, ელვარე ტყვიას მიადევნაო თვალი, საკუთარი არსების სამალავიდან გამოიხმო უარი, გაგორდა ის ვაჟის ფეხებთან ... და იყვირა უეცრად ქალმა – თითქოს იდგა იქ მასზე ფეხის დაბიჯების მოსურნე ვაჟი.

ახლა, როდესაც დამშვიდობება ულმობლად აღმართულიყო მათ შორის და, დროის დინების შუაში მომწყვდეულს, გასავლელი გზის უკანასკნელი მონაკვეთიღა რჩებოდა, მოხდა ისე, რომ მკვეთრად და ცხადად, ვერონიკაში ის, უკანასკნელი, სადღაც გადაკარგული, ჯერ კიდევ მიუგნებელი, მოგონება ამოტივტივდა. გრძნობდა, რომ სწორედ მას მიაგნო, მაგრამ ვერც მის მნიშვნელობას ხვდებოდა და იმედგაცრუებულიც კი ჩანდა, რადგან არაფერი იყო ამაში მისი შემწე, მისი საყრდენი; უბრალოდ, თავს მხსნელ, სიმხნევისმომგვრელ სიგრილეში შეიგრძნობდა. გრძნობდა, რომ უკვე იდგა ერთხელ იოჰანესის წინაშე ასე, შემკრთალი, შეშინებული და იყო გაუგებარი, თუ რატომ უნდა ყოფილიყო ეს მისთვის ასე მნიშვნელოვანი, და რა იქნებოდა ის მისი მომავლისთვის, თუმცა უეცრად წარმოუდგა, რომ იდგა კვლავ ვაჟის გზაზე, მის წინ, იმავე წერტილში, სადაც, ერთხელ უკვე, დაკარგა იგი, და იგრძნო, რომ იმ წამს ჭეშმარიტ განცდას, ჭეშმარიტი იოჰანესის განცდას, მწვერვალი გადაელახა და დასასრულისკენ მიექანებოდა.

ქალში იმ წამს გაჩნდა შეგრძნება განცალკევების, ურთიერთდაშორების, ის ღრმავდებოდა. ისინი, მართალია, უწინდებურად ერთმანეთთან ახლოს რჩებოდნენ, მაგრამ იყო რაღაც მკვეთრი ვარდნა, მათ ცერად, დაბლა, მძაფრად რომ განიზიდავდა და იძირებოდა ორივე, თითქოს, ერთმანეთისგან სულ უფრო შორს, ღრმად; ვერონიკა უყურებდა გზის გასწვრივ ხეებს, ახლა უფრო წელში

გამართულს, უფრო მაღლა ატყორცნილს. და ფიქრობდა, რომ უარს, ადრე მხოლოდ წინათგრძნობის ამარა, ეჭვით რომ წარმოთქვამდა, ახლა სრულად აცნობიერებდა და ხვდებოდა, რომ ვაჟი არა მის, არამედ თავისი თავის გამო მიემგზავრებოდა, თუმცა საკუთარი ნების წინააღმდეგ. და ერთხანს ჰქონდა შეგრძნება, ღრმა და მძიმე, წევს თითქოს გვერდი-გვერდ ორი სხეული, თითოეული თავისთვის, თავის თავში ჩაკეტილი, რადგან ვაჟის მიმართ ლტოლვისადმი დანებება, ფარხმლის დაყრა იქნებოდა ის, რასაც ქალი გრძნობდა; და უეცრად გაჩნდა მასში რაღაც, პატარა, სუსტ არსებად, არაფრად რომ აქცევდა – ლეკვად, სამ ფეხზე წკმუტუნით რომ კოჭლობს, ან გაცრეცილ დროშად, სიოს დაბერვა მათხოვრის გამოწვდილ ხელად რომ ააცახცახებს, და კარგავდა შინაგან მთლიანობას, რაღაც უსახურში ითქვიფებოდა, და იყო მასში სევდა, სურვილი ვაჟის შეჩერებისა, ვით რბილი ლოკოკინა, დაკაწრულ-ნაჭრილობევი ტანის მსუბუქი რხევით ტოლ-სწორს რომ ელტვის, რათა მიეწებოს, შეერწყას მის სხეულს, თავის სათუთ სიშიშვლეში, დაუცველი, უმწეო და მომაკვდავი.

შეხედა ვაჟს და ვერც კი აცნობიერებდა, თუ რას ფიქრობდა, მხოლოდ გუმანით ხვდებოდა, რომ ის, ერთადერთი, რაც მან იცოდა, შესაძლოა ამ უეცარ მოგონებაში – ეულსა და შიშველში – არაფერი იყო უშუალოდ მისივე არსიდან გასაგები, არამედ მხოლოდ იმით, რომ ის – მისი განხორციელება, სრულქმნა, ოდესღაც, დიდი შიშით შეფერხებული, შემდგომ, უკვე გახევებულ-ჩაკირული, და მის არსებაში თითქოს სადღაც ჩაკარგული თუ მიმალული – რაღაც სხვას, ამ ქვეყნად მოვლენის სურვილით შეპყრობილს, გზას უხერგავდა და სწორედ ის უნდა მოეცილებინა, მოეკვეთა თავისი არსებიდან, როგორც უცხო სხეული. რადგან მისი გრძნობა იოჰანესის მიმართ სულს ღაფავდა ღონემიხდილი, ახლა, ვიწროკალაპოტგარღვეულ, მხარგაშლილ დინებაში ამოიფრქვა და მის ქვეშ მოყოლილი – დიდი ხნის მანძილზე, ვით უძლური და გარდაცვლილი, აქამდე ტყვე – წაიყოლია, და მის ადგილზე, მასში ვრცლად გადაშლილი შორეთიდან, ამოიზნიქა ნათება, გაიშალა, გაცისკროვნდა, უსვეტოდ, უსაყრდენოდ აღმამავალი, უსასრულოდ ზეაღმართული, როგორც სიზმრის ბადიდან – უმიზეზო და თვითკმარი და ელვარედ, საზეიმოდ, ზევით გაემართა.

საუბარი, ჯერ კიდევ ცოცხალი, თანდათან სულ უფრო ლაკონური და მეჩხერი, ქრებოდა, იფერფლებოდა. ამ წვალებისას გრძნობდა ვერონიკა, თუ ჩვეულებრივ სიტყვებს შორის როგორ იკიდებდა ფეხს, იკრებდა ძალას რაღაც სხვა, თანდათან მკვიდრდებოდა, და იცოდა უკვე, რომ ის მიემგზავრებოდა, და შეწყდა საუბარი. მოეჩვენა, ყველაფერი, რაც ითქვა და რისთვისაც ითქვა, ფუჭი, ამაო, რადგან გამგზავრება იყო გადაწყვეტილი, განშორება – სამუდამო, და რადგან

იგრძნო, რომ აღარ სურდა ის, რასაც, ალბათ, სხვა შემთხვევაში გააკეთებდა, ყველაფერმა დანარჩენმა მკვეთრად, მოულოდნელად იცვალა მიმართულება – გახევდა, გაქვავდა და გახდა გაუგებარი; ქალი ვერ პოულობდა ახსნას, ვერ ხვდებოდა მიზეზს – იყო მხოლოდ თვით ფაქტი, ხისტი და უეცარი – აგიტაცეს, მოგისროლეს თითქოს.

და მაშინ, როცა საკუთარი უაზრო სიტყვების გაურკვევლობაში დაკარგული, იდგა მის წინ ვაჟი, თანდათან, ვაჟის დღევანდელობის, ქალთან მისი ჭეშმარიტად ყოფნის უკმარობას აცნობიერებდა ქალი, იყო მასში ტვირთი, სიმძიმე, მტკივნეულად გადაფარებული იმ რაღაცას, ვაჟზე მოგონების გამოღვიძებასთან ერთად სადღაც წამოდგომას, წელში გამართვას რომ ცდილობდა და სიცოცხლის ვაჟისეულ გამოვლინებას აწყდებოდა, როგორც მიცვალებულის გვამზე შეჯახებისას, გახევებული, მტრული, ასე რომ უძალიანდება მისი გვერდზე გაწევის ყოველ ცდას. და აი, შეამჩნია მისი დაჟინებული მზერა, და წარმოუდგა იოჰანესი დიდ, გამოფიტულ ცხოველად, ვერ ახერხებდა მისგან თავის დახსნას და თავის მოგონებას ხელებში მოქცეულ პატარა, მხურვალე საგნად შეიგრძნობდა. უეცრად იმ აზრმაც კი გაუელვა, რომ უბიძგებდა კიდეც იგი, თითქოს, ვაჟისთვის ენა გამოეყო და იყო უცნაური, გაორებული შეგრძნება, გაქცევასა და ცდუნებას შორის მომწყვდეული, ვით გაჭირვება გოგონასი, სასოწარკვეთილი რომ კბენს თავის მდევარს.

ამ წამს ამოვარდა კვლავ ქარი, აიტაცა ქალის გრძნობა და აჰყვა ისიც მის ქროლვას, გაშალა ფრთები, განივრცო მასში, რომლის დახმარებითაც ყოველგვარი წინააღმდეგობისა და სიძულვილის სიმკაცრისგან თავისუფლდებოდა, და – არ უარყო, არ ჰკრა ხელი, არამედ შეისრუტა, ვით რაღაც რბილი, შეისრუტა მთლიანად, ვიდრე არ დარჩა მისგან ოდენ სიმარტოვის შემზარავი გრძნობა, შეგრძნებისთანავე, იმწამსვე რომ მიენდო; და ცახცახებდა ყველაფერი წინათგრძნობით აღსავსე მოლოდინში. მის სიცოცხლეზე აქამდე მკვრივ, სქელ ნისლად დამთრგუნველად გადაფენილი გაუმჭვირვალობა უეცრად ამოძრავდა, ეჩვენებოდა, რომ დიდი ხნის წინ დაკარგული საგნები, რომ ეძებდა ამაოდ და პოულობდა ვერსად, ახლა თითქოს მათზე გადაფარებულ საფარს მიღმა იკვეთებოდა და კვლავ ქრებოდა, იკარგებოდა. არაფერი ამოიზრდებოდა, ამოაჩენდა სახეს იმდენად, რომ თითებს მოჭიდება შეძლებოდა, ყველაფერი სხლტებოდა, სიტყვებს შორის სრიალებდა, იმ სიტყვებს, ჩუმად, ფრთხილად, თითქოს ხელის ცეცებით რომ იკვალავდა გზას და ამიერიდან სიტყვა ყოველი, წარმოუთქმელი, უკვე შორიდან, თითქოს ფართო პერსპექტივიდან დანახული, თანმხვედრ წვდომასთან შეწყვილებული, გაგებით უცნაურად თანხლებული, იმ გაგებით, ყოველდღიურ საქმიანობას ერთ სცენაზე

რომ უყრის თავს და რიყის ქვით მოფენილი სიბრტყის, სხვაგვარად შეუმჩნევლი გზის მონიშვნად რომ ხვავდება და მაღლდება. თხელ, უთხელეს აბრეშუმის ნიღბად გაწოლილიყო ის სამყაროზე, ნათელი და რუხმოვერცხლისფრო, და იძვროდა გახევის ზღვრამდე დაჭიმული ქსოვილის მძიმე რხევით; დაძაბა ქალმა მზერა და აციმციმდა, აუელვარდა თვალები, თითქოს უხილავი ბიძგები არყევდნენ მის არსებას.

იდგნენ ასე გვერდიგვერდ და მაშინ, როცა სულ უფრო მძლავრობდა გზაზე ქარი, უჩვეულო, ხავერდოვან-ჰაეროვანი ცხოველივით ყველგან რომ მოეკიდებინა ფეხი, ცდილობდა ყველგან დაედო ბინა: სახეზე, კისერზე, იღლიებში ... სუნთქავდა მძლავრად, შლიდა რბილ, ხავერდოვან თმას და ყოველი ახალი ტალღისას ძუძუები უფრო მჭიდროდ ეკვროდა კანს ... , და ორივე, შიში და მოლოდინი, რბილდებოდა, ქანცმორეულ, დამძიმებულ სითბოში გადინებული, მდუმარე, ბრმა, მისი არსების ირგვლივ აუღელვებელ სისხლის ფეთქვად მიმოიქცეოდა და უცბად გაახსენდა ქალს რაღაც, ერთ დროს მოსმენილი, რომ მილიონობით პატარა არსებები სახლობდნენ ადამიანის სხეულზე და რომ ყოველ ჩასუნთქვასა და ამოსუნთქვას თან ახლდა ცოცხალი არსებების ურიცხვი ნაკადი, გააურჟოლა ამ ფიქრებისას და გრძნობდა თავს მყუდრო სიბნელეში ისევე თბილად, როგორც დიდ, ალისფერ ტალღაში, მაგრამ შემდეგ, სისხლის ამ ცხელ ნაკადში, სულ ახლოს იგრძნო რაღაც სხვაც, და როდესაც აიხედა, იდგა ის, ვაჟი, უფრიალებდა ქარი ქალის მიმართულებით თმას, და ეხებოდა ერთმანეთს მდუმარედ მათი თმის მოცახცახე ბოლოები; და იგრძნო უცბად სურვილის მოზღვავება, მის არსებას მხიარული ტკაცუნით რომ ახალისებდა ისე, თითქოს შერეოდა ერთმანეთს ორი ვნება, რყევით, ბარბაცით მავალი, და ამოგლეჯდა, ალბათ, ქალი თავის სიცოცხლეს საკუთარი სხეულიდან, რათა მფარველ წყვდიადში, ვაჟს მთელი თავისი არსებით გზნებიან, ვნებიან აღტყინებაში გადაჰფენოდა. მაგრამ სხეულები რჩებოდა უძრავი, გახევებული, მხოლოდ თვალდახუჭული შემსწრე იმისა, რაც მათ წინაშე ფარულად ხდებოდა, თითქოს არ სურდათ სცოდნოდათ არაფერი ამის შესახებ, იზრდებოდა მხოლოდ დაღლილობის და სიცარიელის შეგრძნება, და თითქოს ჩაიძირნენ ერთმანეთში, ფაქიზად, მშვიდად, სიკვდილისმიერი სინაზით, რათა ჩაღვრილიყო მათი სისხლი ერთმანეთში.

დაუბერა ქარმა, და თითქოს სისხლი ვაჟისა მოიწევდა ქალში ქვედატანის ქვეშ, მუხლებიდან ზევით, თითების მსუბუქი შეხებით, თვით საშომდე, ვარსკვლავებითა და ჯამებით ავსებდა, ცისფრითა და ყვითლით, უნატიფესი ღარებითა და ძაფებით, და იყო ვნება, ტკბობა უძრავი, დგანან თითქოს ყვავილები ქარში და ნაყოფიერდებიან და მისი კაბის კიდის მიღმა ჩამავალი მზის ხილვისას ქალს, უკვე მოდუნ-

ებულს, ვით სიზმრისას, მდუმარესა და გამომწვევს, თითქმის ურცხვს ერთგულებაში, სურდა თითქოს ყოფილიყო ეს ყველასთვის ცხადი და დასანახი. მხოლოდ წარსულში, სიღრმეში გადასულ დავიწყებაში ფიქრობდა იმ დიდ სევდაზე, ჯერ კიდევ რომ უნდა აღსრულებულიყო, ამ წამს კი იყო უხმოდ სევდიანი, ისეთი, თითქოს ისმოდეს ზარის ხმა, შორი და ნაღვლიანი; და იდგნენ გვერდიგვერდ, წევდნენ თავს მედიდურად, რაღაც მნიშვნელოვანის შეგრძნებით – ორი უზარმაზარი ცხოველი, და მათი ზურგი, ამოზნექილი შეღამების ცაში.

– –

– –

– –

მზე ჩავიდა; ვერონიკა ბრუნდებოდა მარტო, ჩაფიქრებული; მდელოებისა და მინდვრების გავლით. ამ დამშვიდობებისას, როგორც მიწაზე დაცემული ნაყოფის დამსხვრეული გარსიდან, აღმოცენებულიყო მასში გრძნობა, მოულოდნელად მტკიცე, ისეთი, თითქოს ხარ დანა ამ, სხვა ადამიანის ცხოვრებაში. ყველაფერი იყო ცხადი, ის მიდიოდა და, ალბათ, თავს მოიკლავდა – და იყო ეს მოლოდინი ყოველგვარი ეჭვისგან თავისუფალი, შთამბეჭდავად წონადი, ისეთი, თითქოს ბნელი, მძიმე საგანი დამკვიდრებულიყო მიწაზე მყარად. და მოეჩვენა იგი ისეთივე შეუქცევადი, როგორც ნიშნული, ჭრილი დროის სრბოლაში, რომლის მიღმა ყველაფერი, უკვე მომხდარი, გაქვავებულა, და ამოყო თავი ამ დღემ – ყველა სხვა დღისგან განსხვავებულმა, უეცარი ელვარებით ამოიმართა, როგორც მახვილი, და ხედავდა ცხადად, რომ მისი სულის მიმართება ამ, სხვა სულისადმი, საბოლოო, მუდმივი გამხდარიყო, და იყო ახლა, როგორც ხის კუნძი – მარადიულობას ნაზიარები, მას შეზრდილი – მარტო, ეული. ხანდახან, იოჰანესის მიმართ გრძნობდა სინანზეს, და იყო მადლიერი ამ გრძნობისა, შემდეგ – კვლავ არაფერი – მხოლოდ მისი სვლა – არა რაღაც მიზანი, უბრალოდ შინაგანი გარკვეულობის სიმყარე რომ ამოძრავებს, სიმარტოვისკენ ლტოლვის, მის სამყაროში დამკვიდრების, ველებსა და მინდვრებს შორის. ხოლო სამყარო, ჩვეულებრივ, როგორც ხდება საღამოობით, შეიკუმშა, დაპატარავდა და ვერონიკა, ამ სივრცეში მოქცეული, ჩაითრია უჩვეულო ვნებამ, აიტაცა როგორც მსუბუქმა, ზარდამცემმა სიომ და ახლა, მთრთოლვარე წინათგრძნობით ხარბად შესუნთქული, ავსებდა მის არსებას, ეწეოდა მაღლა, სადაც მისი მიმოხრა, შორეთს მიწვდომის სურვილი, ხორცშესხმისთვის პოულობდა სივრცეს, და მისი ჰაეროვანი ნაბიჯები მიწაზე ოდნავი შეხებით, მსუბუქი, ძალდაუტანებელი, სიოს ქროლვად აირეკლებოდა და, სიმაღლისკენ სწრაფვაში, ხის კენწეროებს გაცდენილი, ხეებსა და ტყეებს ევლებოდა.

ბედნიერებისა და სიმსუბუქისაგან უღონობა მოეძალა, თავბრუ ესხმოდა. დაძაბულობა მხოლოდ ხელის საკუთარი სახლის პატარა, მრგვალი ჭიშკრის სიმყარის შეხებისას ჩაცხრა; მან დაკეტა იგი, და ისიც გაირინდა, ყრუდ, მტკიცედ გადარაზული, ხოლო თვითონ, უკვე სიბნელეში, თავს მშვიდ, მიწისქვეშა წყალში შეიგრძნობდა. სახლს უახლოვდებოდა, გარშემორტყმული კედლების სიახლოვეს შორიდან, მათთან შეხების გარეშეც გრძნობდა; და შემოეჭდო გრძნობა, უჩვეულოდ იდუმალი, გრძნობა თავის თავთან დაბრუნების.

შემდეგ გააკეთა, მდუმარედ, საქმე ჩვეული, ყოველდღიური. და აი, მიიწურა დღე ისევე, როგორც ყველა სხვა, მისი წინამორბედი. დროდადრო ამოტივტივდებოდა წარმოსახვაში იოჰანესი, შეხედავდა საათს და ცდილობდა იმის დადგენას, თუ ახლა სად იქნებოდა. ერთხელ, კიდეც დაიძაბა, რათა ერთ ხანს არ ეფიქრა მასზე. ალბათ სწორედ ამ დროს, მატარებელი, მთის ფერდობებზე შეფენილი მდელოების გავლით, სამხრეთისაკენ მიიჩქაროდა. ბოლოს გამოჩნდა უცნობი მიდამოები – ჩამოეშვა გაუმჭვირვალე, შავი ფარდა და წარმოსახვას გადაეფარა.

დაწვა ლოგინში, მალევე დაიძინა. თუმცა ეძინა მოუსვენარი, ზერელე ძილით, როგორც ადამიანს, მეორე დღეს რაღაც უჩვეულო რომ ელის. ქუთუთოებს ქვეშ კი იყო მუდმივი სინათლე; დილისკენ ნათებამ იმატა და შეიგრძნო – ფართოვდებოდა მისი სხეულებრივი მე, იპყრობდა თანდათან სივრცეს, ვიდრე არ გახდა უჩვეულოდ, უსასრულოდ ვრცელი; როდესაც გაიღვიძა, გააცნობიერა უეცრად: ზღვა.

ახლა ვაუს თვალსანიერი, სამოქმედო არე ჰქონდა შეზღუდული, და თითქმის აღარაფერი ვალდებულებებისგან, მხოლოდ ერთადერთი – გადაწყვეტილების აღსრულება. უნდა გაეყვანა ნავი შორს და სასხლეტისთვის დაეჭირა თითი. მაგრამ როდის? არ იცოდა. იყო ვარაუდები, საპირისპირო მოსაზრებები. მატარებლიდან პირდაპირ ნავს მიაშურებდა? საღამომდე დაიცდიდა? – როდესაც მშვიდია ზღვა, და ხედავ, თუ როგორ მისჩერებია უშფოთველი მზერით მისი დიდი, წყნარი თვალები ვიღაცას? მოუსვენრობდა მთელი დღე ქალი, ვერ ჩერდებოდა ადგილზე, რაღაც, ვით წვრილი ნემსები, გამუდმებით ჩხლეტდა მის სხეულს. ამოტივტივდებოდა, დროდადრო, საიდანღაც: კედელზე გაბრწყინებული ოქროს ჩარჩოდან, საკიბურის ბინდიდან, საქარგად გადაჭიმული თეთრი ქსოვილიდან, იოჰანესის სახე, მიტკალივით თეთრი, ტუჩები – მწიფე ჟოლოსფერი ... დამახინჯებული, წყლისგან შემზარავად გაბერილი ... ან, როგორც შავი კულული, ჩამოშვებული ჩავარდნილ შუბლზე. დროდადრო, უეცრად, თითქოს იტბორებოდა მისი არსება სინაზის ნამსხვრევების ნაკადით – იმ სინაზისა, ახლა, უკუქცეულს, მისკენ რომ ექნა პირი. შეღამებისას იგრძნო – ეს მოხდებოდა.

სადღაც შორს, ცნობიერის ზღვარზე, წინათგრძნობის ბინდში იყო შეგრძნება, რომ ყოველივე: მოლოდინი, ქცევა, ბუნდოვანი და გაურკვეველი, აღექვა, როგორც ნამდვილი, რეალური, იყო უაზრო. გაუელვებდა აზრი, რომ იოჰანესი არ იყო მკვდარი, შემდეგ, კვლავ მოძრაობა ელვისებური და, თითქოს რაღაცის გამოჩენა საბნის გადაძრობისას, წამოიმართებოდა იგივე რეალობის ნაფლეთები, მაგრამ მალევე უკან შებრუნდებოდა და დავიწყების მორევში იკარგებოდა. და გრძნობდა ქალი, რომ საღამო, მდუმარე, უჩინარი, სახლთან ფეხაკრებით მოპარულიყო, და ასევე უხმაუროდ, შეუმჩნევლად აგრძელებდა სვლას, ისევე, როგორც იყო უკვე ერთხელ: მოსულიყო ღამე, და – არ წყვეტდა, აგრძელებდა დინჯ, შეუმჩნეველ სვლას – მიდიოდა, მიედინებოდა; მაგრამ უეცრად დადუმდა ყველაფერი – ირგვლივ იდუმალების მკვრივი სიჩუმე შემოერტყა, ნელ-ნელა, ნაოჭების სიმრავლედ შემოევლო, მჭიდროდ შემოეხვია.

დადგა ღამე, ღამე მისი ცხოვრებისა, რომელშიც ყოველივე ნანახი, განცდილი, მისი ხანგრძლივი, ავადმყოფური ცხოვრების შეღამების საფარქვეშ აღმოცენებული, სინამდვილის ხისტი წინაღდგომით შეფერხებული, ხილული წარმოდგენებისთვის უცხო, უჩვეულო ფიგურებად ყალიბდებოდა, ვით ლაქა, დაღვენთილი, გაფართოებისას სივრცეს რომ შთანთქავს, თუმცა, ქალში გაცნობიერებულ სახეებად აღმოცენების უნარს თითქოს მაინც ინარჩუნებდა.

რაღაც გაურკვეველი სურვილის კარნახით, თავის ოთახში, ყველგან, აანთო სინათლე და იჯდა უძრავად მათ შორის, მათ მიერ გარშემორტყმული; მოიტანა იოჰანესის სურათი, დაიდგა წინ. აღარ ეჩვენებოდა, რომ ის, რასაც გამუდმებით უბრუნდებოდა, რასაც ასე ელოდა – იოჰანესის თავს გადამხდარი, თუ რამ თვით მასში არსებული – იყო წარმოსახვის ნაყოფი, არამედ გააცნობიერა უეცრად, რომ გარემოს მისეულ აღქმას ცვლილება განეცადა და ახლა ერთგვარ ძილსა და ღვიძილს შორის აღმოცენებულ სივრცეში განვრცობილიყო.

ცარიელი სივრცე, ხილული, ქალსა და საგნებს შორის გამქრალიყო და მას ახლა უცნაური მიზიდულობით დამუხტულ თრთოლვადღა შეიგრძნობდა, ჭურჭელი თავის ადგილზე მტკიცედ, შთამბეჭდავად, თითქმის გამომწვევად დაფუძნებულიყო: მაგიდა და კარადა, საათი კედელზე, საკუთარი მნიშვნელობის, წონადობის სრული შეგრძნებით, მას გამიჯვნოდა და იყო თავისთავადობით აღსავსე, შეკრული მუშტივით მკვრივი და ერთიანი; და მაინც არსებობდნენ ისინი კვლავ ვერონიკაში, ან უყურებდნენ თითქოს იმ, დანარჩენ სივრცესა და ვერონიკას შორის ფანჯრის მინასავით აღმართულიდან, და იდგნენ ისინი ისე, თითქოს ამ ერთადერთი, განუმეორებელი საღამოს

მოლოდინში განვლო წელმა და არა ერთმა, რათა ეპოვათ თავისი თავი, და სიმაღლისკენ, თაღოვან-კამაროვან სივრცისკენ სწრაფვაში, გამუდმებით ზეაღმართულს, კოლოსალურს ასხივებდნენ. და ამოიზარდა, ამოიბურცა წამის შეგრძნება, შემოერტყა ვერონიკას სიცარიელედ ისე, თითქოს თვითონ ქცეულიყო სივრცედ, ყველაფერს სანთლების მდუმარე ნათებად რომ შემორტყმოდა. დროდადრო, ეს დაძაბულობა გამოფიტულობაში, უღონობაში გადაიზრდებოდა და შემდეგ, თითქოს ყოველივე მატერიალურისგან დაცლილი, გამჭვირვალე, მხოლოდ შუქს თუ ასხივებდა ქალი, და მიიწევდა სინათლე მაღლა, ყველა კიდურში, მთელ სხეულში მკვიდრდებოდა, თვითონ გარედან მომართულად რომ შეიგრძნობდა და იყო საკუთარი თავისგან დაღლილი, დაქანცული, ვით ლამპის ირგვლივ მოფენილი ნათელი წრის ყრუ შიშინისგან. და მსჭვალავდა, კვეთდა მისი აზრები ამ ნათელ თვლემას, მეორე მხარეს გაღწეული, წვრილი სისხლძარღვების ნატიფად ნაქსოვ ბადედ რომ მოჩანდა. სულ უფრო იკრებდა ძალას სიჩუმე, და იყო საბურველთ ცვენა, ცნობიერებას რომ ეცლებოდა, აშიშვლებდა და განათებულ ფანჯრებს მიღმა ფანტელებივით მსუბუქად დაბლა ეშვებოდა; სინათლე შიშინებდა, გაშლილ სივრცეში, აქა თუ იქ, მსუბუქად ტკაცუნობდა, დიდებული, მხნე, ხალისიანი ... მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მოიკრიბა ძალა, კვლავ გაუსწორა თვალი თავის უკიდურესად დაჭიმულ სიფხიზლის ზღვარს და გაჩნდა უეცრად შეგრძნება: ასევეა იოჰანესიც, სინამდვილის ამ თავისებურ ნაირსახეობაში – სახეცვლილ სივრცეში.

ბავშვებს და მიცვალებულებს არა აქვთ სული; ის კი, ცოცხალ ადამიანებს რომ აქვთ, ისეთია, სიყვარულის საშუალებას რომ არ აძლევს მსურველს და ყოველგვარ სიყვარულში თავისთვის რაღაცას იტოვებს – გრძნობდა ვერონიკა, და ის, რასაც არ შეუძლია დაიხარჯოს მთლიანად ყველა სიყვარულში, მიმართულების მიმცემია ყველა ჩვენი გრძნობისთვის, შორი ყველაფრისგან, რაც მათ მოშიშარი რწმენით ეკვრის, მგზნებარე შეყვარებულებისთვის მიუწვდომლის ელფერს ანიჭებს და კიდევ რაღაცას, საპირისპიროსკენ შემობრუნებისთვის მზას გულისხმობს; მაშინაც, როდესაც უახლოვდებიან, ვით იდუმალ შეთანხმებაზე ღიმილით უკან მზირალს. მაგრამ ბავშვები და მიცვალებულები ჯერ კიდევ ან უკვე აღარ წარმოადგენენ არაფერს და გაფიქრებინებენ, რომ იქნებიან ან უკვე იყვნენ ყველაფერი; და არიან ისინი, ვით სიზმრების შემფარველი ცარიელი ჭურჭლის რეალობის სიცარიელე – ფორმის მიმნიჭებელი და განმასახიერებელი. ცხოველები სიმახინჯის მუქარაში ვერონიკასთვის იყვნენ საზარელნი, ხოლო დავიწყება წამიერ-წერტილოვან წვეთებად მოედინებოდა მათი თვალებიდან.

ასეთია სული გაურკვეველი ძიებისას. ვერონიკას სიყვარულის ერთგვარი ნაირსახეობის მოსვლისა მთელი თავისი ბნელი, პირქუში სიცოცხლის მანძილზე ეშინოდა და თავისთვის სხვაგვარს ნატრობდა, და ახდება ხოლმე სიზმრებში, ხანდახან, ის, რასაც ასე ელტვის ადამიანი. მოვლენები, სრულ ძლევამოსილებაში, მიაბიჯებს დინჯად, ეფარება თვალს, მედიდური და, მაინც, მოქცეული ერთში, შენში; ეს ტკივილს გაყენებს, მაგრამ ისეთს, საკუთარ თავს თვითონ რომ მიაყენებ; ეს შეურაცხგყოფს, გამცირებს, ოღონდ: მიფრინავს დამცირება შორს, მიფრინავს, ვით ღრუბელი მიუსაფარი, და არასოდესაა აქ მისი დამნახავი; და მიფრინავს დამცირება ვით ნეტარება შავი ღრუბლისა ... ასე მერყეობდა ქალი იოჰანესსა და დემეტრეს შორის ... და სიზმრები არაა ერთში, არც რეალობის ფრაგმენტებია, არამედ, გრძნობათა ერთიანობაში, მათ მთლიანობაში, აღმართულან გუმბათად და ცხოვრობენ, ლივლივებენ – უწონადი, ვით სითხე ჭურჭელში – რაღაც სხვაში; სიზმრებში მიენდობა ადამიანი სატრფოს, როგორც სითხე საწყისს სხვას, ჭურჭლის ცარიელ სივრცეს; სივრცის სახეცვლილი შეგრძნებით; რადგან ფხიზელი სული არის სივრცე აღუვსებელი, ცარიელი სივრცე სივრცეში, და სულში გარდატეხილი სივრცე ფოროვანი ყინულივითაა.

ვერონიკამ შეძლო იმის გახსენება, რასაც ნახულობდა სიზმრად. დღევანდლამდე არაფერი იცოდა ამის შესახებ, მხოლოდ, დროდადრო, გაღვიძებისას, ჰქონდა შეგრძნება – როგორც სხვაგვარ მოძრაობას მიჩვეულ არსებას – ოდეს ეჯახებოდა საკუთარი ცნობიერების სივიწროვეს და სადღაც, ღრიჭოს მიღმა, ჯერ კიდევ იყო ნათელი... ღრიჭო, ვიწრო, ერთადერთი, მაგრამ მის მიღმა ვრცელ, გაშლილ სივრცეს შეიგრძნობ. და გაახსენდა ახლა, რომ ხშირად ნახულობდა ალბათ სიზმრებს. და ხედავდა თავის ფხიზელ ცხოვრებაში ამ სიზმარეული სახეების გაცხადებას, როგორც ცოცხლდება – დიდი ხნის შემდეგ – საუბრებისა და ქმედებების მოგონებისას, მოგონება გრძნობებისა და აზრების სტრუქტურაზე, ერთ დროს დაფარულზე, თითქოს გამუდმებით მხოლოდ ერთ საუბარს იხსენებდე, და უეცრად ხვდები, წლების შემდეგ, რომ ამ დროს განუწყვეტლივ რეკავდა ზარები ... ასეთი იყო საუბრები იოჰანესთან, იგივე – დემეტრესთან. ამასთან წარმოუდგა ძაღლი, მამალი, მუშტი სახეში და შემდეგ საუბრობდა იოჰანესი ღმერთზე. შესუნთქვისას ზანტად წარმოთქმული გაწელილი ბოლოებით ავსებდა სიტყვები სივრცეს, როგორც მდორე სიმღერის დუნე მელოდია, და მიედინებოდა, იკარგებოდა.

ვერონიკაც გრძნოდა, სადღაც, გულგრილობაში, ცხოველს. იცის ეს ყოველმა ჩვენგანმა, მისი მყრალი ოხშივარი, საზიზღარი ლორწოვანი ტყავი; მაგრამ მასში მხოლოდ დაძაბული, გაურკვეველი ბინდი თუ იყო,

დროდადრო მისი ფხიზელი ცნობიერების მიღმა რომ გაკრთებოდა, ან ტყე, უსასრულო, ნაზი, მძინარე ადამიანის მსგავსი, და არ იყო მასში არაფერი ცხოველის, მხოლოდ სულზე მისი გავლენის უმნიშვნელო კვალი, და იზრდება, ფართოვდება ის, მაღლდება, სცილდება თავის თავს, ... და შემდეგ თქვა დემეტრემ: საკმარისია დავიხარო და ... , იოჰანესმა კი, დღისით, მზისით: ჩემში რაღაც ჩაიძირა, დაგრძელდა ... და იყო ქალში ნაზი, მკრთალი სურვილი – იოჰანესი მკვდარი. და – აბლანდული ჯერ კიდევ სიფხიზლეში – ვაჟის იერი, ვით სულიერი აშლილობა, ოდენ წყნარი და მშვიდი, – და ღრმავდება მზერა ქალის თვალების სამიზნედ ქცეულ ვაჟში – ნემსებივით ესობა მისი სახის სირბილეში, სრიალით იკვალავს გზას, ეფლობა სულ უფრო ღრმად, თითქოს სურს დარწმუნდეს, დაუბრუნდება თუ არა მიცვალებულის მიმართ გაღებული ეს გულუხვობა, ცოცხალის შეპასუხების შეუზღუდავ მრავალფეროვნებად – ღიმილის ცახცახში, ტუჩების შეჭმუხნაში, ან ტკივილის სურვილისმიერ, თავისუფალ გამოვლინებაში. ვაჟის თმა კი იქნებოდა, როგორც ბუჩქნარი, ფრჩხილები – დიდი, მოციმციმე ლანგარი, ქალი ხედავდა ტენის, ნამის წყაროს, ღრუბლებს, არეკლილს მისი თვალების თეთრ გარსში და პატარა გუბურებს, სარკედ რომ ელავს და ბრწყინავს. ის, ვაჟი, იწვა საზღვრებმორღვეული, სრულიად, შემზარავად გადახსნილი, მაგრამ სული – ჯერ კიდევ შემორჩენილ, უკანასკნელ შეგრძნებაში, მხოლოდ თავისი თავისგან დაფარული. ლაპარაკობდა ვაჟი ღმერთზე, და ფიქრობდა ქალი: ღმერთში ის გულისხმობს იმ სხვა გრძნობას, შესაძლოა სხვა სივრცეს, სადაც შეძლებდა ცხოვრებას. ავადმყოფობა იყო ეს, ასე ფიქრი. მაგრამ მაინც: ცხოველი იქნებოდა ვით ეს სივრცე, ახლოს რომ ჩაისრიალებს, ისე, როგორც თვალებში მოხვედრილი წყალი, რომელიც ფართოვდება, ეუფლება მის ზედაპირს, დიდ სხეულებად ყალიბდება – მაინც პატარად, შორეულად რომ მოჩანს, თითქოს დანახულს შენ მიღმა ხედავდე; რატომ შეუძლია იფიქროს ადამიანმა ზღაპრებში ცხოველზე, ან უდარაჯოს პრინცესებს? იყო ეს ავადმყოფობა? შეიგრძნობდა ამ ღამით საკუთარ თავსა და ამ ხატებს, გაიელვებდა ისინი მეჩხრად კვლავ ჩაძირვის შიშით გაჟღენთილი წინათგრძნობის ტალღაზე, და იცოდა, რომ დაიმსხვრეოდა მასთან შეჯახებისას კვლავ მისი სიცოცხლის მცოცავი ღვიძილი, იცოდა ეს და ხედავდა, რომ ყოველივე იყო ავადმყოფობით, აუხდენლობით აღსავსე, მაგრამ შეძლებდა კაცი მისი განვრცობილი ნაწილების წკეპლების კონად ხელში მოხელთებას, თანდართული მტრული მინარევების გარეშე, როდესაც შეწებდება ისინი ერთ მთლიანობად ... ამ ღამეს, მის, საკუთარი გრძნობების ფლობის სიმსუბუქით აღსავსე ფიქრებს მთის ჰაერის უზარმაზარ, შემზარავ სიჯანსაღემდე შეეძლო ამაღლება.

ხანდახან, თითქოს დაძაბულობით დამსკდარ რგოლებში მოძრაობისას, ტრიალებდა ეს ბედნიერება მის ფიქრებში. შენ ხარ მკვდარი, უთამამდებოდა ოცნებებს მისი სიყვარული და არაფერს გულისხმობდა, თუ არა იმ უცნაურ გრძნობას, რომ ეუფლებოდა ქალს, ოდეს თავს შეიგრძნობდა თავის თავსა და გარე სამყაროს შორის, შუალედურ სივრცეში, რომელშიც წარმოდგენა იოჰანესზე ცოცხლობდა მისთვის, და ცახცახებდა მცხუნვარედ სინათლის სხივები მის ტუჩებზე. ყველაფერი, რაც მოხდა ამ ღამით, იყო სხვა არაფერი, თუ არა ამგვარი სინამდვილის ანარეკლი, სადღაც, ქალის სხეულში, მისი დანაწევრებული გრძნობების ნაფლეთებში სივრცეს ბუნდოვან ჩრდილად მოფენილი, ციმციმით მჟონავი და შეიგრძნობდა იოჰანესს, სადღაც ახლოს, ისეთივე სიახლოვეში, როგორც საკუთარ თავს. ის ეკუთვნოდა მის სურვილებსა და მის სინაზეს, შეუფერხებლად მოძრაობდა მათ შორის, მსჭვალავდა მათ, ვით ხავერდოვან, მეწამულ-გუმბათოვან ცხოველებს ტალღები ზღვაში. ეფინებოდა ვაჟს, დროდადრო, ქალის სიყვარული – ვრცელი, ფართოდ გადახსნილ-გადაშლილი, უაზრო, შესაძლოა, გადაეფარებოდა ასე ვაჟის გვამს ზღვა, დაქანცული, დაშოშმინებული – დიდი, ხავერდოვანი – ვით კატა, ნაზ, ჰაეროვან სიზმრებში რომ კრუტუნებს. და წყლის ჩუმი ბუტბუტით მიედინებოდა საათები.

მხოლოდ, როდესაც შეკრთა, შეშინდა, შეიგრძნო პირველად სევდა, ნაღველი. ირგვლივ იყო სიცივე, სანთლები – ჩამქრალი, ჩამოღვენთილი, მხოლოდ ერთადერთი შემორჩენილი; იქ, სადაც იჯდა ადრე იოჰანესი, ჩატეხილი, გარღვეული სივრციდან სიცარიელე იმზირებოდა, და ველარ აესებდა მას ქალის ფიქრები. და ჩაქრა ისიც უეცრად, უხმაუროდ, როგორც გაიხურება ჩუმად უკანასკნელი მიმავალის უკან კარი; ვერონიკა დარჩა სიბნელეში.

სახლში უხალისო, დათრგუნული ხმაური დაეხეტებოდა, შექანდებოდა დამფრთხალი კიბე, ჩაიზნიქებოდა დაბიჯებისას და ნაბიჯის სიმძიმის დრეკადი არეკვლისას კვლავ ამოიზნიქებოდა, სადღაც ღრღნიდა თაგვი, სადღაც კი ხრავდა ხოჭო ხეს. საათის ჩამორეკვისას უეცრად დაეუფლა შიში – დროის უწყვეტი დინების ამ ცოცხალი განსახიერების მიმართ, რომელიც – მაშინ, როცა ის მთელი ღამე ფხიზლობდა – ოთახებში შეუსვენებლად, საქმიანად დააბიჯებდა, ხან მაღლა სხვენში, ხან კი დაბლა, მიწის ქვეშ. მკვლელივით, ბრმად რომ ურტყამს და ანაწევრებს, რადგან ჯერ კიდევ თრთის მსხვერპლი, ამ წიკწიკს, ხმაურს, ძნელად გასაგონს, ქალი სიხარულით დაიჭერდა და მოაშთობდა. უეცრად იგრძნო, რომ უკან, ბოლო ოთახში ეძინა დეიდას, მის მკაცრ სახეს, გახევებულ, ტყავადქცეულ კანს, ნაოჭები ბადედ გადაჰფენოდა; საგნები იყო მუქი, მძიმე, მაგრამ უწინდელი

დაძაბულობის გარეშე; და შეეშინდა კვლავ უცხო არსებობად შემორტყმული ყოველივესი.

და რაღაცამ – არა საყრდენმა, უფრო იმან, რომ იძირებოდა მის არსებასთან ერთად – შეაჩერა იგი. და გაჩნდა მასში წინათგრძნობა – არა იოჰანესი, თვითონ იყო ის, ვისაც ასე ცხადად, გრძნობიერსხეულებრივად შეიგრძნობდა. და გაწოლილიყო მის წარმოსახვაზე უარყოფა: დღის სინამდვილის, სირცხვილის, დეიდის სიტყვების, საგნების სიმყარით მყარის, დემეტრეს დაცინვის, იყო ჩაკეტვა სივიწროვის, უკვე ზიზღი იოჰანესის, იძულების მკრთალი ბინდის აღზევება, რათა აღიქვა ყველაფერი, ვით უძილო ღამე, ხოლო თვით მოგონება, ასე გულმოდგინედ ნანატრი, ძებნილი, ახლა თითქოს მალულად გაპარული, გამქრალი, დიდი ხანია იწვა სადღაც, კვლავ პატარა და შორი, ვერშემძლე, ვერც უწინ, ვერც ახლა, მის ცხოვრებაში რამის შეცვლის. და როგორც მიაბიჯებს ადამიანი, ქუთუთოებს ქვევით მკრთალი რგოლები, მიემართება მოვლენებისკენ, რომ გაანდობდა არავის, და საკუთარ გამიჯნულობასა და სისუსტეს, მოქცეულს ძლიერებსა და საღი აზრის სიჯანსაღით ცოცხლებს შორის, წვრილ ძაფად გაწელილ მელოდიად აღიქვამს, ჩუმად რომ მიემართება და სადღაც, შორს იკარგება, მაინც, იყო მასში რაღაც სინატიფე, რომელიც უღრღნიდა გულს, მიუხედავად სევდა-ნაღველისა – სხეულის გამომფიტავი ნეტარება, ვიდრე არ შეიგრძნო ის, საკუთარი სხეული, ოდენ თხელ გარსად, ახლა მსუბუქ, ფაქიზ მოსასხამად რომ ატარებდა.

მოულოდნელად გაჩნდა ცდუნება გახდის, გაშიშვლების – მხოლოდ თავისთვის, მხოლოდ იმიტომ რომ უფრო ახლოს იყო საკუთარ თავთან, მარტო, ბნელ სივრცეში, და აღელვებდა ტანსაცმლის იატაკზე დაშვების იდუმალი შრიალი – შეგრძნება უცხო, უჩვეულო – ქალური სინაზის, თითქოს ეძებსო ვიღაცას, სივრცის წყვდიადში გადმობიჯება, და განსჯისას – გონს მოეგოო თითქოს – უკან დაბრუნება, საკუთარ სხეულზე მორგება, მასთან კვლავ შერწყმა-შეერთება. და შემოსვისას აკეთებდა ამას მდორედ, შეყოვნებით – თითქოს სიტკბოებას იხანგრძლივებდა, და იყო ტანსაცმელი, რომლის ნაოჭები – ბნელი ღრმულების გუბეები – სიბნელეში მისეულ სითბოს იფარებდა, მყუდროდ აყოვნებდა, ამობურცული სივრცეები, ზევით აღმავალი, ვით სამალავი, რომლებშიც შეყუჟულიყო თვითონ, ჩაცუცქებული, და მსუბუქად თრთოდა მისი სხეული საკუთარ გარსზე შეხებისას, ვნებად აცახცახებული, ვით სინათლე, ჩარაზული დარაბებიდან ფარულად რომ აღწევს სახლში, მღელვარე და აღგზნებული, მოიწევს, მოიპარება.

კვლავ იმ ოთახში. ვერონიკას მზერა, უნებლიეთ კედელზე

დაკიდებულ სარკეს ეძებდა, ეძებდა საკუთარ გამოსახულებას და ვერ პოულობდა; არაფერი ჩანდა ... შესაძლოა მხოლოდ დაბინდული სინათლის ცოცვა სიბნელეში ან, იქნებ, ეჩვენებოდა ესეც. ჩამოწოლილ წყვდიადს, ვით მძიმე სითხეს, გაეუღინთა სახლი, მთელი მისი სივრცე, ის კი თავს ვერსად პოულობდა, არსად იყო თითქოს; სცადა მოძრაობა, ყველგან სიბნელეს აწყდებოდა, საკუთარ თავს ვერ აგნებდა და მაინც, ირგვლივ მხოლოდ თავის თავს შეიგრძნობდა და სადაც კი მიდიოდა, იყო და არც იყო თვითონ, ვით წარმოუთქმელი სიტყვები, ხანდახან, სიჩუმეში. ასე მიმართავდა ანგელოზებს, ერთხელ, ავადმყოფობისას, იდგნენ ისინი მისი საწოლის ირგვლივ და დაკეცილი, უძრავი ფრთებიდან, მიუხედავად უძრაობისა, მაღალი, წვრილი ხმა მოედინებოდა, კვეთდა, მსჭვალავდა საგნებს და როგორც უგრძნობ ქვებს, შლიდა, აქუცმაცებდა და იყო მოფენილი სამყარო ნიუარისებური ნატეხებით, თვითონ კი შეკუმშულიყო; სიცხისგან, ციებისგან გათანგული, საგულდაგულოდ ჩამოფხეკილი, სიფრიფანა, ვით დამჭკნარი ვარდის ყვავილი, გამჭვირვალე თავისი გრძნობებისთვის, და შეიგრძნობდა საკუთარ თავს ერთდროულად ყოველი მხრიდან, ძალიან პატარად, თან არა შიგნიდან – იყო თითქოს საკუთარი თავის გარეთ, ოღონდ იქვე, გვერდით, ხელის მიწვდენაზე, თითქოს ეკავა იგი ცალხელშემოხვეული, და ირგვლივ იდგნენ კაცები და – ჩუმად, როგორც თმას – მსუბუქად მოტკაცუნე ფრთებს აშრიალებდნენ. და რჩებოდა უხილავი სხვებისთვის ეს ყველაფერი; წინ, მათ შორის, ვით ხშირი, მოციმციმე გისოსები, რომელთა მიღმა მხოლოდ ადამიანის მზერა თუ გააღწევდა, გაწოლილიყო ეს ულერადობა. იოჰანესი ელაპარაკებოდა ქალს, ვით ვიღაცას, ვინც უნდა დაენდოთ, მაგრამ სერიოზულად არ აღიქვამდა, გვერდით ოთახში კი დემეტრე დადიოდა, ესმოდა მისი უზრდელი, დამცინავი ნაბიჯების ხმა და ხმამაღალი, უხეში ლაპარაკი. არ ტოვებდა შეგრძნება, რომ შემორტყმოდნენ ანგელოზები, კაცები, ხელებზე საოცრებად ამოსული ბუმბულებით, და მაშინ, როდესაც სხვები ქალს ავადმყოფად აღიქვამდნენ, თვითონ, ყველგან, სადაც უნდა მდგარიყვნენ, მაინც მათ ირგვლივ უხილავად შემოვლებულ წრეში რჩებოდნენ. და მოეჩვენა მაშინ, რომ უკვე ყველაფრისთვის მიეღწია, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ციებ-ცხელება და, როდესაც კვლავ გაქრა ზმანება, მიხვდა, რომ, ალბათ, ასეც იყო.

ახლა, ეს ავადმყოფობა იმ შეგრძნებებში ვლინდებოდა, რაღაცნაირად, რომელთა მეშვეობითაც საკუთარ მეს აცნობიერებდა. წინდახედულად საკუთარ თავში შეყუჟული, გვერდს უვლიდა, თავს არიდებდა საგნებს, უკვე შორიდანვე რომ შეიგრძნობდა; საკუთარ არსებაში ჩამდინარე ნაკადად იღვრებოდა იმედი ჩუმად, რის გამოც გარეთ ყველაფერი დამსკდარი, ცარიელი მოჩანდა და რის მიღმაც

სირბილეს მოეცვა ყოველი, და იყო ის ვით სიმყუდროვე აბრეშუმის დაძონძილ ფარდებს უკან. სახლში თანდათან იკიდებდა ფეხს რიჟრაჟის გაცრეცილი სინათლე და რუხ ხავერდად მკვიდრდებოდა. გათენდა. ის იდგა მაღლა, ფანჯარასთან; ბაზარში გამოჩნდა ხალხი. დროდადრო აღწევდა ზევით სიტყვა; და იხრებოდა დაბლა, ეფარებოდა ბინდს, თითქოს მისთვის, სიტყვისთვის სურდა თავის არიდება.

მკვიდრდებოდა რაღაც ჩუმად ვერონიკას ირგვლივ – სევდა გაურკვევლობის, სურვილების გაქრობის, უმიზნობის, თითქოს მისი ქალური ბუნების ყველაზე სათუთ წნულებში ფრთა გაეშალა წარსული დღეებისადმი ბუნდოვანი ლტოლვის უფაქიზეს სიოს. უცნაური აზრები სტუმრობდა: გიყვარდეს თავი, ოღონდ ისე, რომ შეგძლებოდეს ვინმესთვის ყველაფრის კეთება; და, როდესაც მასში მოგონება ამოტივტივდა – ახლა სახე სასტიკი, საზარი – თითქოს მოეკლა იოჰანესი, ეს შიშს არ ჰგვრიდა, მხოლოდ საკუთარ თავს აყენებდა ტკივილს – უმზერდე ვაჟს, თითქოს საკუთარ თავს უყურებდე შიგნიდან, ყოველივე შემზარავით აღსავსეს: შიგნეულობით, ნაწლავებით, თითქოს გადახლართულიყო ერთმანეთში დიდი მატლები, ამავე დროს თვალს საკუთარ თავს ადევნებდა, შეძრწუნებული აკვირდებოდა, თუმცა ამ გრძნობაში იყო რაღაც სიყვარულისეული. დაღლილობა მხსნელად მოევლინა, მთელ მის არსებას მოედო და ისიც მოეშვა, მოდუნდა, თითქოს ჩადენილში, ვით გრილ ბეწვში გახვეული, მგლოვიარე და ნაზი – თავის თავთან მდუმარე ყოფნა, ხავერდოვანი ნათება, ... თითქოს უყვარს ადამიანს რაღაც თავის ტკივილში და რჩება სევდასა და ნაღველში მოღიმარი.

რაც უფრო ნათდებოდა, მით უფრო წარმოუდგენლად ეჩვენებოდა იოჰანესი მკვდარი, რადგან ჯერ კიდევ იყო მისი ჩუმი თანხლების ტყვეობა, რისგანაც თავისუფლდებოდა. და იყო ისე – ვაჟის შეგრძნება მასში, სულ უფრო შორი, მიმართება ვაჟისადმი დაუჯერებელი – თითქოს გადაიხსნა მათ შორის უკანასკნელი ზღვარი. ის გრძნობდა ვნებიან სირბილეს და სიახლოვე იყო უჩვეულო, შემზარავი. უფრო სულისმიერი, ვიდრე სხეულებრივი, თითქოს ქალი საკუთარ თავს უკან მომართული, შემობრუნებული მზერით უყურებდა და ყოველი შეხებისას ვაჟს არა მარტო გარეგნულად, არამედ, რაღაც წარმოუდგენელი უნარით, ვაჟისმიერ ქალის აღქმასაც შეიგრძნობდა, და მოეჩვენა ეს ქალს იდუმალ სულიერ შერწყმად, გამთლიანებად. და ფიქრობდა ხანდახან, რომ ვაჟი იყო მისი მფარველი ანგელოზი, მოსულიყო რათა ეხილა ის და ახლა უკან ბრუნდებოდა, მას შემდეგ, რაც ქალს აღექვა იგი, შეეგრძნო მისი არსი, და ამიერიდან იქნებოდა მასთან მუდამ, მიადევნებდა თვალს გახდისას, და ატარებდა თან სიარულისას, ქვედატანის ქვეშ; ვაჟის მზერა იქნებოდა ისეთივე ფაქიზი,

ნაზი, როგორც მუდმივი, ყრუ დაღლილობა. ქალი არ ფიქრობდა, არ შეიგრძნობდა იოჰანესს, ამ გულგრილ არსებას, არამედ იყო მასში რაღაც რუხფერმკრთალად დაძაბული, და როდესაც ერთმანეთს მისდევდა აზრები, იყო ისინი ნათელი არშიით გარშემორტყმული, ვით ზამთრის ცის ბნელი სახეები. მხოლოდ ეს არშია – მსუბუქ შეხებასავით ნაზი. ეს იყო ჩუმი გამუღავნება ... ძლიერი და, მაინც, სადღაც სხვაგან მყოფი ... არაფერი და მაინც ყველაფერი ...

იჯდა გაუნძრევლად, მდუმარე – თითქოს საკუთარ აზრებს ეთამაშებოდა – თავს იქცევდა ფიქრებით. არის სამყარო, თითქოს განზე მდგარი, სხვა სამყარო ან მხოლოდ სევდა, ნაღველი ... ვით ციებ-ცხელებით ან წარმოსახვით მოხატული კედლები, რომელთა შორისაც არ ულერს ჯანსაღთა სიტყვები, მხოლოდ უაზროდ ეცემა მიწაზე, როგორც ნოხები, რომლებზე სიარულშიც ქალის მიმოხრას ხელს მათივე სიმძიმე უშლის: თხელი, გამჭვირვალე ულერადობის სამყარო, რომელშიც მიაბიჯებდა ვაჟთან ერთად ქალი, და ყველაფერს რასაც ის აკეთებდა, სიჩუმე ადევნებოდა, და ყველაფერი, რაზეც ის ფიქრობდა, მისრიალებდა უსასრულოდ, ვით ჩურჩული დახლართულ დერეფნებში.

– – – –

სწრაფვაში. ეს იყო არაფერი, სრულიად არაფერი, თითქოს დილის შემცივნება, და იწყებს მავანი ხმამაღლა ლაპარაკს, რადგან დადგა დღე. ამ წამიდან დიდი ხნის მანძილზე, ვერონიკა არაფერზე ფიქრობდა, არც აღიქვამდა რამეს; მხოლოდ უზარმაზარი სიჩუმე, რომ ვერ გაარღვევს ვერავითარი ტალღა, ელავდა ქალის ირგვლივ, ფერმკრთალი და უსიცოცხლო, ვით რიჟრაჟის მომლოდინე მდუმარე გუბურები.

როდესაც გაეღვიძა, დაუბრუნდა ფიქრებს, თავს კვლავ მძიმე მოსასხამ ქვეშ შეიგრძნობდა, ის ბოჭავდა, თავისუფალ მოძრაობაში ხელს უშლიდა და ხელებიც თითქოს რაღაც გარსს დაეფარა, რომელსაც ვერაფრით იცილებდა – უაზრო, არეული იყო ახლა მისი ფიქრები. ვერ პოულობდა ვერაფერს მარტივ სინამდვილეში. ის, რომ მას თავი არ მოეკლა, იყო არა ფაქტი, ვაჟის ცოცხალთა შორის ყოფნის დამადასტურებელი, არამედ რაღაც, ქალის არსებაში არსებული – დამუნჯება, გაქვავება, კვლავ ჩაძირვა, რაღაც დადუმდა მასში და უკან ჩაბრუნდა, იმ მოჩურჩულე მრავალხმიანობაში, საიდანაც აღარაფერი გამოარჩევდა. და კვლავ ახმიანება უეცარი – ესმოდა ახლა ხმები ყოველი მხრიდან. იყო ვიწრო დერეფანი, რომელშიც მირბოდა ერთხელ, შემდეგ მიცოცავდა და ბოლოს – გაფართოება, წამოწევა, ჩუმი წამოდგომა და კვლავ სივრცის ჩაკეტვა. მიუხედავად სიჩუმისა ჰქონდა შეგრძნება, რომ ირგვლივ ადამიანები შეგროვილიყვნენ და გამუდმებით ლაპარაკობდნენ, ოღონდ ჩუმად. ვერ ხვდებოდა რას. იყო ეს უცნაური – იდუმალება იმისა, არ გესმოდეს, რას ლაპარაკობენ თავისთვის. მისი გრძნობები, უთხეს სიბრტყეებად გადაჭიმული, ერთმანეთს შრიალით ეხეთქებოდა, როგორც გადახლართული ბუჩქები ქარში.

ამოტივტივდა უცნობი სახეები, სრულიად უცხო: დეიდა, მეგობარი ქალები, ახლობლები, დემეტრე, იოპანესი, თითქოს კარგად ნაცნობნი, მაინც უცხონი. უეცრად იგრძნო შიში მათ მიმართ, მსგავსად მავანისა, რომელსაც ეშინია, რომ მკაცრად მოექცევიან. ცდილობდა ეფიქრა იოპანესზე, მაგრამ ვეღარ იხსენებდა, თუ როგორ გამოიყურებოდა სულ რამდენიმე საათის წინ, მის წარმოდგენაში იგი ახლა სხვა სახეებს შერწყმოდა; გაახსენდა, რომ მას გაეცალა, მიატოვა, თითქოს იყო შორს და არც მარტო; და ეჩვენებოდა, რომ საიდანღაც, ცბიერად და მალულად, ვაჟის თვალები უთვალთვალებდა. შეიკუმშა, ჩაიკარგა, სურდა ვაჟის თავში ჩაკეტვა, სრულად, როგორც აბრეშუმის ჭიას საკუთარ პარკში, მაგრამ თავს უფრო მკაფიოდ აღიქვამდა ირგვლივ ჩუმად დაღვრილი სიცხადით.

თანდათან დაკარგა შეგრძნება იმისა, რომ იყო სხვებისგან განსხვავებული, მათგან თავს ვეღარ აცალკევებდა და საერთოდ ძნელი

იყო ყველა ამ სახის ერთმანეთისგან გამიჯვნა – ამოტივტივდებოდა, ითქვიფებოდა ერთმანეთში და ეს გულისრევას იწვევდა, როგორც დაუვარცხნელი თმა, და იყო მაინც მათში გათქვეფილი, მათთან გადახლართული, პასუხობდა მათ, ვისიც არ ესმოდა, ჰქონდა მხოლოდ სურვილი რაღაცის კეთების, იყო შფოთვა, კანქვეშ დაბუდებული, თითქოს ათასობით პატარა ცხოველი მოიწევდა, ლამობდა გარეთ, ჩნდებოდა ძველი სახეებიც და მთელი სახლი – ამგვარი მღელვარებით სავსე.

წამოხტა, გადადგა ორიოდე ნაბიჯი. უეცრად დადუმდა ყველაფერი. დაიყვირა, პასუხად იყო სიჩუმე; დაიყვირა კიდევ ერთხელ და საკუთარი ხმა ძლივს გაიგონა. მიმოიხედა თითქოს რაღაცის ძებნაში – ყველაფერი კვლავ თავ-თავის ადგილზე რჩებოდა, გაუნძრევლად. და მაინც შეიგრძნობდა საკუთარ თავს.

– – – –

პერანგში, თითქმის შიშველი, ქვევით ღია და გახსნილი, მაშინ, როცა ვიღაც გარეთ იყო ასე ახლოს და მათ მხოლოდ ფიცარი მიჯნავდა, მას წელში ხრიდა, თითქმის კეცავდა, ყველაზე იდუმალი კი – გარეთაც იყო მისი არსების ნაწილი, რადგან საკეტის წვრილ ხვრელში გარეთ გამავალი მისი სინათლის სხივი ალბათ ხელის კანკალის თრთოლვა-ცახცახად სრიალებდა მოგზაურის ტანსაცმელზე.

ამავე დროს გაიფიქრა უეცრად, რომ სახლში ის მარტო იყო დემეტრესთან, ამ გარყვნილ არსებასთან. შეკრთა. შემდეგ ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს კიბეზე. ესალმებოდნენ კიდეც, მაგრამ სიტყვები იყო უშინაარსო, არაფრისმთქმელი. მხოლოდ ერთხელ შეჩერდა ქალთან, ვერც ერთი პოულობდა სათქმელს. ვერონიკას თვალში მოხვდა ვიწრო, შემოჭერილ საცხენოსნო გალიფეში მომწყვდეული მუხლები, სახეზე სისხლიან ჭრილობად აღბეჭდილი ტუჩები, და გაიფიქრა, რა კარგი იქნებოდა რომ იოჰანესი დაბრუნებულიყო; როგორც რაღაც უზარმაზარს, გოლიათურს, აღიქვამდა ამ წამს დემეტრეს ულვაშების ბოლოებს ფანჯრის ფერმკრთალ სიბრტყეზე. ცოტა ხნის შემდეგ კი გააგრძელა გზა ისე, რომ სიტყვაც არ უთქვამს.

რობერტ მუზილი

ცოცხალი მწერლის დანატოვარი

წინათქმა

რატომ დანატოვარი? რატომ სიცოცხლეშივე?

არსებობს შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რომელიც საზოგადოებისთვის დიდ საჩუქრად ითვლება; თუმცა, როგორც წესი, ის უფრო ეკონომიკური საქმიანობის ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ ჩამოფასებულ გაყიდვას ემსგავსება. და სიყვარული, პოპულარობა, რომლითაც, მიუხედავად ყველაფრისა, ის მაინც სარგებლობს, შესაძლოა, ავტორის მიმართ მკითხველთა სამყაროს განსაკუთრებული კეთილგანწყობიდანაც მომდინარეობდეს. ეს ბუნებრივია და ადვილად მისატევებელი, რადგან მისი ყურადღება დამშვიდობების, გამოთხოვების თანაგრძნობითაა გამთბარი და გამძაფრებული – ამიერიდან ის მკითხველს დროს ხომ ვეღარ წაართმევს. მაგრამ, რაც უნდა იყოს, რა ფიქრებსაც უნდა იწვევდეს ჩვენში – არის ის მართლაც ფასეული, გამორჩეული, ან თუნდაც რაღაც ღირებულების მქონე, იმდენის, ჩვენში ცნობისმოყვარეობას რომ გააღვივებს და წააქეზებს – ჩემს შემთხვევაში ვცადე, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მისი გამოქვეყნების დაყოვნება. თუმცა, ბოლოს დავრწმუნდი, ყველაზე სანდოა ადამიანმა იგი თვითონვე, სიცოცხლეშივე გამოსცეს; მიუხედავად ბუნებრივი ეჭვისა – იქნება კი ის ყველასთვის გასაგები და მისაღები?

თუმცა, შეგვიძლია კი ამ შემთხვევაში ვიხმაროთ გამოთქმა სიცოცხლეშივე? თუ უკვე რა ხანია გერმანელი მწერალი საკუთარი გარდაცვალების მომსწრე გამხდარა? ეტყობა ეს ასეა და, რამდენადაც შემიძლია წარსულისთვის თვალი მიწვდენა, ყოველთვის ასე იყო, ოღონდ რაღაც დროიდან იწყება გარდატეხა. ჩვენი ეპოქა

ინდივიდუალურ ფეხსაცმელს მზა ნაწილებისგან ქმნის, პიროვნებას ამ მზა ტანსაცმელს არგებს და თითქოს შემოქმედის შექმნას შიდა და გარე მზა დეტალების ერთმანეთზე მორგებით ცდილობს. ხოლო ეს უკანასკნელი ცხოვრობს, თითქმის ყველგან, თავისი შეხედულებების, ღირებულებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად, ყველასგან გამიჯნული, და, თითქოს, მიცვალებულის ბედს არ იზიარებს, თუმცა არც სახლ-კარი აქვს და არც საჭმელ-სასმელი. ასეთი კეთილისმყოფელია თავისი დანატოვარისთვის ავტორის სიცოცხლე. და ვერც ამ პატარა წიგნის სათაურმა და მისმა შექმნამ დააღწია ზემოთქმულის ზეგავლენას თავი.

მით უფრო ფრთხილად უნდა მოეპყროს ადამიანი თავის გამოსათხოვარ სიტყვას, თუნდაც ის მიზნად რამე განსაკუთრებულის თქმას არც ისახავდეს. უარი განსჯასა თუ დაკვირვებაზე იმ სამყაროში, ასე რომ გმინავს და გრგვინავს – მხოლოდ უმნიშვნელოზე საუბარი, მაშინ, როცა ამდენი, ასე მნიშვნელოვანი რამაა სათქმელი; რისხვა იმ მოვლენებთან დაკავშირებით, არცთუ არსებითი რომაა: ეს ყველაფერი, ეჭვგარეშეა, ბევრს სისუსტედ მოეჩვენება, და ვაღიარებ, მისი გამოქვეყნების გადაწყვეტილება ბევრ ფიქრსა და ეჭვთან იყო დაკავშირებული. ჯერ ერთი, რაღაცნაირად მხედველობაშია მისაღები განსხვავება ორ სიდიდეს, ხელოვანის გამონათქვამების სიმძიმეს, წონასა და კოსმოსში თავბრუდამხვევი სისწრაფით მოძრავ ორი ათას შვიდასი მილიონი კუბური მეტრი მოცულობის სფეროს, დედამიწას შორის, ხელოვანის განზრახვისას დატოვოს მასზე საკუთარი ანაბეჭდი, ამ უზარმაზარ სივრცეს, მუდამ მიუწვდომელს, დააჩნიოს კვალი. მეორე, მკითხველის ყურადღება შემიძლია ჩემი მთავარი ნაწარმოებების ჩანაფიქრის ელემენტების გამამთლიანებელ, მისი დედააზრის შემაკავშირებელ ძალაზე მივაპყრო, მათ ასე მომგებიანად რომ წარმოაჩენს, ანუ იმ თვისებაზე, რისი ნაკლებობაც აქ, ამ შემთხვევაში, შეიძლება საგრძნობი იყოს; ამ მხრივ შემდგომ დახვეწას სწორედ შუალედური გამოქვეყნება მოითხოვდა. ბოლოს: როდესაც ამ წიგნის შექმნა შემომთავაზეს და ჩემს ხელთ არსებულ მასალას გადავხედე, განახლებული წიგნის საფუძველი რომ უნდა გამხდარიყო, მომეჩვენა – მათ გაეძლოთ დროის გამოცდისთვის, უკეთ, ვიდრე მოველოდი.

ეს პატარა ნაწარმოებები, თითქმის ყველა, შეიქმნა 1920 – 1929 წლებში და მაშინვე გამოქვეყნდა; თუმცა მათი ნაწილი, კერძოდ „სურათები“, უფრო ადრინდელ ჩანახატებს ეყრდნობა. ასე, „ბუზის მახე“ „რომაული ზაფხულის“ სახელწოდებით, 1913 წელს გამოქვეყნდა გაზეთში; იმავე პერიოდს მიეკუთვნება „მაიმუნთა კუნძულიც“, რასაც ხაზს ვუსვამ, რადგან სხვა შემთხვევაში ორივე ადვილად

შეიძლება მიჩნეულიყო გვიანდელი გარემოებების გამოძახილად. სინამდვილეში ისინი უფრო წინასწარი ჭვრეტაა, გაკეთებული ბუზების მახესა და მაიმუნების თანაცხოვრებაში; თუმცა ყველა შეძლებდა წინასწარმეტყველებას იმ პატარა შტრიხებზე დაყრდნობით, ასე შეუმჩნევლად რომ წარმოაჩენს თავს, ყველა, ვინც ადამიანურ ცხოვრებას აკვირდება და „მოლოდინის" გრძნობებს მიენდობა, მანამ, სანამ აგვაფორიაქებენ, „არც არაფერზე რომ მეტყველებს" და თავს უწყინრად მხოლოდ იმით გამოხატავს, რასაც ვაკეთებთ, მარტო თუ სხვებთან ერთად, რითაც ვართ გარშემორტყმული, გარემოთი, რომელსაც გამუდმებით ვქმნით და ვაყალიბებთ.

როგორც რაღაც მსგავსი, თუმცა უპირატესად საპირისპირო მნიშვნელობით, შეიძლება მოვიყვანოთ „არაკეთილგანწყობილი დაკვირვებანი" და „ისტორიები, რომლებიც არცაა ასეთი." აქ მათი შექმნის დრო მკაფიოდ აღბეჭდილა, ირონიულიც მათში, ნაწილობრივ, მაშინდელ გარემოებებს უმადლის და თვით ფორმაც მათი წარმოშობის ამ თავისებურებებზე მიუთითებს; რადგან ისინი გაზეთებისთვის დაიწერა, მათი, არცთუ ყურადღებიან მკითხველთა ჭრელი წრისთვის, ბინდის ბუნდოვანების სიდიადით რომ გვთრგუნავს და გვბოჭავს, და, რა თქმა უნდა, სრულიად სხვა იქნებოდა, ჩემი წიგნების მსგავსად, მხოლოდ ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის რომ ყოფილიყო განკუთვნილი. სწორედ აქ ჩნდება კითხვა: არის თუ არა მიზანშეწონილი ხელახალი გამოცემა – ყოველი ცვლილება კი მთელი ჩანაფიქრის ხელახალ გააზრებას გამოიწვევდა – და მეც იძულებული გავხდი ყველაფერი ისე შემენარჩუნებინა, როგორც იყო, აქა-იქ მცირე შესწორებების გარდა, გარდა იმ ეპიზოდებისა, რომლებსაც სრულყოფილება ნამდვილად აკლდათ, და, შესაბამისად, გავაუმჯობესე კიდეც – ოღონდ თავისი პირვანდელი ჩანაფიქრის ფარგლებში. ასე რომ, აქ, ხანდახან, მართლაც ლაპარაკია აჩრდილზე, ცხოვრებაზე, არა დღევანდელზე – გუშინდელზე, აღარარსებულზე, ზომიერი გაღიზიანებითა თუ წყრომით, რომელსაც არ შეიძლება ჰქონდეს საბოლოო სისრულის პრეტენზია. მე მეყო გამბედაობა, ჩაქსოვილი თუნდაც ამ პატარა სატირების დროის შესატყვის სულისკვეთებაში. ბოლოს კი გოეთეს დავესესხები მოსაზრებას, რომელიც ჩემი მიზნების შესატყვის ინტერპრეტაციას ექვემდებარება ისე, რომ ოდნავადაც არ იბღალება მისი სიტყვების ჭეშმარიტება. ის ასე ჟღერს: „ცუდად გაკეთებულ ერთში ყველაფრის, ასევე ცუდად გაკეთებულის, მსგავსებას ვხედავთ." ეს წინადადება მიტოვებს იმედს, რომ მცირე შეცდომათა კრიტიკას – იმ დროში, რომელშიც ბევრად დიდსაც სჩადიან და არცთუ იშვიათად – ფასი მაინც არ დაუკარგავს.

I
სურათები

ბუზის მახე

ბუზის მახე, Tanglefoot – დაახლოებით ოცდათექვსმეტი სანტიმეტრი სიგრძისა და ოცდაერთი სანტიმეტრი სიგანის – ყვითელი, დაფარული შხამიანი წებოთი, კანადურია. როდესაც მწერი მასზე ჯდება, არცთუ რამეს მოწყურებული, უფრო ჩვევის, ტრადიციის თანახმად – იქ ხომ ამდენ თანამოძმეს მოუყრია თავი – მას, თავდაპირველად, თავისი წინა, მოღუნული ფეხებით ეწებება – მსუბუქი, უსიამოვნო შეგრძნება, თითქოს სიბნელეში მიდიოდე და ტერფებს რაღაცას შიშველს აბიჯებდე, ჯერ სხვა რომ არაფერია, თუ არა საგანი – რბილი და თბილი – თავიდან გაურკვეველ წინააღმდეგობად, თანდათან შემზარავ-ადამიანურად, ბოლოს კი კიდურად აღიქვამ და აცნობიერებ, რომ, ღმერთმა უწყის აქ როგორ აღმოჩენილი, ხუთი, სულ უფრო ცხადად აღქმული თითით გეჭიდება.

შემდეგ ყველა ერთად იწყებს გასწორებას, ვით ტაბესით ავადმყოფნი, ბეჯით ცდაში არ შეიმჩნიონ ეს ან, როგორც დაჩაჩანაკებული, მოხუცი სამხედრო (ოდნავ ო-სებური, კავალერიელის ფეხებით, თან თითქოს რაღაც ბასრ წახნაგზე მდგომი). თანდათან ჩვეულ იერს იბრუნებენ, აზრებსა და ძალას იკრებენ. რამდენიმე წამის შემდეგ გაბედულად ბზუიან და წელში გამართვასაც ცდილობენ. ეს გააფთრებული საქმიანობა გრძელდება მანამ, სანამ გაჩერებას დაღლილობა არ აიძულებთ. მცირე ამოსუნთქვის შემდეგ – კვლავ განმეორებითი ცდა. ოღონდ ინტერვალებია სულ უფრო ხანგრძლივი. ვუყურებ ამ არსებებს, ქვევიდან მომავალი ოხშივრით დაბნეულთ, შეცბუნებულთ, ვგრძნობ მათ უმწეო გაოგნებას. ყოფენ გარეთ ენას, პატარა ჩაქუჩივით ირგვლივ აცეცებენ. თავი აქვთ ყავისფერი, ბუსუსებიანი, თითქოს ქოქოსის კაკლისა – ადამიანთა მსგავსი ზანგთა კერპები. მტკიცედ თავმოყრილ ფეხებზე იწევიან წინ და უკან, იხრებიან მუხლებში, იმართებიან წელში, როგორც ადამიანები, იძულებულნი მძიმე ტვირთის ასაწევად ყველანაირ ხერხს მიმართონ და არიან ამ ცდაში მათზე უფრო ტრაგიკულები; და დამაჯერებელია ძალთა ამ უკიდურეს მოხმობაში ეს სპორტული ხატი, მეტად, ვიდრე თვით ლაოკოონის. შემდეგ კი დგება ეს, ერთი და იგივე, უჩვეულო, წამიერი საჭიროების შესატყვისი დროის უმცირესი მონაკვეთი, ჩვენი ყოფნის ყველა სხვა, უფრო ხანგრძლივ მოთხოვნილებებზე რომ

ზეიმობს – წამი კლდეზე მცოცავის თითების აუტანელი ტკივილის, მუჭის გახსნას რომ აიძულებს, ან გზააბნეულის პატარა ბავშვივით თოვლზე გართხმის, ან სუნთქვაშეკრული მადევარდადევნებულის იძულებითი გაჩერების. ისინი თავს ველარ იმაგრებენ, დუნდებიან, და, საბოლოოდ გამოფიტულნი, მოეშვებიან – როგორც ადამიანები. შემდეგ კი წებო სხეულის სხვა, ახალ ნაწილებს მიიტაცებს და ეფლობიან ფეხით მუხლსზევით, ზურგით ან ფრთის კიდით.

დაუძლურებულები, სულიერი ძალების აღდგენისა და მცირე ამოსუნთქვის შემდეგ, მაინც აგრძელებენ სიცოცხლისთვის ბრძოლას, მაგრამ მათი სხეულის მდებარეობა სულ უფრო წამგებიანი, მოძრაობა კი არაბუნებრივი ხდება. შემდეგ ცდილობენ მკლავებზე დაყრდნობილი უკანა ფეხებით ძირს გართხმული სხეულის წამოწევას. ან წამოსხდებიან ზედაპირზე, ხელებგაწვდილი, როგორც მამაკაცის მკლავებიდან დასხლტომის ამაო ცდაში სასოწარკვეთილი ქალები. ხან წვანან მუცელზე – გაუწევიათ წინ თავი, ხელები, და, როგორც გაქცევისას წაქცეულს – მხოლოდ თავი უჩანთ წამოწეული. მტერი კი – გულგრილი, უძრავი და პასიური – მხოლოდ სარგებლობს მათი სასოწარკვეთის წამებით. საწყისი ყველაფრის უარმყოფელი – არაფერი – აღწევს მათში, ავიწროებს, დევნის დამხვდურს, და იქ მკვიდრდება. მოძრაობა მდორეა, იმდენად, რომ ძნელია ფეხის აყოლება, ბოლოში კი – როდესაც დგება შინაგანი კრახის ხანი – მკვეთრი აჩქარება. და ეცემიან მოცელილივით, უეცრად, ფეხებზე დამხობილი, ან გვერდით გადანოლილი, ყველა ფეხი ცალ მხარეს მოქცეული, და ამ მდგომარეობაშიც, ხშირად, ტანის უკან გაწევას ფეხების მიწოლით ცდილობენ. და წვანან ასე, როგორც ჩამოვარდნილი თვითმფრინავები, ჰაერში ერთი, გადარჩენილი ფრთა რომ მოუჩანთ. ან როგორც მკვდარი ცხენები. ან ესაა სასოწარკვეთის უსასრულო ჟესტები. ან, უბრალოდ, თითქოს მძინარე იწვეს და ისვენებდეს. მომდევნო დღესაც, იღვიძებს, ჯერ კიდევ, ერთი, აცეცებს ფეხს ან ფრთას ატრიალებს. და გადაუელის დროდადრო ასეთი მოძრაობა მთელ ზედაპირს მსუბუქ სიოდ, შემდეგ კი იძირებიან ყველანი კიდევ უფრო ღრმად თავიანთ სიკვდილში. მხოლოდ გვერდზე, იქ, სადაც იწყება ფეხები, აქვთ რაღაც პატარა, მოციმციმე ორგანო – ჯერ კიდევ ცოცხალი, მფეთქავი. მას გამადიდებელი მინის გარეშე ვერც შეამჩნევთ და ადამიანის პაწია თვალივით გამოიყურება, განუწყვეტლივ ხამხამში რომ იღება და იხუჭება.

მაიმუნთა კუნძული

რომში, Villa Borghese-ში დაინახავთ მაღალ ხეს – უტოტებოსა და უქერქოს, თავის ქალასავით შიშველს, მზისა და წყლისგან კანგაცლილს, ჩონჩხივით ყვითელს. უფესვო, მკვდარი, ცემენტის ოვალურ კუნძულში, სამდინარო ორთქლის გემის სიდიდის ანძად ჩარგული, იტალიის სამეფოს დაბეტონებული საფლავით გამიჯნული. საფლავი განიერია და გარე კედელთან ისეთი ღრმა, რომ მასზე ვერ აბობღდება და ვერ გადახტება ვერც ერთი მაიმუნი. გარედან ადვილია შემოსვლა, გასვლა – შეუძლებელი.

ხის შუაში, ვარჯის ამონაყარი მასზე ასვლის მსურველს კარგ ხელის მოსაკიდს სთავაზობს – ის, როგორც ტურისტები ამბობენ, მკვირცხლად, ხალისიანად აცოცების საშუალებას იძლევა. მაღლა კი, დედამიწის ზედაპირის გასწვრივ, ხეს გრძელი, ღონიერი ტოტები გაუშლია; და თუ მათზე ცოცვის მსურველი ფეხსაცმელსა და წინდებს გაიხდის, მცენარის ტანისკენ მიმართული ქუსლებითა და ტერფებით ტოტების გლუვ სიმრგვალეს მოერგება და ერთმანეთის მონაცვლე ხელებით კარგად ჩაეჭიდება, ადვილად შეძლებს ამ მზით გამთბარი გრძელი ტოტის ბოლოში გასვლას, იტალიური ფიჭვის – პინიის – ფარშევანგის ბუმბულის სიმწვანეს ზემოდან რომ გადაჰფენია. ამ საოცარ კუნძულზე სახლობს სამი, რაოდენობრივად არათანაბარი ოჯახი. ხეზე ასე, თხუთმეტიოდე ძარღვიანი, მოძრავი, ცოცხალი გოგო-ბიჭი მკვიდრობს, ტანით ოთხი წლის ბავშვის სიდიდის. ხის ძირში კი, კუნძულის ერთადერთ შენობაში – „სასახლეში" – ფორმითა და მოცულობით ძაღლის ქოხის დარში – გაცილებით უფრო ღონიერი მაიმუნების ოჯახური წყვილი, განუყრელად პატარა ბიჭთან ერთად. ისინი კუნძულის სამეფო წყვილსა და კრონპრინცს წარმოადგენენ. არასოდეს შორდებიან ასაკოვანნი მიწაზე თავიანთ მემკვიდრეს; დარაჯებივით უსხედან ორივე მხრიდან და შორს, დინგების მიღმა იყურებიან. მხოლოდ საათში ერთხელ დგება მეფე და საინსპექციო შემოვლაზე ხეზე ადის. დინჯად მიჰყვება იგი სიგრძეში ტოტებს, და თითქოს არც კი ამჩნევს როგორი მოწიწებით და უნდობლობით იხევს ყველა მის წინ, გვერდულად, ცდილობენ არ გაამჟღავნონ აჩქარება, არ მიიქციონ ყურადღება, ვიდრე ტოტის ბოლო ამის საშუალებას არ მოუსპობთ ისე, რომ ცემენტზე არცთუ უხიფათო ჩამოხტომის გარდა აღარაფერი რჩებათ. ასე მოიელის მეფე ტოტებს და თვით დაძაბული, ყურადღებიანი მზერისასაც ვერ გაგირჩევია რაა ეს, მბრძანებლის უფლება-მოვალეობის აღსრულება, თუ სეირნობისთვის უბრალო ხარკის გადახდა. და ვიდრე ყველა ტოტი არ დაცარიელდება, ის ხეს არ ტოვებს, არ ბრუნდება უკან. ამ დროს სახლის სახურავზე კრო-

ნპრინცი მარტოა, რადგან, უცნაურია, იმავე დროს ტოვებს ადგილს დედაც, ხოლო ობლადდარჩენილის განზე ფართოდგაწეულ ყურებს შორის მოქცეული მზე მარჯნის სიწითლედ ელავს. იშვიათად ნახავთ ამ ახალგაზრდა მაიმუნზე უბადრუკ და საცოდავ არსებას, თუმცა რაღაც უხილავ ღირსებას მაინც ასხივებს. მოდიან ხეზე მოსახლე დევნილი მაიმუნები, რიგში, ერთი მეორის მიყოლებით გვერდზე ჩაუვლიან. ერთი მოძრაობით მოუგრეხდნენ ამ არსებას წვრილ კისერს ეს გაღიზიანებული, პირქუში არსებები, მაგრამ შემორტყმიან მორჩილად და მის მიმართ შიშსა და მოწიწებას ამჟღავნებენ, იმას, რასაც მთელი ოჯახის მიმართ გრძნობენ.

გავა დიდი ხანი, ვიდრე შეამჩნევთ, რომ ამ მოწესრიგებული ცხოვრების მიმდევარი არსებების გარდა, კუნძული სხვებსაც იფარებს. პირისაგან მიწისა განდევნილი და ჰაერიდან გაძევებული, ცხოვრობს საფლავში პატარა მაიმუნების მრავალრიცხოვანი მოდგმა. როდესაც რომელიმე მათგანი კუნძულზე თავს მაღლა ამოყოფს, ხის მაიმუნები მათ მუქარით, დაშინებით უკან ერეკებიან. სადილობისას მორჩილად იცდიან, ვიდრე სხვები არ დანაყრდებიან და მოსასვენებლად არ განლაგდებიან, უპირატესად ტოტებზე, და ვერ ბედავენ საჭმლის ნარჩენებთან მიახლოებას. რადგან ხშირია, რომ ბოროტი ყმაწვილი ან გოგონა, თვალდახუჭული თავს რომ იკატუნებს, თითქოს დაკავებული იყოს საჭმლის მონელებით, მხოლოდ იცდის და ტოტებს იმწამსვე ტოვებს, როდესაც ამჩნევს, რომ პატარები თავს შეუფერებელი თავისუფლებით ანებივრებენ. და გარბიან თავქუდმოგლეჯილი წიოკით უკან ის ცოტანი, ვინც კუნძულზე გამოჩენა გაბედა, კვლავ თანამოძმეებში ითქვიფებიან; იწყება მოთქმა: და ირევა ახლა ყველა ერთმანეთში ისე, რომ ბალნის, ხორცისა და შეძრწუნებული მუქი თვალების ერთიანი, მოძრავი ზედაპირი მოპირდაპირე ნაპირს ეხეთქება, როგორც ნახევრად სავსე კასრის გადახრისას მის კედელს წყალი. მდევარი მიჰყვება კიდეს და აზვირთებულ შიშის ტალღებს მიერეკება. აი, ამოიზრდებიან ქვევიდან პატარა, შავი სახეები, აღმართავენ მაღლა ხელებს და იშვერენ წინ ხელისგულებს, ზევიდან მომავალი ბოროტი მზერისგან თავდაცვის ამაო იმედით, ბოლოს, ულმობლად, ერთ-ერთ მათგანზე რომ ჩერდება; ირწევა, ქანაობს იგი წინ და უკან, მასთან ერთად კიდევ ხუთი – ჯერ კიდევ ბუნდოვანია მზერის სამიზნე; და ეს მორჩილი, შიშისაგან შებოჭილი ბრბო ფეხს არ იცვლის. ბოლოს მიაჩერდება გულგრილი მზერა ერთ-ერთს; და ძნელია თავშეკავება, ხოლო შიში, თითქოს ერთ ადგილზე გაქვავებული, არც მატულობს, არც იკლებს: წამითი წამით იზრდება გაურკვევლობა და აუღელვებლად შანთავს, ბურღავს ერთი სული მეორეს, ვიდრე არ ამოტივტივდება, არ ჩამოყალიბდება ნახტომ-

ში ფრთაგაშლილ ზიზღად, უკვე ამორჩეულ სამიზნეს რომ ესხმის თავს და, აი, წამებული მსხვერპლი გაბმულად, თავშეუკავებლად მოთქვამს. სხვები კი, უეცარი ხსნით, თავისუფლებით თავბრუდახვეული, გარბიან და სასაფლაოს გასწვრივ იფანტებიან; ციმციმებენ ჩამქრალი ნათებით ერთმანეთში გათქვეფილი მათი თვალები, ვით ეშმაკეულით შეპყრობილი სულნი სალხინებლისანი, მოშორებით იკრიბებიან და თავს მხიარული ლაყბობით იქცევენ.

როდესაც ყველაფერი მთავრდება, მიცოცავს ზევით მდევარი, მოქნილად მიჰყვება ტოტის რხევას, მიიწევს მაღლა, ვიდრე კენწერომდე არ მიაღწევს, გადის იქ ტოტის უკიდურეს კიდეში, ჯდება მშვიდად, წელში გამართული, გარინდებული, მოძრაობას თითქოს სამარადისოდ ზურგშექცეული. მზერა ჩერდება, იტალიური ფიჭვის კენწეროზე ისვენებს და ზედაპირის გასწვრივ, Villa Borghese-ს თავზე ფარფატებს, ბაღების ფარგლებს გაცდენილი, მათ მიღმა, დიდი, ყვითელი ქალაქის თავზე ყოვნდება, და, ჯერ კიდევ ხის კენწეროს მწვანედ მოციმციმე ბურუსში გახვეული, ყველა საგანს მოწყვეტილი, თავისუფალი, ჰაერში იწყებს ლივლივს.

მეთევზეები ბალტიის ზღვაზე

ზღვის სილიან ნაპირზე, პატარა ორმოში მათ ტომრით მოტანილი შავი მიწა და ჭიაყელები ჩაუყრიათ; და ეს ყველაფერი, ფხვიერი, შავი მიწა და ჭიაყელები, ლაპლაპა სილის ფონზე ქმნის ლპობით აღბეჭდილი სიმახინჯის უჩვეულო მიმზიდველობას. გვერდით მოჩანს ფიცრის კოხტა ყუთი. მოგრძო, არცთუ განიერი, რაღაც მაგიდის უჯრისა თუ საანგარიშოს მსგავსი, რომლის სივრცეს აკურატულად დაკეცილი თოკი ავსებს; ორმოს მეორე მხარესაც ჩანს ასეთივე ყუთი, ოღონდ ცარიელი.

თოკზე დამაგრებული ასიოდე კაუჭისთვის რკინის პატარა თამასაზე მზრუნველად და წინდახედულად მოუყრიათ თავი და ახლა მათ სათითაოდ იღებენ, ცარიელ ყუთში გადააქვთ და მის ფსკერზე მოყრილ სუფთა, სველ სილაში ათავსებენ – პატივსაცემი, ღირსეული საქმიანობა. დროდადრო საქმეში ოთხი გამხდარი, ძარღვიანი ხელი ერთვება და მომვლელი ქალის ფრთხილი მოძრაობით ყველა კაუჭზე ჭიაყელას ამაგრებს.

ჩაცუცქდება ამ საქმიანობისას, მუხლები და ტერფები – სილაში, მამაკაცების წყვილი, მხარბეჭიანი, მოგრძო, კეთილი სახეები, პირში – ჩიბუხი, დროდადრო ცვლიან ფრაზებს, გაუგებარ სიტყვებს, მათი ბაგეებიდან ისევე მსუბუქად და ძალდაუტანებლად რომ მოედინება, როგორც მოძრაობენ მათი ხელები. ერთი მათგანი ორი თითით

იღებს მსუქან ჭიაყელას, მეორე ხელის წყვილ თითს მიაშველებს და სამად ანაწევრებს, ისე აუღელვებლად და ზუსტად, თითქოს მეწაღე საგულდაგულოდ გადაზომილ ბაფთის ნაჭერს ჭრიდეს; მეორე კი ამ მოუსვენარ არსებას, მუდმივად რომ იგრიხება, კაუჭზე ამაგრებს. ამის შემდეგ ჭიაყელებს ასველებენ და მეორე ყუთის ტენიანი სილის პატარა, კოხტა საწოლებში ათავსებენ, სადაც ამ ფერხორციან არსებებს შეუძლიათ მშვიდად დალიონ სული.

ესაა ფაქიზი სამუშაო, და მეთევზეთა უხეში თითებიც ფრთხილად ირჯებიან, რის გარეშეც წახდებოდა საქმე, აკეთებენ ყველაფერს ისე, თითქოს კაცი თითის წვერებზე დადიოდეს. დარისას გუმბათად აღმართულა ცის სილურჯე და თოლიები კამარას კრავენ, იფიქრებ, თეთრი მერცხლები დაფრინავენ.

ინფლაცია

იყო დრო, დღევანდელზე უკეთესი, როდესაც პატარა, გახევებულ ცხენზე ამხედრებული ადამიანი შეუსვენებლად დაქროდა წრეზე და მოკლე ჯოხით სპილენძის რგოლებზე ჩამოკვრის შემდეგ, ხის გამოწვდილი ხელი მშვიდად რომ ახვედრებდა გზაზე, საწყის წერტილს უბრუნდებოდა. ეს დრო წარსულს ჩაბარდა. დღეს მეთევზეთა შეგირდები შამპანურს მიირთმევენ, თან კონიაკთან ერთად. და კიდია ოთხჯერ ოცდაათრგოლიან ორ ჯაჭვზე წრეზე საპირისპიროდ მოძრავი – ერთი იქით, მეორე აქეთ – პატარა საქანელები, და ერთმანეთის სიახლოვეს აღმოჩენილ გართობის მოყვარულებს შეუძლიათ ერთმანეთს ხელზე, ფეხზე ან წინსაფარზე ჩაეჭიდონ, რა დროსაც ისმის სასოწარკვეთილი კივილი. კარუსელი დგას პატარა მოედანზე, რომელსაც ომში დაღუპული მებრძოლების პატივსაცემად აღმართული ძეგლი ამშვენებს, ბებერი ცაცხვის გვერდით, თუმცა, ჩვეულებრივ, ეს ბატების თავყრილობის ადგილია. კარუსელი აღჭურვილია ძრავით, საჭიროებისას რომ ჩაირთვება, და თეთრი პროჟექტორით, რომლის მჭახე სინათლე უამრავ პატარა, მყუდრო სინათლის წყაროზე ძლევამოსილად ბატონობს. და, თუ თქვენ სადმე ახლომახლო სიბნელეში ფრთხილად მიიკვლევთ გზას, ქარის ქროლის მადლით თქვენამდე აღწევს მუსიკის, გოგონების გადაძახილისა და სიცილის ნაფლეთები. ორკესტრიონი გრგვინვა-გმინვით აყრუებს მიდამოს. ღრჭიალებს რკინის ჯაჭვები. ადამიანები დაფრინავენ წრეზე, ნებისმიერი მიმართულებით: აღმა-დაღმა, შიგნით თუ გარეთ, ზურგშექცევით ან ფეხებს შორის. სულსწრაფი ყმაწვილები მოძრაობას კიდევ უფრო აჩქარებენ, ჩქმეტენ გოგონებს ან მკივანებს მათთან ერთად მიაქანებენ. ფრენისას ერთმანეთს გოგონებიც დას-

დევენ და წყვილში ერთ-ერთი წივის, თან ისე, თითქოს მისი დამწიოკებელი მამაკაცი იყოს. ასე მიექანებიან ისინი თითქოს გურზებად ჩამწკრივებულ, ხშირ შუქ-ჩრდილებად დანაწევრებულ სივრცეში, ინაცვლებენ სინათლიდან სიბნელეში და პირიქით; ჩანს სულ ახალ-ახალი წყვილების დამოკლებული სხეულები, შავი ბაგეები, ელავს მჭახე სინათლით სიბნელისთვის გამოგლეჯილი კაბების მძაფრი ფერები და დაფრინავენ ეს სხეულები პირქვე, პირუკუღმა ან ირიბად ცისა თუ ქვესკნელისაკენ. მაგრამ ამ ველური გალოპის დაწყებიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ ორკესტრიონი ჩორთში გადადის, შემდეგ, ჩვეულებრივ, დინჯ სვლაში და მალე სულაც ჩერდება. ხარკის ასაკრებად ჩამოივლის კალის თეფშიანი მამაკაცი, თუმცა, ჩვეულებრივ, კარუსელიდან არავინ ჩამოდის, მხოლოდ პარტნიორ გოგონას იცვლიან. მსურველების არცთუ დიდი მრავალფეროვნებაა, როგორც ეს იქნებოდა დიდ ქალაქში, სადაც ეს გართობა ორიოდე დღე თუ გრძელდება; და დაფრინავენ ერთი და იგივენი, შეღამებიდან ორი, სამი საათის, მთელი რვა თუ თოთხმეტი დღის განმავლობაში, მანამ, სანამ თუთიის თეფშიანი კაცი არ შეატყობს ჟინის კლებას და ერთ მშვენიერ დილას სხვა ადგილის ძებნაში არ აიყრება.

შეუძლია ცხენს სიცილი?

ერთმა ცნობილმა ფსიქოლოგმა შემდეგი მოსაზრება გაგვიზიარა: „... რადგან ცხენს არ შეუძლია არც სიცილი და არც ღიმილი."

ამან გამაბედინა მომეთხრო, თუ, ერთხელაც, როგორ გადავეყარე მოცინარ ცხენს. აქამდე ვთვლიდი, რომ ეს შეიძლება გაუთავებლად და უიმედოდ ამტკიცო, და ხმაურის ატეხას ვერ ვბედავდი; მაგრამ როდესაც ეს ასე ფასეული გახდა, მზად ვარ დაწვრილებით მოგითხროთ.

მაშ ასე, ეს იყო ომის წინ; შესაძლოა ამის შემდეგ ცხენები აღარც იცინიან. ის პატარა ეზოზე შემორტყმულ ლერწმის ღობეზე მიებათ. ცა იყო მუქი ლურჯი. ჰაერი უსაზღვროდ ნაზი, თუმცა დადასტურებულად, კალენდრით, იყო თებერვალი. ირგვლივ იყო ღვთაებრივი კომფორტი, ოღონდ ყოველგვარ ადამიანურს მოკლებული: მოკლედ, ვიყავი რომთან ახლოს, ჭიშკართან, სოფლის გზის დასაწყისში, ქალაქის მოკრძალებული გარეუბნებისა და სოფლური პეიზაჟის გასაყარზე.

ცხენი სოფლური წარმოშობისა გახლდათ: ახალგაზრდა, მოხდენილი, ჯიშით პატარა და, თუმცა არაფერი ჰქონდა პონისეული, მაინც, მისი მხედარი თოჯინასთვის განკუთვნილ სკამზე შემომჯდარ ზრდასრულ ადამიანს მოგაგონებდათ. მას ერთი მხიარული ყმაწვილი

აურვებდა. მზე დაჟინებით უტრიალებდა მის ბალანს, უმოწყალოდ აცხუნებდა, რაც მხრების ირგვლივ ღიტინს იწვევდა. ცნობილია, ცხენს ოთხი მხარი აქვს და ამდენად, მისი სიცილის წადილი ორმაგი იქნებოდა იმისა, რაც შეიძლება ჰქონდეს ადამიანს. ამასთან, ცხენს, ეტყობა, განსაკუთრებით მგრძნობიარე იღლიები ჰქონდა და იქ შეხებისას სიცილს ვეღარ იკავებდა.

უკვე სამურველის მიახლოებისას ცქვეტდა, გადასწევდა ყურებს, მოუსვენრობდა, იმ ადგილის პირით მიწვდენას ცდილობდა და, როდესაც ამას ვერ ახერხებდა, კრეჭდა კბილებს. სამურველი კი მხიარულად აგრძელებდა გზას, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ, ბრუნდებოდა უკან, ასევე გამუდმებით იღებოდა პირი, ჩნდებოდა კბენის მოსურნე კბილები, რასაც თან ახლდა ყურების ცქვეტა, მათი უკან მიმართვა და საყრდენი ფეხების გამოცვლა.

და, უეცრად, აუვარდა სიცილი. გაიელვა კბილებმა – მას სურდა ყმაწვილის, ამ უსიამოვნო შეგრძნებების მიზეზის, დინგით მოცილება; უწყინრად, ისე, როგორც ამას აკეთებენ სოფლელი გოგონები, და კბენას არ ცდილობდა. ხანდახან დაიხმარდა თავსაც, და საამისოდ გადაწევდა უკან. თუმცა ყმაწვილამდე მაინც ვერ აღწევდა. სამურველის მხართან ახლოს მიტანაც კი ცხენისთვის აუტანელი იყო; ის ცქმუტავდა, ცახცახებდა, წევდა ტუჩებს და კრეჭდა კბილებს. და წამების მანძილზე იქცეოდა ადამიანივით, რომელიც სიცილისგან იგუდება.

განსწავლული ურწმუნო იტყვის, რომ მას მართლაც არ შესძლებია სიცილი. პასუხად მხოლოდ შეიძლება ვთქვა, რომ ამ ორიდან ის, ვისი სიცილიც ჭიხვინში გადაიზრდებოდა, სწორედ მეჯინიბე გახლდათ. სიცილის მაგივრად ჭიხვინის ეს ნიჭი, ეტყობა, წმინდა ადამიანური თვისებაა. თუმცა, აშკარაა, ორივე თანხმობით მოქმედებდა და, როგორც კი ყველაფერი თავიდან იწყებოდა, იყო ცხადი – ცხენს სურდა სიცილი და თან ცნობისმოყვარეობაც არ ასვენებდა – ელოდა, რა მოხდებოდა.

ამგვარად, განსაწვლული ეჭვი მხოლოდ იმას უნდა დასჯერდეს, რომ ცხენს არ შეუძლია სიცილი მხოლოდ ხუმრობაზე.

თუმცა ეს ცხენისთვის ყოველთვის საწყენი არც უნდა იყოს.

გამოღვიძებული

მკვეთრად გადავწიე ფარდა: – რა ნაზია ღამე! ოთახის სიხისტეში გამოჭრილ ფანჯრის ღიობში ხავერდოვანი სიბნელე გაწოლილა. თუ ეს მართკუთხა საცურაო აუზის წყლის სარკეა? ძნელია რამის გარჩევა; თითქოს ზაფხულია, როცა ჰაერივით თბილია წყალი და ნავიდან გადმოწეული ხელი სიოსა და ტალღებისთვის მიგინდია. პირველი ნოემბრის დილის ექვსი საათია.

ჩემი გამოღვიძება იყოს ღვთის ნება. რაღაც ძალამ გამომტყორცნა და სიფხიზლეში მომისროლა. გაღვიძების სხვა მიზეზი არ მქონია. მოძრაობა იყო სწრაფი, უსწრაფესი, როგორც წიგნის ფურცლის ამოხევა. წამოწოლილა მსუბუქად მთვარის ნამგალი – თუ ღამის სილურჯის ფოთლებზე გადაჭიმულა ოქროს წარბი?

მოპირდაპირე ფანჯრის ღიობი თანდათან მწვანით იმოსება, თუთიყუშის ბუმბულის დარად. აი, წელში იმართებიან აისის ვარდისფერი ზოლები, თუმცა მწვანეა ჯერ კიდევ ყოველი, ცისფერი და მშვიდი. მივაშურე პირველ ფანჯარას: ნეტა დამხვდება მთვარის ნამგალი? ის კვლავ იქ არის, როგორც ღამის იდუმალების უღრმესი წამი. დარწმუნებული თავისი მაგიის რეალურობაში – სპექტაკლს მართავდეს თითქოს (არაფერია უფრო კომიკური, ვიდრე დილის ქუჩებიდან თეატრალურ რეპეტიციაზე მოხვედრა). მარცხნივ უკვე მოისმის ქუჩის მაჯისცემა, მარჯვნივ აგრძელებს რეპეტიციას ნამგალა მთვარე.

აღმოვაჩინე უცნაური ერთობა – საკვამლე მილების საძმო. შეჯგუფებული სამად, ხუთად, შვიდადაც, ან თუნდაც განმარტოებით – დგანან სახურავებზე; როგორც ვაკეზე ხეები. სივრცე მიედინება მათ შორის, ვით მდინარე, ეფარება თვალს და ბინდში იკარგება. აი, ამ უხილავი სივრციდან ჭოტი გამოჩნდა, ალბათ სახლისკენ მიეშურება; იქნებ ყვავი, ან მტრედიც კი იყო. სახლები ყველგან, ჩემკენ სახით ან ზურგით, ან, სულაც, ცერად იმზირებიან; უჩვეულო კონტურები, ციცაბო კედლები; უარი ქუჩის მიმართ სიმეტრიულ განლაგებაზე, პირიქით, მდებარეობის არჩევის ხაზგასმული თავისუფლება. სახურავზე აღმართული ოცდათექვსმეტფაიფურისთავიანი ძელი და თორმეტი სამაგრი მავთული, უაზროდ რომ ვითვლი ამ იდუმალი, უზენაესი სტრუქტურის ელემენტებს დილის ცაზე. ახლა სრულად გამოვფხიზლდი, მაგრამ, საითაც არ უნდა გავიხედო, მზერა ხუთ, შვიდწახნაგა, ციცაბო პრიზმების ირგვლივ ფარფატებს: ვინ ვარ? ამფორა სახურავზე და იქ ჩაღვრილი გამდნარი რკინის ცეცხლის გიზგიზი, სასაცილო ანანასი დღიდან დღემდე, უგემოვნობის უდღეური ნაშიერი, ამ სიმარტოვეში ამყარებს ჩემი გულის ფეთქვას, როგორც

ყველასგან მიტოვებულ ადამიანში მისი თანამოძმის ახალი ნაკვალევი.

ბოლოს ისმის ღამეული ნაბიჯების ხმა, ქალის ორი ფეხი და მიყურადება: არ მსურს გახედვა. მხოლოდ ყური გადმოეკიდა ქუჩაში უზარამაზარ, ფართოდ გახსნილ შესასვლელად. ვერასოდეს ვიქნები ასე შერწყმული რომელიმე ქალთან, როგორც ამ უცნობთან, რომლის ნაბიჯებიც სულ უფრო ეფლობა ბგერების ჩემეული აღქმის სიღრმეებში და იქაურ ექოებში იკარგება.

შემდეგ ორი ქალი. ერთი თექის რბილი ნაბიჯებით, თითქოს მოიპარება, მეორე, ასაკის მიუხედავად, მძიმე ნაბიჯებით მოემართება. დაბლა ვიყურები. ბნელა. უცნაური აქვთ ტანსაცმელი. ისინი ეკლესიისკენ მიიჩქარიან. ამ საათისთვის უკვე დიდი ხანია მორჩილი გამხდარა სული, მისი გიზგიზი ჩემში ცხრება, ნელდება. მეც მის მიმართ უინტერესო, სულ უფრო გულგრილი ვხდები.

ცხვრები, სხვაგვარად დანახული

ცხვრების წარსულისთვის: ადამიანი დღეს ცხვარს სულელად მიიჩნევს. თუმცა უფალს ის უყვარდა და ხშირად ადარებდა ადამიანებს. ნუთუ არ იყო ამაში სიმართლის ნატამალი?

ცხვრების ფსიქოლოგიისთვის: ამაღლებული მდგომარეობის ცხადი გამოხატულება არცთუ შორსაა ჭკუანაკლულობის ხატისგან.

რომთან ახლოს, მდელოზე: მოგრძო სახეები და წამებულთა ურიცხვი გრაციოზული თავის ქალა. ფეხებზე შავი წინდები, თეთრ ბეწვზე კაპიუშონები – სიკვდილის ძმებისა და ფანატიკოსების გახსენება.

მოკლე, მეჩხერი ბალახის ძიებაში ჩართული მათი ტუჩების ნერვული თრთოლა და მიწისკენ მიმართული დაჭიმული ლითონის სიმის ბგერა. ხან ეს ხმები მრავალხმიანი გუნდის ჟღერადობაში ერთიანდება, და ისმის როგორც ტაძარში აღვლენილი პრელატთა ლოცვა-ვედრება. ან ნაწევრდება ეს ერთიანობა მამაკაცთა, ქალთა და ბავშვთა გუნდებად. ტალღებად ენაცვლება ერთმანეთს რბილი მუსიკალური ფრაზები, აზვირთდება, დაბლა ეშვება; და არის ეს როგორც სიბნელეში მოგზაურთა სვლა, ყოველ მეორე წამს სინათლის სხივი რომ ანათებს, და ჩერდება ბავშვთა ხმები კვლავ და კვლავ შემომხვდარ ბორცვებზე, ხოლო ვაკეზე მამაკაცები დინჯად აგრძელებენ მოძრაობას. ათასგზის სწრაფად ენაცვლებოდა ამ სიმღერაში დღეს ღამე და სამყაროს აღსასრულისკენ მიაქანებდა. დროდადრო მაღლდებოდა ყოველივეზე ხმა ეული ან დაბლა, წყევლა-კრულვის

სამეფოში ინთქმებოდა. მათი ბეწვის თეთრი კულულების ხვეულები ცაში მოფარფატე ღრუბლების ნებიერ წყობას ეწყვილებოდნენ. ესაა უძველესი კათოლიკური ცხოველი, ადამიანის რელიგიური თანამგზავრი.

კიდევ ერთხელ სამხრეთში: ადამიანი მათ შორის ჩვეულებრივზე ორჯერ დიდია, და აღმართულა როგორც მაღალი შპილით დამშვენებული, ცაში აჭრილი ეკლესია. ჩვენს ფეხებთან მიწა იყო ყავისფერი და ბალახი – მასზე ნაკაწრი, მორუხო-მოყავისფრო ზოლები. მზე, თითქოს ტყვიის სარკეში არეკლილი, მძაფრად ელავდა ზღვაზე. შორს მოჩანდა სათევზაოდ გასული ნავები – იყო ისე, როგორც წმინდა პეტრეს დროს. მოიქნევდა კონცხი მზერას და, ვითარცა ხის მოქანავე ტრამპლინი, მაღლა, ცისკენ ასტყორცნიდა, და ეშვებოდა შემდეგ იქიდან მოგიზგიზე თეთრ-ყვითელი ფერებით მოლაპლაპე ზღვაში, ასევე იყო, ალბათ, ოდისევსის მოგზაურობისას.

ყველგან: ადამიანის მიახლოებისას, ცხვრები არიან მშიშარა და ჭკუანაკლული, მათ კარგად ახსოვთ სიცელქითა და ონავრობით ნასროლი ქვა, ამ ქვით მიყენებული ტკივილი. მაგრამ ახლომახლო მდგომ, შორეთის ჭვრეტაში გაქვავებულ ადამიანს ისინი მიუტევებენ. შემდეგ ადებენ ერთმანეთს თავებს, ათი თუ თხუთმეტი, ქმნიან წრეს, იქ შეჯგუფებული თავები ცენტრია, მათი ჭრელი ზურგები კი იქიდან მომავალი სხივების კონა. მჭიდროდ მიუბჯენიათ ერთმანეთისთვის თავის ქალები. დგანან ასე, და ეს გაქვავებული ბორბალი საათობით არ იძვრის. თითქოს გამიჯვნიან ყველაფერს ქარისა და მზის გარდა, გამიჯვნიან თვით დროის – უსასრულობის წამთა სრბოლას, გზას მათ სისხლში მაჯისცემის ფეთქვად გარდასახული რომ იკვალავს და ერთმანეთზე მიდებულ თავებს გადაეცემა, როგორც ტუსაღების კაკუნი ციხის კედლებზე.

სარკოფაგის სახურავი

სადღაც, პინჩიოს უკან, ან, სულაც, ვილა ბორგეზეს გაშლილ სივრცეში, ბუჩქებს შორის უხეში ქვისგან გამოთლილი ორი სარკოფაგის სახურავი ასვენია. არცთუ ძვირფასი განძი. ისინი უბრალოდ ყრია. მათზე კი ოჯახური წყვილი გართხმულა, ერთ დროს თავის უკვდავსაყოფად საკუთარი გამოსახულების გამოკვეთა რომ უნებებია. ასეთებს ბევრს შეხვდებით რომში; მაგრამ არც ერთ მუზეუმსა თუ ეკლესიაში არ ტოვებენ ისინი ასეთ შთაბეჭდილებას, როგორც აქ, ხეების ქვეშ, სადაც წამოწოლილან, თითქოს პიკნიკზე, ორი ათასწლიანი ძილიდან ახალგამოღვიძებულები.

და იდაყვებზე დაყრდნობილნი, ერთმანეთს შესცქერიან. მხოლოდ

კალათი აკლიათ, და იქნებოდა სუფრაზე ხილი, ყველი და ღვინო.

ქალი მოკლე ლოკონებს ატარებს – ო, ის მათ ახლავე მოიწესრიგებს, უკანასკნელი მოდის მიხედვით, რომელიც ძალაში იყო მანამ, ვიდრე ძილს მიეცემოდა. და ულიმიან ერთმანეთს; დიდი, დიდი ხნის მანძილზე. შენ გვერდზე გაგირბის თვალი, ისინი კი კვლავ დაწყებულს აგრძელებენ და მის შეწყვეტას სულაც არ აპირებენ.

და ზეიმობს ასწლეულებზე ეს ერთგული, მამაცი, ობივატელური, შეყვარებული მზერა; ის – ახლა შენს, სივრცეში მიმართულ მზერას რომ ეღობება – ძველმა რომმა გამოგვიგზავნა.

ნუ გიკვირს, რომ ის ახლაც გრძელდება; რომ ისინი თვალს წამითაც არ დაუშვებენ: ამით არ ქვავდებიან, პირიქით, თითქოს უფრო ადამიანურნი ხდებიან.

კურდღლის კატასტროფა

ცხადია, დიდი მაღაზიის ვიტრინიდან ქალბატონმა გუშინ თუ გადმოაბიჯა; ლამაზი იყო მისი თოჯინას სახე; მოგინდებოდა იქ პატარა კოვზის ჩაყოფა და მორევა, როგორმე რომ აგემოძრავებინა მისი სახის ნაკვთები. კაცი ატარებდა თაფლის სიგლუვის ზედაპირიან ფეხსაცმელს, ფიჭის სისქის ძირებზე და, თითქოს სახაზავითა და თეთრი ცარცით გამოყვანილ შარვალს. ის ქალის ყურებით ტკბებოდა, განსაკუთრებით ქარის დაბერვისას – მჭიდროდ ეკვროდა სხეულს ტანსაცმელი და მკაფიოდ აჩენდა უბადრუკ, პატარა ჩონჩხს და აზრისგან სრულად დაწრეტილ, მინიატიურული პირით დამშვენებულ პატარა სახეს. მაყურებლს ის, რა თქმა უნდა, ყოჩაღ, მამაც სახეს უჩვენებდა.

პატარა კურდღლები, მიმნდობნი, ცხოვრობენ უეჭვოდ, თეთრნაკეცებიანი, ჩაის ფინჯნის სისქის ქვედატანის გვერდით. დაფნის ფოთლის მუქ სიმწვანედ გავრცობილა მათ გარშემო კუნძულის ჰეროიკა. თოლიების გუნდები ბუდობენ ვაკის ტაფობში, თითქოს თეთრი ყვავილების კლუმბას ნიავი აშრიალებდეს. ბეწვის საყელოთი დამშვენებული თეთრი ქალის პატარა, გრძელბეწვიანი ტერიერი ყნოსვით, გულმოდგინედ მიუყვება ბალახში კვალს, ცხვირს მიწისგან ოდნავ, თითის სისქის მანძილზე თუ აწევს; არსად ჩანს კუნძულზე ძაღლი სხვა, და არაფერია ირგვლივ, თუ არა პატარა, უცნობი, ურთიერთგადამკვეთი კვლების უჩვეულო რომანტიკა. უზარმაზარია ძაღლი ამ უკაცრიელობაში, აღმართული სივრცეში, ვითარცა გმირი. აწრიალებული, მჭახე, დანის სიბასრის ხმას გამოსცემს, გაშიშვლებული კბილები უელავს, იყოს თითქოს არა მისი – ზღვის ურჩხულისა. ამაოდ ცდილობს ქალი მიუჩვეველი ტუჩებით სტვენას; ბაგეები-

დან ქარი ბგერის მხოლოდ იმის სუსტ ანარეკლს თუ აიტაცებს, რისი გამოცემაც მან მოახერხა.

სწორედ ამგვარ – აღგზნებულ, შვილდივით დაჭიმულ – ფოქსტერიერთან ერთად გავიარე გლეტჩერზე გამავალი გზა; ჩვენ, ადამიანები, თხილამურებზე მივსრიალებდით, ის კი მოგვდევდა გასისხლიანებული, თოვლში თითქმის სანახევროდ ჩაფლული, ყინულისგან დაკაწრული და მაინც აღსავსე ველური, უშრეტი ნეტარებით. აი, აქ მან რაღაც იყნოსა; ფეხები მიფრინავს დაოთხილი, გახევებული, როგორც შეშის ნაჭრები, და მის მიერ გამოცემული ხმა, აქამდე მჭახე ყეფა, ახლა მოთქმაა. უცნაურია, თუ როგორ ემსგავსება ამ წამს ზღვაში ბრტყლად გაწოლილი ეს კუნძული მაღალმთიანეთის დიდ ცირკებსა და გეოლოგიურ პლატფორმებს. ყვითელთავისქალიანი, ქარით გალოკილი დიუნები, ირგვლივ კლდეების თაიგულებად მოფენილი. მათსა და ცას შორის დაუმთავრებელი ქმნილების სიცარიელე აღმართულა. მზის სხივები ანათებს არა გამიზნულად, რათა გამოყოს ესა თუ ის საგანი, არამედ თითქოს უნებლიეთ წაქცეული სათლიდან იღვრება განურჩევლად ყველაფერზე. საკვირველია ცხოველების სახლობა ამ უკაცრიელ ადგილზე. ამ არსებებს რაღაც იდუმალება მსჭვალავს; სიცოცხლის ნაპერწკალი აქ თავს თითქოს მათ ხავერდოვანბეწვიან, ფაფუკ მკერდს აფარებს. ესაა ერთი პატარა კურდღელი, დადევნებულ ტერიერს რომ გაურბის. და ვფიქრობ ჩემთვის: ამ პატარა, მთის პირქუშ გარემოს შეზრდილ, მასთან გაშინაურებულ არსებას ეს მდევარი ვერაფერს დააკლებს. უეცრად, ცოცხლდება გეოგრაფიის გაკვეთილის მოგონება: კუნძული – რა არის ეს, ვდგავართ ზღვაში აღმართულ მთის გვირგვინზე? ჩვენ – ჭრელ, ეგზოტიკურ, საშინაო ქურთუკში გამოწყობილი, როგორც ამას მოდა გვავალდებულებს – ათი თუ თხუთმეტი მოცლილი, სეირის მაძიებელი დამსვენებელი, რომელმაც არ იცის როგორ მოკლას დრო. კიდევ ერთხელ ვცვლი ფიქრთა დინებას, და ვამბობ ჩემთვის, რომ საერთო მათთვის, ალბათ, არაადამიანური უკაცრიელობა და უსუსურობაა: ყველგან, სადაც უმცირესობაშია ადამიანი, უნაგირიდან მხედარგადმოგდებული ცხენივით დაბნეული და უმწეოა დედამიწა და არათუ მისი ჯანმრთელობა ხდება საეჭვო, არამედ მისი სულიერი ავადმყოფობაა ცხადი, აქ, ამ მაღალ მთიანეთსა და ამ პატარა კუნძულზე. მაგრამ ჩვენდა გასაკვირად, მანძილი კურდღელსა და ტერიერს შორის სულ უფრო მცირდება; კურდღელს ძაღლი ეწევა – გაუგონარი ამბავი! ეს იქნება ძაღლთა მოდგმის პირველი ტრიუმფი! გახშირებულა მდევრის სუნთქვა – ცხადია, სულ რამდენიმე წამში ის, წარმატების სიახლოვით ფრთაშესხმული, ნეტარების მოზღვავებით, ნადავლს დაეუფლება. უეცრად კურდღელი გვერდზე ხტება. და

ვხვდები – ამ მოძრაობას სიმკვეთრე აკლია, ის უჩვეულოდ რბილია და რომ ეს კურდღელი კი არა, ბაჭიაა.

ახლა შევიგრძნობ ჩემი გულის ფეთქვასაც; ძაღლი ჩამორჩა; მხოლოდ თხუთმეტიოდე ნაბიჯით; რამდენიმე წამში კურდღლის თავზე კატასტროფა გარდაუვალია. დაქანცული ბაჭია კუდის ბოლოთი გრძნობს ძაღლის სუნთქვას. მსურს მათ შორის აღმოვჩნდე, მაგრამ განზრახვის საქმედ ქცევა იმდენ ხანს გრძელდება! – ვიდრე ნება, ტანსაცმლის ნაკეცების გავლით, ფეხსაცმლის ქორფა ძირებამდე მიაღწევდეს; ან, შესაძლოა, ამ ნების წინ აღდგომის ზრახვა, გონებაში, უკვე წინასწარ არსებობდა. ოცი ნაბიჯით წინ. ალბათ ჯერ კიდევ წარმოსახვის სამყაროში ვიყავი, როდესაც ბაჭია გაჩერდა და მდევარს კეფა მიუშვირა. მანაც ჩაასო კბილები, შეაჯანჯღარა, აქეთ-იქით მოიქნია, გვერდზე მოისროლა და მისი დინგი მსხვერპლის მუცელსა და მკერდში გაუჩინარდა. ავიხედე – ირგვლივ აღგზნებული, მოცინარი სახეები. უეცარი შეგრძნება, ცეკვა-თამაშში გატარებული მთელი ღამის შემდეგ დილის ოთხ საათზე რომ გეუფლება. პირველი ამ სისხლისმსმელი ჟინის ტყვეობიდან პატარა ძაღლი გამოფხიზლდა. ის მსხვერპლს შეეშვა, გვერდზე უნდობლად გაიხედა, დაიხია; ცოტა ხნის შემდეგ კი უცნაურად მოკურცხლა, თითქოს ქვების დაშენისა შეეშინდა. დანარჩენები, შეცბუნებულები, ვიდექით გაუნძრევლად. ირგვლივ კაციჭამიური სიტყვების – „ბრძოლა არსებობისთვის" ან „ბუნების სისასტიკე" – უსახური ატმოსფერო ჩამოწვა. ზედაპირულია ასეთი აზრები, როგორც ზღვის ფსკერის სიმეჩხრე, მეჩეჩი, მისი თვალუწვდენი სიღრმეებიდან აღმოცენებული. ერთი სული მქონდა უკან დამეხია და ჩვენი უჭკუო ქალბატონი გამეღახა – გულწრფელი იმპულსი, თუმცა არცთუ გონივრული, და მეც გავჩერდი, ვგრძნობდი, თუ როგორ მისრუტავდა ჩვენ ირგვლივ ჩამოწოლილი სიჩუმე – საყოველთაო, გაურკვეველი, ეჭვის აღმძვრელი, სულ უფრო მზარდი. ბოლოს ერთმა მაღალმა, სასიამოვნო მამაკაცმა კურდღელი ორივე ხელით აიღო, პუბლიკას მისი იარები უჩვენა და ძაღლისთვის გამოგლეჯილი გვამი, როგორც პატარა, სამუდამო განსასვენებელი, უახლოესი სასტუმროს სამზარეულოში წაასვენა. ამ მამაკაცმა აუხსნელის, მიუწვდომელის იდუმალებიდან პირველმა გადმოაბიჯა და დადგა ევროპის მყარ მიწაზე.

თაგვი

ეს პანაწინა ისტორია – მხოლოდ აჩრდილი იმისა, რასაც შეიძლება ისტორია ვუწოდოთ – მსოფლიო ომის დროს მოხდა. ლადინური ალპების ოდარა Vედლა-ს საძოვრებზე, დასახლებული ადგილიდან ათასი და უფრო მეტი მეტრის სიმაღლეზე, ხოლო სიგანეზე კიდევ

უფრო მეტი მანძილის დაშორებით, მშვიდობიანობის დროს მერხი დაედგათ.

ის ომიანობის დროსაც უვნებლად გადარჩენილიყო, თუმცა ამ ფართო, ნათელ დაბლობზე მის თავზე ტყვიები ხშირად ზუზუნებდნენ: მიემართებოდნენ მშვიდად, როგორც ხომალდები, ან როგორც თევზების გუნდი. და შორს ეცემოდნენ, სადაც იყო არავინ და არაფერი, და იქ, ფოლადისებური, უდრეკი სიჯიუტით, თვეების მანძილზე ერთ უცოდველ ფერდობს აპარტახებდნენ. აღარავინ უწყოდა რატომ. საბრძოლო ხელოვნების ხარვეზები? ომის ღმერთების ჭირვეულობა? მისი არსებობა ომსაც კი გამორჩენოდა. მხოლოდ მზეს თუ ახსოვდა, რის ნიშნადაც, უღრუბლო დღეებში, უსასრულო შორეთიდან უხვად უგზავნიდა თავის სხივებს.

ის, მერხზე მჯდომი, იჯდა მყარად. პირმოკუმული. კიდურებს კი ეძინათ განცალკევებით, ერთმანეთის მჭიდრო სიახლოვეში დაყრილი ადამიანების ძილით, მთლიანად გამოფიტულებს იმავე წამს რომ დავიწყებიათ ერთმანეთი. სუნთქვაც კი, ბუნებრივი პროცესების ნაწილად ქცეული, უცხო გამხდარიყო; არა „ბუნების სუნთქვად", არამედ: როდესაც ადამიანი ამჩნევს, თუ როგორ სუნთქავს, – მკერდის ეს თანაბარი, ავტომატური მოძრაობა! – ადამიანური უძლურება – უკიდეგანო ცისფერი ჰაერის მაგიით ტკბობის ნაყოფი – როგორც ფეხმძიმობა.

ირგვლივ ბალახია, ერთი წლის წინანდელი; თოვლივით უფერული, თან უდღეური – უსიცოცხლო, თითქოს უზარმაზარი ლოდის ქვეშ მოყოლილი და მისი სიმძიმით გადათელილი. ბორცვებისა და ტაფობების სიმრავლე შორს თუ ახლოს, უზომო და უაზრო, დაბალი ტყე და საძოვრები. ამ უძრავი მღელვარებიდან, ამ მომწვანო-მოყვითალო ქაფად – მტვრად და ნაცრად – ქცეული მიწიდან მზერა ზევით მიიწევს, სულ უფრო მაღლა, წითელი პიტალო კლდისკენ, ლანდშაფტს წინიდან რომ საზღვრავს, საიდანაც, ასობით ფრაგმენტად დაქუცმაცებული იბრუნებს პირს და კვლავ ქვევით მიეშურება. კლდის ეს მონაკვეთი – არცთუ უსაშველოდ მაღალი, რომლის უკაცრიელ ზედაპირზე მხოლოდ შიშველი სინათლე დანავრდობს – ხრიოკია და უკაცრიელი, როგორც სამყაროს შექმნისას.

ამ მერხის სიახლოვეს, რომლის მყუდროობასაც იშვიათად არღვევდნენ სტუმრები, თაგუნას მიწისქვეშა მიმოსვლის მთელი სისტემა მოეწყო – მისი ტანის სიმაღლეზე მორგებული სამალავი ხვრელები, ამავე დროს ზედაპირზე მოხვედრის საშუალებასაც რომ იძლეოდა. და დაქროდა ის ამ წრეზე, ჩერდებოდა, შემდეგ კვლავ გარბოდა, და ასე დაუსრულებლად. ჰაერის გუგუნიდან უცხო, შემზარავი სიჩუმე ამოიზარდა. მერხის საზურგედან ადამიანის ხელი გადმოეკიდა. და თვალმა, ქინძისთავივით პატარამ და შავმა, მიაპყრო მას მზერა.

წამით გაჩნდა წინააღმდეგობრივი შეგრძნება, და კაცს ველარ გაერკვია – ეს პატარა, ცოცხალი, შავი თვალი ბრუნავდა და ტრიალებდა, თუ კლდეების გაქვავებული უძრაობა იწყებდა ტორტმანს. ველარც იმას არკვევდა: მასზე სამყაროს ნება ვრცელდებოდა, თუ ამ თაგვისა, პაწაწინა, ეული თვალი რომ უციმციმებდა. და ვერც იმას, იყო ომი, თუ მარადიულის ზეობის ჟამი დამდგარიყო.

ასე შეიძლებოდა დიდხანს და საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით იმით შეგექცია თავი, რისთვისაც ვერ მოგიძებნია სახელი; მაგრამ ეს ხომ ძალზე პატარა ისტორიაა, რადგან ყოველთვის ასწრებდა დასრულებას, ვიდრე მოასწრებდი ზუსტად თქმას, თუ სად თავდებოდა.

გამძაფრებული სმენა

ადრიანად დავწექი, ცოტა შემცივნებული ვიყავი, ალბათ მქონდა სიცხეც. ვუყურებ ჭერს, ან, შესაძლოა, სასტუმროს აივანზე გამავალი კარის მოწითალო ფარდაა ის, რასაც ვხედავ; ძნელი სათქმელია.

როდესაც ამაზე ფიქრს შევეშვი, გახდა დაიწყე. ვიცდი, შენს ხმაურს მიყურადებული.

მესმის რაღაც გაუგებარი მიმოსვლის ხმები; ისინი ჯერ მიახლოვდება, შემდეგ მშორდება. მოდიხარ, რათა რაღაც დადო შენს ლოგინზე; შენს მხარეს არ ვიყურები, და მაინც, ნეტა რა უნდა იყოს? ამ დროს აღებ კარადას, იქ რაღაცას დებ, თუ, პირიქით, იღებ იქიდან; მესმის, როგორ ხურავ კარს. მაგიდაზე აწყობ ხისტ, მძიმე საგნებს, სხვებს – კომოდის მარმარილოზე. არ ჩერდები. განუყვეტლივ მოძრაობ. შემდეგ ვარჩევ თმის გაშლისა და ვარცხნის ხმას. ახლა – ხელსაბანში წყლის ჩხრიალი. მანამდე – ტანსაცმლის წმენდა; კვლავაც იგივე; გაუგებარია, რამდენ ხანს იხდი. აი, დადგა ფეხსაცმლების დროც. შემდეგ რბილ ნოხზე შენი წინდების მოუსვენარი მოძრაობა, ისე, როგორც მანამ ფეხსაცმლების. ჭურჭელში ასხამ წყალს; სამჯერ, ოთხჯერ, მიყოლებით, ვერ ამიხსნია – რატომ. ჩემს წარმოსახვაში ყველაფერი მოსახდენი, თითქოს უკვე დიდი ხანია უნდა მომხდარიყო. სინამდვილეში მაინც პოულობ საქმეს, სულ ახალ-ახალს. მესმის როგორ იცვამ ღამის პერანგს. თუმცა, ყველაფერი ამით არ თავდება. კვლავ იჩენს თავს უამრავი პატარა საქმე. ვიცი, რომ ჩემ გამო ჩქარობ; ცხადია, რასაც აკეთებ საჭიროა და შენს ყველაზე პირადულს ეხება, და, როგორც ცხოველების უტყვი ქმედება, ტრიალებ დილიდან საღამომდე შეუსვენებლად, უთვალავჯერ ჩასჭიდებ ხელს საგნებს ისე, რომ ამას კარგად ვერც კი აცნობიერებ, ან წამოიწყებ საქმეს, ისეთს, ჩემთან კავშირი რომ არა აქვს არავითარი!

შემთხვევით ვგრძნობ ამას, რადგან მაქვს სიცხე და გელი.

სლოვენიური დაკრძალვა

უცნაური ოთახი მქონდა. თურქული ფარდებით გაწყობილი, პომპეისეულ სინითლეში ჩაძირული; ავეჯი – დამსკდარ-დაღარული და იქ დაბუდებული მტვერი ქანებად და მადნის ძარღვებად მოჩანდა, ძალზე წვრილ, წმინდა, უფრო მათ არარეალურ მინიატიურად; მაგრამ იყო ისე უჩვეულოდ სადა, ერთგვაროვანი, ყველაფრისგან გამიჯნულ-გარიყული, რომ მაღალმთიანეთის იმ განსაკუთრებულ უკაცრიელობას მოგაგონებდათ, რომელსაც მხოლოდ შუქის ან ჩრდილის ტალღები სტუმრობენ მონაცვლეობით. ამგვარი შთაბეჭდილებებით იყო მდიდარი მაშინ ჩემი ცხოვრება.

როდესაც ოთახში პირველად შევედი, დახოცილი თაგვების სუნით ყარდა. მეზობელი მასწავლებელი ქალები ყველაფერს, მათთვის უინტერესოს ან უსარგებლოს, ჩვენი ოთახების გამყოფ საერთო შემოსასვლელში ყრიდნენ: ხელოვნურ ყვავილებს, ხილის კანს, დაფლეთილ, ჭუჭყიან თეთრეულს, რომლის მოწესრიგებაც ზედმეტად მიაჩნდათ. მოსამსახურე დაიჩივლებდა ხოლმე, როდესაც იქაურობის წესრიგში მოყვანას ვთხოვდი; და მაინც, ერთ-ერთი მათგანი იყო ანგელოზზე მშვენიერი, უფროსი და კი დედაზე ნაზი, ყოველდღიურად დას ლოყებს მიამიტურ ვარდისფრად რომ უფერადებდა, რადგან სურდა ყოფილიყო პატარა ეკლესიის სოფლური ღვთისმშობელივით ლამაზი. მოსწავლე გოგონებს, მათ ხშირ სტუმრებს, ორივე ძალიან უყვარდათ; მადლიერების ამ გრძნობის სამართლიანობა ჩემს თავზეც გამოვცადე, როდესაც კეთილი ბუნება ავადმყოფობისას მათ ბალახის მუთაქის სითბოდ მაგრძნობინეს. ერთხელაც, დღისით, მათ ოთახში როგორც გამქირავებლებისთვის რაღაცის სათხოვნად შესულს, ორივე ლოგინში დამხვდა, და, როდესაც დაბრუნება გადავწყვიტე, დახმარებისთვის მზადყოფნის ნიშნად ლოგინიდან წამოხტნენ – ჩვეულებრივად ჩაცმულები, დასვრილ საგარეო ფეხსაცმლებზეც კი არ ეთქვათ უარი.

აი, ამ სახლის ფანჯრიდან მოვკარი თვალი დაკრძალვის სცენას; ქუჩის ამ მონაკვეთში ოდნავ გაფართოებული რაიჰშტრასეზე, ჩვენი სახლის მოპირდაპირე მხარეს, ჩემი ფანჯრების მიმართ ცერად მდებარე ბინაში ერთი მსუქანი ქალი გარდაცვლილიყო. დურგლის შეგირდებმა დილით კუბო მოიტანეს; იყო ზამთარი, მათ ის პატარა ციგაზე დაემაგრებინათ და, რადგან დილა იყო მშვენიერი, ყინულზე სასიარულოდ საგულდაგულოდ დაკბილულძირიანი ფეხსაცმლებით გულმოცემულნი, ამ ციგას ხალისიანად მოასრიალებდნენ და ირწეოდა, ქანაობდა აქეთ-იქით ეს შავი ყუთი. შემსწრეები ამ ყოჩაღი

ყმაწვილების ცქერით ტკბებოდნენ და ცნობისმოყვარედ ელოდნენ გაგრძელებას, რა მოხდებოდა, გადაბრუნდებოდა ციგა თუ არა.

ნაშუადღევს ყველა გამცილებელი უკვე სახლის წინ იდგა; ცილინდრები და ბეწვის თავსაბურები, მოდური ქუდები და ზამთრის მოსასხამები შავ სილუეტებად მოჩანდა სათოვრად გამზადებული ღრუბლების ნათელ ფონზე. გამოჩნდა სამღვდელოებაც – შავსა და წითელზე გადაცმული დაკბილული თეთრი პერანგებიანების საზეიმო სვლა. მათ დიდი, უხვბეწვიანი, ყავისფერი ლეკვი გამოუხტათ და ისე უყეფდათ, თითქოს მათ კი არა, მის წინ აღმოჩენილი კარეტის გამომწვევ წინსვლას ერჩოდა. და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამაში მისი, არცთუ ურიგო, დაკვირვების უნარი მჟღავნდებოდა – ამ წამს ამ არსებებში არა იმდენად სიწმინდე, ან თუნდაც უბრალო ადამიანურობა გამოსჭვიოდა, არამედ თვალშისაცემი სწორედ მათი მოძრაობის მექანიკური მხარე – მოლიპული გზა და მასზე მძიმე, საზეიმო სვლა გახლდათ.

მალე ყველაფერმა ამაღლებული იერი შეიძინა. დარბაისელმა ბანმა სამგლოვიარო სიმღერა წამოიწყო უცხო ენაზე, რომელშიც მხოლოდ ჩვენი ტკბილი და ძვირფასი მარიამისადმი მიძღვნილ სიტყვებს ვარჩევდი, შემდეგ ბარიტონი ჩაერთო, პრიალა წაბლივით ღია ყავისფერი ხმა, და კიდევ ერთი, უკვე ტენორი, ყოველივეზე მოფარფატე, სწორედ მაშინ, როდესაც სახლიდან შავმოსასხამიანი ქალების ნაკადი მოედინებოდა, ხოლო ზამთრის ცის ფონზე სანთლების შუქი მკრთალ ოქროს ნათებად იღვრებოდა – საეკლესიო ნივთებს თითქოს ცეცხლს უკიდებდა, ანთებდა, აელვარებდა. – მოგინდებოდა ტირილი, იმ ერთადერთი მიზეზით, რომ უკვე ოცდაათს გადააბიჯე.

შესაძლოა, იმიტომაც, რომ მგლოვიარე საზოგადოების უკან ბავშვები ჯაჯგურობდნენ, ან ძაღლის მეპატრონე წელგამართული ახალგაზრდა მამაკაცი შეკრებილთა თავებს მიღმა საეკლესიო მსახურების მიმდინარეობას უძრავად მისჩერებოდა, მიზეზი კი გაუგებარი რჩებოდა. უბრალოდ, ყოველივე, არამყარი, ბუნდოვანი ფაქტებით დამთრგუნველად აღსავსე, ფაიფურის კარადას მოგაგონებდათ. ველარ ვჩერდებოდი, თუმცა არც ის ვიცოდი, რა მექნა. ამ დროს, ალბათ სრულიად შემთხვევით, შეჯგუფებულ ხალხში, კვლავ, კეთილშობილი გრძნობებით შეპყრობილი ახალგაზრდა მამაკაცი გამოვარჩიე, რომლის ზურგს უკან წაღებულ ხელს დიდი, ყავისფერი ძაღლი ეთამაშებოდა. ის ხელს მსუბუქად კბენდა და თავისი თბილი ენით მის თამაშში ჩათრევას ცდილობდა. დაძაბული ველოდი გაგრძელებას, ვიდრე, გარკვეული ხნის შემდეგ, გაურკვეველი ბუნების ამაღლებულ გრძნობებში გაქვავებული ახალგაზრდა მამაკაცის ზურგსუკანა

ხელმა, ისე, რომ ამას ხელის პატრონი ვერც კი აცნობიერებდა, ძაღლის დინგთან თამაში, უნებლიეთ, დამოუკიდებლად არ წამოიწყო.

ამ ყველაფერმა, თითქოს სრულიად უმიზეზოდ, ჩემი სულიერი მღელვარება დააცხრო. ის, სული, აღმოჩნდა გარემოში, რომელში ყოფნასაც აქამდე თავს ვაიძულებდი, ახლა კი იყო დაუძაბავი, ნესრიგსა თუ უწესრიგობაში, მაშინ როცა არ არსებობდა საამისოდ არავითარი საბაბი თუ მიზეზი. დაკრძალვის შემდგომი რიტუალის მოლოდინი სასიამოვნო უსიამოვნებად მივლიდა – ხელის ჩამორთმევა, საკუთარი წარმოების საეჭვო ღირებულების ჭიქა შნაფსსა და ორიოდე არაფრის მთქმელ ფრაზასთან ერთად, სულ მალე რომ შემომთავაზებდნენ ჩემი უშუალო მეზობლები, რომლებსაც ძნელია არ დაეთანხმო: – ეჰ, ალბათ უბედურება ადამიანებს მართლაც აახლოებს, ან რაღაც ამის მსგავსი.

გოგონები და გმირები

რა კარგები ხართ, მოახლე გოგონებო, რა ლამაზია თქვენი სოფლური ფეხები და მშვიდი მზერა, რომლის შესახებ ვერც კი იტყვი, აოცებს მას ყველაფერი, თუ, პირიქით, არც არაფერი?! მიგყავთ ბატონების ძაღლი თასმით, როგორც თოკზე გამობმული ძროხა. ალბათ ფიქრობთ: რეკავს ახლა სოფლის ზარი ან საცაა კინო დაიწყება. ერთია ცხადი, იდუმალია თქვენს ფიქრთა დინება, და გგონიათ, რომ ქალაქის ორ უკიდურეს წერტილს შორის მეტ ადამიანს მოუყრია თავი, ვიდრე მთელ ქვეყანაზე, და ყველა წამს მიაბიჯებთ ამ მამაკაცური საწყისის სამყაროში – მართალია, ის არ გეკუთვნით – იყოთ, თითქოს, პურის ყანაში, ქვედატანზე რომ გეტმასნებათ, გეხახუნებათ.

მაგრამ, ფიქრობთ კი იმაზე, როცა თქვენი თვალები ცდილობენ დაგვარწმუნონ, თითქოს არც კი იცით, რომ ეს თოკზე გამობმული არსება, ასე მორჩილი, მამაკაცია? თუ ვერაფრით ამჩნევთ, რომ ეს ლუქსი მამაკაცია, და რომ მგელი და ამრიც მამაკაცები არიან? ათასობით ისარი უბურღავს გულს ყოველ ხესა თუ ლამპიონთან. მათი სქესის მამაკაცების ნაკვალევს ასდის ამიაკის სუნი, დანის პირივით ბასრი, თითქოს მახვილით ხე გაეგმიროთ; ორთაბრძოლა და საძმოები, გმირობა და სიმპათია, მამაკაცთა მთელი ჰეროიკული სამყარო გადაიშლება თქვენი ცნობისმოყვარე, ყოველგვარ სიახლეზე დაგეშილი წარმოსახვის წინაშე! საომარი მისალმების როგორი რიხით წევენ ფეხს ისინი, ჩვენი მამაკაცები, ან, დროსტარებისას, როგორ რაინდულ შემართებას აახლებენ იმავე მოძრაობას მისალმების ნიშნად გაწვდილ ლუდით სავსე კათხას! ან რა უბადლო სიდარბაისლით

ასრულებენ სამსახურს – შესაწირის კურთხევის რიტუალის სადარს! და თქვენ, გოგონები? ასე უაზროდ, უკადრისად მიუძღვებით მათ; თოკით მიათრევთ; არც დროს უტოვებთ, არც მათკენ იყურებით, ყურადღებასაც არ აქცევთ. და ამ სანახაობამ ლამის კაცს ხელში ქვა ააღებინოს.

ძმებო! სამ ფეხზე ხტუნვით მისდევს გოგონას ლუქსი თუ მგელი; მეტისმეტად ამაყი, და ამ სიამაყეში მეტისმეტად შეურაცხყოფილი, საშველად ყმუილით ვინმეს რომ მოუხმოს; საპროტესტოდ ვერაფრის შემძლე, გარდა იმისა, რომ სასოწარკვეთილი გამომშვიდობების ნიშნად მეოთხე ფეხი ჯიუტად, თავგამეტებით არ დაუშვას ძირს, მიწაზე, როდესაც თოკი უმოწყალოდ მიათრევს. ძაღლის რა შინაგანი სნეულებანი შეიძლება წარმოშვას ამ წამებმა, რა სასოწარკვეთილ ნევრასთენიულ კომპლექსებს შეიძლება შეიცავდეს ისინი! და მთავარი: გრძნობთ მის ნაღვლიან, მეგობრულ მზერას, ამგვარი სცენის ჩავლისას რომ გიგზავნით? მას უყვარს, რა თქმა უნდა, თავისებურად, ამ უთავბოლო გოგონების სული. არ არიან ისინი გულქვები; და ალბათ მოლბებოდნენ კიდეც, რომ სცოდნოდათ, თუ რა ხდება. მათ ეს არ იციან. განა სწორედ იმიტომ არ არიან ასე მომხიბვლელი ეს ინერტული სულები, რომ არაფერი იციან ჩვენ შესახებ? ასე მეტყველებს ძაღლი. ჩვენს სამყაროს ისინი ვერასდროს გაიგებენ.

პანსიონატი არასოდეს

იმ დროს რომში ერთი გერმანული პანსიონატი არსებობდა (თუმცა იყო ბევრი სხვაც). ეს იყო გარკვეული შინაარსის მატარებელი სახელი, სრულიად განსხვავებული მნიშვნელობის ცნებების მომცველი და გამაერთიანებელი. დღესაც შეძრწუნებული ვიხსენებ ერთ-ერთს, სხვას, სადაც ერთხანს ვცხოვრობდი; ყველაფერი იყო უნაკლო, ისე, რომ ეს ყველაფერი, ასევე უნაკლოდ და ულმობლად, ტირილის გუნებაზე გაყენებდათ. მაგრამ არა იმ პანსიონატში, რომელზეც ახლა ვაპირებ ლაპარაკს. როდესაც ბიუროში მივედი და პირველ რიგში სახლის პატრონი ვიკითხე, დედამისმა მიპასუხა: „ოჰ, ახლა ვერ მოვა, ახლა იშ თავიში კოჟრითაა დაკავებული!“ მე მას დავარქმევდი ჰერ არასოდესს. მისი დედის, ფრაუ არასოდესის, ამ უზარმაზარი კორსეტით შემოსაზღვრული მატრონას ფერ-ხორცს ასაკთან ერთად ისე უცნაურად დასტყობოდა ჭკნობის კვალი, რომ კორსეტის კიდე ტანის ირგვლივ ჰაერში უსწორმასწოროდ ეკიდა, და მას ზევიდან ჩამოშვებული ბლუზა ფარავდა; ეს ყველაფერი რაღაცნაირად მიწაზე დამხობილ, გაპარტახებულ ქოლგას გაგონებდათ, შემთხვევით, მიყრუებულ ადგილებში გადაგდებულს რომ წააწყდებით. ოქტომბ-

ერსა და აღდგომას შორის, ანუ მოგზაურობის სეზონის გარდა, რამდენადაც შემექმნა შთაბეჭდილება, თმა ჰქონდა დაუვარცხნელი და ამ პერიოდში უჩანდა თეთრი. მეორე თავისებურება გახლდათ ის, რომ მის კაბას უჩვეულოდ დიდი ჭრილი ამშვენებდა – სიცხეში ყოველთვის თავიდან ბოლომდე შეხსნილი. შესაძლოა, ამას მოჰქონდა სიგრილე, ან ეს უბრალოდ ამ სახლის თავისებურება გახლდათ. რადგან ლაურაც, მიმტანი, მართალია, შესაკრავიან თეთრ ბლუზას იცვამდა, მაგრამ რომში ჩემი ყოფნის მთელი დროის მანძილზე, ყველა შესაკრავიდან მხოლოდ ორ ქვედას ხმარობდა ისე, რომ უკნიდან პერანგი უჩანდა და, ამ „გამჭვირვალე ფიალის" მიღმა, მშვენიერი ზურგიც. და მაინც, ეს ბატონი და ქალბატონი არასოდეს იყვნენ მშვენიერი მასპინძლები, ძველმოდური ოთახები ყოველთვის კარგად ჰქონდათ მოვლილი, კერძები კი – მიმზიდველი და გემრიელი. სადილობისას ჰერ არასოდეს, როგორც წესი, იდგა მაგიდასთან, საიდანაც საჭმელები ნაწილდებოდა, და მომსახურებას, როგორც Maitr d'hotel, პირადად უძღვებოდა, თუმცა საკუთრივ მომსახურე მხოლოდ ლაურა გახლდათ. ერთხელ გავიგონე, თუ როგორ საყვედურობდა: „ჰერ მაიერმა თვითონ მიიტანა მაგიდაზე კოვზი და მარილი!" – შეშინებული ლაურა კი საპასუხოდ ჩურჩულებდა: „თქვა რამე?" და ამ ჩუმად ნათქვამ უარყოფაში: „ჰერ მაიერი არასოდეს არაფერს ამბობს!" – ჰერ არასოდეს განსაკუთრებულ, სამეფო სუფრის ცერემონმაისტერის მაღალ ღირსებას აქსოვდა. აი, მოვალეობისადმი ერთგულების ასეთ მწვერვალებამდე მაღლდებოდა პანსიონატის მეპატრონე. მახსენდება მისი იერი: მაღალი, გამხდარი და მელოტი, წყლიანი გამოხედვა და ეკლიანი ბაკენბარდები, რომლებიც გამუდმებით მოძრაობდნენ, როდესაც ის, კერძით ხელში, სტუმართან დახრილი, გემრიელი სადილისადმი მისი ყურადღების მიქცევას ზუსტად შერჩეული, აწონილი გამოთქმებით ცდილობდა. არა, მათ, არასოდესების ოჯახს, ნამდვილად ჰქონდათ გამორჩეული თვისებები.

მე ყველა წვრილმანი ჩავინიშნე, რადგან უკვე მაშინ მქონდა წინათგრძნობა: ეს აღარასოდეს დაბრუნდება. ამით, რა თქმა უნდა, არ ვამტკიცებ, რომ ისინი განსაკუთრებით იშვიათი და ძვირფასი იყო; განსაკუთრებულობა სწორედ ერთდროულობაშია, რაც არცთუ ადვილი გადმოსაცემია. როდესაც კედელზე ოცი საათი კიდია და ყველას ერთად შეხედავთ, უეცრად, ამჩნევთ, რომ ყველა ისარს განსხვავებული მდგომარეობა უკავია; ისინი აჩვენებენ და არც აჩვენებენ ერთ დროს, და ჭეშმარიტი დრო სადღაც სხვაგან, მათ შორის მიედინება. ეს დამთრგუნველია. პანსიონატში იმდროინდელ მაცხოვრებლებს, ყველას, განსაკუთრებული მიზეზები გვქონდა საამისოდ; ყოველ ჩვენგანს ჰქონდა, გარდა საქმისთვის განკუთვნილისა, თავი-

სუფალი დრო და, რადგან ზაფხულის სიცხის გამო მის სრულფასოვან გამოყენებას ვერ ვახერხებდით, სახლში ადრე ვბრუნდებოდით. ჩვენ შორის იყო, მაგალითად, ერთი ხანდაზმული, პატარა შვეიცარიელი ბატონი, ჩამოსული არცთუ დიდი პროტესტანტული სექტის შესაძლო საქმიანობის გამო, მაინცდამაინც პაპისტურ რომში რომ სურდა ევანგელისტური ეკლესიის აშენება. მწველი მზის მიუხედავად, ის ყოველთვის შავ ტანსაცმელს ატარებდა და ჟილეტის ზევიდან მეორე შესაკრავზე ძეწკვიანი საათი ჰქონდა დამაგრებული, რომელზეც, ცოტა დაბლა, შავი მედალიონი ეკიდა, სადაც ოქროს ჯვარს დაედო ბინა. მისი წვერი თანაბრად ნაწილდებოდა ამ ძეწკვის გარშემო, მარჯვნივ და მარცხნივ; ეს იყო ნიკაპზე თხელი წამონაზარდი, ისეთი, შორიდან რომ ვეღარც ამჩნევ, რომელიც მთლიანად იკარგებოდა ლოყებისკენ, ერწყმოდა მას ისევე, როგორც უწვერო ზედა ტუჩი. თავზე თმა ჰქონდა ღია ფერის, ჭაღარაშერეული და უსიამოვნოდ, ამაფორიაქებლად რბილი; მისი სახე, შესაძლოა ვარდისფერიც ყოფილიყო, მაგრამ რადგან იყო თეთრი, იყო ახლად მოსული თოვლივით ქათქათა, რომელშიც ლაპლაპებს ოქროს სათვალე. ამ მოხუცმა ბატონმა ერთხელ, სალონში საუბრისას, უთხრა მადამ ჟერვეს: „იცით, რა გაკლიათ? მეფე საფრანგეთში!“

– მე გავოცდი და დავაპირე ქალბატონის შველა: „მაგრამ თქვენ ხომ შვეიცარიელი ხართ, რესპუბლიკელი!?“ – ჩავერთე საუბარში. პატარა მამაკაცი თავისი ოქროს სათვალეების ჩარჩოზე ამოიზარდა და, მას გაცდენილმა, გვიპასუხა: „ო, ეს სულ სხვა რამაა! ამას ჩვენთან ექვსასწლიანი ისტორია აქვს და არა ორმოცდახუთის!“ ასეთი გახლდათ რომში პროტესტანტული ეკლესიის აშენების მოსურნე შვეიცარიელი.

მადამ ჟერვემ მას მომხიბვლელი ღიმილით უპასუხა: „რომ არა დიპლომატები და გაზეთები, მარადიული მშვიდობით დავტკბებოდით.“ – „Excellent, vraiment excellent!“ – დაეთანხმა მოხუცი, კვლავ დამთბარი, შემრიგებლური, და დაუქნია თავი, თან ისეთი არაბუნებრივად წვრილი ხმით წაიხითხითა, თითქოს ყელში თხა ჰყავდა გაჩხერილი; ის იძულებული იყო ფეხი იატაკიდან აეწია, სავარძელში მადამ ჟერვესკენ რომ მიბრუნებულიყო.

ასეთ ბრძნულ პასუხებს მხოლოდ მადამ ჟერვე იძლეოდა. – ნატიფად ნაძერწი ტიტუსის თავი, მაღალ, თხელ კისერზე, ელეგანტური ყურებით დამშვენებული – აი, ეს მომხვდა პირველად თვალში, როდესაც ის ფანჯრიდან მოტრიალდა და დარბაზს მოაპყრო მზერა – თითქოს ცის ლაჟვარდის გარდამავალ ტონებად მოელვარე ჩამოჩუქურთმებულმა ვარდისფერმა ძვირფასმა ქვამ გამოანათა. სრულყოფილი ხელები სხეულთან ახლოს მიტანილ ჩანგალზე წამო-

გებულ ატამს თლიდნენ. მისი საყვარელი სიტყვები იყო: Ignoble, mal élève, grand luxe და très maniaque. ასევე ხშირად წარმოთქვამდა სიტყვებს: digestion და digestif. მადამ ჟერვეს უყვარდა გახსენება, თუ როგორ აღმოჩნდა ერთხელ იგი, კათოლიკე, პარიზის პროტესტანტულ ეკლესიაში – Empereur-ის დაბადების დღეს. „და გარწმუნებთ", დაამატა მან, „ეს იყო გაცილებით ღირსეული, ვიდრე ჩვენთან. გაცილებით სადა, უბრალო. შორს ამ უბადრუკი კომედიისგან!" – აი, ასეთი იყო მადამ ჟერვე.

ის ოცნებობდა ფრანგულ-გერმანულ ურთიერთგაგებაზე, რადგან მისი მეუღლე სასტუმროს მეპატრონე გახლდათ. უფრო ზუსტად, სასტუმრო ბიზნესში იყო ჩართული: ყველაფერს თვითონ აკეთებდა – რესტორანი, სასადილო, ბარი, ნომრებში მომსახურება, ბიურო. „ყველაფერს თავის თავზე იღებს, როგორც ტექნიკოსი!" განმარტავდა იგი. გახლდათ განათლებული და აღშფოთებული ყვებოდა, თუ როგორ ამცირებდნენ ამერიკელები პარიზის ოტელში ერთ ზანგს – პრინცს, ნამდვილ, სრულფასოვან ჯენტლმენს. – „აი, ასე აკეთებდა ის, აი, ასე!" – გვიჩვენებდა იგი და ქედმაღლური ზიზღის ნიშნად ზედა ტუჩს მომხიბვლელად მაღლა სწევდა. უცნაურად ერწყმოდა ერთმანეთს ჰუმანურობის, ინტერნაციონალურობის, ადამიანური ღირსების იდეალები და ოტელის ბიზნესის საკითხები. სიამოვნებით ჩაურთავდა იმასაც, რომ ახალგაზრდობაში მშობლებთან ერთად ხშირად მოგზაურობდა ავტომობილით, რომ ატაშეს ან მისიის მდივანთან ერთად მოუნახულებია ესა თუ ის ადგილი, ან, თუ სად და როდის წარმოთქვა მათმა ნაცნობმა მავანმა მარკიზმა ესა თუ ის ფრაზა. არანაკლები იმპოზანტურობით ყვებოდა სასტუმროს ბიზნესის შესახებ – თუ როგორ გააკეთა მისი მეუღლის მეგობარმა ოტელში, სადაც აკრძალული იყო მომსახურებისთვის ნაჩუქარი ფულის აღება, ამ წესის უგულებელყოფით თვეში რვაასი მარკა, მისმა მეუღლემ კი მხოლოდ ექვსასი. გულზე ყოველთვის ებნია ცოცხალი ყვავილი და თან დაჰქონდა დუჟინი პატარა გადასაფარებელი, რომელთა მეშვეობითაც ყველგან, ყველა პანსიონატში, თავისთვის პატარა, მშობლიური კუთხის მოწყობას ახერხებდა. აქ ღებულობდა თავის მეუღლეს, როდესაც ის სამსახურისგან თავისუფლდებოდა და აქვე მოდიოდა ლაურა, მისთვის წინდები რომ გაერეცხა, როცა კი ეს საჭირო ხდებოდა. ის იყო მამაცი ქალბატონი. ერთხელ შევამჩნიე, რომ მისი პატარა პირი პატრონს საკმაოდ ხორციელ იერს სძენდა, მაშინ, როცა მოგრძო სახე უაღრესად ნაზი, ანგელოზური ჰქონდა; ყვრიმალებიც, სიცილისას, თუ კარგად დააკვირდებოდით, ხშირად მაღლა იწევდნენ, და ცხვირსაც სცდებოდნენ; მაგრამ უცნაურია – თუმცა ახლა ის ნაკლებად მიმზიდველი მეჩვენებოდა, ჩვენი ურთიერთობა ამის შემდეგ

უფრო გაღრმავდა. იგი მიყვებოდა თავისი ბავშვობის დროინდელ, ხანგრძლივ ავადმყოფობათა სევდიან ამბებს, ასევე იმ ტანჯვასა და უსიამოვნებებზე, მისთვის დამბლადაცემული მამინაცვლის ჭირვეულობას რომ მოჰქონდა. ერთხელ ისიც კი მითხრა, რომ სწორედ ამიტომ გათხოვდა თავის ქმარზე – უსიყვარულოდ. მხოლოდ იმიტომ, რომ დრო იყო საკუთარ თავზე ეზრუნა. „Sans enthusiasme; vraiment sans enthusiasme!" – მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი გამგზავრების დღეს გამანდო: მან იცოდა როდის რა ეთქვა და თანამოსაუბრეს ყოველთვის გულიდან მომავალი სიტყვებით მიმართავდა.

სიამოვნებით მოგითხრობდით რაღაც ამის მსგავსს ვისბადენელი ქალბატონის შესახებაც, ერთდროულად ჩვენს სახლს რომ ეკუთვნოდა; მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი რამ დამავიწყდა, და ის მცირე, რაც მახსენდება, ამ მიზნისათვის არცთუ შესაფერია. მახსოვს მხოლოდ – დაღმავალი, შვეული ზოლებით დამშვენებულ კაბას ატარებდა, ხის დიდ გისოსებს რომ მაგონებდა, რომელზეც, ზევიდან, დაჭმუჭნილი ჟაკეტი ჰქონდა გადმოშვებული. თუ ლაპარაკობდა, ამბობდა მხოლოდ საპირისპიროს, დაახლოებით ასე: იტყოდა, მაგალითად, ვინმე, რომ ოტავინა ლამაზი იყო. „დიახ", დასძენდა იმწამსვე, „კეთილშობილი რომაული ტიპია." და მოსაუბრეს ისეთი ღრმა დამაჯერებლობით გახედავდა, რომ, გინდა თუ არა, მოგინდებოდა მისთვის გეკითხა სამყაროში მოვლენათა მშვიდობიან მსვლელობას ხომ არ ემუქრებოდა რამე; ოტავინა კი, მოახლე გოგონა, იყო ტოსკანელი. „დიახ", პასუხობდა იგი, „ტოსკანელი. მაგრამ რომაული ტიპი! ყველა რომაელ ქალს დიდი ცხვირი აქვს და პირდაპირ შუბლიდან ეწყება!" საქმე ისაა, რომ ოტავინა არა მარტო ტოსკანელი იყო, არამედ არც ცხვირი ეწყებოდა შუბლიდან; ვისბადენელი მანდილოსანი ცოცხალი, სხარტი გონებით გამოირჩეოდა და მისი თავიდან ყოველთვის ისკუპებდა ხოლმე მზამზარეული დასკვნა, მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა სხვა მზამზარეული დასკვნა მას იქიდან პირველს დევნიდა. ვშიშობ, ის ერთი უბედური ქალი იყო. და შესაძლოა, არა ქალი, არამედ გოგონა, გამბედავი, რადგან მან აფრიკას გემით შემოუარა და იაპონიაში გამგზავრებას აპირებდა. ამასთან დაკავშირებით ყვებოდა მეგობარი ქალის შესახებ, რომელიც შვიდ კათხა ლუდს სვამდა და ორმოც სიგარეტს ეწეოდა, და მას სახელგანთქმულ მეგობარს უწოდებდა. ამის თქმისას მისი სახის ხორციელი ცოდვებით დამძიმებული არსების იერი, შესივებული კანი და პირის, ცხვირის, თვალების ირგვლივ დამრეცი, ირიბი ნაოჭები, სულ მცირე გაფიქრებინებდა, რომ ის უარს არ ამბობდა ოპიუმზე: მაგრამ როდესაც ფიქრობდა, რომ არავინ უყურებდა, ყოჩაღ გამომეტყველებას ღებულობდა, მის სახეზე უფრო ხშირად აღბეჭდილ სხვა, მეტყველ თანამოძმეებში ისე რომ იკარგებოდა,

როგორც უზარმაზარ ჩექმებში პაწია არსება. მისი ყველაზე დიდი ოცნება იყო ლომებზე ნადირობა, და სულ გვეკითხებოდა, სჭირდებოდა ამას განსაკუთრებული ფიზიკური ძალა და გამძლეობა, თუ არა. გაბედულება, იტყოდა ის, მას არ აკლია, მაგრამ ეყოფოდა კი გამძლეობა? ძმისშვილი ამაში არწმუნებდა, რადგან სიამოვნებით გაჰყვებოდა ამ საქმეში მონაწილეობის მისაღებად. მაგრამ ოცდაორი წლის ანცი ყმაწვილისთვის ეს ყველაფერი ცოტა სხვანაირად გამოიყურებოდა, არა? მსოფლიოს ირგვლივ მოგზაური კეთილი არსება! დარწმუნებული ვარ, რომ თავის ძმისშვილს ის აფრიკის მზის ქვეშ მხარზე ერთი ღონივრად წაუთაქებდა და მის წინაშე ლომებიც კი გაიძურწებოდნენ, ისევე, როგორც მე და მადამ ჟერვე ვაკეთებდით ამას, როცა კი ვახერხებდით.

ხანდახან თავს ვაფარებდი ფრაუ არასოდესთან ბიუროში ან მივდიოდი დერეფანში, იმედით, იქნებ ოტავინას გადავყროდი სადმე. შემეძლო ციური ვარსკვლავისკენ მიმეპყრო მზერა, მაგრამ თვალი ოტავინასკენ გამირბოდა – ის უფრო ლამაზი გახლდათ. ის იყო მოახლე, თან მეორე, ცხრამეტი წლის გლეხის გოგონა, მეუღლე და პატარა ბავშვის დედა; და ოდესმე ნანახ ქალებს შორის ყველაზე მშვენიერი. განსხვავებულია მშვენიერება, სხვადასხვა სახისა და ხარისხის: ეს ცხადია. თუმცა ოტავინას მსგავსი სილამაზე ადვილად შეიძლება დარჩენილიყო ჩემი ყურადღებისა და ღირსეული დაფასების მიღმა; ეს იყო ტიპური რაფაელისეული, რომლის მიმართ, ზოგადად, ანტიპათიასაც კი ვგრძნობდი: ის, რაც ამ სილამაზის მიუხედავად, თვალს აცდუნებდა, იყო თვით ოტავინას მშვენიერება! საბედნიეროდ, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანისთვის იმის აღწერა, რაც არ უნახავს, შეუძლებელია. რა უარყოფითი ჟღერადობა აქვს სიტყვებს: ჰარმონია, სიმეტრია, სრულყოფილება, კეთილშობილება! ისინი ჩვენ გამოვზარდეთ, გამოვკვებეთ და ეს მსუქანი ქალბატონები დგანან ახლა პატარა, წვრილ ფეხებზე, შებოჭილი და შებორკილი. ნამდვილი ჰარმონიისა და სრულყოფილების ხილვისას, მისი ბუნებრიობა გაოცებთ – უახლოვდება დედამიწას, მის ბრტყელ ზედაპირს, ნაკადულივით მორაკრაკებს, ლაღი, იმპულსური, შეუბოჭავი – ბუნების თავდაჯერებული მშვენიერება, სიდიადესა და სრულქმნილებას კი არ ელტვის – თავისთავში ატარებს. როდესაც ვამბობ, რომ ოტავინა იყო დიდი, ღონიერი, კეთილშობილი და დიდებული, მიჩნდება შეგრძნება, თითქოს ამ სიტყვებს სხვას დავესესხე. ხანდახან მინდა რაღაც დავამატო. ის იყო დიდი, მაგრამ არა მომხიბვლელობის ხარჯზე, ღონიერი, მაგრამ არსად, არაფერში გამოსჭვიოდა ასაკოვნის სოლიდურობა, დადინჯებულობის სიმძიმე. კეთილშობილი, მაგრამ თვითმყოფადობის იოტისოდენა მსხვერპლშეწირვის გარეშე. ერთდროულად ქალ-

ღმერთი და მსახური, თან არა პირველი, მეორე. მასთან ლაპარაკს ვერ ვახერხებდი, რადგან ჩემი დამტვრეული იტალიური უადგილოდ ეჩვენებოდა და ყველაფერზე, რასაც ვამბობდი, მხოლოდ მოკლე კი და არათი მიპასუხებდა; მაგრამ მას ვეთაყვანებოდი. არ ვეტრფოდი, არ ვცდილობდი მისი გულის დაპყრობას, არ მტანჯავდა გაუზიარებელი სიყვარული და არც ვოცნებობდი მასზე; პირიქით: როცა კი ვხვდებოდი, ვცდილობდი ვყოფილიყავი შეუმჩნეველი, ვით ღმერთების საზოგადოებაში მოხვედრილი ჩვეულებრივი მოკვდავი. და შეეძლო ღიმილი, ისეთი, რომ სახეზე ერთი ნაოჭიც არ უჩნდებოდა. და თუკი მას მამაკაცის მკლავებში წარმოვიდგენდი, მხოლოდ ასე, ღიმილიანსა და ლოყებშეფაკლულს, მის სახეს დამცავ ღრუბლად რომ გადაჰფენოდა, რომლის მიღმა შეღწევას ვნების კადნიერება ვერ ბედავდა.

და მაინც, ოტავინა გახლდათ კანონიერი ბიჭის დედა. ხშირად, მისი ხილვის სიამოვნების თავის არიდებით მივდიოდი ბიუროში, მოხუც ქალბატონ არასოდესთან, მასთან საუბარში რეალობასთან შესარიგებელი გზების პოვნა რომ მეცადა. როდესაც ის ოთახებში დადიოდა, მისი ხელისგულები წინ იმზირებოდა, დიდი კუზი და მატრონას მუცელი კი ცხოვრების შემკობისა და გამშვენიერების არავითარ იმედს არ უტოვებდა. და როდესაც ცნობის წადილით შეწუხებული ჰკითხავდით, მისი დიდი კატა Michette ბიჭი იყო თუ გოგო, ჩაფიქრებული შემოგხედავდით და ღრმააზროვნად იტყოდა: „ძნელია ამიშ თქმა; ალბათ კაშტრატია!" – ახალგაზრდობაში მისი გული ადგილობრივ მეგობარს, სორ კარლოს დაეპყრო, და სადაც უნდა ყოფილიყავით ფრაუ არასოდესის საზოგადოებაში, იგი ყოველთვის მოჩანდა, კარების ღიობების შორეულ პერსპექტივაში, სადღაც კუთხეში მჯდომარე. ოქტომბერსა და აღდგომას შორის, რა თქმა უნდა; რადგან გახლდათ ინვალიდი, არასრულფასოვანი, ახლაც კი, როდესაც სეზონი უკვე ჩავლილი იყო, მისი არსებობა იქ მცხოვრებთათვის, მართალია, კარგად ნაცნობ, მაგრამ ოფიციალურად აუღიარებელ მოჩვენებად რჩებოდა. იჯდა ის ყოველთვის რომელიმე კედელთან, უძრავად, ღია ფერის ბინძურ ტანისამოსში, ფეხები სვეტებივით თანაბრად მსხვილი, ზევიდან ვიდრე ტერფებამდე, სახე კეთილშობილი, შავად შეღებილი კავურისეული წვერით დამშვენებული, ჭარბი ცხიმისა და ტანჯვისაგან დამახინჯებული. მხოლოდ ღამით დაბრუნებისას მინახავს იგი მოძრავი. სწორედ ამ დროს, როდესაც იხუჭებოდა მისი მეთვალყურე ყველა თვალი, დადიოდა დერეფნებში მძიმედ, მიათრევდა ფეხს კვნესით, სკამიდან სკამამდე გადასვლისას გაჭირვებით მოძრაობდა და ასევე გაჭირვებით სუნთქავდა. საკუთარი სიცოცხლე უკვე დიდი ხანია იყო

სადღაც შორს, უიმედოდ ჩამორჩენილი. არასოდეს მავიწყდებოდა მისალმება, ისიც ღირსებით მეპასუხებოდა. არ ვიცი იყო თუ არა კმაყოფილი ფრაუ არასოდესის მიერ ნაწყალობევი ლუკმაპურით, თუ მის უმადურობას პროტესტით პასუხობდა და დღეების მანძილზე თვალღიას თითქოს სწორედ შელახული ღირსების გამო ეძინა. ფრაუ არასოდესის სახეზე ვერ ამოიკითხავდით, თუ რას გრძნობდა თავისი ძველი სიმპათიის, სორ კარლოს მიმართ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მის შემთხვევაში ხანდაზმულის ცხოვრების გაწონასწორებულ აღქმას უკვე დიდ ხანია უპირატესობა მოეპოვებინა იმ გრძნობებზე, ახალგაზრდა ასეთ დიდ მნიშვნელობას რომ ანიჭებს. ყოველ შემთხვევაში, სულ ერთხელ შევხვდი მასთან ბიუროში სორ კარლოს: ის იჯდა კედელთან, ძილმორეული თვალები მოპირდაპირე კედლის მიღმა, უსასრულობაში მიემართა, ფრაუ არასოდესი კი მაგიდასთან ისვენებდა და ღია კარის გავლით სიბნელეში იყურებოდა. ორივე მზერა, ასე ერთი მეტრის დაცილებით, სივრცეში პარალელურად მიემართებოდა, და ერთობლივი ხედვის ამ ზოლის ქვევით, მაგიდის ფეხთან, ჩანდა კატა, Michette, სახლის ორ ძაღლთან ერთად. ღია ფერის, წვრილბალნიან ძაღლს, შპიცს, ბეწვი სცვიოდა და სხვა ასაკობრივი ცვლილებები ზურგზეც აშკარად ეტყობოდა. ის კატასთან იმ საქმის წამოწყებას ცდილობდა, რასაც ძაღლები ჩვეულებრივ ძაღლთან აკეთებენ; მეორე შპიცი, მოწითალო ალი კი თავს კატის ყურთან თამაშით იქცევდა; არავინ ერეოდა ძაღლების საქმიანობაში, არც კატა, არც ხანდაზმული ადამიანები.

ის, ვინც ძაღლს ამ წამოწყებაში ხელს ნამდვილად შეუშლიდა, იყო მის ფრეიზერი; თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ მისი თანდასწრებით მაიკი თავს ამის უფლებას არასოდეს მისცემდა. ჩვენს სალონში ის ყოველ საღამოს ჩნდებოდა, ჩვეულებრივ, სავარძლის კიდეზე მოკალათებულს, ფიცარივით გახევებული ტანი უკან, საზურგეზე ჰქონდა მიყრდნობილი, თან მას მხოლოდ ზევით, კიდეში თუ ეხებოდა, წინ გაშვერილი გაშეშებული ფეხების ქუსლებით კი იატაკს ებჯინებოდა; აი, ამ მდგომარეობაში უყვარდა ქსოვა. როდესაც მორჩებოდა, მიუჯდებოდა მაგიდას მაშინ, როცა ჩვენ საუბრით ვიყავით დაკავებული, და იწყებდა ყოველდღიური ლექციის წერას. დამთავრებისას მის ფრეიზერი თითების სწრაფი მოძრაობით ორჯერ შლიდა პასიანსს, რის შემდეგაც იტყოდა Good Night და უჩინარდებოდა. ეს ყველაფერი დაახლოებით ათი საათისთვის ხდებოდა. ამ მყარი ტრადიციებიდან ერთგვარი გადახვევა გახლდათ ტროპიკული მცხუნვარების სალონში ერთ-ერთი ჩვენგანის მიერ ფანჯრის გაღება; მაშინ ის დგებოდა და კვლავ კეტავდა. ალბათ ორპირ ქარს ვერ ეგუებოდა. მიზეზი ჩვენთვის ბუნდოვანი დარჩა, ისევე, როგორც მისი ლექციის თემა

და მისი ხელსაქმის საბოლოო ჩანაფიქრი. მის ფრეიზერი იყო ხანდაზმული ინგლისელი ფროილაინი, პროფილი ჰქონდა რაინდული, მკვეთრი, სუვერენული, კეთილშობილი წარმოშობის ადამიანის, სახე კი – თეთრი თმის ქვევიდან რომ მოუჩანდა – პირიქით, მრგვალი და ვაშლივით წითელი, ქალიშვილური თავაზიანობით მსუბუქად შეზავებული. მაგრამ იყო თუ არა თავაზიანი თავისი ბუნებითაც, არავინ უწყოდა. განუყრელი, ულმობელი ზრდილობის გარდა მისგან სხვა არაფერი, თუნდ ერთი სიტყვა, არ გვღირსებია. შესაძლოა ზიზღს გვრიდა ჩვენი უსაქმურობა, ჩვენი ლაყბობა და უზნეობა. არც შვეიცარიელის, ექვსასწლოვანი რესპუბლიკელის მიმართ ამჟღავნებდა იგი დაახლოების სურვილს. ინგლისელი ჩვენგან ყველაფერს იგებდა, რადგან ყოველთვის ჩვენ შორის ტრიალებდა, ჩვენთან იჯდა და იყო ერთადერთი, რომლის შესახებაც არ ვიცოდით, თუ რატომ იყო ჩვენ გვერდით. ბოლოს და ბოლოს, ეს მოღიმარი, წითელლოყება ვაშლი ამ ქსოვითა და ლექციებით ხანდახან იმასაც ახერხებდა, რომ სასიამოვნო ყოფილიყო მისი ჩვენთან ყოფნა.

II
არაკეთილგანწყობილი დაკვირვებანი
შავი მაგია

I

როგორც რუსული კაბარეს წარმოდგენამ გვიჩვენა, ამ შავ თუ სკალპიან ჰუსარებს, ამ შეტევით რაზმებს და ცხენოსნების ქვედანაყოფებს ეტყობა მსოფლიოს ყველა არმიაში ვხვდებით. მათ ფიცი აქვთ დადებული – სიკვდილი ან გამარჯვება, ატარებენ თეთრი ზონრებით გაწყობილ შავ უნიფორმას, სიკვდილის ჩონჩხს რომ გვაგონებს, და ყველა ქალის გასახარად ამ ჩაცმულობით იწონებენ თავს, მათ ბუნებრივ აღსასრულამდე, თუ, რა თქმა უნდა, ომის ღმერთმა დაგვინდო. ისინი სიმღერების მეშვეობით არსებობენ, რომლებსაც პირქუში თანხლება ბინდიან ბრწყინვალებას ანიჭებს, უპირატესად და წარმატებულად დასაძინებელი ოთახის განათებას რომ ეგუება და ესადაგება.

ფარდის ახდისას მომცრო სცენაზე იჯდა შვიდი ჰუსარი; საკმაოდ ბნელოდა, ფანჯრებიდან აღწევდა ქათქათა თოვლის ნათება. ეცვათ შავი უნიფორმები, ამ ბინდბუნდში სევდიანად დახრილი თავები ჰიპნოზურად ავსებდნენ სივრცეს და მათ ნახშირივით შავი, მბზინავი

ხმები მეგობრის ხმამაღალ სიმღერას აკომპანიმენტს უკეთებდნენ. „ესმის ხმაური, ფლოქვების თქარათქური, ჩვენს დედამიწას", ისმოდა სიმღერა, გარდაუვალი ულმობელობით რომ მიისწრაფოდა ფრაზისკენ „და აღარ იზამს პირს აქეთ შენი ბედნიერება, ოდეს გაფრინდებიან მერცხლები."

II

იდუმალი სული კი ეკითხება თავის თავს: ეს მხატვარს რომ დაეხატა, მაშინ გვექნებოდა კიტჩის სასკოლო მაგალითი. „ცოცხალი სურათის" შემთხვევაში ერთ დროს ასე საყვარელი საზოგადო გართობის დავიწყებას მიცემული სენტიმენტალურობა, ანუ რაღაც, სანახევროდ კიტჩი, სანახევროდ სევდა, ახლახან დადუმებული ზარების გადაძახილის მსგავსი. და თუ ეს სიმღერაში ხორცშესხმული სურათია, მაშინ რა არის ის? გადაჰფენია მშვენიერი რუსი ემიგრანტების ამ თავშექცევას ბზინვარება, ვით შაქრის მდინარის ელვარება, მაგრამ ადამიანი, უბრალოდ, თანაგრძნობით იღიმება, მაშინ როცა ზეთიანი საღებავებით შესრულებული მსგავსი სურათის შემხედვარე აღშფოთდებოდა: შესაძლებელია, რომ კიტჩი, კიტჩის ჯერ ერთი, შემდეგ ორი განზომილებით გამდიდრებული, უფრო ასატანი და ნაკლებ კიტჩური იყოს?

ამას ვერც მივიღებთ და ვერც უარვყოფთ.

მაგრამ რა იქნება, თუ კიტჩური კიდევ ერთ განზომილებას დაიმატებს და სრულ რეალობად იქცევა? განა თავშესაფარში არ ვისხედით – დილით ჰაერი რაღაც უცნაურად იყო დამუხტული – და ამხანაგმა სიმღერა წამოიწყო? აჰ, ის იყო ნაღვლიანი. და იყო კიტჩი. უფრო – სევდაში მოქცეული კიდევ ერთი სევდა, როგორც ამ თავს მოხვეული, იძულებითი ამხანაგობის აუღიარებელი ზიზღი. მრავალ წლად განვრცობილ ამ უკანასკნელი წამის განცდაში, ადამიანი, ალბათ, ბევრ რამეს გრძნობს და სურათის ილუსტრაციის დრამატიზმი მაინცდამაინც ვერ გამოდგება სიკვდილის ტრაგიზმის ხატად.

და განა ხელოვნება ცხოვრების ვარჯისგან ქერქის კიტჩად აშრევების საშუალება არაა? ის მას ფენა-ფენა აშიშვლებს. რაც უფრო აბსტრაქტულია ის, მით უფრო გამჭვირვალეა ჰაერი. და რაც უფრო შორდება ცხოვრებას – მით უფრო ცხადი? რა უაზრობაა ამტკიცო, რომ სიცოცხლე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხელოვნება! სიცოცხლე იმდენადაა სიკეთე, რამდენადაც ხელოვნების წინაშეც ინარჩუნებს აქტუალობას: ხელოვნებად ვერ გარდასახული სიცოცხლე – აი, რაა კიტჩი!

მაინც რაა კიტჩი?

III

ხელოვანი X. დღევანდელზე უარეს დროში ოჯახური ქრონიკის მთხრობელი გახდებოდა და ივარაუდებდა, რომ გარკვეულ შემთხვევებს გული ყოველთვის შესაბამისი გრძნობებით ეხმაურება. და მხოლოდ ამ – გარკვეული – თვალსაზრისით, იქნებოდა კეთილშობილება კეთილშობილი, მიტოვებული ბავშვი სიბრალულის ღირსი და ზაფხულის ლანდშაფტი ჩვენი გუნება-განწყობისთვის სასარგებლო. ამგვარად, უნდა შევნიშნოთ, რომ სიტყვებსა და გრძნობებს შორის არსებობს მყარი, ერთმნიშვნელოვანი და უცვლელი კავშირი, რაც ქმნის ცნების საფუძველს, მის არსს. კიტჩი კი, ასე კეთილმყოფელი გრძნობისთვის, ცნებებს სწორედ მისგან ქმნის.

ახლა X. ეპოქის თავისებურებების გამო კარგი საოჯახო ჟამთააღმწერლის მაგივრად ცუდ ექსპრესიონისტად ქცეულა და სულიერი მოკლე ჩართვების შემოქმედად გვევლინება. ის მოუხმობს ადამიანს, ღმერთს, სულს, სიკეთეს, ქაოსს და ირგვლივ ამგვარი სიტყვებისგან შემდგარ წინადადებებს აფრქვევს. ის მათ სრულფასოვან წარმოდგენებს, ან, თუნდაც, ამ უკანასკნელთა სრულ არარსებობას რომ უკავშირებდეს, ამას, ალბათ, არც გააკეთებდა. მაგრამ ამ სიტყვების თანაარსებობის მანძილზე წიგნებში ხშირია მათ შორის გააზრებული თუ გაუაზრებელი კავშირები, და ხშირად უნახავს ისინი ერთად, ხოლო მათ შორის უმცირესი აზრობრივი მუხტიც კი ნაპერწკალს წარმოშობს. ეს იმის შედეგია, რომ მას ფიქრი არა განცდილ წარმოდგენებზე, არამედ მათგან წარმოებულ ცნებებზე უსწავლია.

ორივე შემთხვევაში კიტჩი ვლინდება როგორც რაღაც, რაც სიცოცხლეს ცნებებისგან მიჯნავს, შრეებად ანაწევრებს თუ აშიშვლებს და, რაც უფრო აბსტრაქტულია, მით უფრო კიტჩური. სული სიკეთეა იმდენად, რამდენადაც სიცოცხლის მდგრადობას უზრუნველყოფს.

მაგრამ რაა სიცოცხლე?

IV

სიცოცხლე სიცოცხლეა: ვინც მას არ იცნობს, ვერც აღწერს. ესაა მტრობა და მეგობრობა, აღფრთოვანება და იმედგაცრუება, პერისტალტიკა და იდეოლოგია. და აზროვნების მისია, სხვა მოწოდებასთან ერთად, ამ სფეროებში სულიერი წესრიგის დამკვიდრებაცაა და ნგრევაც. ცხოვრების მრავალი მოვლენიდან ცნება მხოლოდ ერთს ქმნის ასეთად, ცხოვრების ერთი მოვლენა კი, ხშირად, ერთი ცნებიდან – ბევრ ახალს. ცხადია, ჩვენს პოეტებს, მას შემდეგ, რაც

ირწმუნეს – თითქოს ფილოსოფოსებთან მოუკრავთ ყური, რომ ადამიანმა კი არ უნდა იფიქროს, არამედ იცხოვროს – ფიქრი აღარ სურთ.

და ყველაფერ ამაში დამნაშავეა სიცოცხლე.

მაგრამ ღვთის გულისთვის: რაა სიცოცხლე?

V

აქედან ორი სილოგიზმი გამომდინარეობს:

ხელოვნება კიტჩს სიცოცხლისგან აშრევებს.

კიტჩი – სიცოცხლეს ცნებებისგან.

და: რაც უფრო აბსტრაქტულია ხელოვნება, მით უფრო ახლოა თავის ბუნებასთან.

რაც უფრო აბსტრაქტულია კიტჩი – მით უფრო კიტჩური.

აი, ორი მშვენიერი სილოგიზმი. ნეტა მას, ვინც ამოხსნის!

მეორის მიხედვით კიტჩი, თითქოს, = ხელოვნებას.

პირველის მიხედვით კი კიტჩი = ცნებას – სიცოცხლე. ხელოვნება = სიცოცხლე – კიტჩი = სიცოცხლეს – კიტჩი + სიცოცხლე ორი = სიცოცხლეს – ცნება. ახლა გამოდის, რომ II-ის მიხედვით, სიცოცხლე = 3 X კიტჩი და აქედან ხელოვნება = 6 X კიტჩი – ცნება.

მაგრამ რაა ხელოვნება?

VI

მართლაც რომ ბედს არ უნდა უჩიოდეს შავი ჰუსარი. მან და მისმა მეგობრებმა ხომ დაიფიცეს: სიკვდილი ან გამარჯვება, და ახლა სეირნობენ მედიდურად, და ყველა ქალის გასახარად თავს ამ უნიფორმით იწონებენ. ეს არაა ხელოვნება. ესაა სიცოცხლე!

მაშ, რატომ ამტკიცებენ, რომ ეს მხოლოდ ცოცხალი სურათია?

კარები და ჭიშკრები

კარი ნარსულს ჩაბარდა, თუმცა, როგორც ამბობენ, არქიტექტურულ კონკურსებზე უკანა გასასვლელს ჯერ კიდევ ვხვდებით.

ის კედელში ჩადგმული მართკუთხა ჩარჩოა, რომელზეც მაგრდება მოძრავი ფიცარი. ამ ფიცრისა კიდევ შეიძლება გავიგოთ – უნდა იყოს მსუბუქი, ადამიანმა ადვილად რომ ამოძრაოს, თან ადვილად ეხამება მუხისა თუ კაკლის ხეებს, სულ ცოტა ხნის წინ ყველა წესიერი ოჯახის ოთახში რომ რგავდნენ და ახარებდნენ. თუმცა, თავისი ღირსებების უმეტესი ნაწილი მას უკვე დაკარგული აქვს. ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებამდე შეგეძლოთ მისთვის მიგეყურადებინათ, და

რამდენ საიდუმლოს იგებდით ხანდახან! რომ გრაფმა თავისი გერი უმემკვიდრეოდ დატოვა და რაინდმა, რომელსაც მასზე უნდა ექორწინა, სწორედ რომ დროზე გაიგო მისი, „სასიძოს“, მოწამვლის განზრახვის შესახებ. აბა ერთი ეს დღევანდელ სახლში სცადეთ! ვიდრე მავანი კართან ყურის გდებას გადაწყვეტს, მას ისედაც ყველაფერი ეცოდინება – კედლების დახმარებით. დიახ, და არა მარტო ეს – მას თვით აზრის გაფიქრებაც არ გამოეპარებოდა. რატომ ვერ დაეუფლა მას ბეტონის ნაგებობის რადიოპიესების ავტორი?! ის ხომ ამგვარი პიესის განგების სცენაა.

კარზე უფრო მოძველებული კი მისივე ჩარჩოა. გაჰყურებ ღია კარების რიგში ოთახების ანფილადას – თითქოს საფეხბურთო თავდამსხმელის კოშმარულ სიზმარს ხედავდე, რომლის წინაშე ყოველი კარის უკან გამუდმებით ახალი აღიმართება. სახრჩობელაც კი არსებობს ისეთი, რომელსაც ის გვაგონებს. და რატომ აკეთებენ ამას? კარგი დაგმანავა ტექნიკურად ამგვარი ხიმინჯების გარეშეცაა შესაძლებელი; ისინი მხოლოდ ჩვენი თვალის გასახარად არსებობს. თვალს ეხამუშებოდა, როგორც ფიქრობენ, სიშიშვლე, როდესაც კარი უშუალოდ კედელზე იქნებოდა მიბმული, ან უხილავ რკინის ფირფიტაზე. განსწავლული თვალისთვის ეს სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ ხელსა და სახელოს შორის სამაჯე არ იმზირებოდეს. და მართლაც ამ კარის ჩარჩოებს იგივე წარსული აქვთ, რაც დასამაგრებელ სამაჯეს. სახლის გუმბათოვანი გადახურვისას მას ჯერ კიდევ არ იცნობდნენ; კარი ორ მშვენიერ, კედელში ჩატანებულ ნაჭედ კაუჭზე ტრიალებდა. შემდეგ ისწავლეს ბრტყელი გადახურვა, რომლის სიმძიმესაც მასიური ხის კოჭები ზიდავდა; ადამიანი თავს იწონებდა ამ სიახლით, მათ შორის სივრცეს ფიცრებით ავსებდა, და ასე წარმოიშვა მშვენიერი ხის ფილებით დაფარული ჭერი. მოგვიანებით კოჭები და ჭერი ბათქაშით დაფარეს, ხოლო კარის გვერდებზე შემოვლებულ ხის ჩარჩოს დაუტოვეს სამზერი სივრცე. ბოლოს კი, დღეს, აგურის კედლების ნაცვლად ბეტონისას აშენებენ, ტრადიციას მხოლოდ ხის ჩარჩოები – კაცმა არ იცის სადაური, მიტმასნილი თუ მიწებებული, უაზრო, ობოლი და ეული, მხოლოდ ფანჯრის ჩარჩოსთან დაძმობილებული – უნდა იცავდეს. განა ეს უკანასკნელ ნაკვთამდე, თვით თმის ღერამდე არ ჰგავს პერანგის ამბავს, რომელიც ტანსაცმელზე თვალისთვის ფართოდ გამოჭრილი ადგილით, ასევე ყელისა და ხელის ჟაბოთი დაიწყო? შემდეგ ის თვალს მიეფარა, სერთუკის თუ პიჯაკის ქვეშ გაქრა, თუმცა ტანსაცმლიდან საყელო და სახელო მაინც მოჩანდა, ვიდრე არ დადგა უკეთესი ხანი – საყელო და სამაჯე იქცა კულტურის ობოლ სიმბოლოებად, რომლებსაც ადამიანი, თამაშის წესების სრული ცოდნა და პატივისცემა რომ ეჩვენებინა, რაღაც ფარულ სარჩულზე ამაგრებდა.

დე იყოს ეს აღმოჩენა, რომ ხის კარები სამაჯეებია, მიძღვნილი ცნობილი არქიტექტორისადმი, რომელმაც აღმოაჩინა, რომ ადამიანმა, ამ ქვეყანას პირველად კლინიკაში რომ ესალმება და საავადმყოფოში ემშვიდობება, თავისი საცხოვრებელი სივრცეც ასეპტიკური კეთილგონიერებით უნდა შეავსოს. ასე უწოდებს ადამიანი ეპოქის სულისკვეთებით განპირობებულ მშენებლობის ამგვარ ძალდაუტანებელ განვითარებას; მაგრამ, ცხადია, დღეს ეს პროცესი ერთგვარად ფერხდება. ადრინდელი ეპოქების ადამიანი – როგორც სასახლეში, ისე ქალაქში – საკუთარ სახლში ცხოვრობდა; ამაში ვლინდებოდა მისი მდგომარეობა, მისი სტატუსი, იქ იყრიდა თავს ყველა მისი ღირსება. ჯერ კიდევ ობივატელურ ეპოქაში ადამიანი საკუთარ გარემოსთან იყო შერწყმული; დღეს ადამიანი ამას მხოლოდ ბაძავს. სახლი ემსახურებოდა იმას, რადაც სურდა ადამიანს გამოჩენილიყო, და საამისოდ ფული ყოველთვის მოიძებნებოდა; დღეს ამ მიზნის მიღწევის სხვა საშუალებებიც არსებობს: მოგზაურობა, ავტომობილები, სპორტი, ზამთრის კურორტები, ფეშენებელური ოტელების აპარტამენტები. ჩვენი ფანტაზია, რომელმაც უნდა გვიჩვენოს, თუ რა არის ადამიანი, სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება და, როდესაც მდიდარი ადამიანი საკუთარ სახლს მაინც იშენებს, ამაში არის რაღაც ხელოვნური, ეს უფრო პრივატული საქმეა და არა საყოველთაო მისწრაფების გამოხატულება. და როგორღა იარსებებს კარი, თუ აღარ არსებობს „სახლი"?! ერთადერთი ორიგინალური, რაც ჩვენმა დრომ შექმნა, სასტუმროს და უნივერსალური მაღაზიის კარია, საკუთარი ღერძის ირგვლივ გაუთავებლად რომ ტრიალებს.

ადრე, კარი, როგორც ნაწილი, მთელ სახლს წარმოადგენდა ისევე, როგორც სახლი, პიროვნების გემოვნებით აშენებული და მოწყობილი, მის სოციალურ მდგომარეობას ასახავდა. კარი იყო რჩეულთა საზოგადოებაში მოხვედრის საშუალება, რომელიც იქ დამკვიდრების მსურველს, იმის მიხედვით, თუ ვინ იყო ის, ღია ან დაკეტილი ხვდებოდა, რაც, ხშირად, მის ბედსაც განსაზღვრავდა. ასევე უპასუხებდა იმ პატარა ადამიანის საჭიროებებს, რომელსაც ნაკლებად ჰქონდა შეძლებით თავმოწონების საბაბი, თუმცა საკუთარი კარის მიღმა იმწამსვე შეეძლო მამაპაპური წვერის მორგება. ამიტომაც იყო ის საყოველთაო სიყვარულის საგანი და საზოგადოებაში ცოცხალ ფუნქციას ასრულებდა. წარჩინებულნი აღებდნენ ან კეტავდნენ საკუთარ კარს და ბიურგერს მათი მეშვეობით სახლში შეჭრაც შეეძლო და ღიად შესვლაც, ასევე კარსა და ანჯამებს შორის საქმის მოგვარებაც. საკუთარი თუ სხვისი კარიდან უკან მობრუნებაც და სხვისთვის კარის ცხვირწინ მიჯახუნებაც, შეეძლო მისთვის კარზე მითითება, კარის ზღურბლიდან კინნისკვრით გაგდება: ეს იყო

ცხოვრებისადმი მიმართებების დიდი სიმრავლე, და რეალიზმისა და სიმბოლიზმის დიდებულ ნაზავს ამჟღავნებდა, ენა მხოლოდ უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენებისას რომ მიმართავს.

კარის ზეობის ხანა წარსულს ჩაბარდა! დღეს მეტისმეტად პათეტიკურია მიმართვა, რომ მავანს კარიდან კისრისტეხით დაუშვებ, მაგრამ ვის უნახავს მართლა ვინმე იქიდან „გადმოფრენილი"? ამგვარი ცდუნების გაჩენისას, ამ პროცესს იშვიათად ექნებოდა შთამბეჭდავი ცალმხრივობა – რასაც, მართალია, აქვს თავისი ხიბლი – რადგან დღეს აღრეულია ერთმანეთში ძალა და კომპეტენცია. და არც კარს მიუჯახუნებენ ვინმეს ცხვირწინ, ვიზიტის მსურველს უარს დღეს ტელეფონით ეუბნებიან; და საკუთარი კარის წინ უკან მობრუნებაც სრულიად გაუგებარი იქნებოდა. ეს გამოთქმები დიდი ხანია განუხორციელებელი გამხდარა – მხოლოდ ძველი ჭიშკრების ხილვისას ჩვენს სევდიან მოგონებებს ადევნებული კეთილმოსურნე ფანტაზიის თამაში. ნახვრეტის ბინდიანი ისტორია, რომელიც დღევანდელობას, დროებით, ხუროსთვის ღიად დაუტოვებია.

ძეგლები

ძეგლებს, გარდა იმ თვისებისა, რომ დღემდე ვერ გაგვირკვევია, თუ როგორ გამოითქმის ისინი მრავლობითში – Denkmale თუ Denkmäler – აქვთ უამრავი სხვაც. ყველაზე არსებითი – ყველაზე ცხადია და ცალსახა; პირველ რიგში თვალში საცემია, რომ ისინი შეუმჩნეველი რჩებიან. არ არსებობს ამ ქვეყანაზე უფრო უხილავი საგნები. რაღა თქმა უნდა, მათ იმიტომ დგამენ, რომ დავინახოთ, მეტიც, ჩვენი ყურადღება რომ მიიპყრონ; თუმცა, იმავდროულად, თითქოს რაღაც ისეთით იყოს გაჟღენთილი, რაც ამ უკანასკნელს აირეკლავს – ვით ზეთიან-ზედაპირზე-წყლის-წვეთები – ისე, რომ იგი, მზერა, მხოლოდ წამიერად თუ ყოვნდება მათზე. კაცი შეიძლება თვეობით დადიოდეს ქუჩაზე, იცოდეს ყველა სახლის ნომერი, ყოველი ვიტრინა, ყველა შემხვედრ პოლიციელს ცნობდეს, არც ტროტუარზე დაგდებული ათპფენიგიანი გამოეპაროს, მაგრამ გაუკვირდეს, მეორე სართულზე მოახლე გოგონასკენ რომ გაექცევა თვალი და იქ ლითონის, არცთუ პატარა დაფას და ზედ წარუშლელ წარწერას აღმოაჩენს, რომელიც გვამცნობს, რომ ამ ადგილზე ათას რვაას ამდენი წლიდან ათას რვაას და მეტ წლამდე ცხოვრობდა და მუშაობდა დაუვიწყარი ესა და ეს.

ეს შეიძლება ითქვას იმ სტატუებზეც, ადამიანის სიმაღლეს ბევრად რომ აღემატება, ყოველდღიურად გვერდი რომ უნდა აუარო, სიარულისას გამოიყენო უსაფრთხოების კუნძულად ან მანძილის საზომად, ორიენტირად, როდესაც ნაცნობი ადგილისკენ მიგეჩქა-

რება; მათ ქუჩის კულისების ნაწილად აღვიქვამთ და შეცბუნებული გავჩერდებოდით, ერთ მშვენიერ დილით იქ რომ აღარ დაგვხვედროდა: თუმცა ჩვენ მათ არ ვუყურებთ და ჩვეულებრივ წარმოდგენაც არ გვაქვს, თუ ვის გამოსახავენ, გარდა იმისა, რომ შესაძლოა ვარჩევდეთ, ქალია თუ მამაკაცი.

არ იქნებოდა მართებული გამონაკლისებისთვის მიგვენიჭებინა ჩვენი შეცდომაში შეყვანის უფლება – მაგალითად, ორიოდე სტატუას – ადამიანს, რაღაცას რომ ეძებს, ხელში ბედეკერის ცნობარით, ან გატამელატას, ან კოლეონეს – სრულიად განსხვავებულ შემთხვევას; ან სამახსოვრო ობელისკებსა და სვეტებს, მთელ ლანდშაფტს რომ ფარავენ; ან მთელ გერმანიაში გაფანტული ბისმარკის ძეგლების სოლიდურ კორპორაციას.

არსებობს ენერგიული ძეგლები; და ცოცხალი გრძნობებისა და აზრების გამომხატველიც, მაგრამ, ჩვეულებრივ, მათი უმეტესობა მოწოდებულია როგორმე ჩვენში ხსოვნა გააღვივოს ან ყურადღება მიიპყროს და ჩვენი გრძნობები აამაღლოს, რადგან ითვლება, რომ მათ ეს სჭირდებათ; და ამ მთავარ მოწოდებას ისინი ვერასოდეს ახორციელებენ, მეტიც, სწორედ იმას აფრთხობენ, რაც უნდა მიიზიდონ. ვერ ვიტყვით, რომ მათ ვერ ვამჩნევთ; შეიძლება ითქვას, სწორედ ისინი უგულებელგვყოფენ, გაურბიან, უსხლტებიან ჩვენი აღქმის უნარს: ესაა მათი სრულიად მკაფიოდ გამოხატული – ძალადობისკენ რომ იხრება – თვისება!

ამის ახსნა, რა თქმა უნდა, შეიძლება. ყველაფერი მუდმივი, უცვლელი, გამომსახველობას კარგავს. ყველაფერი, რაც ჩვენი ცხოვრების კედლებს, ასე ვთქვათ, ჩვენი ცნობიერების კულისებს, წარმოადგენს, იმავდროულად იმავე ცნობიერებაში რამე ფუნქციის შესრულების იმედს საბოლოოდ უნდა დაემშვიდობოს. უსიამოვნო, მომაბეზრებელ ხმაურს საათების გასვლისას ჩვენ ველარ აღვიქვამთ. კედელზე დაკიდებულ სურათებს სულ რამდენიმე დღის შემდეგ იგივე კედლები შეინოვს და შთანთქავს; იშვიათად ხდება, რომ ადამიანი მათ წინ გაჩერდეს და თუნდაც თვალი შეავლოს. აღარასოდეს ვკითხულობთ წიგნებს, ნახევრად წაკითხულს, უკვე ბიბლიოთეკის ტომების იმპოზანტურ მწკრივში რომ დაუდიათ ბინა. დაიხ, მგრძნობიარე პერსონები ხშირად სჯერდებიან იმას, რომ წიგნს, რომლის სათაური ან დასაწყისი მათ ასე მოეწონათ, ყიდულობენ და შემდეგ ხელსაც არ ჰკიდებენ. ამ შემთხვევაში პროცესი გამომწვევიც კი ხდება; ადამიანს შეუძლია მის ულმობელ მსვლელობას დაძაბულობის უფრო მაღალ საფეხურზე მისდიოს. ასეა, მაგალითად, ოჯახურ ცხოვრებაში. აქ ერთმანეთს შორდებიან ფრაზით: ნუთუ ყოველ თხუთმეტ წუთში უნდა გიმტკიცო, რომ მიყვარხარ?! – რა არის ეს, თუ არა ოჯახური

წყვილის მიერ ქარაფშუტულ ვნებაზე კანონიერი უფლების უთვალავჯერ დადასტურება? და რა ამაღლებულ დონეზე უნდა გაამჟღავნოს თავი ამ ფსიქოლოგიურმა ხარვეზებმა – რომლებთან მუდმივი, მარადიული, დაუსრულებელ ჭიდილში იმყოფება – უკვე ბრინჯაოსა და მარმარილოში განსხეულებულმა!

მაშინაც კი, როდესაც ჩვენი დამოკიდებულება ქანდაკებებისადმი პოზიტიურია, ჩვენ ულმობელი უცილობლობით უნდა დავასკვნათ, რომ ისინი ჩვენი ბუნების გამოწვევას წარმოადგენს და მას მძიმე გამოცდას უწყობს, რისთვის წარმატებული თავის გართმევა განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს. ჩვენ რომ ავტომანქანებისთვის ქანდაკებასავით შეუმჩნეველი, ერთფერი საგზაო ნიშნების ფარი დაგვედგა, ეს, რა თქმა უნდა, დანაშაული იქნებოდა. ლოკომოტივებიც არა მეოცნებე, არამედ მჭახე ხმაზე უსტვენენ, და თვით საფოსტო ყუთებსაც მიმზიდველი ფერებით ღებავენ. მოკლედ, ქანდაკებებიც, დღეს, როგორც ყველა და ყველაფერი, უფრო მძაფრ განცდებს უნდა იწვევდნენ. გზასთან მშვიდად დგომა და ყურადღების მიპყრობა ალბათ ყველას შეუძლია; მონუმენტისგან კი ჩვენ მეტს მოვითხოვთ. როდესაც ამას გავაცნობიერებთ – რაც დღევანდელი სულიერი მიმდინარეობების დამსახურებით ნელ-ნელა შესაძლებელი ხდება – მივხვდებით, რამდენად ჩამორჩება ჩვენი სკულპტურა თუნდაც ინდიკაციის აპარატების განვითარების თანამედროვე დონეს. რატომ არ მიმართავს ბრინჯაოში ჩამოსხმული გმირი სხვაგან უკვე რა ხანია მოძველებულად მიჩნეულ საშუალებას – თითით ფანჯრის მინაზე დაკაკუნებას? რატომ არ ტრიალებენ მარმარილოს ჯგუფური ფიგურები ერთმანეთის ირგვლივ, როგორც ამას აკეთებენ მაღაზიის ვიტრინებში მათი საუკეთესო თანამოძმენი, ან, თუნდაც, თვალებს რატომ არ ახამხამებენ? სულ მცირე, რასაც ჩვენ მოვითხოვდით, შესაძლებელი რომ გამხდარიყო ყურადღების გამძაფრება, იქნებოდა ისეთი, დროით გამოცდილი, წარწერები, როგორიცაა „გოეთეს ფაუსტი საუკეთესოა!“ ან „ცნობილი X-ის დრამატული იდეები ყველაზე აქტუალურია!“

სამწუხაროდ, მოქანდაკეები ამაში არ გვეთანხმებიან – როგორც ჩანს, არ ესმით ჩვენი – ხმაურისა და მოძრაობის – ეპოქის. მათ მიერ გამოსახული ბატონი სამოქალაქო ტანსაცმელში უძრავად ზის, ან, ასევე უძრავად, დგას, ხელი პიჯაკის მეორე და მესამე ღილებს შუა გაუყრია, ხელში გრაგნილი უკავია და სახეზე ნაკვთიც არ უტოკავს. ჩვეულებრივ ესაა ფსიქიატრიულ კლინიკაში მოთავსებული მძიმე მელანქოლიკი. ადამიანები ქანდაკებების მიმართ სულის სიბრმავით რომ არ ყოფილიყვნენ შეპყრობილი და მაღლა მიმდინარე მოვლენების შემჩნევას ახერხებდნენ, მაშინ გვერდზე ჩავლისას შიში

დაეუფლებოდათ, როგორც საგიუეთის კედლების ხილვისას. კიდევ უფრო შემზარავია სკულპტურები, როდესაც ისინი გენერალს ან პრინცს გამოსახავენ, რომლის ხელშიც დროშა ფრიალებს – ოღონდ ქარი არ ჩანს, ქარი. მახვილი გაშიშვლებულია, თუმცა არავის ეშინია მისი. მბრძანებლურად გაუშვერია ხელი, თუმცა გაყოლას არავინ ფიქრობს. თვით ცხენიც, დაძაბული ნესტოებით ნახტომისთვის შემართული, უკანა ფლოქვებზე რჩება – გაქვავებული გაკვირვება; ადამიანები, ნაცვლად იმისა, რომ გვერდზე გადგნენ და ადგილი მოწიწებით დაუთმონ, მშვიდად იდებენ პირში ძეხვის ბუტერბროდს ან გაზეთს ყიდულობენ. ღმერთმანი, ქანდაკების ფიგურები ნაბიჯს არ დგამენ და მუდმივად დგამენ Faux pas-ს. სასოწარმკვეთია ეს ყველაფერი.

ვფიქრობ, ჩემი მსჯელობა სკულპტურული ფიგურების, მემორიალური დაფებისა და მსგავს მოვლენათა შესახებ ერთგვარ წვლილს შეიტანს მათთან კავშირებული საკითხების ცხადყოფაში. ამიერიდან გამვლელმა, ამან თუ იმან, შესაძლოა, გზაზე შემხვედრი დაინახოს და შეამჩნიოს. მაგრამ გაუგებარი რჩება, მით უფრო, რაც უფრო ხშირად ვფიქრობთ ამაზე – თუკი ყველაფერი მართლაც ასეა, როგორც ვამტკიცებთ, რატომ უდგამენ მაინც ძეგლებს დიდ პიროვნებებს? ეს რაღაც გამორჩეული ბოროტებაა. ვინაიდან ზიანს ვეღარ აყენებენ, რადგან ცოცხლები აღარ არიან, მათ კისერზე დაკიდებული სკულპტურის ქვით დავიწყების ოკეანეში გადაუძახებენ.

ხატვით მეტყველი

როდესაც წლების მანძილზე იძულებული ხარ სამხატვრო გალერეების დარბაზებში იტრიალო, ერთ მშვენიერ დღეს მიდიხარ ახალი ტერმინის – ხატვით მეტყველი – შექმნის აუცილებლობამდე, რომელიც ისეთივე დამოკიდებულებაშია მეორე ტერმინთან, ფერმწერთან, როგორც სიტყვით მეტყველი, მწერალი – პოეტთან. ეს ერთგვარი წესრიგის დამყარების ცდაა ისეთ რთულ, წინააღმდეგობრივ მოვლენებში, რომლებში გარკვევასაც ვცდილობთ. ჩვენი წელთაღრიცხვის შემდგომი ხანის მწერლების ფანტაზია ძირითადად ათი მცნებით და ანტიკური სამყაროს დანატოვარი რამდენიმე იგავით საზრდოობს, ანუ, ძირითადად, მათი ინტერპრეტაციითაა დაკავებული; და დაშვება, რომ ხატვით მეტყველებას ასევე რამდენიმე ძირითადი მხატვრული იდეა ასაზრდოებს, არცთუ შორსაა სინამვილისგან.

ათი, ალბათ, არც ისე ცოტაა. რადგან, თუ ათ იდეას ეფექტიანად გამოვიყენებთ, ანუ, თუ მათ ერთმანეთთან განსხვავებული მიმდევ-

რობით დავაკავშირებთ, სამი მილიონ ექვსას ოცდარვაათასრვაას განსხვავებულ კომბინაციას მივიღებთ, მცირე ცდომილებების გათვალისწინებით, მათგან ყოველი იქნებოდა სხვა და მაინც მსგავსი. მცოდნეს შეუძლია ცხოვრების უკან გადაფურცვლა და დათვლა: ერთი-ორი-სამი-ოთხი-ხუთი ... , ორი-ერთი-სამი-ოთხი-ხუთი ... , სამი-ორი-ერთი-ოთხი-ხუთი ... და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, მცოდნე აღშფოთდებოდა და თავისი საამაყო ღირსებების შებღალვით თავს შეურაცხყოფილად იგრძნობდა.

და ეტყობა, რამდენიმე ათი ათასის შემდეგ ხატვით მეტყველთ ეს ბეზრდებათ და „მიმართულებას" იცვლიან, ხოლო რა არის მიმართულება, გამოჩნდება მაშინვე, როგორც კი ფეხს საგამოფენო დარბაზში შედგამთ. ერთადერთი სურათის შემხედვარემ, ეს შეიძლება ვერ მოახერხოთ; მაგრამ კედლებზე მოფენილი მხატვრული სკოლები, მიმართულებები და ეპოქები ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც ნოხების ქარგულობის ნიმუშები. თუმცა უფრო ბუნდოვანი მათი თეორიული დასაბუთებაა. ამით არ მსურს ვინმეს შეურაცხყოფა; ხატვით მეტყველნი ღირსეულ პროდუქციას ქმნიან, შეუძლიათ ბევრი, და პიროვნულად, ხშირ შემთხვევაში, ინდივიდუალობებსაც წარმოადგენენ. მაგრამ საწარმოო სტატისტიკა ყველაფერს ათანაბრებს.

თუმცა, ამავე დროს, მათი საქმიანობის ნაკლიც უნდა ვახსენოთ და არცთუ მცირე: მათი ნამუშევრები ხომ კედელზე კიდია. წიგნებს ის უპირატესობა აქვთ, რომ ისინი აკინძულია, თან ყდაშია, ხშირად გადაუფურცლავი, ფურცლებგაუჭრელიც. ამიტომაც რჩებიან დიდხანს სახელგანთქმული. ასე თავს მხნედ ინახავენ და დიდებაც ხომ მაშინ იწყება, როდესაც ადამიანმა იცის რაღაც, გაუგია ამის შესახებ, მაგრამ მასში კარგად ვერ ერკვევა. და უპირატესობა აქაც კვლავ ხატვით მეტყველთა მხარესაა – მათ უფრო „ხშირად ეკითხებიან" და მათ შესახებ ბევრს „წერენ", გაცილებით მეტს, ვიდრე მწერლების შესახებ. რომ არა ვაჭრობის შესაძლებლობა თვით ხელოვნებაშიც, რა ძნელი იქნებოდა დადგენა, თუ რომელი სარგებლობს უფრო დიდი მოწონებით! ქრისტემ თავის დროზე ვაჭრები ტაძრიდან გააძევა. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, შესაძლებელი რომ იყოს ჭეშმარიტი რწმენის ფლობა და განკარგვა, მაშინ მისი გაყიდვა და სამკაულად ქცევაც მოხერხდებოდა, იმ სამკაულად, მკერდს მოხდენილად რომ დაამშვენებდა და იქნებოდა ქვეყანაზე რწმენა გაცილებით მეტი, ვიდრე ახლა!

მხატვრობის კიდევ ერთი უპირატესობა მისი ტექნიკაა. წერა ყველას შეუძლია, ხატვაც, ალბათ, თუმცა, მწერლობისგან განსხვავებით, ეს არაა ასე საყოველთაოდ ცნობილი. სხვადასხვა სტილი და

ტექნიკაც კი გამოიგონეს, რათა ეს როგორმე მიეჩქმალათ. ხატო ისე, როგორც ამას აკეთებენ სხვები, ყველას არ შეუძლია; ეს უნდა შეისწავლო. სახალხო სკოლის აღზრდილები, დღეს ასეთი აღიარებით რომ სარგებლობენ და სავსებით სამართლიანადაც, სამხატვრო აკადემიაში მისაღებ გამოცდებზე იჭრებიან; მაგრამ აკადემიკოსიც, ძველი ხელწერა რომ უნდა დაივიწყოს და ახალს ეზიაროს, იძულებულია თავის ჩვევებს საფუძვლიანად გადახედოს და საკუთარი მანერის ნაცვლად ბავშვური ნახატის ხასიათს მოერგოს. ასეა თუ ისე, ისტორიულად მცდარია შეხედულება, თითქოს ოსტატები ქმნიან სკოლას – არა, ბატონებო! მას მოწაფეები ქმნიან!

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, არ არის მართალი, თითქოს ყველას შეუძლია წერა; პირიქით, არავის შეუძლია და მხოლოდ ვინმესთან ერთობლივად ან, უბრალოდ, სესხება-გადაწერა ეხერხებათ. შეუძლებელია დღეს გოეთეს ლექსს მზის სინათლე ეხილა; და რაღაც სასწაულით თვით გოეთეს რომ დაეწერა, იქნებოდა ეს ახალი ლექსი ანაქრონიზმი, მრავალმხრივ საეჭვო, თუნდაც ყოფილიყო მშვენიერი ძველი! არსებობს კი ამ საიდუმლოების სხვაგვარი ახსნა, თუ არა ის, რომ ის არც ერთი თანამედროვე ლექსიდან არ იქნებოდა გადაწერილი, ანუ ისეთიდან, მისგანვე რომ არის გადაწერილი? თანადროულობა ყოველთვის გადაწერას ნიშნავს. ჩვენი წინაპრები პროზას გრძელი, ხვეული კულულებივით მშვენიერი წინადადებებით თხზავდნენ; ჩვენ კი – მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციას ჯერ კიდევ სკოლაში გვაზიარეს – ამას მოკლე წინადადებებით ვახერხებთ, საქმის არსს უცბად რომ გვაცნობს; და ვერავინ შეძლებს თავისი აზრების იმ ფორმის გარეშე გადმოცემას, რომელსაც დროის სამეტყველო სამოსელი ჰქვია. ამიტომ, არავინ იცის, თუ რამდენად მოახერხა მან ნაწერში განზრახვის ხორცშესხმა, რადგან წერისას ადამიანი სიტყვების წნა-გრეხვაში გაცილებით ნაკლებად წარმატებულია, ვიდრე სიტყვები ჩვენი ტვინის ღრძობა-გადაგრეხაში, ამას სულ ადვილად რომ ახერხებენ.

შესაძლოა არც ხატვა შეუძლია ყველას? რა თქმა უნდა, არ შეუძლია ფერმწერს, არ შეუძლია იმ მნიშვნელობით, რასაც გულისხმობს ხატვით მეტყველი. ფერმწერები და პოეტები, მათი თანამედროვეების შეხედულებით, მხოლოდ ისინი არიან, ვისაც არ შეუძლია ის, რაც ხატვით მეტყველთ და მწერლებს ხელეწიფებათ. ამიტომ მიიჩნევენ, საკმაოდ ხშირად, სიტყვით მეტყველნი თავს პოეტებად და ხატვით მეტყველნი – ფერმწერებად. განსხვავება თავს მაშინ იჩენს, როდესაც უკვე გვიანაა. რადგან არსებობს მწერალთა ახალი თაობა, უკვე შემძლე იმისა, რაც ფერმწერსა და პოეტს მხოლოდ შრომით აქვს ნასწავლი.

და სწორედ ამიტომაა, რომ ფერმწერები და პოეტები თითქოს ყოველთვის წარსულს ან მომავალს ეკუთვნიან; მათ, როგორც ამომწყდარ ფენას, ყოველთვის ელიან ან დასტირიან. ოღონდ, როდესაც ვინმეს ასეთად მიიჩნევენ, იგი, როგორც წესი, ის არ არის.

კულტურის საკითხი

შეგიძლიათ თქვათ, რა არის მწერალი?

ამ თემაზე კონკურსის გამოცხადებაც კი შეიძლებოდა, როგორც ეს ერთ დროს ხდებოდა სახელოვნებო თუ ინტელექტუალურ ტურნირებზე, მიძღვნილის კითხვისადმი: „ვინ მოკლა ჰერ შტაინი? (რომანში, რომლის გამოქვეყნებასაც ხვალიდან იწყებს ჩვენი ლიტერატურული დანართი)“ ან: „რა უნდა აკეთოს რომაელმა-სამმა, თუ რომაელი-ერთი ბრიჯის უკანასკნელ კონგრესზე დადგენილი წესების მიხედვით არ თამაშობს?“

თუმცა, არ უნდა ველოდოთ, რომ რომელიმე გაზეთი ამ წინადადებას დაუყოვნებლივ გამოეხმაურება, ან, ეს კიდევაც რომ გაეკეთებინა, ის მას სასიამოვნოს, მიმზიდველს გახდიდა. სულ მცირე, კითხვა: „რომელია თქვენი საყვარელი მწერალი?“ ასევე: „ვის თვლით დღეს საუკეთესო მწერლად?“ და „რომელია წლის (ასევე „თვის“) საუკეთესო წიგნი?“ თავს თითქოს საკუთარი მაპროვოცირებელი მოქმედებით გვთავაზობს.

ამგვარად გებულობს, დროდადრო, ადამიანი, თუ რა სახის მწერლები არსებობენ, და თან, როგორც წესი, ესაა: უდიდესი, მნიშვნელოვანი, ჭეშმარიტი, აღიარებული და ყველაზე პოპულარული. მაგრამ რას წარმოადგენს მწერალი ამ ზედსართავის გარეშე, როდესაც არსება მოკრძალებულად აკეთებს თავის საქმეს, ანუ უბრალოდ მწერალია, და არა „ამა თუ იმ ნაწარმოების ცნობილი ავტორი“, ეს კითხვა, მას შემდეგ, რაც კაცობრიობას თავი ახსოვს, არც კი დასმულა. ცხადია, სამყაროს რცხვენია მათი, თითქოს მათი სახელი რაღაც მიუღებელს, თუნდაც საფოსტო საყვირის ხმის თანაყოლერადს, შეიცავდეს! და მაინც, ალბათ დადგება დრო, როდესაც ადამიანს მყარი წარმოდგენა ექნება იმაზე, თუ რას წარმოადგენს Kaffee Hag-ის ახალი პროდუქცია, ან როლს როისი, ან პლანერი, მაგრამ არ ეცოდინება რა უპასუხოს, როდესაც მოუთმენელი შვილთაშვილი უხუცეს წინაპარს ჰკითხავს: „პაპა, ალბათ შენს დროში ჯერ კიდევ იყვნენ მწერლები. ეს რაღაა?“

ის, ალბათ, ეცდება მოუთხროს, რომ მწერალი ისევე საჭიროა, როგორც ეშმაკი. ადამიანები ხომ ძალზე თავდაჯერებულად ხმარობენ გამოთქმებს: „ფუი ეშმაკს!“ „ეშმაკმა დალახვროს!“ „საცოდავი

ეშმაკი!“ და ბევრ მსგავსს ისე, რომ ამ დროს ამ უკანასკნელზე რეალურად არც არავინ ფიქრობს. ასეთია ენის სტიქია, და გერმანული ენის ფარგლებში არ არსებობს უბედური შემთხვევების დამზღვევი საზოგადოება, თუნდაც ყველაზე პატარა. მაგრამ უარის თქმის ეს საბაბი ადვილად შეიძლება უარვყოთ. რადგან, შესაძლოა, სიტყვა „მწერალს“ ჩვენი ეპოქის სულის ისტორიაში მცირე ადგილი ეკავოს, მაგრამ მომავალი თაობები მის მოულოდნელ კვალს აუცილებლად აღმოაჩენენ ეკონომიკის ისტორიაში! მსჯელობას იმის თაობაზე, თუ რამდენი ადამიანი ირჩენს თავს სიტყვა მწერლის მეშვეობით, არა აქვს დასასრული, თუნდაც ადამიანი იმ უცნაურ ტყუილს, რომ სახელმწიფოს მტკიცებით ის ხელოვნებისა და მეცნიერების აღორძინებისთვის არსებობს, შეგნებულად არ აქცევდეს ყურადღებას. შეიძლება დავიწყოთ ლიტერატურის პროფესორებით და სემინარებით, შემდეგ გადავიდეთ მთელ საუნივერსიტეტო წარმოებაზე: ხაზინადრებზე, უმცროს მეცნიერ--თანამშრომლებზე, მდივნებზე და სხვა, რომელთა რჩენა-შენახვაშიც მიუძღვით წვლილი. ან იწყებენ საგამოცემო საქმით, გადადიან გამომცემლობებზე, მათ თანამშრომლებზე, სავაჭრო აგენტებზე, წიგნით მოვაჭრეებზე, სტამბებზე, ქაღალდის ფაბრიკებსა და მათი აღჭურვილობის მწარმოებელ ქარხნებზე, რკინიგზაზე, ფოსტაზე, საგადასახადო სამსახურზე, გაზეთებზე, სამინისტროების რეფერენტებსა და სამხატვრო ხელმძღვანელებზე: მოკლედ, საკუთარი მოთმინების ფარგლებში ადამიანს შეუძლია დღის განმავლობაში მთელი სიგრძე-სიგანით წარმოიდგინოს ეს ურთიერთკავშირები და ურთიერთდამოკიდებულებები, მაგრამ უცვლელი დარჩებოდა ის, რომ ათასობით ადამიანი ხან ავად, ხან კარგად, ხან მთლიანად, ხან ნაწილობრივ, მწერლის არსებობით ირჩენს თავს: თუმცა არავინ უწყის რაა მწერალი, არავის შეუძლია ამტკიცოს, რომ უნახავს ის, და ყველა კონკურსი, ჰონორარისა და პატივცემული ადამიანების მიღება, ვერ გარწმუნებს, რომ მას სადმე ცოცხალს გადაეყრები.

მე ვვარაუდობ, რომ დედამიწაზე დღეს მწერალთა მოდგმიდან ალბათ დუჟინიღაა შემორჩენილი. თუმცა, გაუგებარია შეუძლიათ თუ არა მათ ამ საქმიანობით თავის რჩენა: ერთნი, ალბათ, ახერხებენ, მეორენი – ვერა: ეს ყველაფერი ბურუსითაა მოცული. მსგავსი ურთიერთობების მოშველიებით შეიძლება ითქვას, რომ უამრავი ადამიანი ცხოვრობს იმით, რომ არსებობენ ქათმები და თევზები; მაგრამ თევზები და ქათმები, სწორედ ამ გარემოებიდან გამომდინარე, კი არ ცხოვრობენ, არამედ იხოცებიან. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი თევზები და ქათმები ერთხანს ცხოვრობენ, და უდარდელადაც, რის საფასურსაც შემდეგ საკუთარი სიცოცხლით იხდიან: მაგრამ ეს შედარება

მაინც უადგილოა, რადგან ამ არსებების შესახებ ვიცით, თუ რას წარმოადგენენ ისინი, რომ ისინი ნამდვილად არსებობენ და არც თევზებისა თუ ქათმების მოშენებას ექმნება საფრთხე, მაშინ როცა მწერალი, ცხადია, დამაბრკოლებელი გარემოებაა შემოქმედებაზე დაფუძნებულ საქმიანობაში. ფულის, ილბლისა და წარმატებისას მას არცთუ სერიოზულად აღიქვამენ, მაგრამ საკმარისია ეს ყველაფერი არც ჰქონდეს და მათ გარეშე პრეტენზია პირმშოობის უფლებაზე განაცხადოს, მას, სადაც უნდა წავიდეს, მხოლოდ მოჩვენების უფლებებით სარგებლობა მოუწევს, რომელსაც იმ სესხის შეხსენების ჭირვეული იდეა სწვევია, ჩვენი წინაპრებისთვის იმედი თუ გარანტია ძველი ბერძნების დროს რომ მიუციათ. ორიოდე იდეალისტური ფიცის შემდეგ მას გამომცემლობებში ჰკითხავენ, შეუძლია თუ არა ისეთი ნაწარმოების შექმნა, რომლის, სულ მცირე, გაიყიდებოდა ოცდაათი ათასი ეგზემპლიარი; რედაქციებში კი პატარა ისტორიების შეთხზვას შესთავაზებდნენ, რომლებსაც, ბუნებრივია, ფინანსური პრობლემების გამო გაზეთში გადააგზავნიდნენ. მას კი უნდა ეპასუხა, რომ ამის არაფერი გაეგება; და ასევე შეიძლება სამართლიანი უკმაყოფილება გამოეწვია პიესებით მომარაგების სააგენტოში, წიგნის საზოგადოების მმართველობაში ან კულტურის სხვა გაერთიანებებში. მას ყველგან სიკეთეს უსურვებენ, და რადგან ის არც ანშლაგის, არც გასართობი რომანების და არც ხმოვანი ფილმების შექმნის პერსპექტივას უკავშირდება, ადამიანს უჩნდება ბუნდოვანი შეგრძნება – როდესაც ყველაფერს, რაც მას არ შეუძლია, უყრის თავს, – რომ ის რაღაც უჩვეულო ნიჭითაა დაჯილდოებული. სწორედ ამიტომაც არ შეუძლიათ მისი დახმარება, და უნდა იყო არაკაცი რომ ამის გამო მასზე არ გაწყრე, და მისგან მალე განთავისუფლება არ ისურვო.

როდესაც ერთხელ ასეთმა მოჩვენებამ, მწყურვალმა და დამაშვრალმა, შემოსავლის ძიებაში ბერლინს მიაშურა, ერთ ახალგაზრდა კოლეგას, მოქნილსა თუ გაქნილს, რომელიც კარგად ფლობდა ფულის შოვნის ხელოვნებას, და ჰქონდა შეგრძნება, რომ ეს მას მძიმე შრომად უჯდებოდა, გაოგნებულსა და შეძრწუნებულმს, აღმოხდა: ღმერთო დიდებულო, მე რომ ამ სახედრის ოდენა ნიჭი მქონოდა, რას არ შევძლებდი! ის ცდებოდა.

ჭეშმარიტ პოეტთა და მოაზროვნეთა შორის

მიჩნეულია, რომ დღეს წიგნებმა დაკარგა სიდიადე და თვით მწერლებსაც აღარ შეუძლიათ რაღაც დიდისა და მნიშვნელოვნის შექმნა. ეს შეიძლება არც იყოს სადავო; მაგრამ მოდით ვსინჯოთ, ეს

აზრი შევატრიალოთ და შევჩერდეთ დაშვებაზე – იქნებ გერმანელ მკითხველს აღარ შეუძლია კითხვა? და განა წაკითხულის რაოდენობის ზრდასთან ერთად, თუ ეს მართლაც პოეტური ნაწარმოებია, არ იზრდება, თანაც მზარდი პროცენტული მაჩვენებლით, ჯერაც აუხსნელი წინააღმდეგობა, რაც სხვა არაფერია, თუ არა არაკეთილგანწყობა და მიუღებლობა? თითქოს ჭიშკარი, რომელშიც წიგნმა უნდა გაიაროს, რაღაც არაჯანსაღი გზნებით შეპყრობილი, მჭიდროდ იკეტებოდეს. კითხვისას არაბუნებრივ მდგომარეობაში თავს ბევრი ადამიანი გრძნობს – თითქოს ოპერაციას გიკეთებდნენ, რომლის მიმართაც ნდობა არ გაქვს არავითარი.

იკვლევს კაცი წყაროებს, ისმენს საუბრებს და რწმუნდება, რომ მკითხველი – კარგი მკითხველი – უკლებლივ ყველა მნიშვნელოვანი წიგნის წამკითხველი და დღევანდელობისა და საუკუნის გენიის დამდგენი! – სწორედ ეს მკითხველი, თუკი ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდება, მზად არის ფლიდურად, მოღალატურად აღიაროს, რომ მისი რჩეული გენიოსი, შესაძლოა, არც არის ასეთი და რომ დღეს ჭეშმარიტი გენია საერთოდ არ არსებობს. და ეს გამოცდილება მხოლოდ სიტყვაკაზმული ლიტერატურით სულაც არ იზღუდება. გზას ასცდენია მედიცინაც, ჩიხში შესულა მათემატიკა, ფილოსოფიას დაუკარგავს თავისი საქმიანობის მიზანი: ყველგან, ყველა კუთხე-კუნჭულში ასე განსჯის დილეტანტი პროფესიონალს. და ეს უკანასკნელიც ბევრ სფეროში დილეტანტის დონეზე რჩება, შედეგად, ვღებულობთ მცდარ მოსაზრებათა დიდ ჯამს.

ძნელია თანამედროვე პოეტთა, მოაზროვნეთა და მკვლევართა რანგის სანტიმეტრების სიზუსტით განსაზღვრა, თუ რამდენად დიდია თითოეული მათგანი; და სწორედ იმიტომ არაა ეს აქტუალური, რომ მაშინვე ირკვევა – თავისი სტრუქტურით ის ცნობილ საბავშვო თამაშს „შავ პეტერს“ მოგვაგონებს. პოეტებისთვის არა საკუთარი თავი, არამედ მკვლევარნი, მოაზროვნენი, ინჟინრები და სხვა მანათობელი შუქურები არიან ნაკლული. ზუსტად ასევეა ამ უკანასკნელთა შემთხვევაშიც. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს კულტურული პესიმიზმი, ყოველ ჩვენგანს რომ თრგუნავს, „სხვათა გაანგარიშებას“ ეფუძნება; მშრალად რომ განვაზოგადოთ: კულტურის მომხმარებლის კულტურის მწარმოებლით უკმაყოფილება რაღაც ვერაგული გაბოროტების სახეს იღებს.

ეს უცნაურად ეხამება საპირისპირო მოვლენას; რადგან ჩივილზე არანაკლებად ხშირად, რომ აღარ არსებობენ ჭეშმარიტი გენიოსები, ვცდილობთ თავის დაჯერებას, რომ გენია მართლაც არსებობს. როცა ფურცლავ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს და იქ გამოქვეყნებულ

კრიტიკულ სტატიებსა და ინფორმაციას ეცნობი, გაოცდები, რამდენი გამაოგნებელი სულიერების მღაღადებელი, უდიდესი, ღრმა დიდოსტატი გამოჩენილა სულ რამდენიმე თვის მანძილზე; და რა ხშირად ჩუქნის ერს დროის ეს ხანმოკლე მონაკვეთი „როგორც იქნა, ნამდვილ, ჭეშმარიტ პოეტს“; და რა ხშირად იწერება ბოლო ათწლეულის შედეგრები – უმშვენიერესი ისტორია ცხოველებზე ან საუკეთესო რომანი, მაშინ, როცა რამდენიმე კვირის შემდეგ ამ დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს ძნელად თუ ვინმე გაიხსენებს.

ამასვე უკავშირდება მეორე დაკვირვება, რომ ამგვარი მოსაზრებებისა თუ დასკვნების კვალს ერთმანეთისგან ჰერმეტულად გამიჯნულ წრეებამდე, მათთან მჭიდროდ დაკავშირებულ გამომცემლობებამდე, ავტორებამდე, კრიტიკოსებამდე, გაზეთებამდე, ჟურნალებამდე, მკითხველებსა და წარმატებებამდე მივყავართ, რომლებსაც, გარემოს მიმართ ყრუთ, მხოლოდ ერთმანეთის მოიმედეთ, თავის წრეში ჩაკეტვის გარდა აღარაფერი დარჩენიათ; და ყველა ამ პატარა თუ დიდ წრეს, რომელთა სიდიდე მიკერძოებული გულშემატკივრებისა თუ არანაკლებ მიკერძოებული პოლიტიკური პარტიისას შეესატყვისება, ჰყავს თავისი გენია ან თუნდაც მისი არავინ, პრედიკატით არის-ხომ-მაინც-აქ – ჩვენთან. და, რაღა თქმა უნდა, წარმატებული პიროვნების ირგვლივ ყალიბდება წრე, ერთი მრავალთაგანი, თუმცა ამან არ უნდა შეგვაცდინოს, რომ, თითქოს ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი აუღიარებელი არ რჩებოდეს ან ერი მოიძებნებოდეს, მას რომ მიიღებს და დააფასებს. სინამდვილეში, ბევრთა გამაერთიანებელი წარმატების მშობლები მოქიშპე არსებები არიან: ის კი არ იწვევს აღფრთოვანებას, ყველას რაღაცას რომ მოუთხრობს ან ამცნობს, არამედ უპირატესად ის, ყოველ ჩვენგანს რაღაც თავისას რომ უტოვებს – მისი ნების განხორციელების, თვითგამოხატვის საშუალებას. და რადგან დიდება განსხვავებულ ელემენტთა ერთგვარი ნაზავია, სახელოვანი ადამიანები სხვა არაფერია, თუ არა ჭრელი საზოგადოება.

თუკი ჩვენ მხოლოდ ბელეტრისტიკით არ შემოვიფარგლებით, მათი ჯგუფური სურათი გამაოგნებელ მასშტაბებს მიაღწევს. რადგან არაფრად ჩანს წრე, გაერთიანება, სკოლა ან რომელიმე მათგანის გარშემო განვრცობილი წარმატება ურიცხვ სექტებთან შედარებით, სულის განწმენდას ალუბლის ჭამას რომ უკავშირებენ, ან იგივეს უძველესი, ტრიალი მინდვრის მოსახლეთა თეატრის, მუსიკალური ტანვარჯიშის, ევბიოტიკის ან სხვა ათასგვარ იშვიათობათაგან რომ ელიან. კაცი ვერ ჩამოთვლის, რამდენი ასეთი რომია ქვეყანაზე, ყველა მათგანი თავისი პაპით, რომელთა სახელებიც თანამოაზრისა და ერთმორწმუნის გარდა არავის არაფერს ეუბნება, მაგრამ რომელთა-

გან სამყაროს ხსნას ელიან. მთელი გერმანია სავსეა ასეთი სათვისტომოებით: და ამ დიდი გერმანიიდან, სადაც ცნობილი მკვლევარი თავს მასწავლებლობით, გამორჩეული პოეტი კი სტატიების ხელზე ვაჭრობით თუ ირჩენს, გერმანიის ამ ჭკუასუსტ ნეტართაგან მოედინება მატერიალური საშუალებანი, თანაგრძნობა და თანამონაწილეობა მათივე აკვიატებული აზრების განვრცობის – წიგნების ბეჭდვისა და გაზეთების გამოცემის საქმეში. სწორედ ამიტომ, გერმანიაში, მიუხედავად მისი სიღატაკისა, ყოველწლიურად ათასზე მეტი გაზეთი და ოცდაათი ათასზე მეტი წიგნი ჩნდება, რაც საყოველთაოდ სულიერების მეტყველ საბუთად ითვლება.

სამწუხაროდ, დიდი ალბათობით შეგვიძლია დავუშვათ, რომ ესაა საზოგადოების სულიერი მდგომარეობის, „ურთიერთობის სურვილით რომ აბოდებს", და ამ აკვიატებული აზრის სულ უფრო ულმობელი განვრცობის ტენდენციის დაგვიანებით შემჩნეული ნიშანი; ამ სენით შეპყრობილი, მთელ ქვეყანას მოდებული ათასობით პატარა ჯგუფი ცდილობს თავისი უსაფრთხოება რამე მყარ იდეაზე დააფუძნოს, და აღარ უნდა გვიკვირდეს, რომ, თანდათან, ნამდვილი პარანოიკი დილეტანტებთან კონკურენციაში მარცხდება.

ხელოვნების იუბილე

> „გაცილებით ადვილია იმის წინასწარმეტყველება, თუ რით დაკავდება სამყარო ასი წლის შემდეგ, ვიდრე იმის თქმა, თუ რას დაწერენ იმავე ასი წლის თავზე. რატომ? სრული პასუხი ვერ იქნება სადღეგრძელოს შესაფერი."
>
> *ნაწყვეტი დაუმთავრებელი წიგნიდან, რომელიც ამ კითხვაზე უფრო სერიოზულ პასუხს გაგვცემს.*

როდესაც ვინმე, როგორც ეს ხშირად ხდება, თეატრალურ პიესას ან რომანს კვლავაც გადაეყრება – ოცი წლის წინ მისი სული, სხვა სულებთან ერთად ასე რომ მოხიბლა და გაიტაცა – უცნაური განცდა ეუფლება, ჯერჯერობით აუხსნელი, ალბათ იმიტომ, რომ ყოველი ჩვენგანი მას ბუნებრივად მიიჩნევს: ბრწყინვალება გამქრალია, მნიშვნელობა დაკარგული, ხოლო შეხებისას – განიბნევა მტვრად და ჩრჩილად. მაგრამ რატომ დგება ეს სიბერე, და ამ დროს რა იცვლება, არავინ უწყის. ყველა იუბილეს კომიკურობა იმაშია, რომ ძველი თაყვანისმცემლები ისეთ საზეიმოდ აღელვებულ სახეებს იღებენ, თითქოს მკერდზე პერანგის საყელოს სამაგრი ჩასრიალებოდეთ.

ეს არ ჰგავს ძველ შეყვარებულთან შეხვედრას, რომელიც გარწმუნებს, რომ წლებთან ერთად მისი სალამაზე გაცრეცილა, გახუნებ-

ულა. რადგან, აღარ გესმის იმის, რასაც, ერთ დროს, მღელვარებისგან ძლივს ამოთქვამდი, თუმცა ეს, თუნდაც, ყოველივე მიწიერის, ამქვეყნიურის გულის ამაჩუყებელ წარმავალობასა და სიყვარულის არამყარ ბუნებას უკავშირდება. მაგრამ ქმნილება, რომელსაც კვლავ ხვდები, ოცი წლის მანძილზე სპირტში შენახულ სიჭაბუკის ტრფობას მოგვაგონებს, რომელსაც არც თმის ღერი შესცვლია და არც ვარდისფერი ეპიდერმისის უთხელესი ფენა. და გიპყრობს ცახცახი! ახლა შენ კვლავ იმად ქცეულხარ, რაც იყავი – იერი ამოზრდილი საკუთარ იერზე: ესაა დაჭიმვით წამება, როდესაც ტერფები ადგილზე რჩება, ხოლო დანარჩენ სხეულს ციბრუტივით მბრუნავი დედამიწა ატრიალებს და თავის ღერძს ათასჯერ შემოახვევს!

ხელოვნების ნიმუშით ერთ დროს მონიჭებული გრძნობების ხელმეორედ განცდა სხვაა, და სხვაა ადრინდელ მღელვარებათა და შთაგონებათა ორეულებთან შეხვედრა: მტრები, მეგობრები, ხმაურიან კამათში გათენებული ღამეები, მძაფრი ვნებანი, ხანგრძლივი დროის შემდეგ ეს ყველაფერი, გამომწვევ მიზეზებთან ერთად, დავიწყების მორევში იძირება; მათ შეასრულეს თავიანთი მიზანი და მისიის ამ აღსრულებამ შთანთქა მათი ძალა და ენერგია, და ისინიც, სრულად გამოფიტულები, ჩვენი თვალთახედვიდან გაქრნენ; ეს იყო ცხოვრების მონაკვეთი პიროვნების განვითარებაში, ან თუნდაც საფეხური. მაგრამ წარსული ხელოვნება ვერაფრის სამსახურში ვერ იქნება, მისმა არსებობამ ჩაიარა, აორთქლდა, და ვერავის საფეხურად იქცა. ოღონდ, თავს მართლა უფრო მაღალ საფეხურზე შეიგრძნობს ადამიანი, როდესაც ერთ დროს თავისი თაყვანისცემის საგანს ახლა ზევიდან დაჰყურებს? ადამიანი არა ზევით, არამედ სადღაც სხვაგანაა! დიახ, გულახდილი თუ ვიქნებით, როდესაც ძველი სურათის წინ მდგარი ადამიანი ცუდად შეკავებული, სასიამოვნო მთქნარებით აღფრთოვანების საჭიროების არარსებობას აცნობიერებს, ახლით აღფრთოვანების აუცილებლობით ის კიდევ დიდხანს იქნება უკმაყოფილო. უბრალოდ, ადამიანი თავს ერთი დროებითი იძულებიდან მხოლოდ მის მომიჯნავეში მოხვედრილად აღიქვამს, რაც მისი ნების თავისუფალ და ძალზე აქტიურ გამოხატვას არ გამორიცხავს; ნების თავისუფალი და არათავისუფალი გამოვლინება არ წარმოადგენს საპირისპირო საწყისებს, ისინი ერთმანეთს ისე ერევა, რომ ბოლოს და ბოლოს თავისუფალი ნება არათავისუფალს ჯაბნის ან პირიქით, რაც ცხოვრებაში არცთუ იშვიათია.

და მაინც, არის რაღაც უცნაური ამ სხვაგან ყოფნისას კიდევ სადღაც ყოფნაში. და ისეა, თუ ჩვენი შეგრძნებები არ გვატყუებს, თითქოს თავს მოდასთან შეზრდილად აცნობიერებ. ამას კი ის მოჰყვება, რომ ადამიანი, ყველაფერთან ერთად, ამ უკანასკნელს,

ყავლის გასვლისას, სასაცილოდ მიიჩნევს, და ისიც, რომ ძნელად წარმოუდგენია ამ ხნის განმავლობაში მიკერძოების გარეშე სერიოზულად აღიქვას ადამიანის შეხედულებები, თუ ის მის სასაცილო ჩაცმულობას ზუსტად, ყველა ნაკვთში არ იმეორებს. არ ვიცი, ანტიკური ფილოსოფიით ჩვენი საყოველთაო აღფრთოვანებისას, ახალგაზრდა ფილოსოფოსს თვითმკვლელობისგან რა დააზღვევდა, თუ არა ის გარემოება, რომ პლატონი და არისტოტელე შარვალს არ ატარებდნენ; შარვალმა, გაცილებით მეტად, ვიდრე ფიქრობენ, შეიტანა წვლილი ევროპის სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბებაში, რომელიც მის გარეშე თავისი კლასიკურ-ჰუმანისტური არასრულფასოვნების კომპლექსებისგან ალბათ ვერასოდეს განთავისუფლდებოდა. ესაა ჩვენი ეპოქის, ჩვენი თვითმყოფადობის ნებისმიერი სხვა კულტურისგან განსხვავებულობის სიღრმისეული განცდა, იმ კულტურისგან, რომელიც თანამედროვე ტანსაცმელს არ მოიხმარს. ალბათ ამიტომაც გვაქვს ხელოვნებაშიც ყოველ ახალ წელთან ერთად წინსვლის, პროგრესის განცდა; თუმცა, შესაძლოა, სურათების გამოფენის ახალი მოდის ნიმუშების ჩვენებასთან წლის დასაწყისსა და შემოდგომაზე დამთხვევა მხოლოდ შემთხვევითია. პროგრესის ეს შეგრძნება არცთუ სასიამოვნოა და იმ სიზმარს გვაგონებს, რომელშიც მხედარი ცხენიდან ჩამოსვლას ვერ ახერხებს, რადგან ის წამითაც არ ანელებს სვლას. პროგრესით კმაყოფილება შესაძლებელი იქნებოდა, მას დასასრული რომ ჰქონოდა. ადამიანს უჩნდება სურვილი წამით შეჩერდეს და ცხენზე ამხედრებულმა წარსულს მიმართოს: აი, სად ვარ, შემომხედე! მაგრამ პროგრესი აგრძელებს თავის შემზარავ სრბოლას და როდესაც ადამიანი ამ პროცესში ჩაერთვება, თავს საცოდავად და განწირულად გრძნობს, რადგან სტომაქს ქვევიდან შემობჯენილი ოთხი ფეხი მას ულმობლად წინ მიაქანებს.

მაშ, რა დასკვნები უნდა ვაკეთოთ იქიდან, რომ ძველმოდურის ცქერა, ვიდრე ის კოსტიუმად არ ქცეულა, ისევე სასაცილო და უსიამოვნოა, როგორიც სიძველით დაღდასმული სურათების თუ სახლის ფასადების ხილვა, ან გუშინდელი წიგნების კითხვა? ცხადია, არავითარი, გარდა იმისა, რომ ჩვენთვის უსიამოვნოა საკუთარი მეს მიმართ გარკვეული დისტანციის გაჩენა. შიშის ეს მონაკვეთი სათავეს ჩვენში დღევანდლიდან რამდენიმე წლით ადრე იღებს და თითქმის წინაპრებამდე აღწევს, ანუ იქამდე, საიდანაც იწყება მოვლენებისგან ჩვენი სრული გარიყულობა. ხოლო მის მიღმა არსებული არა მარტო მოძველებულია, არამედ ძველიც, ესაა ჩვენი წარსული, ჩვენი ცხოვრების ნაწილი, რაც უკვე აღარ არის ჩვენი და რაც წარსულში დარჩა. ხოლო ჩვენი ნამოქმედარი და ის, რაც ვართ, თითქმის მთლიანად თავსდება შიშის ამ მონაკვეთზე. მართლაც აუტა-

ნელი იქნებოდა, ყველაფერ იმას რომ გვახსენებდნენ, რასაც ჩვენ ერთ დროს არსებითად მივიჩნევდით, და ადამიანთა უმეტესობას, უკვე ხანდაზმულ ასაკში, კინოფირზე აღბეჭდილი ყველაზე მნიშვნელოვანი ჟესტებისა თუ ხალხში გამოჩენის ყურებისას, ეს ნაკლებად მიმზიდველად ეჩვენებათ. და როგორ უნდა ავხსნათ ეს? ცხადია ამქვეყნიურში არის რაღაც უკიდურესობა და გაზვიადება. თვით სილის განნის კომპენსაციისას ადამიანს გაცილებით მეტი სჭირდება, ვიდრე რეალურად შეუძლია მიუზღას. წუთიერი ენთუზიაზმი ცხრება, და შემდეგ, როგორც უსარგებლო და ზედმეტი, დავიწყებით შთანთქმული, მის სიღრმეებში იძირება. ესაა ძალზე შემოქმედებითი და შინაარსიანი საქმიანობა, ჩვენს ჩამოყალიბებას რომ უდებს სათავეს, და შემდგომში მისი, როგორც უშუალო, მიუკერძოებელი, სასიამოვნო და თანამიმდევრული პიროვნების განახლებას უწყობს ხელს, რის გამოც სამყაროში ყველაფერს სამართლიანად აღვიქვამთ.

და სწორედ ამაში გვიშლის ხელს ხელოვნება. მისგან არაფერი მომდინარეობს ისეთი, ენთუზიაზმის გარეშე დიდხანს რომ იარსებებდა. ის, ასე ვთქვათ, შიშველი ენთუზიაზმია, უძვლო და უფერფლო, იმდენად წმინდა, რომ ვერაფრად დაიფერფლება და მაინც რჩება, მოქცეული ჩარჩოებში ან წიგნის ყდებში, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ის არასდროს გახდება ჩვენი წარსული და ყოველთვის დარჩება იმად, რაც შეგვემთხვა, რაც განვიცადეთ. და გასაგებია, რომ ჩვენ მას მთელი ათი თუ ოცდახუთი წელი დათრგუნული ვუმზერთ!

გამონაკლისი მხოლოდ დიდი ხელოვნებაა, რა თქმა უნდა ის, და, თუ მკაცრად განვსჯით, მხოლოდ ის უნდა იწოდებოდეს ხელოვნებად, თუმცა, ალბათ, ცოცხალთა საზოგადოებას არც არასდროს ეკუთვნოდა.

პრიზმული ბინოკლი

მაღალი სიხშირის კინოგადაღება წყლის მოძრავი ზედაპირის სიღრმეში მიემართება, რომლის ჯადოქრობითაც მაყურებელი იქ, ცოცხალ არსებებს შორის დაცურავს, თან თვალხილულად. კინომ ეს ყველაფერი – ერთგვარად კინომდეც განცდილი – უბრალოდ პოპულარული გახადა; და თავს, მისი მოხერხებულობის გამო, ის დღესაც გვთავაზობს, თუმცა სულ სხვა დანიშნულებით: ანუ, როდესაც ადამიანი ტელესკოპით ისეთ რაღაცას აკვირდება, რასაც ჩვეულებრივ გამადიდებელი ლინზებით არ უყურებენ. შემდგომში ერთ ასეთ ცდაზე მოგითხრობთ.

დასაწყისისთვის დაკვირვების საგანი ერთი ძველი, ლამაზი სახ-

ლის კარზე დამაგრებული წარწერა გახლდათ, რომელიც მოპირდაპირე მხარეს მდებარე ცნობილ სახელმწიფო ინსტიტუტს იფარებდა; ის პრიზმული ბინოკლით შეიარაღებულს აუწყებდა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტი მუშაობდა ცხრიდან თექვსმეტ საათამდე. სწორედ ამან გააკვირვა დამკვირვებელი; რადგან იყო თხუთმეტი საათი, და არათუ არსად არავინ ჩანდა, არამედ ვერც ის გაიხსენა, რომ ამ დროისთვის შეუიარაღებელი თვალით იქ ვინმესთვის მოეკრა თვალი. ბოლოს, ერთი შორეული ფანჯრის მიღმა ორი ძალზე პატარა, ერთმანეთთან ახლოს მდგომი მამაკაცი აღმოაჩინა. ისინი ქუჩაში იყურებოდნენ, თან თითებს ფანჯრის მინაზე გახშირებით უკაკუნებდნენ. მაგრამ, არა მარტო აღმოაჩინა, არამედ პატარა ინსტრუმენტის თვალთახედვის წრეში მოქცეულებში ისიც გაარჩია, თუ როგორ იდგნენ, კარგად გაიგო მათი მდგომარეობა და სიამაყით დაასკვნა, რა სასარგებლო შეიძლება გამხდარიყო თანამშრომლებისთვის ბინოკლი და, საერთოდ, იმ მამაკაცებისთვის, მთელი სამუშაო დღის მანძილზე ბიუროში ყურყუტი რომ უწევთ.

შემდეგ დადგა საკუთრივ სახლის ჯერი, რომელშიც დაკვირვების ობიექტები იმყოფებოდნენ. ეს იყო ძველი სასახლე, ხილის გირლანდებით ქვის სვეტების კაპიტელზე და კოხტად მოწესრიგებული სივრცით, როგორც სიღრმეში, ასევე სიმაღლეში. მოსამსახურეების ძებნით დაკავებული დამკვირვებლის ყურადღება იმან მიიქცია, თუ რა მკაფიოდ განთავსდა ბინოკლში მოქცეულ სივრცეში ეს ყველაფერი: სვეტები, ფანჯრები და ლავგარდანი; ახლა, როდესაც ის ამ ყველაფერს ერთიანად აღიქვამდა, თითქმის შეაშინა პერსპექტივის სიზუსტემ, დამკვირვებლამდე ქვაში გამოკვეთილის რელიეფურობით რომ აღწევდა. და მოულოდნელად გააცნობიერა, რომ ამ მართობულ, აქამდე უკანა პლანის ერთ პუნქტში თავმოყრილ, და რაც უფრო გვერდულად დანახულ, მით უფრო ტრაპეციისებურ, შემჭიდროებულ-დაჭირხნულ ფანჯრებს, რაციონალურ, ტრადიციულ ზღვართა მთელი ამ ციცაბო ვარდნების თავმოყრას, სადღაც გვერდულად, თან უკან განლაგებული რაკურსის ჭრილში, უფრო რენესანსის კოშმარად შეიგრძნოდა: ხაზთა გაქრობის შემზარავ ფერწერულ საგად, გადაჭარბებულად, მითქმა-მოთქმის მსგავსად, თუმცა შესაძლოა იყო მათში რაღაც მართებულიც. ახლა მის პროპორციებს გაზვიადებულად აღიქვამდა და თვით ყველაზე დაუჯერებელ მოარულ ხმებზე მეტადაც.

ვისაც არ სჯერა, რომ ასეთია სამყარო, მან სასახლის წინ, ტრამვაის ბინოკლში გახედოს, იქ, სადაც მას ლათინური შ-ს გაკეთება უწევდა. თავის მესამე სართულზე ჩვენი დამკვირვებელი უთვალავჯერ გახდა იმის მოწმე, თუ როგორ მოემართებოდა ის აქეთ,

მისკენ, აკეთებდა თავის ზიგზაგს, და გზას აგრძელებდა – მოგრძო, წითელი ვაგონი, ერთი და იგივე მოძრაობის ყველა მონაკვეთში. მაგრამ ბინოკლში ყურებისას მან რაღაც სრულიად განსხვავებული შენიშნა: გაუგებარი ძალა ამ ყუთს მუყაოს კოლოფივით ჭირხნიდა და აბრტყელებდა, სიახლოვისკენ ამ სწრაფვაში მისი კედლები დიაგონალზე ერთმანეთს ეხეთქებოდა, თითქოს ერთ სიბრტყედ ქცევა სურდათ; მაგრამ შესუსტდებოდა თუ არა ძალა, ის უკვე გაფართოებას იწყებდა, მის ყველა სიბრტყეს კვლავ მოძრაობა მსჭვალავდა და, როდესაც გაოგნებული მოწმე შეკავებულ სუნთქვას კვლავ ნებაზე მიუშვებდა, ამ ძველ ნაცნობ, წითელ ყუთს ჩვეული იერი უბრუნდებოდა. ბინოკლით ყურებისას საზოგადო საკუთრების ამ საგნის თავს, ცხადია, ყველაფერი სწორედ ასე ხდებოდა, და ეს არ იყო მისი პიროვნული აღქმის თავსებურება, კიდეც დაიფიცებდა, რომ ეს არანაკლებ რეალური იყო, ვიდრე მარაოს გახსნა და დაკეცვა. ვისაც ამის არ სჯერა, შეუძლია თვითონ სინჯოს. საამისოდ საჭიროა მხოლოდ ტრამვაის აღნიშნული ზიგზაგის ახლოს მდებარე სახლი.

ამგვარი აღმოჩენის შემდეგ აღმომჩენმა მზერა იმწამსვე ქალებს მიაპყრო და მის წინ ადამიანის გუმბათოვანი აგებულების მთელი ურყევი სიმტკიცე გადაიშალა. რაც ქალში სიმრგვალეა და მაშინდელი მოდის ნებით დღევანდელზე მეტად შენიღბული, მოძრაობის ბავშვური დინების უშუალობაში მცირე რიტმულ უთანასწორობად რომ მოჩანდა, ბინოკლის პირუთვნელ მზერაში კვლავ უსადავეს ბორცვებად წარმოჩინდა, რისგანაც შედგება სიყვარულის მარადიული ლანდშაფტი. მის ირგვლივ ყოველი მომდევნო ნაბიჯით აღგზნებული, მოშრიალე-მოჩურჩულე ტანსაცმლის მოულოდნელად მრავალრიცხოვანი ნაოჭები მოულოდნელად იხსნებოდა და იკეცებოდა. ჩვეულებრივ მზერას ისინი მათი მატარებლის უმწიკვლო იერს ან მკერავის ქებას აუწყებდნენ და შეპარვით ყოველივე შენიღბულზეც მიუთითებდნენ; ხოლო გადიდებული ისინი უკვე განხორციელების იმპულსები ხდებოდნენ, გამადიდებელ ლინზაში დანახული ქალი კი ფსიქოლოგიურად მიყურადებულ სუსანად იქცეოდა სხეულზე შემოტმასნილი ტანსაცმლის ამ ტალღებად მიმოქცევაში. საკვირველი იყო, თუ, ბინოკლის მტკიცე და აშკარად ბოროტად მშვიდი მზერისას, რა მალე გაცამტვერდა და აორთქლდა ეს ყოვლისმცოდნე ცნობისმოყვარეობა და მარადიულ, უცვლელ ღირებულებებს შორის, რომლებიც ფსიქოლოგიას არც საჭიროებენ, მხოლოდ ნათებად და ციმციმად გამოირჩა.

მაგრამ კმარა! ამ მსოფლმხედველობითი ინსტრუმენტის ორაზროვანი გამოყენების ბოროტების წინააღმდეგ საუკეთესო გამოსავალი თეორიის გახსენებაა, და მას იზოლირება ჰქვია. ადამიანი საგნებს

თანმხლებ გარემოცვაში აღიქვამს და ჩვეულებრივ იმად მიიჩნევს, რადაც ამ გარემოცვაში გვევლინება, მათ გარეშე კი ისეთივე უაზრო და შემზარავია, როგორც სამყაროს შექმნის პირველ დღეს, ვიდრე მოვლენები ერთმანეთს გაუგებდნენ, შეეწყობოდნენ და შემდეგ ჩვენც ამ გარემოებებს მოვერგებოდით. ამდენად, საგნების მინის გამჭვირვალობის გამიჯნულობასა და სიმარტოვეში ყველაფერი უფრო დიდია და მკაფიო, მაგრამ, უპირველესად ყოვლისა, უფრო პირველყოფილი და დემონური. ქუდი, რომელიც მამაკაცურ ხატს დახვეწილი მანერების ტრადიციებში ამკობს და ამშვენებს, ერთ დროს მამაკაცთან, როგორც საზოგადოებისა და ძალის სიმბოლოსთან, მთლიანად შერწყმული, სრულიად ნერვული ხატი, სხეულის, მეტიც, თვით სულის ნაწილიც, წამიერად ერთგვარ სიგიჟის მაგვარ მოვლენად გადაგვარდება, როდესაც ბინოკლი გარე სამყაროსთან მის რომანტიკული ურთიერთობის სილამაზეს ჭეშმარიტი ოპტიკური ეფექტით ჩაანაცვლებს. ლინზა ქალის მიმზიდველობას ლახვარს სცემს, როგორც კი კაბის კიდიდან ზევით მიაშურებს და მთელ ამ სივრცეს ტომარაში გამომწყვდეულად აღბეჭდავს, ორ ხის პროტეზს რომ უდებს სათავეს. და როგორი შიშის მომგვრელი ხდება თავაზიანი ღიმილისას კბილების გაელვება და ჩვილივით უმწეო, კომიკური – მრისხანება, როდესაც სავარაუდო შედეგებს გამიჯნული ლინზის ობიექტივში აღმოჩნდება! ჩვენსა და ჩვენს ტანსაცმელს შორის, ისევე როგორც ჩვენს ჩვევებსა და ჩვენ შორის, ნდობის რთული მორალური მიმართებები არსებობს, რომლის დროსაც, ჯერ, მათ ყველაფერს ვასესხებთ, იმას, რაც ქმნის მათ მნიშვნელობას და რასაც, შემდგომ, რთული პროცენტული დარიცხვებით, უკან ვსესხულობთ; ამიტომ, მათთვის კრედიტზე უარი ბანკროტობასთან ძალზე გვაახლოებს.

ბუნებრივია, ამასვე უკავშირდება მოდის თავქარიანობა, დაცინვისთვის შთაგონების მრავალჯერადი, უშრეტი წყარო, ერთ წელს ადამიანს რომ აგრძელებს, ხოლო მეორე წელს ამოკლებს, ან ასქელებს თუ ათხელებს, ან უცბად ზევით აგანიერებს და დაბლა აწვრილებს, ან პირიქით, ერთ წელს მას ყველაფერს აღმა და მეორე წელს კი დაღმა უვარცხნის, თმას წინ და უკან, მარჯვნივ და მარცხნივ მიმართავს. ისინი, როდესაც ამ ყველაფერს ცივი გონებით აფასებ, გეომეტრიული შესაძლებლობების საოცრად შეზღუდულ რაოდენობას ქმნიან, რომლის ცალკეულ ელემენტების მონაცვლეობაზეც ცხარედ კამათობენ, თუმცა ტრადიციასთან კავშირი ბოლომდე არასოდეს წყდება. ახლა აზროვნების, გრძნობების და მოქმედების მოდასაც თუ ჩავრთავთ, რომელთა შესახებაც იგივე შეიძლება ითქვას, მახვილი თვალისთვის ჩვენი ისტორია სხვა არაფერს დაემსგავსება, თუ არა ბაკს, რომლის კედლებსაც იქ ბედის კაპრიზით გამომწყვდეულ ადა-

მიანთა სასოწარკვეთილი ნახირი აწყდება. და მაინც, რა ხალისიანად მივყვებით ბელადებს, შეშინებულ, დაბნეულ, რაღაცას გარიდებულ, შემთხვევის წყალობით ჩვენ წინ აღმოჩენილ არსებებს, ახლა უკანმოუხედავად რომ გარბიან, და რა დამცინავად მოქცევია ნაკვთები სარკიდან მოღიმარ ბედნიერებას, როდესაც ჩვენ, ნაცნობებთან ერთად, ვართ როგორც ყველა, ხოლო ყველას კი გუშინდელისგან განსხვავებული იერი გამოარჩევს. და რატომ?! შესაძლოა გვაშინებს, და სამართლიანადაც, რომ ჩვენი ხასიათი, საყოველთაოდ მიღებული პაკეტებით რომ არ შეგვეფუთა, ბრინჯივით დაგვებნეოდა.

დამკვირვებელმა კი ფეხებით დაამთავრა, ანუ იმ ადგილით, სადაც მაღლდება ცხოველთა სამყაროზე ადამიანი. და რა შემზარავია ის ქალსა და მამაკაცთან! მამაკაცმა კიდევ რაღაც იცის ამის შესახებ კინოდან, სადაც სახელგანთქმული გმირები – ქალები და მამაკაცები – უკანა პლანიდან იხვებივით სწრაფად მობაჯბაჯებენ. მაგრამ კინო ყოფნა-არსებობის სიყვარულსა და განდიდებას ემსახურება და მისი სისუსტეების შელამაზებას ცდილობს, რასაც, პროგრესული ტექნიკის დახმარებით, ახერხებს კიდეც. სულ სხვაა ბინოკლი! ის ულმობლად გიჩვენებს, თუ რა სასაცილოდ გამოეყოფა ფეხები თეძოებს, უფრო კი მოწყვეტით ეშვება დაბლა და მოუქნელად, ქუსლსა და ლანჩზე ჩერდება; ის არა მარტო არაადამიანურად ქანაობს და ამ ადგილამდე ჯერ სქელი ბოლოთი აღწევს, არამედ ხშირად, ღრმად შინაარსიან პერსონალურ გრიმასებსაც გვიწილადებს. ამ ხელსაწყოს უკან მოკალათებულ მამაკაცს ხუთი წუთის განმავლობაში შეეძლო ორი ასეთი შემთხვევისთვის ედევნებინა თვალი. მოარგო თუ არა სამიზნე ერთ ახალგაზრდა, სპორტული ქუდით დამშვენებულ კავალერს, რომლის წინდების სიჭრელეც მოხვდა თვალში, და შეამჩნია, თუ ის, ვითარცა მბრძანებელი, როგორ მშვიდად, ფეხათრევით მიაბიჯებდა თავისი გოგონას გვერდით, და ყოველი დინჯი, აუღელვებელი ნაბიჯისას ფეხს მოკლე, დაძაბული, მკვეთრი ბიძგით წინ სწევდა. ვერავინ – ვერავითარი ექიმი, ვერც გოგონა, და ვერც თვითონ – გრძნობდა იმ საზარელს, მას ჯერ კიდევ რომ ელოდა; ამ საყოველთაო ჰარმონიიდან უმწეობის, ბრუტალობის პატარა ნიშნებს მხოლოდ ბინოკლი გამოყოფდა და კარზე მომდგარ მომავალს სურათში ასახიერებდა! უფრო უწყინარი რამ შეემთხვა ყველასადმი მეგობრულად განწყობილ, ჩასუქებულ, თავისი ცხოვრების საუკეთესო ხანაში მყოფ მამაკაცს, სწრაფად რომ მოაბიჯებდა და სამყაროს სიარულის კეთილგანწყობილ, თავაზიან მანერას სთავაზობდა: ფეხი, მოძრაობის მთელი ამპლიტუდის ნახევრის გავლისას, შემდეგი მოძრაობის სამზადისში უეცრად შიგნით საშინლად უბრუნდებოდა; და ახლა, შელახული იერის ფონზე, თავის ნებაზე უკვე ხელებიც იღლიებში

აქეთ-იქით დაუდიოდა, მხარი კისრამდე აღწევდა და კეთილგანწყობის მთლიანობის ნაცვლად, უეცრად, თვითდამკვიდრების ცდაში სხვა ყველაფრისთვის მოუცლელი ადამიანური სისტემა ჩნდებოდა!

ასე შეაქვს წვლილი ჭოგრიტს როგორც ცალკეული ადამიანის შეცნობაში, ასევე ადამიანური ბუნების სულ უფრო მზარდ არცოდნაში. ის არღვევს ჩვეულ კავშირებს და გზას უკაფავს სინამდვილეს, ენაცვლება გენიას, ან, სულ მცირე, მის მოსამზადებელ სამუშაოს მაინც წარმოადგენს. შესაძლოა, სწორედ ამიტომ რჩება უპასუხოდ მისი შემოთავაზება. ბოლოს და ბოლოს, ხომ იყენებენ მას თეატრში ილუზიის გასამძაფრებლად, ან თუნდაც, ანტრაქტში ირგვლივ მყოფებს რომ შეავლონ თვალი – არა უცნობების, არამედ ნაცნობების ძებნაში.

აქ მშვენიერია

ჩვენ შორის ბევრია ისეთი, რომელიც ტურისტულ მოგზაურობას სახელგანთქმულ ადგილებზე აწყობს. ისინი სასტუმროს ბაღში ლუდს მიირთმევენ და, როდესაც სასიამოვნო ნაცნობებსაც იძენენ, ეს მოგონებებს განსაკუთრებით ამდიდრებს. ბოლო დღეს კი საკანცელარიო მაღაზიას მიაშურებენ; იქ ყიდულობენ ღია ბარათებს, სხვათა შორის, კელნერისგანაც. ეს ღია საფოსტო ბარათები მთელ მსოფლიოში მსგავსია: ფერადი, ხეები და მდელოები – შხამიანი მწვანე, ცა – ფარშევანგის სილურჯის, კლდეები – წითელი და რუხი, სახლები ავადმყოფური, სევდიანი რელიეფით, ტკივილს რომ გვაყენებს, თან უცნაურად გაქვავებულა, თითქოს ერთგვარად მობეზრებული ფასადის მიტოვების წამიერ მზადყოფნაში; ფერიც ისეთი მონდომებითაა დატანებული, რომ, ჩვეულებრივ, მისი კონტურის მკრთალი ზოლი სურათს მეორე მხარესაც ახლავს. სამყარო მართლაც ასე რომ გამოიყურებოდეს, აღარაფერი დაგვრჩებოდა, რომ მარკის მიწებების შემდეგ ის უახლოეს საფოსტო ყუთში ჩაგვეგდო. ამგვარ ღია ბარათებზე აკეთებენ წარწერას: „აქ ენით აუწერელი სილამაზეა“ ან: „აქ მშვენიერია“ ან: „რა დასანანია, რომ შენ ამ სილამაზით ჩემთან ერთად არ ტკბები“. ზოგჯერ შეხვდებით: „ვერ წარმოიდგენ, აქ რა კარგია“ ან: „ოჰ, რომ იცოდე აქ როგორ ნეტარებას ვეძლევით!“

მათ უნდა გავუგოთ! რადგან უხარიათ: მოგზაურობა, ამდენი კარგი სანახაობა, სხვები კი მოკლებული არიან ამ სიამოვნებას; ეს სანახაობა მათ უხერხულ მდგომარეობაში აგდებს და ტკივილსაც კი აყენებს. და თუ კოშკი სხვებზე მაღალია, უფსკრული – ჩვეულებრივებზე უფრო ღრმა, ან ცნობილი სურათი განსაკუთრებით დიდია ან პატარა, ეს უკვე საქმეა, რადგან იძლევა რაღაცაზე ხელის ჩაჭიდების,

სხვისთვის შთაბეჭდილებების გაზიარების საშუალებას; ამიტომ წარმოუდგებათ ცნობილი სასახლე უფრო დიდად ან განსაკუთრებით ძველად, ლანდშაფტებში კი უპირატესობას ველურს ანიჭებენ. ისინი შეიძლება შეაცდინო და მოძრაობის განრიგის, სასტუმროს ფასების და უნიფორმების მანიპულაციით (თუმცა სწორედ ესაა შეუძლებელი!), უეცრად საქსონიის შვეიცარიის რომელიმე კლდეზე აიყვანო და იქ მატერჰორნის შიში შთაუნერგო, რადგან თავბრუდამხვევი სიმაღლეები საქსონიაშიც მოიძებნება. მაგრამ თუ რაღაც არც მაღალია, არც ღრმა, არც დიდი, არც პატარა და არც სხვა რამით გამორჩეული, მოკლედ, როცა რაღაც არ არის რაღაც, არამედ უბრალოდ ლამაზია, მაშინ ის მათ ყელზე ადგებათ, და იქ დიდ, გლუვ ლუკმად გაჩხერილი, არც ზევით ამოდის და არც ქვემოთ ჩადის, მეტისმეტად რბილია, რომ დაგახრჩოთ, და მეტისმეტად ხისტი, სიტყვის ამოთქმა რომ მოახერხოთ. ასე წარმოიშვება ეს ცნობილი ოჰ! და აჰ! – დახრჩობის მაუწყებელი მტანჯველი სიტყვები. საქმეს არც თითები უშველის, ისინი ლუკმამდე მაინც ვერ მიაღწევენ და ამ შემთხვევისთვის საჭირო სიტყვების პირიდან ამოთქმის უკეთესი ხერხი ადამიანს არც მოუგონია. და უსამართლოა ამაზე ხუმრობა. ეს შეძახილები, ძახილის ნიშანს რომ ირთავს, შეჭირვების მაღალ ხარისხს გამოხატავს.

საამისოდ ხელოვნების ნიმუშების განსწავლული დამთვალიერებლები განსაკუთრებულ ილეთებს ფლობენ, და ამაზე ბევრი რამის თქმა შეიძლება; თუმცა ეს ძალზე შორს წაგვიყვანდა. ყოველგვარი სიძნელეების მიუხედავად, უცოდველ ადამიანებს აღიარებული მშვენიერების ხილვა გულწრფელად უხარიათ. მას უცნაური გრადაცია გამოარჩევს და იგივე სიამაყეს შეიცავს, როდესაც ადამიანს შეუძლია თავი იმით მოიწონოს, რომ ბანკის წინ სწორედ ცნობილ აფერისტ X-ის იქიდან გაქცევისას ჩაუვლია. სხვებს იმ ქალაქში ყოფნა აბედნიერებს, სადაც გოეთემ რვა დღე დაჰყო, ან გათხოვილი ქალის იმ მოყვარის ნაცნობობა, ლამანში რომ გადაცურა; დიახ, არიან ადამიანები, ამას რაღაც გასაკუთრებულ მოვლენად რომ აღიქვამენ – გამორჩეულ დროში ცხოვრებას. ეტყობა აქ საქმე რაღაც პროცესებთან სიახლოვეშია; მაგრამ, ზოგადად, ეს ადვილი არ უნდა იყოს, და აუცილებლად პერსონალური რჩეულობის კვალს უნდა ატარებდეს. რადგან, რაც უნდა იტყუებოდნენ ადამიანები, რომ ისინი მთლიანად არიან ჩართული თავის საქმეებში, მათ მაინც იზიდავთ პირადული თავგადასავლები, რომლებიც მათ წმინდა ბავშვურ სიხარულს ანიჭებთ, და ის ძნელად აღსაწერი მნიშვნელობაც, რასაც ადამიანი მათი მეშვეობით იძენს. ესაა „პირადულ ბედთან“ შეხება, და ის სრულიად განსაკუთრებული რამაა. „სწორედ მე მელაპარაკებოდა, როდესაც დასრიალდა, დაეცა და ფეხი მოიტეხა ..!“ როდესაც რაღაც ამგვარის

თქმა შეგიძლიათ, გრძნობთ, რომ დიდი, ღრუბლების ფარდიანი ცისფერი ფანჯრის მიღმა ვიღაც დიდხანს იდგა და გიყურებდათ.

ადამიანი, ალბათ, არც დაიჯერებს, მაგრამ ძირითადად ეს სწორედ ამის გამო ხდება, რომ კაცი ასეთ ადგილებში მიემგზავრება და მათთან დაკავშირებულ ღია ბარათებს ყიდულობს, რაც თავისთავად არაა გონივრული, რადგან უფრო მარტივი იქნებოდა, მისთვის გამოეგზავნათ ისინი. და ამიტომაც ეს ბარათები უნდა იყოს უცილობლად და განსაკუთებულად ლამაზი; და, ერთხელაც, ნამდვილად რომ ქცეულიყვნენ, კაცობრიობა რაღაცას აუცილებლად დაკარგავდა. „ეს, ცხადია, აქ ასე გამოიყურება“ – ამბობს მავანი და მას უნდობლად უყურებს; და შემდეგ წააწერს: ვერც კი წარმოიდგენ, ეს რა მშვენიერია... იგივე ფრაზით ანდობს ერთი მეორეს: შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ ვუყვარვარ ...

ო, მშვენიერო ტყეო ...

როდესაც ძალიან ცხელა და ხედავ ტყეს, უნებლიეთ იწყებ სიმღერას: „ო, მშვენიერო ტყეო, მაღლა მთებზე ვინ გაგაშენა?“ ეს ხდება ავტომატური უცილობლობით და წარმოადგენს გერმანიის ეროვნული სხეულის რეფლექსურ რეაქციას. რაც უფრო უმწეოდ აწყდება აქეთ-იქით პირში სიცხისაგან დაოსებული ენა და რაც უფრო ემსგავსება ზვიგენის ტყავს ყელი, მით უფრო მგრძნობიარედ აღაგზნებს, იკრებს უკანასკნელ ძალებს და მუსიკალური ფინიშისკენ უბიძგებს – სიმღერისკენ – და იფიციებიან, რომ მათ ოსტატი უნდა აქონ და ადიდონ, სანამ „ხმა“ არ უღალატებთ. ამ სიმღერას იმ ურყევი, მტკიცე იდეალიზმით მღერიან, რომელსაც ბოლოს, ყველა ტანჯვის დასასრულს, სასმელი ელის.

ადამიანმა, ვინც უნდა იყოს, კარგა ხანი უნდა დაყოს იმ, სიცხით და-ფეხ-მძიმებულ, ორმოცი გრადუსის მიდამოებში, იქ, სადაც იწყება სიკვდილ-სიცოცხლის კარის მეზობლობა, რათა ამ სიმღერის დაცინვას გასაქანი არ მისცეს. ადამიანი წევს – ვთქვათ, უბედური შემთხვევის შემდეგ, ნაოპერაციევი, გაკვეთილი და კვლავ გაკერილი, გამთლიანებული – ახლა გამოჯანმრთელების გზაზე დამდგარი, ერთ-ერთი კურორტის მშვენიერ სანატორიუმში, თეთრ მოსასხამსა და პლედში გახვეული, მაცოცხლებული ჰაერით დატბორილ აივანზე, სამყარო შენამდე ოდენ შორეულ ზუზუნად რომ აღწევს; ყოველ პაციენტს, სურვილის მიხედვით, თუკი სანატორიუმი მისი დაკმაყოფილების საშუალებას პოულობს, ისე ათავსებენ, რომ კვირების მანძილზე ის მხოლოდ მთის დაქანებულ, ტყის გვირგვინით შემკულ ფერდობს ხედავს. და გამხდარა ისეთივე მომთმენი, როგორც

კენჭები ნაკადულის ფსკერზე, წყალი განუწყვეტლივ რომ ევლება თავზე. მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხლობს ციებ-ცხელების შეგრძნება და ნარკოზის შემდგომი ტკბილი სიმშრალე. და იგონებს იგი – ფრთხილად, რიდით – იმ, სიკვდილისა და სიცოცხლის პაექრობის ღამეებს, დღეებს, მათ ყველაზე სიღრმისეულ ან, სულაც ცხოვრებასთან განშორების თანმხლებ ფიქრებს – რომ ახსოვდა, ფიქრობდა მხოლოდ ერთადერთზე: აი, შუა ზაფხულში, ხეტიალისას იგი ტენიანი ტყის გრილ ნაპირს უახლოვდება – და გამუდმებით, კვლავ და კვლავ, მცხუნვარე მზის მწველი ალმურიდან წარმოსახვა ამოიმართება, იძირება ნესტიან სიბნელეში, მაშინვე მკვრივი, ხშირი საფრით დაფარულ მინდვრებში ხეტიალი რომ განაახლოს. რა ცოტას ნიშნავს ასეთ წამებში ნახატები, რომანები, ფილოსოფიური მოძღვრებანი! სისუსტის ამ მდგომარეობაში იკეტება სხეულში ის რაღაც, ჯერ კიდევ შემორჩენილი, ვით მოცახცახე ხელი, და ამაღლებული სურვილები ლღვება მასში, როგორც გაგრილების უნარდაკარგული ყინულის მარცვლები. და განიზრახავს ადამიანი ამიერიდან იცხოვროს ყოველდღიური ცხოვრებით, რომ აღარასოდეს გასცდეს მის ფარგლებს, გამუდმებით იღვწოდეს კეთილდღეობისთვის, და თავისი შეძლებით ხანგრძლივად ტკბებოდეს, ასე სადა და უცვლელით, როგორიც შეიძლება იყოს სიგრილის, კმაყოფილების და უწყინარი საქმიანობის შეგრძნება. ო, როგორ გაურბის ადამიანი არაორდინარულს, როგორი მიუღებელია მისთვის ყველაფერი უჩვეულო, დამქანცველი, გამომფიტავი და გენიალური, სანამ ის ავადაა, და ესწრაფვის მარადიულს, ადამიანიდან ადამიანში რომ მეორდება – საშუალოს, ჯანსაღ საშუალოს. არის რამე პრობლემა? მოიცდის! წინაა საქმე, უფრო მნიშვნელოვანი – მოიტანენ ერთ საათში ქათმის ბულიონს თუ სხვა რამ სასიამოვნოს, და მღერის თავისთვის ადამიანი: „ო, მშვენიერო ტყეო, მაღლა მთებზე ვინ გაგაშენა... '' და მშვენიერია ცხოვრებაც – რა უცნაურად მორგებულა ჩვენს სურვილებს მისი დაკლაკნილი გზების ხვეულები, მისი აღმართ-დაღმართი; და, სხვათა შორის, არც ასეთი მუსიკალური ყოფილა მანამდე ადამიანი.

მიიწევს წინ გამოჯანმრთელების საქმე და მასთან ერთად ბრუნდება სული ბოროტი. და იწყება დაკვირვება. აივნის საპირისპიროდ კვლავ აღმართულა ტყის სიმწვანით გვირგვინდადგმული მთა, და ღიღინებს მისდამი მიძღვნილ სიმღერას ადამიანი და არ არის ადვილი მისგან განთავისუფლება; მაგრამ ერთხელაც აცნობიერებს იგი, რომ ტყე არა მარტო ბგერათა თანამიმდევრობაა, არამედ შედგება ხეებისგან, აქამდე ტყე რომ ჩქმალავდა და ჩრდილავდა. როდესაც კარგად აკვირდება, იმასაც კი ამჩნევს, რომ ეს კეთილგანწყობილი გოლიათები სინათლისა და ნიადაგისთვის ქიშპობაში ჩართულან,

მეტოქესთან – ცხენების საძოვართან – ვერ გაუყვიათ იგი. დგანან მდუმარედ გვერდიგვერდ, აქ – ფიჭვების ჯგუფი, იქ – წიფელების თავყრილობა; და ბუნებრივია ტყის შუქ-ჩრდილები, თითქოს ნახატი იყოს, თან ისეთი მორალურ-აღმზრდელობითი პათოსის მატარებელი, ვით ოჯახთა მშვენიერი, სანიმუშო თანაცხოვრება, მაგრამ სინამდვილეში არის ათასწლიანი ომის საღამო. და განა არ არსებობენ ბუნების მესაიდუმლე მეცნიერები, რომლებიც გვამცნობენ, რომ მთელ გერმანიას ერთ დროს უზარმაზარ ლაშქრად მოსდებოდნენ მუხები, დღეს მარტოობის სიმბოლოდ ქცეული გოლიათები? და ფიჭვები, დღეს ყველა სხვა რომ განუდევნიათ, ერთ დროს თვითონ შემოჭრილან სხვის სამფლობელოში. რომ ოდესღაც არსებობდა სამეფო წიფელათა, ხოლო სხვა დროს იმპერიალიზმი თხმელათა? არსებობს ხეთა გადასახლების ეპოქა, ისევე როგორც ადამიანებისა, და სადაც შენ ერთგვაროვან, თვითმყოფად, სტიქიურ ტყეს ხედავ, არის ბრძოლით დაპყრობილ ბორცვზე გამაგრებულ მეომართა თავყრილობა; და იქ, სადაც შერეული ხეების კორდი მშვიდობიანი თანაცხოვრებით გხიბლავს, მხოლოდ გაფანტული მეომრებია, მტრულ რაზმთა ნარჩენები, შეჯგუფებული, გამოფიტული, ერთმანეთის განადგურების ვერშემძლე! – უძლურების გამო.

და მაინც ეს არის პოეზია, თუმც არა ზავისა და მშვიდობის, ტყეში რომ ვეძებთ; ჭეშმარიტი ბუნება დიდი ხანია მას გასცდა. გამოჯანმრთელდი მისი კალთის სიმყუდროვეში, და შენც – რამდენადაც ამას თანამედროვე ბუნების უპირატესობანი გთავაზობს – ამ პროცესში მყოფი, ერთ დღეს აკეთებ დასკვნას, მეორეს, რომ ტყე ძირითადად ფიცრების რიგისგან შედგება, და ის მწვანით მოუპირკეთებიათ. და ეს არა აღმოჩენა – აღიარებაა! ვეჭვობ, რომ მზერას შეეღწია სიმწვანეში, ჩაძირულიყო მასში, ტყე – საამისოდ, წინასწარ – გეგმაზომიერ მონაკვეთებად რომ არ დაეყოთ, მათ შორის დაცული სწორი, გამჭოლი სივრცეებით. გამომგონებლობით, ფანტაზიით გამორჩეული მეტყევეები მხოლოდ წესიდან მსუბუქ გადახვევაზე, ერთგვარ მოწესრიგებულ უწესრიგობაზე ზრუნავენ, მაგალითად, რომელიმე ხის სახით, რიგიდან რამდენიმე ნაბიჯით გვერდზე რომ გამდგარა, რათა მიიპყროს მზერა, ან განივად გაწოლილ ტყის საკაფზე, სათიბზე ან მინაზე გართხმულ ხეზე, მთელი ზაფხულის მანძილზე ასე რომ დაუტოვებიათ. რადგან მათ აქვთ ბუნების ნატიფი შეგრძნება და იციან, რომ ადამიანი მას, ტყეს, ველარ ენდობა. პირველყოფილ ტყეებს აქვთ რაღაც მეტისმეტად ხელოვნური და გადაგვარებული. ბუნების მეორე ბუნებად ქცეული არაბუნებრიობა მათში კვლავ მის ნამდვილ ბუნებად, ბუნებრიობად იქცევა. გერმანულ ტყეზე კი ეს არ ითქმის.

გერმანული ტყე სრულად აცნობიერებს თავის მოვალეობებს ისე,

რომ მას შეიძლება კიდეც ვუმღეროთ: ო, მშვენიერო ტყეო, ვინ გაგაშენა შენ მაღლა მთებზე? ალბათ ოსტატს უნდა ვუმღერო მანამ, სანამ „ხმა“ არ მიღალატებს! ოსტატი კი არის ოსტატი მეტყევე, უფროსი ოსტატი ან მთავარი მეტყევე, რომელმაც ტყე გააშენა, და ის სამართლიანად აღშფოთდებოდა, მავანს მასში გამოცდილი, განსწავლული ადამიანის ხელწერა მაშინვე რომ არ შეეცნო. მან თავიდანვე იზრუნა სინათლეზე, ჰაერზე, ხეთა შერჩევაზე, მისადგომ გზებზე, ტყის ჭრის ადგილზე, ბუჩქნარის დაშორებაზე და ხეებისთვის ლამაზი, რიგებში გამწკრივებულ-მოწესრიგებული, დავარცხნილი იერის მიცემაზე, მათ სტიქიაში აღმოჩენილებს ასე რომ გვხიბლავს, ჩვენ, დიდი ქალაქების ველური უწესრიგობიდან მომავალ არსებებს. ამ ტყის მისიონერის უკან, გრძნობების სიხალასეში, ხეებს წრფელი გულით ტყით ვაჭრობის სახარებას რომ უქადაგებს, დგას მემამულის ქონების ან სახელმწიფო სატყეო მეურნეობის მმართველობა ან სათავადაზნაურო პალატა და იძლევა მითითებებს. მათი დადგენილებით წარმოიშვება ამდენი და ამდენი მეტრი ტყის ფართობი ან, ყოველწლიურად, ახალგაზრდა ტყე. იგივე დადგენილება ყოფს და ანაწილებს მშვენიერ ხედებსა და სიგრილის მომტან ჩრდილებს. მაინც, მათ ხელთ არაა უზენაესი ნება. უფრო მაღლა ტყის ღმერთთა რიგში ტყით მოვაჭრე და მისი კლიენტები, სამხერხაოები, ხის მასალის მწარმოებელი ფაბრიკები, სამშენებლო მოიჯარე, ნავსაშენები, მუყაოსა და ქაღალდის მწარმოებლები მბრძანებლობენ ... აქ იკარგება ნაცნობ სახეთა ურთიერთკავშირი და უსახელო, ქაოსურ ხლართებში გადადის, საქონლის და ფულის ბრუნვის იდუმალებაში, რომელიც ადამიანს, იმასაც კი, სიღარიბის გამო ფანჯრიდან რომ ხტება, ანიჭებს რწმენას, რომ, მისი ქმედებიდან გამომდინარე, ის ზეგავლენას სამეურნეო საქმიანობაზეც ახდენს, და რომელიც შენც, დიდი ქალაქის სასოწარმკვეთ ზაფხულში შარვალს გრძელ მერხზე და მერხს შენს შარვალზე რომ ხეხავ, სამატყლე ცხვრისა და ტყეთა ბედის გამრიგედ გაქცევს, ეშმაკსაც წაულია ყველა ერთად.

და იმღეროს უნდა ადამიანმა: ო, ტექნიკისა და ვაჭრობის მშვენიერო მაღაზიავ, ვინ აღგმართა მაღლა მთაზე? იქნებ ჭიანჭველმჭავის მიღების (ხის ბოჭკოებიდან; გარემოებების მიხედვით შესაძლებელია სხვა ნედლეულიც) წესი უნდა ვაქო, ვიდრე „ხმა“ არ მიღალატებს!? კითხვაზე პასუხი ზოგადად უარყოფითია. ჯერ კიდევ არსებობს ტყის ხავერდოვანი მწვანე მასა და ოზონი მის თავზე, მისი სიგრილე, მისი სიჩუმე, მისი სილრმე და განმარტოება. არსებობს ჯერაც გამოუყენებელი ტყის, ხის გადამუშავების გვერდითი პროდუქტები, ისევე დიდებულად ფუჭი, როგორც ადამიანი შვებულებაში, როდესაც ის სხვა არაფერია, თუ არა მხოლოდ თავისი თავი. ამაში ჯერ კიდევ არის

ღრმა სიახლოვე. ბუნების წიაღი, მართალია, ხელოვნურია, მაგრამ ადამიანიც ხომ ხელოვნურია შვებულებაში. მან გადაწყვიტა საქმეზე აღარ იფიქროს; ეს თითქმის დუმილის აღთქმის ტოლფასია, ცოტა ხნის შემდეგ მასში ბედნიერების უჩვეულო სიჩუმე და უკაცრიელობა ისადგურებს. როგორი მადლიერია იმ მცირე მინიშნებების, ჩურჩულის, ბუნებას მისთვის რომ ემეტება! რა მშვენიერია გზის მონიშვნა, წარწერები, რომლებიც გვამცნობენ, რომ სასტუმრომდე ტყის სიმშვიდის თხუთმეტიოდე წუთი თუ რჩება, მერხები და ჟამთა სვლით შელახული დაფები, ტყის ადმინისტრაციის ათი მცნების მაუწყებელი; ბუნება მჭევრმეტყველებს! რა ბედნიერია ის, ვისაც თანამოაზრე და თანამონაწილე უპოვია, ბუნების შესახვედრად მასთან ერთად რომ გაეშუროს; ბანქოს თამაში ტყის სიმწვანეში, ამხანაგებთან, ან პუნში მზის ჩასვლისას. ამ მცირე თანადგომით, და არაერთხელ, ბუნება სურათის რეპროდუქციის ღირსებებს იძენს, უპირატესობას, და ადამიანისთვის ყველაფერი უფრო დალაგებული, ნაკლებად ჩახლართული და დამაბნეველი ხდება. და მთა უკვე არის მთა, ნაკადული – ნაკადული, სიმწვანე და ცის სილურჯე თანაარსებობენ, მკაფიოდ გამიჯნული, და აღქმის, გაცნობიერების არავითარი სიძნელე აღარ ურთულებს რწმენისკენ უმოკლესი გზით სვლას, რომ მართლაც მშვენიერია ის, რასაც ფლობს. მაგრამ, როგორც კი ადამიანი ასე შორს მიაღწევს, მაშინვე ჩნდება და სულ ადვილად მკვიდრდება, ასე ვთქვათ, მარადიული გრძნობები. ჰკითხეთ დღევანდელ ადამიანს, რომლისთვისაც გონება უთავბოლო მითქმა-მოთქმას ჯერ არ აუმღვრევია, რა მოსწონს ყველაზე მეტად, პეიზაჟი თუ მაღალხარისხიანი რეპროდუქცია, ის უყოყმანოდ გიპასუხებთ, რომ უკანასკნელი ურჩევნია. რადგან გაურყვნელი ადამიანი სიცხადეს, მკაფიოობასა და იდეალიზმს არჩევს, და ორივესთვის ინდუსტრია გაცილებით დახვეწილია, ვიდრე ხელოვნება.

ამგვარ ფიქრებში მჟღავნდებოდა ჩვენი ავადმყოფის აღმავლობის გზაზე დამდგარი გამოჯანმრთელება. ექიმმა შენიშნა: „აკრიტიკეთ რამდენიც გსურთ; ცუდი განწყობა გამოჯანმრთელების ნიშანია.“ „ადვილი წარმოსადგენია!“ უპასუხა სიცოცხლისკენ მობრუნებულმა. ის შეწუხებული ჩანდა.

ოიდიპოსი ხიფათში

ამ კრიტიკას, ღვარძლიანსა და ცალმხრივს, ვერ ექნება მეცნიერული ობიექტურობის პრეტენზია.

თუ ანტიკურ ადამიანს თავისი სცილა და ქარიბდა ჰყავდა, თანამედროვე ადამიანის ცხოვრებას ოიდიპოსი და წყლის კაცი ამრავალ-

ფეროვნებენ; თუ მოახერხებ და პირველს დაუსხლტები ხელიდან და მემკვიდრესაც წარმატებულად დააყენებ ფეხზე, მით უფრო დარწმუნებული უნდა იყო, რომ აუცილებლად ჩაუვარდები ხელში მეორეს. შეიძლება ითქვას, რომ ოიდიპოსის გარეშე დღეს შეუძლებელია, უიმისოდ არც ოჯახური ცხოვრებაა და არც არქიტექტურა.

რადგან მე თვითონ ოიდიპოსის გარეშე გავიზარდე, ბუნებრივია, ამ საკითხებზე მხოლოდ დიდი სიფრთხილით უნდა ვისაუბრო, თუმცა ფსიქოანალიზის მეთოდები ჩემში აღფრთოვანებას იწვევს. ბავშვობიდან მახსენდება: როდესაც ერთ-ერთ ჩვენგანს მეორისგან თავს იმდენი შეურაცხყოფა დაატყდებოდა, რომ ამისთვის რამე ტოლფასის დაპირისპირებას ვერ ახერხებდა, უმწეო ცდაში ის პასუხს ერთი უბრალო გამოთქმით სცემდა: მოწინააღმდეგის სუნთქვისას გაჩენილი პაუზისას ჩართული „შენ თვითონ“ ამ დამამცირებელი სიტყვების ნაკადს უეცრად შეატრიალებდა და უკანვე აგზავნიდა. ძალიან გამიხარდა, როდესაც ფსიქონალიზური ლიტერატურის შესწავლისას შევიტყვე, რომ ყველა პიროვნებას, ვინც ფსიქოანალიზის შეუმცდარობაში ეჭვის შეტანა გაბედა, იგი იქვე უსაბუთებდა, რომ, ცხადია, ყველა მათგანს საამისო მიზეზი ჰქონდა, ოღონდ, რა თქმა უნდა, ისევ ფსიქოანალიზური ბუნებისა. ეს მშვენიერი საბუთია იმისა, რომ ადამიანმა მეცნიერული მეთოდები ჯერ კიდევ სიმწიფის ხანამდე შეითვისა.

იხსენებს მედიცინა ამ ხანდაზმული ჩვევის, ჩვენებურად „დილიჟანსის უკანა რეისის“ – ლანძღვის უკან დაბრუნების – საფოსტო დილიჟანსით მგზავრობის ძველ დროს – ლამაზს, მშვენიერს – აკეთებს ამას, მართალია, გაუცნობიერებლად, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ღრმა ფსიქოლოგიური კონტექსტის გარეშე. რადგან ეს არის მისი, მედიცინის, ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა, რომელიც დღეს წარმოქმნილი დროის ასეთი დეფიციტის პირობებში ჩვენში ამ უკანასკნელის მშვიდი, აუღელვებელი გამოყენების ჩვევებს აყალიბებს და ბუნების ამ წარმავალი პროდუქტის უწყინარ ფლანგვას გვასწავლის. ადამიანმა იცის, რომ, როგორც კი ის თავს სულის მკურნალთ ანდობს, ერთხელაც, მკურნალობა დასრულდება, მაგრამ მოკრძალებული პროგრესითაც სრულად კმაყოფილდება. მართალია, ცდილობენ მოუთმენელი პაციენტები ნევროზისგან სწრაფად გათავისუფლებას, ოღონდ, ამის მიღწევისას მაშინვე იგივე ემართებათ, მხოლოდ განსხავავებული ელფერით, თუმცა, ვინც ფსიქოანალიზით ნამდვილ ტკბობას ეზიარა, განკურნებას არც ეშურება. ყოველდღიურობის აჩქარებიდან შეაბიჯებს იგი მეგობრის ოთახში, სადაც – სამყარო, გარეთ, თუნდაც თავისი მექანიკური ენერგიის მოზღვავებაში იფლითებოდეს – ჯერ კიდევ ძველი, კეთილი დრო

მეფობს. ადამიანს თანაგრძნობით ეკითხებიან, თუ როგორ ეძინა და სიზმრად რა ნახა. ოჯახურ ცხოვრებას, დღევანდელობა ასე ბოროტად რომ უგულებელყოფს, კვლავ უბრუნდება თავისი ბუნებრივი მნიშვნელობა, და ადამიანი აცნობიერებს, რომ არც ისე სასაცილოა მოახლე გოგონას მიერ გატეხილ თეფშთან დაკავშირებით დეიდა გუსტეს მიერ ნათქვამი და, პირიქით, თუ კარგად დავუკვირდებით, უფრო შინაარსიანიც, ვიდრე გოეთესი. და ჩვენ შეგვიძლია ყურადღება არც მივაქციოთ იმას, რომ არ უნდა იყოს უსიამოვნო იმ ჩიტზე ლაპარაკი, კაცს თავში გამუდმებით რომ უტრიალებს, მით უმეტეს, თუ ეს ჩიტი ყარყატია. რადგან ყველა ცალკეულზე უფრო არსებითი და უბრალოდ ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ადამიანი მაგნეტიზმის მიზიდულობით თუ მიმზიდველობით ნაალერსები, ამგვარი მოპყრობისას თავისი თავის კვლავ ყველაფრის საზომად აღქმას სწავლობს. მას ასწლეულობით უყვებოდნენ, რომ თავის ქცევას იმ კულტურას უნდა უმადლოდეს, მასზე გაცილებით მეტს რომ ნიშნავს; და, როდესაც ჩვენ ადამიანთა მოდგმის ამ ბოლო თაობაში მას, კულტურას, თითქოს, როგორც იქნა, თავი დავაღწიეთ, ის მაინც სიახლეთა და გამოგონებათა ფართო ასპარეზად რჩება, რომელთა გვერდითაც პიროვნება თავს კვლავაც არაფრად შეიგრძნობს: ახლა კი ამ ჩამომჭკნარ, დაჩაჩანაკებულ არსებას ხელს ჰკიდებს ფსიქოანალიზი და უმტკიცებს, რომ მას მხოლოდ სიმამაცე და სასქესო ჯირკვლები სჭირდება. დე ასე იყოს მარად! ეს არის ჩემი, როგორც პროფანის სურვილი, თუმცა იგი საქმეში უფრო ჩახედულთა აზრებს ემთხვევა.

ამასთან დაკავშირებით, მაშფოთებს ეჭვი, ალბათ, ჩემი არაკომპეტენტურობის შედეგი, თუმცა, შესაძლოა, მაინც მართებული. რადგან, რამდენადაც ვიცი, დღეს თეორიის ყურადღების ცენტრში – მეტად, ვიდრე ოდესმე – ახლახან ნახსენები ოიდიპოსის კომპლექსია და თითქმის ყველა მოვლენა მასზე დაიყვანება და, ვშიშობ, რომ ერთი-ორი თაობის შემდეგ აღარავითარი ოიდიპოსი აღარ იქნება! გაცხადდა, რომ ის პატარა ადამიანის შეგნებაში იშვა, მისი პროდუქტია, და ამ ადამიანმა ნეტარება დედის კალთაში უნდა პოვოს, ხოლო მამის მიმართ, იქიდან რომ განდევნა, ეჭვით და მეტოქეობით განიმსჭვალოს. რაა მერე, თუკი დედას კალთა აღარც კი აქვს?! გასაგებია, თუ საით მივყავართ ყველაფერ ამას: კალთა არ არის მხოლოდ სხეულის მიდამო, მისი შემოგარენი, რის აღსანიშნავადაც შეიქმნა ეს სიტყვა; ის ქალის დედობრივ წიაღს ნიშნავს, მკერდს, ცხიმს, სითბოს მატარებელს და მომნიჭებელს, სიმშვიდისმომგვრელ, მზრუნველ სირბილეს; აღნიშნავს, არცთუ უსამართლოდ, თვით ქვედატანსაც, რომლის ფართო, განიერი ნაკეცები იდუმალ ბუდეს ქმნიან. ამ აზრით, ფსიქოანალიზის ფუნდამენტური მოვლენების სათავე, ცხა-

დია, სამოცდაათიანი და ოთხმოციანი წლების ტანსაცმელშია და არა სათხილამურო კოსტიუმში. ან, სულაც, საბანაო ტანსაცმლის შემთხვევაში: სადაა დღეს მშობლიური კალთა? მე, რომელიც ფსიქოანალიზურ სევდიან მონატრებაში, ემბრიონული მდგომარეობისკენ გზების გაკვალვას გოგონებისა თუ ქალების მოძრავ სხეულებზე ვცდილობ, ზოგი სირბილით, ზოგი ტაატით რომ გადაადგილდება და რომელთა ჯერიც დღეს დამდგარა, ვერ ვხდები, მათი განუმეორებელი მშვენიერების სრული პატივისცემის მიუხედავად, რატომ არ უნდა სურდეს უახლეს თაობას თავშესაფარი ისეთივე მონდომებით მამის კალთაში ეძიოს.

და რა?

მივიღებთ ოიდიპოსის ნაცვლად ორესტეს? თუ ფსიქოანალიზი თავის მადლიან ზემოქმედებაზე იტყვის უარს?

III
ისტორიები, რომლებიც არც არის ასეთი

გოლიათი საასი

როდესაც ამ პატარა მოთხრობის გმირი – და ის მართლაც გახლდათ ასეთი – სახელოებს აიკაპიწებდა, უჩანდა ხელები, წვრილი, როგორც მაღვიძარას ხმა. ქალები აქებდნენ მის ინტელექტს, თუმცა „სიარულს" სხვებთან არჩევდნენ, რომელთა შესახებაც ნაკლები კეთილგანწყობით საუბრობდნენ. მხოლოდ ერთხელ გახდა ის, ყველას გასაკვირად, პატივსაცემი ლამაზმანის უფრო არსებითი ყურადღების ღირსი, რომელიც განსაკუთრებით ხშირად მიმართავდა მისკენ სინაზით აღსავსე მზერას, რასაც მხრების აჩეჩვასაც აახლებდა. მოსაფერებელი სიტყვის ძებნაში, რაც სიყვარულის დასაწყისში ასე ბუნებრივია, ერთგვარი ყოყმანის შემდეგ, ის შემდეგზე შეჩერდა: „ჩემო ციყვო!"

გაზეთებში ჩვენი გმირი მხოლოდ სპორტულ გვერდს კითხულობდა, იმ გვერდზე კი განსაკუთრებული მონდომებით კრივის სამყაროს ამბებს და ამ განყოფილებაში ყველაზე მეტად მძიმე წონოსანთა შესახებ.

ის არ იყო მაინცდამაინც ბედნიერი; თუმცა დაუღალავად ეძებდა მისკენ მიმავალ გზებს, რომლებიც ძლიერებაზე გადიოდა. და, რადგან ათლეტთა საზოგადოებაში გასაწევრიანებლად საკმარისად შეძლებული არ გახლდათ და, რადგან სპორტი, თანამედროვე შეხედ-

ულებებით, არა სხეულის დასაგმობი ნიჭი, არამედ მორალისა და სულის ტრიუმფია, ის მისი მწვერვალების დალაშქვრას სრულ სიმარტოვეში ცდილობდა. და არ იყო არც ერთი თავისუფალი ნაშუადღევი, რომ არ ესეირნა თითის წვერებზე. როდესაც ის ოთახში თავს მარტოდ თვლიდა, ცდილობდა მარჯვენა ხელით მის ბეჭს უკან მარცხნივ მდებარე საგნებს მიწვდენოდა, და პირიქით. ჩაცმა და გახდა მისი გონებისთვის იქცა ამოცანად, რომელსაც ის მთელი თავისი სულიერი და ფიზიკური ძალების უკიდურესი დაძაბვით აკეთებდა. და, რადგან ადამიანურ სხეულის ყოველი კუნთისთვის არსებობს საპირისპირო, ისე, რომ, როდესაც ერთი სწორდება, მეორე იკეცება და პირიქით, ის ყველა მოძრაობისთვის ენით უთქმელი სირთულეების შექმნას ახერხებდა. შეიძლება ითქვას, რომ მთელი დღის განმავლობაში ის ორ, სრულიად საპირისპირო, ერთმანეთთან გამუდმებულ კონფლიქტში მყოფ ადამიანს განასახიერებდა. როდესაც ამგვარი – საუკეთესოდ გამოყენებული – დღის შემდეგ ის დასაძინებლად წვებოდა, იმ კუნთებს გაშლიდა, რომლებისთვისაც ამ ვარჯიშების შედეგად მოეყარა თავი; და იწვა მათ ტყვეობაში, როგორც მტაცებელი ფრინველის ნადავლი, ვიდრე დაღლილობა არ მოერეოდა, მაშინ კი დუნდებოდა, რბილდებოდა მისი კუნთების დაძაბულობა და, ასე მოშვებული, ძილის მორევში დაყვინთავდა. ცხადია, ამგვარი ცხოვრების წესის შედეგად ჩვენი გმირი უძლეველად უნდა ქცეულიყო. მაგრამ, ვიდრე ეს მოხდებოდა, ის ქუჩის ინცინდენტში გაეხვია და მრავალრიცხოვანი ადამიანების ჯგუფს შემოელახა.

ამ სამარცხვინო ამბავმა მის სულს დაუტოვა შეუხორცებელი იარა და დიდხანს რჩებოდა გაურკვეველი, შეძლებდა თუ არა ასე უიმედოდ ცხოვრების გაგრძელებას. უშველა ავტობუსმა. ერთხელ ის უბედურ შემთხვევას შეესწრო და საკუთარი თვალით იხილა, თუ როგორ გადაუარა გოლიათმა ავტობუსმა ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდას, და ეს შემთხვევა, მსხვერპლისთვის ასე ტრაგიკული, მისთვის ახალ ათვლის წერტილად იქცა. ასე აისხლიტა ხის მოჭრილი ნაფოტივით, თუ მოისროლა ვაშლის ნათალივით ცხოვრების ხემ ჩვენი ათლეტი, ხოლო თვითონ ავტობუსი გვერდით დადგა, შეწუხებული, გულნატკენი და იქიდან მორცხვად იმზირებოდა, ცხრათვალა. მართლაც სევდიანი სანახაობაა. მაგრამ ჩვენმა გმირმა იმწამსვე გააცნობიერა თავისი შანსი, ავიდა ავტობუსში, გამარჯვებულის ძლევამოსილ, მფარველ ინტერიერში – მის ყოვლისმძლე სივრცეში შეაბიჯა.

ასე მოხდა ეს, ამიერიდან კი: თხუთმეტ პფენიგად შეეძლო, როცა კი მოესურვებოდა, ამძვრალიყო და გოლიათის სხეულში მოკალათებულიყო, და მას ნებისმიერი სპორტსმენი უფრთხოდა და გაურბოდა.

გოლიათს ერქვა სააას, რაც, ალბათ, საყოველთაოდ-აღიარებული-ავტობუს-ათლეტთა-საზოგადოებას ნიშნავდა; რადგან, ვისაც დღეს ზღაპრების განცდა სწყურია, რაციონალურობასა და გონიერებას შიშით გვერდი არ უნდა აუაროს. ჩვენი გმირი იჯდა სალონში და იმდენად დიდი გამხდარიყო, რომ იმ ქონდრისკაცების მიმართ, ქუჩა მუდამ სავსე რომაა, ყოველგვარი თანაგრძნობა დაეკარგა. გაუგებარი გახდა მათი წუხილი, მათი საფიქრალი. მას უხაროდა, როდესაც ხედავდა, თუ როგორ გადახტებოდნენ ხოლმე გვერდზე შეშინებულები ავტობუსის მოახლოებისას. ის მათზე, მის გზაზე აღმოჩენილებზე, ჯიქურ მიდიოდა, როგორც ბელურებზე დაგეშილი უზარმაზარი, უჯიშო ძაღლი. ელეგანტურ მსუბუქ მანქანებს, ადრე თავისი მდიდრულობით რომ თრგუნავდნენ, ახლა ზემოდან დაჰყურებდა, საკუთარი დამანგრეველი ძალის სრული შეგნებით, ისე, როგორც ადამიანი დანით ხელში უყურებს თავის საყვარელ ქათმებს. საამისოდ სულაც არაა საჭირო მდიდარი წარმოსახვა და მშრალი ლოგიკაც კმარა, რადგან, თუ მართალია, რომ ტანსაცმელი ქმნის ადამიანს, რატომ არ შეიძლება იგივე ითქვას ავტობუსზე? ადამიანი ფლობს ან ატარებს ამ ძალას ისე, როგორც ატარებენ აბჯარს ან იარაღს; და თუ რაინდი გმირების სამყარო აბჯარს უკავშირდება, რატომ არ შეიძლება თავისი მან ავტობუსს დაუკავშიროს? და თვით მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანები: რა იყო მათი ძლიერების წყარო – სუსტი, პრივილეგირებული ადამიანის კომფორტით განებივრებული სხეული, თუ მათ სამსახურში მყოფი ძალაუფლების აპარატი? მაშ, რა არის ეს, ფიქრობდა თავისი აზროვნების ახალ ჰორიზონტებს ნაზიარები ჩვენი ნაცნობი. რა ხდება სპორტის: კრივის, სირბილის და ცურვის მეფეებს კარისკაცების რკალად შემორტყმულ დიდებულებს შორის, მენეჯერ-მწვრთნელით დაწყებული და იმ ადამიანებით დამთავრებული, სისხლიანი ჭურჭლის გატანას ან მხრებზე პირსახოცის დაფარებას რომ ეშურებიან; პიროვნულ ღირსებას საკუთარ თავს უმადლიან თუ უცხო ძალების ბრწყინვალებას მერიქიფეებისა და მესუფრეების ეს მემკვიდრეები? ხედავთ, სადამდე ამაღლდა მისი ფიქრები!

და ახლა ის მთელ თავისუფალ დროს უკვე არა სპორტს, არამედ ავტობუსით მგზავრობას ახმარდა. მას ოცნებად ექცა ყველა მიმართულების მუდმივი აბონემენტი. და ამ შემთხვევაში, თუკი ცოცხალია, მანქანამ არ გადაუარა, სადმე არ გადაიჩეხა ან საგიჟეთში არ მოხვდა, მას ახლაც ავტობუსში შეხვდებით. მართალია, ერთხელ ძალიან ღრმად შეტოპა და თან მეგობარი გოგონა წაიყვანა, იმ იმედით, რომ მამაკაცის ამაღლებულ სულისკვეთებას ის ღირსეულად დააფასებდა. ამ დროს გოლიათის სხეულში ერთი ხშირულვაშაპრეხილი ჩია პარა-

ზიტი დაემგზავრა, დროდადრო მეგობარ გოგონას თავხედურად რომ უღიმოდა, და ისიც შეუმჩნევლად უპასუხებდა; თან ჩასვლისას გოგოს სხეულზე ხელიც გააყოლა და თითქოს რაღაც კიდეც ჩასჩურჩულა, ეს მაშინ, როცა ბოდიშს იხდიდა რაინდულად. ჩვენი გმირი სიბრაზისგან თუხთუხებდა; კონკურენტ მოარშიყეს ის სიამოვნებით დააცხრებოდა, მაგრამ როგორ პატარადაც გამოიყუებოდა მეტოქე ავტობუსიდან, იმდენად დიდი და მხარბეჭიანი ჩანდა შიგნით. დარჩა ჩვენი გმირი ადგილზე და გოგონა საყვედურებით აავსო. მართალია, იგი თავისი ფიქრების სამყაროს აზიარა, პასუხად მაინც ვერ ელირსა: არაფრად მიღირს მაგარი მამაკაცები, მე მხოლოდ ავტობუსი მხიბლავს! მან უბრალოდ ყველაფერი უარყო.

ამ ღალატის შემდეგ, რაც ქალის გონების სიდუხჭირეს უნდა დავაბრალოთ, მან თავისი მგზავრობა ერთგვარად შეზღუდა და, როდესაც ამას აკეთებდა, აკეთებდა ქალის თანხლების გარეშე. ის ბუნდოვნად გრძნობდა ჭეშმარიტი მამაკაცის ხვედრს, ანუ იმ გამოთქმის სისწორეს, რომლის მიხედვითაც ძლიერთა ხვედრი სრული სიმარტოვეა.

ადამიანი ხასიათის გარეშე

ადამიანმა ხასიათი დღეს ფარნით ხელში უნდა ეძიოს; და, ალბათ, სასაცილოდაც იხდის თავს დღისით, მზისით, ანთებული სინათლით რომ დახეტიალობს. მინდა ერთი ადამიანის ამბავი მოგიყვეთ, რომელსაც მუდმივად ჰქონდა უსიამოვნება თავისი ხასიათის, ან, უბრალოდ რომ ვთქვათ, მისი არქონის გამო; თუმცა, ხანდახან ვფიქრობ, იქნებ მისი მნიშვნელობა დროულად ვერ შევაფასე და, ბოლოს და ბოლოს, ხომ არ იყო ის ერთგვარი პიონერი ან წინამორბედი.

ბავშვობაში მეზობლები ვიყავით. როდესაც რაღაც უმნიშვნელოს ჩაიდენდა – ცელქობდა, როგორც ბავშვობას შეეფერება, თან ისე მომხიბვლელად, რომ ამაზე ყურადღების გამახვილება არც კი ღირდა – დედა ამოიხვნეშდა, რადგან მათრახი, რომელიც მისგან უნდა მოსწეოდა, უსიამოვნო იყო მისთვის. „პატარავ", მოთქვამდა ის, „ხასიათის ნატამალიც კი არ გაქვს; რა გამოვა შენგან!?" განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში კი მოუხმობდნენ მამას და მაშინ მათრახის მოქნევა განსაკუთრებით საზეიმო იერსა და დარბაისლურ ღირსებას იძენდა, დაახლოებით ისეთს, როგორც სკოლაში ზეიმისას. ჩემს ამხანაგს ჯერ კონტროლის პალატის უფროსი მრჩეველისთვის უნდა მიეტანა ბამბუკის ჯოხი, რომლის ძირითადი მოვალეობა ტანსაცმლის ბერტყვა გახლდათ და მზარეულთან ინახებოდა; ყოველივეს

დამთავრებისას კი მამას ხელზე უნდა მთხვეოდა, ეთქვა მადლობა გაწყრომისთვის, – პატიება შეწუხებისთვის, მღელვარებისთვის, საყვარელ მშობლებს რომ მოუტანა. ჩემი ამხანაგი ამას პირიქით აკეთებდა. ის ითხოვდა პატიებას და მოთქვამდა დასაწყისში, და ასე გრძელდებოდა ერთი დარტყმიდან მეორემდე; მაგრამ, როდესაც ყველაფერი მთავრდებოდა, ის დუმდებოდა, სახე ჰქონდა გალურჯებულ-წამოწითლებული, ცრემლებსა და ნერწყვს ყლაპავდა და ხელის ხშირი მოსმით, ერთგვარი დაზელვით ცდილობდა ტკივილის შემსუბუქებას. „არ ვიცი", იტყოდა მამა, „რა გამოვა ამ ყმაწვილისაგან; ბენგელს ხასიათი არა აქვს!"

ასე, ჩვენს სიჭაბუკეში ხასიათი იყო ის, რისთვისაც მათრახით უმასპინძლდებიან, თუმცა ადამიანს ის არც ჰქონდა. ამაში იყო ერთგვარი უსამართლობა. მეგობრის მშობლები, როდესაც მისგან ხასიათს მოითხოვდნენ, საამისოდ განმარტებასაც იძლეოდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ხასიათი ცუდი ნიშნების, გაცდენილი გაკვეთილების, ძაღლის კუდზე მიბმული თუნუქის ქილების, გაკვეთილებზე ლაყბობისა და მალულად თამაშის, გაცვეთილი, მსმენელისთვის დიდი ხანია მოყირჭებული თავის მართლების, უყურადღებობისა და შურდულის უღირსი გასროლით მოკლული ჩიტების საპირისპიროა. ყველაფერი ამის ბუნებრივი საპირწონე კი შიშისმომგვრელი სასჯელი, გამოაშკარავების შიში და სინდისის ქენჯნა გახლდათ, წამოწყების წარუმატებლობისას სულს მონანიების სიმძაფრით რომ აწამებს. აი, ასე; ეს ყველაფერი ხასიათისთვის ადგილსა და ასპარეზს არ ტოვებდა, ის იყო სრულიად ზედმეტი. და მაინც მოელოდნენ, მოითხოვდნენ მას ჩვენგან.

შესაძლოა, ჩვენთვის ერთგვარი ათვლის წერტილი ის იყო, რასაც დროდადრო ამხანაგს დასჯისას ეუბნებოდნენ, უფრო კი მოძღვრავდნენ: „შვილო, ნუთუ თავმოყვარეობა არა გაქვს?!" – ან: „როგორ შეიძლება, კაცი ასე უსინდისოდ იტყუებოდეს?!" – თუმცა, უნდა ვთქვა – დღესაც მიჭირს იმის წარმოდგენა, რომ სილის გაწნისას ადამიანი შეიძლება თავმოყვარეობას ინარჩუნებდეს, ან დაჩოქებული იყოს ამაყი. განრისხებული – კი, ბატონო, შეიძლება; მაგრამ თავმოყვარეობა და სიამაყე ჩვენ არც უნდა გვქონოდა! იგივე შეიძლება ითქვას ტყუილთან დაკავშირებითაც; როგორ უნდა მოვიტყუოთ, თუ არა უსინდისოდ? მოუხერხებლად? როდესაც ამაზე ვფიქრობ, დღესაც მეჩვენება, რომ ჩვენგან, ბავშვებისგან, თითქოს გულწრფელ ტყუილს მოითხოვდნენ. ეს იყო ერთგვარი ორმაგი ჩათვლა: ჯერ ერთი, არ უნდა მოიტყუო; მეორე, თუკი მაინც იტყუები, წყალწაღებულ ტყუილებზე ნუ გადახვალ. ზრდასრული დამნაშავენი შესაძლოა ამ ნიშნით განვასხვაოთ და ცივსისხლიანად, სიფრთხილ-

ით და განსაკუთრებული წინდახედულებით ჩადენილი დანაშაული სასამართლო დარბაზებში მათ განსაკუთრებულ ბოროტებად ჩავუთვალოთ. მაგრამ ბავშვებისგან მეტისმეტს ხომ არ ვითხოვთ? ვშიშობ, მხოლოდ იმიტომ არ გამოვამჟღავნე ხასიათის ნაკლებობის ასეთი კატასტროფული მასშტაბები, როგორც ჩემმა ამხანაგმა, რომ მე ასე სკრუპულოზურად არ მზრდიდნენ.

ჩვენი მშობლების მიერ ჩვენს ხასიათთან დაკავშირებით გამოთქმული ყველაზე მკაფიოდ დასამახსოვრებელი გამონათქვამები სწორედ მის სამწუხარო ნაკლებობას ეხებოდა, რაც გაფრთხილებასთან ერთად წარმოითქმებოდა, რომ ჩვენ ის, როგორც მამაკაცებს, ერთხელაც აუცილებლად გვექნებოდა. „და ერთ დროს კაცი გახდება ასეთი ყმაწვილი!?" ულერდა დაახლოებით ასე. თუ ადვილი შესამჩნევი იყო ნებისყოფასთან დაკავშირებული პრობლემები, სხვა ყველაფერი თუნდაც იმაზე მიანიშნებდა, რომ ხასიათი იყო ისეთი რამ, რის საჭიროებასაც ჩვენ აუცილებლად ვიგრძნობდით; მაშ, რა საჭირო იყო ასეთი ნაჩქარევი სამზადისი? რადგან ჩვენც სწორედ ასე ვფიქრობდით.

მართალია, ჩემს ამხანაგს ხასიათი მაშინ არ ჰქონდა, მისი ნაკლებობა მაინც არ აწუხებდა. ეს მოგვიანებით, თექვსმეტ-ჩვიდმეტ წლის ასაკში გამომჟღავნდა, როდესაც თეატრში სიარული და რომანების კითხვა დავიწყეთ. ხელოვნების მაცდუნებელი სამყაროსადმი უფრო მგრძნობიარე ჩემი მეგობრის ტვინი თეატრალურ პერსონაჟებს ადვილად ითვისებდა და ითავისებდა: ქალაქის თეატრის ცბიერ გმირს, მოსიყვარულე მამას, გმირულ შეყვარებულს, კომიკურ პერსონაჟს, ხან თვით დემონიურ ქალს და მომხიბვლელ ინჟენიუს – მიამიტ მოახლე გოგონას. მართალია, მეტყველება ჰქონდა არაბუნებრივი, ხელოვნური, მაგრამ გერმანულ სცენაზე არსებულ ყველა ხასიათთან გახლდთ გაშინაურებული. როცა რამეს გპირდებოდათ, ვერ ხვდებოდით, იყო ეს პატიოსანი სიტყვა გმირის თუ ფლიდის; ხდებოდა ისეც, რომ იწყებდა სიფლიდით და ამთავრებდა გულწრფელობით და პირიქით; ჩვენ, მეგობრებს, გვღებულობდა ხმაურით, რათა შემდეგ ბონვივანის უეცარი ელეგანტური ღიმილით შემოეთავაზებინა ადგილი ან შოკოლადი, ან გადაგვხვევდა ხელს მამაშვილურად, რა დროსაც ჯიბიდან სიგარეტი ქრებოდა.

თუმცა ეს ყველაფერი, რომანების კითხვით მიღებულ შთაბეჭდილებებთან შედარებით, უბრალოდ გრძნობების უწყინარი, გულღია გამოვლინება გახლდათ. რომანებში შეხვდებით ცხოვრების ურიცხვ გარემოებასთან დაკავშირებულ საოცარ შემთხვევებს. ოღონდ ყველაზე დიდი ხარვეზი თუ ნაკლი ისაა, რომ ცხოვრებისეული გარე-

მოებები ყოველდღიურობაში არასოდეს ემთხვევა რომანებში გათვალისწინებულს – იმას, თუ რა უნდა გააკეთოს ან თქვას ადამიანმა. მსოფლიო ლიტერატურა ერთი უზარმაზარი მაღაზიაა, სადაც მილიონობით სულს დიდსულოვნება, მრისხანება, სიამაყე, სიყვარული, დაცინვა, ეჭვიანობა, კეთილშობილება თუ სიმდაბლე საკუთარ თავზე მოურგია. როდესაც სათაყვანებელი ქალი ჩვენს გრძნობებს ფეხით თელავს, ვიცით – მას გრძნობებით აღსავსე გამკიცხავი მზერა უნდა ვესროლოთ; როდესაც არამზადა ობოლს ცუდად ექცევა, ვიცით – იგი ერთი დარტყმით მიწაზე უნდა დავანარცხოთ. მაგრამ რა უნდა ვქნათ, როდესაც სათაყვანებელი ქალი, როგორც კი ჩვენს გრძნობებს ფეხით გათელავს, თავისი ოთახის კარს ისე მიხურავს, იმწამსვე, რომ ჩვენი გრძნობამორეული მზერა თავის ობიექტამდე ველარ აღწევს? ან როცა ჩვენსა და არამზადას შორის, ობოლს ცუდად რომ ექცევა, ძვირფასჭურჭლიანი მაგიდა დგას? კარი უნდა შევამტვრიოთ, რათა ჩვენი უბოროტო მზერა ასე გაჩენილ ღია სივრცეში მივმართოთ? ან, ჯერ ძვირფასი ჭურჭელი ფრთხილად ავალაგოთ, ვიდრე აღშფოთებულები მუშტს მოვიქნევდეთ? სწორედ ასეთ მნიშვნელოვან შემთხვევებში მიატოვებს ხოლმე მავანს ლიტერატურა; მხოლოდ ასეული წლების შემდეგ, როდესაც უფრო მეტი დაიწერება, შეიძლება სასიკეთოდ შეიცვალოს საქმე.

ჯერჯერობით კი, ეგრეთ წოდებულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში აღმოჩენილ ნაკითხ ადამიანს ყოველთვის შეიძლება გაუჩნდეს უსიამოვნო მდგომარეობის განსაკუთრებით დამთრგუნველი შეგრძნება. დუჟინი წამოწყებული წინადადება, ნახევრად აწეული ქუთუთოები ან მოღერებული მუშტი, ზურგშექცევა და გულის ბაგაბუგი, რომლებიც, შეიძლება, საბაბად არც კი გამოდგეს და, მაინც, შესაძლოა, არცთუ მთლად შეუფერებელი იყოს – ღვივის მასში ეს ყველაფერი და გზნებით ანთებს; ზევით და ქვევითაა მიმართული ერთდროულად პირის კუთხეები, ტუჩები უცნაურად დამანჭული, შუბლი პირქუშად შეჭმუხნული და მბზინვარე მზერა, ასევე ერთდროულად, დამსჯელი მახვილივით მრისხანედ წინ და მორცხვად უკან მიმართული: და უსიამოვნოა ეს, რადგან ადამიანი თავის თავს ორმხრივ ტკივილს აყენებს. ხშირად, როგორც შედეგი, ის ცნობილი კანკალი და სლოკინი, ტუჩებს, თვალებს, ხელებს და ყელს, შემდეგ კი მთელ სხეულს მძაფრად რომ მოედება და ისიც უქანჩო ჭანჭიკივით იგრიხება.

მაშინ აღმოაჩინა ჩემმა მეგობარმა, რამდენად მოხერხებული იქნებოდა ერთადერთი, თავისი, ხასიათის ქონა, და მის ძებნას შეუდგა.

მაგრამ ახალ ისტორიაში გაეხვია. მას წლების შემდეგ შევხვდი, ის უკვე ადვოკატი გამხდარიყო. სათვალეს ატარებდა, წვერს იპარ-

სავდა და ხმადაბლა ლაპარაკობდა. „მაკვირდები?“ შენიშნა მან. არ უარვყოფ, რაღაც მიბიძგებდა პასუხი მის იერში მეძებნა. „გამოვიყურები, როგორც ადვოკატი?“ მკითხა მან. არ ვაპირებდი ამის უარყოფას. მან ამიხსნა: „ადვოკატებს პენსნეს ხმარების თავისებური მანერა აქვთ, მაგალითად, ექიმებისგან სრულიად განსხვავებული. შეიძლება ითქვას, რომ მათი მოძრაობა და მეტყველება უფრო მკვეთრია, ბასრი, ვიდრე თეოლოგებისა – დამრგვალებული, ოდნავ ხაოიანი. და განსხვავდებიან პირველნი მეორეთაგან როგორც ფელეტონი ქადაგებისგან. ერთი სიტყვით, რამდენადაც თევზი არ გადაფრინდება ხიდან ხეზე, იმდენად შეზრდიან ადვოკატები გარემოს, რომელსაც ისინი არასოდეს ტოვებენ.“

„პროფესიის ერთგულება!“ ვთქვი მე. მეგობარი კმაყოფილი ჩანდა. „ეს არც ისე მარტივი იყო“, შენიშნა მან. დასაწყისში მქონდა ქრისტეს წვერი; მაგრამ შეფმა ამიკრძალა, როგორც ადვოკატის ხასიათისთვის შეუფერებელი. შემდეგ მეცვა მხატვარივით, და როცა ესეც ამიკრძალეს, გავხდი „მეზღვაური შვებულებაში.“ „ღვთის გულისთვის რატომ?“ ვიკითხე. „ ბუნებრივია, თავი როგორმე პროფესიის შესაფერი ხასიათის შეძენისგან რომ დამეცვა“, – მიპასუხა მან. „ყველაზე ცუდი ისაა, რომ ამას ვერ გაექცევი. რა თქმა უნდა, არიან ადვოკატები პოეტური იერით, ისევე, როგორც პოეტი, უფრო მემწვანილედ რომ აღვიქვამთ, ან არსებობს მემწვანილეც, მოაზროვნის მსგავსი. მაგრამ ყველას აქვს რაღაც შუშის თვალის, მიწებებული წვერის თუ ცუდად მოშუშებული იარის. არ ვიცი რატომ, მაგრამ ეს განა მართლაც ასე არაა?“ ადვოკატმა თავისებურად გაიღიმა და დაამატა: „როგორც იცი, საკუთარი ხასიათი არასოდეს მქონია... “

მე მას თეატრალური ხასიათები გავახსენე. „ეს ხომ ახალგაზრდობაში იყო!“ დაუმატა ამოოხვრით. „დაკაცებისას სქესის, ეროვნულის, სახელმწიფოებრივის, კლასობრივის და თვით გეოგრაფიული თვისებების მატარებელ ხასიათს იძენ, ადამიანს აქვს ხელწერის, ხელისგულის ხაზების, თვით თავის ფორმის ხასიათი და, შესაძლოა, კიდევ ერთი, ჩვენი დაბადებისას ვარსკვლავების განლაგება რომ განაპირობებს. ჩემთვის ეს მეტისმეტია. აღარ ვიცი, რომელ მათგანს, ჩემში ფესვგადგმულს, უნდა მივენდო.“ სახეზე კვლავ მდუმარე ღიმილი აღებეჭდა. „საბედნიეროდ მყავს საცოლე, რომელიც ამტკიცებს, რომ საერთოდ არ მაქვს ხასიათი, რადგან მისი ცოლად შერთვის დაპირება ჯერაც არ შემისრულებია. მას თუნდაც იმიტომ შევირთავ, რომ ჩემთვის ძვირფასია მისი საღი განსჯის უნარი.“ „ვინ არის შენი საცოლე?“

„გულისხმობ ხასიათს? მაგრამ, იცი“, გაწყვიტა მან აზრი, „მიუხედავად ამისა, ყოველთვის იცის რა უნდა! ის ერთი მომხიბვლელი,

უმწეო, პატარა გოგონა იყო – მას დიდი ხანია ვიცნობ, და ჩემგან ბევრი რამ ისწავლა. როდესაც ტყუილს ვამბობ, თვლის, რომ ეს საშინელებაა; როდესაც დილით ბიუროში ვაგვიანებ, ამტკიცებს, რომ ოჯახს ვერ შევინახავ; როდესაც დანაპირების შესრულებისას ვყოყმანობ, იცის, რომ ასე მხოლოდ თაღლითი იქცევა."

ჩემმა მეგობარმა კიდევ ერთხელ გაიღიმა. მაშინ ის თავაზიანი ადამიანი იყო, მას ყველა მეგობრულად უღიმოდა და ერთგვარად ზევიდანაც კი უყურებდა. არავის ეგონა, რომ ცხოვრებაში რამეს მიაღწევდა. ლაპარაკისას ცხადად ჩანდა, რომ მისი სხეულის ყველა ნაწილი მდგომარეობას იცვლიდა: თვალები განზე გაურბოდა, მხარი, ხელი და მკლავი – ყველა საპირისპირო მიმართულებით მიიწევდა და, სულ მცირე, მისი ცალი ფეხი მაინც მოძრაობდა ზამბარისებურად, რბილად, მუხლში საფოსტო სასწორჩადგმულივით. როგორც უკვე ვთქვი, ის მაშინ თავაზიანი ადამიანი იყო, მოკრძალებული; ხან სრულიად საპირისპიროც, მაგრამ მის მიმართ ყველა, თუნდაც ცნობისმოყვარეობის გამო, იყო კეთილგანწყობილი.

როდესაც კვლავ შევხვდი, მას უკვე ჰყავდა ავტომანქანა, ცოლი, ახლა მის ჩრდილად ქცეული, ჰქონდა სოლიდური და გავლენიანი ადამიანის რეპუტაცია. როგორ მიაღწია ყოველივეს, არ ვიცი; რამდენადაც ვხვდები, ამ ყველაფრის საიდუმლოება იმაში იყო, რომ ის გასუქდა. გაუქრა შემკრთალი გამომეტყველება, მოდუნებოდა სახის ნაკვთებიც, და მათი მოძრაობა აღარ იყო უწინდებურად მკვირცხლი, ცოცხალი. თუ დააკვირდებოდით, თითქოს კვლავაც იგივე იყო, ოღონდ ყველაფერს ზევიდან ხორცის სქელი ფენა ფარავდა. ახალმუშაობადაწყებულის პატარა სევდიანი მაიმუნივით გულში ჩამწვდომ, ერთ დროს სინათლით მოშუქარ თვალებს არც ახლა დაეკარგა სულის სიღრმიდან მომავალი ელვარება; მაგრამ ორ ფაფუკ ლოყას შორის მოქცეულებს გვერდზე გახედვისას ჯაფა ადგებოდათ, ამიტომ გარემოს ქედმაღლურად განაწამები მზერით მისჩერებოდა. მისი სამოძრაო იმპულსები, შიგნიდან სილაღისთვის, სიმსუბუქისთვის მომართული, გარეთ, სახსრებში, იქ ჩაბუდებული დარტყმის შემარბილებელი ცხიმიანი ფენით ბლაგვდებოდა და ჩვენამდე თითქოს მეტყველების მოკლე, მკვეთრ მონაკვეთებად დანაწევრებული აღწევდა. ასეთივე გამხდარიყო ადამიანიც. მისი მბორგავი სული ახლა მყარი კედლებისა და მსუყე შეხედულებების ჩარჩოებში მოქცეულიყო. ხანდახან გაიელვებდა, გამოკრთებოდა მასში რაღაც; მაგრამ ჩაქრებოდა უეცრად და აღარც სახეს ეფინებოდა ნათებად, და იყო ეს როგორც სხვებისთვის თავის მოწონებისა ან გარკვეული მიზნის მიღწევისთვის გაკეთებული გასროლა. წარსულთან შედარებით ბევრი რამ დაეკარგა. ყველაფერი, რასაც ამბობდა, იყო ტრივიალური,

ვთქვათ, რომ დუჟინი თორმეტია, თუმცა ეს იყო სანდო, სოლიდური საქონელი. და საკუთარ წარსულს ბავშვობის სიგიჟე-თავქარიანობად იგონებდა.

ერთხელაც შევძელი ჩვენი საუბარი ადამიანის ხასიათზე მსჯელობის ძველ კალაპოტში გადამეყვანა. „დარწმუნებული ვარ, ხასიათის განვითარება ომის წარმოებასთანაა დაკავშირებული", მითხრა მან – ის მოკლე ფრაზებით მეტყველებდა, „და ამიტომაც მთელ ქვეყანაზე დღეს მას ნახევრად ველურებში თუ შეხვდებით. რადგან ის მხოლოდ დანით და შუბით მებრძოლს შეიძლება ჰქონდეს, როგორმე წაგებული რომ არ დარჩეს. რომელი მტკიცე ხასიათი აღუდგება ტანკს, ცეცხლსატყორცნს და შხამის ღრუბელს!? ამას ჩვენ არა ხასიათი, არამედ დისციპლინა შეგვიძლია დავუპირისპიროთ!"

არ შევეკამათე. მაგრამ უცნაური იყო – და ამიტომ ვაძლევ თავს მოგონებების უფლებას – მაშინ, ლაპარაკისას, არ მტოვებდა შეგრძნება, რომ ძველი ადამიანი მასში არ გამქრალიყო. ის კვლავაც იყო მასში, ოღონდ მოქცეული მისი უწინდელი იერის გაფუებულ-გაზვიადებულ ხორციელ ასლში. ის, ძველი მზერა, მეორისაში გამოსჭვიოდა, სიტყვა – სიტყვაში. ეს თითქმის მზარავდა. მე ის კიდევ ერთხელ ვნახე და შთაბეჭდილება განმეორდა. ცხადი იყო, ის, თუ შეიძლება ასე ითქვას, კიდევ ერთხელ, სიამოვნებით გამოჩნდებოდა მთლიანად ფანჯარაში; მაგრამ ამაში მას ხელს რაღაც უშლიდა.

სამი ეპოქის ისტორია

1729

როდესაც მარკიზი დ'პატანტ საჯიჯგნად მტაცებელ ცხოველებს მიუგდეს – ამ ისტორიაზე დუმს მეთვრამეტე საუკუნის ყველა ქრონიკა – მან თავი ყველასგან მიტოვებულად და უბედურად იგრძნო, რომლის მსგავსი არ განუცდია. ის დაემშვიდობა სიცოცხლეს და, მოლიმარი, ბედისწერის შესახვედრად გაეშურა, მზერით, ამ ფაქიზად დამუშავებული ძვირფასი ქვის ნათებით, რომლითაც ის ველარაფერს აღიქვამდა, მხოლოდ არყოფნის სიცარიელის მოახლოებას თუ გრძნობდა. თუმცა ეს არყოფნა მას არა იმქვეყნად მარადიულ ყოფნას აზიარებდა, არამედ მის ირგვლივ სივრცეს ეუფლებოდა, ირგვლივ რკალად რომ ერტყმოდა; ერთი სიტყვით, არაფერი კი არ ჩანდა, არაფერი ხდებოდა და ყველაფერი არაფრად იქცეოდა და, როდესაც მან მზერას კვლავ თავის სამსახურში მოუხმო, ერთი დიდი

მტაცებელი ცხოველი შეამჩნია, რომელიც, გაურკვეველ მოლოდინში, ყოყმანში გაქვავებული, უმზერდა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა როგორ მოქცეულიყო. მარკიზს ეს, უნდა ვიფიქროთ, წონასწორობას ვერ დააკარგვინებდა – მას ეშინოდა, მაგრამ შეეძლო ამ შიშს ღირსებით დახვედროდა – მხოლოდ ერთადერთი აფერხებდა, რომ მის წინ მდგომი მხეცი იყო ძუ. სტრინბერგის შეხედულებების არარსებობისას ადამიანი მეთვრამეტე საუკუნის წარმოდგენებით ცხოვრობდა და კვდებოდა, და დ'პატანტ-ის უპირველესი იმპულსი ქუდის ელეგანტური მოხდა და გალანტური რევერანსით გაცლა გახლდათ. იქვე შეამჩნია, რომ საპირისპიროდ მდგარი ქალის მაჯა თითქმის თეძოს სისქის იყო, და ვნებიან ცნობისმოყვარეობად გაღებულ პირში კბილები, თანდათან, მის წარმოსახვაში მოახლოებული შემუსვრის სურათად გარდაისახებოდა. მის წინ მდგომი პერსონა იყო ლამაზი, ღონიერი, იერი და სხეული, თუმცა შიშისმომგვრელი, ჰქონდა დახვეწილი ქალური. და ამ ველური კატის სინაზე, ყველა სახსარში რომ გამოსჭვიოდა და ასე ატყვევებდა, უნებლიეთ, სიყვარულის მომხიბვლელ, მდუმარე მჭევრმეტყველებას აგონებდა. ის არა მარტო შიშს, არამედ იმ სამარცხვინო შინაგან ბრძოლასაც უნდა გამკლავებოდა, რომელთანაც ამ თავგადასავალს მიჰყავდა – მამაკაცური ღირსების ვალდებულებასთან, რადაც უნდა დაჯდომოდა, შთაბეჭდილება მოეხდინა ამ მდედრზე, თავის თავში ქალი დაეთრგუნა და მასზე გამარჯვება ეზეიმა. მაგრამ, ამის ნაცვლად, მოწინააღმდეგე მას აცბუნებდა და, აშკარაა, გამარჯვებასაც ის ზეიმობდა. ქალური საწყისის ბესტიალურობა თრგუნავდა, როგორც ნამდვილი ბესტია, და სრულფასოვანი ქალურობა, რაც მისი ყველა მოძრაობიდან გამოსჭვიოდა, მისი მხრიდან ყოველგვარ წინააღმდეგობაზე უარს უძლურების საოცრებას ჰმატებდა. ის, მარკიზი დ'პატანტ აღმოჩნდა მდედრის როლსა და მდგომარეობაში, თან თავისი ცხოვრების უკანასკნელ წამს! და არ ჩანდა თავს დატეხილი ამ ბოროტი, სამარცხვინო გაჭირვებიდან გამოსავალი, გრძნობდა, თუ როგორ უძლურდებოდა მისი ნებისყოფა, დაკარგა საკუთარი თავის მართვის უნარი და, მისდა საბედნიეროდ, მალე ველარც არჩევდა, თუ რა იყო მის თავს.

2197 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე

ვერ ვიტყვი, რომ წელი ზუსტადაა მოყვანილი, მაგრამ თუ ამორძალების სახელმწიფო ნამდვილად არსებობდა, მაშინ იქ ყველაზე ანგარიშგასაწევ ქალებს უნდა ეცხოვრათ. რადგან ისტორიაში მხოლოდ მოძალადე ქალების გაერთიანებად რომ დარჩენილიყვნენ, ოდენ აბდერიტებისა ან სანჩო პანსას რეპუტაციამდე თუ ამაღლ-

დებოდნენ და დღემდე არაქალური კომიკურობის ნიმუშად დარჩებოდნენ. ნაცვლად ამისა, ჩვენს წარმოდგენაში ისინი გმირული სამყაროს შარავანდედით არიან მოსილი, საიდანაც ვასკვნით, რომ თავის დროზე მათ ყველაფერი რაღაც განსაკუთრებით პატივსაცემი ხერხებით უნდა ებუგათ, ეხოცათ და ეძარცვათ. არაერთ ინდოგერმანელს უნდა გასჩენოდა შიში ამ არსებების მიმართ, ვიდრე მათ ამ დიდებამდე აამაღლებდნენ და არაერთ გმირს უნდა ეშველა გაქცევით თავისი თავისთვის. ერთი სიტყვით, ადამიანური სიამაყის ჩამოყალიბებაში მათ არცთუ პატარა წვლილი უნდა შეეტანათ, ვიდრე საკუთარი სიმხდალის გასამართლებლად ადამიანები მათგან მითიურ არსებებს შექმნიდნენ; იმ კანონის ერთგულებით, რომ ძროხას გარიდებულ-გაქცეული დამსვენებელი ეცდება სხვების დაჯერებას, რომ ეს, სულ ცოტა, ხარი მაინც იყო.

მაგრამ რა ვქნათ, თუ ქალწულთა ეს სახელმწიფო არც არასდროს არსებობდა? და, ალბათ, მართებულია ჩვენი ეს ვარაუდი, რადგან ძნელი საფიქრებელია, რომ იმ დროს ყველა პოლკსა თუ დივიზიას ამ კაცთმოძულე ქალწულების ახალ-ახალი რეკრუტებით მომმარაგებელი წეროები ჰყოლოდა. მაშ, რის ეშინოდათ ანტიკურ გმირებს? იყო ეს ყველაფერი სიზმარი, საწყისი, მათ უცნაური ძალით შემმოსავი? უნებლიეთ გახსენდება, რომ ისინი, ამავე დროს, იმ ქალღმერთებს ეთაყვანებოდნენ, რომლებიც ლოცვის ექსტაზში მყოფ თაყვანისმცემლებს ფლეთდნენ და ნაკუწებად აქცევდნენ, განათლებულ, მცოდნე თებელებს კი სტუმრობდნენ სფინქსები, როგორც მწერი – ობობას. თუნდაც ზრდილობის გულისთვის უნდა გავიკვირვოთ, ეს რა მწერების და ობობების სიზმრები არ ასვენებდნენ ჩვენი საგიმნაზიო განათლების პატრიარქებს! სანიმუშო სპორტსმენებს, ქალებს დიდ ფასს რომ არ ადებდნენ, საზარელი, შიშისმომგვრელი ქალები ესიზმრებოდათ? მაშ, ბატონ ზახერ-მაზოხს წინაპართა ასეთი გრძელი ჯაჭვი უძღვის წინ? ეს ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიფიქროთ. რადგან სულ ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ადრე იყო სიბნელე, რის გამოც დღევანდელობა უფრო განათებული გვეჩვენება; მაგრამ ის, რომ ჰუმანისტური განათლების საფუძვლებში ასეთი ქაოსი და უწესრიგობა შეიძლებოდა ყოფილიყო, ამას ვერ დავიჯერებთ. ასეთი ხუმრობის მოყვარული იყვნენ ძველი ბერძნები? თუ ლევანტელების მსგავსად ყველაფერს აზვიადებდნენ? ან იქნებ ამ უძველეს გაუკულმართებას უძველესი უწყინრობა უდევს საფუძვლად, მხოლოდ შემდგომ რომ გამოისხა ავადმყოფური ყლორტები?

ბუნდოვანია ცივილიზაციის საწყისები.

1927

რა შემატა ამ ისტორიას „თანამედროვე ეპოქის" ორმა საუკუნემ?

ღია სივრცეში, გაშლილ მინდორზე ბრძოლაში მამაკაცი ამორძალების ჯარს ამარცხებს, რომელთაგან ერთ-ერთს მისი მძლეველი შეუყვარდება. როგორც იქნა, ყველაფერი წესრიგშია! სიჯიუტე დასჯილია, ის ყრის ფარ-ხმალს, და შეჯგუფებული კმაყოფილი მამაკაცები ხითხითებენ. აი, რა დარჩა ძველი საგიდან, ახალგაზრდა, ველური, სასტიკი ქალის ისტორიიდან, მონდომებით რომ ცდილობს შუბის წვერით მამაკაცს ნეკნებს შორის ურქინოს. განათლებული ბიურგერის ეპოქამ მხოლოდ არაბუნებრივი მისწრაფებების კვლავ ბუნებრივში გარდასახვის მორალური ნიმუში შემოინახა; და, გარდა ამისა – ყველაზე დიდი – მწირი ნარჩენები თეატრსა, კინოსა და თექვსმეტი წლის კარგი ცხოვრების მოყვარული ყმაწვილების თავებში, სადაც მამაკაცების შემმუსვრელ მათ წინაპრებს, დემონური ქალი, სალონური მაცდური მდედრები და საბედისწერო ქალები თუ მოგვაგონებენ, ისიც შორიდან.

მაგრამ დრო არ ჩერდება. ნუ ვილაპარაკებთ მდედრობითი სქესის ბიუროს ხელმძღვანელებზე, ხელქვეითი მამაკაცები – როგორც სურო ბრგე მუხას – რომ ეტმასნებიან; არის ისტორიები, რომლებიც ახლოა მამაკაცური ამაოების შუაგულთან, მის ყველაზე მგძნობიარე წერტილებთან, და სწორედ ასეთი რამ მოხდა, როდესაც ცნობილი მკვლევარი ქუანტუს ნეგატუსი ადამიანთა ისეთ თავყრილობას დაესწრო, სადაც ოპოზიციას ქალები წარმოადგენდნენ. ეს არ იყო მაინცდამაინც პოლიტიკური თავყრილობა, და მაინც ისეთი, სადაც უშუალოდ ეხებოდა ერთმანეთს ძველი და ახალი. ქუანტუსს, უაღრესად დამსახურებულ ადამიანს, ძველი სამყაროს კომფორტულ სავარძელში ჯდომის პრივილეგიით დასდეს პატივი. ის მსოფლმხედველობათაშორის კამათში ჩართვას არ აპირებდა, და ქალების გამოჩენას, როგორც სასიამოვნო სიახლეს, თავდაპირველად კიდეც მიესალმა. როდესაც ისინი იქ, მაღლა, კამათობდნენ, ის, ქვევით, თავის ფეხსაცმელებს ათვალიერებდა. უეცრად მისი ყურადღება ერთმა უცნაურობამ მიიპყრო: მოესმა, რომ მათი აზრით, მამაკაცთა უმრავლესობა სახედარი გახლდათ. ამას ამბობდნენ გრაციოზულად, არა ყოველთვის სიტყვასიტყვით, მაგრამ ყოველთვის ამგავრი პატივისცემის კონტექსტში. და როდესაც ერთი მათგანი დაჯდა, წამოდგა მეორე, დასვენებული, და ბრალდებები განაახლა, თუმცა ოდნავ სახეშეცვლილად. სიბრაზისა და დაძაბულობისგან შუბლზე პატარა, შვეული ღარები უჩნდებოდათ; დამმოძღვრავად მოძრაობდნენ ხელები, ისე, როდესაც ბავშვებს უხსნიან, თუ როგორი ზარმაცი და მოუქნელია

მათი ინტელექტი; პირში წინადადებები საგულდაგულოდ იმარცვლებოდა – თითქოს გაწაფული მზარეული ხოხბებს ანაწევრებდა.

სახელგანთქმული მკვლევარი იღიმებოდა; ის არ იყო სახედარი, მას, ამ ყველაფერზე მაღლა მდგომს, მათი აღგზნებული მსჯელობისთვის აუღელვებლად, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე სურდა ესმინა; და მხოლოდ ხმის მიცემისას უნდა გამოჩენილიყო, თუ რას თვლიდა სიმართლედ. უმრავლესობაში მყოფი მამაკაცებისკენ მან შემთხვევით და უდროოდ გაიხედა – თვალში მოხვდა მათი გახეევებული პოზები, მსგავსად იმ დედაკაცისა, რომლის ლოგიკის ძლევამოსილ ხიბლთან ზიარებასაც მამაკაცი ცდილობს, და მას კი სხვა ლოგიკური იარაღი არა აქვს, თუ არა პასუხი: მაგრამ ეს მე არაფერში მჭირდება! მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ისიც იმავე მდგომარეობაში იყო. მისი მზერა ფეხებსა და ფრჩხილებზე, პირის ირგვლივ, მსუბუქად სეირნობდა, ტანის მოძრაობით ტკბებოდა, თუმცა საუბრისთვისაც უნდა დაეგდო ყური, საიდანაც იგებდა, რომ მისი ნება თვლემდა, ინტელექტი კი ჰქონდა მსუქანი ბიურგერისა, მძიმე და მოუქნელი. და მოხდა ის, რაც, რა თქმა უნდა, ხშირად არ ხდება, ქუანტუსი ამაში თითქმის დაარწმუნეს. როდესაც ის თავის, როგორც მკვლევარის, დიდებაზე ფიქრობდა, თავი ყოჩაღ, ქურასთან ბოთლებით და ქოთნებით დაკავებულ დიასახლისად წარმოუდგა, მაშინ როცა გაქაფულ ცხენზე ამხედრებული ეს ქალბატონები მათ სამყაროს უსასრულო სივრცეებში მიაჭენებდნენ. ცხადია, ბევრი რამ იყო ისეთი, რაზეც ცოტას თუ ჰქონდა მასავით სრულყოფილი წარმოდგენა; მაგრამ რაში არგებდა ეს იმ ზოგად საკითხებში, რომელთა ბუნდოვანება ერთ, ლამის თქვა ეს კიდეც, მთელ მამაკაცს მოითხოვდა?! უკვე ფიქრობდა, რომ მისი გონების მიერ ამ ახალგაზრდა ქალების თავხედობის მიმართ გამოჩენილი მიუღებლობა იყო საკმაოდ გაუბედავი და რომ მისი აზრები მათი სულის ველურ ქმედებებს თითქმის ჰაილბრონელი კეთჰენის შთაგონებით მისდევდა.

წონასწორობის შენარჩუნებაში მას ის დაეხმარა, რომ მეორე მხარეს წამომდგარი მამაკაცები უაზროდ აყაყანდნენ. მღელვარება აშკარად იზრდებოდა და აზრის გამოთქმის პრივილეგიაში ყველა ერთმანეთს ეცილებოდა. ქუანტუს ნეგატუსი ორატორი ქალების ქცევას აკვირდებოდა. ამ მამაკაცების ყვირილში ისინი დუმდნენ, იღიმებოდნენ და ეჩვენებოდა, რომ მათგან ერთგვარი თხოვნა მოდიოდა. მაშინ, როგორც წესი, წამოიმართებოდა ერთი მსუქანი, ჩაფსკვნილი ახალგაზრდა მამაკაცი, რომლის ყელიდანაც ფენომენალური ხმა მოედინებოდა, მართალია, აზრს მოკლებული, თუმცა მისი რეპლიკებიდან ერთიც კი მტრის ოც ხმასაც გადაფარავდა, ჩამოვარდნილ სიჩუმეში კი მხოლოდ ორატორი ქალების ხმები ისმოდა.

„აჰ, აი, მამაკაცი!“ თავდაპირველად სიამოვნებით გაიფიქრა ნეგატუსმა. მაგრამ, როდესაც, იმ განწყობის ზეგავლენით, რომელშიც იმყოფებოდა, ეს ყველაფერი უფრო ზუსტად შეაფასა, ჩათვალა, რომ ძლიერი ხმა, მაინც, რაღაც უჩვეულო გრძნობებს აღძრავდა, როგორც სიჭაბუკეში დიდი მკერდი ან გრძელი ნაწნავი. ამ აზრებმა სულ სხვა, უცხო სივრცეში განფენილმა, ის დაღალეს. მოუნდა მისი მომხრეების, თუნდაც გაჭირვებაში მყოფების, მიტოვება და აქედან გაპარვა. ის ბუნდოვანმა საგიმნაზიო მოგონებებმა ააღელვა: ამორძალები? – „უკულმართი მსოფლიო!“ ფიქრობდა ის. შემდეგ ისიც გაიფიქრა: „უცნაურია, იქნება კაცმა ერთხელ მაინც წარმოიდგინოს ეს უკულმართი მსოფლიო. ეს ერთგვარი კონტრასტი იქნებოდა.“ ამ ფიქრებმა მისი გესლი და ნესტარი კვლავ გააცოცხლა; იყო მათში რაღაც სითამამე – ღია, გახსნილი მამაკაცური ცნობისმოყვარეობა. „ეჰ, რა სიბნელითაა მოცული ცივილიზაციის მომავალი!“ ფიქრობდა ის. „მე ვარ კაცი, მაგრამ სიცოცხლის დასასრულისთვის ეს მხოლოდ რაღაც ძალზე ქალურის აღმნიშვნელი შეიძლება იყოს, ვიდრე მალე კვლავ არ დადგება ჭეშმარიტი მამაკაცების დრო!“ მაგრამ ხმის მიცემისას ის რეაქციონერებისკენ გადაიხარა.

ოპოზიცია დამარცხდა; თავყრილობა დასრულდა. ქუანტუსს გაელვიძა და შეუპოვარ მოწინააღმდეგე ქალებს რაინდული ვალდებულებებით და დამძიმებული სინდისით აღსავსე მზერა მიაპყრო. მაგრამ ისინი, ხელში მომარჯვებული ვერცხლის პატარა სარკით, პუდრის ცხებით იყვნენ გართული, და, ისეთივე თავდაჯერებული, საქმიანი იერით, როგორითაც დაუნდობელ განაჩენს წარმოთქვამდნენ, ახლა ამით იქცევდნენ თავს. ქუანტუსს გაუკვირდა. მისი მსჯელობა, მართლაც რომ დაბნეული, სახლიდან გასვლისას გახლდათ შემდეგი: „რატომ ირთულებენ ცხოვრებას ეს მოხდენილი მამაკაცური თავები სრულიად უსარგებლო აზრებით?!“

საყმაწვილო მოთხრობა

ბატონი პიფი, ბატონი პაფი და ბატონი პუფი სანადიროდ წავიდნენ. იყო შემოდგომა, მინდორში აღარ ჩანდა ნათესები, იყო მხოლოდ მიწა, რომელიც გუთანს ისე გაეფხვიერებინა, რომ მაღლა, ყელამდე ჩაფლული ჩექმები ნაცვლად შავისა, გახლდათ ყავისფერი. იყო ბევრი, ბევრი მიწა და ყველგან, თვალის გაწვდენაზე ბორცვები – სივრცის მშვიდი, ყავისფერი ტალღები – ქვის ჯვარს, წმინდანს ან უკაცრიელ გზას რომ ატარებდა; ირგვლივ, სადამდეც თვალი გასწვდებოდა, იყო სიცარიელე და სიმარტოვე.

უეცრად, კვლავ ღარტაფში აღმოჩენილებმა, მოშორებით კურდ-

ღელი შეამჩნიეს. რადგან ეს პირველი ნადირი გახლდათ, სასწრაფოდ მოიმარჯვეს თოფები, მიიდეს ლოყაზე და გაისროლეს. ჰერ პიფმა დაუმიზნა მარჯვენა ჩექმის ყელის თავზე აღმართული თოფიდან, ჰერ პუფმა იგივე გააკეთა მარცხნიდან, ჰერ პაფს კი იგი ჩექმების ზუსტად შუაში ეკავა. კურდღელი იჯდა მოშორებით და მათ უყურებდა. გაისმა სამი ერთდროული გასროლის საშინელი გრგვინვა-ქუხილი, მიქროდნენ ჰაერში ერთმანეთის გვერდით – ზუზუნით, წუილით – საფანტის მარცვლები, როგორც სეტყვის სამი ღრუბელი, ბრდღვნიდნენ და გლეჯდნენ მიწაზე დაცემისას ყველაფერს და დააყენეს მტვრის დიდი კორიანტელი; მაგრამ, როდესაც შეშინებულმა ბუნებამ ცოტა სული მოითქვა და დაშოშმინდა, გამოჩნდა თავსუბედურებადატეხილი კურდღელი – ინვა მინაზე და არ ინძრეოდა. ოღონდ ვერ გაერკვიათ, ვის ეკუთვნოდა ნანადირევი, რადგან სროლით სამივემ ისროლა. ჯერ კიდევ შორიდან დაიყვირა ჰერ პიფმა, რომ, თუ კურდღელს ტყვია მარჯვნიდან ჰქონდა მოხვედრილი, მაშინ ის მისი იყო, მან ხომ მარცხნიდან ისროლა; იმავეს, ოღონდ მხარის შებრუნებით, ამტკიცებდა ჰერ პუფი; ჰერ პაფის მიხედვით კი კურდღელი უეცრად შეიძლება შეტრიალებულიყო და გასარკვევი მხოლოდ ის იყო, ტყვია მას ზურგში ჰქონდა მოხვედრილი თუ მკერდში. მაშინ კი, და საერთოდ ყველა შემთხვევაში, ის მას ეკუთვნოდა! როდესაც ახლოს მივიდნენ, ნატყვიარი ვერსად აღმოაჩინეს, და კიდევ უფრო გაცხარებით გააგრძელეს კამათი.

მაგრამ წამოდგა კურდღელი და ჩვენს გმირებს ზრდილობიანად მიმართა: „ბატონებო, რადგან საქმე ვერ გადაგიწყვეტიათ, ვარ საღ-სალამათი და თავისუფალი, მხოლოდ შიშისგან წამსვლია გული."

ჰერ პიფი და ჰერ პაფი წამით გაქვავდნენ ან, როგორც ჩვენთან იტყვიან, იდგნენ გახევებული – „პაფფ", და ხომ ისედაც გასაგებია, თუ რა დაემართებოდა მესამე ბატონს, ჰერ პაფს. კურდღელმა კი თავდაჯერებულად გააგრძელა. მხოლოდ თვალები ჰქონდა გაფართოებული, ისტერიული – შეიძლება იმიტომ, რომ სიკვდილმა გაპრკა კლანჭები – და შეუდგა მათი მომავლის წინასწარმეტყველებას. „ბატონებო, მე შემიძლია თქვენი აღსასრულის შესახებ მოგითხროთ", თქვა მან, „თუკი სიცოცხლეს მაჩუქებთ! – თქვენ, ჰერ პიფ, შვიდ წელიწადსა და სამ თვეში ხარის რქებით მოგცელავთ სიკვდილი; ჰერ პაფი, თუმცა დიდხანს იცოცხლებს, მაგრამ ვხედავ რაღაც ძალიან ცუდს ბოლოში – რაღაცას – ამის თქმა არც ისე ადვილია"; ის გაჩერდა და პაფს თანაგრძნობით შეხედა, შემდეგ კი გააგრძელა: „მაგრამ ჰერ პუფი დაიხრჩობა ატმის კურკით, ეს ცხადია."

სამივე გაფითრდა. ირგვლივ, შიშველ ველებზე, ქარი ნავარდობდა.

მაგრამ მაშინ, როდესაც მათი მაღალყელიანი ჩექმები ქარზე

თრთოდნენ და ცახცახებდნენ, კვლავ დატენეს თოფები და ერთხმად დაიყვირეს: „მატყუარა, როგორ შეგიძლია იცოდე ის, რაც ჯერ არ მომხდარა!“

„ხარი, რომელიც შვიდი წლის შემდეგ თავის რქებზე წამომაგებს, არც კი დაბადებულა“, თქვა ჰერ პიფმა, „და შეიძლება არც დაიბადოს!“

ჰერ პუფმა კი თავი დაიმშვიდა: „ატამს საერთოდ აღარ შევჭამ, ასე რომ, მატყუარა გამოდიხარ!“

ჰერ პაფი მხოლოდ ამბობდა: „ვნახოთ, ვნახოთ!“

კურდღელმა უპასუხა: „როგორც გნებავთ ისე გაიგეთ; მაინც არაფერი შეიცვლება.“

და გადაწყვიტეს მონადირეებმა ჩექმის ქუსლით მისი გასრესა, თან ყვიროდნენ: „ცრურწმენის ტყეობაში ვერ დაგვაბრუნებ!!“ – ამ დროს გამოიარა ზურგზე ფიჩხმოკიდებულმა საზარელმა მოხუცმა ქალმა, და მონადირეებმა, ქალს მათთვის უბედურება რომ არ მოეტანა, სასწრაფოდ სამჯერ გადააფურთხეს.

ამის დანახვაზე გაბრაზდა ქალი და დაუყვირა: „რა, განა ერთ დროს მეც ლამაზი არ ვიყავი!“ თუმცა ვერავინ მიხვდა დიალექტს, რომელზეც ის საუბრობდა; ეს კია, დიალექტი იყო ჯოჯოხეთური.

სწორედ ამ წამით ისარგებლა კურდღელმა და თვალს მიეფარა.

და დაადევნეს მონადირეებმა ტყვიები – ამაოდ, ის აღარსად ჩანდა, გაქრა მოხუცი ქალიც; ეჩვენებოდათ მხოლოდ, რომ სროლისას თავშეუკავებელი, დამცინავი ხარხარი მოესმათ.

ჰერ პაფმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, მას შეამცივნა.

ჰერ პიფმა თქვა: „მოდით, სახლში წავიდეთ.“

ჰერ პუფი კი უკვე ფერდობზე ადიოდა.

როდესაც ქვის ჯვრამდე ააღწიეს, თავი უფრო დაცულად იგრძნეს და შეისვენეს.

„მგონი სატრაბახო არაფერი გვაქვს, შევრცხვით“, თქვა ჰერ პუფმა, „ის ერთი ჩვეულებრივი კურდღელი იყო.“

„მაგრამ ლაპარაკობდა“, თქვა ჰერ პაფმა.

„ეს შეიძლება სულაც ქარი იყო, ან ყურებში სისხლი მოგვაწვა ამ სიცივეში“, ამშვიდებდნენ მას ჰერ პუფი და ჰერ პიფი.

და ჩურჩულებდა ქვის ჯვართან მაღლით ღმერთი: „არა კლა...“

სამივე ძალიან შეშინდა და ქვის ჯვარს, სულ ცოტა, ოცი ნაბიჯით მაინც დაშორდა – უსიამოვნოა, როცა ვერც აქ პოულობს სიმშვიდეს კაცი! და, ვიდრე რამეს იტყოდნენ, აღმოაჩინეს, რომ დიდი ნაბიჯებით უკვე სახლისკენ მიიჩქაროდნენ. მხოლოდ მაშინ, როდესაც ბუჩქების თავზე მათი სახლებიდან ამომავალი ბოლის ხვეულებს მოკრეს თვალი, მოესმათ ძაღლების ყეფა და ბავშვების ხმა, მერცხლებივით რომ

სერავდა ცას, შეანელეს სვლა, შეჩერდნენ – უეცრად იგრძნეს სითბო და სიმშვიდე. „ბოლოს და ბოლოს კაცს რაღაცა მოკლავს," – თქვა ჰერ პაფმა, წინასწარმეტყველების თანახმად, ყველაზე გვიან რომ უნევდა სიკვდილი; მან კარგად იცოდა, თუ ეს რატომ თქვა, თუმცა აწვალებდა აზრი, ასევე იცოდნენ მისმა თანამგზავრებმა თუ არა, მაგრამ კითხვას ერიდებოდა.

ჰერ პიფმა ასე უპასუხა: „თუ მე არ უნდა მოვკლა, მაშინ რატომ უნდა მომკლას სხვამ? რგო, ვამბობ მე, აქ არსებითი წინააღმდეგობაა!" ეს ყველას შეეძლო როგორც სურდა ისე გაეგო; პასუხი არ იყო გონივრული, და ჰერ პიფმა ფილოსოფიურად შეჭმუხნა შუბლი, რათა დაემალა, რომ მას ძალიან უნდოდა სცოდნოდა, სხვებს ესმოდათ მისი, თუ ეს მის თავს იყო რაღაც.

ჰერ პუფმა, მესამემ, ჩაფიქრებულმა, ფეხი დააბიჯა ჭიაყელას და უპასუხა: „ჩვენ არა მარტო ვკლავთ ცხოველებს, არამედ ვუვლით, ვუქმნით პირობებს."

და იცოდა თითოეულმა, რომ იცოდნენ სხვებმაც; მართალია, ისინი ჯერ კიდევ თავს გარდამხდარზე ფიქრობდნენ, მაგრამ მოგონება თანდათან ფერმკრთალდებოდა და ქრებოდა, როგორც გაღვიძებისას სიზმარი, რადგან, რაც მათ მოისმინეს და ნახეს, ვერ იქნებოდა ვერც საიდუმლოება და ვერც საოცრება, და იყო ის მხოლოდ მოჩვენება. უეცრად სამივემ ამოიხვნეშა: მადლობა ღმერთს! ჰერ პიფმა ამოიხვნეშა თავისი მარცხენა ჩექმის ყელზე, ჰერ პუფმა – თავის მარჯვენაზე, რადგან უკან, მინდორში, ღმერთისკენ ორივე ცერად იყურებოდა – და მადლიერიც იყვნენ გულში, რომ ის მართლა არ გამოეცხადათ; ჰერ პაფმა კი, ისარგებლა იმით, რომ დანარჩენები სხვაგან იყურებოდნენ, ჯვრისკენ მოტრიალდა, მოიფშვნიტა ყური და თქვა: „დილით მაგარი არაყი დავლიეთ, თან უზმოზე; მონადირემ ეს არ უნდა გააკეთოს."

„ასეა!" თქვა სამივემ და დასჭექა მონადირეთა ხალისიანი სიმღერა, რომელშიც ბევრი იყო ნათქვამი სიმწვანეზე, დაუშინა კატას ქვა, არად რომ დაგიდევდათ წესებს და მინდორში კურდღლის კვერცხებს ეპარებოდა; რადგან მონადირეებს კურდღლის აღარ ეშინოდათ. თუმცა ამბის ბოლო ნაკლებ სარწმუნოა – ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ კურდღლები კვერცხებს მხოლოდ სააღდგომოდ დებენ.

შავი შაშვი

ორ მამაკაცს – დავარქვათ მათ აერთი და აორი (და აუცილებელია მათი ხსენება, რადგან სწორედ ისინი არიან ჩვენი პატარა ისტორიების მთხრობელებიცა და გმირებიც, ისტორიებისა, რომელთა

ხასიათსაც სწორედ მთხრობელის პიროვნება განსაზღვრავს) – ბავშვობისდროინდელი მეგობრობა აკავშირებდა. და ისეთია მეგობრობის ბუნება, რომ ხანდაზმულობასთან ერთად ის სულ უფრო იშვიათი, გამორჩეული ხდება. წლების მანძილზე იცვლება ადამიანი, თხემით ტერფამდე, კანის მსუბუქი ღინღლიდან გულის სიღრმემდე, მაგრამ ის, მეგობრობა, უცვლელია და იმდენადვე უმნიშვნელოდ იცვლება, რამდენადაც ურთიერთობა, ყოველი ცალკეული ადამიანი თანამიმდევრობით რომ ამყარებს იმ ბატონებთან, რომლებთანაც აიგივებს თავის თავს. იგულისხმება, რა თქმა უნდა, არა ის, რომ ადამიანი მარად ინარჩუნებს სამყაროს პატარისმიერ აღქმას, იმ პატარისა, სურათზე რომ აღბეჭდილა დიდი თავითა და თეთრი კულულებით. არა, რადგან ვერავინ დაიბრალებს ამ პაწია, თავკერძა და ჭირვეული არსებისადმი, ამ მე, მე-თი შემოფარგლული ურჩხულისადმი კეთილგანწყობას. მაგრამ არც მეგობრობაა, თუნდაც საუკეთესო, სრული თანხმობისა და კმაყოფილების მომტანი; მეგობრობა ხშირად, ძალიან ხშირად, ტკივილის წყაროცაა; ეს ეხება ყველაზე ერთგულ, ღრმა მეგობრობასაც, ყოველგვარი შემთხვევითი მინარევებისგან დაწმენდილი, მაინც რაღაც იდუმალს, აუხსნელს რომ შეიცავს.

მათი სიჭაბუკე, აერთსა და აორს რომ აკავშირებდა, რელიგიური განათლების ტრადიციების – საეკლესიო აღზრდის – წიაღში ყალიბდებოდა. ინსტიტუტი, რომელშიც ისინი იზრდებოდნენ, თავს სწორედ რელიგიური პრინციპებისადმი ერთგულებით იწონებდა; მაშინ, როცა მისი აღსაზრდელები იმავე ერთგულებისადმი ერთგულებაში განსაკუთრებულ მონდომებას არ ამჟღავნებდნენ. ამ ინსტიტუტის ეკლესიის შენობა – ამგვარ ნაგებობების მოთხოვნებთან სრულ შესატყვისობაში – ლამაზი, დარბაისელი, მაღალი, ქვის კოშკით თავზე – მხოლოდ სკოლისთვის იყო განკუთვნილი, და, რადგან იქ უცხო ვერავინ შედიოდა, მოწაფეთა ერთი ნაწილი, – მაშინ, როცა მეორეს, როგორც წმინდა ტრადიცია მოითხოვდა, წინ, მერხებს შორის განაწილებულს, მუხლებზე დაჩოქილს თუ ფეხზე მდგომს დაინახავდით – უკან, აღსარების სკამთან, ჯგუფ-ჯგუფად ბანქოს თამაშობდა, ორღანის კიბეზე თუთუნს აბოლებდა ან კოშკისკენ მიემართებოდა, რომლის წვეტიანი სახურავის ძირს, იქ, სადაც გადახურვა თავდებოდა, გარედან მიდგმული, სანთლის ლამბაქივით პატარა ქვის აივანი ამშვენებდა. სწორედ მის მოაჯირზე, ამ თავბრუდამხვევ სიმაღლეზე სრულდებოდა ტანვარჯიშის ისეთი მარგალიტები, ყველაზე უცოდველ ყმაწვილსაც კი სიცოცხლის ფასად სულ იოლად რომ შეიძლება დასჯდომოდა.

ღვთის წინაშე ერთ-ერთი ასეთი კადნიერებათაგანი იყო აივნის მოაჯირზე ხელებზე დაყრდნობით თავდაყირა წელში გამართვა.

ვისაც ტანვარჯიშის ეს შედეგრი მიწაზე ერთხელ მაინც შეუსრულებია, კარგად იცის, თუ რა თავდაჯერებულობა, სიმამაცე და იღბალია საჭირო მისი განმეორებისთვის ცად ატყორცნილი კოშკის აივნის მოაჯირის ვიწრო ზოლზე. უნდა ითქვას, ბევრ მაგარ და ყოჩაღ ბიჭს უჭირდა ამის გაბედვა, მაშინ, როცა ქვევით, მიწაზე, ასე თავდაყირა ნებისმიერი სულ თავისუფლად დასეირნობდა. იმავეს ვიტყოდი ჩვენს ერთ-ერთ გმირზე – აერთზეც. აორი კი, პირიქით, და ეს მის, როგორც მთხრობელის წარდგენას, ალბათ, კეთილ სამსახურს გაუწევს, ამ თამამი ნააზრევის ავტორად ითვლებოდა ყმაწვილობაში. მისებრი აღნაგობის ადამიანს იშვიათად თუ ნახავთ სადმე, თითქოს ბუნების მიერ ძალდაუტანებლად მკვრივად და მტკიცედ ნაგებ სხეულს – და არა საყოველთაოდ გავრცელებულ სპორტსმენის დაკუნთულ ტანს – პატარა, კოხტა თავი ამშვენებდა, რომლის მთავარი ღირსება გახლდათ თვალები, თბილი, ხავერდოვანი, სახეზე სითბოდ დაღვრილი მათი სინათლე შორს შინაგანი ჰარმონიის სხივებად იფრქვეოდა და იმავდროულად ცეცხლსაც აკვესებდა, ისევე, როგორც კბილები, უფრო მტაცებელი ცხოველის შიშველ, ველურ ინსტინქტებთან პირისპირ ყოფნის შთაბეჭდილებას რომ გიქმნიდათ – ჩვენი გმირის თვინიერ მისტიციზმზე გარეგნულად თითქოს არაფერი მეტყველებდა.

უკვე შემდეგ, სტუდენტობისას, ორივე მეგობარი გაიტაცა სიცოცხლის მატერიალისტურმა ახსნამ, ადამიანს, როგორც უსულგულო, ურწმუნო არსებას, მხოლოდ ფიზიოლოგიურ და ეკონომიკურ საქმიანობაზე გათვლილ მექნიზმად რომ აღიქვამს. შესაძლოა ეს ასეცაა, თუმცა მათთვის ეს არ იყო მთავარი, რადგან ამგვარი ფილოსოფიის მთელი ეშხი არა მის სიმართლეში, არამედ დემონურ-პესიმისტურ, შემზარავ-ინტელექტუალურ ხასიათშია. უკვე მაშინ მათი ურთიერთობა იყო ყმაწვილმეგობრული. აორი სატყეო მეურნეობის მეცნიერულ საფუძვლებს ეუფლებოდა და ხშირად უთქვამს, რომ, როგორც სატყეო ინჟინერი, აუცილებლად შორს, რუსეთში ან აზიაში იმსახურებდა; მაშინ, როცა მისი მეგობარი, ასეთი ჭაბუკური ოცნებებისგან შორი, აღმავლობის გზაზე მყოფ მუშათა მოძრაობაში გახლდათ ჩართული. როდესაც საუკუნის დასაწყისში, დიდი ომის წინ, ისინი ერთმანეთს კვლავ შეხვდნენ, აორის თავგადასავლები რუსეთში უკვე წარსულში იყო; ამის შესახებ ცოტას თუ ყვებოდა, თუმცა, როგორც ერთ-ერთი დიდი კომერციული გაერთიანების ბიუროს თანამშრომელს, რამდენიმე მცდარი ნაბიჯი გადაუდგამს, რასაც, საბედნიეროდ, მისი კეთილდღეობისთვის საფრთხე არ შეუქმნია. ეს იმ დროს, როცა ბავშვობის მეგობარი კლასობრივი თანასწორობისთვის ბრძოლიდან ჟურნალისტურ საქმიანობაზე გადართულიყო და იმ

გაზეთის მთავარი რედაქტორი გამხდარიყო, ბირჟაზე მოთამაშეს რომ ეკუთვნოდა და რომელიც ბევრს წერდა სოციალურ თანხმობაზე. ამის შემდეგ მათმა დაპირისპირებამ განუყრელი წყვილის მუდმივი ქიშპობის სახე შეიძინა; და, აი, გაიყარა მათი გზები, თუმცა, როცა ცოტა ხნით კვლავ შეერთდა, აორი მოუყვა ამბავს, როგორც ადამიანი, მეგობრის დანახვისას მოგონებების გუდას რომ მოხსნის თავს და დაცლის მას, ცარიელი ტომრით უფრო მსუბუქად რომ გააგრძელოს გზა. თუ რა პასუხს აძლევდა მისი მეგობარი, იმდენად უმნიშვნელოა, რომ საუბარი თავისუფლად შეიძლება მონოლოგად ჩაითვალოს და ჩვენს მოთხრობაშიც ასეთად დარჩეს. უფრო სასურველი იქნებოდა, თუ შევძლებდით თვით მთხრობელის იერის აღწერას – რადგან ეს უშუალო შთაბეჭდილება მონათხრობის უკეთ გაგებაში მხოლოდ დაგვეხმარებოდა – რაც არც ისე ადვილია. ვცადოთ მაინც. წარმოიდგინეთ ცხენოსნის მათრახი – დაჭიმულ ზამბარასავით მზა უმალ გაიშალოს, ამოძრავდეს – სხარტი, ელეგანტური და მოქნილი. რბილი ბოლოთი კედელზე მიყრდნობილი – ნახევრად წელში გამართული თუ ნახევრად მოკეცილი – თითქოს სწორედ ამ მდგომარეობაში გრძნობდა ყველაზე უკეთ თავს.

დედამიწის ზურგზე ერთ-ერთი ყველაზე უცნაური ადგილი, ყვებოდა აორი, ბერლინის ის ეზოებია, სადაც სახლები – ორი, სამი ან ოთხი – დგას ზურგშექცევით, ოთხკუთხა სოროების კედლებში გამომწყვდეული მზარეულები სხედან შუაში და მღერიან. იქიდანვე მოისმის თაროებზე მბზინვარე სპილენძის წითელი ჭურჭლის ზრიალიც. დაბლა, სიღრმიდან აღწევს მამაკაცის ხმა, მაღლა რომ ჰკიცხავს ერთ-ერთ გოგონას – თუ ეს ქვაფენილზე მოსიარულეთა მძიმე ხის ქოშების ბაკუნია? მდოვრე. მძიმე. უაზრო და გაუთავებელი. ასეა მართლა თუ არა?

იქით, გადაღმა – სამზარეულო და საძინებელი ოთახები იმზირებიან, განლაგებული ერთმანეთთან ახლოს, როგორც ადამიანის სხეულში გული და კუჭი, სიყვარული და საჭმლის მონელება. ერთურთის თავზე, სართულებად აზიდულა ციური ნებით შეუღლებულთა საწოლები; სახლში ყველა საძინებლისთვის ერთი და იგივე ადგილი მიუჩენიათ, რადგან ქუჩაში გამავალი და სააბაზანოს კედლები და მათზე მიდგმული ავეჯი საწოლის ადგილს ნახევარი მეტრის სიზუსტით განსაზღვრავს. ასევე ერთმანეთის თავზე, სართულებად აღმართულა თეთრი ფილებით მოპირკეთებული სააბაზანო და სასადილო ოთახები, ამდენივე წითელი შუქფარიანი აივანი. ძილი, სიყვარული, საჭმლის მონელება, დაბადება, მოულოდნელი შეხვედრა, გარჯით აღსასავსე, დამქანცველი, მხიარული თუ სტუმრიანი

ღამეები დახვავებულა ერთმანეთზე ფენებად, როგორც ფუნთუშის სვეტები სწრაფი კვების კარადა-ავტომატებში. პიროვნების ბედი საშუალო ფენის ასეთ საცხოვრებელ სახლებში, როდესაც ის იქ შესახლებას გადაწყვეტს, წინასწარაა განსაზღვრული. და ისიც ეთანხმება, იძულებით, რომ მისი არჩევანია მხოლოდ სად და როდის, რადგან ერთი და იგივეა რა, ანუ ის, რასაც აკეთებს: და აქვს ამას რაღაც განწირულ-დაწყევლილისა, მიუხედავად იმისა, რომ იდენტურობა მათ შორის მხოლოდ ძირითადი მონახაზის დონეზე არსებობს. ერთხელ კარადაზეც კი ავძვერი, ვერტიკალით რომ მესარგებლა, და უნდა ვთქვა, რომ უსიამოვნო საუბარი, რომელიც მომელოდა, იქიდან სრულიად განსხვავებულად აღიქმებოდა.

აორს თავის მოგონებებზე გაეცინა და სასმელი დაისხა; აერთი ფიქრობდა იმაზე, რომ ისინი სწორედ წითელფარიან აივანზე ისხდნენ, მის სახლს რომ ეკუთვნოდა, მაგრამ დუმდა, რადგან კარგად იცოდა პასუხი.

თუმცა – აორმა, თითქოს იგრძნოო საკუთარი მსჯელობის ცალმხრივობა, აზრი განავრცო – დღესაც ვაღიარებ, რომ ამ რეგულარულობაში, განმეორებითობაში არის რაღაც ძლევამოსილი, მაშინ მასობრიობის ამ უსიხარულო სულისკვეთებაში ვხედავდი თითქოს უდაბნოსა თუ ზღვას; ჩიკაგოს სასაკლაოს და, მართალია, ეს წარმოდგენა მაშფოთებს, მაფორიაქებს, მაინც სულ სხვაა, ვიდრე ყვავილის ქოთანი! ყველაზე უცნაური ის იყო, რომ სწორედ იმ დროს, როცა ამ სახლში ვცხოვრობდი, უჩვეულოდ ხშირად ვიხსენებდი ჩემს მშობლებს. შენ კარგად იცი, რომ იმ დროს მათთან ურთიერთობა გაწყვეტილი მქონდა; მაგრამ უეცრად გონებაში ამოტივტივდა წინადადება: მათ მაჩუქეს სიცოცხლე; ეს კომიკური ფრაზა არ მასვენებდა, როგორც აბეზარი მწერი, ვერაფრით რომ მოგიშორებია თავიდან. ამ ფრაზის შესახებ, ბავშვობიდან ბეჯითად რომ გვინერგავენ და მოჩვენებითი სიწმინდით და ამაღლებულობით რომ გვაბრმავებს, ბევრს ვერაფერს ვიტყვი. როდესაც ჩემს ბინას ვუყურებდი, ვიტყოდი ასევე: აი, შენი არსებობა, შეძენილი საკუთარი სახსრებით, წლიური ქირის ამდენი და ამდენი მარკის ფასად. დროდადრო, შესაძლოა, ვიტყოდი ამასაც: შენ შენი სიცოცხლე საკუთარი ძალებით შექმენი. ის, სახლი, მდებარეობდა უნივერსალურ მაღაზიასა და დაზღვევის შენობას – გარდაცვალებისა და სიამაყის დაზღვევის კომპანიას – შორის. და მომეჩვენა უჩვეულოდ, თითქმის გამოუცნობ საიდუმლოებად, რაღაცის ჩუქება ისე, რომ ადამიანს არც კი დაეკითხო, სურს იგი თუ არა და, თან, იყოს ის დანარჩენის წინაპირობა, მისი განმსაზღვრელი. ვფიქრობ, ამ ფრაზაში იყო მოქცეული არათანამიმდევრულობისა და გაუთვალისწინებლის ის საგანძური, ოდესღაც

რომ ჩავფალი. აი, სწორედ ამას მოჰყვა ბულბულის ისტორია.

ის დაიწყო ერთ ჩვეულებრივ საღამოს. მე დავრჩი სახლში და მას შემდეგ, რაც მეუღლე დასაძინებლად დაწვა, სამუშაო ოთახში ვიჯექი; შესაძლოა ერთადერთი, რაც ამ საღამოს სხვებისგან განასხვავებდა, იყო ის, რომ წიგნს და საერთოდ არაფერს მივკარებივარ, თუმცა ეს ყველაფერი ადრეც ყოფილა. პირველი საათის შემდეგ ქუჩის მღელვარება, მისი თრთოლვა თანდათან ცხრება. და საუბარიც, ახლა თითქოს იშვიათობათა სამყაროში გადანაცვლებული, ჩვენთვის სულ უფრო უჩვეულო, ლამის უცხო ხდება; არის რაღაც მაცდუნებელი მომხიბვლელობა იმაში, რომ დაიწრიტო, გაიწოვო ღამეში, შეერწყა მას, შენი დაძაბული გულისცემით მიადევნო გულისყური, მიჰყვე მის დინჯ, მდუმარე და ულმობელ სვლას. ორი საათისთვის ქვევიდან, ქუჩიდან, ხმაურისა და სიცილის ნაცვლად ახლა თრობისა და გვიანი ღამის (თუ უკვე ადრეული დილის?) იშვიათი ხმები მოისმის. ვაცნობიერებდი მოლოდინს – ბუნდოვანს, გაურკვეველს. სამი საათისთვის, ეს იყო მაისში, ცამ იწყო გაფერმკრთალება; სიბნელეში ხელის ცეცებით მივაღწიე საძინებელ ოთახამდე და ლოგინში უხმაუროდ ჩავწექი. არაფერს ველოდი ძილისა და განთიადის, დღის გარდა – ისეთის, როგორიც იყო განვლილი. ვიმყოფებოდი იმ მიჯნაზე, სადაც ველარ არჩევ ძილში ხარ თუ ღვიძილში. ფარდებისა და დარაბების ღრიჭოებიდან ამოიზრდებოდა, ამოიბურცებოდა მუქი სიმწვანის ზოლები, ოთახის სიბნელეში ჟონავდა დილის ბურუსის ციმციმი – ჩემი სიფხიზლის ბოლო გაბრძოლება თუ უკვე მომავლის ჭვრეტა გრძნეული, ხილვა-ზმანების მშვიდი სახე სიზმარეული. აი, ამ დროს გამომაღვიძა რაღაცის მოახლოების მკაფიო შეგრძნებამ; ბგერები მოინევდნენ, სულ უფრო ახლოს – ძილ-ღვიძილში მკაფიოდ გავაცნობიერე ერთი-ორჯერ. შემდეგ ისხდნენ ისინი მეზობლის სახურავის წვერზე, კიცურზე. უეცრად აფრინდებოდნენ, ამოყვინთავდნენ, ამოიმართებოდნენ, ვით წყლიდან დელფინები. შეიძლება ითქვას, როგორც სასიგნალო რაკეტა ფოიერვერკისას, რადგან სასიგნალო რაკეტების შთაბეჭდილება რჩებოდა; დაშვებისას ფანჯრის მინებს რბილად ეხეთქებოდნენ, დიდ ნამსხვრევებად იფანტებოდნენ, ვერცხლის მზეთა᲼ თაიგულებად ეშვებოდნენ და სიღრმეში იძირებოდნენ. თავს შევიგრძნობდი გრძნეულ ძალთა მორჩილებაში. ვიწექი ლოგინში, როგორც ფიგურა საკუთარი საფლავის ქვაზე, და ვფხიზლობდი, მაგრამ ვფხიზლობდი სხვაგვარად, არა როგორც დღისით. ძნელია გადმოცემა, მაგრამ, როდესაც ვფიქრობ ამაზე, მახსენდება – მეჩვენებოდა, რომ უხილავ ძალას მძლავრი ხელის მოძრაობით მთელი ჩემი არსება ამოეტრიალებინა, შინაგანი, არსი, გარსად ექცია და პირიქით; ვიყავი არა პლასტიკა – ცოცხალი და მოძრავი –

არამედ მძიმე, გაქვავებული, სადღაც, სიღრმეში ჩაძირული. ოთახი იყო არა ცარიელი სივრცე, არამედ შედგებოდა ნივთიერებისგან, დღისით, ხილულ სამყაროში ვერსად რომ ნახავ – შავად გამჭვირვალე, სიშავედვე რომ შევიგრძნობდი, რადგან ეს იყო ჩემი სხეული. დრო ახლა ციებცხელებიანის აღგზნებული მაჯისცემით მიიწევდა წინ. რატომ არ უნდა მომხდარიყო ახლა ის, რაც არასდროს ხდება? – ეს ბულბულია, იქ რომ გალობს! – ხმადაბლა ვკარნახობდი ჩემს თავს.

ბერლინში უფრო მეტი ბულბული აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა. ვფიქრობდი, რომ ამ ქვის მთაგრეხილებში ვერც ერთს ვეღარ ვნახავდი, – ის ჩემთან ალბათ შორიდან მოფრინდა. ჩემთან!! – ვიგრძენი უჩვეულო სითბო და იმედმოცემულს გამეღიმა. – ციური ჩიტი! მაშ, არსებობენ ისინი! – იცი, ასეთ უჩვეულო წამს, ბუნებრივად გიჩნდება ზებუნებრივის რწმენა; თითქოს შენი ბავშვობა ჯადოსნურ სამყაროში მიედინება. მაშინვე გავიფიქრე: უნდა გავყვე. ვემშვიდობებოდი ყველას, ყველაფერს: სიყვარულს, სახლს, ქალაქს ... მაგრამ, სანამ ლოგინიდან ავდგებოდი, სანამ ბულბულთან სახურავზე ასვლას თუ დაბლა ქუჩაში ჩასვლას და იქიდან მათ გაყოლას გადავწყვეტდი – ვიყავი გაურკვევლობაში, ბულბული დადუმდა, გაფრინდა ალბათ.

ახლა სხვა სახურავზე თუ უგალობდა სხვა მძინარეს. აორი ჩაფიქრდა. ვარაუდობ, რომ ამით დამთავრდა ამბავი? სწორედ ახლა იწყება, და არც კი ვიცი რით დამთავრდება!

თავს ვგრძნობდი ობლად, ყველასაგან მიტოვებულად, ვიყავი დათრგუნული, სასოწარკვეთილი. ის არ ყოფილა ბულბული, ის იყო შავი შაშვი, ვეუბნებოდი ჩემს თავს, ზუსტად ისე, შენ რომ იტყოდი. შაშვები, ცნობილია, სხვა ჩიტებს ბაძავენ. ახლა, გამოფხიზლებულს, მტანჯავდა სიჩუმე. ავანთე სანთელი და ვუყურებდი მეუღლეს, აქვე, გვერდით მწოლიარეს. კანი მას მკრთალ, ღია აგურისფრად უციმციმებდა. ეფინა საბნისპირი – ქათქათა თოვლის საფარი. განათებული სხეული ჩრდილის შავი ხვეულებით მოფენილიყო, რომელთა წარმოშობა ჩემთვის გაუგებარი რჩებოდა და, ალბათ, სანთელსა და ჩემი ხელის მდებარეობას უკავშირდებოდა. „რა მერე", ვფიქრობდი, „თუკი ის მართლაც მხოლოდ შაშვი იყო!" „ოჰ, პირიქით; სწორედ ის, რომ ჭკუიდან ჩვეულებრივმა შაშვმა გადამიყვანა, ნიშნავდა ბევრს! იცი შენ, ადამიანი მხოლოდ უბრალო იმედგაცრუებას ნაღვლობს, ორმაგი – მასში უკვე ღიმილს იწვევს. მზერა, გამუდმებით, მძინარე მეუღლეს უბრუნდებოდა. ყველაფერი იყო ერთმანეთთან კავშირში, თუმცა ვერ ვხვდებოდი როგორ ან რატომ. წლების მანძილზე მიყვარდი, ვფიქრობდი ჩემთვის, ისე, როგორც არაფერი ამ ქვეყანაზე, ახლა კი გიყურებ გულგრილად – ჩემი სიყვარულის ნაჭუჭს, დამწვარსა და ჩაფერფლილს. გამხდარხარ ჩემთვის სრულიად უცხო,

მას შემდეგ, რაც სრულად განვვლე სიყვარულის გზა და მის მეორე ნაპირზე აღმოვჩნდი. იყო ეს მოწყენა, მოყირჭება? ვერ ვიხსენებდი, რომ ოდესმე მეგრძნო ეს და გარწმუნებდი – გრძნობას შეეძლო გაერღვია გულის ჩარჩოები, მტკიცე, ვით სალი კლდე, რომლის მეორე მხარეს მელოდა სამყარო სხვა, იგივე ველით, იგივე სახლებით და პატარა ხიდებით. თუმცა, უბრალოდ არ ვიცოდი, რა იყო იქ, ან იყო კი რამე? არ ვიცი ეს დღესაც. შეიძლება ვცდები, ამ მოთხრობას დანარჩენ ორთან რომ ვაერთიანებ. გეტყვი მხოლოდ, თუ როგორ აღვიქვი ის, რაც მაშინ გარდამხდა: როგორც ნიშანი, გზავნილი საიდანღაც – აი, ეს შთაბეჭდილება შემექმნა მაშინ.

თანაგრძნობის უნარწართმეულმა, ფიზიოლოგიურ არსებობაში ჩაძირულმა, საწოლზე, მძინარე მეუღლის გვერდით დავდე თავი. მისი დიდი, ამობურცული მკერდი მოძრაობდა თანაბრად, სუნთქვის რიტმის შესაბამისად ამოიმართებოდა და კვლავ უკან ეშვებოდა, რომლის მიღმა ოთახის კედლები მძინარე სხეულის ირგვლივ აბობოქრებულ ტალღებად ზვირთდებოდა, თითქოს შორს, ღია ზღვაში ხომალდს ასკდებოდა, კვლავ დაქანდებოდა და პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდებოდა. ალბათ ვერასოდეს გადავწყვეტდი დამშვიდობებას; მაგრამ ახლა, როდესაც ფარულად ვტოვებდი სახლს, მომეჩვენა, რომ ვიყავი სრულიად მარტო, ყველასაგან მიტოვებული – ეული ნავი, და, რომ გვერდზე ჩამიარა დიდმა, მკვიდრად ნაგებმა გემმა ისე, რომ ყურადღება არც კი მოუქცევია და გაუჩინარდა. მეუღლეს ყურში რაღაც ჩავჩურჩულე, ისე ფრთხილად, რომ არაფერი გაუგია. დავცინოდი ჩემს თავს, არც ბულბული დამინდვია. თან ფრთხილად ვიცვამდი. მგონი ცრემლებიც კი მომადგა – მაინც წავედი. თავს ვგრძნობდი მსუბუქად, თავბრუსხვევამდე მსუბუქად, თუმცა მინდოდა ჩემთვის მეთქვა, რომ ღირსეული ადამიანები ასე არ იქცევიან. მახსენდება, რომ იმ მთვრალს ვგავდი, იხტიბარს რომ არ იტეხს და გზას ლანძღავს, საკუთარ სიფხიზლეში სხვებიც და თავიც რომ დააჯეროს. რა თქმა უნდა, ხშირად ვფიქრობდი მობრუნებას და რამდენჯერმე გადავწყვიტე კიდეც; მაგრამ ეს მაინც არ გავაკეთე. მის მიმართ უკვე უგრძნობელი ვიყავი. მოკლედ, არ ვიცი, გესმის ჩემი თუ არა: ის, ვინც თავისი გადაწყვეტილების უსამართლობას განსაკუთრებით მძაფრად შეიგრძნობს, მას აღარ ცვლის. თუმცა, შენდობას არ გთხოვ. გიყვები ჩემს თავგადასავალს, მის სინამდვილეში თვითონაც რომ დავრწმუნდე. წლების მანძილზე არ მქონდა მათი მოყოლის შესაძლებლობა და, როდესაც ჩემს თავს ხმამაღლა ვუყვებოდი, ვაღიარებ, ეს მზარავდა.

გახსოვდეს – ჩემი გონება არაფერს დაუთმობს შენს განათლებულობას.

მაშ ასე: ორი წლის შემდეგ აღმოვჩნდი ტომარაში, სამხრეთ ტიროლის ერთ მკვდარ წერტილში, ყველაფერს მოწყვეტილ, მიყრუებულ ადგილას, სადაც ფრონტის ხაზი ჩალდონაზზო-ს ტბის სიახლოვეს მდებარე ჩიმა დი Vეზზენა მწვერვალთან გათხრილ სისხლიან სანგრებთან სწორდებოდა, აქედან კი ველის სიღრმეში მიემართებოდა, ორ ბორცვს, მშვენიერ სახელებს რომ ატარებდა ზურგზე, ელვარე ტალღებად გადაევლებოდა, თავისი საზეიმო მსვლელობა ველის გადაღმაც რომ გაეგრძელებინა და ბოლოს მაღალი მთების სიმშვიდეში გაუჩინარებულიყო. იყო ოქტომბერი; საომარ სანგრებში, ხეების ხშირი ჩრდილი რომ გადმოჰფენოდა, მეჩხრად მოჩანდნენ მეომრები, უხმოდ იწვოდა აალებული ტბა, დამჭკნარი ყვავილების მიმიფანტულ თაიგულებად მოჩანდა ველზე ბორცვები – საფლავზე დადებულ გვირგვინებად – მიფიქრია ხშირად. თუმცა მათთან სიახლოვეს ძრწოლის გარეშე, მშვიდად ვეგუებოდი. ველი ერთხანს გაუბედავად მიედინებოდა, თითქოს ფეხს ითრევდა, ხოლო შემდეგ, დატოტვილი, მის წინ კუნძულებად აღმართულ ბორცვებს გარშემო უვლიდა; ფრონტის გამყოფი ხაზის მიღმა სივრციდან კი ჩვენამდე უდარდელი, ტკბილი უზრუნველობა აღწევდა და, ტრომბონების მძლავრ სუნთქვასავით, ყავისფერი, გაშლილი და გმირული, შორს, მოწინააღმდეგის სივრცის სიღრმეში იჭრებოდა.

ღამით პოზიციას წინ წავწევდით და ვიდექით ველზე – ღია, დაუცველ ადგილზე ისე, რომ სურვილის შემთხვევაში მუსრს ქვების დაშენითაც გაგვავლებდნენ, თუმცა მხოლოდ უხალისო საარტილერიო ცეცხლით შეგვახურებდნენ ხოლმე. მაინც, დილით, ასეთი ღამის შემდეგ, იერი ყველას შეცვლილი გვქონდა, ჩვეული კი მხოლოდ საათების გასვლისას გვიბრუნდებოდა: თვალები გვქონდა გაფართოებული, გადიდებული, თავები კი, მხრების სიმრავლეზე აღმართული თავები, გათელილი ბალახივით უწესრიგოდ სწორდებოდა. ყოველ ასეთ ღამეს ამოვწევდი თავს სანგრის თავზე, წინასწარ, წინდახედულად, ვით შეყვარებულს, მხრებზე უკან მოტრიალებულს, და რენტა-ს შეჭმუხნული, დანაოჭებული ფერდებით ცერად დაღმავალ მთაგრეხილს ვუყურებდი, ვით მინიდან ნაგებს, ღამეში ნათელ ცისფრად მოელვარეს. და სწორედ ასეთ ღამეებში იყო ვარსკვლავები დიდი – ოქროს ფურცლები ნატვიფრი – და ციმციმებდა მსუყედ, როგორც ღუმელგამოვლილი ცომეული, დაღვინებული, ნამცხვარი და გამომცხვარი; ცა კი, ჯერ კიდევ ღამის წყვდიადში დანთქმული, მიწის ზევით იყო ცისფერი, ნატიფი. ქალწულებრივი მთვარის ნამგალი, თვით ოქრო ან თვით ვერცხლი, მოხდენილად წამოწოლილი შუა ცაზე, მიცურავდა მსუბუქ ღრუბლებში, ნეტარი. უნდა სცადო, წარმოიდგინო, რა მშვენიერი იყო ყველაფერი; არაფერია მსგავსი

უზრუნველყოფილ ცხოვრებაში. ხანდახან, სილამაზეს ამდენ ხანს მონატრებული, ველარ ვუძლებდი მოზღვავებულ გრძნობებს, აღტაცებული, ამოვძვრებოდი სანგრიდან და მთელი ღამე ვსეირნობდი; მივაღწევდი მწვანე ოქროდ შეფერილ შავ ხეებამდე, და იქ, მათ შორის წელში ვიმართებოდი, ვსწორდებოდი როგორც პატარა, ხეზე მშვიდად მჯდომარე ბასრნისკარტიანი ჩიტის სიკვდილის ბუმბულის სამოსელის ჯადოსნურად ფერადად და შავად მბზინვარე მოყავისფრო-მომწვანო ბუმბული – ჯერ რომ არ გინახავს, ისეთი.

დღისით, ძირითად პოზიციაზე, შესაძლებელი იყო ცხენის ჭენებაც. სწორედ ასეთ ადგილებში, იქ, სადაც ჩაფიქრებისთვის, თვით შიშისთვისაც, მოგჭარბებია დრო, აცნობიერებ ხიფათს. ყოველდღიურად ატარებს იგი მსხვერპლშეწირვის რიტუალს და ინარჩუნებს მყარ ყოველკვირეულ სტატისტიკას, ამდენსა და ამდენ ასეულს, რასაც ითვალისწინებენ გენერალური შტაბის ოფიცრები, მშრალ ციფრებს, რომლებიც არ გულისხმობს ადამიანს, პიროვნებას, ისევე, როგორც სადაზღვევო კომპანია. თუმცა, ასევე იქცევა ადამიანიც. ის ინსტინქტურად აფასებს თავის შანსებს და, თუნდაც არასახარბიელო გარემოებებში, უსაფრთხოდ გრძნობს თავს. ეს ის უჩვეულო სიმშვიდეა, ადამიანს უშუალოდ სროლის ზონაში დიდხანს ყოფნისას რომ ეუფლება. ეს შენიშვნა იმისთვის დამჭირდა, რომ არ შეგექმნას არასწორი წარმოდგენა ჩემს მდგომარეობაზე. რა თქმა უნდა, ხდება, რომ ადამიანს ნაცნობი სახის ძიების სურვილი ამოძრავებს, იმ სახისა, რამდენიმე დღის წინ რომ ნახა; მაგრამ ის გამქრალია. მან შეიძლება შეგაძრწუნოს, იმაზე მეტად, ვიდრე გონიერება ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს და დიდხანს ილივლივოს სივრცეში, ვით სანთლის ციმციმმა. სიკვდილის წინაშე ძრწოლა ნელდება, თუმცა მღელვარებას ადამიანი უფრო ადვილად ექვემდებარება, და ჩვეულზე ხშირადაა აღგზნებული. აღსასრულის შიში, ლოდად რომ გაწევს გულზე, თითქოს უხილავ ძალას მოუცილებია და ახლა სიკვდილთან გაურკვეველ სიახლოვეს გაფურჩქნილი, ყვავის უჩვეულო შინაგანი თავისუფლება.

ერთხელ, ჩვენი პოზიციების სიმშვიდე მტრის მფრინავმა დაარღვია. ეს არც ისე ხშირად ხდებოდა, რადგან გამაგრებულ მთის კალთებს შორის მოქცეული ვიწრო საჰაერო ბილიკები მტერს მაღლა ფრენას აიძულებდა, რაც არ იყო ადვილი. ჩვენ სწორედ ერთ-ერთ სამგლოვიარო გვირგვინზე ვიდექით, ველზე აღმართულზე, და წამში – ვით საპუდრეს თივთიკის დაბერტყვისას გადმოფრქვეული პაწია თეთრი ფანტელები – ცას შრაპნელის ღრუბლის ნაფლეთები მოეფინა. ეს ყველაფერი მხიარულ განწყობას ქმნიდა და ლამაზი სანახავიც იყო. ამასთან, თვითმფრინავის სამფეროვან ფრთებს ზევით,

როდესაც იგი ჩვენს თავზე მოძრაობდა, მზე – როგორც ეკლესიის სარკმლებიდან ან დაბინდული ფერადოვანი თხელი ქაღალდის მიღმა მზერისას, თვალისთვის და გრძნობებისთვის უფრო ხელმისაწვდომი, შინაური – იყო ზღაპრული, და ამ ამაღლებულ სანახაობასთან ერთად ჰარმონიის სისრულისთვის რას ინატრებდა კიდევ ადამიანი? – მოცარტის მუსიკას, მხოლოდ. თუმცა გონებაში მიტრიალებდა აზრი, რომ ჩვენ, თითქოს სპორტული შეჯიბრის მაყურებლებლებად შეჯგუფებული, მტრისთვის მშვენიერ სამიზნეს წარმოვადგენდით. თქვა კიდეც ერთმა: ჯობდა ერთხანს მოფარებულში ყოფილიყავით. მაგრამ არავის ხიბლავდა მინდვრის თაგვივით სადმე სოროში ჩაძრომა. იმწამსვე მომესმა ყრუ წკრიალი, ის ჩემს სახეს, მაღლა მიპყრობილს, რომელზეც უჩვეულო სანახაობით დატყვევებული მზერა აღბეჭდილიყო, სულ უფრო უახლოვდებოდა. რა თქმა უნდა, შეიძლება პირიქითაც ყოფილიყო, რომ ჯერ მსუბუქი წკრიალი გავიგონე და ხიფათი შემდეგ გავაცნობიერე; თუმცა, გავაცნობიერე იმწამსვე: ეს იყო მფრინავის ისარი! – რკინის წკეპლა, არცთუ სქელი, ბასრწვერიანი, მფრინავები რომ ყრიდნენ ციდან; და, თუკი ადამიანს თავში მოხვდებოდა, ის მთელ სხეულს გაკვეთდა და მას მხოლოდ ფეხის ტერფიდან თუ დატოვებდა. თუმცა მიზანში ისინი იშვიათად ხვდებოდა და ხმარებიდან მალევე ამოიღეს. სწორედ ამიტომ იყო ის ჩემი პირველი ისარი; ბომბების და ტყვიამფრქვევის ხმა მკვეთრად განსხვავდება მისგან და მაშინვე მივხვდი, თუ რასთან მქონდა საქმე. დაძაბული ვიყავი და შემდეგ წამს დამეუფლა გრძნობა, არაფერი რომ ჰქონდა საერთო სინამდვილესთან: მომხვდება!

და, იცი რა იყო ეს? შიშისმომგვრელი წინათგრძნობა? არა, უფრო ბედნიერება, მოულოდნელი, რადგან ადრე მასზე წარმოდგენაც არ მქონდა! მიკვირდა, რომ მხოლოდ წკრიალის ხმა მომესმა. შემდეგ ვფიქრობდი, რომ ხმა გაქრებოდა. მაგრამ არა. ის ახლოვდებოდა. თუმცა ჯერ კიდევ შორიდან, მაგრამ მოაპობდა თანდათან სივრცეს, გვიახლოვდებოდა. ვაკვირდებოდი სახეებს – მას ვერავინ აღიქვამდა. და იმ წამს, როდესაც ვიგრძენი, რომ იგი მხოლოდ მე მესმოდა, ვიგრძენი ისიც, რომ ჩემგან რაღაც სხივი მიემართებოდა, მაღლა, მისკენ – სიცოცხლის სხივი; ისეთივე უსასრულო, როგორც ის, ზევიდან მომავალი, სიკვდილისა და განადგურების მაუწყებელი. არ ვიგონებ, მხოლოდ ვცდილობ აღვწერო, რაც შეიძლება უბრალოდ; მჯერა, რომ ჩემი აზრები ფიზიკური, მატერიალური თვალსაზრისით კორექტულად გამოვთქვი; რა თქმა უნდა, მესმის, რომ ეს ნაწილობრივ სიზმარივითაა, როდესაც ადამიანი თვლის, რომ ნათლად ლაპარაკობს, თუმცა მსმენელი სიტყვების თანამიმდევრობას ბუნდოვნად, გაუგებრად მიიჩნევს.

ეს გრძელდებოდა დიდხანს და დროის გარკვეულ მონაკვეთში ამ უცნაური ბგერის მოახლოება მხოლოდ მე მესმოდა. ეს იყო მკაფიო ულერადობის სადა, წვრილი ბგერა, თითქოს ნატიფი, მინის სასმისის ვიბრაცია, მკვრივი, ხისტი საგნის დარტყმით გამოწვეული; თუმცა იყო მასში რაღაც უცნაური – არაქაური; ასეთი ჯერ არ გსმენია, ვეუბნებოდი ჩემს თავს. იგი ჩემზე იყო მომართული – ჩვენ შორის არსებობდა კავშირი და ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ თავს რაღაც მნიშვნელოვანი, ჩემი არსებისთვის საბედისწერო გარდამხდებოდა. მაგრამ ერთხელაც არ გამივლია აზრი, არ გამჩენია აღსასრულის მოახლოების შეგრძნება, პირიქით, ყველაფერი, რასაც ვგრძნობდი, მხოლოდ მომავალთან იყო დაკავშირებული; უნდა გითხრა, დარწმუნებული ვიყავი, რომ მალე, ძალიან მალე, უახლოეს წამებში, ღვთის სიახლოვეს, უშუალოდ, უკვე ჩემი სხეულით შევიგრძნობდი. ეს კი რაღაცას ნიშნავს ადამიანისთვის, ღვთის რწმენა უკვე რვა წლიდან რომ აქვს დაკარგული.

ამ დროს მაღლით მომავალი ხმა უფრო მკვრივი, ხელშესახები, სულ უფრო ხორცსასვსე და მუქარით აღსავსე ხდებოდა. დროდადრო თავს ვეკითხებოდი, უნდა გამეფრთხილებინა სხვები თუ არა; მაგრამ, რაც უნდა მომხდარიყო ჩემს ან სხვის თავს, ამის გაკეთებას მაინც არ ვაპირებდი! შესაძლოა, ჩემში ეს წყეული ამაოება ამეტყველდა – ადამიანი თავს ყველასაგან განსხვავებულ, ყველა სიკეთით შემკულ და ყოველგვარი დაფასების ღირსად რომ წარმოიდგენს და სურს ამაში სხვებიც დააჯეროს – რომ ხმა, აქ, ამ ბრძოლის ველის თავზე, მხოლოდ ჩემთვის მღეროდა, ჩემთვის გალობდა. შესაძლოა, ღმერთი სხვა არაფერია, თუ არა საწყალი არსებების სურვილი, თავის შეზღუდულ ყოფაში მოიწონონ თავი – ო, ამაოება – მდიდარი ახლობლით ცაში. არ ვიცი. ახლა ცხადი იყო, რომ ბგერა ჰაერში სხვებისთვისაც ულერდა; შევამჩნიე – მათ სახეზე მღელვარების ლაქებმა გადაურბინა, და იცი – არცერთს სიტყვა არ დასცდენია! კიდევ ერთხელ შევხედე მათ: ყმაწვილები, რომლებისთვისაც არაფერი იყო ისეთი შორი, როგორც ამგვარი აზრები, იდგნენ შეჯგუფებული, ვით ქრისტეს მოციქულები, – გაუცნობიერებლად, რაღაც გზავნილის მოლოდინში. და უეცრად – ციურო ხმა იქცა ბგერად, ამაღლდა ჩვენს თავზე, ათი, ასი ნაბიჯით, და გაქრა. ეს მოხდა, იგი იყო აქ, ჩვენ შორის, ყველაზე ახლოს ჩემთან, და დადუმდა რაღაც, თითქოს მიწამ ჩაყლაპა, მდუმარებად დაიფერფლა, ირეალურ მდუმარებად. ჩემი გული მხნედ და მსუბუქად ცემდა; არ შემშინებია წამის მეასედითაც; ჩემს სიცოცხლეს არ მოჰკლებია დროის უმცირესი ნაწილიც. მაგრამ პირველი, რაც გავაცნობიერე, იყო ჩემკენ მომართული მზერა – ყველა მე მიყურებდა. ვიდექი იმავე ადგილას, მაგრამ ტანი,

გვერდზე მკვეთრად იყო გადახრილი, ნახევარწრედ გაქვავებულიყო. ვგრძნობდი, რომ თავდავიწყებიდან ვფხიზლდებოდი და არ ვიცოდი, რამდენ ხანს ვიყავი სხვაგან. სიტყვა არავის უთქვამს; ბოლოს თქვა ერთმა: მფრინავის ისარი! და ყველამ დაუწყო ძებნა, მაგრამ ის მიწაში იყო, მეტრის სიღრმეზე. იმწამსვე მადლიერების თბილმა ტალღამ გადამიარა და მომეჩვენა, რომ მთელ ტანზე გავწითლდი. ვინმეს რომ ეთქვა: ჩემს სხეულში ღმერთმა გაიარაო, არ გავიცინებდი. თუმცა, არც დავიჯერებდი. არც იმას, რომ მე მის ნამსხვრევს ვატარებდი. მაინც, ყოველთვის, როდესაც ამაზე ვფიქრობ, მსგავსის უფრო ცხადად განცდის სურვილი მეუფლება.

თუმცა, ეს მე კიდევ ერთხელ განვიცადე – არა ისე ცხადად, – აორმა დაიწყო უკანასკნელი ამბავი, თითქოს ნაკლებად დარწმუნებულმა – ეტყობოდა, სწორედ ამიტომ სურდა საკუთარი მონათხრობის მოსმენა.

ეს ეხებოდა აორის დედას, რომელიც შვილის მიმართ განსაკუთრებული გრძნობებით არასოდეს გამოირჩეოდა. ის კი უარობდა – უბრალოდ, ჩვენ ცუდად ვეგუებოდით ერთმანეთსო, და ესეც ბუნებრივად მიაჩნდა, რადგან, როდესაც მოხუცი ქალი ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობს მუდმივად, გამოუსვლელად, ფიქრობს, რომ შვილი ამ სამყაროს ტყუილად მოუვლინა. აორმა განაგრძო – მისი არსება მაშფოთებდა, როგორც იმ სარკის გვერდით ყოფნა, გამოსახულებას შეუმჩნევლად რომ ზრდის და აფართოებს; წლების მანძილზე სახლში არ ვბრუნდებოდი და ამით ტკივილს ვაყენებდი. ის კი, შეშფოთებული, ყოველთვე მწერდა, მწერდა კითხვებით აღსავსე წერილებს და, თუმცა ჩვეულებრივ მათზე არ ვპასუხობდი, მაინც, ამას რაღაც უცნაური შეგრძნება ახლდა, – რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ რაღაც, უფრო ღრმა, არსებითი გვაკავშირებდა, რაც შემდგომში გამოჩნდა კიდეც.

შესაძლოა, ათწლეულების მანძილზე მის არსებაში ჩაუქრობელი, მარადი გზნებით აღიბეჭდა პატარა ბავშვის ხატი, ბავშვისა რომელშიც ჩააქსოვა მხურვალე იმედები და რომელთა გიზგიზს ვერაფერი ანელებდა; და, რადგან ეს დიდი ხნის დაკარგული პატარა მე ვიყავი, მისი სიყვარული, თითქოს დაისის შემდეგ გამქრალი მზეთა სიმრავლე ლივლივებდა, ჯერ კიდევ ანთებული, სადღაც, ნათელსა და წყვდიადს შორის მიმოფანტული. შენ კი, ალბათ, კვლავაც იგივე იდუმალი ამაოების ტყვეობაში რჩები, რაც ჩემთვის არაფერია. რადგან, ვიტყოდი, არ მიყვარს ჩემს თავთან დიდი ხნით დაყოვნება, რასაც ადამიანთა უმეტესობა აკეთებს, როცა სადმე მყუდროდ მოკალაფებული საკუთარ ფოტოებს ათვალიერებს, საკუთარ თავს

ადრეულ ხანაში აღბეჭდილი რომ ევლინება, და მისთვის განუმეორებელი სიამოვნების წყაროდ ქცეულ გარდასულ დღეთა თავგადასავლებს იხსენებს, ანუ ეს მეს-შემნახველი-სალაროს-სისტემა, ჩემთვის სრულიად გაუგებარი. არც განსაკუთრებით ჭირვეული ვარ და არც მხოლოდ წამით ვცხოვრობ; მაგრამ, როცა რაღაც, უკვე მომხდარი, აწმყოს ჩამოშორდება და წარსულში გადაინაცვლებს, მშორდება ჩემი მეს ნაწილიც და მას მიჰყვება, იქ იდებს ბინას; როდესაც ქუჩაში ვარ და მახსენდება, რა ხშირად მივლია ამ გზაზე, ან როდესაც ჩემს უწინდელ სახლს ვხედავ, ვგრძნობ – უშუალოდ, რეფლექსიის გარეშე, ვით ფიზიკურ ტკივილს – ზიზღს საკუთარი თავისადმი, თითქოს რაღაც სიმდაბლეს ვიხსენებდე. როდესაც ვიცვლებით, მომხდარი, განვლილი ნამყოში რჩება; მეჩვენება, რაც უნდა უწყვეტი იყოს ჩვენი ცვლილება, ეს არ მოხდებოდა, უნაკლო რომ ყოფილიყო ის, ვისაც ჩვენ ვტოვებთ და ვემიჯნებით. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ასე ვფიქრობ ჩვეულებრივ, იყო უცნაური, როდესაც შევნიშნე, რომ მავანი ჩემს სურათს ჩემს სიცოცხლეშივე ფლობდა; ისეთს, არასოდეს რომ შევესატყვისებოდი, და რომელიც, ერთგვარად, იყო ჩემი შექმნის, ამ პატარა სამყაროს შესაქმეს ბრძანება – აღსრულებული, ჩემი პიროვნების არსებობა – საბუთით დადასტურებული. გესმის ჩემი, როდესაც ვამბობ, რომ დედაჩემი, ხატოვნად რომ ვთქვათ, იყო ლომი, რეალურ არსებობაში მრავალმხრივ შეზღუდული ქალის სხეულში გამომწყვდეული? ჩვენი გაგებით: ის არ იყო ჭკვიანი, არ შეეძლო მოვლენების განჭვრეტა და არც შორს მიმავალი დასკვნების გამოტანა. ის, ჩემს ბავშვობას თვალს რომ გადავავლებ, არც კეთილი იყო, რადგან იყო ფეთქებადი, ვერ ფლობდა საკუთარ ვნებებს; და ადვილად შეგიძლია წარმოიდგინო ერთ ადამიანში მძაფრი ვნებებისა და შეზღუდული თვალსაწიერის შერწყმის შედეგი. მაგრამ ვამტკიცებ: არსებობს სიდიადე და არსებობს ხასიათი, და ორივე ერთად, ჩვენი ყოველდღიურობისთვის ხელმისაწვდომ ფორმებში განსხეულებული, ისეთ წარმოუდგენელ მთლიანობას ქმნის, როგორსაც ზღაპრების ეპოქაში გველისა თუ თევზის სახით მოვლენილი ღმერთები.

მფრინავის ისრების ისტორიის შემდეგ, მალე, უკვე რუსეთში, ერთ-ერთი შეტაკებისას ტყვეობაში აღმოვჩნდი, სადაც მოგვიანებით ჩემში ღირებულებების დრამატული გადაფასების მომსწრე გავხდი. დაბრუნებას არ ვჩქარობდი, რადგან ახალი ცხოვრებით კმაყოფილი ვიყავი. ეს დიდხანს გრძელდებოდა. დღესაც კი მიკვირს; მაგრამ აღმოვაჩინე, რომ ზოგიერთ, ურყევ ჭეშმარიტებად მიჩნეულ რწმენის დოგმატს, რომელთა გარეშეც ადამიანის ცხოვრება თითქოს აზრს კარგავს, მთქნარების გარეშე ვეღარ წარმოვთქვამდი, ეს მაშინ, როცა

ხსნას გერმანიაში ვეძებდი, იქ, სადაც ყვაოდა ინდივიდუალიზმის ინფლაცია. ვეწეოდი ყველანაირ საქმიანობას, ხშირად საეჭვოს, ნაწილობრივ გაჭირვების გამო, ნაწილობრივ სიხარულით, რომ წარსულით მდიდარ ქვეყანაში ვიმყოფებოდი, სადაც შეიძლება ჩაიდინო შეცდომა სირცხვილის გრძნობის სავალდებულო დართვის, მისი აუცილებელი დადევნების გარეშე. ამ დროით არცთუ კმაყოფილს, ხანდახან, განსაკუთრებით მძიმე, უსიამოვნო გრძნობა მეუფლებოდა. კარგად არც ჩემი მშობლები იყვნენ. დედაჩემმა ერთხელ კიდეც მომწერა: ჩვენ არ შეგვიძლია შენი დახმარება; მაგრამ შემწეობის აღმოჩენისთვის, იმ მცირედის, რაც ჩემს ხელთაა და რასაც შენ მემკვიდრეობით მიიღებ, ჩემთვის სიკვდილი უნდა მესურვებინა. აი, ეს მომწერა, თუმცა, წლების მანძილზე, არც მინახავს და არც კეთილგანწყობის რამე ნიშანი მიმიწვდენია. უნდა გამოვტყდე, ეს უფრო გაზვიადებულ გამოთქმად მივიჩნიე და არც დიდი მნიშვნელობა მივანიჭე, მაგრამ გრძნობის გულწრფელობაში, თუნდაც სენტიმენტალურად გამოხატულში, ეჭვი არ შემიტანია. ოღონდ, მართლაც უცნაური მოხდა: დედა ნამდვილად გახდა ავად და კაცი იფიქრებდა, რომ ამ ავად ყოფნაში მამაც, მისდამი ასეთი ერთგულებით გამორჩეული – და ნიშნად ამისა? – ჩათრეული აღმოჩნდა.

აორი ჩაფიქრდა. დედა გარდაიცვალა ავადმყოფობით, თავის თავში დიდხანს რომ ატარებდა, მაგრამ რისი ეჭვიც არც მას და არც სხვებს არ გასჩენიათ. ასეთ დამთხვევებს მრავალგვარი და ბუნებრივი ახსნა შეიძლება მოეძებნოს, და ვშიშობ, მიწყენ, ეს რომ არ გავაკეთო. მაგრამ უფრო საყურადღებო იყო თანამდევი გარემოებები – მას არ სურდა სიკვდილი; ვიცი, ნაადრევი სიკვდილის თავიდან აცილებას ის ყველანაირი საშუალებით ცდილობდა და ბევრჯერ დაუჩივლია კიდეც გამწარებულს. მთელი მისი სიცოცხლისეული ენერგია, მისი თვითდამკვიდრების ინსტინქტი, მისი გადაწყვეტილებები და სურვილები, ყველაფერი ამ გარდაუვალის, ოდესმე მოსახდენის წინააღმდეგ იყო მიმართული. არც იმის თქმა შეიძლება, რომ არსებობისადმი მისი სწრაფვის ყოველწუთიერ, ყოველწამიერ სიფხიზლეს რამე მოადუნებდა და პიროვნული სიმტკიცე აუცილებლობის შემთხვევაში შეძლებდა წინ აღდგომოდა, რადგან მაშინ უფრო ადრე შეეძლო ეფიქრა თვითმკვლელობაზე ან ნებაყოფლობით სიღარიბეზე, რაც მას არასოდეს გაუკეთებია. ის თვითონ იყო მსხვერპლი, არა დროის რაღაც მონაკვეთში, არა რაღაც მოვლენასთან მიმართებაში, არამედ მთელი თავისი არსებით, ყველგან და ყოველთვის. არასოდეს შეგიმჩნევია, რომ შენს სხეულს რაღაც სხვა, უხილავი ნება მართავს, შენს შეგნებულ მეზე მეტად? ვფიქრობ, რომ ყველაფერი – რასაც ადამიანები ჩვენს ნებას ან გრძნობებს, ჩვენს

აღქმასა და აზრებს ვუწოდებთ და რანიც თითქოს მთელს ჩვენს არსებას სრულად განაგებენ – ძალმოსილი მხოლოდ შეზღუდული უფლებამოსილების ფარგლებშია, და მძიმე დაავადებებისა თუ უცაბედი გამოჯანმრთელებისას, სასტიკ ორთაბრძოლებში თუ საბედისწერო მოვლენებში საბოლოო განაჩენი მხოლოდ ჩვენს სხეულს, ამ პირველ ინსტანციას ხელეწიფება, რომლის სტიქიაში დაუდია ბინა ჩვენი ნებისთვის მიუწვდომელ ძალასა და ჭეშმარიტებას, რომლებსაც გამოაქვს კიდეც საბოლოო განაჩენი. მაგრამ, როგორც უნდა იყოს, დედაჩემის ავადმყოფობა სრულიად ნებაყოფლობითი მეჩვენებოდა; და თუკი შენ ყველაფერს ჩემი ფანტაზიის ნაყოფად, წარმოსახვის გაზვიადებად მიიჩნევ, უნდა ვაღიარო – როდესაც დედის ავადმყოფობის ამბავი შევიტყვე, თუმცა ამაში არაფერი იყო შემაშფოთებელი, შევიცვალე, გარეგნულად შესამჩნევად და შინაგანად სრულიად: ის სიმკაცრე თუ სიხისტე, თავდაცვითი კედელივით გარს რომ შემოვიმტკიცე, წამიერად შემომეცალა, თითქოს დადნა და დაიღვენთა, და სხვას ვერაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ მდგომარეობა, რომელშიც ამის შემდეგ აღმოვჩნდი, ძალიან ჰგავდა იმ ღამით გაღვიძებას, სახლი რომ დავტოვე, და იმ, მაღლიდან მომავალი ისრის სიმღერასთან შერწყმის მოლოდინს. მინდოდა დედასთან მაშინვე გავმგზავრებულიყავი, მაგრამ ის ყველანაირად ჩემგან შორს ყოფნას ცდილობდა. ჯერ თქვა, რომ ჩემი ნახვა ძალიან გაუხარდებოდა, მაგრამ უმჯობესი იყო მის გამოკეთებამდე დამეცადა, რათა ჯანმრთელი დამხვედროდა; მოგვიანებით შემატყობინა, რომ ჩვენი შეხვედრით გამოწვეული მღელვარება მისთვის ახლა მძიმე გადასატანი იქნებოდა; ბოლოს, როცა ჩემი თხოვნა უფრო დაჟინებული გახდა, შემომითვალა, რომ მდგომარეობა სასიკეთოდ იცვლებოდა და ცოტა კიდევ მომეცადა – თითქოს ეშინოდა, რომ ჩვენი შეხვედრა უფრო დაუცველს გახდიდა; შემდეგ კი ყველაფერი სწრაფად განვითარდა, ისე, რომ მხოლოდ დაკრძალვას ჩავუსწარი.

ავად დამხვდა მამაჩემიც, განწირული; ისღა დამრჩენოდა, მისთვის სიკვდილისწინა დღეების სიმძიმე როგორმე შემემსუბუქებინა. მამას კეთილი გული ჰქონდა, მაგრამ სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში უცნაურად ჯიუტი და ჟინიანი გახდა, თითქოს ჩვენს წარსულ ურთიერთობას ვერ მპატიობდა და ჩემი გვერდით ყოფნა აღიზიანებდა. მისი დაკრძალვის შემდეგ ჩვენი სახლი, მეურნეობა უნდა გამეყიდა და ეს რამდენიმე კვირა გაგრძელდა. მეც არსად მეჩქარებოდა. ხანდახან, პატარა ქალაქის მაცხოვრებლები მსტუმროდნენ, თითქოს ძველ ჩვევას ხარკს უხდიდნენ და მიყვებოდნენ, თუ სად, რომელ ოთახში იჯდა მამა, სად დედა, სად თვითონ ისინი და ამა თუ იმ საგნის გაყიდვაში დახმარებას მთავაზობდნენ. ო, ეს პროვინციელები, ასეთი სერიო-

ზულნი, ყველაფერში კირკიტის მოყვარულნი. და იცი რა მითხრა ერთ-ერთმა, მას შემდეგ, რაც სახლი საგულდაგულოდ დაათვალიერა? „საშინელია, რომ სულ რამდენიმე კვირის მანძილზე მთელი გვარი ასე ამოიძირკვა!" – სათვალავში არავინ მაგდებდა. როცა მარტო ვრჩებოდი, ვიჯექი ჩემთვის და ვკითხულობდი საბავშვო ნიგნებს, სხვენზე, სკივრში რომ აღმოვაჩინე, სხვა, მსგავს ლიტერატურასთან ერთად – ეს დამტვერილი, გაჭვარტლული ტომები, ნაწილი გამოფიტული, ნაწილი კი ნესტით დაზიანებული, დაბერტყვისას თავს შავ, მეჩხერ ღრუბლებში რომ იყრიდა; მუყაოს ყდებიდან თხელი ჯავარიანი ფურცლები გამქრალიყო და მხოლოდ ალაგ-ალაგ მოჩანდა დაკბილულ კუნძულთა გროვებად მიმოფანტული მათი კვალი. როდესაც ამ ფურცლების სამყაროში შევიჭერი, როგორც ზღვაზე თავგადასავლების მაძიებლი, უამრავ ჩასაფრებულ ხიფათს შორის მოგზაურობისას, გზადაგზა რაღაც უცნაურს ვაწყდებოდი. შევნიშნე, რომ სიშავე ზევით, იქ, სადაც გადაფურცლულ გვერდებს აჩნია თითების კვალი, და ქვევით, კიდეებში, ერთგვარად, შეიძლება არცთუ შესამჩნევად, განსხვავდებოდა იმისგან, ობი და სინესტე რომ ტოვებს, და შემდეგ ლაქები, ისეთი, ადამიანი ძნელად, ან ვერც კი აღწერს, და ბოლოს, სატიტულე ფურცლებზე, ფანქრის გაცრეცილი, უწესრიგო კვალი; და იმწამსვე გამაოგნა აზრმა – ვიცანი – ამ თითქმის წაშლილ, თუმცა, მაინც გზნებიან ნაკვალევში, ფანქრის ამ ნაკაწრში, ნაჩქარევად დატოვებულ ლაქებში ბავშვის – ჩემი – თითების კვალი, ოცდაათი და მეტი წლის წინ სხვენში ატანილი და მთელი სამყაროსგან მივიწყებული! – შეიძლება, სხვა ადამიანისთვის იმაში, რომ მას რაღაც წარსულს აგონებს, რამე განსაკუთრებული არც ყოფილიყო, მაგრამ ჩემთვის – თითქოს დაბლამ და მაღლამ გაცვალეს ადგილები, ყველაფერი დადგა თავდაყირა. ის ოთახიც ვიპოვე, ოცდაათი წლის წინ ჩემი რომ იყო; შემდეგში იქ დაედგათ თეთრეულის კარადები და მისთანანი, თუმცა სხვა მხრივ არაფერი შეცვლილიყო – მას შემდეგ, რაც ფიჭვის ფიცრებისაგან შეკრულ მაგიდასთან ვიჯექი, რომლის თავზეც, ჯაჭვებზე, დელფინების პირს დაყრდნობილი ლამპა ეკიდა. ვიჯექი იქ საათების განმავლობაში და ვკითხულობდი, როგორც ბავშვი, ფეხები ჯერ კიდევ იატაკისთვის რომ ვერ მიუწვდენია და დროდადრო ჰაერში იქნევს. იცი, ჩვენ მიჩვეული ვართ, რომ თავით ვერაფერს ვეყრდნობით და ის ვერც რამისთვის მიგვიბჯენია, რადგან მყარზე მხოლოდ ფეხებით ვდგავართ; ბავშვობა ორივ მხრით დაუცველობას ნიშნავს და ხელებს, მოგვიანებით შეძენილი საგნებზე მარწუხისებრი ჩაჭიდების ნაცვლად, ჯერ თივთიკის სირბილეს ვერ გასცილებია, და – გედოს წინ წიგნი, თითქოს შენ, პატარა ფურცელზე მოკალათებული, ფარფატებდე გაშლილ სივრცეში, უფსკრულების

თავზე. და, გეუბნები, ვერ ვწვდებოდი იატაკს ისევე, როგორც მაშინ, სკამზე მჯდომარე.

ჩემი საწოლიც ამ ოთახში დავადგმევინე და იქვე ვიძინებდი. და კვლავ გამოჩნდა შაშვი. ერთხელ, ნაშუაღამევს იშვიათი სილამაზის სიმღერამ გამაღვიძა. უცებ არ გამღვიძებია – დიდხანს ვუსმენდი ძილში. ეს იყო ბულბულის გალობა; მაგრამ ის იჯდა არა ბაღში, ბუჩქზე, არამედ მეზობელი სახლის სახურავზე. ახლა მეძინა გახელილი თვალებით. აქ არ არიან ბულბულები, – ვფიქრობდი ამ დროს, – ეს შავი შაშვია.

არ იფიქრო, რომ უკვე მონათხრობს ვიმეორებ! ვამბობ იმას, რასაც მაშინ ვფიქრობდი: აქ არ არიან ბულბულები, ეს შავი შაშვია, ვთქვი გამოღვიძებულმა; იყო დილის ოთხი საათი, ჩემს თვალებში დილის სინათლე ჩამდგარიყო, ძილი კი გამქრალიყო, თითქოს შეესრუტა რაღაცას, როგორც შეისრუტავს ზღვის ტალღას მშრალი, სილიანი სანაპირო, და იჯდა სინათლეში, შალის თეთრი ქსოვილის სირბილედ რომ შევიგრძნობდი, შავი ჩიტი ღია ფანჯარაში! იჯდა ისე, როგორც ახლა აქ ვზივარ.

მე შენი შაშვი ვარ, – თქვა მან, – ნუთუ ვერა მცნობ?

მართალია, უცებ ვერ გავიხსენე, მაგრამ ვიყავი უსაზღვროდ ბედნიერი – ის ხომ დამელაპარაკა.

ამ ფანჯრის რაფაზე ერთხელ უკვე ვიჯექი, ვერ მიხსენებ? – განაგრძო მან, და ახლა მეც ვუპასუხე: კი, ერთხელ იჯექი აქ, სადაც ახლა ზიხარ, და მაშინ სწრაფად დავკეტე ფანჯარა. დედა ვარ შენი, – თქვა მან.

იცი, შეიძლება ეს იყო სიზმარი, მაგრამ ჩიტი არ დამსიზმრებია; ის იჯდა იქ, შემდეგ ოთახში შემოფრინდა და მეც სასწრაფოდ დავკეტე ფანჯარა. ავედი სხვენში და ხის დიდი გალია მოვძებნე, გამახსენდა სადაც იდო, რადგან შაშვი ერთხელ უკვე იყო ჩემთან, ბავშვობაში, ზუსტად ისე, როგორც ახლა აღვწერე. ის იჯდა ფანჯარასთან და შემდეგ ოთახში შემოფრინდა, მე მოვიტანე გალია, თუმცა ის მალე მოშინაურდა და იყო თავისუფალი – გაფრინდებოდა, მოფრინდებოდა, თავისი სურვილით. მაგრამ, ერთ დღეს აღარ დაბრუნდა. ახლა კი კვლავ აქ, ჩემთან იყო. აღარ მინდოდა ფიქრებით თავის გადატვირთვა – იყო ის იგივე შაშვი თუ არა; ვიპოვე გალია, კიდევ ერთი წიგნებით სავსე სკივრი და, შემიძლია მხოლოდ გითხრა – არასოდეს ვყოფილვარ უფრო კეთილი, როგორც იმ დღიდან, რაც შაშვის პატრონი შევიქენი; მაგრამ ნუ მომთხოვ იმის თქმას, თუ როგორია ის.

ის ხშირად ლაპარაკობდა? – იკითხა ცბიერად აერთმა.

არა, – უპასუხა აორმა – აღარ ულაპარაკია. მაგრამ გამიჩნდა ახალი ვალდებულებები – მისთვის საკვები უნდა მიმეტანა, ჭიაყელები.

იცი, ცოტა უხერხული იყო, რომ ის ჭიაყელებს ჭამდა და მაინც დედად უნდა ჩამეთვალა; მაგრამ, იცოდე, ეს არაფერია და მხოლოდ ჩვენის ამბავია. ეჰ, ყოველდღიურ ცხოვრებაში რას არ ეგუება ადამიანი! ამის შემდეგ ის აღარსად გამიშვია. მეტის თქმა არ შემიძლია; ეს არის მესამე ამბავი და, როგორ დამთავრდება, ჯერაც არ ვიცი.

იქნებ მითხრა, – აერთი ცდილობდა გარკვეულიყო, – რა აერთიანებს ყველაფერ ამას?

ღმერთო დიდებულო, – უპასუხა აორმა, – ეს ყველაფერი უბრალოდ მოხდა; და რომ ვიცოდე, თუ როგორ უნდა გავიგო, ამ ამბებს არც მოგიყვებოდი. ისეა, თითქოს გესმის რაღაც: ჩურჩული? შრიალი? და ვერ გაგირჩევია!

სასტუმრო ქალაქის გარეუბანში

თორმეტი საათისთვის, ღამის მიჯნამდე ცოტა ხნით ადრე, ხის მძიმე ჭიშკარი დაიკეტა და ორი მაჯის სისქის რკინის ურდულით გადაირაზა; ამ დრომდე უცდიდა ძილმორეული მოახლე გვიან სტუმრებს. ქალის სოფლური იერი მეტყველებდა, რომ მისი მფლობელი მხოლოდ ამ მყუდრო სამყაროს ცხოვრების წესებს თუ ცნობდა და მხოლოდ მას ჰგუობდა. თხუთმეტი წუთის შემდეგ, ტრაქტირების დროული დახურვის შემოვლაზე, ჩვეული, ზანტი ნაბიჯით ჩამოიარა პოლიციელმა. პირველი საათისთვის ირგვლივ ჩამოწოლილ მკვრივ ნისლს უეცრად გამოეყო ახლოს მდებარე აღალის ყაზარმიდან მომავალი პატრული და ხილულ სივრცეში შემოაბიჯა. სამთა სვლამ, მათმა ნაბიჯმა, მიდამო მოკლე ხნით გამოაცოცხლა, თუმცა ბნელი ნისლის სქელმა ფენამ უმალვე შთანთქა ისინი – სწრაფადვე, როგორც გამოაჩინა – და, თითქოს შეისრუტაო, მათი ნაბიჯების ხმაც. პატრულის გაუჩინარების შემდეგ კვლავ გაყუჩდა არემარე, კარგა ხნით გაირინდა ნოემბრის ღამის ცივ, ნესტიან მდუმარებაში. მხოლოდ სამი საათისთვის გამოჩნდნენ სოფლიდან მომავალი დროგები, მძიმე გრუხუნით რომ მოემართებოდნენ ქვაფენილზე; ცხენების უკან, გაუთავებელი რყევისა და ერთფეროვანი რახრახისგან გამოყრუებული, გამთენიის სიცივისგან გათოშილი, უცნაური სიხისტით ირწეოდნენ მოსასხამში გახვეული მედროგეთა გახევებული გვამები.

სწორედ ასეთი ღამით, თორმეტის შესრულებამდე ცოტა ხნით ადრე, ტრაქტირში წყვილი შემოვიდა და ოთახი მოითხოვა. მოახლე მამაკაცს თითქოს ცნობდა, დამხვდურმა ჯერ აუჩქარებლად დაკეტა მაღალი კარი, მძიმე ურდულით გადარაზა, შემდეგ, ისე, რომ არაფერი უკითხავს, სტუმრებს წაუძღვა. სამეული აუყვა ქვის კიბეს, გაიარა

გრძელი, უფანჯრო დერეფანი, მოჭრა მათ გზაზე უეცრად გამოჩენილი ორი კუთხე-მოსახვევი, კვლავ აიარა კიბე, ხუთსაფეხურიანი, ყოველი მათგანი მრავალრიცხოვანი სტუმრების ხშირი ნაბიჯებისგან ალაგ-ალაგ გაცვეთილი, ჩაღრმავებული, უსნორმასწოროზედაპირიანი, ისევ დერეფანი, მორყეულფილებიანი, მათი ფეხსაცმლის ძირებს ვერაგულად რომ ეცლებოდა. ბოლოს – მოკლე კიბე, რომელიც სატუმარს კეთილგანწყობით ეგებებოდა, და პატარა წინკართან შეჩერდნენ, შუაში ჩამტვრეულ იატაკს სამი დაბალი, ყავისფერი კარით რომ დაჰყურებდა.

„დაკავებულია?" იკითხა სტუმარმა და სხვა ოთახებზე მიუთითა. მოხუცმა, ხელში სანთლით გზას რომ ინათებდა და ერთ-ერთი ოთახის კარს აღებდა, უარის ნიშნად თავი გააქნია; შემდეგ, მაღლა აწეული სანთლით გვერდზე გადგა და წყვილი ოთახში შეუშვა. მას, როგორც მასპინძელს, არც ისე ხშირად უხდებოდა აბრეშუმის ქვედატანის შრიალის მოსმენა ან იმის ხილვა, თუ მაღალ ქუსლებზე შემდგარი ელეგანტური ქალბატონები როგორი კრძალვით და სიფრთხილით აბიჯებდნენ მორყეულ ფილებზე და როგორ აკრთობდათ იმავე ფილებზე გადაფენილი მსუბუქი ჩრდილი. „ო, რა საშინელია! აჰ, როგორი რომანტიკულია ყველაფერი!" – არაერთხელ შეჰყვირა ქალმა. მოხუცი, აბრეშუმის ქვედატანიანის მიმართ უნდობელი, ამას უფრო საყვედურად აღიქვამდა. სოფლის მკვიდრის უნდობლობით მისჩერებოდა სახეში ქალს, რომელსაც მის წინ უნდა გაევლო. უკანასკნელმა თავი დაუქნია, დაბნეულმა, მოწყალე, ნაძალადევი კეთილგანწყობით. ის ასე ორმოცი წლის ან ცოტა მეტის თუ იქნებოდა. „ვინ არ ყოფილა ახალგაზრდა", ფიქრობდა მოხუცი, „ან, თუ მაინცდამაინც, საკუთარ ქმართან, ღვთის სახელით, კიდევ ჰო; მაგრამ ასე თავზე ხელის აღება?!" შემდეგ აიღო ოთახის ქირის ფული, დერეფანში სანთელი ჩააქრო და ლოგინში დაწვა.

ცოტა ხანში სახლში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ახლად ანთებული სანთლის მკრთალ შუქს უბადრუკი ოთახის ყველა კუთხე-კუნჭულში ჯერ კიდევ ვერ შეეღწია. უცნობი – ბრტყელი სილუეტი, უფრო აჩრდილი – ფანჯარასთან იდგა, ხოლო ქალი, გაურკვეველ მოლოდინში, საწოლის კიდეზე ჩამომჯდარიყო. მას უწევდა ლოდინი, დიდი ხნის, მტანჯველი – უცნობი არ იძროდა, ის ერთ ადგილზე გაქვავებულიყო. აქამდე ყველაფერი სწრაფად მიიწევდა წინ, ისე, ვით სიზმარში. ახლა კი ყრუ, გაურკვეველ, მაგრამ მტკიცე წინააღმდეგობას აწყდებოდა. ის, მეორე, გრძნობდა, რომ ქალი მისგან რაღაცას ელოდა. რამდენად მისცა ამის საბაბი? ქალი სურდა ეხილა „მის წინაშე მუხლმოყრილი." ვაუმა იცოდა – „მისი სხეული ახლა შენმა

კოცნამ უნდა დაფაროს." ამ მოვალეობებს იგი უსიამოვნო, მძიმე ტვირთად შეიგრძნობდა. ქალის ტანს მთლიანად ფარავდა კაბა, თმის ვარცხნილობა კი ჰქონდა ნატიფი, დახვეწილი: ამ ზღუდის გადალახვა – კაბის შეხსნა – იქნებოდა მისი სამყაროს, პიროვნების გამოუცნობი, იდუმალი მღვიმის სიღრმეებში ჩახედვა, დილეგის კარის შეღება. ოთახის შუაში იდგა მაგიდა; მასზე ელაგა მისი ცხოვრების საგნები; ღამის ფეხსაცმლებში, მრავალსახა. უცნობი მათ მტრულად და შიშით უყურებდა. ქალს ეწადა მისი დატყვევება; მისი ხელი მტკიცედ აწვებოდა ვაჟისას, კარის სახელურს ჯერ კიდევ რომ ვერ მოეცილებინა. არჩევანს აღარ უტოვებდნენ... ისღა რჩებოდა, შეჭრილიყო ყუმბარასავით და შპალერი კედლიდან ნაკუწებად ჩამოეგლიჯა! წინააღმდეგობის სულისკვეთების ამ მოზღვავებას ძალების უკიდურესი დაძაბვით მხოლოდ ერთადერთი წინადადება გამოგლიჯა: „მაშინვე შემამჩნიე, როცა შეგხედე?"

აჰა, გამოუვიდა – ამოხეთქა სიტყვების შადრევანმა. „შენი თვალები იყო როგორც ლემა!" – ან იქნებ მოესმა და ითქვა სხვა რამ – ვნება?" – „შენი მთრთოლვარე ბაგის გზნება."

„იმწამს აგანთო, აგაგიზგიზა?"

„მაგრამ, ძვირფასო! განა სხვა შემთხვევაში ვიქნებოდი აქ?" – მახვილი საპასუხო შეკითხვაში იყო მრავლისმეტყველი – გამომწვევი სითამამის მსხვერპლისა? არ იცნობდა ადამიანს; ტანსაცმელი, მიხრა-მოხრა, სიარული, სახე იყო დიდებული, და, სიყვარული ხომ ვნებაა! სულ ეს.

„მე გდევდი შენ ყველგან, ყოველთვის; მრავალი დღე ..." თქვა ჩუმად უცნობმა.

ახლა, ამ წამს, გრძნობდა იგი, შეუძლებელი იქნებოდა ჩიტის ხელში დაჭერა – და ეს გაშიშველებული კანი უნდა მიეკრას მისას, შიშველსა და დაუცველს? მკერდს კი ქალის მკერდის სითბო ავსებდეს? იგი ცდილობდა ამ წამის ხუმრობით გადავადებას – ტანჯული, დამფრთხალი ადამიანის ხუმრობით. „განა მსუქანი ქალები ფეხებსაც თასმებით არ იკრავენ? ფეხსაცმლებთან ერთად. ხოლო მაღლა, წელზე, ჭარბი ხორცი გადმოკიდებულა, როგორც აფუებული ცომი, იქვე დაბუდებულა განუმეორებელი სუნიც. პატარა, ცვილის სიყვითლის სუნი, ვერსად ქვეყანაზე რომ ვერ შეხვდები? კაბის ქვეშ!"

მოზღვავებული საოცრების სათამაშოდ ქცეული უბედური ქალი, სახელი საგულდაგულოდ რომ დაემალა, აღშფოთდა. „თქვენ ცდებით", წამოიყვირა მან, „მაშინ, ნუ მომმართავთ შენობით, გამიშვით აქედან; მე ღირსეული ქალი ვარ, ქალბატონი!"

„მაპატიე!" თქვა უცხომ, იერი – კვლავ ტანჯული, კეთილშობილი – უსაზღვრო ვნების დანაშაულებრივი არსის სიღრმისეულ შეგ-

ნებას აირეკლავდა. ლეოპოლდი მხოლოდ ორ დღეში დაბრუნდება; შეიძლება ჩემი არ ესმოდეს, – გაიფიქრა ქალმა, – მაინც უნდა დამერეკა სახლში, რომ ღამე სხვაგან ვრჩები. სისხლი, აღშფოთებისგან ყელში რომ მოაწვა, დაქანდა უკან, თეძოებამდე მიაღწია და იქ შეჩერდა. უცნობს ხელი თვალებთან მიეტანა. ქალი გრძნობდა, რომ მას უსამართლოდ მოექცა. და ზეიმობდა: ეჭვი? ტკბილი! უფრო მეტად კი – მწარე! ვაჟისთვის არ უნდა ყოფილიყო ძნელი მისი ცნობის გარეშეც გზის გაკვლევა! ქალს სურდა ეთქვა – მართალია, ლეოპოლდი კარგი ადამიანი იყო...

მაგრამ – საოცრება – გამოუცნობმა არსებამ წარმოთქვა: „მის გამო მშურს შენი." მეტყველებაში პირველად გამოკრთა ერთგვარი აღელვება – თვალები უელავდა, ვით ორი ჩირაღდანი, და ქალს ეჩვენებოდა – უცნაურად ბუუტავდა ვაჟის სახე – რომ იგი ცდილობდა მათი გიზგიზის სიტყვებში ჩაქრობას. უცნობმა გააგრძელა: „არასოდეს ვყოფილვარ ეჭვიანი. მიყვარს ასეთი ოთახი. ლოგინი, უბადრუკი სკამი ; შესაძლოა, ერთი საათის წინ აქ იწვა ყვავილით ავადმყოფი!"

ქალს გაეღიმა. „შენ ხუმრობ, გულქვა, დაუნდობელო! რა მოხდენილად ხმარობ დეზებს! ალბათ შენი სილამაზის სამსხვერპლოზე მისატანი შესაწირის სიდიდე გსურს გავაცნობიერო."

„არა", თქვა კაცმა, „როცა შენ ამ ორ დაღვენთილ სანთელს უყურებ, ორ დამწვარ კიდურს არ მოგაგონებს? ისინი გელოდნენ. ლოგინში კი შესაძლოა გელის ურჩხული, კბილებით შენი სასურველი კანის რბილ ქონს რომ ჩაეჭიდოს და იგემოს შენი თავდავიწყების სიტკბოება. გმადლობ, რომ მოხვედი. მხოლოდ ასეთ, დიდი ხნის გადაყვავილებულ, კბილებჩაცვენილ, მეჭეჭიან ადგილებს ვანდობ ჩემს გასეირნებას. ვმოძრაობ უაზროდ, ხანდახან, გარწმუნებ, სრულიად უაზროდ. და თუ ამაჩქარებ, ჩემში გამოიწვევ ტკაცანს, საზარელ, არაადამიანურ ხმაურს, როგორც ეტლის ბორბალი."

„იგი პოეტია", ფიქრობდა ქალი, „ან ფილოსოფოსი, რას იზამ, დღეს მათგან არაფერი უნდა გიკვირდეს; ახლა უმჯობესია თავი შევიკავო და დახვეწილი ქალის მთელი რაფინირებული არსენალი შემდეგ ვცადო" და დაიწყო თამამად გაშიშვლება; ეს მისთვის ღირსების საქმე იყო.

ვაჟი შეკრთა. მას ტანჯავდა ხილვა: დაშლა! ნაწილებად, როგორც პატარის სათამაშოსი, სრული, ბორბლებამდე, იმ ბორბლებამდე, სხვების წინ რომ აღმართულა და მათ წინსვლას აფერხებს.

და, მეორე, რაც აწვალებდა: დევნის შიში, რომ ის არ მოეშვება, ვიდრე ... რადგან ასე ახერხებს საკუთარი თავისგან თავის დაღწევას. ყოველთვის ჩემ წინ. რას ლაპარაკობს დაუსრულებლად? მე

უნდა დავაცხრე, ვით ძაღლი მისი სიცოცხლის მრგვალ ბურთს, რომ დაგორავს ირგვლივ.

ახლა იჯდა ქალი მის წინ შიშველი, შემორჩენილი – ფეხსაცმელი და მაღალყელიანი წინდები. რადგან ურჩხულზე ლაპარაკობდა, ყველაფერი გაეხადა. ასე თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობდა. ენებიანად ეშვებოდა დაბლა თეძოების რბილი, ტალღოვანი ნაკვთები. ის კანკალებდა.

ვაჟის თვალები აწყდებოდნენ აქეთ-იქით – დაბმული, გაშმაგებული ძაღლები.

„არ იხდი?" იკითხა მან.

„მანამდე არ ვიცეკვოთ?" თქვა უცნობმა.

სადღაც წამოიმართა მრისხანების ცრემლები. ქალი ნანობდა თავგადასავალს და ამ მომნუსხავი, მაგრამ ფუჭი ხიბლისგანაც განთავისუფლდებოდა – რომ შეძლებოდა. ისღა რჩებოდა, ეღიარებინა მისი უცილობელი ღირსებები, რომ ის საინტერესო და უჩვეულოა. ეჰ, სიყვარული ლაგამაწყვეტილი, პირზექაფმოდებული რაშია, მაშინაც, როცა დგას და თრთის.

„ალბათ კარგად ცეკვავ", დაყოვნების შემდეგ თქვა ვაჟმა. „მუსიკა ხშირადაა ჩვენი ცნობიერი ყოფნის ზღვარზე, ხან მის მიღმაც. მაგრამ მოძრაობა!"

„არა, არ ვცეკვავ", უპასუხა მან. „გთხოვ, სისულელეს ნუ ლაპარაკობ. ჯიუტო, თავნებავ, მაინც მიყვარხარ. რატომ არ მკოცნი?"

პასუხად იყო დუმილი. შემდეგ ფრთხილად იკითხა ვაჟმა: „დატოვეს შენი სხეული გოგონებმა – მისმა ბინადრებმა?" და კიდევ – უაზრო ფრაზა: „ახალგაზრდაა ის, ვისაც უყვარს" – ყელზე შემოეჭდო ხელები. ვაჟის თვალები დაძრწოდნენ უმწეოდ – დამფრთხალი თევზები სიბნელეში.

„ნუ შფოთავ, დაწყნარდი, ძვირფასო, ძვირფასო, დე, დამშვიდდნენ შენი თვალები, ასე კეთილშობილი, ასე საბრალო."

აი, სასოწარკვეთით ძალამოცემულმა ასწია ვალდებულების მძიმე ტვირთი – აკოცა. „როგორაა შენი კუნ ფუ ცზე?" იკითხა მან ჩუმად. ქალმა ეს მამაკაცთა წრეში მიღებულ გამოთქმად მიიღო – არ სურდა საკუთარი სისუსტის გამჟღავნება. ვაჟი სიმყუდროვეს თუ უქმნიდა. წინათგრძნობა კარნახობდა, რომ შემდგომში, როცა ურთიერთობა წინ წაიწევდა, უკეთესის იმედი უნდა ჰქონოდა. ვაჟის ენის წვერი მის ბაგეებს შეეხო. ადამიანებს შორის ურთიერთგაგების ეს უძველესი საშუალება, ასეთ ტუჩებს რომ ანდობს ყოველთვის შუბლი, მისთვის კარგად იყო ცნობილი. ქალმა შემხვედრი მოძრაობით ფართოდ გაშლილი მიაგება თავისი. შემდეგ – უეცრად დააბრუნა უკან და მაცდურად გაიღიმა. მისი მაცდური ღიმილი – მან ეს კარგად უწყოდა –

ჯერ კიდევ ბავშვობიდან ასე ცნობილი. და თქვა ალალბედზე, უფრო ბგერათა თანამიმდევრობის მსგავსებით შთაგონებულმა: კუნ ფუ ცზე ხარობს – ხმაში არაფერი დაგაეჭვებდათ, რომ მან ეს სიტყვა ადრე რაღაც სხვა მნიშვნელობით აღიქვა.

უცნობმა ამოიოხრა. მსოფლიო, მისი მრგვალი ბურთი, მოგორავდა მისკენ. „კიდევ ერთხელ!" სთხოვა მან. მუხლები უთრთოდა. გავიდა დიდი ხანი, ვიდრე ქალის ენას შემოჭდობილი კბილები გააღწევდა ბოლომდე და კვლავ შეერთდებოდა – პირში მან ფუჭი ნადავლი გააცნობიერა – უცხო, მკვრივი სხეული – უცხო უკვე ორივესთვის. ამ დიადი ქმედების ქარიშხალმა აიტაცა იგი. თავბრუდამხვევ ტრიალში მოისროლა მან თეთრი – სისხლი თქრიალით რომ სდიოდა, ოთახის კუთხეში სიმწრისგან სასოწარკვეთილი რომ იგრიხებოდა და მჭახე ბგერის, ერთი მერყევი ტონის ტანის ირგვლივ იკლაკნებოდა – უბედური, მკივანი ქალის სხეული, მოისროლა შორს.